

ტფილისის უნივერსიტეტის

ბულეტენი

BULLETIN

DE L'UNIVERSITÉ DE TIFLIS

VI



ტფილისი 1926 TIFLIS

დაიბეჭდა პროფესორთა საბჭოს განკარგულებით.

საბჭოს მდივანი: პროფ. ი. ქუთათელაძე.

გამოვიდა 27. IV. 1926.


ს. ს. შ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტანცია, ლეხანოვის ქრ. № 91.

26/VIII-25 წ. მთავარლიტი № 1232. შვ. № 956/226 დაიბეჭდა 500 ც

შ ი ნ ა ა რ ს ი.

გვერდი

1. ნ. მასხულია, სიმინდის ფეკილის ღომის ზეგავენა გოგირდ- მეავას და ეთერგოგირდმეავას რაოდენობაზე შარდში	1
2. ვ. უზნაძე, სოფელ ნადარბაზევის ტბის წყლის ქიმიური შედ- გენილობა	15
3. ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი და მისი ქართული თარგმანი	20
4. ვ. კაკოიშვილი, ზ. მაისურაძე, მ. კოკოჩაშვილი და ა. მალაევნი, განვითარების ანომალიები	61
დასკვნა ფრანგულად	347
5. ქ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ	82
6. ბ. ლოლობერიძე, საკვერცხის დვრილისებრ ხორცმეტა კლი- ნიკის შესახებ	108
დასკვნა ფრანგულად	353
7. ლ. მელიქსეთ-ბეგვი, სუქაველნი ძველს ქართულ მწერლობაში	123
8. გ. ჩუბინაშვილი, ნიკოდიმე კონდაკოვი (1844-1925)	136
9. ი. ქუთათელაძე, პირველი ცდა შმაგას მოშენებისა სოფელ კასპში	153
10. გ. ნათაძე, ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტო- რიაში	162
11. ნ. ქოიავა, საქართველოს სახელმწიფო ფინანსები	175
12. ს. დანელია, ძენონის დიალექტიკა	201
13. ალექსანდრე ვეედენსკი (ნეკროლოგი)	215
14. ალ. ჯანელიძე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი	220
15. დ. უზნაძე, აღქმა და წარმოდგენა	267
16. ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში	292
17. მ. ფარცვანიძე, Strongyloides stercoralis-ის ფილარიის მაგეა- რი ლარვის მორფოლოგიური ცვლილებანი კოპროკულტურაში	297
18. ა. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში	305
19. ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი	312
20. გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის. II. იოანე იალ- ღუზიძე და მისი ოსურად დაწერილი შრომები.	339



S O M M A I R E

	Pages
1. N. Maskhoulia, L'influence de la polenta sur la formation de l'acide sulfurique et de l'éther sulfurique dans l'urine	1
2. W. Ouznadzé, La composition chimique de l'eau du lac de Nadarbasévi	15
3. S. Kauchtschischwili, Georgische Übersetzung der Chronik von Georgius Hamartolus	20
4. W. Kakoichvili, Z. Maisouradsé, M. Kokotchachvili et A. Malajeff, Anomalies de développement du système urinaire	61
Résumés	347
5. K. Kekelidse, Zur Frage der Ankunft der 13 syrischen Väter in Georgien	82
6. B. Gogoberidzé, Sur les tumeurs pappillaires de l'ovaire	108
Résumé	353
7. L. Melikset-Bec, Les Pères Soukaviens dans la littérature géorgienne	123
8. G. Tschubinaschwili, Professor Nikodimos Kondakow (1844—1925) und seine wissenschaftliche Tätigkeit.	137
9. J. Koutatéladzé, Les premiers essais de la culture d'atropa belladonna à Kaspi	153
10. G. Nathadzé, Les nouveaux problèmes dans l'histoire de la féodalité de l'Europe (L'origine des bénéfiques et la question de l'immunité).	179
11. N. Koïawa, Finances d'état de la Géorgie	201
12. S. Danelia, Zeno's Dialektik.	215
13. Alexander Wwedenskij (Nekrolog)	220
14. A. Djanélidzé, Mélanges géologiques et paléontologiques	267
15. D. Usnadze, Ueber Wahrnehmung und Vorstellung	292
16. W. Topouria, Sur le système du calcul vigésimal dans les langues kartuéliennes	297
17. M. Parzwanidse, Morphologische Veränderungen der Infektionslarve von Strongyloides Stercoralis in Koprokultur	305
18. A. Tschikobawa, Das Suffix <i>on</i> im Mingrelischen	312
19. A. Chanidzé, Versions du verbe géorgien	339
20. G. Achvlediani, Zur Geschichte des Ossetischen. II. Johannes Jalgusidse und seine in ossetischer Sprache geschriebenen Werke.	



ნიკოლოზ მასხულია.

სიმიდის ფჰვილის ღოგის ზეგავლენა გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობაზე შარდში.

ცნობილია, რომ ცხიმები, ცილები და ნახშირწყლები, მიღებული საკვლის სახით, განიცდიან დაჟანგვის და აღდგენის პროცესებს და ამის შედეგად წარმოშობილი გარდაქმნის პროდუქტები გამოიყოფებიან შარდთან და განავალთან ერთად, როგორც ორგანიზმისათვის მავნე ან უსარგებლო ნივთიერებანი.

შარდის და განავალის შემადგენლობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვინააღწავლოთ იმ მრავალ სხვადასხვა ნაირ პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში.

შარდი, როგორც ვიცით, შედგება წყლისა და მკვრივ ნივთიერებათაგან. უკანასკნელი შედგებიან მრავალნაირ ორგანიულ და არაორგანიულ ნივთიერებათაგან: პირველთა ეკუთვნიან შარდივანი, შარდის მჟავა, გიპურის მჟავა, კრეტინი, ქსანთინი, ოქსალურის მჟავა, ფენოლი, კრეზოლი და მღებავი ნივთიერებანი. არაორგანიულ შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ ამონიაკი და ქლორწყალბადმჟავე, გოგირდმჟავე და ფოსფორმჟავე მარილები. აღნიშნულ შენაერთებთან ჩვენ გვაინტერესებს გოგირდმჟავას რაოდენობა შარდში.

გოგირდმჟავა ჩნდება ორგანიზმში ტანის და აგრეთვე საკვლის ცილოვან ნივთიერებათა დაჟანგვით და გამოიყოფა შარდთან ერთად ნაწილობრივ მარილების სახით (სულფატები), ნაწილობრივ-კი არომატიული რიგის ნივთიერებებთან შეერთებული, როგორც მაგალითად: ინდოლთან, სკატოლთან, პარაკრეზოლთან, ფენოლთან და სხვასთან. გოგირდმჟავას, რომელიც იმყოფება შარდში გოგირდმჟავე მარილების სახით, ეწოდება „მზა“ ან „პრეტორნიული გოგირდმჟავა“; იმ გოგირდმჟავას-კი, რომელიც ზემოაღნიშნულ არომატიული რიგის ნივთიერებებთან არის შეერთებული, ეწოდება „შებმული“ ან „ეთერგოგირდმჟავა“.

მრავალ მეცნიერთა Baumannის, Staedelerის, Brigerის, Salzkowsky და სხვათა შრომებით დამტკიცებულია, რომ არომატიული ნივთიერებები სკატოლი, ინდოლი, პარაკრეზოლი, ფენოლი, ფენოლპროპიონის და ფენოლქმრის მჟავები და აგრეთვე ოქსიმჟავები: პარაოქსიფენოლქმრის და პარაოქსიფენოლპროპიონის მჟავები წარმოიშობიან ნაწლავებში ცილის გახრწნის დროს, რომელიც ხდება მიკროორგანიზმების ზეგავლენით. ამ შენთხვევაში ინდოლი შესრუტვის შემდეგ იჟანგება და იძლევა ინდოქსილს: ეს უკანასკნელი უერთდება გოგირდმჟავას, რომელიც იმყოფება ორგანიზმში და წარმოშობს ინდოქსილ გოგირდმჟავას. ანალოგიური გზით სკატოლი იქცევა სკატოქსილად და სკატოქსილ

გოგირდმჟავად: ფენოლი ფენოლგოგირდმჟავად და სხვა. ნაწლავების გარეშე აღნიშნული არონმატიული შეერთებანი, როგორც ვიცით, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ პათოლოგიური პროცესის (მაგალითად, დაჩირქიანების) დროს.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თუ პრეფორმიული გოგირდმჟავა წარმოიშობა ორგანიზმში ცილოვან ნივთიერებათა დაჟანგვით, ხოლო ეთერგოგირდმჟავა ცილოვან ნივთიერებათა ლჰობის დროს ნაწლავებში, ჩვენ შეგვიძლიან ორი ფორმის გოგირდმჟავას გამოკვლევით გავიგოთ: 1) ცილოვან ნივთიერებათა გახრწნის ოდენობა ორგანიზმში და 2) ცილოვან ნივთიერებათა ლჰობის ოდენობა ნაწლავებში. მაგალითად, შარდში გოგირდმჟავას რაოდენობის მომატება ან შემცირება გვიჩვენებს ორგანიზმში ცილოვან ნივთიერებათა გახრწნის პროცესის გაძლიერებას ან შესუსტებას, თუ რასაკვირველია ამ დროს არ იქნება ნახშირი საკმლის სახით ისეთი ნივთიერება, რომელიც შეიცავს გოგირდს ან გოგირდმჟავე მარილებს. რაც შეეხება ეთერგოგირდმჟავას, იმის გამო, რომ ნაწლავებში ჩვეულებრივად მუდამ სწარმოებს საკმლის დუღილი და ხრწნა, მისი რამოდენიმე ნაწილი ყოველთვის არის შარდში. ამიტომ, იმისთვის რომ შესაძლებელი იყოს მსჯელობა ცილოვან ნივთიერებათა გახრწნის შესახებ ნაწლავებში, მრავალი ავტორი პრეფორმიულ გოგირდმჟავას (a) და ეთერგოგირდმჟავას (b) ერთბაშად უფარდებს (a:b) და ამ შეფარდების შედეგის შეცვლისდა მიხედვით სათანადო დასკვნა გამოაკეთებს გახრწნის პროცესის სიძლიერის შესახებ. ზოგიერთი ავტორი ასეთ შეფარდებას არ აქცევს ყურადღებას. ბერნადაკი, მაგალითად, თვლის, რომ ნაწლავებში ლჰობის პროცესის გამოსარკვევად საჭიროა ვიცოდეთ ეთერგოგირდმჟავას აბსოლუტური რაოდენობა. Schmitz-ის აზრით შეფარდება (a : b) ჩნება ძალაში იმ პირობით, თუ კი მთელი დაკვირვების დროის განმავლობაში არ იქნება შეცვლილი საკმელი, როგორც ხარისხით ისე რაოდენობის ცხრივ. Baumann-ის და Herter-ის ცნობებით შეფარდება (a : b) ჯანმთელი ადამიანისათვის იცვლება 2,7-დან 4,2-მდე. ასეთი ცვალებადობა აიხსნება იმით, რომ ხსენებული ავტორები არ აქცევენ ყურადღებას არც გამოსაკვლევი სუბიექტების საერთო მდგომარეობას და არც მათ დიეტას, მაშინ როდესაც სხვა ავტორების მიერ დამტკიცებულია, რომ ცხოვრების პირობები, სამკურნალო საშუალებები და საკმელი ძლიერ გავლენას ახდენენ ეთერგოგირდმჟავას გამოყოფაზე. მაგალითად, Van den Velden-მა და Rovighi-მ შენიშნეს, რომ ეთერგოგირდმჟავა დღისით უფრო მეტი გამოიყოფა, ვიდრე ღამით. შერი თავის დისერტაციაში გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობის ცვალებადობის შესახებ მუშაობის და მოსვენების დროს აღნიშნავს, რომ შეფარდება პრეფორმიულსა და ეთერგოგირდმჟავას შორის (a : b) მოსვენების დროს უდრის 1 : 8,2 და მუშაობისა დროს 1 : 9,2. ეთერგოგირდმჟავას საშუალო დღე და ღამის რაოდენობა მუშაობის დროს კლებულობს, გოგირდმჟავას რაოდენობა კი, პირიქით, მატულობს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუშაობის დროს დაჟანგვის პროცესები ორგანიზმში უფრო ენერგიულად სწარმოებს, რის გამო ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა კლებულობს. ზოგიერთი სამკურნალო საშუალება აგრეთვე ახდენს გავლენას ორივე სახის გოგირდმჟავას შენადგენლობაზე შარდში. მაგალითად, Baumann-მა აღნიშნა, რომ მშვიდ

ძალეებს ნაწლავების დეზინფექციის შემდეგ კალომელის საშუალებით სრულიად არ აღმოაჩნდა შარდში ეთერგოგირდმჟავა. Rovighis შრომებით დაპტკიცებულია, რომ 4,0 OI. Terebinthinae და 3,0 კაფურის მიღების შემდეგ სამი დღის განმავლობაში მოხდა ეთერგოგირდმჟავას შემცირება ნორმალურ რაოდენობასთან შედარებით $\frac{1}{3}$ ნაწილით. Antipyrin, Phenacetin, Antifebrin და Phenocoll. hydrochlor. იწვევენ ეთერგოგირდმჟავას რაოდენობის თვალსაჩინო მონატებას, 2-3 დღის შემდეგ-კი ხელახლა ემჩნევა მისი რაოდენობის შემცირება. არ ახდენენ გავლენას იოდკალიუმი, იპეკაკუანა, სათითურა, ზამბახი, ანთიონი, მორფინი, აღონის და კოდეინი. საფალარათო საშუალების გავლენის შესახებ შარდის გოგირდმჟავებზე Moraxმა მოახდინა Baumannის მსგავსად ცდები კალომელის საშუალებით; მხოლოდ ის აწარმოებდა ცდას არა მწიერ ძალეებზე, როგორც Baumannი, არამედ ჩვეულებრივი კვების პირობებში. აღმოჩნდა, რომ კალომელით გამოწვეული ფალარათის შემდეგ ეთერგოგირდმჟავას აბსოლუტური რაოდენობა თვალსაჩინოდ კლებულობს 0,015-დან 0,0031-მდე და შეფარდება (a b) 13,8-დან 39,5-მდე აღის. კალომელის ასეთი მოქმედება გაგრძელდა მხოლოდ ერთ დღეს. მეორე დღეს, მიუხედავად ფალარათისა, რომელიც კიდევ გრძელდებოდა, ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა ისევ გაიზარდა, მაშინაც-კი როდესაც კალომელის მიკემა იყო განმეორებული. ასეთი ზრდა აეტორის აზრით აიხსნება კალომელის ანტისეპტიური თვისებებით და არა ნაწლავების გაკალიერებით.

ამ უამად არსებობს მრავალი გამოკვლევა ეთერგოგირდმჟავას წარმოშობის შესახებ სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს, მაგრამ რადენაც ჩვენს ამოცანას შეადგენს გამოკვლევა საკითხისა, თუ რა გავლენას ახდენს სინინდის ფეკილის ღომი პრეფორმიულსა და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობაზე, ჩვენ არ შეეხებებით ხსენებული მკვლევების ცვალებადობას შარდში პათოლოგიური პროცესების დროს და მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ ლიტერატურულ ცნობებს გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობის ცვალებადობის შესახებ შარდში სხვადასხვა გვარი საქმლის ზეგაყენით. Hoppe Seylerმა ნახა, რომ შეფარდება (a : b) ჯანმთელი კაცის ორგანიზმში ხორცის ბლომად მიღების შემდეგ = 12,4-დან 11,5-მდე. ბერნაცკის დაკვირვებით ერთნაირი საქმლის დროს, როგორც რაოდენობით ისე ხარისხით, შეფარდება (a b) იყო მუდმივი და თითქმის არ განიცდობდა ინდივიდუალურ ცვალებადობას. საქმლის სხვადასხვა შემადგენლობისა და რაოდენობის დროს ცვალებადობა იყო ფრიად თვალსაჩინო 1 : 5,5-დან 1 : 38-მდე. Hirschlerმა და აგრეთვე Müllerმა ნახეს, რომ ცილის ლობა და ლობის პროდუქტის წარმოშობა საგრძნობლად კლებულობს შაქრის, სახამებლისა და დექსტრინის გავლენით. ნაზაროვმა ნახა, რომ ხაქო ამცირებს ეთერგოგირდმჟავას რაოდენობას შარდში, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე რძე. Rennertთ თავის მუშაობაში „გაზიანი და უბრალო რძის შედარებითი გავლენა ჯანმთელი კაცის ნაწლავების დულილზე“ მიღის იმ დასკვნამდე, რომ 1) გაზიანი რძე, ხმარებული სხვა საქმელთან ერთად, როგორც 2) ტუკობა. უფრო მეტად ასუსტებს ლობას ნაწლავებში, ვიდრე უბრალო რძე; 2) გაზიანი რძე უფრო მალე და უფრო მეტად ამცირებს ცილის დულილს ნაწლავებში, ვიდრე

უბრალო რქე; 3) გაზიანი რძის ხმარების შეწყვეტის შემდეგ ნაწლავებში ლპობის რაოდენობა უფრო მალე აღწევს წინანდელ დონეს, ვიდრე უბრალო რძის ხმარების შემდეგ. მან ნახა, რომ

$$\text{შერეული დიეტის დროს } A+B=3,6849; B=0,2619; \frac{A+B}{B}=14,1$$

ჩვეულებრივი კვების დროს: $A+B=2,8149-2,9635; B=0,2354-0,2744;$

$$\frac{A+B}{B}=10,8-11,9.$$

რძის დიეტის დროს: $A+B=2,7475-2,8046; B=0,1348-0,1483;$

$$\frac{A+B}{B}=18,9-20,4.$$

გაზიანი რძის დიეტის დროს: $A+B=2,6331-3,2846; B=0,1103-0,1271;$

$$\frac{A+B}{B}=20,7-29,8.$$

ვინაიდან სიმინდის ფქვილის ლომის ხმარება საქართველოში ძლიერ არის გავრცელებული, ჩვენის აზრით საინტერესო იქნებოდა გამოგვეკვია, თუ როგორ ცვლის ხსენებული ლომი გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობას პურთან შედარებით, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ასეთი ცნობები არ შეგვხვედრია.

ამ საკითხის დამუშავებას მე ვაწარმოებდი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცევტიული ქიმიის ლაბორატორიაში. საკიროდ მიგვაჩინა მოკლეთ აღენიშნოთ, თუ როგორ იყო დაყენებული ცდები და როგორ ვაწარმოებდით გამოკვლევას.

ცდებს ვაწარმოებდი ჩემ თავზე 22 დღის განმავლობაში 5 პერიოდად.

I პერიოდს ეკუთვნის დაკვირვება წითელი პურის დროს, რისი შედეგიც დაედვა საფუძვლად შემდეგ დაკვირვებას. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ ვცდილობდით გამოგვეკვია შეფარდება გოგირდმჟავასა და ეთერგოგირდმჟავას შორის.

II პერიოდის განმავლობაში პური ჩვენ შეეცვალეთ სიმინდის ფქვილის ლონით.

III პერიოდის განმავლობაში სიმინდის ლომი ჩვენ შეეცვალეთ იმავე ხარისხის პურით, როგორსაც ვხმარობდით პირველ პერიოდში. თვითუფლები პერიოდი გრძელდებოდა ხუთ დღეს.

IV პერიოდში ჩვენ პური ისევ შეეცვალეთ სიმინდის ფქვილის ლომით.

V პერიოდში სიმინდის ლომი ჩვენ ისევ შეეცვალეთ, მხოლოდ თეთრი პურით.

მეოთხე პერიოდი გრძელდებოდა 3 დღეს, მეხუთე-კი 4 დღეს. მთელი 22 დღის განმავლობაში მე ვღებულობდი ერთისა და იმავე ხსიათისა და რაოდენობის საქმელს (2 ჭიქა რძეს, 4 კვერცხს, $\frac{1}{2}$ გირვ. ყველს და 4 ჭიქა ჩაის), იმიტომ რომ საქმლის გაღვინის გამო შეიძლებოდა შეცვლილიყო გოგირდმჟავა-

ვას და ეთერგოგირდმეივას რაოდენობა, რაც რასაკვირველია მოგვეცინდა უალბ შედეგებს და ამით შეგვიყვანდა შეცდომაში. პურისა და ღომის რაოდენობა არ იყო განსაზღვრული და ვლებულობდი იმდენს, რამდენიც საჭირო იყო, რომ ევროფილიყავი მაძლარი.

ცდებისთვის საჭირო სიმინდი, რომლისაგანაც კეთდებოდა ღომი, მე მივიღე ტფილისის ბოტანიკური ბაღის სელექციური კაბინეტიდან იმერეთის ყვითელი ჰიბრიდი კბილის მსგავსი *Z. M. indentata Sturt* + *Z. M. indurata Sturt*. მოსავალი 1922 წ.

შარდს ვაგროვებდი დღე-ღამის განმავლობაში, დილის 9 საათიდან მეორე დილის 9 საათამდე. მის რაოდენობას ვზომავდი ცილინდრის საშუალებით, რის შემდეგ ვარკვევდი შარდის ხვედრით წონას. ვინიშნავდი შარდის ფერს და რეაქციას. შაქარზე და ცილაზე სინჯვას ვაწარმოებდი დაკვირვების თვლი ხნის განმავლობაში. ცდას შაქარზე ვახდენდი ფელინგის ხსნარის და ნილანდერის რეაქტივის საშუალებით; ცილაზე-კი სულფოსალიცილის მქავის 20% იანი ხსნარით. ხვედრითი წონის გამორკვევას ვაწარმოებდით მორის და ვესტფალის სასწორის საშუალებით 15°C ტ°-ში.

ცდების პირველი პერიოდის განმავლობაში (იხ. ცხრილი № 1) დღე-ღამის შარდის რაოდენობა თანდათან მატულობდა, საშუალოდ-კი შარდის რაოდენობა გამოიხატა 901 კუბ. სანტიმეტრში. რაც შეეხება შარდის ხვედრით წონას, ის თანდათან კლებულობდა და 5 დღის საშუალო წონა მივიღეთ 1.0294. სიმინდის ფქვილის ღომზე გადასვლის შემდეგ შარდის ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ კლებულობს მე-11 პერიოდის განმავლობაში (იხ. ცხრილი № 2) და საგრძნობლად ნაკლებია იგი პირველი პერიოდის საშუალო წონასთან შედარებით. ეს გარემოება გამოწვეული უნდა იყოს მკვრივ ნივთიერებათა რაოდენობის შემცირებით შარდში და შარდის განხვევებით. პირველი აზრის გასამართლებლად აღვნიშნავთ, რომ შარდის რაოდენობა 11 პერიოდის ზოგიერთ დღეებში არ აღემატება პირველი პერიოდის განმავლობაში მიღებულ რაოდენობას, რომელ პერიოდშიაც შარდის ხვედრითი წონა გაცილებით მეტია.

ცდების მესამესა და მეოთხე პერიოდში ე. ი. სიმინდის ფქვილის ღონიდან პურზე და უკანასკნელადან ისევ ღომზე გადასვლის დროს¹⁾, ჩვენ მივიღეთ შარდის ხვედრითი წონის საშუალო ციფრები, რომლებიც ძლიერ ახლო დვას პირველისა და მეორე პერიოდის დაკვირვების საშუალო ციფრებთან, სახელდობრ: მესამე პერიოდში მოხდა შარდის ხვედრითი წონის დაახლოვება ნორმასთან (იხ. 1 პერიოდი); მეოთხე პერიოდში-კი შარდის ხვედრითი წონა დაუახლოვდა იმ ციფრებს, რომელიც ჩვენ მიერ მიღებულია მეორე პერიოდის განმავლობაში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ცდების V პერიოდის განმავლობაში, ე. ი. სიმინდის ფქვილის ღომიდან თეთარ პურზე გადასვლის დროს მიღებული ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა დანარჩენ პერიოდებში მიღებული ხვედრითი წონისაგან და საშუალო ადგილი უჭირავს, ე. ი. ხვედრითი წონა თეთრი პურის მიღებისას გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ფქვილის ღო-

1) ეს პერიოდები საჭირო იყო პირველი ორი პერიოდის შედეგების შესამოწმებლად.

მას მიღების პერიოდებში, და უფრო დაბალია შედარებით იმ ციფრებთან, რომელიც მიღებულია წითელი პურის მიღების პერიოდში. ეს გარემოება უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ თვით შარდის რაოდენობას თეთრი პურის მიღების პერიოდში, შედარებით ღომის და წითელი პურის მიღების პერიოდებთან, შუა ადგილი უჭირავს, ე. ი. იგი ნაკლებია ფქვილის ღომის მიღების პერიოდში შეკრებილ შარდის რაოდენობაზე და მეტია წითელი პურის მიღების დროის პერიოდებში ჩვენ მიერ შეკრებილ შარდის რაოდენობაზე.

გოგირდმჟავას ზოგადი რაოდენობა შარდში. როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, გოგირდმჟავა იმყოფება შარდში გოგირდმჟავა მარილების და ეთერგოგირდმჟავას სახით. გოგირდმჟავას გამოკვლევა გოგირდმჟავა მარილებიდან. შარდში საზოგადოდ სწორაობებს ქლორბარბიტის ხსნარის მიმატებით, რომელიც დალეკავს მზა გოგირდმჟავას გოგირდმჟავე ბარიუმის სახით. იმ გოგირდმჟავას განოსაკვლევად, რომელიც იმყოფება შარდში ეთერგოგირდმჟავას სახით, საჭიროა ამ უკანასკნელის დაშლა მის კომპონენტებზე. ე. ი. გოგირდმჟავაზე და სათანადო რადიკალზე. ამ მიზნითვის შარდს უმატებენ ქლორწყალბადმჟავას და ადულებენ, ამის გამო ეთერგოგირდმჟავა იშლება და ჩვენ ვღებულობთ თავისუფალ გოგირდმჟავას, რომლის გამოკვლევა სწარმოებს ანალიტიური ქიმიის საერთო წესით. ამ ორივე ფორმის გოგირდმჟავას რაოდენობის განსაზღვრით ჩვენ ვღებულობთ შარდში გოგირდმჟავას საერთო რაოდენობას. გოგირდმჟავას ზოგადი რაოდენობის გამოსაკვლევი შარდის დღე-ღამის რაოდენობიდან, რომლის 1" იყო მიყვანილი 15"C., ჩვენ ვღებულობდით ჰიპეტის საშუალებით ას-ას კლბიკურ სანტიმეტრს, ვათავსებდით ქიმიურ ქიქაში, ვაზავებდით წყლით, დაახლოებით მისი ნახევარი რაოდენობით, ვუმატებდით ქიმიურად წმინდა ქლორწყალბადმჟავას ხვ. წ. 1, 12 ათ ათ კუბ. სანტ., რის შემდეგ ქიმიურ ქიქას საათის მინით ვხუთავდით, ვაცხელებდით დღეებამდე და ნელ დღუილს განვავარძობდით 10 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ მიღებულ ზანგელა ფერის სითხეს ვუმატებდით ჰიპეტის საშუალებით წვეთ-წვეთობით ქლორბარბიტის ცხელ ხსნარს, სანამ გოგირდმჟავა სრულიად არ დაილექებოდა, ე. ი. მანამდის, სანამ ქლორბარბიტის ხსნარის უკანასკნელი წვეთი უკვე აღარ იწვევდა შარდის სიმღვრივეს. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ვუმატებდით ქლორბარბიტის ხსნარის 2 კუბ. სანტ., ვურევდით მინის ჩხირით და ვდგამდით წყლის აბაზანაქზედ ნალექის დასაწოდმად. ნალექისაგან განთავისუფლებულ გამჟვარიულ სითხეს ვწურავდით Schleicher-Schüllის უნაცრო ფილტრში, რომელსაც წინასწარ ვასველებდით წმინდა ეთილის ალკოჰოლის საშუალებით. ქიქაში დაჩენილ გოგირდმჟავე ბარიუმის ნალექს ვასხამდით ცხელ წყალს, ვურევდით ჩინის ჩხირით, რომელსაც წამოცობილი ჰქონდა თავზე გუტაპერჩის მილი, ვაცლიდით დალეკავს და ხელახლა ვასხამდით იმავე ფილტრში. ამნაირად ცხელი წყლით ვამუშავებდით ნალექს და ვაწარმოებდით დეკანტაციას 3—4 ჯერ.

ამის შემდეგ ნალექი გადავკქონდა ფილტრში და ვრეცხდით მას ცხელი გამოხდილი წყლით, სანამ სრულიად არ იქნებოდა განთავისუფლებული ქლორიანი შენაერთებისგან. გარეცხას ჩვენ ვთვლიდით დამთავრებულად მაშინ, როდესაც ფილტრბატი. შენაერთებული 1-2 წვეთი აზოტმეავით, არ განიცდიდა არავი-

თარ ცვლილებას აზოტმეავე ვერცხლის ხსნარის მიმატებისას. ფილტრში შევროვილ ნალექს ვახურავდით საწურ ქალაღს, ვაშრობდით საშრობ ყუთში, რის შემდეგ მშრალ ნალექს, რამდენაღაც შესაძლებელი იყო, გაღმოვერდით საათის ჰინაზე, რომელსაც დაფენილი ჰქონდა ქვეშ ბრწყინვალე შავი ქალაღი. ფილტრს-კი, რომელშიდაც რჩებოდა ნალექის რამოდენიმე ნაწილი, ეკეცდით რანოდენინეჯერ, ვახვედით გარშემო პლატინის მავთულს და ეწვეავდით ბრძმეღზე. უკანასკნელი წინასწარ გარეცხის შემდეგ იქმნა ვახურებული, მერე ვაციებული ექსიკატორში, და აწონიღი. შემდეგ ბრძმედს ნალექით ვახურებდით (ღრო გამოშვებით ვაცილებდით ცეცხლს, რათა ხელი შეგვეწყო წვისთვის ე. ი. ჟანგბადის შეერთებისთვის). ვინაიღან წვის ღროს შესაძლებელია საწური ქალაღის ნახშობადს ემოქმედა გოგირღმეავე ბარიუმზე, აღედგინა ია და მიგველო გოგირღბარიუმში შემღღევი რეაქტიოთ: $BaSO_4 + 4G = BaS + 4CO$, ამიტომ უკანასკნელის ხელახლავ გოგირღმეავე ბარიუმის სახით დასაქანგავად ექსიკატ. ვაციებულ ნალექს ვუმატებდით აზოტმეავეს 1—2 წვეთს. სრულიად ვაშრობდით მას წყლის აბაზანაქზე და შემღღედ ხელახლა ვახურებდით ჯერ ნელსა და შემდეგ ჰლიერ ცეცხლზე. სანამ ნალექი არ მიღებდა სრულიად თეთრ ფე-ს. ამ ნალექს ექსიკატორში ვაციების შემდეგ ჩვენ ვუმატებდით მთავარ ნალექს, რომელიც გვექონდა მოთავსებული საათის მინაზე, ხელახლა ვახურებდით, ვაციებდით ექსიკატორში და ეწონიღით. ვახურებას, ექსიკატორში ვაციებას და აწონას ჩვენ ვაწარშოვებდით ჰანამ, სანამ უკანასკნელი ორი წონა ერთი და იგივე არ იქნებოდა. $BaSO_4$ და ბრძმედის საერთო წონიღან. ბრძმედის და უნაკრო ფილტრის წონის გამოკლების შემღღედ ჩვენ ვლებულბოდით $BaSO_4$ წმინდა წონას, რომელიც შეიცავდა ზოვადი გოგირღმეავეს მთელ რაოდენობას აღებული შარღის 100 კ. სანტ.

მიღებულ გოგირღმეავე ბარიუმის რაოდენობიღან ($BaSO_4$) ვანგარიშობდით გოგირღმეავეს რაოდენობას შემდეგნაირად: თუ, მავალითად, ავიღებთ ცღებს, პირველი პერიოდის პირველ ღღეს შარღის 100 კუბ. სანტ. აღმოჩნდა გოგირღმეავეს რაოდენობა $BaSO_4$ სახით 0,8771, ღღე-ღამის რაოდენობაში მაშასადამე იქნებოდა $0,8771 \times 7,45 = 6,5347$. უკანასკნელი რაოდენობის გოგირღმეავეზუ ვადასარიცხავად ვხელმღღვენეღობდით შემღღევი ფორმულით: $H_2SO_4 + BaCl_2 = BaSO_4 + 2HCl$ ამ ფორშულიღან ვიცით, რომ 1 მოღეკულა H_2SO_4 ქლორბარიუმის დაღექვის შემღღედ ვეაძღღევს 1 მოღეკულა $BaSO_4$ ს

1 მოღეკულა $H_2SO_4 = 98,076$ გრამს.

1 „ „ $BaSO_4 = 233,46$ გრამს.

მაშასადამე, 233,46 გრამი $BaSO_4$ უღრის 98,076 გრამს H_2SO_4 ს

1 გრამი $BaSO_4$ უღრის $\frac{98,076}{233,46} = 0,42009$ H_2SO_4 ს.

შარღის ღღე-ღამის რაოდენობაში იქნება $6,5347 \times 0,42009 = 2,7452$

ეთერგოგირღმეავეს რაოდენობა. ეთერგოგირღმეავეს ვამოკვლევეს ჩვენ ვაწარშოვებდით Salcowsky წესით. ვამოკვლევის პრინციპი დაწყარებულია იბაზე, რომ ჯერ დაღექავენ მზა გოგირღმეავეს გოგირღმეავე ბარიუმის სახით ქლორბარიუმის ხსნარის მიმატებით, შემდეგ ნალექს ვაწურავენ და მიღებულ ფილტრატს აღღლებენ ქლორწყალბადმეავესთან ეთერგოგირღმეავეს დასაშღე-

ლად. ამ პირობებში გამოყოფილი გოგირდმჟავას რაოდენობას გამოიკვლევენ გოგირდმჟავე ბარიუმის სახით.

ეთერგოგირდმჟავას გამოსაკვლევად ჩვენ ვღებულობდით ჰიპეტის საშუალებით გაფილტრავებული შარდის ას-ას კუბ. სანტიმეტრს: შარდის I^o იყო. ნიყვანილი 15°C. მას ვათავსებდით მშრალ ქიმიურ ქიქაში და ვუმატებდით ბარიუმის ნარევის (რომელიც შედგებოდა ბარიუმის ჰიდრატის ცივად მამქლარი ხსნარის ორი მოცულობისაგან და ქლორბარიუმის ასეთივე ხსნარის ერთი მოცულობისაგან) თანასწორ რაოდენობას. ამ დროს ჩვენ ვღებულობდით მოცულოვან ნალექს, რომელიც შეიცავდა პრეფორმიული გოგირდმჟავას მთელ რაოდენობას. შერევის შემდეგ ნალექისაგან განთავისუფლებულ გამჭირვალე სითხეს ვატარებდით მშრალ ფილტრში და ფილტრატს ვაგროვებდით მშრალ ქიმიურ ქიქაში. გაფილტრავებული სითხიდან, რომლის I^o მიყვანილი იყო 15°C, ჩვენ ვღებულობდით 160 კ. სანტ., ვასხამდით ქიმიურ მშრალ ქიქაში და ვუმატებდით 8 კ. ს. ქიმ. წმინდა HCl ხევდ. წ. 1.12. და ვაღულებდით ნელა 10 წუთის განმავლობაში, რომ გამოგვეწვია ეთერგოგირდმჟავას დაშლა და მისგან გოგირდმჟავას გამოყოფა. ეს უკანასკნელი უნდა გამოეყოს გოგირდმჟავე ბარიუმის სახით (BaSO₄) იმ ქლორბარიუმის ქარბ რაოდენობასთან, რომელიც იმყოფება სითხეში. გამოყოფილ ნალექს შენდეგ ვამუშავებდით იმ გვარადვე, როგორც ზოგადი გოგირდმჟავას რაოდენობის გამოკვლევისას. მიღებულ გოგირდმჟავე ბარიუმის რაოდენობას ჩვენ ჯერ ვამრავლებდით 1,25-ზე, რომ გავვეგო მისი რაოდენობა შარდის 100 კ. ს. შენდეგ კი ვამრავლებდით შარდის დღე-ღამის რაოდენობაზე. რომ გამოგვენგარიშებია გოგირდმჟავე ბარიუმის რაოდენობა დღე-ღამის შარდში. მიღებული გოგირდმჟავე ბარიუმის რაოდენობას ჩვენ ვამრავლებდით 0,42009 ზე (იხ. გვერდი 7) და აღნიშნავდით ვლგებულობდით გოგირდმჟავას რაოდენობას, რომელიც დღე-ღამის შარდში ეთერგოგირდმჟავას სახით იმყოფებოდა.

პრეფორმიული გოგირდმჟავას რაოდენობის გამოკვლევა. როგორც ცნობილია, გოგირდმჟავას საერთო რაოდენობა შარდში შედგება პრეფორმიულისა და გოგირდმჟავისაგან. პრეფორმიული გოგირდმჟავის გამოკვლევა არ წარმოადგენს სიძნელეს: ამისთვის საჭიროა ზოგადი გოგირდმჟავას რაოდენობას გამოვაკლოთ ის გოგირდმჟავა, რომელიც ეთერგოგირდმჟავას სახით იმყოფება. პრეფორმიული გოგირდმჟავას რაოდენობა შარდის დღე-ღამის რაოდენობაში აღნიშნულია ჩვენ ტაბულაში a ასოთი, ხოლო b ასოთი აღნიშნულია ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა დღე-ღამის შარდში; a + b-თი ნაჩვენებია გოგირდმჟავას ზოგადი რაოდენობა დღე-ღამის შარდში. a : b არის შეფარდება პრეფორმიული გოგირდმჟავისა ეთერგოგირდმჟავასთან. ჩვენი გამოკვლევის თვითიული პერიოდის ბოლოში ჩვენ მიერ გამოყვანილია ყველა გამოკვლევის საშუალო რიცხვები. a და b სთვის საშუალო რიცხვები გამოგვყავდა თვითიულ პერიოდში მიღებული რიცხვების შეერთებით და იმავე პერიოდის დღეების რიცხვზე გაყოფით. a ს საშუალო რიცხვის გაყოფით b ს საშუალო რიცხვზე ჩვენ მივიღეთ საშუალო რიცხვი a : b, რომელიც უდრის 1 16,3211. ეს რიცხვი ჩვენ მიერ მიღებულია ნორმად, ვინაიდან ის გვიჩვენებს საშუალო შეფარდებას პრეფორმიულსა და ეთერგოგირდმჟავას შორის წითელი ჰურის მიღების დავირიგების ხანაში. ამ რიცხვით ჩვენ ესა-

რგებლობდით ეთერგოგირდმჟავას რაოდენობის გამოსაკვლევად. ამისათვის ზღ-
დევ პერიოდებში ყოველ დღე მიღებულ პრეფორმული გოგირდმჟავას a რაოდენ-
ობას ეყოფდით a ხ'ს საშუალო რიცხვებზე ე. ი. 16,3211 და ამნიარად
ვლებულობდით ეთერგოგირდმჟავას რაოდენობას, რომელიც იმავე დღეებში უნ-
და გამოყოფილიყო. უქანასკნელი აღნიშნულია ცხრილში $a: c'$ -ით. თუ ამ უქანა-
სკნელ რიცხვებს სიმინდის ფქვილის ლომის მიღების პერიოდის დროს გამოვაკ-
ლებთ იმავე პერიოდის ხ'ს რიცხვიდან (უქანასკნელი კი ჩვენ მიერ ფაქტიურად
მიღებული იყო), გაეიგებთ ეთერგოგირდმჟავას სახით მყოფ გოგირდმჟავას, რაც
აღნიშნულია ცხრილში \pm ნიშნით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს გამოკლება
არ იქნებოდა შესაძლებელი, ეს გარემოება მაჩვენებელი იქნებოდა ეთერგოგირდ-
მჟავას სახით მყოფ გოგირდმჟავას რაოდენობის დაკლებისა. ასეთი შემთხვევები
ცხრილში აღნიშნულია — ნიშნით.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ჩვენ მიზანს შეადგენდა გამოვეყრკვია, იც-
ვლება თუ არა გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა შარდში სი-
მინდის ფქვილის ლომის ზეგავლენით, და თუ იცვლება, როგორ? ამ მიზნით ცდუ-
ბის ყველა პერიოდების განმავლობაში ვლებულობდით ერთსა და იმავე საშემლს
ისე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ცვალებადობა გოგირდმჟავასა და
ეთერგოგირდმჟავას რაოდენობისა არ მომხდარიყო. ხოლო პირველ პერიოდში
მიღებულ წითელი პურის მაგიერ მეორე პერიოდში ვლებულობდით სიმინდის
ფქვილის ლომს, მერვე ისევ წითელ პურს, შემდეგ ისევ ფქვილის ლომს და ბო-
ლოს თეთრ პურს. ამნიარად I პერიოდში მიღებულ საშუალო ციფრებს, რომლე-
ბსაც ჩვენ ნორმას უწოდებთ, ვადარებდით შემდეგ პერიოდში მიღებულ ციფრებს.
მეორე პერიოდის, ე. ი. სიმინდის ფქვილის ლომის პერიოდის შედეგის განხილ-
ვა ჩვენ გვიჩვენებს, რომ შარდის რაოდენობა ნორმასთან შედარებით (იხ. პერი-
ოდი I) თვალსაჩინოდ მატულობს; ხვედრითი წონა თანდათან ეცემა; გოგირდმჟა-
ვას ზოგადი რაოდენობა მცირდება და საშუალოდ იგი ნორმაზე ნაკლებია. ნმა-
ლოდ 13, VIII ემჩნევა დიდი ცვლილება როგორც გოგირდმჟავას, აგრეთვე სხვა ცი-
ფრებსაც. ასეთი ცვალებადობა ემჩნევა პირველ პერიოდშიაც. მაგალითად 6, VIII
და აგრეთვე სხვა პერიოდებშიაც, სახელობრ 18, VIII და 25, VIII. ასეთი ცვლი-
ლება აიხსნება მით, რომ ამ დღეებში მიხდებოდა ქალაქ გარეთ ქვეითად სია-
რული, ტაბულაში ეს დღეები აღნიშნულია სიტყვით „სიარული“. იმავე ე. ი. ნე-
ორე პერიოდში ემჩნევა როგორც პრეფორმული გოგირდმჟავას „ a “, აგრეთვე
ეთერგოგირდმჟავას b რაოდენობის შემცირება. 13, VIII ე. ი. „სიარულის“ დღეს.
როგორც აღნიშნული იყო, ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა იცვლება. მე II პერი-
ოდის განმავლობაში ეთერგოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა ნორმაზე ნაკლე-
ბია. $a:b$ შეფარდება მატულობს ცდების პირველ პერიოდთან შედარებით, გარ-
და სიარულის დღეებისა. თუ გოგირდმჟავას და ეთერგოგირდმჟავას გამოყოფა
მეორე პერიოდშიაც იმავე შეფარდებით მოხდებოდა, როგორც პირველი პერიო-
დის დროს, მაშინ, (იხ. სვეტი a/c) „ a “-ს საშუალო რიცხვის გაყოფით „ a/b “-ს
საშუალო რიცხვზე (ე. ი. 16,3211) უნდა მიგვეღო 0,1719, რომელიც იქნებოდა
ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა; ნამდვილად-კი დაკვირვების მეორე პერიოდის
განმავლობაში ჩვენ მივიღეთ საშუალოდ 0,1468 (იხ. II პერიოდი სვეტი „ b “)

ე. ი. 0,0251 გრამით ნაკლები, რაც აღნიშნულია მომატება-დაკლების სვეტში —ნიშნით. დაკვირვების მე-III პერიოდში, სიმინდის ფქვილის ლომიდან პურზე გადასვლის დროს, ჩვენ ვაძინევთ, რომ თუმცა ხვედრითი წონის გოგირდ- და ეთერგოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა თვალსაჩინოდ მატულობს, მაგრამ 5 ღლის განმავლობაში ნორმალურ რაოდენობამდე მინც ვერ აღწევს. მაგალითად, ფქვილის ლომის ნიღბას პერიოდში ზოგადი გოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა დღე-ღამის შარღში უდრის 2,9527 (იხ. ცხრ. 2), მესამე პერიოდში-კი აღწევს 3,1871 (იხ. ცხრ. 3), ნორმა 3,2148-ს უდრის (იხ. ცხრ. 1). პრეფორმიული გოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა დღე-ღამის შარღში სიმინდის ფქვილის მიღების დროს უდრის 2,8058 გრამს (იხ. II (ქირილი), მესამე პერიოდში აღწევს 3,0060 გრამს (იხ. III (ცხრილი), ნორმა-კი 3,0292 გრამს უდრის. ეთერგოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა დღე-ღამის შარღში ფქვილის ლომის მიღების დროს 0,1468 გრამს უდრის (იხ. პერ. II). III პერიოდში რკი აღწევს 0,1811 გრამს, მაშინ როდესაც ნორმა უდრის 0,1856 გრამს. ეთერგოგირდმჟავას შემცირება მესამე პერიოდის განმავლობაში გამოიხატა საშუალოდ 0.0031' თი, რაც აღნიშნულია ცხრილში —ნიშნით. რაც შეეხება a:b შეფარდებას, ის მეორე პერიოდში თვალსაჩინოდ გაიზარდა, ხოლო მესამე პერიოდში იცვლება და უახლოვდება ნორმას. ამ პერიოდში ე. ი. 18 აგვისტოს, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ემჩნევა გოგირდ- და ეთერგოგირდმჟავას რაოდენობის მომატება, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია სიარულით.

დაკვირვების IV პერიოდში მეორდება იგივე სურათი, როგორც იყო მეორე პერიოდის დროს, ე. ი. შარღის ხვედრითი წონა და ზოგადი და პრეფორმიული გოგირდმჟავას რაოდენობა კლებულობს და უახლოვდება მეორე პერიოდის ციფრებს: იმავე მეთოდზე პერიოდში შეფარდება მატულობს და თითქოს უდრის მეორე პერიოდის რაოდენობას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მესამე და მეოთხე პერიოდის ცდების პირველ დღეს (ეთერგოგირდმჟავას „მომატება-მოკლების“ სვეტში) ჩვენ გვაქვს ეთერგოგირდმჟავას მომატება პირველ შემთხვევაში 0,0193 და მეორეში 0,0006 გრამით, რაც აღნიშნულია ორივე შემთხვევაში + ნიშნით. დანარჩენი დღეების განმავლობაში კი ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა მოკლებულია ისე, როგორც მეორე პერიოდში. ეთერგოგირდმჟავას ასეთი მომატება ამ დღეებში ჩვენის აზრით აიხსნება წინა დღეების სიარულის ზეგავლენით. თუ შევადარებთ ერთმანეთს I, II და მე V პერიოდების ციფრებს, შევაძინევთ, რომ ზოგადი გოგირდმჟავას და პრეფორმიული გოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა V პერიოდში, როდესაც სიმინდის ფქვილის ლომის მაკვირად თეთრ პურს ვღებულობდით, მეტია, ვიდრე საშუალო რაოდენობა პირველ და მეორე პერიოდებში. ეთერგოგირდმჟავას საშუალო რაოდენობა იმავე მეთოდზე პერიოდში ნაკლებია, ვიდრე პირველში და მეტია ვიდრე მეორე პერიოდში. a:b შეფარდება, მომატებულია I და II პერიოდებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ეთერგოგირდმჟავას შემცირებით. უკანასკნელი განიხილვა 0,0356 გრამით. საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოთ, რომ ცდების ყველა პერიოდის განმავლობაში ფელ ინ გ ის და Nijlanderის რეაქტივები არ იძლეო-

დენ შარდში შაქრის არსებობაზე დადებით რეაქციას; უარყოფითს რეაქციას იძლეოდა აგრეთვე სულფოსალიცილის მჟავა ცილას არსებობაზე შარდში.

ყოველივე ზემოხსენებულიდან ჩვენ შეგვიძლიან გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა.

1. სიმინდის ფქვილის ღომის ზეგავლენით თვალსაჩინოდ კლებულობს შარდში a) ხვედრითი წონა, b) ზოგადი გოგირდმჟავას რაოდენობა, c) ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა, d) პრეფორმიული გოგირდმჟავას რაოდენობა; ხოლო შეფარდება პრეფორმიულისა და ეთერგოგირდმჟავას შორის მატულობს სახელდობრ 1 : 19.1131 (იხ. II პერ.) — 1 : 19.5416 (იხ. IV პერ.), მაშინ როდესაც ნორმის დროს ასეთივე შეფარდება 1 : 16.3211 უდრის.

2. თეთრი პურის ზეგავლენით როგორც ზოგადი, აგრეთვე პრეფორმიული გოგირდმჟავას რაოდენობა უფრო მატულობს, ვიდრე წითელი პურის მიღების პერიოდში.

ეთერგოგირდმჟავას რაოდენობა კლებულობს შედარებით პირველ პერიოდთან და მეტია, ვიდრე სიმინდის ფქვილის მიღების დროს.

a : b თეთრი პურის მიღების დროს მეტია, ვიდრე წითელი პურისა და სიმინდის ფქვილის ღომის მიღების დროს 1 : 20, მაშინ როდესაც წითელი პურის მიღების დროს იგი უდრის 1 : 16.3211; ღომის დროს-კი 1:19.1131 — 1.19.5416.

დასასრულ მოვალეა ვსთვლი ჩემს თავს ვუძღვნა უღრმესი მადლობა დიდად პატივცემულ პროფესორ იოველ ქუთათელაძეს, რომელმაც მე სამუშაოს თემა მომცა და რომლის ხელმძღვანელობის ქვეშ ეს მუშაობა ვაწარმოვე და დავასრულე, აგრეთვე უღრმეს მადლობას უძღვნი გრ. რეხილაძეს და ტფილისის ბოტ. ბაღის სელექციონ. კაბინეტის გამგეს ბ. დეკაპრილევიჩს ჩემთვის საპირო სიმინდის მოწოდებისათვის.

ლიტერატურა.

- 1) Baumann. Ueber die Bildung von Phenol bei der Fäulnis von Eiweisskörper: *Ber. d. d. chem. Gesells. Bd. X. p. 685.* Zur Kenntnis der aromatischen Substanzen des Thierkörpers: *Zeitsch. f. phys. Chemie Bd. 1. s. 60.*
- 2) G. Staedeler. Ueber die flüchtigen Säuren des Harns: *Ann. Chemie Pharmacie, Bd. 77, (1851) p. 17.*
- 3) G. Hoppe-Seyler. Ueber die Ausscheidung der Aetherschweifelsäuren in Urin bei Krankheiten: *Zeitschr. f. physiol. Chemie 1888. XII. p. 1-32.*
- 4) C. Briger. Ueber die aromatischen Produkte der Fäulnis aus Eiweiss: *Zeitsch. f. physiol. Chemie. Bd. III. p. 143.*
- 5) Salkovsky Weit. Beiträge zur Kenntnis der Fäulnisproducte des Eiweiss. *Ber. d. d. chem. Gesell. Bd. XII. p. 648.*
- 6) G. Baumann u. E. Hertel. Ueber die Synthese der Aetherschweifelsäuren und das Verhalten einiger aromatischen Substanzen im Thierkörper: *Ztsch. f. phys. Chemie, B. I. p. 244-269.*

7) Hirschler. Ueber den Einfluss der Kohlenhydrate und einiger anderen Körper der Fettsäurenreihe auf die Eiweissfäulnis: *Zeitschr. f. physiol. Chemie*, Bd. 10. (1886) p. 313-317.

8) Проф. Словцов. Руководство для клинического исследования мочи. 1913 г. стр. 47.

9) P. v. d. Velden. Ueber die Ausscheidung d. gepaarten Schwefels im menschlichen Harn: *Arch. f. patholog. Anatomie* 70.

10) Проф. Кутателадзе. Материалы к фармакологии гваякола.

11) Rovighi A. Die Aetherschweifelsäuren im Harn u. die Darmdesinfektion: *Zeitschr. f. physiol. Chemie* 1892.

12) Д. Назаров. О сравнительном влиянии молока и творога на количество эфиросерных кислот в моче и бактерий в кале: *Врач* 1895. № 44.

13) С. Шер. Об отношении между всею серною кислотою мочи и связанною при покое и работе. Дисс. 1888.

14) Реннерт. О сравнительном влиянии газированного и простого молока на кишечные брожения здорового человека. Дисс. 1895 г.

15) Morax. Bestimmung der Darmfäulnis durch die Aetherschweifelsäuren im Harn: *Ztschr. f. klin. Med.* 1889. XI. 311.

16) Грибанов. К вопросу о содержании серной и эфиросерных кислот в моче при брюшном тифе. Дисс. 1896.

17) Андржеевский Я. О содержании серной и эфиросерных кислот в моче при бугорчатке легких. Диссертация 1900.

ტფილისის უნივერსიტეტის ფარმაცევტული
ქიმიის კათედრა.

L'INFLUENCE DE LA POLENTA SUR LA FORMATION DE L'ACIDE SULFURIQUE ET DE L'ÉTHÉR SULFURIQUE DANS L'URINE

par

N. MASKHULIA.

(Résumé)

En Géorgie on emploie beaucoup comme nourriture la polenta (une espèce de bouillie de Maïs) qu'on appelle Gomi, et je me suis proposé de déterminer l'influence de ce Gomi sur la quantité de l'acide sulfurique et de l'éther sulfurique qui se forment dans l'urine.

Pendant tous le temps qu'a duré l'expérience je prenais la même nourriture et en même quantité (notamment 2 verres de lait, 4 oeufs, $\frac{1}{2}$ livre de fromage, 4 verres de thé).

Les observations ont été faites sur moi-même pendant 22 jours et divisées en 5 périodes:

La première période a duré cinq jours, pendant lesquels j'ajourais à la nourriture citée plus haut du pain bis. Les résultats obtenus pendant cette période servent de base pour une comparaison avec ceux d'après.

La 2-ème période qui a duré aussi 5 jours, est la suite de la première, mais le pain bis est remplacé par le Gomi. Les observations faites pendant les 3-ème et 4-ème périodes servent pour contrôler les résultats des 1-ère et 2-ème périodes, seulement la durée du temps a été différenciée (la III—5 jours et la 4 ème 3 jours). Dans la cinquième période le Gomi a été remplacé par le pain blanc. J'ai ramassé l'urine de 24 h. (de 9 h. du matin à 9 h. du lendemain). Ensuite j'en ai déterminé la quantité, le poids spécifique, la couleur et la réaction. J'ai exécuté chaque jour pendant la durée de l'expérience les réactions du sucre et de l'albumine. La quantité de l'acide sulfurique a été déterminée d'après la méthode générale de la chimie analytique. La quantité de H_2SO_4 est indiquée dans le tableau par $a+b$. La quantité de l'éther sulfurique a été déterminée d'après la méthode de Salcovsky, et indiquée par la lettre „b”.

La quantité totale de l'acide sulfurique se compose de l'acide sulfurique préformé et de l'éther sulfurique. Pour la détermination de l'acide sulfurique préformé j'ai déduit la quantité de l'éther sulfurique, de la quantité totale de l'acide sulfurique ($a+b$)— $b=a$.

L'acide sulfurique préformé est indiqué par la lettre „a”. $\frac{a}{b}$ représente la corrélation entre l'acide sulfurique préformé et l'éther sulfurique. A la fin de chaque période je donne le chiffre moyen de mes expériences; j'obtiens le chiffre moyen pour a et b en additionnant les chiffres obtenus à chaque période et en les divisant par le nombre des jours de chaque période.

En divisant le nombre moyen de la lettre a par le nombre moyen de la lettre b, j'ai obtenu le nombre moyen qui égale 1 : 16,3211. Ce chiffre est adopté comme base puisqu'il montre la corrélation moyenne entre l'acide sulfurique préformé et l'éther sulfurique pendant la période que je mangeais du pain. J'ai pris ce chiffre pour la détermination de la quantité de l'éther sulfurique. Dans ce but dans les périodes suivantes je divisais la quantité d'acide sulfurique préformé obtenue chaque jour „a” par le nombre moyen

$\frac{a}{b}$, c'est à dire par 16,3211, et de cette manière j'ai obtenu la quantité de l'éther sulfurique qui devait se produire dans l'urine. Cette quantité est indiquée dans le tableau par $\frac{a}{c}$. Si de ce dernier nombre obtenu pendant que j'ai mangé du Gomi je fais la déduction du nombre b de la même période j'obtiens l'augmentation de l'acide sulfurique qui se trouvait sous forme d'éther sulfurique, ce qui est indiqué dans le tableau par $+-$

Je suis arrivé par mes observations aux conclusions suivantes:

Sous l'influence du Gomi la quantité de l'acide sulfurique, de l'éther sulfurique et de l'acide sulfurique préformé a diminué. La corrélation entre l'acide sulfurique préformé et l'éther sulfurique $\left(\frac{a}{b}\right)$ augmente 1:19,1131 (Voir le tableau de la 4-ème période) tandis que le chiffre pris comme base est égal à 1 16,3211. (V. le tableau de la 1-ème période).

Dans la période pendant laquelle je mangeais du pain blanc la quantité totale de l'acide sulfurique ainsi que celle de l'acide sulfurique préformé augmente comparativement à la période pendant laquelle je mangeais du pain bis. Par contre la quantité de l'éther sulfurique diminue, mais elle est plus grande que dans la période que je mangeais le Gomi. La corrélation $\frac{a}{b}$ dans la période du pain blanc est plus grande que dans la période du pain bis et de la période du Gomi et égale 1 : 20,0842, tandis que dans la période du pain bis elle est 1 16,321 et dans la période du Gomi — 1:19,1131 — 19,5416.

Pour ce qui concerne la quantité de l'urine, elle est augmentée pendant la période du Gomi, ce qui s'explique par le fait que le Gomi contient plus d'eau que de pain; par là s'explique également la diminution du poids spécifique de l'urine.

ვარლამ უმნაძე

სოფელ ნადარბაზევის ტბის წყლის ჰიგიური შეღებ- ნილობა.

ქალ. გორიდან 13 ვერსის მანძილზე სოფ. ნადარბაზევის ნახლობლად გორაკებს შუა მდებარეობს ტბა, რომელსაც არც რაიმე მდინარე ერთვის და არც გასაული აქვს. ეს ტბა საზრდოობს ატმოსფერული წყლებით, რომლებიც ჩამომდინარეობენ გარშემო მალლობებიდან. რაც შეეხება ტბის ოდენობას, თუმცა ინჟინერ ცეიტლინის აზრით¹ ამ ტბას 51 $\frac{1}{2}$ ლესეტინის ოდენი ადგილი უნდა ექიროს, მაგრამ, ჩვენის აზრით, მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20—25 ლესეტინას. ცხენის მოჩქარებული ნაბიჯით ამ ტბის შემოვლა შეიძლება ერთი საათის განმავლობაში, რაშიც ჩვენ თითონ დავრწმუნდით მიმდინარე წლის ივლისში. ადგილობრივი მცხოვრებნი ხსენებულ ტბას საკუთრალი მნიშვნელობას აძლევენ. მათი აზრით მასში ბანაობა სრულიად აჯანსაღებს როგორც წუნით დაავადებულ საქონელს, ისე ადამიანსაც. სოფლის ის მცხოვრებნი, რომელნიც ტბის ირგვლივ მიწას ამუშავებენ, არ არიან კმაყოფილნი ამ ტბის არსებობით, რადგან მოდიდებისას მარილიანი წყალი გამოდის ნაპირებიდან და ხარაღს აყენებს დამუშავებულ ადგილებს. პროფესორი ი. ქუთათელაძე დაინტერესდა ამ წყლით და გაემგზავრა 1924 წ. აგვისტოში პროფესორ ა. დიდებულეძესთან ერთად აღნიშნულ ტბაზე, დაათვალიერა იგი და, ადგილობრივ ზოგიერთ რეაქციების წარმოების შემდეგ (რეაქცია აზოტის და აზოტოვანი მჟავა, ამონიაკი), წამოიღო წყალი მისი შემადგენლობის გამოსარკვევად. ნიმუშის აღებისას წყალს ჰქონდა ფლუორესცენცია და არ შეიცავდა გოგირდწყალბადს. წყლის ამ ნიმუშის გამოკვლევა მომენდო მე. საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნო, რომ ეს ნიმუში წყლისა აღებული იყო ძლიერი გვალვების შემდეგ და ეს იყო ერთ-ერთი მოსახრებათაგანი, რომ საჭიროდ ესცანით ნიმუში ხელშეორედ აველო, რაც პირადად მე შევასრულე მიმდინარე წლის მაისის დამლევის. ნიმუშის აღება მომიხდა დიდი წვიმების შემდგომ. ნიმუშის აღებისას წყალს არ ჰქონდა ფლუორესცენცია და ადგილობრივად ნაწარმოებმა რეაქციებმა დაგვარწმუნა, რომ წყალი მტუტე რეაქციის იყო და არ შეიცავდა გოგირდწყალბადს, აზოტს, აზოტოვან მჟავებს და ამონიაკს. ამრიგად ჩვენი გამოკვლევა 1924 წელს აღებული წყლის ნიმუშისა ეკუთვნის სწორედ. იმ დროს, როდესაც დიდი გვალვების გამო ტბის დონე დაწეული იყო, ხოლო 1925 წელს აღებული ნიმუშის გამოკვლევა-კი იმ დროს, რო-

¹) Стчет Кавказ. Горного Управления 1800 г.

დესაც ტბა წვიმებისა და ნიაღვრების გამო მომატებული იყო; ამიტომ ჩვენ საკიროდ დაეინახეთ ცხრილში მოგვეყვანა ტბაში შეცული მარილების საშუალო რაოდენობა; ეს რაოდენობა დაახლოვებით უნდა იყოს ერთ ლიტრა წყალში იმ შემთხვევაში, თუ ტბა არც ძლიერ დაკლებული იქნებოდა და არც ძლიერ მომატებული. ამ საშუალო რაოდენობის გამოსანგარიშებლად შეერთებულია ორივე ნიმუშის გამოკვლევის შედეგები და გაყოფილია ორზე.

გამოკვლევიდან ჩანს, რომ წყლის ეს ორი ნიმუში ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ზოკიერთი ფიზიკური თვისებებით, ისე შემადგენლობით. საკიროა აღინიშნოს, რომ პირველ ნიმუშში ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობა ვაშაკვლეული არ ყოფილა ჩვენ მიერ, რადგან, როდესაც ჩვენ გამოკვლევას შეუდევით, წყალი უკვე შეიცავდა გოგირდწყალბადს, რაც წყლის ალებისას მასში არ იყო და რაც შედეგად მოჰყვა ორგანიულ ნივთიერებათა გახრწნას. განსხვავება ამ ორ ნიმუშს შორის არის შემდეგი: პირველი ნიმუში იძლეოდა ფლუორესცენციას, მეორე ნიმუში-კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფლუორესცენციას ჰოკლებული იყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ფლუორესცენცია აქვს მხოლოდ იმ ნიმუშს, რომელიც გვალვების დროს იყო აღებული: ამ ნიმუშის მშრალი ნაშთი ერთ ლიტრაზე 77,860 გრ. უდრის; ხოლო ეს თვისება არა აქვს იმ ნიმუშს, რომლის ნაშთი ერთ ლიტრაში უდრის 39.616 გრ. წყალი ამ ფლუორესცენციას ჰკარგავს როგორც სულფატების დალექვის შემდეგ, ისე ნაკლებ ბოთლში: 5—20^ე ტემპერატურაში წყლის შენახვისას. როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, ნიმუშები განსხვავდება ერთმანეთისაგან აგრეთვე იმით, რომ მშრალი ნაშთის რაოდენობა განახევრებულია უკანასკნელად აღებულ ნიმუშში: ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც ცნობილია, საზოგადოდ ტბის წყლის ნაშთის რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პროცენტს ექნება უპირატესობა: წყლის აორთქლებას თუ მის მოპატებას ნიაღვრების გამო; თუ აორთქლებული წყლის რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე შემატებული წყალი, მაშინ ნაშთის რაოდენობა მცირდება. შეიძლება იგოვეთ ითქვას კერძოდ ნადარბაზევის ტბის შესახებაც, რადგან 1924 წლის ზაფხულს მშრალი და გვალვიანი იყო, რის გამო უმთავრესად წყლის აორთქლებას ჰქონდა ადგილი და ამისათვის მისი ნაშთიც დიდია; 1925 წელს-კი, პირიქით, დიდმა ზამთარმა და გაზაფხულის ნიაღვრებმა საგრძნობლად შეამცირა მშრალი ნაშთის რაოდენობა. წყლის პირველი ნიმუში იძლევა 77,860 გრ., ხოლო მეორე ნიმუში 39,616 გრ. ნაშთის რაოდენობა ლიტრაზე (იხ. ცხრილი I) ე. ი. მშრალი ნაშთის რაოდენობა მეორე ნიმუშში განახევრებულია. 1925 წ. განმავლობაში განახევრება მშრალი ნაშთისა მიგვიტოვებს იმაზე, რომ წყლის რაოდენობა ნიაღვრების გამო გაორმაგებულა. თავისი შემადგენლობით ნადარბაზევის წყალი შეიცავს უმთავრესად სამ მარილს: ქლორ-ნატრიუმს, რომლის რაოდენობა უდრის პირველ ნიმუშში 29.6885 გრ. ლიტ., მეორეში-კი 13.413 გრ.; გოგირდმჟავე ნატრიუმს—პირ. ნიმ. 21,445 მეორეში-კი 10.0188 გრამს (იხ. ცხრილი II); გოგირდმჟავე მანგიუმს (პირ. ნიმ. 17,58-ს მეორეში-კი 9.3629 გრ.). ამ სამი მარილის ჯამი შეადგენს 69,4986 გრამს, პირველი ნიმუშის ერთ ლიტრ წყალში; დანარჩენი მარილების ჯამი-კი იმავე წყალში უდრის 2,6707 გრ.-ს.

ანალიზის შედეგები

I ცხრილი:

ფიზიკური და ქიმიური თვისებანი

თვისება	I ნიმუში	II ნიმუში
ფერი	უფერული ფლუორესცენციით	პოვეითალო
გამჭირვალობა	გამჭვირვალე	გამჭვირვალე
სუნი	გოგირდწყალბადისა	არაფითარი
გემო	მწარე, შემდეგ შლანე.	მწარე, შემდეგ ძლანე
რეაქცია	მტუტე ხასიათის	მტუტე ხასიათის

ნივთიერებათა რაოდენობა ერთ ლიტრა წყალში გრამებით.

	ნივთიერება	1921 წ. ნიბ.	1925 წ. ნიბ.	შესაღწევა
1	მზრალი ნაშთი	77.860	39.616	58.738
2	გახურების შემდეგ	69.760	33.868	
3	დანაკარგი გახურების შემდეგ	8.1	5.748	
4	ქლორნატრიუმი	47.3390	22.650	24.999
5	ქლორი კალიუმი	0.6692	0.411	0.9916
6	კალციუმის ენგი	0.7465	0.5292	0.518
7	მაგნიუმის ენგი	5.6845	3.1356	1.51007
8	ქლორი	18.004	8.7405	13.37225
9	გოგირდმჟავას ანჰიდრიდი SO ₂	25.1127	12.53205	18.81675
10	აზონიაცი	—	—	—
11	აზოტოვანი მჟავა	—	—	—
12	აზოტის მჟავა	—	—	—
13	რკინის ენგი	0.0065	0.0172	0.05185
14	ალუმინუმის ენგი	—	—	—
15	სილიციუმის ენგი	0.0165	0.05720	0.03685
16	ორგან. ნივთიერ. დანაკარაშებ. KMnO ₄	—	7.1821	—
17	სინამე (გამოანგ. ვერმანული გრადუს.)	22.9	139.019	(55.1479)
18	ფოსფორის მჟავა	—	—	—
19	ბანგანიუმის ენგი	—	—	—

ტფილისის უნივერსიტეტის ჰოპზე, VI.

II ცხრილი:

წყლის შესაძლო შედგენილობა (გრამებით ერთ ლიტრაზე.)

ნივთიერება		I	II	საშუალო
1	კლორნატრიუმი	29,6885	14,413084	22,050792
2	გოგირდმჟავე ნატრიუმი .	21,44585	10,01889	15,732063
3	ვოგირდმჟავე კალიუმი	0,7752	0,45279	0,613995
4	გოგირდმჟავე კალციუმი .	1,8125	1,284897	1,548696
5	გოგირდმჟავე მაგნეზიუმი	17,571117	9,3629	13,472061
6	სილიციუმის ჟანგი	0,0165	0,05720	0,03685
7	რკინის ჟანგი	0,0665	0,0372	0,05185
		71,348558	35,656961	53,5262570

ეს მარილები არ იმყოფება, რასაკვირველია, ტბის თსკერზე: იგი მოაქვს წყალს ახლო გორაკებიდან, რომელიც უნდა მდებარეობდეს ტბის აღმოსავლეთით. ეს ჩვენი მოსაზრება მართლდება იმით, რომ, როგორც დათვალეირებით დაერწმუნდით, სწორედ აღმოსავლეთისაკენ მიწა დაფარულია მარილებით.

რადგან შეუძლებელია იმის თქმა, თუ მარილის რა რაოდენობა შეიძლება იყვეს ხსენებულ გორაკებში, ამიტომ ძნელია იმის გამოანგარიშებაც, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება მისი ექსპლოატაცია.

რაც შეეხება წყლის იმ სამკურნალო ღირსებას, რომელსაც მას ადგილობრივი მცხოვრებნი აწერენ (და ამ ღირსებით თართოდაც სარგებლობენ), ჩვენის აზრით ეს აიხსნება წყალში ქლორნატრიუმის დიდი რაოდენობის არსებობით, რაც იწვევს კანის გაღიზიანებას ბანაობის დროს.

LA COMPOSITION CHIMIQUE DE L'EAU DU LAC DE NADARBASEVI

par

W. OUZNADZÉ.

(Résumé).

A 13 verstes de distance de Gori à proximité du village de Nadarbasevi se trouve un lac entouré de petits côtes et portant le même nom que le village. Les villageois attribuent à ce lac une nature salutaire; notamment ils affirment que l'eau de ce lac est un remède infailible contre la gratelle.

L'eau d'essai a été prise deux fois: au mois d'août 1924 et à la fin du mois de mai de l'année courante.

Ces deux prises d'essais se différencient l'une de l'autre par leurs propriétés physiques et chimiques. Le résidu sec de la première prise d'essai est de 77,860 gr. par litre tandis que celui de la 2-ème est de 39,616 gr. Cette différence du résidu sec s'explique par le fait que l'été de l'année passée a été particulièrement sec; par contre, le printemps de cette année a été pluvieux. Par conséquent l'afflux de l'eau a été plus grand que l'évaporation, d'où résulte la diminution sensible du résidu sec.

La première prise d'essai, dont le résidu sec est de 77,860 avait de la fluorescence, tandis que la 2-ème n'en avait pas. Il est à remarquer que l'eau perd cette fluorescence après la séparation du sulfate. L'eau contient principalement trois sels: le chlorure de sodium, le sulfate de sodium et le sulfate de magnésium. Le total de ces trois sels est de 69,4986 gr. par litre, tandis que le total des autres sels ne dépasse pas 2,670 gr.

Ces sels sont rapportés par les eaux et proviennent probablement des collines qui se trouvent à l'Orient du lac. Comme il est difficile de prévoir la quantité des sels qui se trouvent dans ces collines, on ne peut pas dire si les frais causés par les recherches préliminaires seront justifiés. La nature salutaire qu'on attribue à cette eau est due probablement à la grande quantité de chlorure de sodium qui provoque une excitation de la peau.

სიმონ ყაუხჩიშვილი.

გიორგი ამართლის ხრონოგრაფი და მისი ძველი თარგმანი.

ა) ბერძენული დედანი.

§ 1. გიორგი ამართლის ხრონოგრაფი წარმოადგენს მსოფლიო-ქრონიკას, რომელიც ქვეყნის გაჩენით იწყება და მიხეილ III და მისი დედის თეოდორას შეფობამდე (842 წლამდე) აღწევს. მართალია, არსებულ ხელნაწერთაგან ბერძენული დედნისა უმეტესი შეიცავს შემდგომდროინდელ ამბებსაც, მაგრამ ჯერ კიდევ ლ. ალლატიუსმა შენიშნა, რომ საკუთრივ გიორგის ხრონოგრაფი 842 წლით თავდებოდა, და დღეს ამაში ექვი არავის ეპარება (Muralt, Georgii Monachi, dicti Hamartoli Chronicon VII; Hirsch, Byz. Studien 2: Krumbacher, Byz. Litter.-Geschichte 352); ამასვე ამტკიცებს თვით გიორგის სიტყვები ხრონოგრაფის წინასიტყვაობაში, უკანასკნელი წიგნი შეიცავს ისტორიას კონსტანტინე დიდიდან ვიდრე უკანასკნელ კეისრამდე, თეოფილეს ძე მიხეილამდე. ამ სიტყვებდან ცხადია, რომ ავტორს თავისი შრომა 842—867 წლებში უნდა დაეწერა, როდესაც მეფობდა მიხეილ III; ეს თარიღი უფრო ზედმიწევნითაც არის განსაზღვრული, სახელდობრ შრომა დამთავრებულია 866—867 წელს, კეისრის გარდაცვალების წინა ხანებში (Hirsch ო, Krumbacher 352). გიორგი ამართლის ხრონოგრაფს მრავალი გამგრძელებელი და ინტერპოლატორი აღმოუჩნდა. ასე რომ ხელნაწერებში განიჩრევა—დე ბორონიის კლასიფიკაციით (იხ. მისი გამოცემის Praefatio) —ორი მთავარი ჯგუფი: 1) ხელნაწერები, რომლებიც მხოლოდ გიორგი ამართლის ხრონოგრაფს შეიცავენ, ე. ი. ამბებს 842 წლამდე, და 2) ხელნაწერები, რომლებიც განაგრძობენ მოთხრობას 948 წლამდე და ხანდახან შემდეგაც. ეს ორი ჯგუფი ხელნაწერებისა მართლ იმით როდი განიჩრევა. ერთმანეთისაგან, რომ მეორეს დამატებული აქვს ხრონოგრაფის გაგრძელება. ეს განსხვავება იმაშია გამოიხატება, რომ, მაგ., პირველი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია სხვათა შორის სამი მთავარი ხელნაწერით—Coislinianus 310 (A) X საუკუნისა, Coislinianus 134 (C) XII საუკ და Coislinianus 305 (P) X-XI საუკ.—ზოგიერთ ადგილას უფრო დაწერილებით მოგვითხრობს ამბებს, ვიდრე მეორე ჯგუფი. ჰირში (გვ. 14-15) იმ დასკვნამდე მიდის, რომ AC ხელნაწერები (P-ის სრულებით არ იხსენიებს) შეიცავენ ნამდვილ ტექსტს გიორგის ხრონოგრაფისა. დე ბორონი უფრო დაწერალებით იხილავს ან საკიოხს და AC ხელნაწერებში დატულ ტექსტს

ჭირითადად აღიარებს და თავის გამოცემასაც მათ უღებს საფუძვლად. ის მხოლოდ პირვანდელი რედაქციის ხელნაწერებიდან ცალკე გამოჰყოფს P ხელნაწერს. რომელსაც ის დამოუკიდებელ რეცენზიად აღიარებს, რომელიც თვით გიორგიის ეკუთვნის (Praefatio p. LXVIII). მისი აზრით P-ს დედანში გიორგიმ მიაწერა აშივებზე შენიშვნები, განსაკუთრებით საღმრთო წერილიდან დაუთრო შენიშვნები, ვითარცა მონაზონმა; P-ს გადამწერმა-კი ყველა ეს აშიაზე მოთავსებული შენიშვნა ტექსტში შეიტანა და ამის შედეგი იყო, რომ საეკლესიო მწერლებმა ადგილები და სხვა წიგნების ციტატები ერთმანეთში აირია. თვითონ გიორგიმ მოისურვა ექსცერპტების ნელლი მასალა (rudem excerptorum molem) დამუშავებინა, და ხელმეორედ გამოსცა ხრონოგრაფი. და ამ გადამუშავებული შრომიდან მომდინარეობს დანარჩენი ხელნაწერები (იხ. Praefatio LXIX და შესტაკოვის რეცენზია Виз. Вр. XII (1906) 431 შმდ.), რომელთაგან პირველი ადგილი უჭირავს AC ხელნაწერებს.

კულენის ხელნაწერი 310 (A) პერგამენტისაა და 10. საუკუნეს ეკუთვნის. მასში ორი დიდი ხარვეზია, რომელიც უდრის დე ბოორის მიერ გამოცემული ტექსტის 184,3-211,28 და 643,5-659,20 გვერდებს. წიგნს არა აქვს წინასიტყვაობა: მაშინ დაიკარგა ის, როდესაც კოდექსი შეუყვრელი იდგა, თუ ეს მას არასდროს არ ჰქონია, არა ჩანს, რადგან რვეულები დაუნგრული არ ყოფილა. და ის თვლა რვეულებისა, რომელიც ეხლა არის, ეკუთვნის უკვე იმ დროს, როდესაც ზემოაღნიშნული ხარვეზები იყო კოდექსში. ტექსტს სათაური არა აქვს, მაგრამ ცალიერად არის დატოვებული სამი სტრიქონის ადგილი, სადაც ის უნდა ყოფილიყო: გადამწერს-კი ის არ დაუწერია. სხვა ძველი ხელით მთავრული ასოებით დაწერილია ზევით Αρχῆν ἡν ἡμεῖς ἔχουσας, ახალი ხელით კი სწერია: ἡτοιμα ἡσασεν ἡσασαχῆς. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკე სათაურად A ხმარობს περὶ τοῦ δεῖνός (და არა ἀρχῆν ἡν ἡμεῖς ἔχουσας. ო.), როგორც ეს ზოგიერთებს აქვს (Praef. XIII—XVI).

ამ კოდექსთან ახლო დგას—მაგრამ განსხვავებაც ემჩნევა—ხელნაწერები D (ეკსტრიალის I 1) 11. საუკუნისა, შემდეგ C (კულენის 134) 12. საუკუნისა ტყავზე დაწერილი (რომელშიაც სხვათა შორის წინასიტყვაობა საერთოდ არ ყოფილა), M (მესინას) და რამდენიმე სხვა მერმინდელი ხელნაწერი, რომელთაც კულენის 310 ხელნაწერთან ერთად ერთი არხეტიკი უნდა ახასიათებდეს.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ხელნაწერების აღწერას—და ეს არც საჭიროა ჩვენი მიზნებისათვის. აღვნიშნავთ, რომ ხელნაწერთა ეს, ჩვენ მიერ აღწერილი ჯგუფი უნდა იყოს, რომელიც უფრო უახლოვდება ბერძნულ ორიგინალს. მართლაც—და, დე ბოორმა რომ გამოსცა გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი, მან საფუძვლად დაუდვა კულენის 310 და კრიტიკულ აპარატში მოიყვანა ვარიანტები 16 კოდექსიდან, რომელთაგან ზოგიერთი მოკლე რედაქციას წარმოადგენს. ხოლო ზოგიერთი განერკომილს. ამ ვარიანტების შედარება გვიჩვენებს, რომ ბერძნული ტექსტი ამ ჯგუფის ხელნაწერთა ფარგლებში მთლიან სახეს ატარებს: ტექსტს არ ემჩნევა შინაგანი რყევა და ცვლილებებანცილობა.

ბ) ქართული თარგმანი.

§ 2. ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა შესრულებულია 11. საუკუნეში ან 12. საუკუნის დასაწყისში და დაცულია სამი ხელნაწერით (A, B, C), რომელთაგან უძველესი 13. საუკუნეს ეკუთვნის (იხ: ჩვენი გამოცემის შესავალი და პროფ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია I 292-293 და 545): არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში ხრონოგრაფი სრულად არ არის დაცული: იგი წყდება თეოდოსი დიდის მეფობის აღწერით. არა ჩანს, იყო ქართულად ხრონოგრაფის დანარჩენი ნაწილიც თარგმნილი თუ არა, რადგან ქართული A ხელნაწერი ბოლოში დაზიანებულია. ყოველ შემთხვევაში BC ხელნაწერთა გადაწერის დროს თარგმანის გაგრძელება მათ დედნებში არ მოიპოვებოდა. B'ს გადაწერს, როგორც მისი ერთი მინაწერიდან ჩანს, ერთი დედნის ნაკლებეანი ადგილები მეორეთი შეუვსია, რომელიც მას საგანგებოდ მოუძებნია, ასე რომ, მის დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაგრძელების პოვნა, მას ამის კვალი აღმოაჩნდებოდა. ეს კია, რომ ის ხრონოგრაფს ბოლოში შუა წინადადებაზე სწყვეტს (გამოც. 309,25), ასე რომ მისი დედანიც ბოლოში დაზიანებული ყოფილა.

ხელნაწერთა დაზიანების გამო დაკარგულია ქართული ტექსტის შემდეგი ადგილები (დე ბოორის გამოცემით; ფრჩხილებში ნაჩვენებია ქარ. ტექსტის ადგილები).

6,1--10,17 *სმსიყ* (3,5); 22,2 *საჰაჯ*— 33,16 *ჰაჰა* (ქ. 10,21); 35,7 *საჰაჯი*—38. 11 *ჰა*: (11,26); 587,8 *ჰაჰაჯი...* (309,25).

მართალია უძველეს ქართულ ხელნაწერს (A) უფრო მეტი აკლია (იხ. ჩვენი გამოც. შესავალი გვ. IX--X), მაგრამ A'ს დაზიანებული დანარჩენი ადგილები, გარდა ზემოთ მოყვანილისა, შევსებულია ჩვენ მიერ მერმინდელი B ხელნაწერის საშუალებით (იხ. გამოცემის გვ. გვ. 35,26; 63,25; 70,6; 74,23; 177,14; 195,34; 300,2; 307,23).

587,8 *ჰაჰაჯი* წყდება ქართული ტექსტი (309,25 «სხუათა ვიდრე-მე»). და ამ როგად მოთხრობაც წყდება თეოდოსი დიდის ხანაზე.

§ 3. ჩვენი ძველი რომ უშუალოდ ბერძნულით არის ნათარგმნი, ამას ჰმოწმობს როგორც მთარგმნელის მინაწერი, ისე თვით ძველის ენა. მკვლევარს შეუძლია, რასაკვირველია, არ დაუჯეროს მთარგმნელს, რომ «ესე ბერძულისაგან ქართველთა ენად ვთარგმნე»-ო (იხ. გვ. 129 სხოლიო), მაგრამ ძველის ბერძნობები—ლექსიკური და სტილისტური—ბერძნულით თარგმნილობას ექვემდებარება ამტკიცებენ. ბერძნული დედნის უშუალო გავლენას ჩვენ ვამჩნევთ: ა) როდესაც ბერძნული დედანი სიტყვათა მსგავსების ნიადაგზე ცუდად არის გაგებული; ბ) როდესაც ზედმიწევნით თარგმნის დროს ქართული ენა ოდნავ დამძიმებულია; და გ) წინადადებათწყობაში.

ა) ცუდად გაგებული ადგილები.

de Boor 72,4: *ei* ზღ *ἀφεις* *εὐς* *παιγυζῆς*, *ως* *πλᾶσ-ο-σ-ό-σ-α* = 29,33 «ხოლო უკუეთუ დაუტყვებ გამომეტყუელთა, ვითარცა მრავლის-მეტყუელ-

თა. *πλᾶσις* (==წმინთი-მეტყუელთა) მთარგმნელს გაუგია, როგორც *πλᾶσις*.

de Boor 179,15 *αἱ ἡμετέρας ἐξ ἑσθίας* გადმოცემულია ქართულად «და იყვნეს დღენი ზაფხულისა მურვალეებისანი» (79,35). ლექსიკურად ასეთი თარგმანი სრულიად გამართლებულია, რადგან *ἐξ ἑσθίας* „ზაფხულს“ აღნიშნავს, ხოლო *ἡμετέρας* (gen. pl. *ἡμετέρας*) „ეცესლსა“ და „მურვალეებსა“. მაგრამ *ἐξ ἑσθίας* ბერძნულში „მკას“-აც მნიშნავს, ხოლო gen. pl. *ἡμετέρας* მხოლოდითი რიცხვის *ἡμετέρας*-იდანაც შეიძლება იყვეს, რაც „პურს“, „ხორბალს“ გამოხატავს. და გიორგი ამარტოლის სიტყვები სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული, რადგან აქ მას მხედველობაში აქვს II მეფეთა 24,14 *αἱ ἡμετέρας ἐξ ἑσθίας* (და დღენი იყვნეს იფქლის მკისანი“). როგორც ვხედავთ ქართველ მთარგმნელს შეცომა მოსყლია სიტყვათა სხვადასხვა მნიშვნელობის ნიადაგზე, რაც ბერძნულიდან გადმთარგმნის დროს ადვილი ასახსნელია.

de Boor 274,15 *ἡμετέρας*: 134,32 «ძისა სედექისა». ჩანს მთარგმნელს წაუკითხავს *ἡμετέρας* *ἡμετέρας*.

de Boor 276,17 *ἡμετέρας* გადმოცემულია «ორმოცდა შვიდი წელი» (136,7-8). ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ბერძნულ ხელნაწერში შემოკლებულად ეწერებოდა *ἡμετέρας* და *ἡμετέρας* ძირი გამოხატული იქნებოდა *ἡμετέρας* და ასოსხემოთა ორი ხაზსწეკით (შდ. Григорий Церетели. Сокращения в греческих рукописях. СПб. 1904. ტაბულა V) და ამრიგად მთარგმნელი წაიკითხავდა *ἡμετέρας*, რაც მართლა ორმოცდა შვიდს უდრის.

de Boor 318,5 *ἡμετέρας* გაგებულია, როგორც *ἡμετέρας* და გადმოცემულია «ახალკმობისა»-დ (160,19).

de Boor 335,2 *ἡμετέρας* (==„შესაწირავთა“; შდ. 214,3==de Boor 415,15) გაუგია როგორც *ἡμετέρας* და თარგმნის «ნაკართა» (171,6); შდ. de Boor 413,22 *ἡμετέρας*==«ნაკართა» 213,5.

de Boor 380,2-3 სიტყვა *ἡμετέρας* გაგებულია როგორც *ἡμετέρας* და გადმოცემულია ოთხ ადგილას «სიკუდილი»-ს მნიშვნელობით (192,5-6).

de Boor 385,23 *ἡμετέρας* (==ფართა) გაგებულია როგორც *ἡμετέρας*: «ბქეთა და კართა» 195,26.

de Boor 386,5 *ἡμετέρας* (*ἡμετέρας* A) *ἡμετέρας*. პირველი სიტყვა (==„მწერის სუნი“; შდ. 171,7 «კუმოლვათა მიერ»==de Boor 335,2 *ἡμετέρας*) ჩვენს მთარგმნელს გაუგია როგორც *ἡμετέρας* (რომლის გენეტივი იქნებოდა *ἡμετέρας*, ნიშნავს „ქვეილს“) და ამით აიხსნება უაზრო ადგილი «აგრძნეს ჩეჩებამ რამე» (195,33).

de Boor 465,14 *ἡμετέρας* მთარგმნელს გაუგია როგორც *ἡμετέρας* და თარგმნის «სიყმილი» (242,32), ისევე როგორც 465,14 *ἡμετέρας* *ἡμετέρας* მას იმავე შეცოთმის წყალობით (პგონებია *ἡμετέρας*) გადმოუცია «სენი სიყმილისა» (242,28).

de Boor 506,9 *ἡμετέρας* *ἡμετέρας* *ἡμετέρας* *ἡμετέρας* *ἡμετέρας* და *ἡμετέρας* («ითხოვა, რათა მიეცეს მას ადგილი ფილოსოფოსისა მის-მიმართისა სიტყვს-გებისა» 265,14). აქ *ἡμετέρας* ნიშნავს „ნებართვას“, მთარგმნელს გადმოუცია ის მისი ძირითადი მნიშვნელობით („ადგილი“), რაც ცხადია ბერძნული

ენის გავლენას მიეწერება. სხვათა შორის, ასეთივე შეცთობა მოსვლია რუფინუსს, რომელსაც ეს ადგილი— გელასი კესარიელიდან მომდინარე— მოეპოვება და ჩვენი სიტყვა locus-ად აქვს გადმოცემული (შდ. A. Glas. Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia Lpz. 1914. s. 21).

de Boor 577,3 ზთ *σφραγισθησάντων* *εργασίας* *αυτων* *αυτων* *αυτων*. ხასვასმული სიტყვა მთარგმნელს გაუგია როგორც *ადგზრას* და ამიტომ თარგმნის ის გუნდმან მეკლერობისა მისისამან წყობა ყო ქალაქისა მიმართ» (303,26) ნაცელად „ააჯანა ქალაქი“-სა.

de Boor 578,9 *მეჯც.* ზთ *მეცμσν* = «მიითუალე განკანონებაჲ» 304,16. ჩანს მთარგმნელს ამ ადგილას ჰგონებია ზთ *მეცμσν*. ცოტა ქვევით ეს სიტყვა მას სწორად აქვს გაგებული, როდესაც ის წინადადებას *λίσσας* *σε* *των* *μεισμσν* (de Boor 578,16) გადმოგვეცემს «განესნაა შენი კრულეებისა გან (304,24). იხ. ავრეთვე ქართ. 304,35; 305,3.

ასეთივე ხასიათისაა ის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი საკუთარი სახელის კუთვნილად თვის ზოგიერთ ბერძნულ სიტყვას და ამიტომ გადმოითარგმნილად სტოვებს:

de Boor 445,24 *κατα* *Μαυθίαν* *α* = «კატა მანეთონის» 231,18;

de Boor 544,14 *παρὰ* *την* *ἑρ* *ἰ* *παραμύ* = «თირის თანა მდინარესა» 284,35;

de Boor 561,6 *ἀμφὶ* *τὸν* *Ἀβραῖα* = «ამფიტონ აღრიასა» 294,3;

ანდა პირიქით, როდესაც ის ბერძნულ საკუთარ სახელს ან სიტყვეს ნაწილს სთავ-გმნის:

de Boor 238,7 *Ἰσραήλ* = «ქურისადათა» 113,28 და

de Boor 509,6 *ἁπασιγενής* = «პოტირიტისნი» (267,21, სადაც მარცვლი აკლია¹).

ბ) **ზედმიწევით თარგმნა.**

ჩვენი მთარგმნელი, როგორც ეს ქვემოთ იქნება დაწვრილებით განხილული, ბრძანდ არ მისდევს დედნის არც წინადადებათწყობას და არც ცალკე სიტყვების შეუსლუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი მობარჯვება და მისი ამოწურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით. მიუხედავად ამისა ბერძნული დედანი საკმარის გავლენას ახდენს მასზე. ამას ჰმოწმობს მეტად დიდი პერიოდები, რომელიც ალაგ-ალაგ გვხვდება (მაგ., 156,3—10), აუაოებელი რთული სიტყვები, ქართული ენისათვის უჩვეულო კომპოზიტები («დიდებისემეტყულებთ» 108,23, «ჩვეულებათმწურთელობითი» 180,19, «ცულმეტყულებთ» 30,22 და სხვ.), მიცემითი ბრუნვის ხმარება ნაცლად ქართულისათვის საკუიო ნათესაობითისა («სიმდიდრესა აღურიცხუველსა შეკრებისა» 142,16, «სიბრძნესა პანარეტოსისა აღმწერელი» 146,15, «დამპყრობელი მეფობასა» 147,8, «მსმენელი ვედრებასა» 155,11, «პატიყსა მიმღებელმან» 156,1) და სხვ.

ბერძნული ენის გავლენა ხშირად იჩენს თავს *ჯა:* კავშირის მოხმარებაში. ცნობილია, რომ ბერძნული *ჯა:* ორმხრივია და უდრის 1) „და“ კავშირს და

¹ აღსანიშნავია, რომ საბაას ასეთივე ფორმით მოხვდა ეს სიტყვა: „პოტირიტი. პაპის მონაცეალე“. საფიქრებელია, რომ საბაამ ამ სიტყვას ჩვენი დეკლიანი იტარებს.

2) „- ცა“ ნაწილაკს. ძალიან ხშირად ეს განსხვავება ჩვენი მთარგმნელის ნიერ სწორად არის გავებული. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივად თავის იჩენს ბერძნულის გავლენა და მთარგმნელი შეუცნობლად გადმოგვცემს მას „და“-თი იქაც, სადაც ეს ქართულისათვის სრულიად ზედმეტია, რითაც რასაკვირველია ქართული ტექსტის აზრი ცოტა-ოდნად ირყვნება. მაგ.:

de Boor 463,1 *μαρτυροιστης και της εμπερας; υπεισε ανεισ*—«მოწამე იყოვ-
დეს და ანაზდაითსა მის განკურნებასა მისსა» 241,14.

de Boor 570,4 *οις και εμιμασν*—«ეგრეთ და ვიხილეთცა» 299,22.

ბერძნული ენის გავლენა ჩანს თუკ- თავსართის გადმოცემაშიც, რომელსაც მთარგმნელი ხშირად სიტყვა-სიტყვით აქაოთულებს მისი თანდებულობითი მნიშვნელობის მიხედვით: «თანად-ყოველი» 162,1; «თანად-ყოველთა» 198,27 (*συναπαντα*). აგრეთვე de Boor 189,18 გვევლება იშვიათი ფორმა ხბ *συναπαχου* „სისქის“ მნიშვნელობით. ამ ცნების გამოსახატავად ბერძნულში ჩვეულებრივ იხმარება ხბ *παχος*. ჩვენს მთარგმნელს გიორგი ამარტოლის მიერ ნახანარი იშვიათი სიტყვის თუკ- თავსართი თანდებულად მიუჩნევია და ამით აიხსნება მისი უაზრო «მქონებელთა სახომისა ათწყრთეულისათა სიხრქით-ურთ» (85,21).

გ) წინადადებათწყობა.

ყველაზე უფრო შესამჩნევია ბერძნული დედნის გავლენა წინადადების წყობაში. მართალია, ჩვენი მთარგმნელი ბრმად არ მისდევს დედნის ტექსტს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდ თავისუფლებას იჩენს. (წინადადებათწყობაში თავისუფალია, მაგ., 105,30.—34=de Boor 223,20—24; 107,32—33=227,8—9). მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ თარგმნის დროს დედნის წყობა ძალაუნებურად გავლენას ახდენს მთარგმნელზე. თავისდა შეუშინებლად ის იცავს დედნის წინადადებათწყობას და ხშირად ამის გამო ქართული ტექსტის გავება ძნელდება. ამას ჩვენ ვაშჩნეთ ისეთ ნაწილებშიც-კი, რომელიც საღმრთო წერილიდან არის ამოღებული და რომელიც, მაშასადამე, მთარგმნელისათვის ბუნებრივი ქართული წყობით იქნებოდა ცნობილი. მაგ., 492,13 *και ελεηται: ας ελαφεις ο χιλις*—«და ვლდებოდის ვითარცა ირემი მკელობელი» 257,20 (ე. ი. „და ვლდებოდის მკელობელი, ვითარცა ირემი“).

ყველა ეს საბუთი სრულიად ნათლად ხდის ჩვენი ძეგლის თარგმნილობას ბერძნულით. ამას შეგვიძლია აგრეთვე დაუმატოთ ბერძნულის გავლენა საკუთარი სახელების გადმოცემისას და ის უტყუარი საბუთი ჩვენი ძეგლის ბერძნული წარმოშობისა, რომელიც განხეულია როგორც თვით ძეგლში, ისე მის სხოლიონებაში და მინაწერებში. ჩვენს სახეში გვაქვს ის ბერძნული სიტყვები, რომელიც ჩვენს მთარგმნელს ან გადმოუთარგმნელი დაუტოვებია. რადგან ის ვერ გაუგვია, ან აშიაზე მიუწერია ბერძნული შესატყვისი, რადგან თვითონვე საეჭვოდ მიუჩნევია თარგმანი (ან სხვა მიზეზის გამო).

§ 4. ქართული თარგმანი რომ შევადაროთ ბერძნულ დედანს, მაშინვე ცხადი გახდება, რომ ის ხელნაწერთა იმ ჯგუფს მისდევს, რომელიც წარმოდგენილია კუალენის 310 და მისი მონათესავე ხელნაწერებით. მთავარი ნიშნები ამ უკანასკნელებთან ნათესაობისა შემდეგია.

ა) ქართულ ტექსტს წინასიტყვაობა (პროლოგი) არა აქვს. მისი უძველესი ხელნაწერი A (13. საუკუნისა) იწყება პირდაპირ ხრონოგრაფით: მას, როგორც ამას რვეულების ნუმერაცია გვიჩვენებს, არ ჰქონია წინასიტყვაობა. თავში ხელნაწერს აკლია სულ 1 ფურცელი¹, სადაც იყო დასაწყისი პირველი წიგნისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ თარგმანში, საზოგადოდ, პროლოგი არ ყოფილა. საზოგადო სენია ქართული ხელნაწერების, რომ პირველი ფურცელი აკლია ხოლმე: მაგ., ჩვენი ხრონოგრაფის ქართული ხელნაწერების მდგომარეობა ასეთია: A ხელნაწერს ერთი ფურცელი აკლია და ასეთი ნაკლულევანი სახით ჰქონიათ ის BC ხელნაწერთა გადაწერით. B ხელნაწერს, რომელიც C¹-ზე უფრო ადრეა შესრულებული. A ხელნაწერის საკმაოდ კარგი, შესაძლებელია განახლებული პირი ჰქონდა ხელთ, მაგრამ თავში ამ ხელნაწერშიაღ დაქარგულია მცირეოდენი ნაწილი. C ხელნაწერს A¹-სთან შედარებით კიდევ აკლია ერთი ფურცელი. ეს გარეპოება ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ A ხელნაწერს გარდა თავისი ნაკლულევანი ერთი ფურცლისა უნდა აკლდეს კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც მის დედანს უნდა დაკლებოდა მთელი საუკუნის ან საუკუნე ნახევრის მანძილზე. და სწორედ ეს ორი ფურცელი შეიცავდა დასაწყისს პირველი წიგნისა, რომელიც ქართულ თარგმანს აკლია ბერძნულთან შედარებით (de Boor 6, 1- 10, 17).

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ პროლოგი არ უნდა ყოფილიყო არც იმ ბერძნულ დედანში, რომელიც მთარგმნელს ხელთ ჰქონდა. და რადგან პროლოგის უქონლობა ახასიათებს ზოგიერთ დაცულ ბერძნულ ხელნაწერებსაც (მაგ., კულენის 310 და 134. შდ. ზეითი § 1), შესაძლებელია დაუშვათ, რომ იმ ორი რეცენზიიდან, რომელიც დე ბოორის აზრით თვითონ გიორგი ამართლი იდან მომდინარეობს, პირვანდელი რეცენზია უპროლოგოდ იყო და ამ რეცენზიის ერთ-ერთი შემდეგდროინდელი ხელნაწერი ხელთ ჰქონდა ქართველ მთარგმნელს.

ბ) სათაურების ფორმა ქართულ თარგმანში იგივეა, რაც კულენის 310 და მისთანა ხელნაწერებში: «ნებრითის-თვს», «სოსტრის თვს», «თარაოას-თვს» და სხვ. ე. ი. ფორმა *ნაჲი ზაჲ ბჲვიჯ* და არა *ბერჲი ჲვიჯ ჲაჲ. ა. ბ.*

გ) კერძოდ კულენის 310 ხელნაწერს აახლოვებს ქართულ თარგმანს შემდეგი გარემოებაც. კულენის 310-ს აქვს ერთი ხარვეზი, დე ბოორის გამოცემით 184,3 -211,28, რომელიც გამოცემაში შევსებულია სხვა ხელნაწერების მიხედვით. და ქართული ტექსტი სწორედ ამ ადგილას იძლევა აუთარგმელ ტექსტუალურ სხვაობას გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია კულენის 310-ის ხასიათის ისეთი ტექსტი, რომელსაც კულენის 310-ის ნაკლულევანი ადგილიც დაცული ჰქონია და, მაშასადამე, ქართული ტექსტის სხვაობათა სათანადო გაცხრილების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი ვარიანტები, რომელიც კულენის 310-ს (resp. მის დედანს) ექნებოდა.

¹) მართალია, ხელნაწერი ფლეს II. ფურცლით იწყება, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თ. ქორდანია ფურცლების დახმების დროს ერთი ამოხეული ფურცელი, რომელიც ჩვენ ჩ-დ გვაქვს აღნიშნული, პირველ ფურცლად (I. ა. პ. პეორედ) ჰქონდა აღნიშნული (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. IX. შენ. 1).

დ) კულენის ხელნაწერებთან ახლო დგას მესინას ხელნაწერი (M, codex Messanensis), რომელიც ქართული თარგმანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არის, რადგან ზოგიერთ გარეგნულ დეტალში ქართული ტექსტა დიდ მსგავსებას იჩენს მასთან. ასე, მაგ., 1) მესინას ხელნაწერს ერთ ადგილას (de Boor 264, 16) ესკურიალის ხელნაწერთან ერთად ახასიათებს მინაწერი *ჩჳს რჳს* *სჳჳრჳთჳს* *ჳჳჳჳჳჳჳჳ*, და აქ გადაწერს ორი სტრიქონის ადგილი თავისუფალი დაუტოვებია ზედაწერილისათვის (C. de Boor. Weiteres zur Chronik des Logotheten: *BZ X (1907), 71*). ეს ჩვენ ვვაგონებთ იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ ადგილას ქართველი მთარგმნელიც სწერს: «დაესრულა ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ აღამისითგან და ვიდრე დასასრულამდე ზეფობათა იუდასა და ისრაჲლისათა» (ჩვენი გამოც. 129) და აქვე ურთავს თავის ანდერძს: 2) მესინას კოდექსს აქვს ზოგიერთი ისეთი ხედმეტი სათაური, რომელიც სხვა ხელნაწერებს არ მოეპოვებათ, ქართულს-კი აქვს: მაგ. de Boor 145, 20 მესინა იძლევა *ჳჳჳჳ რჳს* *ჳჳჳჳ*—ქართ. 67, 7 «მსაჯულთა-თჳს» (de Boor l. c. 71); დასასრულ. 3) მესინას კოდექსს თავისი საერთო ხასიათით უახლოვდება ქართული თარგმანი კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებით. როგორც ეს ქვემოთ თავის ადგილას განხილული იქნება, ქართული თარგმანი ხშირად ამოკლებს საღვთისმეტყველო ადგილებს (იხ. § 12). მესინას კოდექსიც შუა ხრონოგრაფიდან დაწყებული იჩენს ასეთ მიდრეკილებას და საგრძნობლად ამოკლებს სოლმე გაზვიადებულ საღვთისმეტყველო პასსებს (de Boor l. c. 76 - 77).

ზემოთაქვამი ცხადყოფს, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია ის რეცენზია ბერძნული დედნისა გიორგი ამარტოლის ხელიდან გამოსული, რომელიც წარმოდგენილია კულენის 310 და მისი მონათესავე ხელნაწერებით. აქედან ცხადია, ქართველი თარგმანის ტექსტუალური ხასიათის გამოსარკვევად ჩვენ შევადარებთ მას დედ ბოორის მიერ კულენის 310 ხელნაწერის საფუძველზე გამოცემულ ტექსტს.

§. 5. გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი ბერძნულ ტექსტთან შედარებით აუარებელ სხვაობას იძლევა. ეს სხვაობა როდი ჩანს პარტო დე ბოორის მიერ გამოცემულ ტექსტთან შედარებით, არამედ ამ სხვაობათ—გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რომელიც ცალკე იქნება მოყვანილი—არავითარი ტექსტუალური გამართლება არა აქვთ კრიტიკულ აპარატში მოყვანილ ვარიანტებშიც. აი ამ მხრივ არის სწორედ გაძნელებული ქართული თარგმანის ტექსტუალური გამოყენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამოყენება ადვილდება, თუ ჩვენ უწინარეს ტექსტუალური შეფასებისა სასოვალოდ დავახასიათებთ ძველს: ჩვენ უნდა გავიგოთ, რა მეთოდი აქვს ჩვენს მთარგმნელს, რასტილისტური სახეობანი ახასიათებს მას, რომ ამით საშუალება მოგვეცეს გამოვყოთ ის, რაც ჩვენი მთარგმნელის თავისუფალ ტექსტუალურ მომარჯვებას უნდა მიეწეროს, და ის, რაც თვით დედნის სხვაობით აიხსნება.

c) პატრული თარგმანის თავისებურებანი.

§ 6. როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი მთარგმნელი ბრმად არ მისდევს ბერძნული დედნის არც წინადადებათწყობას და არც ცალკე სიტყვების შეუზღუდველ მნიშვნელობას. მას ახასიათებს დედნის ტექსტის თავისუფალი გაგება და მისი ამოწურვა ქართული ენის ყოველი საშუალებით. ეს გატარებულია მთელი წიგნის სივრცეზე, ასე რომ არავითარ საპირობებს არ წარმოადგენს აქ იქნეს აღნუსხული ყველა ის წერილმანი, რომელიც მთარგმნელის თავისუფალ მთარგმნელობით აზროვნებას ახასიათებს. საკმარისი იქნება, თუ ჩვენ ამის მხოლოდ ზოგიერთ ნიმუშს მოვიყვანთ:

33,18 *χῆμαχλδς* (=დაბალი) *ἐστει=10,23* «არა გრძელ არს ჰასაკითა».

36,7 «რამეთუ ვიდრე მთოვარისა და მისთანათამდე ხოლო შთამომავალად თქუა უფლისა მიერისა განმგებლობისა ძალი»=*84,5* *τὰ γὰρ οὐ μέγχι σεληνῆς: ἰσῆειν ἔφη τὸν ἰερόν*. თავისუფალი თარგმანი გამართლებულია აქ მით, რომ ბერძნულად კონსტრუქტიულად არის გამოთქმული ფორმები (*τὰ μέγχι, ἰσῆειν*)

46,16 «რამეთუ რომელსაცა დაემკვდრა ვინ სოფელსა, იწოდა სოფელი თანამოსახელედ მამისა სოფლებისა მის ნათესაეთა და ესა». ხაზგასმული სიტყვები მთარგმნელის ზედმეტ განსაზღვრას წარმოადგენს.

60,24 «რამეთუ რაა უღირდა მას შემთხვევად ბუნებითისა განსაკუთრებისა და თვისებისა და ძმებრივისა ერთსულობისა». ხაზგასმული სიტყვები უდრის 133,11 *ἰὰ τὸ ἑῷ φασμαῖς φασιστορῖας*.

41,2 «რათა პპოვო კეშმარიტი მიწლომაჲ მისი» უდრის ბერძნულს *ἀγχοῖστας* (98,1).

63,24--25 «ვიდრე დღედმდე უკუანაჲსკენელისა აღმოფშვნისა»=*ἰεχρ: ἰδασται* (138,4).

120,18 «და ზღუაჲ უკუე მათ მლტოლვარეთა ფრკიცსავალად მისცემდა თავსა თვისსა». ხაზგასმული სიტყვებით გადმოცემულია ბერძნული *ῥῖστας* (249,13).

მთლიანი ტექსტის გადმოცემის მხრით დამახასიათებელია შემდეგი ადგილი: 61,29 «ამის-თჳს საღმრთოდ ბრძენი ვინმე სულითა შემოსილი კაცთაგანი იტყოდა, ვითარმედ სუბათა ვიდრე-მე ცხოვნებაჲ არა ყოველთა, ხოლო თავთა სუბათა უეჭუელად ყოველთა მიგუეკადების. ხოლო ქრისტეშემოსილი იგი და ესე ვითართა შინა სიტყუთ და საქმით ძლიერი წინაჲსწარგანაკრძალებს და ამცნებს მოწაფესა თვისსა და ესრეთ იტყუს» (უდრის *de Boer* 134,23--135,4. აქ როგორც სიტყვები ა შენაცვლებულ-შებრუნებული რიგით გადმოცემული, აგრეთვე ზედმეტი განმარტებანი და განვრცობანიც მოიპოვება).

§ 7. იმავე თავისუფალი აზროვნების ნაყოფი უნდა იყოს, როდესაც მთარგმნელი ამოკლებს ბერძნულ წინადადებას აზრის დაუმახინჯებლად და გამოსტოვებს ხოლმე ისეთ სიტყვებს, რომლის სინონიმური გამოხატულება უკვე იყო მოყვანილი.

32,10—13 შემოკლებულად არის გადმოცემული ისე, რომ ბერძნული 77,6 ἰσὸν τὴν ἑσπέρην ἡμερῶν ἡμερῶν გადმოთარგმნულად არის დატოვებული, რადგან მთარგმნელს, ჩანს, სრულებით საკმარისად მიაჩნია ამის წინ საზოგადოდ თქმული ἡμέρας ἡμέρας («ღმერთ ჰყოფდეს»).

32,29 «რამეთუ იყვის ოდესმე, რომელ მრავალგზის უბრძნესნიცა ელლენ-თასა მოიპოვიან მათ ღონენი და უმანქნესნი სიკელ ოვენენი». ამ უკანასკნელი სიტყვებით გადმოცემულია ბერძნულში უფრო ვრცლად გამოთქმული აზრი: μαγαθήματα—ἐνέμραξ (79,2).

35,1—2 აქ მოყვანილია დემოკრიტეს (? აზრი სეისა და ბედის შესახებ, რომელიც ბერძნულში (81.21—24) უფრო ვრცლად არის აღსანიშნავია. რომ დემოკრიტეს ასეთი აზრი არ უნდა ეკუთვნოდეს. გიორგი ამარტოლის აქ ყალბად აქვს გაგებული თეოდორი ტეკერელის Graecarum affectionum curatio VI, Simmond-Schulze's გამოცემის ტ. IV. Halae 1772).

ერთ შემთხვევაში ჩვენი მთარგმნელი ამოკლებს ბერძნულ წინადადებას, ალბათ, იმის გამო, რომ იქ მოხსენებულია ადამიანის გვამის სარცხინი ნაწილები: de Boor 384,1—3 ἡρῆσις—ἡμαρῶν τῆς გადმოცემულია საზოგადო სიტყვებით: 194,15 «ძვრძვრითა სახითა სატანჯველთა დათა აიძულედეს შეწამებასა...». ამის საპარალელოდ ჩვენ შეგვიძლიან მეორე ადგილიც დავასახელოთ, სადაც ჩვენი მთარგმნელი ცდილობს უფრო რბილი და ლიტერატურული გამოთქმებით გადმოსცეს სქესობრივი სამყაროს შესახებ მიწებები: de Boor 444,5 ὑπὸ τῆς ἀφροδισιατικῆς ἡμᾶς ἡμᾶς ἀνδρῶν τῆς ἀνᾶλλης; =ქართ. 230,19 «არა-წმიდებთა ბუნებითა და გარეშეთა ბუნებისთა აღსაესე ქმნილმან».

გარდა ზემოთაღნიშნული თვისებებისა ქართულ თარგმანს ახასიათებს წმინდა სტილისტური თავისებურებანი. რომლებიც ან ქართული ენის ბუნებით არის გამოწვეული ან შექმნილია ეპოხის ენითა და მთარგმნელობითი ტენზიკით.

§ 8. თარგმანის მრავალ ადგილას ერთნაირი მიმართულებისა და ხასიათის დამატების გამოჩნატეული სიტყვები პირუკმოა გადმოცემული. ისე რომ? რაც ბერძნულ ტექსტში პირველ ალაგას არის, ის ქართულში მეორეზეა, და პირიქით. მაგ., 19,3 ἔν ἔργῳ καὶ λόγῳ («სიტყვთა და საქმითა» 8,20); 69,16 ἡμᾶς καὶ ἡμᾶς («ძალითა და სიბრძნითა» 28,12). ამ სახით არის ბერძნული სიტყვები პირუკმო შენაცვლებულად გადმოცემულ შემდეგ ადგილებში:

28,17 ძმა რამე მეგობარ არიან. 28,22 თითოსახეთა და ყოვლით-ეკრძოთა. 34,1 მრავალღონიერება და გულისხმიერება. 34,12 გონიერობითა და გულის-ხმის-ყოფითა. 35,1 ბედისაგან და სვსა. 35,4 ნშვდობისა და ბრძოლისა. 35,12 სვსა და იძულებათა. 42,13 შეიკვალეზიან და უმჯობეს იქნეზიან. 43,26 უმამო და უდედო. 53,16 დიდებისა და ჰაეროვნებისა. 54,8 მარხვისა და მოლუწებისა. 64,21 დაფარულისა გულის-ზრახვისა და თვსაგან ქმნილისა მოგონებისა მიერ. 65,12 ცოდვილი და უღმრთოა. 81,1 ოქრო და ვეცხლი. 96,13 მარტოებისა და დაყუდებისა. 96,28 გულთა ჩუენთა და სასმენელთა. 105,33 გულისა და ღვძლისა. 105,34 გული და ღვძლი. 116,28 ცრუწინააღმართეულებნი, მუცლით-მეზღაპრენი. 119,33 პირველი და სრულიადი. 120,34 კელთა და

ფერკთა: 133,19 წარუფალობისა და თულუხუაობისა. 136,15 ქალაქისა და ტაძრისა. 142,31 ეგვპტე და ანტიოქიაჲ. 144,31 ძლეულად და დამდაბლებულად. 148,7 მოაბელნი და ამანიტელნი. 155,2 თავითგან ვიდრე ფერკთამდე. 165,2 შენდობისა ანუ სიტყუას-გებისაჲ. 167,4 შეძინებაჲ და აღორძინებაჲ. 172,16 მწიგნობართა და ფარისეველთა. 174,12 დღე და ღამე. 174,24 სამოციქულოასა და ზუციერისა. 176,24 სიტყუთ და საქმით. 177,26 პარტივის-საცემელ და საკვრველ. 178,6 ღამე და დღე. 179,35 მწიგნობართა და ფარისეველთა. 180,9 სამოციქულოთა და უფროასად საძლდელოთა. 182,9 შეუბულსა და ფუფუნელსა. 182,32 დიდთა და მცირეთა-თჳს. 187,36 ცხოველთა და კაცთასა. 190,32 მკეცებრიობისა-თჳს და კაცთ-მოძულეებისა. 197,22 ქველის-მოქმედისა და შემოქმედისა. 205,21 საწყევლად და საძულელად. 212,35 ტყუილსა და ბრძოლის-მოყუარებასა. 215,5 ჟამისაჲ და ადგილისა. 216,23 სიკოფისა და ბორჯულობისაგან. 222,19 ოქროასა და ვეცხლისათა. 224,4 განმსწავლელმან და მაცხოვნებელმან. 225,31 ერისა და მკედრობისა. 226,29 შენდობისა და წყალობისა. 230,10 სიბრძნე და ძალი. 231,4 მუმონი და ღრიაკალნი. 234,16 ტაძრისა და ქალაქისანი. 241,33 თავეცედობისა და უგულისხმოებისაგან. 242,33 აღურიცხუველ და მიუწდომელ. 243,2 სიკუდილისა და სნეულებისა. 245,21 ასურეთისა და ლაოდიკიისაჲ. 258, 17 ასურთა და მოაბელთა. 268,23,24 მართალი და უბრალოჲ. 275,5 აძულეგბდა და აწუვედა. 276,35 სიდიდესა ზედა და სიკეთესა. 286,35 წესსა და სარწმუნოებასა. 301,15 შიშითა და მწუსარებითა.

ამ ხასიათის ადგილშენაცვლებას არავითარი გამართლება არა აქვს ბერძნულ დედანში¹: ის, ჩვენი აზრით დედნის ვარიანტს კი არ იძლევა, არამედ სრულად მიეწერება ქართველი მთარგმნელის ხელს. ასეთი თავისუფალი შებრუნება სიტყვების გამოწვეული უნდა იყოს ქართული ენის ბუნებით და მთარგმნელის სტილით. სახელდობრ, ჩვენი მთარგმნელი, როდენსაც ის ვითარცა მთარგმნელი თავისუფლად აზროვნობს და ბრმად არ მისდევს დედანს, არჩევს სიტყვების წყობას, რომელიც უფრო ეხერხება ქართულ ენას. თავის-თავად ცხადია, რომ ბუნებრივი ქართული ენა მოითხოვდა «სიტყუთ და საქმით» (8,20: 176,24), «თავითგან ვიდრე ფერკთამდე» (155,2), «დღე და ღამე» (174,12), «დიდთა და მცირეთა-თჳს» (182,32), «ჟამისაჲ და ადგილისა» (215,5), «ოქროასა და ვეცხლისათა» (222,19), ვიდრე პირიქით. თუმცა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. დედნის გავლენა ამ შემთხვევებშიც იჩენს თავს და პარალელურად გვხვდება ისეთი წყობაჲ. როგორც არის «ღამე და დღე» (178,6). სიტყუათა ასეთი თანამიმდევრობაა სწორედ დამახასიათებელი ძველისა და საშუალო ქართულისათვის და დღესაც ქართულ ენას ბუნებრივად აქვს მიჩნეული «სიტყუთ და საქმე», «თავიდან ვებრძოდე», «ღრე და ადგილი», «ოქრო-ვერცხლი» და სხვა, და არა პირიქით.

პირუცხო შენაცვლებულად არის გადმოცემული არა მარტო ცალკე სიტყვები, არამედ რთული წინადადების ნაწილებიც როგორც, მაგ., 73,16 *შაქ ზაჲ ზქა:აჲჲაჲი ზქა:აჲი ზა:ა: ზქა:ჲი ზაქა:აჲი* («საქმეთა მიერ სათნოებისათა და მრავალ-

¹) მხოლოდ ორიდგ შემთხვევაში ბერძნული ვარიანტებიც იძლევიან შებრუნებულ რაგს de Bour 158,6-7; 207,12.

სახეთა ღონეთა სიმარჯვსათაჲ 30,35); 136,19 *εις οματων και σαγγελιων του* *αφελματος* (ამიტყეებაჲ ბრალისაჲ და შენდობისა მიმართ მიდრეკაჲ სასჯელისაჲ 62,33). ასევეა შებრუნებული:

136,25 ვითარ იგი ერთისაგან მეფე ითქუა უმძლესად და სხვსაგან ღვ-
ნოჲ. 195,18 მაჰანი შეილთაგან... მიიტაცებდეს. 203,1 და ესრეთ საძა-
გელქმნილად და განხრწნილად და ყოვლით-ურთ მოძულებულად. 225,3
ძლიერებით მპყრობელქმნილი დარიოსისითგან ვიდრე კვროსისამდე წელ-
თა ორას ოცდაათა.

§ 9. აგრეთვე მთარგმნელის თავისუფლებას უნდა მიეწეროს ის გარემოე-
ბა, რომ ა) დედნის მრავლობითი რიცხვი ხანდახან მხოლოდობითად არის გად-
მოცემული ქართულში, და ბ) მხოლოდობითი რიცხვის მაგიერ ხანდახან მრავლობითი
რიცხვი გვხვდება.

ა) 39,29 წესისა-ებრ. 43,29 ადგილისაგან. 77,3 ქვისაგან პატიოსნისა. 78.25
გმირისა. 81,13 პატიესა. 83,29 მცნებისა. 84,7 დლითა [84,11 წმიდისა.] 87,24
საყვრითა, წინწილითა და ორღანოათა. 92,33 წელიწდისაჲსა. 93,16 ძისა. 95.4
მოსაწყინელად და საძაგელეზად. 105,6 ზრახვასა. 107,18 ანგელოზი. 110,1 სა-
სჯელი. 113,11 საძაგელი. 120,10 განსაცდელისა მათისა. 124,12 ყორნისა. 129,14
ქეთთა. 137,30 ქორი. 145,35 სამეფოათა საქურველითა. 148,10 წიგნი. 154,19
წელიწადსა. 156,29 მატინესა შინა. 160,13 ძელითა და ქეთთა. 172,6 ქსესტისა
და პინაისა. 179,32 მაგალითსა. 251,5 მონაზონისა. 287,33 ყოველსა ერსა.

ბ) 25.26 ერთა. 47,32 წმიდათა ანგელოზთა. 64.2 სათნოებათა. 77,9 კა-
მლნი. 83,14 მახვლნი 83,18 სატანჯველთა საუკუნეთა. 92,1 პირთა. 93.11 ხენი
ყოვლად ნაყოფიერნი. 94,21 საღმრთოთა მსჯავრთაგან. 95,11 საღმრთოთა ღი-
დებათა და გამოცხადებათა. 97,29 სასტიკთა გრივალთა. 103,14 გზათა. 104,10
სასაკუმეველენი. 107,2 სტადიონთა. 110,16 ესოდენთა ჟამთა. 114.11 მოძავალთა
საქმეთა. 119.2 საკუმეველთაჲ. 121,4 სისხლთა. 122,8 ყოველთა ცოდვათა. 123.1
სახლნი საკვრეულნი. 125,19 ყოველნი გზანი. 128,23 მსჯავრნი. 138,11 თეთრ-
თა მარმარილოთა მიერ. 143,15 სიწმიდეთაცა შინა. 145.7 ეტლთაგან. 145.11
უბადრუკთა მათ და საწყალობელთა კორცთა მისთაჲ. 149,19 საცხორებელთა
მოძღურებათა. 149,26 ქედნი. 152,25 სრბათა-ებრ. 155,10 სიბოროტენი. 160,11
ლიტონები ემოსა შესამოსლები. 164.6 გუემანი და წურბანი. 173.35 მისორულთა.
181.13 კორცთა. 195.28 სოფლებისაგან. 206.10 ნათესავთა. 209,27 რანი შე-
ცვალეზანი. 215,21 ეგვიპთართა შეცვალეზათა. 220,30 ხნანი. 221,4 გლოათა.
221,20 მწარენი წყალნი. 223,29 ასურასტანელთა და ბაბილონელთა მიმართ.
231,1 მკირენი სუეტნი. 237,6 ქარტათა. 242,3 ესევითარნი ღიდებანი. 255,9
ბრპენნი წყალთა. 268,29 საღმრთოთა-ებრ სჯულთა. 285,4 სოფლებისაგან. 290.25
ულაბნოთა მახლობელთა. 300.29 საყდართა.

10. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ძეგლში იმ თვისებას, რო-
მელიც უკვე დიდი ხანია შემჩნეულია ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში: მრავალ
შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც ბერძნულში ერთი სიტყვით გამოხატულ-

ლი ცნება ქართულ თაგომანში ორი ერთნაირი ან მონათესავე მნიშვნელობის სიტყვით არის გადმოცემული (შდ. Н. Ма рр, Физическ XXXIII):

27,13 ურთიერთის რაე შერინენ და შეიყვენენ. 27,14 აქუს მდგომარეობაა და მყოფობაა. 27,16 მბრძოლ და დამკნულ არიან. 35,7 დაიკნენს და უჩინო იქმნენს. 58,22 მგლოვარე და შწუხარე. 60,30 მოულოდნებელსა მას და ანაზღა-
ნისა. 60,31 თანაქცევისა და მიყუსობისაგან. 61,3 შრომანი და ჰირნი. 61,4 მოე-
თმინენს და თავს ესხნენს. 63,24 მდაბალ და აღუზუავებელ. 64,16 მართალ და
წმიდა. 72,3 შთავრდომილად და მიდრეკილად. 79,16 ნეშტნი იგი სხუანი. 83,21
დღეკეთილობისა და ბედნიერობისანი. 88,27 სამოთხენი და მტილნი. 98,12 გუე-
ნმის და უწყით. 103,10 განზრახვისა და ნებისა. 111,33 საკუთართა და მიმღოზ-
თა თვსთა. 143,24 მიმკოცუნებული და ფრიად მოხუცებული ჰასაკითა. 143,28
მობზუებულთადა და გარდასრულთა ჰასაკითა. 144,30 განდგომილნი და უვარის-
მყოფელნი. 169,17 ესრეთ მოქალაქენი და ესევითარისა ცხორებისა აღმრჩევე-
ლნი. 170,6 დღისა და ნათლისად (უაზნე). 183,19 დასჯიდეს და განიკითხვიდეს.
187,21 ძმაკულებათა და მრავალლოვნობათა. 192,13 იძულებაა და ჰირი. 196,14
ჰირნი და სახედელნი (შპდე). 196,34 ხმობდეს და იტყოდეს. 208,8 მტილნი
სამოთხენი. 211,32 განსაცდელთა ამბთ მოსაწყევარისა (თუ სუჰაჰარე უაიხთ).
226,20 სიცხითა შხისა შარავანდედთაათა (საი უაი ჰქათ). 228,34 უმკურვალეს და
უტეცხლეს. 229,13 მანიავობელთა და მიმომბუნეველთა. 240,23 ძნელთა და ურწყულ-
თა ადგილთა შინა. 251,23 წინაშესავალნი და წინდნი. 296,13 მბრძოლისა
მის და მძღავრისა. 297,17 თვისისავე სამეფოესა და მეფობისა მიმართ.

ა) ქართული ტექსტის შავსტორეპი.

§ 11. ქართული ტექსტის იმ მრავალ სხვაობათაგან, რომელთაც იჩენს ის ბერძ-
ნულ ტექსტთან შედარებით, თავისთავად ცხადია, ცალკე უნდა იქნეს გამოყო-
ფილი და პირველ რიგში მოხსენებული ის სხვაობანი. რომელთა საფუძველი
ჩვენ უნდა ვეძიოთ ან ბერძნული ტექსტის კულდალ გაგებაში მთარგმნელის მიერ
ან ბერძნულისა და ქართული ტექსტის შერყენებაში დროთა ვითარების გამო. ასე
რომ ამგვარ სხვაობათ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია უწოდოთ „ქართული ტექ-
სტის შეცთომები“. ზოგიერთი ამ შეცთომათაგანი წარმოშობილია ბერძნული
მსგავსი სიტყვების აღრევისგან, ზოგი კიდევ პალეოგრაფიული მიმსგავსებისა ხელ-
ნაწერების შერყენის ნიადაგზე.

45,17 აჰ 16,11 ცხრასა და ორ. შეცთოვა გამოწვეული უნდა იყოს
შინისა (=900) და ყარის (=800) აღრევით.

52,15 იჰ : 19,8 «სამეოცდაათნი». ცხადია აქ შეცთომაა, რადგან ცოტა
ქვევით ამასთან დაკავშირებული რიცხვი სწორად არის გადმოცემული: «სამეოც
და ათორმეტ» (19,10—11)

70,17 რიგ მერგანისა და შაჰბასა: 29,4 «სინხარულად ეშმაკი-
სა». აქ ერთ-ერთ გადამწერის მიერ ქარაგმა უნდა იყოს გახსნილი უმართებუ-
ლოდ. შესაძლებელია თავდაპირველად იყო „სსხრლად“ (=სამახურებლად),
რაც გადამწერმა გახსნა «სინხარულად».

72,26 *ἐξῆλθον*: 30,20 «ეშმაკთა». შესაძლებელია მთარგმნელმა აქ აღრიცხოს სიტყვასთან *ἐξῆλθον*.

81,9 *καταλαβὴν τῆς γῆς* (==შეწვენიერ ხელოვნებით): 34,25 «ელღუნურითა კელოვნებითა». შეიძლება ამ შემთხვევაში არაერთი შეცდომაც არ იყვეს და მთარგმნელს სახიანად ჰქონდეს გადმოცემული. სხვა მხრივ მიზეზის გარკვევა ძნელია.

102,9 *Ἀβραάμ*: 43,21 «ებრაელთაჲსა». შეცდომა შეიძლება წარმოიშობოს იყოს მთავრული ჰაესა და ლასის, მანისა და თანის აღრევისაგან, და ქარაგმანი „აბრამსა“ გაგებულ იქნა „ებრლთსა“.

108,7 *Ἀφραῖ* (==აფრიკეთი): 46,15 «აფრიკელნი», აგრეთვე პალეოგრაფიულ ნიადაგზე აიხსნება.

127,9 *Βαρῖ*: 57,6 «ორიმ». ხომ არა გვაქვს აქ ჩვეულებრივი ქართული შედუღება: ვა—ო?

127,23 *βασίλειον*: 57,19 «მეთისა». ეს შეცდომა უგრძნია ქართული *Λ* ხელნაწერის გადაწერის და ამიტომ აშინაზე მიუწერია ამ ადგილის შესატყვისი თვეები: «მარტი» (ე. ი. პირველი თვე ნისანი), «ივლისი» (მეხუთე თვე ავ), «ფებერვალი» (მეთორმეტე თვე ადარ).

128,15 *καὶ ἐξῆλθον*: 57,22 «ათოთხმეტსა». ჩანს, მთარგმნელს უკანასკნელი სიტყვა წაუკითხავს *ἐξῆλθον*.

138,12 *καταλαβὴν*: 63,33 «სიზმართა». შეცდომა ეკუთვნის მთარგმნელს ან გადაწერს და აიხსნება იმით, რომ იმავე წინადადებაში გვხვდება აგრეთვე სიტყვა «სიზმართა».

176,22 *καταλαβὴν*: 78,30 «ლაშქრობისა» (==*καταλαβὴν*).

177,10 *καὶ ἔλαβον*: 79,44 «ისრაჰლისანი» (<არაბლისანი).

180,25 *καὶ ἔλαβον*: 80,28 «ამის-ძლითი». წარმოშობილია პალეოგრაფიულ ნიადაგზე და აიხსნება მანისა და ძილის აღრევით (უნდა ყოფილიყო «სიყნითი»).

181,2 *καταλαβὴν*: 80,29 «ღასხმათა» „მცნებათა“-ს ნაცვლად. აიხსნება წინა სიტყვის („ფიციტ-დასხმულთა“) გავლენით.

184,9 *καταλαβὴν* (==მიმხილველობასა): 82,25 «კორცსა». შეცდომა გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნული ბერძნული სიტყვის ნაცვლად *καταλαβὴν* წაკითხვით.

187,22 *καταλαβὴν*: 84,20 «ნიჭი» (უნდა ყოფილიყო „ნიში“). ქვევით (85,30) ეს სიტყვა მართლაც „ნიშად“ არის გადმოცემული. ცხადია აქ პალეოგრაფიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: შინისა და ჭარის აღრევასთან. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ სხვა ორ ადგილასაც არის ეს ორი ასო ერთმანერთში არეული: 180,1 *καταλαβὴν* (უნდა იყოს „ნიშთ“) და 180,3 *καταλαβὴν* (ნაცვლად „ნიშთნი“—სა).

193,10 *καταλαβὴν*: 87,20 «და სხუათა ქურქელთა». ჩანს მთარგმნელმა ვერ შესძლო ამ სიტყვების გადმოქართულება და ამიტომაც არის, რომ მის აშინაზე მიუწერია ეს ბერძნული სიტყვები. ასევეა 196,21 *καταλαβὴν*, რომელიც აგრეთვე ვერ გადმოუთარგმნია ქართველს და აშინაზე მიუწერია ბერძნული სიტყვა, და 199,7 *καταλαβὴν* (მცენარეა), რომელსაც საზოგადო სახელით გადმოაგვიგზნა (91,1 «მიჯიჯალამღი»).

195,16 ჰქაიყ (==მომდინარეობდენ): 88,30 «იპოვებოდეს». ჩანს, მთარგმნელს წაუკითხავს *ჰქაიყ* (რაც ფონეტიკურად იგივეა) და გაუგია როგორც *ჰქაიყ*. აღსანიშნავია, რომ I ჰკითხულობს *ჰქაიყ*.

205,6 'Aძეაჯჷ: 94,13 ადრააქსარ». შეცთომა გამოწვეულია წ'სა და წ'ს აღრევით, რაც ბერძნულ ხელნაწერებში ხშირია.

219,11 ბიჯაჷ: საქჷ ბ ბ ი ჯ ა ჯ : 103,6 «მართალნი მართალთათჷს».

227,7 ჟიჷსი: 107,32 ჟერისა» (ნაცვლად «ჩუენისა»).

229,1 პერაჷჯჷ: 108,29 ზგანუქემელად». უნდა ყოფილიყო „განსმენილად“, ე. ი. ყურადღებით.

232,15 ჰიბსიჷ (==წარემართა): 114,26 «მზიარულ იქმნა და განიშუა». ცხადია, მთარგმნელს ჩვენი სიტყვა აურევია ახამ... ძირიდან წარმოებულ რომელსაშე სიტყვასთან.

264,9 ბი ბიჯიჷ: 128,35 ყოვლად დასაწუველად». ბერძნული შეცთომით არის წაკითხული როგორც ბიჯიჷ, რაც მართლა „მსხვერპლის შეწირვას, დაწვას“ ჰნიშნავს.

281,7-8 ჰქაიყ: ჰი ჰქაიყჷ (==ზორობაბელის არხონტობის დროს): 131,1 მთავარნი ზორობაბელისნი». ჩანს, პირველი სიტყვა წაკითხულია მთარგმნელის მიერ, როგორც ჰქაიყჷ.

285,1 ბ' 141,9 «შუღ».

304,10 ბიჯიჷ 154,5 «ნემესიოხს».

314,12 ჰქაიყ 158,23 «თივათაჷსა». წაკითხულია *ჰქაიყ*.

412,14 ბიჯიჷ: 212,13 «ათას სამას ოცდაათ ოთხმეტთა» („ათხუთმეტთა“-ს ნაცვლად). ქვევით 212,17 იგივე რიცხვი სწორედ არის გადმოცემული.

414,1 ბიჯიჷ: 213,6 «შემოკლებეს». უნდა იყოს «შემოკლებეს», როგორც ეს არის სათანადო ციტატაში დანიშნულ 9,24 («შეპოკლებულნი»).

421,8 ბიჯიჷ: 217,20 «ნათელმან». უნდა ყოფილიყო, პირიქით, «ბნელმან».

494,2 ბიჯიჷ: 258,14 «იძლი» და, პირიქით, 495,13 ბიჯიჷ: 259,6 «იძლიზად» არის გადმოცემული გადამწერის შეცთომით.

525,16 ბიჯიჷ: 274,31 «ექუს წელ». ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მთარგმნელს აქ, როგორც ზემოთ 285,1, წაუკითხავს ალბად ბიჯიჷ.

560,1 ბიჯიჷ: 293,17 «ლეღეს». შესაძლებელია აქ გაუგებრობა გამოეწვიოს ბიჯიჷ სიტყვასთან მსგავსებას.

ე) შავიკლავული აღზიდვაი.

§ 12. ჩვენ უკვე ვქონდა ზემოთ მოხსენებულე (§ 7), რომ ქართველი მთარგმნელი ხანდახან წინადადებას ამოკლებს. მაგრამ ამ შემთხვევებში შემოკლება სრულბითაც არ ხდება აზრის სახიანოდ და ეს შემოკლება ყოველ შემთხვევაში ცალკე წინადადებას არ სცილდება. სულ სხვა ხასიათის არის მეორე კატეგორიის შემოკლებანი: საღმრთო წერილის ადგილების მოყვანის დროს, როდესაც საქმე ეხება საღმრთო წერილში გადმოცემულ იმ ვრცელ ამბებს, რომლებიც, იგულისხმება, ყოველი განათლებული კითხველისათვის ცნობილი უნდა იყოს,

ჩენი თარგმანი მოკლედ აღნუსხავს ამ ადგილის შინაარსს ან და მოჰყავს პირველი და უკანასკნელი მუხლები სათანადო ციტატისა, და თავის ასეთ ღონისძიებას ის უთუოდ აღნიშნავს ენობრივად ასეთი შენიშვნებით: «თუ ვითარა», «და შემდგომი და ვითარმედ», «და შემდგომი ვითარ იგი» და სხვა.

ეს ადგილები შექმდებოდა:

de Boor 100,25—101,15 გადმოცემულია ებრაელთა მიმართ 7,1—7 სრულად, ხოლო ქართ. 43,1—8. «მოციქულმან თქუა: „რამეთუ ესე მელქისედეკ მეფე სალემისაჲ მღვდელი ღმრთისა მალღისაჲ“ (==ებრ. 7,1) და შემდგომი ვითარ იგი წარმოიტყვს შემთხვევასა აბრაჰამისსა, კურთხევასა მისსა, და ათეულისა მიღებასა..... და რაოდენსა რას სხუასა წარმოიტყვს მის-თვს, რომლისა დასასრულთა იტყვს ვითარმედ „თვნიერ ყოვლისა ცილობისა უდარესი იგი უარღვისისაჲ იყურთხევის“ (==ებრ. 7,7).

de Boor 104,11—19 მოყვანილია რომაელთა მიმართ 1,21—26 მთლიანად, ხოლო ქართ. 44,29—31 «რომელთა-თვს მოციქული უკუე იტყოდა ვითარმედ „ამაო იქმნეს გულისზრახვითა მათითა და დაუბნელდა უგულისხმოა გული მათი“ (==რომ. 1,21) და შემდგომსა და ვითარმედ „ჰმსახურებდეს...“ (==რომ. 1,25).

de Boor 148,7 შმდ. მოთხრობილია სრულად იგავი მეფის მძიებელ ხეთა შესახებ, რომელიც გადმოცემულია მსაჯულთა 9. თავში. ქართ. 68,14 შმდ: «რომელმან წარმოთქუცა იგავი იგი, თუ ვითარ ხენი მეძიებელნი ცხებად თავისა მათისა მეფისა პირველად ზეთისხილსა მოუედესა..... (და აქ მოცემულია პარაფრაზი მსაჯულთა ტექსტისა)..... «და, დასასრულსა, ვითარ იგი მასვე სიტყუასა ეტყოდეს „ქედესა რათა მეფე იქმნეს მათ ზედა.....» (და აქ სრულად არის გადმოცემული მსაჯულთა 9,14—20).

de Boor 152,2—12 გადმოცემულია სამსონის სიძლიერის ამბავი ლაზელთა ქალაქის აღების დროს და მოყვანილია მსაჯ. 16,1—3. ქართულ ტექსტს (70,8—13) მოკლედ მოჰყავს გიორგი ამარტოლის სიტყვები, ხოლო მსაჯულთა ტექსტიდან მხოლოდ უკანასკნელი მუხლი. ასეთი შემოკლება სტილისტურად გამართლებულია კავშირით «ვითარ იგი».

de Boor 154,1—25 გადმოცემულია მსაჯულთა 20,27-სა და შემდგომ მუხლებში მოთხრობილი ბრძოლა და თეოდორიტეს განმარტებანი ამის შესახებ. ამ ბრძოლას ქართული თარგმანი მხოლოდ მოიხსენიებს: «ამისა შემდგომად მძლე ექმნეს მას და სრულებით მოსპოლეს იგი» (71,9—10=de Boor 153,25) და დასძენს-რა «ვითარცა მოგვთხრობს წიგნი მსაჯულთაჲ» (რაც ბერძნულ ტექსტში არაა), დასაკენის: «და შემსგავსებული უსჯულოებისა მათისა მიეკადა პატეი» (71,10).

de Boor 172,15—173,7 გადმოგვეცემს ფსალმ. 88 და 77. ბერძნული დედნის პირველი მუხლების გადმოთარგმნის შემდეგ ჩენი ტექსტი ასე ამოკლებს შემდგომ მუხლებს: «და რაოდენი რაჲ არს სხუაჲ ესე ვითარი და ვითარმედ „გამოირჩია მან დაეით, მონა თვისი...“ (==ფსალმ. 77,70).

de Boor 178,12—179,1 (II მეფეთა და I პარალიპ. 21-დან) ქართულში გამოტოვებულია, მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ ეს ადგილი შემოკლებულ-

ლად ყოფილა გადმოცემული, ხოლო ეს შემოკლებული ადგილი გადამწერის მიერ არის შეკთომით გამოტოვებული; დარჩენილია მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ჩვენი ტექსტისათვის დამახასიათებელი სიტყვები: «ვითარ იგი წერილ არს» (ქართ. 79,23).

de Boor 261,10—15=ქართ. «და შემდგომი» (127,13). აქ გიორგის შემოკლებულად აქვს გადმოცემული IV. მეფეთა 12. თავში მოთხრობილი ამბები.

de Boor 267,11—14 (=იერემია 8,16) ქართულში მთლად გამოტოვებულია და ამის წინ მოყვანილ იერემიას ციტატებს მიწერილი აქვს «და შემდგომი» (131,11).

de Boor 267,15 შდ. მოყვანილია ადგილები ეხეკ. 26,7 შდ.. ნაწილი ამ ციტატისა ქართულში გამოტოვებულია, რაც აღნიშნულია სიტყვებით «და შემდგომი» (131,15).

de Boor 286,13 მოყვანილია ამის წინ გამოთქმული აზრის დასადასტურებლად დანიელ 12,12. ამის ნაცვლად ქართული ტექსტი სწერს: «ვითარ იგი ცხად ჰყოფს წიგნი ხილვათა მისათა» (142,11).

de Boor 361,7—9 მოყვანილია სრულად ამბაკუმი 1,13. ქართულში (182,1—2) ციტატი შემოკლებულია «და შემდგომსა»-ს დართვით.

de Boor 175,6 *ezzi*—7 *ל:רע* (Psalm. 136,1). ამის ნაცვლად ქართ. 77,34 «და შემდგომი».

de Boor 489,18—20: აქ მოყვანილ ესაია 52,1—2'ს მაგიერ ქართული ტექსტი იძლევა «და შემდგომთა» (255,28), რომლის წინ მოყვანილია ესაია 54,4. საღმრთო წერილის გარდა ქართული თარგმანი ცნობილ ლეთიმეტყველთა ნაწარმოებიდან მოყვანილ ციტატებსაც ამოკლებს.

de Boor 42,19—43,6. აქ მოყვანილი დიდი ბასილის აზრი ასეა შემოკლებული: «სხუამან სხუაა რამე და კუალად სხუამან სხუაა იოცნა დასაბამად და მიზეზად არსთა ყოფისა და ღვომისა და ძრვისა» (14,19—20).

de Boor 144,11—145,19, რომელიც გადმოგვცემს შერეულად ოქროპირისა და თეთონ გიორგის აზრებს, ქართულში ძლიერ არის შემოკლებული (66,32—67,5).

de Boor 61,12—21 წარმოადგენს ციტატას ათანასის Contra gentes 15-დან, რომლის მეორე ნახევარი ქართულში შემოკლებულია. აგრეთვე de Boor 63,24—26 (=ქართ. 24,33 «და კუალად სხუანი სხუათა ესრეთვე»).

de Boor 337,8—338,11 მოყვანილია დიონისი არეოპაგელის აზრი მონაზონთა დასის შესახებ. ქართულში ამაზრის მხოლოდ დასაწყისია მოყვანილი, ხოლო დანარჩენი ასეა შემოკლებული: «და სხუასა რაოდენსა რას წარმოიტყვს იგი ამის პირისა-თვს თავთა შინა საეკლესიოთა მღდელმთავრობისა-თვს თქუელისა მის წიგნისა თვისისათა» (172,21).

de Boor 349,9—353,10 მოყვანილია ოქროპირის აზრი მისი თარგმანებიდან მათეს სახარებისათვის. ქართულ ტექსტს სრულად მოჰყავს მხოლოდ დასაწყისი ნაწილი (de Boor 349,9—350,4), ხოლო შემდეგ ამოკლებს: «და რაოდენსა რას სხუასა წარმოიტყვს ჴენ საღმრთოთა მათ კაცთა უცხოთა ცხოვრებისა და ანგელოზებრივისა მოქალაქობისა-თვს» (179,16).

de Boor 360,15—18 ქართულად ასეა შემოკლებული: «ხოლო ალექსანდრას-თუს, თუ ვითარ არცა თუ ხილუაჲ თავს იღვა დარიოსის ასულთა, ზემოკსნებულ არს» (181,26). ეს წარმოადგენს ის ი დ ო რ ე კ ე ლ უ ზ ი ე ლ ის სიტყვებს (Epp III).

de Boor 378,8—379,4. ქართულში ძალიან შემოკლებულია აქ მოყვანილი ადგილი ევსევის საეკლესიო ისტორიისა, ისე რომ გადმოცემულია მთავარი აზრი, რომელიც ისეთი სიტყვებით არის გამოხატული, რომ ბერძნული ტექსტის თავსა და ბოლოს უღრის. ეს შემოკლება აღნიშნულია სიტყვებით «და თუ ვითარ» (191,16).

de Boor 542,4—543,7 მოყვანილია გიორგი ნაზიანზელის აზრი, რომელსაც ქართული ტექსტი ჩვეულებრივი წესით ამოკლებს, ე. ი. მოჰყავს დასაწყისი (542,4—8) და ბოლო (543,6—7), რომლებიც შეერთებულია ასეთი წინადადებით: «და სხუათა რაოდენთა რათ იტყვს ამათ-თვს თავთა მათ შინა განსაქიქებელისათა, რომელთა ზედა-დაჰრთავს ვითარმედ» (284,4—6).

de Boor 545,21—546,3 იმავე გრიგოლ ნაზიანზელის აზრი ივლიანე განდგომილის შესახებ ქართულში სრულებით გამოტოვებულია და მის ნაცვლად მოხსენებულია, თუ სად ამბობს ამას გრიგოლი: «მეორესა შინა განსაქიქებელსა ამის განდგომილისასა» (285,25—26).

ერთ ადგილას (de Boor 58,2—59,13) ქართული ტექსტი შეზავებულად და შემოკლებულად გადმოგვცემს საღმრთო წერილისა (სიბრძნე და ეკლეს.) და ათანასი ალექსანდრიელის შრომიდან (Contra gentes 7--8) ამოღებულ ციტატებს: «რომელთა განქიქებასა მსახურთაცა და მასმსახურებელთასა ყოვლით-კერძო საღმრთოვსა წერილისა და ღმრთივ სულიერთა მამათა და მოძღუართა წიგნებისა ვრცელად განფენილსა ეჰპოებთ» (22,6—8).

აქამდე მოყვანილი იყო ის ადგილები, რომლებიც თუმცა შემოკლებულია, მაგრამ ატარებენ კვალს ამ შემოკლებისა. და ის გარემოება, რომ ქართული ტექსტი ასეთ შემთხვევებში საჭიროდ თვლის განსაკუთრებულის გამოთქმით («ვიითარ იგი», «და სხუათა რაოდენთა რათ იტყვს» და სხვ.) აღნიშნის შემოკლებული ადგილი, შესაძლებელია იმის საბუთად ყოფილიყო გამოყენებული, რომ ეს შემოკლება ქართველ მთარგმნელს ეკუთვნის და, მაშასადამე, მიეწერება მის ისეთსავე თავისუფალ მთარგმნელობითს აზროვნებას, როგორც ჩვენ § 6—10 დავინახეთ. ეს მით უმეტეს საფიქრებელი იქნებოდა, რომ ზემოთ მოყვანილი ადგილები ბერძნული დედნის ხელითწერილი ტრადიციის ფარგლებში სრულებით განმარტოვებით დგას და არაერთგვაროვანი გამართლება არა აქვს არსებულ ვარიანტებში. მაგრამ ასეთი დასკვნა ჩვენ ჯერ-ჯერობით ნაადრევად მიგვაჩნია. მარტოოდენ ზემომოყვანილი მაგალითები საკმარისად არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ძეგლის ტექსტუალური კრიტიკის იმ დიდი საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც ციტატების შემოკლებას და, საზოგადოდ, გამოტოვებულ ადგილებს ეხება: სახელდობრ, ქართველი მთარგმნელის მიერ არის გამოჩენილი ასეთი თავისუფლება, თუ მის განკარგულებაში იყო ისეთი ბერძნული დედანი, სადაც ზოგიერთი ციტატები, საღმრთო წერილისა და ღვთისმეტყველ მამათა შრომებიდან ამოღებული, შემოკლებულად იყო წარმოდგენილი?

ამიტომ ჩვენ ჯერ-ჯერობით კიდევ განვიარჯობთ ბერძნულისა და ქართული ტექსტების შედარებას ამ მიმართულებით, მით უმეტეს რომ ამ საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებული იქნება, საზოგადოდ, ტექსტუალურ სხვაობათა მიზეზის გამორკვევა.

ლეთისმეტყველთა შრომებიდან ამოღებული ციტატების შემოკლება იმდენად არის ქართულ ტექსტში გავრცელებული, რომ მრავალი შემთხვევაა, როდესაც ციტატი სრულებით ამოღებულია უკვე აღ:

de Boor 49,8—51,10=Chrys. ad Stagir. II,5 (ქართ. 18,25).

de Boor 74,20—75,16=Nonnus ad Gregorium Naz. in Julianum I cp. 72 (ქართ. 31,22). ამის წინა ადგილიც იმავე ნონნეს ციტატას წარმოადგენს, რომელიც ქართულშიც არის დაცული (de Boor 74,4—20=ქართ. 31,11—22).

de Boor 76,18—77,1=Theodoret i Graecarum affectionum curatio I-დან (ქართ. 32,6).

de Boor 77,20—78,1 ამოღებულია თეოდორიტეს იმავე ნაწარმოებიდან (ქართ. 32,23).

de Boor 84,12—88,15 ამოღებულია იქიდანვე II, V და VI წიგნებიდან და შეიცავს პლატონის აზრების განმარტებას, რომელიც მას გამოთქმული აქვს დიალოგებში Timaeus, Politicus, Leges, Gorgias (ქართ. 36,13).

de Boor 89,19—90,2 იქიდანვე წ. II (ქართ. 37,2).

de Boor 90,7—91,19 იმავე ავტორის შრომებიდან De Providentia I და Graec. aff. cur. V (ქართ. 37,5).

de Boor 154,2—25 გადმოცემულია თეოდორიტეს განმარტებანი მსაჯულთა წიგნზე (Quaest. 27) და თვით მსაჯულთა ტექსტიც არის მოყვანილი (ქართ. 71,11).

de Boor 157,1—7=sid. Pelus. Epp. I 380.

de Boor 160,12—165,13 მოყვანილია ციტატები ოქროპირისა და ბასილი კესარიელის შრომებიდან (73,27).

de Boor 169,10—171,11 მოყვანილია ციტატები ისიდორე პელუზიელის შრომებიდან და საღმრთო წერილიდან (ქართ. 76,3).

de Boor 353,11—355,4 თეოდორიტეს შრომებიდან Graec. aff. cur. III და Relig. hist. (ფილოთეონ ისტორია) cp. 30 (ქართ. 179,18).

de Boor 356,9—357,1 თეოდორიტეს შრომიდან Graec. aff. cur. (ქართ. 180,5).

de Boor 475,5—476,1 თეოდორიტეს შრომიდან De Providentia (ქართ. 248,16).

de Boor 522,8—523,2=დიონისი არეოპაგელის De divinis nominibus VIII,8 (ქართ. 274,5).

de Boor 524,9—525,10=ათანასი ალექსანდრიელის Vita Antonii cp. 81. (ქართ. 274,25).

¹⁾ ფრაზილებში აღნიშნავთ ხოლმე ქართული ტექსტის იმ ადგილს, სადაც სხვებულის ციტატი უნდა ყოფილიყო.

უკვლოდ არის გამოტოვებული აგრეთვე საღმრთო წერილის ადგილებიც. de Boor 105,11—24=Genesis 16 (ქართ. 45,10).

გარდა ამისა საღმრთო წერილისა და ლეთისმეტყველთა ზოგიერთი ადგილი საკუთარი სიტყვებით გვევლინება შემოკლებული:

de Boor 44,7—11=ქართ. 15,11 «ვითარ იგი ყოვლით-კერპო წერილისა ღმრთად იწოდებიან მართალნი და ღირნი».

de Boor 167,2—8,=ქართ. 74,24 «და მოაკლა იგი, და აღიღო ყუედრებაჲ მისი ბანაქისაგან ღმრთისა».

§ 13. ეხლა ჩვენ გამოსარკვევი გვაქვს საკითხი. თუ ვის უნდა მიეწეროს ზემოაღნიშნული შემოკლებანი: ქართველ მთარგმნელს, თუ მის დედანს.

თავის ადგილას ჩვენ გვქონდა გამოარკვეული, რომ ქართველი მთარგმნელი ბრმად არ მისდევს დედანს: ის თავისუფლად ეპყრობა ბერძნულ ტექსტს და ალაგ-ალაგ გადაუხევეს ხოლმე მას. მაგრამ ყველაფერი ეს გამოწვეულია ან ქართული ენის ბუნებით ან მთარგმნელისა და ეპოხის სტილისტური თავისებურებებით. და სხვა მხრივ ჩვენი მთარგმნელი ყოველთვის რჩება ბერძნული დედნის ფარგლებში (იხ. § 6—10). უკანასკნელ მუხლში განხილულ შემთხვევებში-კი თარგმანი უკვე გადადის ამ ფარგლებს და იძლევა ისეთ შემოკლებულ ადგილებს, რომელთაც არსებულ, აქამდე ცნობილ ხელნაწერთა ვარიანტებში არავითარი გამართლება არა აქვს. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან ეს შემოკლებანი მთარგმნელს მივაწეროთ.

მართალია, არსებულ ვარიანტებში აღნიშნულ შემოკლებათ არავითარი გამართლება არა აქვთ, მაგრამ ამით როდი წყდება საკითხი შემოკლებათა მიკუთვნებისა ჩვენი მთარგმნელისათვის. პირიქით, არის იმის ნიშნები, რომ აღნიშნული ადგილები შემოკლებული უნდა ყოფილიყო იმ ბერძნულ დედანში, რომელიც ხელთ ჰქონდა ქართველ მთარგმნელს.

თუ როგორია, საზოგადოდ, ხელითწერილი ტრადიცია ბერძნული ტექსტისა, ამაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა მოხსენებული. იქ (§ 1) აღნიშნული იყო, რომ მესინას კოდექსი იჩენს ხრონოგრაფის ერთ ნაწილში მიდრეკილებას საღმრთო-მეტყველო ადგილების შემოკლებისა. აღნიშნული კოდექსი, რომელიც შეიცავს ლოგოთეტის ქრონიკას, აღწერილი აქვს დე ბოორის Byzantinische Zeitschrift-ის VI და X ტომში. ამ უკანასკნელში (Weiteres zur Chronik des Logotheten: *BZ X (1907)* გვ. 76 შდ.) დე ბოორი სწერს: «აქედან» (ე. ი. 327,22 მურალტის გამოკვებით, რადგან მაშინ, 1901 წელს, დე ბოორის გამოცემა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული) «მესინას კოდექსი იძლევა გიორგის ხრონოგრაფის ტექსტს სხვა ტექსტის შეურეველად. მაგრამ იმ დროს როდესაც აქამდე მას ეს შრომა სრულად აქვს გადმოწერილი» და შიგ აქვს შეტანილი ყველა გაზვიადებული თეოლოგიური ადგილები, ამიერიდან ის (თითქოს) იღლება ამ საქციელით და თავს ნებას აძლევს დედანი შეამოკლოს და გამოსტოვოს დიდი თუ პატარა ნაკვთები». და შემდეგ მას მოჰყავს ის შემოკლებული და გამოტოვებული ადგილები, რომლითაც ხასიათდება მესინას ხელნაწერი. ეს გარემოება ჩვენთვის მხოლოდ იმით არის საყურადღებო, რომ, მაშასადამე, გიორგი ანატოლის ხრონოგრაფის

ხელნაწერთ შორის ყოფილა ისეთებიც, რომელთაც თეოლოგიური ადგილები შემოკლებულად ჰქონიათ გადმოცემული. ამავე გარემოებას ადასტურებს მეორე, XI საუკუნის ხელნაწერი, Codex Laurentianus Plut. LXX, რომელიც აგრეთვე ამოკლებს ხოლმე საღვთისმეტყველო ელემენტს (იხ. დე ბოორის გაბ. Praefatio XL). ის ხასიათდება იმით, „dass die theologischen Digressionen in ihm bei weitem weniger umfangreich sind“ (C. de Boor, die Chronik des Logotheten: BZ VI (1897) S. 238).

მაშასადამე, მართალია ქართულ ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს დღემდე მონღოლური ბერძნული ხელნაწერები არ ამართლებენ, მაგრამ ამ გამოტოვებულ ადგილთა საფუძველი ხრონოგრაფის ხელითწერილ ტრადიციაში თვალსაჩინოა.

ესეც რომ ამ იყო, ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს მთარგმნელს მივაწეროთ ესოდენი თავისუფლება. მთარგმნელის მიზანს სრულებით არ შეადგენდა კოპილატური შრომა დაეწერა გიორგი ამართლოს ხრონოგრაფის საფუძველზე, არამედ მან ხრონოგრაფი „ესე ბერძელისაგან ქართველთა ენად“ თარგმნა. და როგორც მთარგმნელს მას კარგად უნდა სკოდნოდა, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა მთარგმნელს მაშინდელი მკითხველი საზოგადოება და მთარგმნელობითი ლიტერატურაც. სახელდობრ, მთარგმნელი უნდა მოჰრიდებოდა „დაკრასა და განმძარვასა წიგნისასა“, როგორც ეფრემ მცირე ამბობს (თ. ურდანი, ქრონიკები I. 216,2): მთარგმნელის მიერ შეიძლებოდა ხან-და-ხან აზრისა თუ ცალკე სიტყვების განმძარტებელი სხოლიოები მოთავსებულიყო წიგნის „კიდესა ზედა“, ხოლო თვითონ დედანი „მარტივად და შეუზავებულად და შეუზებულად“ უნდა ყოფილიყო თარგმნილი“ (იქვე 217; იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წ. I. ტფილისი 1916; გვ. 93 შმდ.).

ყველა ამ მოსახრების გამო ჩვენ ვუვიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული შემოკლებანი გაზვიადებული თეოლოგიური ნაკეთებისა იმ ბერძნულ დედანს უნდა მიეწეროს, რომელიც ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონდა.

§ 14. თუ ქართული თარგმანის შემოკლებულ ნაკეთთა წარმოშობის საკითხი გამორკვეულად შეიძლება ჩაითვალოს ისე, როგორც ეს ზემოთ არის განხილული, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი: ხომ არ ახასიათებდა იმ ბერძნულს, ხელითწერილი ტრადიციით დაუცველს, მაგრამ ქართული ტექსტის საშუალებით შენახულ დედანს საზოგადო მიდრეკილება თავდაპირველი ტექსტის ალაგ-ალაგ შემოკლებისა. აქ საკითხის წამოყენება ბუნებრივად გვეჩვენება, ვინაიდან ბერძნულ ტექსტისა და ქართული თარგმანის შედარება ააშკარავებს, რომ უკანასკნელში შემოკლებულია არა მხოლოდ ლთვისმეტყველთა და საღმრთო წერილის ციტატები. არამედ თვით გიორგი ამართლოს სიტყვებიც. ამ შემოკლებათ, ცხადია, აზრის შერყვნა არ გამოუწვევია: შემოკლება მეტ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ ქართული თარგმანი (resp. მისი ბერძნული დედანი) ან შემოკლებულად გადმოგვცემს გიორგის აზრს, ან, თუ ეს აზრი ერთხელ უკვე იყო მოყვანილი, მხოლოდ შენიშვნას დაურთავს: „ვითარ იგი ზემო მოვიკსენეთ“-ო. ასეა, მაგ., შემოკლებული შემდეგი ადგილები:

de Boor 306,16—21—ქართ. 154,19 «რამეთუ ივინი სრბათა-ებრ ნიო-
ვარისათა რაცხენ წელიწადსა, ვითარ იგი ზემო მოვიქსენეთ».

de Boor 49,5 წი:—7 მთლად გამოტოვებულია ქართულში შეიძლება იმი-
ტომ, რომ ეს აღილი ახალს არაფერს ჰმატებს აზრს (18,15).

de Boor 96,3 *ჰაჰიღიჰაჰა*—5 *საჰაჰაჰაჰა*: მთლად გამოტოვებულია.

de Boor 140,4 *ჯა: ჴაჰა*—24 *იჴაჰაჰაჰა*, რომელიც შეიცავს გიორგის
განმარტებებს საღრმითა წერილის ზოგიერთ ადგილებზე, გამოტოვებულია.

de Boor 144,11—145,19 ძლიერ არის შემოკლებული (იხ. ზემოთ გვ. 36).

გარდა ამისა სრულებით გამოტოვებულია შემდეგი ადგილები:

de Boor 156,10—20.

de Boor 214,19 *ის მრჴ*—215,6.

de Boor 229,14—21 *რ.ჯაჰაჰაჰა*.

de Boor 377,15—25.

de Boor 476,1—8.

de Boor 480,15 *ჯაჯაჰაჰაჰა*—481,6 *ჰაჰაჰაჰაჰა*.

15. ცალკე უნდა იქნეს განხილული ქართული ტექსტის ზოგიერთი, ბე-
ჩვენი პირველი (იხ. სურ. 1) შემთხვევა შარდსაწვეთის გაორკაპებისა ეკუთვნის ხანში შესული მამაკაცის გვამს. ორივე თირკმელი თვალსაჩინო ატროფიის მდგომარეობაშია. მარჯვენას სიგრძე უდრის 12 სანტ., სიგანე 7,5 სანტ., სისქე 3,5 სანტ. მარცხ. თირკმელი სიგრძით 9,5 სანტ., სიგანით 6 სანტ. და სისქით 1,5 სანტ., მეტად გაბრტყელებულია და ფაფახის მოყვანილობა აქვს, დეფორმაციას განიცდის. იგი ზემო ნაწილში უფრო განიერია, ქვემო ნაწილში კი ძალზედ გაწვეტიანებულია და თირკმლის კარები ამ ნაწილში აქვს მოქცეული. ქვემო ნაწილში ლატერალური კიდე ღარებით არის გადაჭრილი. თირკმელებიდან გამოდიან გაორადებული შარდსაწვეთები. არც ერთ თირკმელს მენჯი არ აქვს და შარდსაწვეთები დიდი ფიალების გაგრძელებას წარმოადგენენ. მათ შორის ლატერალური შარდსაწვეთი იწყება ზემო დიდი ფიალიდან, მედიალური—კი ქვემო ფიალიდან. პირველი მათგანი უდრის სიგრძით 23,5 სანტ., მეორე-კი 22 სანტ., ამასთან უკანასკნელი, ესე იგი—მედიალური, მცირე მენჯის საზღვარზედ გადასვლის ადგილას თვალსაჩინოდ არის გაგანივრებული. ორივე შარდსაწვეთი შარდის ბუშტის ძირთან ერთი მეორეს უერთდება, და ჰქმნის გაერთიანებულ მილს, რომლითაც ისინი იხსნებიან შარდის ბუშტში. ეს გაგანივრებული მილი ხუთი სანტიმეტრის სიგრძისა არის. მარცხენა თირკმლიდან გამომავალ შარდსაწვეთებს შორისაც მედიალური იწყება ზემო დიდი ფიალიდან, ლატერალური ქვემოლდან. მედიალური 24 სანტ. სიგრძისა არის, ლატერალური—კი 23 სანტ.-სა.

როგორც მარჯვენა მხარეზედ, ესენიც ერთი მეორეს უერთდებიან შარდის ბუშტიდან ოთხი სანტ. დაშორებით და საერთო მილით იხსნებიან უკანასკნელში. მარცხენა თირკმლის ზემო ნაწილში აორტიდან წარიღინება დამატებითი არტერია თვალსაჩინო კალიბრისა.




სურ. 1.

1. მარჯვენა თირკმელი
2. მარცხენა თირკმელი
3. მუცლის აორტა
4. ქვემო ღრუ ვენა
- 5-6. მარჯვენა გაორკაპებული შარდსაწვეთი
7. მარჯვენა შეერთებული შარდსაწვეთი
- 8-9. მარცხენა გაორკაპებული შარდსაწვეთი
10. მარცხენა შეერთებული შარდსაწვეთი
11. შარდის ბუშტი.

მარცხენა შარდსაწვეთის გაორკაპება.

ვ. კაკოიშვილისა.

მეორე, ცალმხრივი შარდსაწვეთის გაორკაპების ჩვენი შემთხვევა (იხ. სურ. II) ეკუთვნის პატარა ბავშს დედრობითი სქესისას. ამ შემთხვევაში გაორკა-



სურ. II.

1. მარჯვენა თირკმელი
2. მარცხენა თირკმელი
3. მარჯვენა თირკმლის ზედაჯირკველი
4. მარცხენა თირკმლის ზედაჯირკველი

5. მუცლის აორტა
6. მარჯვენა შარდსაწვეთი
- 7—8 მარცხენა გაორკაპებული შარდსაწვეთი
9. შეერთებული მარცხენა შარდსაწვეთი.

3. მარჯვენა შარდსაწვეთის გაორკაპება.

ზ. მაისურაძისა.

გვამი ეკუთვნის ახლადშობილ ბავშს, მამრობითი სქესისას. მიღებულია სამეანო კლინიკიდან. მიზეზი სიკვდილისა არ იყო აღნიშნული.


გაკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ მარჯვენა თირკმლის შარდსაწვეთი, დაწვებული თირკმლის მენჯიდან მენჯის სახლეოვან ხაზამდე, დიდი სუკის კუნთის მედიალურ კიდესთან (m. psoas major), თქოს მარჯვენა საერთო არტერიასთან (a. iliaca communis dextra) გადაჯვარდინებამდე, გაორკაპებულია. აღნიშნულ ადგილიდან შარდსაწვეთი კვლავ ერთდება და ერთი მილის სახით ჩადის მცირე მენჯის ღრუში, სადაც შარდის ბუშტს ნორმალურად უერთდება.

ამნიარად ამ პრეპარატზე მნიშვნელოვანია მარჯვენა შარდსაწვეთის ზემო ნახევარი ანუ pars abdominalis.

რაც შეეხება თვით თირკმლების ფორმას, მათ მდებარეობას, ტოპოგრაფიულ ურთიერთობას და ვასკულარიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა თირკმელი სრულიად არ ეწინააღმდეგებენორმას.

სრულიად ნორმალურია აგრეთვე ორივე თირკმლის ზედაჯირკვლებიც.

მარჯვენა თირკმლის შარდსაწვეთს, რომელიც თავის დასაწყისში ორი ტოტისაგან არის შემდგარი, განსაკუთრებული სათავეები აქვს. გაორკაპებული შარდსაწვეთის ყოველი ტოტი იწყება დამოუკიდებლად, ე. ი. ყოველ მათგანს თავისი საკუთარი დიდი ფილა აქვს. ლატერალური ტოტი გრძელია და იწყება თირკმლის ზემო ნაწილიდან, მის წინა ბაგიდან. თავში ვიწროა, თირკმლის ქვემო ბოლოსთან-კი ოდნავ განიერდება. აგვანიერებულ ნაწილში შიგნითა მხრიდან მოწოლილი აქვს შარდსაწვეთის მეორე მოკლე ტოტი, რომელიც იწყება თირკმლის ქვემო ნაწილიდან, მის უკანა ბაგიდან. დასაწყისში იგი ძლიერ ვიწროა, თირკმლის ქვემო ბოლოსთან-კი საკმაოდ განიერდება და თითქმის ამ სახით გრძელდება შეერთების ადგილამდე. რაკი ამ უკანასკნელ ადგილას ერთ ტოტად გადაიქცევა, იგი უცბად ჩადის მცირე მენჯის ღრუში და ნორმალურად უერთდება შარდის ბუშტს სათანადო მხარეზე.



სურ. III.

1. მარჯვენა თირკმელი
2. მარცხენა თირკმელი
3. მარჯვენა თირკმლის ზედაჯირკვლი
4. მარცხენა თირკმლის ზედაჯირკვლი
5. მუცლის აორტა
6. ქვემო ღრუ ვენა
- 7-8. მარჯვენა შარდსაწვეთის გაორკაპება
9. მარცხენა შარდსაწვეთი
10. მარჯვენა შეერთებული შარდსაწვეთი.

პრეპარტის მიხედვით შეიძლება წამოყენებულ იქნეს შემდეგი დებულებები:


1. მარჯვენა თირკმლის შარდსაწვეთი განიცდის ნაწილობრივ გაორადებას.
2. მისი დაბოლოება ნორმალურია.
3. აღნიშნული ანომალია თანდაყოლილია.
4. ორივე თირკმელი თავის ზედაჯირკვლებით სრულიად ნორმალურია.

4. შარდსაწვეთების ორმხრივი გაორკაპება.

მ. კოკოჩაშვილისა.

პრეპარატი მიღებულია პათოლოგიური ანატომიის ისტიტუტიდან, რისთვისაც მის გამგეს პროფ. ე. ჟლენტს მადლობას უცხადებთ.

ეს შემთხვევა იყო ნახული ქალის გვამში (იხ ს. IV); მარჯვენა და მარცხენა თირკმლები ჩვეულებრივი ოდენობის და ფორმისაა. მარჯვენა თირკმელს აქვს დამატებითი არტერიული ტოტი. თირკმლების ფრონტალურ ნაკვეთზედ მოჩანს, რომ ყოველი თირკმელი გაყოფილია შუაში გარდიგარდმო მიმართულებით. ზემო



სურ. IV

1. მარჯვენა თირკმელი. 7—8. გაორკაპებული მარცხენა შარდსაწვეთები
 2—3. მარცხენა თირკმელი (ფრონტალ. ნაკვეთი) 9. შეერთებული მარცხენა შარდსაწვეთები
 4—5. გაორკაპებული მარჯვენა შარდსაწვეთი 10. საშვილოსნო
 6. შეერთებული მარჯვენა შარდსაწვეთები 11. შარდის ბუშტი.

ნაწილს, ისე როგორც ქვემოთა, აქვს საკუთარი სისხლის ძარღვები და დანო-
 უკიდებელი საშარდე სისტემა. დიდი ფიალები (Calyces majores) არ უერთდებ-

ბიან ერთი მეორეს. ისინი არ ჰქმნიან თირკმლას მენჯს, არამედ დამოუკიდებლად გადადიან შარდსაწვეთებში. მარჯვენა შარდსაწვეთები ორივე განცალკევებული არიან მთელ სიგრძეზედ. ზემო შარდსაწვეთი 30 ctm. სიგრძისა, მხოლოდ ქვემო — 25 ctm. მარჯვენა შარდსაწვეთებში უახლოვდებიან ერთი მეორეს შარდის ბუშტის კედლის სისქეში და 1 ctm. სიგრძეზედ წარმოადგენენ მთლიან შარდსაწვეთს. მარცხენა შარდსაწვეთები ერთი მეორის გვერდით მდებარეობენ.

ეს შარდსაწვეთები თითქმის ქვემო მესამედში უერთდებიან ერთი მეორეს და მთლიანი შარდსაწვეთის სახით შედიან ბუშტში. შეერთებული შარდსაწვეთის სიგრძე უდრის 8 ctm. ხოლო შეერთებამდის ზემო — 71 ctm. და ქვემო — 20 ctm. ორივე შეერთებული შარდსაწვეთი, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა, იხსნება შარდის ბუშტის ძირის ზემო კუთხეებში თითო ხერხლით ნორმის თანხმად.

ამ რიგად ჩვენ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი:

1. ორთავე თირკმელს არა აქვს თირკმლის მენჯი.
2. შარდსაწვეთები ოთხია. მათ შორის მარცხენა მხარეზე მათი შეერთება ხდება დაახლოვებით ქვემო მესამედში; მარჯვენა მხარეზე კი შარდის ბუშტის კედლის სისქეში; მაგრამ ორივე შემთხვევაში ისანი შარდის ბუშტში ნორმის თანხმად ორი ხერხლით იხსნიან.
3. ყოველი თირკმელი შეიძლება გარდიგარდმოდ გავყოთ და მივიღოთ ორის მაგიერ ოთხი თირკმელი, შეკავშირებული წყვილწყვილად. ყოველივე ნაწილს დამოუკიდებლად აქვს როგორც სისხლძარღვთა სისტემა, ისე საშარდე.

მარჯვენა შარდსაწვეთის გაორკაპება.

მ. კოკოჩაშვილისა.

დროულად დაბადებული ბავშვის გვამი დედრობითი სქესისა. მუცლის და გულმკერდის ღრუების განკვეთისას თვალსაჩინო ცვლილებები არ შეგვიჩვენებია ორგანოების მხრივ, გარდა მარჯვენა თირკმლის შარდსაწვეთებისა.

მარჯვენა თირკმელი, ისე როგორც მარცხენა, წილობრივია. ერთი ღარი, უფრო მკაფიოდ გამოხატული, გადასჭრის თირკმელს გარდიგარდმო ორ ნაწილად: ერთი ზემო, უფრო დიდი და მეორე — შედარებით მცირე. თირკმლას კარში შეიჭრება ორი არტერიული ტოტი ზემო და ქვემო ნაწილებისათვის. ეს არტერიული ტოტები წარმოადგენენ მთავარ თირკმლის არტერიის გაორადებას, რომელიც თირკმლის წინ მოხდა 3 ctm. დაშორებით. გარდა ორი არტერიული ტოტისა, თირკმლის კარში ჩვენ ვხვდებოდა ორი შარდსაწვეთი: ზემო და ქვემო. როგორც ზემო ისე ქვემო შარდსაწვეთები წარმოადგენენ დიდი ფიალების უშუალო გავრცელებას. ეს ორი შარდსაწვეთი ზემო და ქვემო ერთი მეორეს ეჯვარედინებიან ორ ადგილას: ერთი გადაჯვარედინების ადგილი — მარჯვენა თირკმლის ბოლოს დონეზე ხდება, მეორე — მცირე მენჯის საზღვროვან ხაზზე.

ამ მეორე გადაჯვარედინების შემდგომ ეს ორი შარდსაწვეთი ერთი მეორეს გვერდში მდებარეობს და მათი მიმართულება პარალელურია. ისინი ერთი მეორეს შეუერთდებიან 1 ctm. დაშორებით შარდის ბუშტიდან და შედიან შარდის ბუშტში ერთი მთლიანი შარდსაწვეთის სახით.



სურ. V.

1. მარჯვენა თირკმელი
2. მარცხენა თირკმელი
3. მარჯვენა თირკმლის ზედაჯირკველი
4. მარცხენა თირკმლის ზედაჯირკველი
5. მუცლის აორტა
6. ქვემო ღრუ ვენა
- 7-8. მარჯვენა გაორკაპებული შარდსაწ.
9. მარჯვენა შეერთებული შარდსაწვეთი
10. მარცხენა შარდსაწვეთი
11. შარდის ბუშტი.

6. შარდსაწვეთების ორმხრივი გამოკლება.

ა. მალაევის.

ახლად დაბადებული ბავშვის გვამი მამობრივი სქესისა, სიგრძით 44 სანტიმეტრი, წონით 2050 გრამი—გაკვეთილი იყო უნივერსიტეტის ანატომიური ინსტიტუტის პროზექტურაში 14 მარტს 1924 წელს.

აღნიშნულ გვამს ორივე თირკმელზედ შარდსაწვეთები წყვილ-წყვილად აღმოაჩნდა. თირკმლებს ცერცვის მაგვარი ფორმა აქვთ, ზედაპირი ღარებით არის დასერილი, რის გამოც ნაწილაკოვანი აგებულება მკაფიოდ არის გამოხატული; ორივე თირკმელი შუაში არსებული ღრმა გარდიგარდმო ნაპრალით ორ ნაწილად იყოფა: ზემო პატარა და ქვემო დიდ ნაწილად. თირკმლების კარში მოთავსებულია არტერია, ვენა და ორ-ორი შარდსაწვეთი. თირკმლების ზემო ბოლოს საკმაოდ ჩაღრმეული ღარში ჩასმულია თირკმელსზედა ჯირკვლები.


თირკმლები წელის უკანა კედელზე მდებარეობენ, ისე რომ შუა ბოლოები შუა ხაზს უფრო დაშორებული არიან, ვიდრე ქვემო ბოლოები. ზემო ბოლოები ესაბამებიან გულმკერდის მე. XII მალის დონეს, ქვემო ბოლოები—წელის მეოთხე მალის დონეს, ამასთანავე მარჯვენა თირკმელი ოდნავ უფრო ქვევით არის დაშვებული.

თირკმლებს კარგად განვითარებული ცხიმოვანი კაფსულა აქვთ, წინიდან პერიტონეუმით გადაფარებული. მარჯვენა თირკმლის სიგრძე უდრის 4,4 სანტიმეტრს, სიგანე—2,5 სანტი; მარცხენა თირკმლის სიგრძე-კი—4,5 სანტი. და სიგანე 2,2 სანტი. უდრის.

ა. მარჯვენა თირკმლის შარდსაწვეთები.

მარჯვენა თირკმლის კარის ზემო ნაწილში მოთავსებულია არტერია, ვენა და ზემო შარდსაწვეთი, რომელიც თირკმლის ზემო ნაწილიდან გამოდის, ქვემო

ნაწილში თირკმლის ვენის ტოტია და მეორე ქვემო შარდსაწვეთი, რომელიც თირკმლის ქვემო ნაწილიდან გამოდის. აღნიშნულ შარდსაწვეთთა შორის დაახლოებით ერთი სანტიმეტრის მანძილია. შარდსაწვეთები თანასწვრივად ეშვებიან ქვევით, ერთი ლატერალურად, მეორე მედიალურად.



სურ. VI.

- | | |
|-------------------------------|------------------------------|
| 1. aorta | 11. gland. suprarenalis sin. |
| 2. v. cava inf. | 12. ureter dext lat. |
| 3. art. iliaca comm. dext. | 13. ureter dext. med. |
| 4. v. iliaca comm. dext. | 14. ureter dext. lat. |
| 5. art. iliaca ext. dext. | 15. ureter sin. med. |
| 6. art. iliaca ext. sin. | 16. vesica urinaria |
| 7. v. renalis sin. | 17. musc. psoas major dext. |
| 8. ren dext. | 18. musc. psoas major sin. |
| 9. ren sinis. | 19. diaphragma |
| 10. gland. suprarenalis dext. | |

პირველის სიგრძე უდრის 8,2 სანტ., მეორისა—7,0 სანტ., ამავე დროს მედიალური შარდსაწვეთის მუცლის ნაწილი უდრის 5,4 სანტ., მენჯის ნაწილი

—2,8 სანტ., ლატერალური შარდსაწვეთის მუცლის ნაწილი უდრის 4,2 სანტ., მენჯისა 2,8 სანტ., მედიალური შარდსაწვეთი იწყება წელის მეორე მალის დონეზედ ჯერ ჰორიზონტალური მიმართულებით მიდის და შემდეგ უხევს ქვევით, წება ქვემო ღრუ ვენის გვერდით, დიდი სუკის კუნთის წინა ზედაპირზე. გაივლის თუ არა 8 სანტ. წელის მეოთხე მალის დონეზე, ის ოდნავ ლატერალურად იდრიკება და ლატერალური შარდსაწვეთის გვერდით წება.

ლატერალური შარდსაწვეთი წელის მესამე მალის დონეზე იწყება, თირკმლის ქვემო ბოლოს უკან წება და წელის მეოთხე მალის დონეზე, დიდი სუკის კუნთის წინა ზედაპირზე თავსდება. შემდეგ ორივე შარდსაწვეთს ერთ და იგივე პარალელური მიმართულება აქვს. მცირე მენჯის ძირთან აღნიშნული შარდსაწვეთები ერთი მეორის დამოუკიდებელი შედიან შარდის ბუშტის კედელში, ჩვეულებრივი ირიბი მიმართულებით. ამ კედელში მოთავსებული შარდსაწვეთის სიგრძე უდრის 0,4 სანტიმეტრს.

ბ. მარცხენა თირკმლის შარდსაწვეთები.

მარცხენა თირკმლის კარებში წინა არტერია ძვეს, მის შემდეგ ვენა და უკან ორი შარდსაწვეთი. მათ შორის ზემო—თითქოს თირკმლის ზემო წილიდან გამოდის, ქვემო-კი 1,2 სანტ. დაშორებით თირკმლის ქვემო წილიდან გამოდის. როგორც მარჯვენა მხარზედ, აქაც შარდსაწვეთები უმეტეს თავის სიგრძეზედ პარალელურად წვანან; მათ შორის მედიალური შარდსაწვეთის სიგრძე უდრის 8,5 სანტ., ხოლო ლატერალურისა 7,5 სანტ., მედიალური შარდსაწვეთის მუცლის ნაწილის სიგრძე უდრის 4,7 სანტ., მენჯისა—3,8 სანტ. ლატერალური შარდსაწვეთის მუცლის ნაწილის სიგრძე უდრის 4,0 სანტ., მენჯისა—3,5 სანტ..

მარცხენა თირკმლის მედიალური შარდსაწვეთი იღებს დასაწყისს წელის მეორე მალის დონეზედ, თითქმის სწორი კუთხის ქვეშ, იდრიკება შიგნით და ქვევით და წება აორტას და დიდი სუკის კუნთს შორის.

ლატერალური შარდსაწვეთი იწყება წელის მეორე მალის დონეზედ, წება მედიალურ შარდსაწვეთთან ერთად. წელის მეოთხე მალის დონეზე ეს შარდსაწვეთები გადაეშვებიან თემოს სისხლარს ძარღვებზედ, ჩაეშვებიან მცირე მენჯის ღრუში და თავდებიან შარდის ბუშტსა და სწორ ნაწლავს შორის. მცირე მენჯის ძირის მიდინაში შარდსაწვეთები დამოუკიდებელი შედიან, ჩვეულებრივი ირიბი მიმართულებით შარდის ბუშტის კედელში. შარდსაწვეთების სიგრძე ბუშტის კედელში უდრის 0,4 სანტ. აწერილი ოთხი შარდსაწვეთი პერიტონეუმის უკან მდებარეობს, კარგად განვითარებულ ცხიმოვან ქსოვილში. მათი ფორმა ცილინდრიულია, კალიბრი დაახლოებით უდრის 0,3 სანტიმეტრს.

შარდის ბუშტის ორივე მხრიდან ორ-ორი ხერეელი არსებობს. მათ შორის ზემო-ლატერალური ხერელები თირკმლის ქვემო ნაწილს შეესაბამებიან, ქვემო მედიალური ხერელები-კი—ზემო ნაწილს.

ზემოთაღწერილი არსებობის შესაძლებელი კავშირის გამოსაკვლევად შარდსაწვეთებს შორის თირკმელში, მე მოვახდინე ინიექცია ელვარტინის მასით ქვემო შარდსაწვეთიდან; მასამ აავსო მხოლოდ თირკმლის ქვემო დედი წილი, ზემო-კი სრულიად უავისუფალი დარჩა. ამისგანა მე გადაწყვიტე გამეკეთებინა მარჯვე.


ნა თირკმლის ჰისტოლოგიური პრეპარატი საციტალური მიმართულებით. თირკმელი გარედან დაფარულია ფიბროზული კაფსულით (capsula fibrosa), რომელიც წარმოდგენილია მკვრივ შემაერთებელ ქსოვილოვანი გარსით; მის ქვეშ ძვეს თხელი შემაერთებელი ქსოვილოვანი გარსი, რომელიც წყლტუ კუნთოვან ბოქკოებს შეიცავს, ცნობილ tunica muscularis, უკანასკნელი მკიდროდ უკავშირდება თირკმლის ნივთიერებას

თირკმლის ნაკვეთის წინა ნაპირზედ, რომელიც შეესაბამება თირკმლის წინა ზედაპირს, არსებობს თირკმლის მაკროსკოპიული აღწერის დროს აღნიშნული ღრმა ნაპრალი, რომელიც მას ჰყოფს ორ ნაწილზედ (იხ. სურ. VII). კუნთოვანი გარსის ქვეშ უშუალოდ მოთავსებულია ქერქოვანი ნივთიერება, რომელიც ჰქმნის ორგანოს ზერელე შრეს. მისგან წარიდინებიან ტვინოვან ნივთიერებაში მორჩები, რომლებიც ცნობილი არიან columnae renalis Bertinii-ს სახელწოდებით.

იქ, სადაც ღრმა ნაპრალი არსებობს, ქერქოვანი ნივთიერება შეკრილია ორგანოს ტვინოვან ნაწილში, აღწევს უკანა ზედაპირს და ამრიგად სკრის მას ორ ნაწილად ზემოსა და ქვემოდ.

ძლიერი ვადიდების დროს საზღვარზედ შემაერთებელი ქსოვილოვანი ბოქკოები არა ჩანს, ისე რომ თირკმლის ზემო ნაწილის კლაკნილი მილაკები ახლო მეზობლად არიან თირკმლის ქვემო ნაწილის კლაკნილ მილაკებთან.

ამგვარად საციტალურ ნაკვეთზე თირკმლები ორი ნაწილისაგან შესდგებიან, რომელნიც ერთი მეორისაგან გამოყოფილი არიან ქერქოვანი ნივთიერებით. თირკმლის ზემო ნაწილის ტვინოვანი ნივთიერება წარმოდგენილია მხოლოდ ერთი, კონუსის-მაგვარი სხეულით — pyramis renalis Malpighii, რომლის ფუძე თირკმლის უკანა ზედაპირისაკენაა მიმართული და ჩართული ქერქოვან ნივთიერებაში, მწვერვალი კი მიმართულია წინ და შიგნით. ამ პირამიდის დერილი — papilla renalis — გარშემოვლ-



სურ. № VII

1. წინა ზედაპირი. 2. უკანა ზედაპირი. 3. თირკმლის გარდღივადმო ნაპრალი. 4. ქერქოვანი ნივთიერება, რომელიც სკრის თირკმელს ორ ნაწილად.
5. ზემო ბოლო. 6. ქვემო ბოლო.

ბულია ფირფიტოვანი ლულით — *calix renalis*. ეს პატარა ფილა თითქოს წარმოადგენს თირკმლის ზემო ნაწილის მენჯს, რომელიც უშუალოდ ზემო შარდსაწვეთში გადადის. თირკმლის ქვემო ნაწილის ნივთიერება ჰქმნის ექვს, კონუსის მგავარ მალპიჯის პირამიდას. ამ პირამიდების დერილები გარშემოვლებულია ფირფიტოვანი ლულებით, ფიალებით — *calices renalis minores*. ეს პატარა ფიალები შეერთებული არიან და ჰქმნიან ორ დიდ ფიალას — *calices renalis majores*, რომელთაგან ერთი მდებარეობს ზემოსა და მეორე-კი ქვემო ბოლოზედ.

ეს ფიალები ერთმანეთს ერთიან და ჰქმნიან ერთს კონუსისმგავარ პარკს, თირკმლის მენჯს — *pelvis renalis*, რომლის უშუალო გაგრძელებას ქვევით შარდსაწვეთი შეადგენს.

შარდსაწვეთების *duplicatio* შეიძლება აიხსნას მისი ემბრიონალური განვითარებით. შარდსაწვეთების ზედმეტი რაოდენობის განვითარების ასახსნელად მრავალი თეორიები არსებობს.

Kölliker-ის აზრით თირკმელი შარდსაწვეთისაგან ვითარდება. უკანასკნელი თავისი ზემო ბოლოთი მიიმართება ჩანასახის თავის ნაწილისაკენ და, ტოტიანდება თუ არა თავის ზემო ბოლოზედ, წარმოქმნის თირკმელს.

Braun-ის აზრით შარდსაწვეთების ზემო ბოლოს დატოტიანებისაგან წარმოდგებიან ვაჰოტანი გზები — თირკმლის მენჯი, ფიალები და სწორი მილაკები; ამავე დროს *Wolff*-ის სხეულის უკან შეიქმნება უჯრედთა გროკა, რომელიც წარმოადგენს, მისი აზრით, მონაწილე თირკმლის საძირკველს.

Herfvig-ის, *Kupfer*-ის, *Петровის* და სხვათა აზრით მიღებულია, რომ შარდსაწვეთები წარმოიქმნებიან *Wolff*-ის სხეულის კალდალური ნაწილის დორხალური კედლის გამობერილობისაგან. ეს გამობერილობა მიიმართება ზემოთ თირკმლისაკენ, ქვემოთ კი *Wolff*-ის სხეულის საშუალებით იხსნება შარდსასქესო სინუსში (*sinus urogenitalis*). ორმაგი შარდსაწვეთების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ *Wolff*-ის სხეულის აღნიშნულ ადგილზედ გაჩნდება ორი გამობერილობა. იმისდა მიხედვით, თუ რა მანძილზედ წარმოიქმნება მეორე გამობერილობა, შეიძლება მივიღოთ სხვა და სხვა შემთხვევა: თუ მეორე გამობერილობას დაბალი მდებარეობა აქვს, მაშინ მივიღებთ მხოლოდ გაორადებულ შარდსაწვეთს, რომელსაც შარდის ბუშტის კედელში ორი ხერხელი ექნება; თუ მეორე გამობერილობას მაღალი მდგომარეობა აქვს, მაშინ მივიღებთ მხოლოდ გაორკაპებულ შარდსაწვეთს, რომელსაც შარდის ბუშტის კედელში მხოლოდ ერთი მხრიდან ერთი ხერხელი ექნება.

შარდსაწვეთის შეიძლება ეგრეთვე ბრმა ბოლო ჰქონდეს, იმ შემთხვევაში, თუ ის *Wolff*-ის არხს მოსცილდა და არ გაიხსნა შარდის ბუშტში. ერთ შემთხვევაში შარდსაწვეთმა შეიძლება ლორწოიან გარსს მიაღწიოს, მეორეში-კი — მხოლოდ კუნთოვანს.

ვინაიდან შარდსაწვეთის ზემო ბოლოს დატოტიანების ნიადაგზედ, *Hertig*-ის *Braun*-ისა და *Semper*-ის თეორიათა მიხედვით, წარმოიშობა თირკმლის მენჯი და თირკმლის დანარჩენი ექსკრეტორული ნაწილები, ამით აიხსნება ორი თირკმლის მენჯისა და თვითიული მათგანისათვის ცალკე *calices* არსებობა.

რაც შეეხება თირკმლის სეკრეტორულ პარენქიმას, იგი ვითარდება გამოძრავი მილებების დამოუკიდებლად და უერთდება მათ მხოლოდ მეორადი შეხორცების საშუალებით.

ყველა ზემო ნათქვამის თანახმად გასაგები ხდება, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ჩვენს შემთხვევაში თირკმლის მხოლოდ ექსკრეტორული ნაწილის ანომალიის განვითარება.

გარდა ზემოაღნიშნული ანომალიისა, ჩვენს გვამს ქიაყელა ნაწლავის მდებარეობაც ვარიანტული აღმოაჩნდა. ბრმა ნაწლავი თემოს მარჯვენა ფოსოში ძვეს და ჭფარავს მარჯვენა შარდსაწვეთს მცირე მენჯის საზღვართან. ბრმა ნაწლავის კონუსებურ ბოლოდან ქიაყელა ნაწლავი მიდის ირიბად ზევით, მარჯვენა თირკმლის ლატერალურად წვება, ლეიძლის ქვემო ზედაპირს აღწევს და ეხება ნაღლის ბუშტის ძირს. აქ იგი წინ და მედიალურად იდრეკება, კოლინჯის მარჯვენა ნაკეცზედ წვება და პერიტონეუმის ნაოკებით კოლინჯის ნაკეცს უკავშირდება. ქიაყელა ნაწლავის ბრმა ბოლო თავისუფლად ჰქიდა ნაკეცზედ და მუცლის ღრუს წინა კედლისაკენ იყურება. ქიაყელა ნაწლავის სიგრძე უდრის 5,2 სანტ. მთელ თავის სიგრძეზედ იგი მჭიდროდაა შეზრდილი ასწვრივ კოლინჯთან და მისი პერიტონეალური საფარველის ქვეშ ძვეს.

ვითავებ რა პრეპარატის მოკლე განხილვას, მსურს მოგახსენოთ სხვა ავტორთა აზრი შარდსაწვეთების დუპლიკაციის შესახებ.

Strubel აზრით ერთ თირკმელთან ორი ისეთი შარდსაწვეთის არსებობა. რომელიც შარდის ბუშტის სათანადო ნახევარს უკავშირდება, შესაძლებელია იყოს ნიშანი იმისა, რომ ასეთი ორმაგი შარდსაწვეთების მქონე თირკმელი განვითარებულია ორი გაკალკევეზულად არსებული პირვანდელი დასაბამისაგან.

Förster ალენშნაეს, რომ შეზრდილი თირკმლის შემთხვევაში ხანდისხან შარდსაწვეთების რიცხვი მომატებულია, ხან-კი, თუმცა ძალიან იშვიათად, მათი რიცხვი პირიქით მოკლებულია, ისე რომ შეზრდილ თირკმელს აქვს მხოლოდ ერთი შარდსაწვეთი.

Высоковичი აღწერს შემთხვევას, როდესაც მარცხენა თირკმელი არ არსებობდა, ხოლო მარჯვენა თირკმლიდან ორი შარდსაწვეთი გამოდიოდა.

ამ უკანასკნელი შემთხვევის მიხედვით Е φ р е м о в ი ამბობს: მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა მხოლოდობით თირკმელს ორი საკუთარი შარდსაწვეთი ჰქონდეს, მხოლოდ ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათი უნდა იყოს, და, თუ ასეთ შემთხვევას დაუშვებთ, უნდა წარმოადგინოთ, რომ სუბაქტს ერთ მხარეზედ სრულიად მოსპობილი ჰქონდა უნარი თირკმლის ჩასახვისა და სამაგიეროდ ამ ნაკლის ასანახლაურებლად მეორე თირკმელს უნდა მიეღო თავის თავზედ ზრდის გადამეტებული ფუნქცია, რომლის შედეგი იქნებოდა ორი შარდსაწვეთის განვითარება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ე ფ რ ე მ о в ი თითონვე უარყოფს ასეთ დებულებას. იგი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ორი თირკმლის განვითარების დროს ასეთს საწინააღმდეგო მოვლენებს ჰქონდეს ადგილი, ვინაიდან ყოველი ორგანო ვითარდება სრულიად დამოუკიდებლად და, თუ რომელიმე თირკმელი არ განვითარდა, იგი როგორც ბიოლოგიური ერთეული სრულიად უნდა გაქრეს. ე ფ რ ე მ о в ი ეყრდნობა ამ მოსაზრებებს და ამბობს „საკუროა მეტი სიფრთხილე ორი შარდსა-

წვეთის მიხედვით მხოლოდობითი თირკმლის დიაგნოზის დასმაში და უფრო მისაღებია ორი შარდსაწვეთის არსებობის დროს ვიფიქროთ, რომ არსებობს შეზრდილი თირკმელი.

მისივე აზრით ხშირად ორ შარდსაწვეთად თვლიან ერთი შარდსაწვეთის გაორკაპებას. რომელიც შეიძლება არსებობდეს ნაწილობრივ სხვადასხვა მანძილზე. ლი, მართლაც, მას ენახა ორი ასეთი პრეპარატი ხარკოვის უნივერსიტეტის პათოლოგიურ მუზეუმში, რომელიც სხვა ავტორების მიერ იყო აღწერილი პირველ შემთხვევაში მარჯვენა თირკმლის ყოველ დიდ ფიალას ჰქონდა საკუთარი შარდსაწვეთი, რომლებიც მიდიოდნენ დამოუკიდებლად შარდის ბუშტამდე და აქ უერთდებოდნენ ერთმანეთს. ამავე შემთხვევაში მარცხენა თირკმელსაც ორი დიდი ფიალა ჰქონდა, რომლებიც ერთმანეთთან 3 სანტიმეტრის მანძილზე იყვნენ დაშორებული. ყოველი დიდი ფიალიდან გამოდიოდა თითო შარდსაწვეთი და მცირე მანძილის გავლის შემდეგ უერთდებოდა ერთი მეორეს.

მეორე შემთხვევაში ორივე თირკმელს თითო-თითო დიდი ფიალა ჰქონდა. როგორც ნელთაგან სრულიად დამოუკიდებლად ორ-ორი შარდსაწვეთი გამოდიოდა. მთელთაგან სიგრძეზედ ყოველი შარდსაწვეთი მიდიოდა ცალ-ცალკე შარდის ბუშტამდე სადაც შარდსაწვეთების ყოველ წვეთს გაგანიერებულსა და ნორმალურ ადგილას ხერხეული ჰქონდა. ეფრემოვი ორივე შარდსაწვეთს თვლის შარდსაწვეთების გაორადებად და არა გაორკაპებად, იმ მოსაზრების გამო, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი.

Delmas-ის აზრით შესაძლებელია მხოლოდობითი თირკმლის არსებობა ორი შარდსაწვეთით, რომლებიც იხსნებიან შარდის ნორმალურ ადგილას; შესაძლებელია ერთის მაგიერ ერთსა და იმავე მხარეზედ ორი თირკმლის არსებობა, რომლებიც ან შეზრდილი არაან ერთმანეთთან ან სრულიად დამოუკიდებელი; შესაძლებელია ერთი ან ორი შარდსაწვეთი, რომელიც შარდის ბუშტში ნორმალურ ადგილას იხსნება, ორკაპდებოდეს, რის შედეგადაც თვითეთულის ტოტი ცალკე თირკმელს უერთდება ან-და ერთ-ერთ მათგანი ბრმად ბოლოვდება.

E. Magni და P. de Favento თავიანთი შემთხვევების მიხედვით შარდის სისტემაში სხვადასხვა ანომალიებს არჩევენ: ორმაგ თირკმელს ერთ ან ორივე მხარეზედ, გაორადებულ შარდსაწვეთებს, ჯვარდინა შარდსაწვეთებს, რომლებიც იხსნებიან სასქესო ორგანოებში და სხვას. ცნობილია აგრეთვე თითო-ორი შარდსაწვეთი, როდესაც თირკმლები შარდის ბუშტთან ხუთი ან ექვსი შარდსაწვეთით იყო შეკავშირებული.

Шевкуненко-ს აზრით შემთხვევები შარდსაწვეთების გაორკაპებით უფრო იშვიათად გვხვდება. მის ოთხ შემთხვევას შორის სამი შარდსაწვეთი გაორკაპებული იყო, მაგრამ კვემო მესამედში ისინი იმდენად მკიდროდ იყვნენ შეზრდილნი ერთმანეთთან, რომ მათი განცალკევება შესაძლებელი იყო მხოლოდ წინასწარი ინექციის საშუალებით და მხოლოდ მეოთხე შემთხვევაში შარდსაწვეთები შეერთებული იყო ერთმანერთთან. მისი აზრით შარდსაწვეთების ნაწილობრივი გაორკაპება უფრო იშვიათ შემთხვევაში გვხვდება, ჩვეულებრივად კი შარდსაწვეთების გაორკაპება მთელ სიგრძეზედ არსებობს. Шевкуненко თავისი დაკვირვებას მიხედვით Е р е м о в ი ს აზრს ეწინააღმდეგება და ამბობს,

რომ ზოგიერთი აწერილია, მეტად იშვიათი, შარდსაწვეთების ნაწილობრივი გაორკაპების შემთხვევები არა საკმარისად უნდა ყოფილიყო დამუშავებული.

ჩემი შემთხვევების დამუშავების დროს მე მხედველობაში მქონდა მიღებული ავტორების შეხედულებათა ასეთი აშკარა წინააღმდეგობა ორმაგი შარდსაწვეთებისა და შარდის ბუშტში შარდსაწვეთების ხერელების შესახებ.

ორივე მხარეზედ შარდსაწვეთები ქვემო იესამედში იმდენად მქიდროდ იყვნენ შეკავშირებული, რომ მათი განცალკავება მეტის მეტად გაჭირდა, მაგრამ, როდესაც მაინც ორივე მხარეზედ ორ-ორი შარდსაწვეთები მივიღე ორი სანტიმეტრის მანძილზედ შარდის ბუშტამდის, გავეყეთე შარდსაწვეთის კედელი და ფრთხილად გავაერთე ბლაგვბოლოიანი ზონდები ოთხივე შარდსაწვეთების portio intramural-ში; ზონდების გატარების შემდეგ შარდის ბუშტი გავეყეთე და აღმოჩნდა ოთხი სრულიად დამოუკიდებელი ხერეული. შარდსაწვეთებისა.

ამგვარად ეფრემოვის აზრი, რომ ყოველი თირკმელი ვითარდება ერთი დასაბამისაგან და მას ჩამოყალიბებული ფორმა და უთუოდ ერთი შარდსაწვეთი უნდა ჰქონდეს სინამდვილეს არ შეესაბამება. შარდსაწვეთები დაბოლოების მიხედვით შეიძლება ქვემო ბოლოთი იხსნებოდეს საშოში ან გარეთა სასქესო ორგანოში, ნაწლავის ღრუში, განსაკუთრებით სწორ ნაწლავში, მუცლის ღრუს კედელში, შარდსადინარში და, ბოლოს, შეიძლება ისინი ბრმა პარკით ბოლოვდებოდნენ შარდის ბუშტის კედელში, ბუშტის გარშემო ან რომელიმე მეზობელ ორგანოს მახლობლად. შარდსაწვეთების ბრმად დაბოლოება მეტად იშვიათი მივლენაა. ლიტერატურაში მხოლოდ 7 ასეთი შემთხვევაა აწერილი Spalettaსა და Brocaს მიერ, სადაც ერთი ან ორივე შარდსაწვეთი ბრმად ბოლოვდება. ამავე შემთხვევაში აღნიშნულია აგრეთვე ბრმა დაბოლოება სხვა ღრუ ორგანოებისა; მაგალითად, სწორი ნაწლავი ან სასქესო ორგანოთა განვითარების ანომალიები.

Жуковская აღწერს ბრმად დაბოლოების შემთხვევას. მთელი საშარდე აპარატი შემდეგი სიმახინჯით იყო წარმოდგენილი: ორივე თირკმელს ორ-ორი განცალკავებული მენჯი ჰქონდა. ზემო მენჯებში გადადიოდნენ ორ დაკლანილ მილში, რომლებიც ეშვებოდნენ ქვევით და შარდის ბუშტს trigonum Lieutaudiiს მიდამოში ბრმად უერთდებოდნენ. თირკმლის ქვემო მენჯები აგრეთვე ორს, შედარებით განიერ შარდსაწვეთებში გადადიოდნენ, ისე რომ ზემო შარდსაწვეთების უკან მდებარეობდნენ და თავისი ქვემო ბოლოებით შარდის ბუშტის trigonum Lieutaudii-ს მიდამოში იხსნიდებოდნენ. შარდსაწვეთები მთელ თავის სიგრძეზედ დამოუკიდებლად მიდიოდნენ და შეერთებული იყვნენ ურთიერთ შორის ფაშარი შემაერთებელი ქსოვილით, ისე რომ მათი გამოყოფა შედარებით ადვილი იყო სიგრძე შარდსაწვეთისა ცვალებადობდა 13 სანტიმეტრიდან 20 სანტიმეტრამდე, დიამეტრი-კი 1,5 სანტიმეტრიდან 4 სან-დე.

Барановმა მოახდინა ორმაგ შარდსაწვეთიან პრეპარატის დემონსტრაცია, რომელიც 28 წლის ქალს ეკუთვნოდა. ქალი გარდაცვლილა ტუბერკულოზისაგან. სიცოცხლის დროს სიმახინჯე არაფერში არ გამოიხატებოდა. ბარანოვის აზრით აღნიშნული სიმახინჯე ატავიზმის შედეგია. რის გამო გარდაცვალებულის ნორმალურ მარჯვენა თირკმელს ორი შარდსაწვეთი ჰქონდა, რომელთაგან ერთი

ნორმალურად შარდის ბუშტში იხსნება, მეორე-კი, რომელიც ცოტათი უფრო სქელი იყო შედარებით პირველთან, გვერდით უვლიდა შარდის ბუშტს და შარდსადინარში იხსნებოდა. ეს დამატებითი შარდსაწვეთი მისი აზრით გ ა რ ტ ნ ე რ ი ს არხს წარმოადგენს.

ბ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს ჰქონდა შემთხვევა, როდესაც მარცხენა თირკმელი მარჯვნივ იყო გადაწველებული, ამისდა მიუხედავად შარდსაწვეთები შარდის ბუშტში ნორმალურ ალაგას იხსნებოდა.

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ჩემსა და სხვა ავტორების მიერ იყო აღწერილი, შესაძლებელია მოვახდინოთ შარდსაწვეთების ანომალიათა რაციო ნალური კლასიფიკაცია:

I. ანომალიები რიცხვში.

1. შარდსაწვეთების სრული უქონლობა, რომელიც შემჩნეული იყო ახლად დაბადებულ მახინჯთა შორის და ყოველთვის იყო დაკავშირებული თირკმლების ან მისი სისხლის ძარღვების ანომალიებთან.

2. ერთი შარდსაწვეთის არსებობა ჩვეულებრივად დაკავშირებულია მხოლოდნითი თირკმლის არსებობასთან.

3. ორი შარდსაწვეთის არსებობა:

ა) როგორც ნორმა, როდესაც მარჯვენა და მარცხენა თირკმლიდან მიდის თითო-თითო შარდსაწვეთი;

ბ) როდესაც რომელიმე თირკმელი ან ორივე-ექტოპიურ მდგომარეობაშია; ექტოპიის ხარისხის მიხედვით შეიძლება შარდსაწვეთის მუცლის ნაწილი სრულიად არ იყოს ან არსებობდეს მისი მცირე ნაწილი;

გ) როდესაც მხოლოდ ერთ მხარეზედ ერთი თირკმელი არსებობს;

დ) როდესაც ერთ-ერთი თირკმელი გადაწველებულია მოწინააღმდეგე მხარეზედ.

ამ უკანასკნელ ორ შემთხვევაში *pars abdominalis* ერთ მხარეზედ არის მოთავსებული, ხოლო *pars pelvina*—ორივე მხარეზედ.

ი) თირკმლების სხვადასხვა შეზრდის ფორმების დროს.

4. სამი შარდსაწვეთის არსებობა:

ა) მათ შორის ორი ერთ თირკმელს ეკუთვნის ერთ-ერთ მხარეზედ, მესამე-კი—მეორეს; ეს ანომალია ჩვეულებრივად უფრო ხშირია;

ბ) აგრეთვე თირკმლების შეზრდის დროს.

5. ოთხი შარდსაწვეთის არსებობა, ორ-ორი თითო მხარეზედ. წყვილი თირკმლის არსებობის დროს, ყველაზედ იშვიათი ანომალიაა. ასეთი ანომალიის დროს თვითეულ თირკმელს ორი შარდსაწვეთი აქვს დარითული, რომელთაგან თვითეული ცალკე ერთი შარდის ბუშტს.

6. ცნობილია ცალკე შემთხვევები, როდესაც შარდის ბუშტი თირკმელთან ან ორი შარდსაწვეთით იყო შეკავშირებული.

7. შარდსაწვეთების გაორკაპება ერთ ან ორივე მხარეზედ. ამ შემთხვევის დროს შარდსაწვეთში ორკაპდება მცირე ან დიდ მანძილზედ შარდის ბუშტიდან და აქვს დაზოუჯიდბელი მსვლელობა. თირკმელში თვითეულ შარდსაწვეთს შეესაბამება საკუთარი მენჯი.

II. ანომალიები დაბოლოებაში.

შარდსაწვეთები თავიანთი არანორმალური დაბოლოებით შემდეგ ანომალიებს იძლევიან:

1. შარდსაწვეთი შეიძლება შარდის ბუშტის კედლიან ნაწილში იყოს გაგანვირებული;
2. დამატებითი შარდსაწვეთის ხერხელი შეიძლება იყოს დაშორებული ნორმალურ ხერხელს რამოდენიმე სანტიმეტრით;
3. შარდსაწვეთი შეიძლება თავის ქვედა ბოლოთი გაიხსნას ნაწლავებში განსაკუთრებით სწორ ნაწლავში;
4. შეიძლება გაიხსნას საშოში ან გარეთა სასქესო ორგანოში (ჰიმენში, სათესელ ჯირკველში);
5. შარდსაწვეთი შეიძლება გაიხსნას შარდსადინარში;
6. მუცლის ღრუს კედელში;
7. ის შეიძლება ბრმად დაბოლოდეს თავის ზემო ან ქვემო ნაწილში. ამ შემთხვევაში შეიძლება დაბოლოება იყოს შარდის ბუშტის კედელში და აღწევდეს მის კუნთოვან ან ლორწოვან გარსს.

III. ანომალიები სივრცეში.

შარდსაწვეთების სივრცე შეიძლება აგრეთვე ვარიანტებს იძლეოდეს, იგი დამოკიდებულია თირკმლის მდებარეობის შეცვლისა და მათი შარდსაწვეთების მიმართულებისაგან.

პროფ. ნათი შვილს ჰქონდა შემთხვევა, როდესაც მარჯვენა თირკმელი მცირე მენჯის ღრუში იყო ჩაშვებული, რის გამოც შარდსაწვეთის pars abdominalis სრულიად არ არსებობდა. მე მქონდა თირკმლების ორმხრივი თანდაყოლილი ექტოპიის შემთხვევა, მცირე მენჯის ღრუში, როდესაც ორივე თირკმლის შარდსაწვეთების pars abdominalis არ არსებობდა.

შარდსაწვეთების სივრცე მატულობს, როდესაც მას დაკლანძილი მიმართულება აქვს. თავიანთ სივრცეზედ გაორადებულ შარდსაწვეთებს შეიძლება ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი მსგელობა ჰქონდეს. ამ დროს ისინი შეერთებული არიან ფაშარ შემაერთებელი ქსოვილით.

შეიძლება აგრეთვე შარდსაწვეთები შეერთებული იყოს ერთმანეთში მკრავ შემაერთებელი ქსოვილის საშუალებით, ისე რომ მათი განცალკევება მოსახერხებელი ხდება მხოლოდ სექციის საშუალებით.

IV. ანომალიები მიმართულებაში.

ორმაგ შარდსაწვეთებს შეუძლიათ პარალელურად ან ჯვარედინად მიმდინარეობდნენ. პროფ. P a p i n ი აღნიშნავს, რომ მთლიანი გაორადების დროს შარდსაწვეთში გადაეჯვარეინებან ერთმანეთს ერთს, ორს ან სამ ალაგას. პირველ შემთხვევაში გადაჯვარეინებას იგი დიდი მენჯის მიდამოში აღნიშნავს. მეორე შემთხვევაში პირველი გადაჯვარეინება მცირე მენჯში ხდება, მეორე-ე წელის

მიდამოში. მესამე შენთხვევაში ორი გადაჯვარედინება ხდება მცირე მენჯის მიდამოში.

ორჯერ გადაჯვარედინება პროფ. Papin სუნახავს ყველა თავის შემთხვევებში და ორმაგი შარდსაწვეთის დროს აღნიშნავს ასეთ შემთხვევებს, როგორც კანონს. ჩემს შემთხვევაში, მე არავითარი გადაჯვარედინება არ მინახავს; შარდსაწვეთები თირკმლიდან გამოსვლის შემდეგ პარალელურად მიდიან შარდის ბუშტამდე. ამ შემთხვევაში რაიმე კანონზედ ლაპარაკი ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

V. ანომალიები სანათურაში.

დასასრულ, აღნიშნულია აგრეთვე შარდსაწვეთების თანდაყოლილი შევიწროება, ზედმეტი გაგანიერება, გადაბრუნება, სარქველების არსებობა, და სხვა.

ჩვენ მიერ აღწერილი თირკმელი, როგორც ვნახეთ. ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან თვითული ცალკე შარდსაწვეთს შეიცავს. თირკმელი გაორადებული შარდსაწვეთებით მრავალ ავტორს აუწერია, მხოლოდ მათ არ განუხილავთ ჰისტოლოგიური ურთიერთობა ნოსაზღვარე ნაწილებისა. ჩვენ შემთხვევაში თირკმლის ქერქოვანი ნივთიერება სრულიად შექრილია ტვინოვან ნივთიერებაში, რომლის მეოხებით თირკმელი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ისე რომ უშუალო კავშირი საშარდე მილაკებს შორის არ არსებობს. თირკმლის ამგვარ გაყოფას ორ ნაწილად, ცალკე შარდსაწვეთებით თვითულისათვის, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების დროს. ამგვარი პათოლოგიური დაავადება შეიძლება განიცადოს თირკმლის ზემო ან ქვემო ნახევარმა და ასეთი შემთხვევები არა ერთხელ იყო აღნიშნული.

Веденский აღწერს ორშარდსაწვეთიან თირკმლის შემთხვევას, რომელშიაც თირკმლის ზემო ნახევარი წყალბუშტს წარმოადგენდა, ქვემო-კი ნორმალური იყო.

Cuneo აღწერს ასეთავე ორშარდსაწვეთიან თირკმელს, რომლის ზემო ნახევარი დაზიანებული იყო ტუბერკულოზით.

Brucil აგრეთვე ჰქონდა შემთხვევა, როდესაც თირკმლის ზემო ნახევარი წარმოადგენდა ჩირქით სავსე პარკს.

Pavlik და მრავალ სხვას აღწერილი აქვთ შემთხვევები თირკმლის ზემო ან ქვემო ნაწილის ჰიდრონეფროზით. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია თირკმლის ნაწილობრივი ამოკვეთა.

მართალია ზოგიერთი ავტორი (Lessing) ამჯობინებს თირკმლის მთლიანად ამოკვეთას და გვარწმუნებენ, რომ ასეთი ოპერაცია უკეთეს შედეგებს იძლევა, მაგრამ მიუხედავად ამისა ლიტერატურაში აღწერილია კარგი შედეგები თირკმლის რეზექციის დროსაც (resectio renis).

რა თქმა უნდა, არჩევა ამათუიმ ოპერაციისა დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზედ, რომლებშიაც დასტაქარი ვალდებულია გაერკვეს თვით ოპერაციის დროს.

ავადმყოფის საწოლთან თირკმლის გაორადების გამოცნობა ყოველთვის არ არის მოსახერხებელი. შარდსაწვეთების გაორადება ცისტოსკოპიის დახმარე-

ბით ცალკე შემთხვევებში იყო აღნიშნული *Heimenovის* და *Seligის* მიერ. უკანასკნელმა აღმოაჩინა ცისტოკოპოის დახმარებით შარდის ბუშტში 4 ხერე-ლი ორ-ორი თვითეულ მხარეზედ. მაგრამ პიულო- და ურეტროგრაფიის შემოღების შემდეგ შესაძლებელი გახდა საკმარისად სწორი დიაგნოზის დასმა. შარდსაწვეთების რენტგენოგრაფია მათი ბრომის ნატრიუმით აესების შემდეგ, ე. წოდებული—ურეტროგრაფია, დღეს უკვე მიღებულია ყველა შემთხვევისათვის, როდესაც შარდსაწვეთების დაზიანება ეჭვს იწვევს.

პროფ. *Legueის* ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ორივე თირკმელი ტუბერკულოზით იყო დაზიანებული, მათ შორის მარცხენა მხოლოდ ზემო ნახევარში. პიულოგრაფიის საშუალებით მან გამოარკვია, რომ მარცხენა თირკმელს ორი შარდსაწვეთი ჰქონდა, ამის შემდეგ მან გააკეთა ოპერაცია მარჯვენა თირკმლის მთლიანი და მარცხენა თირკმლის ნაწილობრივი ნეფრექტომია.

ურეტროგრაფიის დახმარებით შესაძლებელია დიაგნოზის დასმა: 1. შარდსაწვეთების გაორადების დროს; 2. შედრეკის დროს; 3. მენჯთან არანორმალური გამოსვლის დროს; 4. შარდსაწვეთების ემპიემის დროს; 5. მათი შევიწროვების დროს და სხვა.

საზოგადოდ, ეს მეთოდი იძლევა ობიექტურ შედეგებს და საკმარის დეტალიზაციას აძლევს დიაგნოსტიკას.

დასასრულ, ზემოაღწერილი მასალების შესწავლისა და ლიტერატურულ ცნობებთან შეფარდების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. ლიტერატურული მასალების მიხედვით შარდსაწვეთების გაორადება საზოგადოდ, ორივე მხარეზედ არის შესაძლებელი.

2. შარდსაწვეთების გაორადება უფრო ხშირად მარცხენა მხარეზედ ხდება, რასაც სტატისტიკა ამტკიცებს.

3. მრავალ წინათ აღწერილ შემთხვევაში აეტორები სრულიად არ განსაზღვრავენ, თუ რა მანძილზედ არსებობს გაორადება, და ყველა შემთხვევაში საერთო ტერმინით— „*duplicatio*“ — აღნიშნავენ მას, ამიტომ სასურველია გავარჩიოთ გაორადება ნაწილობრივი (*duplicatio uretris partialis*), უფრო სწორედ რომ ვთქვათ—გაორკაპებული შარდსაწვეთი (*ureter bifidus*), და მთლიანი გაორადება, *duplicatio uretris completus*, ანუ პირდაპირ *duplicatio uretris s. ureter duplex*.

4. გაორკაპებული შარდსაწვეთების შემთხვევის დროს შარდსაწვეთების ხერელი შარდის ბუშტში უნდა იყოს ერთი თვითეულ მხარეზედ, გაორადების დროს-კი წყვილ-წყვილი.

5. ორი შარდსაწვეთის არსებობის გამოაშკარავების დროს კატეგორიულად დიაგნოზის დასმა შეზრდილი თირკმლების არსებობის შესახებ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

6. ზოგიერთი აეტორის აზრი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ორი შარდსაწვეთი ერთ თირკმელს ეკუთვნოდეს, შემცდარია.

7. ჩვენის აზრით, როდესაც გაორადებული შარდსაწვეთები გვაქვს, თირკმლების ადგილმდებარეობა და ფორმა შეიძლება იყოს როგორც ნორმალური, აგრეთვე ანომალური და ამიტომ, როდესაც გაორკაპებულ შარდსაწვეთებთან

საქმე გვაქვს, კატეგორიულად დიაგნოზის დასმა თირკმლების ამათუიმ ფორმისა და მდებარეობის შესახებ შეუძლებელია.

ზემოთაღწერილი პრეპარატი ინახება ტულიისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიურა ინსტიტუტის მუზეუმში.

ლიტერატურა.

1. Виноградов А. П. Исследования по анатомии и патологии почек человеческого плода. Диссертация В. М. Ак. 1900 г.
2. Маршалъ М. Руководство к эмбриологии. Москва 1901 г.
3. Маршалъ М. Развитие человеческого зародыша. Москва 1905 г.
4. Федоров С. П. О подвижной почке: *Русский врач*, 1908 г. № 1.
5. Гурвич А. Атлас и очерк эмбриологии позвоночных и человека. С. Петербург. 1909 г.
6. Натиев А. Н. Ectopia congenitalis renis dextrae intrapelvina. Харьков 1909 г.
7. S. et P. Delmas. Sur les anomalies urétérales: *Annales des maladies d. org. genit. urin.* *Русский врач*. 1910 г. Т. 28.
8. Кузнецкий Д. П. Почка с 2 мочеточниками: *Врачебная газета* 1909 № 21.
9. Жуковская Е. Ю. Редкий случай гидронефроза, как следствие аномалии мочеточников: *Русский врач* 1909 г. № 30.
10. Баранов А. И. Случай двойного мочеточника: *Врачебная газета* 1910 г. № 30.
11. Шевкуненко В. Н. Portio intramuralis мочеточников. Диссертация 1910. С. Петербург.
12. Фронштейн Р. М. Двойной мочеиспускательный проток (urethra duplex): *Русский врач* 1913 г. № 21.
13. Мухина В. В. Случай удаления почки с двумя мочеточниками: *Русский врач*. 1911. № 12
14. Поляков. Основы гистологии и эмбриологии. Харьков 1914 г.
15. Ефремов П. Д. О происхождении, образовании формы и клиническом значении подковообразной почки. *Харьковск. Мед. журнал* 1915 г.
16. მაისურაძე ზ. ნალისებრე თირკმელი: ტფილ. უნივ. მოამბე № 1. 1920 წ.
17. Papin Ed. La pyelographie. 1921.
18. Eugen Joseph. Kystoskopische Technik. 1923.
19. Федоров С. П. Хирургия почек и мочеточников. Вып. 1. Ленинград 1923.
20. წულუკიძე ა. „ცისტო-ურეტრო-პიელოგრაფია, როგორც დიაგნოსტიური საშუალება საშარდე ორგანოების დაავადების დროს: თანამედრ. მედიცინა 1925 წ. № 5, გვ. 338.

21. Шестаков Б. О рентгенодиагностике заболеваний мочеточника: *Врачебная газета 1925 г. № 5.*
22. Готлиб. Я. Т. и Клинковштейн. О рентгенодиагностике заболеваний мочеточника: *Врачебная газета 1925 г. № 2.*
23. ცეცხლაძე ვ. კ. ნალისებრი თირკმელი: ტფილ. უნივე. მოამბე V. 1925 წ.
24. მაისურაძე ზ. ნ. თირკმლების თანდაყოლილი ცალმხრივი დისლოკაცია: ტფილ. უნივე. მოამბე. V ტ. 1925 წ.
25. მალაევი ა. გ. თირკმლების ორმხრივი თანდაყოლილი ექტოპია მენჯში და მათი შეზრდა: ტფ. უნ. მოამბე. V ტ. 1925 წ.
27. მალაევი ა. გ. თირკმლების თანდაყოლილი ექტოპია მენჯის შესავლისაკენ: ტფილ. უნივე. მოამბე. V ტ. 1925 წ.
-

კორნელი კეკელიძე.

საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსლვის შესახებ.

(კულტურულ-ისტორიული პრობლემა).

საკითხი „ათსანეტ ასურელ“ მოღვაწეთა შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი წარსული ცხოვრებისა, რომელიც დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის, კერძოდ სირია-პალესტინის, ქრისტიანულ კულტურასთან. სირიასთან ურთიერთობის შესახებ ჩვენში შეუთხზავთ არა ერთი და ორი თქმულება; შეიძლება ეს თქმულებანი, უმეტეს შემთხვევაში, ლეგენდარულიც იყოს, მაგრამ ამით მათს მნიშვნელობას არა აკლდება რა: პროფ. ნ. მარჩის თქმის არ იყოს¹, სასურველია და აუცილებელი, გამოკვლევულ იქმნეს და შესწავილი ყველა ის მასალა, რომელთა ნიადაგზე ჩვენში იქმნებოდა ასეთი ლეგენდები, „ასურელ მამათა“ ქართლში მოსლა და მოღვაწეობა ერთ-ერთი ასეთი საძიებელი პრობლემაა ჯერ-ჯერობით. აღნიშნულ მოღვაწეებს დიდი კულტურული როლი უთამაშნიათ ჩვენს ისტორიაში: მათ საფუძველი ჩაუყრიათ ჩვენში სამონასტრო ორგანიზაციისათვის, რომელმაც, როგორც ვიცით, წარუშლელი კვალი დასტოვა ძველს ქართულს ცხოვრებაში, მათ ქრისტიანობის შუქი შეუტანიათ ჩვენი ქვეყნის მივარდნილსა და მიუვალ კუთხეებში და ხელი შეუწყვიათ ხალხის გამოყვანისათვის ბაზმაროსობის წევრიადიდან. მიუხედავად ამისა, ჯერჯერებით მათს მოღვაწეობასა და ისტორიას ლეგენდარული ელფერი არ ჩამოშორებია და მეცნიერულად არ გარკვეულა არც ვინაობა და სადაურობა მათი, არც მიზეზი და დრო მათი სირიიდან მოსლისა. აღნიშნული გარემოება საკმაო საბაბს გვაძლევს ჩვენ კვლავ დავაყენოთ ეს საკითხი და, შეძლებისადაგვარად, ნათელი მოვფინოთ მას.

1.

წინასწარ საკიროდა ვრაცხთ, რამოდენიმე სიტყვა ვუძღვნათ იმ წყაროებს, რომლებშიაც წარმოდგენილია ცნობები ამ მოღვაწეთა შესახებ.

დღესდღეობით ცნობილია მ. საბინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გამოცემული ცხოვრებანი სირიელი მოღვაწეებისა, სახელდობრ: იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის, აბობოს ნეკრესელის და ანტონ მარტყოფელის². ამათგან უკანასკნელი, ანტონის ცხოვრება, შედგენილია მეუის

¹) Из поэмки на Афон: *ЖМНП* *Просв.* 1899 г. *Март.* с. 19.

²) არ ვახსენებთ იხე წილენლისა და იოსებ ალავერდელის ბიოგრაფიებს, ვინაიდან ისინი ცხოვრება კი არაა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ფრგვლოდებული სვინაქსარული მოთხრობა, სულ უკანასკნელ ხანებში შედგენილი.

ვახტანგ მეექვსის „ნასწავლ კაცთა“ კომისიის მიერ, რომელთაც ამ მოღვაწეთა ბიოგრაფია „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს; შედგენილია ეს მოკლე ბიოგრაფია უძველესი დროიდან მომდინარე, უმთავრესად ცოცხალ სამონასტრო, ტრადიციათა მიხედვით, რომელთა კვალი და გამოძახილი გვაქვს ჯერ კიდევ არსენ ბულგაისიძის მიერ მეცამეტე საუკუნის პირველს ნახევარში შეთხზულს საგალობლებში¹. რაც შეეხება სხვებს, ისინი წარმოადგენენ ეგრედწოდებულს მეტაფრასტულ რედაქციას, რომელიც შედგენილია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა². იოანე ზედაზნელის ბიოგრაფია გადაკეთებულია, როგორც ეს ანადლოფლისეული ნუსხიდანა ჩანს³, ზედაზნის წინამძღვრის მიქელის შეკვეთით ვიღაც უცნობი მეტაფრასტის მიერ, რომელიც მიქელს უპასუხებს „ძმურითონით და კრძალულებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის არაა კათოლიკონი საზოგადოდ და არსენი კერძოდ, როგორც ცხოვრების სათაურშია აღნიშნული⁴. შიო მღვიმელის ცხოვრება, როგორც მის სათაურშია ნათქვამი, „აღწერა ღირსჰან მარტვი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგან წმიდისა იოანესა კონსტანტინოპოლით“. ეს წარწერა უმკველად ფსევდოპიგრაფიულია: ჯერ ერთი, იოანე ზედაზნელს, მესოპოტამიელ სირიელს, კონსტანტინოპოლელი მოწაფე ვერ ეყოლებოდა, მეორე—ის რედაქცია შიოს ცხოვრებისა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს, არის მეტაფრასტული რედაქცია და, როგორც ასეთი, ის დაწერილი არ შეიძლება იყოს იოანე ზედაზნელის მოწაფის მიერ. დავით გარეჯელის ბიოგრაფია დაწერილია პეტრიწონის სალიტერატურო შკოლიდან გამოსული მეტაფრასტის მიერ „იძულებითა სულთა მწყემსისა ონოფრესითა“⁵, იგულისხმება ალბათ გარეჯის უდაბნოს ერთერთი წინამძღვარი. რაც შეეხება აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას, იმას ყველაზე ნაკლებად განუცდია მეტაფრასტის ხელი, რომლის რედაქციული მუშაობა უმთავრესად ამოიწურება: პროლოგით, ცეცხლთაყვანისმცემლებისადმი პოლემიკური დიალოგის ჩართვით შუაში და ეპილოგის დამატებით სიტყვებიდან „და სხუანიცა მრავალნი“⁶.

ჩამოთვლილი მეტაფრასტული რედაქციები ხშირად უჩვენებენ იმ ძველს, კიმენისებურ, არქეტაპებს, რომელნიც საფუძვლად დადებია მათ⁷ და რომელთა შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მემკვიდრე შენიშნავს: „დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა“⁸. ამჟამად შე-

¹) სიძე. მუხ. ხელნ. № 55. ფ. 287—302; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 343—345.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია I, 580—583.

³) ი. ვ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. I, 23. 6—7, გვ. 2 გვ. 7—8.

⁴) წინდადება—„განახლა და განაერცო...ქართლისა კათოლიკოზმან არსენი“; ვადმოტა-ნილია ამ სათაურში ძველი რედაქციიდან, რომელიც საფუძვლად დადებია მეტაფრასტულ რედაქციას.

⁵) საქართველოს სამოთხე, გვ. 266.

⁶) იქვე, გვ. 216.

⁷) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 154.

⁸) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 187—188.

საძლებელი ხდება დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ამ არქეტაიპების შესახებაც ვიკონიით. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას ყველაზე მეტად შეუნარჩუნებია არქაული სახე, ამიტომ მართლაც საფიქრებელია, რომ ძველი რედაქცია მისი არის „თქუმული არსენი დიდისა, ქართლისა-კათოლიკოსისა“¹, როგორც აქ სათაურში ვკითხულობთ. იგულისხმება ამ შემთხვევაში ნეცხრე საუკუნის (855—882) კათოლიკოსი არსენ I დიდი, რომელსაც დაუწერია პოლემიკური ტრაქტატი „განყოვისათვის ქართლისა და სომხითისა“²; ეს ტრაქტატი მეტად ენათესავება აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას ენით, სტილით და ტერმინოლოგიით³.

იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და ისე წილკნელის მეტაფრასტულ ცხოვრებათა არქეტიპი, რომელიც ეხლახან იქმნა აღმოჩენილი⁴, შეუდგენია კათოლიკოს არსენ II-ს (955-980) სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლიდან „შემდგომად ოთხას ოცისა წლისა“⁵. ამ შრომას შემდეგი სათაური აქვს: „ცხოვრება და მოქალაქობა მწიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ, ხოლო აღწერა არსენი, ქართლისა კათოლიკოსმან, სარგებელად (მათა), რომელნი ისმენენ“ მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს ბიოგრაფია არა მარტო იოანესი, არამედ „მოწაფეთა მისთაჲ“: შიო მღვიმელისა და ისე წილკნელისა; მართალია, შიოს ცხოვრება თითქოს გამოყოფილია, მას სინგულრით სათაურიც აქვს წარწერილი: „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოასი და ეეარგისი“⁶, მაგრამ მექანიკურად, ნამდვილად კი ის შეადგენს ორგანიულს და განუყოფელ ნაწილს იოანეს ბიოგრაფიისას⁷.

იმავე ხელნაწერში, რომელშიაც შენახულა არსენ მეორის შრომა (№ 199 სიძე. მუხ.) მოთავსებულია აგრეთვე ძველი ცხოვრება დავით გარეჯელისა,

¹) ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 134—140. თ. ჯორდანიანი, ქრონიკები I, 313—332.

²) ს. კაკაბაძე ამტკიცებს (საისტორიო ძიებანი, გვ. 38—55), რომ ავტორი ამ ორი თხზულებისა არის მეფივე საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი არსენ კათოლიკოსი, მაგრამ მის მიერ მოყვანილი საბუთებით ამის დამტკიცება შეუძლებელი და უიმედოა.

³) ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატ. ისტორია I, 153—158.

⁴) ასეა ანა დედოფლის ნუსხაში, სხვა ნუსხებით კი—„შემდგომად ოთხას ოთხისა წლისა“ (სიძე. მუხ. № 170, გვ. 23); სწორი უნდა იყოს პირველი ცნობა, ვინაიდან ქრონოლოგიური ნუსხა „წმიდათა მამათა, ზედაძენს აღსრულებულთა შემდგომად იოანესა“ (თ. ჯორდანიანი, ქრონიკები I, 73—74), რომელიც არსენის მიერვეა შედგენილი, გვაძლევს 415 წელს; მაშასადამე, არსენს ეს ქრონოლოგიური ცხრილი შეუდგენია ხუთი წლის შემდეგ (415+5) უკანასკნელის მის დროს წინამძღვრის, სამოელის, გარდაცვალებიდან.

⁵) სიძველ. მუხ. № 199; ეს წარწერა მერე გადატანილია მეტაფრასტული რედაქციის სათაურშიაც.

⁶) მეორე ნუსხა არსენის შრომისა, XIII-XIV ს., შენახულია იერუსალიმში; იხ. R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale Grecque à Jérusalem (Extrait de la Revue de l'Orient Chrétien. 3 Série, t. IV (XXIV), № 1 et 2 Paris 1924), № 36, გვ. 117—129.

არქეტივი მეტაფრასტული რედაქციისა. ენა ამ ნაწარმოებისა უფრო ძველია, ვიდრე არსენ მეორის ენა, ამიტომ ეს შრომა არსენის შრომაზე ადრე უნდა იყოს დაწერილი¹, დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

ამნიარად, ყველაზედ ადრე, მეცხრე საუკუნეში, კათოლიკოზს არსენ დიდს დაუწერია აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება²; მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში უცნობი ავტორის მიერ დაწერილია დავით გარეჯელის ცხოვრება, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკოზს არსენ მეორეს დაუწერია ცხოვრება იოანე ზედაზნელის და მისი მოწაფეების—შოი მღვიმელისა და ისე წილკნელისა. მეთორმეტე საუკუნიდან დაუწყიათ გადამეტაფრასტება აღნიშნული თხზულებებისა, ხოლო ვახტანგ მეექვსის „ნასწავლ კაცთა“ კომისიას შეუდგენია ანტონ მარტყოფელის ცხოვრება, რომელშიაც გვეხსნის გამოძახილი მეცამეტე საუკუნის საგალობლებში შენახული ტრადიციებისა. ასეთია ფილიაცია სირიელ მოღვაწეთა ბიოგრაფიებისა, რომელთაც ჩვენამდე მოუხვწევიათ.

მეტაფრასტული რედაქციები, როგორცა ვთქვით, დამყარებულია ძველს რედაქციებზე, მაგრამ მათში გამოყენებულია აგრეთვე სხვადასხვა თქმულებანი და გარდამოცემანი, რომელნიც ზეპირად, ტრადიციით, გადადიოდა სირიელ მამების მიერ დაარსებულ მონასტრებში ერთი თაობიდან მეორეში³. ეს რომ ასეა, ამას ვტყობილობთ მეტაფრასტის შემდეგი სიტყვებიდან იოანე ზედაზნელის ცხოვრების ბოლოში: „რომელი წიგნთაგან აღმოვიკითხეთ და რომელი მამათაგან სმენილი იყო საქმეთაგან მათთა“,—აღესწერეთ. თვით ძველი რედაქციების ავტორებიც, მაგალითად არსენ II, სარკებლობდენ თავიანთი შრომების დაწერისას ამგვარივე ტრადიციული თქმულებებით, რომელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, ჩაწერილი იყო; ამას გვაფიქრებინებს „თხრობაჲ სასწავლთათჲს წმიდისა შიოასთა, რომელიც ესე, სხუათა მიერ აღწერილი ადგილად გილ, ერთად შემოკრიბა“ ბასილ კათალიკოზმან (1090—1110)⁴. ასე რომ, ბოლოსადაბოლოს, როგორც ძველი, ისე მეტაფრასტული რედაქციები დამყარებულია ტრადიციულ ცნობებსა და სამონასტრო გადმოცემა—თქმულებებზე. რა ღირსებისა ეს გარდამოცემანი და თქმულებანი?

ამგვარი მასალა ფაქტურ სინამდვილეს საზოგადოდ არსად და არასდროს არ შეიცავდა; განსაკუთრებით არ შეესაბამებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას თქმულებანი ასურელ მამათა შესახებ, ვინაიდან ეს აქმულებანი პროდუქტი იყო რტენდენციური ეპოქისა (VI—IX ს.), როდესაც ჩვენში ხდებოდა გადაფასება რელიგიურ-კულტურული წარსულისა, როდესაც, პოლემიკური თუ დოღმატური მიზნით, იშლებოდა ყოველგვარი კვალი აღმოსავლური იდეოლოგიისა ჩვენს წარსულში და ნიადაგი უშვალდებოდა და უმტკიცდებოდა ორთოდოქსალურ ბი-

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I. 157—158.

²) ასეთი მოღვაწე ჩვეულებრივი იყო ყველგან და ყველა მონასტერში: აქ ითხზებოდა სხვადასხვა თქმულებანი ფაქტურით, ბიოგრაფიული, ხასიათისა მონასტერთა დამაარსებელთა, უფრო კი მათი სასწავლთა მოქმედების შესახებ.

³) სიძველ. მუხ. ხელნ. № 170. გვ. 23.

⁴) საქათოთელოსის მოთხ. გვ. 254—264. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I. 253—285.

ჩანტინიზმს, რომელიც ეპოქისა, როდესაც უღმობელად და შეუბრალებლად ისპობოდა, იკარგებოდა თუ მახინჯდებოდა ნამდვილი ფაქტები ჩვენი პირველყოფილი ქრისტიანიზმის და ეკლესიური ცხოვრებისა. ვინაიდან უმთავრესად ასეთს მასალაზეა აშენებული როგორც ძველი რედაქციები, ისე მეტაფრასტული ცხოვრებაანი, ისინი არც იდეურად, არც ფაქტიურად სინამდვილეს მილიანად არ გადმოგვცემენ¹. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულნი არიან: ლეგენდარულსა და ტენდენციურად გარდაქმნილს თქმულებებში უნებლიეთ გაპარულა ისტორიული სინამდვილის ნამკეცები, რომელთა ამოკრება და გაცხრილვა დიდად დაგვეხმარება ასურელ მოღვაწეთა პრობლემის გარკვევაში.

II.

თანახმად მეტაფრასტის გადმოცემისა, ანტიოქიის მახლობლად არსებობდა ბერმონაზონთა მრავალრიცხოვანი საზოგადოება ან მონასტერი, რომლის წინამძღვრად იყო ვინმე იოანე; ერთს მშვენიერ დღეს იოანეს მოუნდომებია თავისი მონასტრის მითოვება და უცხო ქვეყანაში წასლვა. ამოურჩევია თავის ნოწაფეთაგან 12 კაცი და მათთან ერთად ქართლში მოსულა². მაშასადამე, მეტაფრასტის შეხედულებით, ეს მამები იყვნენ ერთისადიამვე საზოგადოების წევრნი, ერთისადიამვე პირის მოწაფენი და ერთისადიამვე დროს მოსულნი ჩვენში. ეს შეხედულება საბოლოოდ დამყარებულია ჩვენში, მას მიუღია დოღმის სიპტიკიცე და გადასლვა საისტორიო მწერლობაშიაც. მაგრამ ეს სიპართლეს არ შეეხება: აღნიშნული მამები არ ეკუთვნოდნენ ერთსადიამვე მონასტერს და არც ერთად, ერთსადიამვე დროს, მოსულან ჩვენში. მართლაც, აბიბოს ნეკრესელის „ცხოვრებაში“, რომელსაც, შედარებით სხვებთან, უფრო ნაკლები ცვლილება განუცდია მეტაფრასტის ხელში, ნათქვამია, რომ, როდესაც სპარსელებმა შეიპყრეს აბიბოსი, მათი რელიგიის შეურაცხყოფისათვის, და, თანახმად მარზაპანის ბრძანებისა, ზენასოფელს მიჰყავდათ იგი, გზაზე, მცხეთის პირდაპირ, აბიბოსი „ვეედრა მტარვალთა, რათა მოვიდეს ნეტარისა შიოს მღვმელ, რამეთუ იცოდა იგი წინააღმდეგ და სურვიელ იყო ხილვად მისა“³. თუ შიო და აბიბოსი იყვნენ ერთისადიამვე მონასტრის მოღვაწენი, ერთისადიამვე მოძღვრის მოწაფენი და ერთად მოსულნი ჩვენში, რაღა საჭირო იყო თქმა, „იცოდა იგი“, ესე იგი — იცნობდა მასო? ეს თავისთავად იგულისხმებოდა, ასეთი უზაზით აღინიშნება არა ისეთი ნაცნობობა, როგორც აბიბოსს და შიოს

¹) ამით აიხსნება ზოგიერთი ისტორიული lapsus-ები ამ შრომებში; მაგალითად: ასურელ მამათა მოსლვისას ქართლში მფლობს თარსმანი, თუმცა ნამდვილად ამ დროს ჩვენში ზეფობა უკვე გაუქმებული იყო; ეს მფეფ ეხმარება იუსტინიანე კესარს „ტასკუნთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში (საქართ. სამოთ. გვ. 236), თუმცა ისტორიამ ასეთი ბრძოლა არ იცის, თუ აქ არ იგულისხმება აბაზების დასჯა განდგომილებისათვის (Прод. Ю. Кулаковски, История Византии, т. II, стр. 190). ამითვე აიხსნება ზოგიერთი წინააღმდეგობანი იოანე ზედანხელისა და შიო მღვიმელის ცხოვრებათა ცნობებში (ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 582).

²) საქართ. სამოთხე, გვ. 195—198, 221—224.

³) საქართ. სამოთხე, გვ. 214; სიძველ. მუხ. № 170, გვ. 94.

შორის უნდა ყოფილიყო, არამედ სრულიად შეპიჯილი ხასიათის. ეს კიდევ არაფერი, — ანტონ მარტყოფელის „ცხოვებაში“ გადმოცემულია: ბესაროზ, სპარსეთის მეფემ; ალუა შემოარტყა სირიაში ქალაქ ედესიას და განადგურებას უქადდა მას: როდესაც განსაცდელმა ჩაიარა და შეშინებული ქრისტიანები გონს მოვიდნენ, „წმიდამან ანტონი იძია მოძღურისა თჳსისა გზაჲ და ისწავა ქეწნარიტი და ცნა, რამეთუ წარვიდა სომხითს, ჩრდილოეთით კერძო, სხუათა თანა მოწაფეთა“; ამიტომ ის აღძრული „ტრთილებითა მოძღურისა თჳსისაჲთა“. გამოჰყვა მის კვალს და „მიიწია მტკუარსა ზედა“¹. აქ უკვე პირდაპირაა ნათქვამი, რომ ანტონი მოსულა ჩვენში არა ანტიოქიის ნახლობლად მდებარე მონასტრიდან, არამედ ედესია ქალაქით, საიდანაც მას თან წამოუღია ხელთუქანგელი ხატის პირი, წამოსულა ის იქედგან მას შემდეგ, რაც იოანე თავისი მოწაფეებით უკვე გამომგზავრებულია ჩვენსკენ. აქედან ცხადია, რომ ანტონი არ ყოფილა იოანეს მოწაფე, და თუ აეტორი ამ ამბებისა მას მანერ იოანეს შევირცხვდა სთელის, იმტომ, რომ მას თავი ვერ დაუხწევია გაბატონებული ტრადიციისაგან.

მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ შემთხვევაში სახელეში იოანეს მოწაფეებისა. პირველი ჰაგიოგრაფები „ასურელი მამებისა“ არ გვაძლევენ არც რიცხვს, არც სახელს ყველა ამ მოღვაწეებისას. მხოლოდ არსენ მეორე აგვიწერს იოანეს, შიოს და ისეს ცხოვრებას, რომელშიაც გაკერით ეხება დავითს, ეზდერიოს (=ისიდორე), თაჲას, მერე მოიხსენებს, სახელის აღუნიშნულად, აღწაშენებლებს ალავერდისას (=იოსებ) და იყალთოსისას (=ზენონი)² და დაასკვნის: „ხოლო ყოველთაჲ ვერ ძალგვც მოკსენებაჲო“³. არც მეთერთმეტე საუკუნის მემკვიდრე იძლევა რიცხვსა და სახელებს ამ მოღვაწეებისას, რომელთა შორის შესახებ ის მოკლედ ლაპარაკობს⁴. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შედგენის დროს ყოფილა განმტკიცებული რწმენა — იოანესთან ერთად ჩვენში „ათორმეტი მოწაფენი მოვიდეს“-ო⁵; თუჲცა სახელე მათი ამ ქრონიკაშიც არაა აღნიშნული. დღესდღეობით ჩვენ გვაქვს ორი ნუსხა ამ მამებისა, არც ერთი მათგანი მეთორმეტე საუკუნის ნახევარს არ უსწრებს წინ. ერთია შიო მღვიმელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: ანგელოზმა შთაუღვა იოანეს, ჩვენსკენ გამოგზავრების წინ, „ათორმეტი ქარტა, რომელსა ეწერა ათორმეტი ძმათა სახელი, რომელნი იგი უფალმან გამოირჩივნა: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათაჲ, პიროს, ელია, პიმენ, ნაჲან, აბიბოს, იოანე“⁶. მეორე ნუსხა დართული აქვს იოანე ზედაზნელის ცხოვრებას: „სახელები წმიდათა ნოწაფეთა იოანე ზედაზნელისათა: დავით გარეჯელი, სტეფანე ქისიყელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილენელი, თა-

1) საქართ. სამოთხე, გვ. 294—295.

2) ხელნაწერში გვაქვს „იკლთისაჲ“, რაც უმკველია. უნდა წარმოადგენდეს ქარაგმინაში სიტყვის „იკლთისაჲ“-ს შეტოვითსა და უმართებულო წაკითხვას ხელის დამწერლობაზე და უმსგავსების გამო.

3) სიძველ. მუხეუმის ხელნაწ. № 190, გვ. 21, 28, 40—41.

4) ქართლის ცხოვრება მარიაჲ დედოფლისა, გვ. 187—188.

5) E. T a k a ო შ ვ ი ლ ი, Описание рукописей Общества распротр. грамотности, II, 728.

6) საქართვ. სამოთხე, გვ. 224; სიძველ. მუხ. ხელნ. № 170, გვ. 66.

თა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღვმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, აბიბოს ნეკრესელი¹. ეს ორი ნუსხა თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან; მათ საერთო აქვთ შემდეგი 8 სახელი: შიო, დავით, ანტონი, იოსები, თათა, პიროს, ელია, აბიბოს. პირველი ნუსხა, ამათ გარდა, გვაძლევს ოთხ სახელს, რომელიც მეორემ არ იცის: თეოდოსიოს, პიმენ, ნათან, იოანე; ხოლო მეორე ნუსხა იძლევა ხუთ სახელს, რომელთაც პირველში ვერ ვპოულობთ: სტეფანე, ზენონ, ისე, ისიდორე, მიქაელ. ამნაირად, თუ ყველა ამათ იოანეს მოწაფეებდა ჩავთვლით, გამოდის, რომ მას მოჰყოლია ჩვენში არა 12, არამედ 17 (8+4+5) მოწაფე, მაგრამ ცხადია, ყველა ამათ იოანეს მოწაფედ ვერ ვიგულისხმებთ; არამედ თუ 17, საეკვლა, რომ ის რვა სახელიც კი, რომელიც საერთოა ორსავე ნუსხაში, მისი მოწაფეების აღმნიშვნელი იყო: ყოველ შემთხვევაში, ანტონი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მასთან ერთად არ მოსულა და არც ანტიოქიის სანახებიდან ყოფილა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ სირიიდან ქართლში მოსულა არა ერთი პარტია მოღვაწეებისა. არამედ რამდენიმე, და არა ერთს, არამედ სხვადასხვა დროს. შემდეგს საუკუნეებში, როდესაც საქინის ნამდვილი ვითარება დაეწიყებული იყო, სხვადასხვა დროს მოსულ მოღვაწეთა სახელები გაუერთიანებიათ და მიუღიათ საზოგადოება, არც მეტი, არც ნაკლები, ცამეტი კაცისაგან შემდგარი; ამათგან ერთი, იოანე, მოძღვარია, დანარჩენი 12—მოწაფე მისი. აქ უკვე გარკვეულ ტრენდენციასთანა გვაქვს საქმე; ამ მოღვაწეების მისიას ჩვენში ადარებენ იესო ქრისტესა და 12 მოციქულთა მისიას საქრისტიანოში: მათ „ქადაგებისა მიერ და მოძღურებისა, მსგავსად წმიდათა მოციქულთასა“², „განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲო“³.

ამნაირად, ჩვენ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ „ასურელი მამები“ ყველა იოანეს მოწაფე არ ყოფილა, ისინი ჩვენში არც ერთად, ერთს დროს, მოსულან და არც ერთისადიამვე აღვილიდან.

III.

რამ აიძულა ეს მოღვაწენი დაეტოვებიათ მშობელი მხარე, საკუთარი მონასტერი და წამოსულიყვნენ შორეულს, მათთვის უცნობს, ჩრდილოეთის ქვეყანაში, რამ გამოიწვია მათ მოსლვა ქართლში? ამის პასუხს ჩვენ პირველად კათოლიკოსის არსენ მეორის მიერ დაწერილს ცხოვრებაში ვპოულობთ, თუმცა აქ ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, შეხედულებაა გატარებული. ვინაიდან იოანე, ამბობს არსენი, „ველტოდა პატივთა სოფლისათა, განიზრახა მან წარმოსლვაჲ უცხოებად. სადა იგი არა ისმოდა ჰანბაჲი მისი“⁴. მაშასადამე, იოანეს წასლვა ქართლში გამოწვეული ყოფილა ასკეტიკური მოსაზრებით: მას ნდომებია ნაცნობ-პატივისცემულთაგან თავის დახწევა და დაყუდებით ცხოვრება უცხო-

¹) ს ი ძ ე ლ . მ უ ზ ე უ მ . ხ ე ლ თ ა ნ . № 170, გვ . 23.

²) ს ა ქ ა რ თ ე . ს ა მ ო თ ხ ე , გვ . 199; ს ი ძ ე ლ . მ უ ზ . № 199, გვ . 18.

³) ს ი ძ ე ლ . მ უ ზ . ხ ე ლ ნ . № 199, გვ . 19. ამ სიტყვებს მერე მეტაფრასტიკ იწვლილებს: „ხოლო ვინათგან ველტოდა იგი პატივთა მიერ შფითთა სოფლისათა, განიზრახა უცხოთა ქუეყანაჲი ნიძართ წარსლვაჲ, სადა იგი უმეტრებასა მისსა ნქონებელ იყვნენ ყოველნი, რათა ესრეთ სადაჲმ შეჴძლოს მარტოებით დაყუდებაჲ“ (ს ა ქ ა რ თ ე . ს ა მ ო თ ხ ე . გვ . 197).

ეთში. მაგრამ ცოტა ქვევით იგივე არსენი გადმოგვიცემს, რომ, როდესაც იოანე თავისი მოწაფეებით ზედაზნის მთაზე დამკვიდრდა, მან უთხრა მოწაფეებს: „შვლნო, რაჲსა სდგათ უქმად, არა უწყითა, რამეთუ სარგებლისათჳს ამის ქუეყანისა წარმოკუთვლინა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან და აქა მოგვძლუა, რამეთუ ახალნერგ არს ქუეყანაჲ ესე, ამისათჳსცა ჯერარს, რათა წარხვიდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებინეს ქრისტე“¹. აქ უკვე გარკვეული სამისიონერო მიზანია წამოყენებული: იოანე თავისი სურვილით კი არ წამოსულა ჩვენში, არამედ ის მოვლინებული ყოფილა მაცხოვრის მიერ მისი მოძღვრების განსამტკიცებლად და გასავრცელებლად „ახალნერგ“ ქვეყანაში². უკანასკნელი შეხედულება, — რომ იოანეს მოსლვა გამოწვეული იყო სამისიონერო მოსაზრებით და მიზნებით, — საბოლოოდ განმტკიცებულია ჩვენში, ის მიღებულია როგორც ძველს საეკლესიო და საისტორიო მწერლობაში, ისე ახალი დროის სამეცნიერო კვლევადიებაში³; ცხოვრება ამ მოღვაწეებისა საუსტა ცნობებით იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდნენ ისინი ჩვენში ცეცხლთაყვანისმცემლობას, წარმართობას და როგორ იღვწოდნენ „მართლისა რჯულისათჳს.“ რაშია საქმე: ასკეტური მოსაზრებით იყო გამოწვეული იოანეს მოსლვა ჩვენში თუ სამისიონერო მიზნით, მას დაყუდება უნდოდა უცხოეთში თუ სარწმუნოების გავრცელება და გაძლიერება? ჩვენ გვგონია — არც ერთით, არც მეორეთი; მართალია, ჩვენში მოსლვისა და დამკვიდრების შემდეგ ეს მამები ასკეტური მოღვაწეობასაც (ეწვეიან და სამისიონეროსაც, მაგრამ ასეთი მოღვაწეობა შედეგი იყო და არა მიზეზი მათი ქართლში მოსლვისა. მართლაც, თუ იოანე სახელსა და პატივს ვაუბროდა და უცხოობაში დაყუდებას ეძებდა, ჯერ ერთი — რა საჭირო იყო ანისათვის შორეულს ჩრდილოეთში წამოსლვა, როდესაც სირიის უდაბნოები უფრო კარგსა და მოხერხებულ თავშესაფარს აძლევდა მას, მეორე — მარტოობის მიმდებნელ და მოტრფიანად რად წამოიყვანა 12 მოწაფე, მესამე — რატომ ქართლში არ გაუბრძოდა ის სახელსა და პატივისცემას, რომელიც მან პირველი დღიდანვე მოიპოვა, უფრო მეტად, ვიდრე სირიაში? არც სამისიონერო მიზნისათვის იყო საჭირო შორეულს ქართლში წამოსლვა, ვინაიდან აღმოსავლეთის დიოკეზი იოანეს სამისიონერო სულისკვეთებას უფრო ფართო ასპარეზს აძლევდა იმ დროს. საქმე ისაა, რომ დიოკეზის აღმოსავლეთ საზღვრებზე „მართალს რჯულს“ მედგრად ებრძოდა ამ დროს სპარსეთის ცეცხლთაყვანისმცემლობა და ნესტორიანობა, შიგნით, სირიაში, ყველა თითქმის პოზიციები და, იკავებული ჰქონდა მონოთეოზიტობას, ხოლო პერიფერიებზე ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო წარმართობა, რომ იმპერატორმა იუსტინიან-

1) სიძველ. მ. უ. წ. № 199, გვ. 20; ამავე სიტყვებს, მხოლოდ უფრო ვრცლად, იმეორებს მეტაფრასტოც (საქართვ. სამოთხე, გვ. 199):

2) შიოს მეტაფრასტული ცხოვრებით იოანე და მისი მოწაფეები გამოჯავნილი არიან ჩვენში „რათა ილუაწონ სარწმუნოებისათვის ქუეყანისა“ ლეთისმშობლის მიერ (საქართვ. სამოთხე, გვ. 224); აქ უკვე გვესმის გამოძახილი იმ ტრადიციისა, რომლითაც ქართლი ლეთისმშობლის წილხედობილია და რომელიც ჩვენში დამყარებულა არაუადრეს მეათე საუკუნისა (იხ. კ. ქეკელიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილ. უნივერ. მოამბე I, -14).

3) განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ამას ცნობილი ისტორიკოსი, პროფ. ვ. ა. ს. ბოლოტოვი (Журналы Совета Петербур. Духовной Академии за 1896-7 год, с. р. 257-91).

ნე დიდმა 541—542 წლებში მთელი მისია შეადგინა მონოფიზიტ ეპისკოპოსის იოანე ეფესელის მეთაურობით, რომელმაც მარტო მცირე აზიაში 70000 წარმართი მოაქცია¹. ამნაირად, სირიელ მამათა ქართლში მოსლვის მიზეზად ვერ ჩათვლება ვერც ასკეტიკური, ვერც სამისიონერო მოსაზრება; ეს მოსლვა გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნა აღმოსავლეთის დოკეტში, კერძოდ სირიაში, მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის დაუნდობელმა ბრძოლამ მეხუთე საუკუნის გასულს და მეექვსე საუკუნის სიგრძეზე. ეს მდგომარეობა უნდა გათვალისწინებული იქმნეს ეხლა.

ქალკედონის კრებამ საქრისტიანო ორ ბანაკად გაყო: ერთში იყვნენ დიოფიზიტები, რომელნიც ამ კრების დადგენილებას ღებულობდნენ და რომელთაც ამიტომ დაერქვათ ქალკედონისტები ან სინოდიტები, ხოლო მეორეში მონოფიზიტები, რომელნიც ამ დადგენილებას უარჰყოფდნენ და რომელთაც ამიტომ ანტიქალკედონისტები ეწოდებათ. დიოფიზიტებს მიეწოდა დასავლეთი ნაწილი იმპერიისა—ბერძნები და ლათინები, ხოლო მონოფიზიტობამ ფეხი მოიკიდა უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორცაა სირია, შუამდინარე, პალესტინა, კვიპტე. მონოფიზიტური იდეოლოგია უფრო შეესაბამებოდა დასახელებული ქვეყნების მცხოვრებთა ფსიქოლოგიას, თან ის ნიადაგს ჰყოფლობდა ამ ქვეყანათა ნაციონალურ-პოლიტიკურ სეპარატიზმში, რომელიც ვერ სძლია საბოლოოდ ვერც ბერძნულმა კულტურამ, ვერც რომაელთა ბატონობამ. ყველაზე უფრო მონოფიზიტობა ამ ქვეყნებში ბერძონაზნებებსა და მონასტრებს მოელო. ამის მიზეზი იყო ის, რომ მისტიკურად განწყობილი ბერძონაზნობა, რომელიც ადამიანის პიროვნებაშიაც კი ვერ შერეგებოდა ხორციელ ბუნებას და სასტიკ ბრძოლას უცხადებდა მას, მით უფრო ვერ ურიგდებოდა ამ ბუნებას იესო ქრისტეს პიროვნებაში, იესო ქრისტეს კაცობრიობა მას მიაჩნდა ღეთაების იდეის დამამცირებლად და შეზღაურებლად. ამით აიხსნება, რომ ანტიქალკედონისტურ მოძრაობისას მოწინავე ავანგარდს, ყველაზე უფრო საიმედო და მედგარ ელემენტს, ბერძონაზნობა იძლეოდა მთელს აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სირიაში. მეხუთე საუკუნის გასულიდან და მეექვსე საუკუნის სიგრძეზე თითქმის მთელი სირია მონოფიზიტობის ხელში იყო, რომელმაც თავი უმთავრესად მონასტრებს შეაფარა. მონოფიზიტ-ბერძენის ძლიერება იქამდე მივიდა, რომ ხშირად მათ თავისი კანდიდატი ანტიოქიის საპატრიარქო კათედრაზედაც კი გაჰყავდათ. ამ გარემოებისათვის არ შეეძლოთ ყურადღება არ მიექციათ ბიზანტიის იმპერატორებს, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული სახელმწიფოს ნამდვილი ინტერესები. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ მონოფიზიტობა შეიქნა იმ ნიადაგად, რომელიც ასაზრდოებდა აღმოსავლურ სეპარატიზმს, ის ხელიდან აცილდა მათ მთელს აღმოსავლეთს, თან განწყობილებას უფუქებდა მათ დასავლეთის ქრისტიანობის წარმომადგენელ პაპთან, რომლის მეგობრული კავშირი და კეთილმეზობლური ურთიერთობა მათთვის უმნიშვნელო არ იყო. ამით იყო გამოწვეული უნიონალური პოლიტიკა მეექვსე საუკუნის იმპერატორებისა, განსაკუთრებით იუსტინე პირ-

¹) F. Nau, Analyse de la seconde partie inédite de l'histoire ecclésiastique de Jean d'Asie (*Revue de l'Orient Chrétien* 1897, 11; p. 455—493). Проф. А. Дьяконов, Иоанн Ефесский и его церковно-исторические труды. стр. 67—70, Петерб. 1905 г.

ველის, იუსტინიანე დიდის და იუსტინე მეორის. მათ მიზნად დაისახეს, რა გზითაც და როგორც უნდა ყოვილიყო, შეერიკებით მონოფიზიტები სინოდოტებთან და ამით მოესპოთ ის მიზეზი, რომელიც განსაკუდელს უშხადებდა იმპერიას. მშვიდობიანი გზით,--სიტყვით, დარწმუნებით, დისკუტებით,--ამას ისინი ვერ ახერხებდენ, ვინაიდან სარწმუნოებრივი გრძნობის ინტენსივობით და ლოლიკური რწინის ჩამოსხმულობით მონოფიზიტები არამც თუ არ ჩამოვარდებოდენ, სქარპობდენ კიდევაც დიოფიზიტებს; ამიტომ ხელისუფლება, როგორც საერო, ისე სასულიერო, მონოფიზიტების წინააღმდეგ ხმარობდა სასტიკ რეპრესიებს და ძალადობას, რაც გამოიხატებოდა აწიოკებასა და დარბევანი, სანოქალაქო და სარწმუნოებრივ უფლებათა შეზღუდვაში, ქონების კონფისკაციისა, მონასტრებისა და ეკლესიების დახურვასა და ჩამორთმევაში, სანოქლოდან გაძევებაში, დაპატიმრებასა და ფიზიკურად დასახიჩრებაში. შეუძლებელია გულდამშვიდებით გადაიტოხოთ ამ რეპრესიების აღწერლობა, რომელიც დაუტოვებიათ როგორც მონოფიზიტ ისტორიკოსებს (მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია იოანე ეფესელი † 596 წ.), ისე დიოფიზიტებს.

მონოფიზიტების ცენტრად, რომელიც, როგორც ვთქვი, მთელს აღმოსავლეთს მოედო, სირია ითვლებოდა; ამიტომ აქ უმთავრესად ჰქონდა ადგილი ან სასტიკ რეპრესიებს. მთავარი ეტაპები ან დევნა-შევიწროებისა ასეთია. სირიაში მონოფიზიტობამ ფეხი გაიდგა განსაკუთრებით იმპერატორი ანასტასის დროს (491--518), მისი მეფობის მეორე ნახევარში. ანტიოქიის პატრიარქის ფაბიციანეს კათედრიდან ჩამოგდების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა მონოფიზიტთა ერთერთმა ბელადმა, სევეტოზმა, რომელიც პეტრე მაიუმელი მონასტერში იყო აღზრდილი. ქ. დახაში. 513 წელს მან მოიწვია ქ. ტვიროსში კრება, რომელზედაც ქალკედონის კრება შეჩვენებულ იქმნა და ანტიკალკედონისტობა თითქმის ოფიციალურად იქმნა აღიარებული; ამის შემდეგ მონოფიზიტები სრულ ბატონად გრძნობდენ თავს სირიაში. შავრამ მათმა ბატონობან დიდხანს ვერ გასტანა: ანასტასი იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ (10 ივნისს 518 წ.) ტახტზე ავიდა იუსტინე პირველი, რომელმაც თავისი გამეფების პირველი დღიდანვე უარყო ანასტასის პოლიტიკა და რეპრესიულ ზომებს მიმართა მონოფიზიტთა წინააღმდეგ. დაიწყო საშინელი დევნა მათი, რომელიც არ შეწყვეტილა მთელს მის მეფობაში. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ან დევნულობამ 519--520 წლებში, ანტიოქიის პატრიარქის პავლეს დროს, რომელმაც დაიკავა გაძევებული სევროზის ადგილი. აი როგორ აგვიწერს ამ დევნულობას იოანე ეფესელი: „ანტიოქიის მიდამოებში, მთელს არაბისტანსა და პალესტინაში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მრავალს ქალაქებში და განსორებულთა უდაბნოებში, თითქმის სპარსეთის საზღვრამდე, აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიაც მოსახლეობა გაძევებული იყო სამკვიდრებელი ადგილებიდან და გაფანტული. ვისაც დაიპერდენ, ბორკილებს ადებდენ, აწყვედევდენ სატლსალოში და ყოველგვარ სასჯელსა და ტანჯვას აყენებდენ. ბევრი, ქონების ჩამორთმევის შემდეგ, კედებოდა შეუბრალებელი ცემისავან; სხვებს თავს ესხმოდენ რაზმები და უღმობელი ჯალათები, რომელნიც ერეკებოდენ მათ ერთ ადგილიდან მეორეზე..... თუ ვინმე გაბედავდა ამ საბრალოთა შეუარებას სოფლებ-

სა და სახლებში, მათ აწიოკებდნენ, სცემდნენ და სტანჯავდნენ. ანაზღეული და შეუყენებელი გრიგალი დევნულობის მოედო აღმოსავლეთის ყველა ოლქებს, ქალაქებსა და სოფლებს. გაუმძღარი სიხარბით დიატაცეს ქონება, არა მარტო საეკლესიო, სამონასტრო და საბერძნონაზნო, არამედ ისეთიც კი, რომელიც ეკუთვნოდა ერის კაცებს, ქალებს და ბავშვებს. ყოველნაირად შეიწროებულნი, წამებულნი, შეურაცხყოფილნი და ექსორიაქმნილნი, პორწმუნენი (= მონოფიზიტები) მოთმინებით იტანდნენ ტანჯვასა და ვაებას ქეშმარიტის, მართლის და უბიწო სარწმუნოებისათვის. ის, რაც განზრახული მაქვს აღწერო, აღემატება ჩემს ძალღონეს და მას ვერ დაიტყვს მრავალტომიანი თხზულებაც კი, განსაკუთრებით პავლეს, ეფერასის და ეფრემის დროის ამბებს, როდესაც მამათა და დედათა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, დიდსა და პატარა მონასტრებს სირიაში უდიდესი სულგრძელობით უხდებოდათ გადატანა ყოველგვარი დევნულობისა, სიმძიმისა, ტანჯვისა, სიმშლიისა, წყურვილისა, სიცივისა და უსასტიკესი სიტუტელისა. ამ მონასტერთა მკვიდრნი, რომელთაც დღევანდელ დღისათვის მოახერხეს საღმრთო თავის შეფარება, საღამოთი თუ არა, მეორე დღეს დილით მაინც განიდევნებოდნენ და ევლარ ჰპოულობდნენ ღამის გასათვე ალავს. ასე რომ ისინი. მსგავსად ნადირისა, მთელ ღამეებს ატარებდნენ ცის ქვეშ, დაეხეტებოდნენ მთასა და ბარში, სუსხიან ზამთარში ღამეს ათევენდნენ თოვლსა და ყინულზე, ქვებზე მჯდომარენი, სიცივისა და ძლიერი ქარისაგან შეწუხებულნი; მათ საშუალება არ ჰქონდათ რამე დაეფინათ ქვეშ, ცოტა წამოწოლილიყვენ და ფეხბა გაეშალათ ნიწახე. ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ჯალათები გამოათრევდნენ მორწმუნეებს მათი სავანებიდან, მესვეტეთ ჩამოაგდებდნენ სვეტებიდან და ერეკებოდნენ სენაკებიდან. ასეთი ტანჯვა, ვაება და შევიწროება ხვდა წილად ბერმონაზონთა წესს პავლე პატრიარქის დროს¹. 520 წელს; რომელიც ცნობილია მონოფიზიტთა „დიდი დარბევის“ წლად, მარტო ამიღას ოლქის მონასტრებიდან გამოძევებულ იქნა 1000 ბერი, მათ შეადგინეს ცნობილი „ამიღას ათასეული“, რომლის მოგზაურობა და ხეტიალი აღწერილია იმვე იოანე ეფესელინის ნიერ.

იუსტინიანე დიდის გამეფების შემდეგ, 530—536 წლებში, შეწყდა მონოფიზიტობის დევნა; ამას, ალბათ, ხელს უწყობდა დედოფალი თეოდორა, რომლის სინატიები მონოფიზიტების მხარეზე იყო. იუსტინიანეს უნდოდა მათი შერიგება და დაჯერება დისპუტების საშუალებით, რომელთაც კონსტანტინოპოლში მართავდა ხოლმე. მაგრამ, რადგანაც ამ ზომამ ვერ გაკრა, 536 წლიდან, რომის პაპის ზეგავლენით, კვლავ დაიწყო საშინელი დევნულობა, რომელმაც თავისი განვითარების ზენიტს 540—542 წლებში მიახწია, თუმცა, სხვადასხვა ტემპით, ის სხვა დროსაც მეორდებოდა ხოლმე იუსტინიანეს მეფობაში. მაგალითად, 544 წელს მან განოსცა ედიქტები, რომლითაც მონოფიზიტებს ეკრძალებათ თავისი სარწმუნოების საჯაროდ გამომტკიცება, ტაძრების აგება და ღვთისმსახურების შესრულება. ამ დევნულობის დროს განსაკუთრებით ისახელა თავი

¹) Johannis, episcopi Ephesii—Commentarii de beatis orientalibus et Historiæ Ecclesiasticæ fragmenta. latine verterunt van D o u w e n et L a n d, Amsterdami 1889, p. 217.

ანტიოქიის პატრიარქმა ეფრემმა (527—545), რომელიც ერისკაცობაში ერთერთი მსხვილი მოხელე იყო აღმოსავლეთში. აი როგორ აგვიწერს ამ დევულობას იგივე იოანე ეფესელი: „ეფრემმა დიდი მღვლევარება გამოიწვია სირიისა და საერთოდ აღმოსავლეთის ეკლესიებში; ოლქებისა და ქალაქების მემოელისას ის ავერანებდა დიდსა და პატარა მონასტრებს, არღვევდა სვეტებს, საიდნაც ჰყრიდა ძირს მოღვაწეებს, სხვებს კიდევ ბარბაროსული ძალმომროებით ერკებოდა სენაკებიდან და ხმლითა და მათრახებით აიძულებდა ზიარებას. სამხედრო ძალე-ბით მან განფანტა ბერები როგორც ამიდას ახლო წდებარე, ისე შორეული მონასტრებიდან..... ბერებმა მოახდინეს თათბირი, დაიყენენ ჯგუფებად, — თვითეულ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, — და გადაიხევენ სხვადასხვა მხარეს..... ვერავინ ვერ ბედავდა მათთვის თავშესაფარი მიეცა სახლში, ვინაიდან ასეთს სახლს კონფისკაციას უშვებოდენ, ხოლო მის პატრონს პასუხისგებაში აძლევდენ; ამიტომ მრავალი იძულებული იყო, მსგავსად ნადირისა, შეფარებოდა გამოქვაბულებსა და მიუვალ ადგილებს ეფრატის გაღმა..... ზოგი კიდევ გარბოდა თოვლით დაფარულს მთებში და იმალებოდა აქ თხისა და ცხერის ბაქეში. ასე, ყველა შეწუხებული იყო სიცივითა და სიმშლით, ურვიითა და ვაებით¹.

ასეთსავე სასტიკ დევულობას ჰქონდა ადგილი აგრეთვე იუსტინე მეორის მეფობაში; 567 წელს სპარსეთში გაემგზავრა ბიზანტიის ელჩი იოანე კომენტიოლი, რომელსაც იმპერატორმა დაავალა თავი მოეყარა აღმოსავლეთის მონოფიზიტთა წარმომადგენლებისათვის და გაემართა მათთან აღმოაპარაკება; მოლაპარაკება მართლაც დაიწყო ქალაქ კალინიკში ცნობილის იაკობ მმურკენცლის მონაწილეობით, მაგრამ ფანტიკოსმა ბერებმა იოანეს თავზე გადაახინა პროექტი უნისა. ამის შემდეგ, 571 წელს, დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა და დევნა აღმოსავლეთის მონოფიზიტებისა², რომელსაც დიდი პოლიტიკური შედეგები ჰქონდა იმპერიისათვის: მან ხელი შეუწყო აღმოსავლეთის პროვინციების ჩამოშორებას იმპერიიდან³. ამნაირად, მონოფიზიტების დევულობამ, რომელიც თითქმის მთელი მეექვსე საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა, განსაკუთრებული სიმძაფრით იფეთქა 519-520, 540-542, 544 და 571 წლებში; აწიოკებული ბერები გარბოდენ, ვისაც სად შეეძლო და სად მოუხერხდებოდა. ეს გარემოება კარგად უნდა გვახსოვდეს, როდესაც გვინდა გამოვარკვიოთ, თუ რან გამოიწვია ასურელ მამათა ქართლში მოსლა. ისინი, ვიმეორებთ, არ მოსულან ჩვენში არც ასკეტიკური, არც სამისიონერო მიზნით, შათი მოსლა გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც ესეცაა დავასურათეთ: ეს მამები იყვნენ მონოფიზიტები, როგორც ასეთები ისინი გამხდარან მსხვერპლი აღნიშნულ დევულობათა და ამის გამო გამოქვეყულან ჩვენსკენ. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მამები მართლაც მონოფიზიტება იყვნენ, შესაძლებელია მოყვანილ იქმნეს რამდენიმე მოსაზრება: =

¹) Commentarii de beatis orientalibus, p. 221.

²) ibid. p. 60.

³) Проф. А. Дьяконов, Иоанн Ефесский и его церковно-исторические труды. стр. 88—110; Проф. Ю. Кулаковский, История Византии, II, 374—5.

1) იმ დროს სირიაში ქალკედონისტ ბერთა რიცხვი არც ისე მოკარბებულ იყო, რომ ნაწილი მათი, თუგინდ ცამეტი, უცხო ქვეყანაში წასულიყო სამონიონგრო მიზნებით; სირიის ქალკედონისტ ბერებს თვითონ ეწვოდათ სახლი თავზე, რომ სხვა ქვეყნებისათვის ეზრუნათ; თუ მათში თითო-ოროლა აქტიური პიროვნება განიზრუნებოდა, ის საჭირო იყო ადგილობრივ, აბომოქრებულ მონოფიზიტობასთან საბრძოლველად.

2) მეექვსე საუკუნის გასლვამდე ქართლში ოფიციალურ ქრისტიანობად როგორც ცნობილია. ჯერ კიდევ მონოფიზიტობა ითვლებოდა, ქართლელები სომხებთან ერთად მდგარ დარაჯად უდგენ ანტიქალკედონისტობას¹. სირიის ბერებმა ეს, რასაკვირველია, კარგად იცოდენ, ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ, საერთო აწიკებისა და ექსორიობის დროს, ნაწილი მათი წამოვიდა მონოფიზიტურ ქვეყანაში, სადაც ქალკედონისტობის ნიადაგზე არავითარ დევნულობას არ ჰქონია მაშინ ადგილი.

3) მეტად ჩნიშნელოვანია ერთი ფაქტი, რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასტულ რედაქციაშიც კი შენახულა. დავითმა მოინდომა იერუსალიმის მიზიიილევა და გაემგზავრა კიდეც; დიდი ვაივაგლახის შემდეგ მიახწია წმიდა ქალაქამდე, მაგრამ, როდესაც ავიდა „მადლის ქედზე“, რომელიც იერუსალიმს თავს დაუყრებდა, მან თავისი თავი უღირსად ჩათვალა წმიდა ქალაქში შესლვისა და უკანვე გამობრუნდა. თავისი ცხოველი სარწმუნოებრივი გრძნობის დასაცაყოფილებლად მან წამოილო „ეელოლიად“ სამი ქვა; იერუსალიმის პატრიარქმა სიზმარში ნახა, რომ ვილაც უცნობმა „წარილო მადლი ქალაქისაგან წმინდისა იერუსალიმისა“, ამიტომ დაუყონებლივ დაადევნა უკან კაცი მას და, თუმცა ყველა ვერა, მაგრამ ორი ქვა მაინც დაიბრუნა². ამ ეპიზოდში ჩვენ გვაქვს ბუნდოვანი გამოძახილი რალაც სინამდვილისა; როგორც ამას უფრო ნათლად ქვემოთ დავინახავთ, დავითის ქალაქში შეუსლველობა გამოწვეული იყო ინიით, რომ ის მონოფიზიტი იყო, იერუსალიმი კი ამ დროს დიოფიზიტ პატრიარქების ხელში იყო და მონოფიზიტობა იქაც სასტრკად იღვენებოდა. სამი ქვის გაპოტანაში მაშინდელმა იერუსალიმის ქალკედონისტ პატრიარქმა დაინახა „იერუსალიმის მადლის“ მოტაცება მონოფიზიტის მიერ, მას არ უნდოდა ეს „მადლი“ მწვალელებისათვის დაეთმო და შეეცადა უკან დაებრუნებია იგი.

4) მართალია, არსებული რედაქციები სირიელ მამათა ცხოვრებისა დიოფიზიტურ ბრძმედშია გატარებული და მათში ისტორიული სინამდვილე შებლაბლულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმათ მაინც შემოუწახავთ ზოგიერთი მნიშნელოვანი დეტალები, რომელნიც ქალკედონისტ-რედაქტორებს თუ ავტორებს უნებლიეთ გაჰპარვიათ. ამ მხრივ საყურადღებოა აღნიშნულ მამათა ყოველდღიური ცხოვრების, მოღვაწეობის და ზნეწვეულების აღწერილობა. როდესაც ჩვენ უსჯირდებით ამ აღწერილობას, აქ ვპოულობთ ისეთ რამეებს, რაც ენათესავენა მონოფიზიტურ ასკეტიზმს მეექვსე საუკუნის სირიაში, სადაც მისი, ასკეტიზმის,

¹) იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია: История церковного разрыва между Грузией и Армениею в начале VII века (Известия Академии Наук 1906).

²) საქართველოს სამოთხე, გვ. 280—282.

იდეალები უკიდურესობამდე იქნა დაყვანილი¹. მართლაც, მონოფიზიტური ასკეტიზმი ინდივიდუალისტური ხასიათისა იყო, მის იდეალს შეადგენდა უფრო განდევნილობა, მართოდ ცხოვრება, ვიდრე ევრედწოდებული კენობიტობა ან ზოგადი ცხოვრება, თუმცა ამავე დროს აქ ვხვდებით მაგალითს ფართო კენობიისასაც. ასეთივე ხასიათისაა ათცამეტ მამების ასკეტიზმიც, ისინი შეტრფიან განდევნილობას, დაყუდებას, თუმცა არ გაურბიან კენობიასაც. მაგალითად, იოანე სირიაშიც და ქართლშიც ეძებნენ განმარტოვებულ ცხოვრებას, მას უპირატესობას აძლევს, მაგრამ ამავე დროს თავი ვერ დაუხწევია, ვერც იქ და ვერც აქ, მრავალრიცხოვან მოწაფეებისაგან. დაყუდების და განმარტოების მოყვარული იყო შიოც იმდენად, რომ, როდესაც, მისი სურვილის წინააღმდეგ, მის გარშემო შეიქმნა 2000 კაცისაგან შემდგარი საზოგადოება, იმან ჯურღმულში ჩამარხა ცოცხლივ თავისი თავი. მართლობას ეტრფის დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი და ანტონი, რომელმაც საგანგებოდ „მარტომყოფელის“ სახელიც კი დაიმიკვირა.

მონოფიზიტურ ასკეტიზმს აქვს მკვეთრად გამოხატული დუალისტური ფიზიონომია: იმას ახასიათებს არა მართო სურვილი—„განკაფვისა მიერ კორცი მონად სულისა დაიდგინოს“, როგორც ამას იოანე ზედაზნელი ეტრფოდა², არამედ პირდაპირ ზიზი და მტრობა კაცობრივი ბუნებისადმი, რაც ბერძნულმა ფსიქოლოგიამ არ იცოდა. ეს ზიზი კაცობრივი ბუნებისადმი და სურვილი მისი „განღვებისა და განკაფვისა“ გამოხატებოდა იმაში, რომ ასკეტები არ ზრუნავდნენ არც სასმელ-საჭმლისათვის, არც ტანისაწმისათვის, არც საცხოვრებელი ბინისათვის. ისინი სასტიკად მარხულობდნენ, მათ სასმელ-საჭმელს შეადგენდა პური, მწვანე და წყალი, ამასაც მთელი დღეობითა და კვირაობით არ ლებულობდნენ; ისინი ზამთარშიაც ფეხშიშველი დადიოდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ არც ყინულის სისასტიკეს, არც სიციხის სიმძაფრეს, ცხოვრობდნენ კლდესა და გამოქვაბულში, ტყესა და მიუვალ ადგილებში. ყველაფერი ეს, ბერძნულ ასკეტიზმთან შედარებით, უკიდურესობამდე იყო მიყვანილი. სწორედ ამასვე ვხედავთ ჩვენ ათცამეტ მამათა ცხოვრებაში: მათ, ჰავიოგრაფის სიტყვით, „განელინენ კორცნი“ თვისნი, კერძოდ შიომ „ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთახაჯა ცხოვრება თვისი“ და მიიღო ღვწლნი³, „კაცთა ბუნებისა უცხონი“, ის, „კორცთა შინა მყოფი, განხსნილ იყო მათგან, სრულიად დაძვიწყებული ბუნებასა კაცობრივისა“⁴. ეს, სხვათა შორის, მან იმითაც გამოამყლავნა, რომ შიშველა ხელის გულზე დაიდვა ნაკვერცხალი, დაასხა მას საკმეველი და ასეთ მდგომარეობაში ეამსა სწირავდა ღმერთს⁵. არ ზრუნავდნენ ეს მამები არც სასმელ-საჭმლისათვის; „იყო საზრდელად მათდა მდელითაგან ქუეყანისათა“, „რომელთამე მდელითა ძირთანი და მწუხანილნი, მუნ აღმოცენებულნი“. შიო ცხოვრობდა „თვნიერ საზრდელისა და სასუმელისა“, მან „განასრულა სამეოცი დღე ყოვლად მიუღებელმან საზრდე-

¹) დახასიათება მეექვსე საუკუნის მონოფიზიტური ასკეტიზმისა იხილ. სპეციალურ დისერტაციაში—„Исторический очерк сирийского монашества до половины VI в.“ проф. иером. А. Натолія, стр. 214—213. შგად. проф. А. Дьяконов, Иоанн Ефесский, стр. 17—18.

²) საქართველოს სამოთხე. გვ. 199.

³) იქვე, გვ. 244, 250.

⁴) იქვე, გვ. 210, 23⁶, 241.

ლისა და სასუმელისამან¹. არ ზრუნავდენ ისინი ტანისამოსისათვის: „უმრავლესნი ამათვანი არცა ხალენისა და თხისა ტყაიებისა მომგებელ იყვნეს, არამედ ბუნებისამიერის ტყაიისა გარეშემობლარდნილ წინაგანეწყებოდეს ყინულთა ღამისათა და სიცხეთა დღისათა“ და „ვანიკაფებოდეს ყინულისაგან სასტიკისა ჟამისა ზამთრისასა“². „მათა შინა და ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა მომკმედნი მკვდრობისანი“³, ისინი არ ზრუნავდენ არც საცხოვრებელი ბინისათვის. იოანემ, „ქუაბსა რასმე მცირესა მპოვნელმან, მუნშინა დაასრულა ცხოვრება თვისი“, იოსები „დაემკვდრა ადგილთა უდაბნოთა, უშენთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა“, შიო „წარვიდა კაცთაგან ყოვლად უფალთა მღწართა და კლდეთა საშინელთა, იხილა ხევი რაამე ღრმაჲ, უნუგეშინისცემოჲ, ურწყული, სავე მკეტთა მიერ და ქუეწარმავალთა გესლიანთა, რომელნი იგი მიხედვითა იდენ შეადრწუნებდა კაცობრიესა ბუნებასა“; მერმე „შთახდა მღვმესა მას ბნელსა შინა ქუესილრმეთა მიწისათა“⁴. ასეთი ექსცენტრული, პირდაპირ ფსიქო-პათოლოგიური საქციელი და არაბუნებრივი რეჟიმი დამახასიათებელია მონოფიზიტური ასკეტიზმისა, რომელსაც, სხვათა შორის, ახასიათებდა აგრეთვე მუდმივი ტირილი და ცრემლების ღერა: ამას ადგილი ჰქონდა ათცამეტ მამათა (ცხოვრებაშიაც; „წყარო ცრემლთაჲ დაუწყუედელი მარადის გარდამოსდინ თვალთა იოანესთა და დღე და ღამე დაალტობნ საზეკელთა თვისთა ცრემლითა და განბანნ მას ნაკადლითა, თულათაგან ჩამოდინნართა“⁵. აგრეთვე შიო, „დავრდომილი მიწად, დაალტობდა იატაკსა ცრემლთა მიერ, რომელნი შთამოვიდოდეს თულთაგან მისთა, ვითარ წყარონი დაუწყუედელნი“, და ასწავებდა მოწაფეთა თვისთა: „ტირილი იყავნ თქუენდა სამარადისოჲ, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნესა“⁶. ამნაირად, ჩვენ გვგონიბ, რომ ეგრედწოდებული „ათსამეტი ასურელი მამები“ იყენენ მონოფიზიტები, რომელნიც გამოქცევიან მონოფიზიტთა დევნულობას სირიაში და ჩვენში მოსულან; ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო ჩვენში: სპარსეთის მეფის ხვასრო პირველის მეათე (541) წელს სხვა გამოქცეულ ქრისტიანთა შორის ჩვენში მოსულა ცნობილი ესტატე მცხეთელი⁷. შემდეგ, როდესაც ჩვენში დიოფიზიტობას გაუმარჯვნია საბოლოოდ, ამ მამების პიროვნებისა და მოღვაწეობისათვის დიოფიზიტური ელფერი მიუციათ, წმიდათა რიცხვში მოუქცევეთ ისინი და დღესასწაულებიც კი დაუწესებიათ მათი სახელობისა. ამგვარსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი პეტრი მაიუმელის შესახებაც: ეს თავისდროს გამოჩენილი მონოფიზიტთა მოღვაწე ჩვენში მეფეთრამეტე საუკუნემდე მართლმადიდებელ წმიდათა რიცხვში იყო მიღებული. მის შესახებ უცხო, ბერძენ-სირიელი, მწერლებს რომ არ დაეტოვებიათ ცნობები⁸, ჩვენამდე მოხწეული

¹) იქვე, გვ. 227, 229.

²) იქვე, გვ. 201, 227.

³) იქვე, გვ. 200.

⁴) იქვე, გვ. 218, 217, 228-9, 219.

⁵) იქვე, გვ. 196.

⁶) იქვე, გვ. 243, 249.

⁷) იქვე, გვ. 313—322.

⁸) Н. М а р р, Жизнь Петра Ивера, подвижника Маюмского.

ქართული ცხოვრებით იმდენად გვეცოდინებოდა მისი მონოფიზიტობა, რამდენადაც სირიელ მამათა არსებული ცხოვრებით შესაძლოა მათი მონოფიზიტობის გაგება. სირიელ მამათა მართლმადიდებლობაში ეკეი ეპარებოდა პროფ. ნ. მარსაკ, რომელიც მათ ნესტორიანებადა სთვლიდა; ერთს თავის გამოკვლევაში ის შეშფევეით, გზადაგზა, შემდეგს ჰიპოთეზას აყენებს: შესაძლებელია, ნესტორიანობა, რომელიც ერთდროს სომხეთში ყვოდა და იქიდან ქართლშიაც უნდა გადმოსულიყო, შემოტანილი იყო ჩვენში სირიელ მამათა მიერო¹. მაგრამ არსებული მასალები მათ, პირიქით, ანტინესტორიანებად გვიხატავენ; მაგალითად, ანტონ მარტყოფელის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ანტონი დიდად გულნატკენი იყო იმ გარემოებით, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და მისი პირი ქ. ედესაში ნესტორიანების ეკლესიაში ესვენა; მას „ედჷნებოდა გულსა თვისსა, რომელი ნესტორიანთა ეკლესიასა შინა იყვნეს საუფლონი იგი ხატნი“, ამიტომ ის იძულებული გამხდარა პირდაპირ მოეპარა პირი ამ ხატისა და „უჩინრად“ წამოეღო ჩვენში². ასე რომ უფრო მისაღები და დასაშვებია მონოფიზიტობა ამ მოღვაწეებისა. =

IV.

ეხლა უნდა დაისვას საკითხი: როდის მოვიდენ ქართლში აღნიშნული მოღვაწეები? „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და მეთერთმეტე საუკუნის მემბტიანის ცნობით ისინი მოსულან მეფის ფარსმან მეორის და ევლავიოზ კათოლიკოზის დროს³. ჩვენ რომ უცილობლად და ზედმიწევნით გვქონდეს გარკვეული ქართლის მეფეებისა და კათოლიკოზების ქრონოლოგია, დასმული საკითხის გადაწყვეტაც ადვილი იქნებოდა; მაგრამ, ვინაიდან ჯერჯერობით ეს არა გვაქვს, თან საუკეთესო ამ დროს არსებობა როგორც ფარსმან მეფისა, ისე ევლავიოზ კათოლიკოზისა⁴, ამ ცნობას ვერ დავეყრდნობით და სხვა გამოსავალი წერტილი უნდა ვეძიოთ. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს კელი-შური ვარიანტის ცნობა, რომ იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები მოვიდენ „ქართლის მოქცევითგან მეურასესა წელსა“⁵; ამასვე იმეორებს შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრება, რომლის სიტყვით სირიელი მამები „წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს ფონი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი და ორასნიოდენ წელიწადნი წარსულ იყვნეს მოქცევით მათითგან“⁶. მეთორმეტი საუკუნის მემბტიანე (ანა დედოფლის ვარი-

¹) Аркауи—монгольское название христиан халкелдонитов (*Визит. Вр.мем., XII, стр. 3*).

²) საქართვ. სამოთხე, გვ. 294.

³) Е. Такайшвилл, Описание II, 723; ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა 83. 187.

⁴) მართლაც, იმ დროს, როდესაც იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები მოსულან, მეფობა ქართლში უკვე გაუქმებული იყო და ამიტომ ფარსმან მეფე იქ ვერ იქნებოდა; ვერ იქნებოდა ვერც კათოლიკოზი ევლავიოზი, ვინაიდან ამ დროს, როგორც ესტატე მცხეთელის ბიოგრაფიიდან ჩანს, კათოლიკოზად იყო სამოელი.

⁵) Описание II, 723.

⁶) საქართვ. სამოთხე, გვ. 223.

ანტი)თ, თუმცა ის ამ ქრონოლოგიას პირდაპირ არ გვირკვევს, მაგრამ საყურადღებო მასალას გვაძლევს ამისათვის, როდესაც ამბობს: „მეფობითგან მირიან მეფისა (==ქართლის მოქცევიდან) ვიდრე მეფობამდე მეორისა ფარსმანისა (==მოსლვა ქართლში სირიელი მამებისა) გარდაკდეს წელიწადი ორასნიო“¹. ამნაირად, სამივე წყაროს ცნობით სირიელ მამათა ქართლში მოსლვას ადგილი ჰქონია ქართლის მოქცევიდან ორასი წლის შემდეგ, ესე იგი მეექვსე საუკუნის ნახევარში; თუ ჩვენ გვესომებოდა ის, რაც ზემოთა ვთქვით ამ მამების მოსლვის მიზეზის შესახებ, ესეთი დათარიღება ზოგადად მისაღებია, —მათი მოსლვა მეექვსე საუკუნეს უნდა მივაკუთნოთ. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს მოლვაწევნი ერთად არ მოსულან და ერთს დროს, მაშასადამე საჭიროა უფრო დაახლოვებით და ზედმიწევნით იქმნეს გარკვეული დრო თვითულის მათგანის მოსლვისა.

ყველაზე ადრე უნდა მოსულიყოს დავით გარეჯელი; ამ შემთხვევაში ჩვენ ვეწყარვებით მისი ცხოვრების ცნობას, რომელიც მის სახელს უკავშირებს იერუსალიმის პატრიარქის ელიას სახელს. ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ ეპიზოდი დავითის იერუსალიმში პილიგრიმობისა და იქედან სამი ქვის წამოღების შესახებ. მისი ჩონჩხი ეხლაც უნდა გავიმეოროთ: ქართლში მოლვაწობის მეორე პერიოდში, მას შემდეგ, რაც ის სამუდამოდ დამკვიდრდა გარეჯის უდაბნოში და მის გარშემო „შემოკრბა სიმრავლე ფრიადი ძმათა“, დავითს მოუნდა იერუსალიმში წასლვა და წმიდა ადგილების მოლოცვა; ის გაემგზავრა კიდევაც, მიადგა იერუსალიმის კარებს, მაგრამ უცბად უკანვე გამობრუნდა, რადგანაც თავის თავი ვერ მიიჩნია ღირსად წმინდა ქალაქში შესვლისა. გამობრუნებულმა, მან თან წამოიღო „ეელოლიად“ სამი ქვა, რომელთაგან ორი უკანვე დააბრუნებია მაშინდელმა იერუსალიმის პატრიარქმა ელიამ². აქ ჩვენ საქმე გვაქვს საუკუნეთა განმავლობაში შექმნილსა და განმტკიცებულს ლეგენდასთან, რომელშიაც ერთიმეორესთან არეულია ფაქტები, სახელები და მოტივები, მაგრამ საფუძვლად ამ ლეგენდას უძვეეს საქმის ნამდვილი ვითარების გამოძახილი. პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ დავითის პილიგრიმობას ადგილი უნდა ჰქონოდა არა ქართლში მოსლვისა და იქ ხანგრძლივი მოლვაწობის შემდეგ, არამედ ჯერ კიდევ სირიაში ყოფნის დროს; რაღა შორეულს ქართლში მოსლვის შემდეგ გაუჩნდა დავითს ასეთი სურვილი, როდესაც მახლობელს სირიაში ყოფნისას უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა ასეთი პილიგრიმობა?! მეექვსე საუკუნის ნახევარში, როდესაც მთელი აღმოსავლეთი აბობოქრებული იყო ბიზანტიელთა და აპარსთა ბრძოლებით, ერთის მხრით, და მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა განუწყვეტელი ურთიერთზე თავდასხმით, მეორე მხრით, ქართლიდან იერუსალიმს მგზავრობა, ისიც მოხუცებული კაცისთვის, თუ შეუძლებელი არა; მეტად ძნელი იქნებოდა. თან უნდა გვახსოვდეს, რომ დავითის პილიგრიმობას ადგილი ჰქონია პატრიარქ ელიას დროს, რომელიც იერუსალიმის კათედრაზე ავიდა 494 წელს, დასტოვა ის 516 წელს, ხოლო გარდაიცვალა 518 წლის 20 ივნისს. თუ დავუშვებთ, რომ დავითი ქართლიდან გაემგზავრა იერუსალიმს და არა სირიიდან,

¹) ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამ. I, 8, გამ. II, 9.

²) საქართვ. სამოთხე, გვ. 280—281.

მაშინ ეს მოგზაურობა უნდა გადავიტანოთ ან მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ მაშინ იერუსალიმში პატრიარქად ელია არ ყოფილა, ანადა მეხუთე საუკუნის ოთხმოციან წლებში, რაც, როგორც ვიცით, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამიტომ გვგონია რომ აქ ლაპარაკია იმ პილიგრიმოზაზე, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა მაშინ, როდესაც დავითი ჯერ კიდევ სირიაში იყო, და რომელიც მერე ტრადიციამ მისი ქართლში ყოფნის პერიოდში გადმოიტანა. ეს პილიგრიმოზა მართლა სარწმუნოებრივი მიზნით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული; როგორც ზემოთ გაეარკვიეთ, 518 წლიდან, იუსტინეს გამეფების პირველი თვიდანვე, სირიაში დაიწყო მონოთეიზიტების დევნა, რომელმაც სასტიკი ხასიათი მიიღო 519-520 წლებში. უეკველია, დავითი ამ დევნულობამ აიძულა გაქცეულიყო იერუსალიმში, სადაც ბერებმა ყველაზე ადრე ამოიღეს ხმა ქალკედონის კრების წინააღმდეგ და სადაც მუდამ მტკიცე იყო მონოთეიზიტური ტრადიციები. დავითი მიაღმა იერუსალიმს, მაგრამ, ლეგენდით, აქ მოაგონდა მას, რომ ის ღირსი არაა წმიდა ქალაქში შესლვისა და უკან გამობრუნდა. ეს რაღაც გაუგებრობაა: ადამიანს, რომელიც მუდამ იერუსალიმში წასლვის შესახებ ოცნებობდა, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი ვაივაგლახი გადაიტანა, სანამ ამ ქალაქს მიაღებოდა, მხოლოდ ეხლა, როდესაც ის მიზნის წინაშე დგას, მოაგონდა თავისი უღირსობა, ნუ თუ მანამდე არ უფიქრია მას იმაზე—ღირსია თუ არა ის წმიდა ქალაქში შესლვისა? მისი ქალაქში შეუსლველობა გამოწვეული იყო არა უღირსობის შეგნებით, არამედ იმით, რომ მას მოლოდინი არ გაუმართლდა: პალესტინაშიაც, კერძოდ იერუსალიმში, მაშინ ისეთივე დევნულობა იყო მონოთეიზიტობისა, რიგორიც სირიაში. ამ დევნულობის მეზობარხტრე იყო პატრიარქი ელია. რომელიც, მართალია, დავითის იქ მისლვისას ერთი წლის მკვდარი მაინც იყო, მაგრამ მეტრძოდ დოთიზიტობას ჯერ კიდევ თავისი სახელითა და ავტორიტეტით ამოძრავებდა. დავითი ან არ შეუმეცს იერუსალიმში, როგორც მონოთეიზიტი, ან თვითონ დაინახა შეუძლებელად იქ შესლვა და უკანვე გამობრუნდა, ამის შემდეგ მას დაუწყია სხვა თავშესაფარის ძებნა და ჩვენსკენ გამოქცეულა. ამნაირად, დავითის სირიიდან გამოქცევა გამოწვეული უნდა იყოს 519—520 წლების დევნულობით; ასე რომ ის ქართლში უნდა მოსულიყოს 520 წლის მომდევნო ხანებში. შესაძლებელია, ლუკიანე და დოდო, რომელთაც განუყრელად ვხედავთ მასთან გარეჯის უდაბნოში პირველი დღიდანვე, მას სირიიდანვე მოჰყენეს აქ და მისი თანამგზაურნი და მოწაფეები იყვნენ.

მეორე პარტია მოღვაწეებისა მოსულა იოანე ზედაზნელის მეთაურობით; ამ პარტიაში შედიოდნენ, გარდა იოანესა, შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, ეზდერიოს (ისიდორე) სამთავნელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი და თათა, —ესენი არიან იოანესთან ერთად მოხსენებულნი არსენის მიერ დაწერილს ცხოვრებაში. Terminus ante quem მათი მოსლვისა ჩვენში არის 541 წელი; ეს ჩანს შიო მღვიმელის ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია შემდეგი: როდესაც იოანე თავისი მოწაფეებით წამოვიდა სირიიდან ქართლისაკენ, „ამათ ეამთა აღსრულ იყო დიდი მნათობი სკმიონ საკრველთომოქმედი მთასა საკრველსა, გარნა არადა სუეტსაცა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო, და

ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს *¹. მაშასადამე, ისინი წამოსულან ჩვენსკენ მაშინ, როდესაც სვიმეონი თორნეში იჯდა და სვეტზე ჯერ არ იყო აღსრული. გარკვევა იმისა, თუ როდის იჯდა სვიმეონი თორნეში, ადვილია მისი ცხოვრების დახმარებით, რომელიც შეუდგენია სვიმეონისავე მოწაფეს, კვიპრეს მთავარეპისკოპოსს, არკადის, (630—638) და რომელიც ქართულადაც არის ნათარგმნი². ეს ცხოვრება გვაძლევს შემდეგს თარიღებს: დაიბადა სვიმეონი 521 წელს (ანტიოქიაში დიდი ძვრის დროს, 526 წელს, ის 5 წლისა იყო). ექვსი წლის, ესე იგი 527 წელს, პატარა სვიმეონი მისულა ერთ ცნობილ მესვეტესთან, რომელსაც იოანე ერქვა, და მისი სვეტის მახლობლად დამდგარა პატარა სვეტზე, რომელზედაც დაუყვია ექვსი წელი. მაშასადამე—533 წლამდე. 533 წელს ასულა მეორე, უფრო მაღალს, სვეტზე. რომელზედაც დაუყვია რვა წელი, ესე იგი 541 წლამდე. 541 წელს, როდესაც ის 20 წლისა იყო, ასულა საკვირველ მთაზე, აქ შეუქმნია მას „თორნე რკინისაჲ“, რომელშიაც დაუყვია ათი წელი, მაშასადამე 551 წლამდე. 551 წელს ის ასულა დიდს სვეტზე, რომელზედაც მოღვაწეობდა 4½ წელს, 596 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა³. ამნაირად, საკვირველ მთაზე ასლების შემდეგ სვიმეონი თორნეში იჯდა 541—551 წლებში, მაშასადამე, იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები 541 წელზე ადრე ჩვენში ვერ წამოვიდოდნენ. Terminus post quem მათი წამოსვლისა ჩვენსკენ არის 544 წელი, ვინაიდან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ამ წელს გაუგია ანტონ მარტყოფელს, რომ ისინი უკვე წამოსული ყოფილან ქართლში⁴. უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, ისინი მოსულან ქართლში 543 წელს; აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მოღვაწეთა წამოსვლა ჩვენსკენ გამოწვეული იყო 540-542 წლების დევნულობით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

იოანე ზედაზნელის შემდეგ მოსულა ჩვენში ანტონ მარტყოფელი; მის ცხოვრებაში ნათქვამია: „შემდგომად უკანასკნელთა დღეთა და ჟამთა ხუარსო, სპარსთა მეფეჲ, მოადგა ედესია ქალაქსა და უწყო თხრა ქუეშე ზღუდესა. რათა ვერეთ შევიდეს, რომელ ვერა აგრძნან თუ ჰბრძაესო“; მაგრამ ქალაქი მან ვერ აიღო, რადგანაც „გარდააწუთეთეს ზეთი [ხელთუქმნელის ხატის] კანდელისა მბრძოლთა ზედა მის ქალაქისათა და მესყუულად, ვითარცა მოახლდა, მოედვა, და დაიწვენეს და, ვითარცა მტურერი, განიბნივნეს და უჩინო იქმნეს“⁵. ამ მოთხრობაში გადმოცემულია ისტორიული ფაქტი, რომელიც შემოუნახავთ მეექვსე საუკუნის ისტორიკოსებს ევაგრიუსა და პროკოპი კესარიელს: 544 წლის გაზაფხულზე ხვასრო მეფემ ალყა შემოარტყა ქ. ედესიას, მაგრამ ვერ აიღო ის. რადგანაც ადგილობრივმა გარნიზონმა ჯერ ცეცხლისმფრქვეველი იარაღებით შეუშალა მას ხელი ქალაქის კედლებს მიახლებოდა, მერე ცეცხლი გაუჩინა საალ-

¹) სიძველ. მ. ზ. ხელნაწ. № 170, გვ. 66—67. საქართვ. სამოთხე, გვ. 224—5.

²) გამოცემულია ჩვენ მიერ—Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 215—310.

³) Monumenta... p. 248, 339—310. ჩვენზე Историко-агиографические отрывки: *Христиан.*

Восток, т. II, вып. 2, стр. 192, прим. 4.

⁴) საქართველოს სამოთხე, გვ. 294.

⁵) იქვე, გვ. 294.

ყო შენობებს, რომელთა საშუალებით სპარსელებს უნდოდათ ქალაქის კედლებზე ასულიყვნენ. ცეცხლის ჩასაქრობად ხვასრომ გამოიყვანა წყალი ედესიის მახლობლად არსებული არხებიდან, მაგრამ ვერას გახდა. უშედეგოდ დარჩა მისი გაშმაგებული იერიშებიც, ვინაიდან, ჯარისკაცებთან ერთად, ადგილობრივი მცხოვრებლები აღულებდნენ ქვაბებში ზეთს და ქალაქის კედლებიდან აწვეთებდნენ მას მბრძოლთა ზედა, რითაც დიდს ზიანს აყენებდნენ მათ¹. აი სწორედ ამ დროს, მაშასადამე, 544 წელს, ანტონიმ „იძია მოძღვრისა თვისისა გზა და ისწავა ქეშმარიტი და ცნა, რამეთუ წარვიდა სომხითის ჩრდილოეთით კერძო“², ადგა და თვითონაც წამოვიდა ჩვენსკენ. ამნაირად, ანტონი მოსულა ქ. ედესიიდან დაახლოვებით 545 წელს, მისი წამოსლვა გამოწვეული იქნებოდა 544 წლის დევნულობით და მონოფიზიტთა შევიწროებით. არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის შესახებ, მართა მოვიდა ის, თუ მოყვა ვინმე.

უკანასკნელად უნდა მოსულიყოს ქართლში აბიბოს ნეკრესელი. მის ცხოვრებაში, რომელსაც მაინცადამაინც დიდი ცვლილება არ უნდა განეცადოს ნეტაფრასტის ხელში, ნათქვამია, რომ მან, აბიბოსმა, „ღედაკაცსა მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად მისა მოსლვად ბერძენთა და დაპყრობად ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ, მისავე ღედაკაცისა ზე, მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანაჲ ესე ჩუენი. მიერთგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა“³. აბიბოსის ცხოვრებიდანა ჩანს, რომ მისი სიკვდილის უამს. მარზაპანი სპარსეთისა იმყოფება „ხენასოფლად, სოფელსა, რომელსა ჰრქვან რები“, მაშასადამე—მთელი ქართლი სპარსთა ხელშია. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ აბიბოსი აწანებს 591 წლამდე, რადგანაც ცნობილია ისტორიულად, რომ 591 წელს ხვასრომ მეფემ „იბერიის მომეტებული ნაწილი, ქალაქ ტფილისამდე, მავრიკი კეისარს გადასცა“⁴, ასე რომ 591 წლის შემდეგ სპარსეთის მარზაპანი სოფელ რებსში ვეღარ იქნებოდა. მეფობის გაუქმების შემდეგ (522 წ.) 591 წლამდე მთელი ქართლი სპარსთა ხელში იყო, 591 წელს ბერძნებმა ჩამოართვეს სპარსეთის ხელისუფლებას უდიდესი ნაწილი ამ ქვეყნისა, ქ. ტფილისამდე, და „განასხნეს აქიდან უსჯულონი იგი სპარსნი“. ამის შემდეგ ქართლში, მართლაც, იწყება „ერისთავთა მპყრობელობა“; 590 თუ 591 წელს „მოკლდა გუარამ უკროპალატი და დარჩა ძე მისი სტეფანოზ; მეთობისა სახელი ვერ იკარა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“⁵. ჩვენ გვგონია, რომ აბიბოსის წინა-

¹) Evagrii, Hist. eccles. I, IV, c. 27 (Migne PG. t. 86); Прокопий Кесарийский, История воин Римлян с Персами, кн. II, гл. 26, 27, перев. С. Дестункиа.

²) საქართვ. სამოთხე, გვ. 214.

³) სიძველ. მუხ. № 832. ფ. 2; М. Джанашивили, Описание рукописей I¹, стр. 27; საქართვ. სამოთხე, გვ. 216, მ. საბინის, ჩვეულებისამებრ, ეს ადგილი დაუმახინჯებია და ნაცლად „მოერთგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელად ქართლისა“ შეუთხზავს: „მიერთგან მეფეთა ჩუენთა (?) და იქმნეს მპყრობელი სრულიად საქართველოსა და იყო ყველი ივერია ერთ საეფოდვე და დაიპყრნეს მათ მტკიცედ“. სიძველ. მუხ. ხელნ. № 171, გვ. 51;

⁴) სებეოსი 4¹, Gelzer, Georgius Cyprius p. LI, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, 214—215.

⁵) ქართლის ცხოვრ. მარამ დედოფლისა, გვ. 193.

სწარმეტყველება ბერძნების მოსლვისა და სპარსთა ქართლიდან განსხმის შესახებ ჰეულსხმობს სწორედ 591 წლის ამბებს¹. თუ ეს ასეა, აბიბოსი უწამებიათ 590 წელს, ვინაიდან, წარმოითქვა თუ არა მისი წინასწარმეტყველება ბერძნების მოსლვის შესახებ, იგი „მსწრაფლ“, მაშინვე შესრულდა, ესე იგი დიდხანს არ დაუყოვნებია. სიკვდილის ეამს, მისი ცხოვრების მიხედვით, ის ჯერ კიდევ ენერგიით და ძალღონით აღსაესე კაცია, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ის ვერ იქნებოდა იმ გამოქცეულთა რიცხვში, რომელნიც 542—545 წლებში მოსულან ჩვენში, წინააღმდეგ შემთხვევაში 590 წელს ის, თუ გარდაცვალებული არა, ღრმად მოხუცებული მაინც იქნებოდა. ასე რომ აბიბოსი უნდა იყოს მსხვერპლი 571 წლის დევნულობისა და მისი მოსლევა ქართლში გამოწვეული უნდა ყოფილიყოს ამ დევნულობით. ამის შესახებაც ვერ ვიტყვივთ გადაჭრით, მარტო მოვიდა ის, თუ სხვებიც მოჰყვნენ თან.

აწინააღმდეგ, პირველი პარტია სირიელი მამებისა მოსულა ქართლში 520 წლის ახლო ხანებში, მეორე—543 წელს, მესამე 545, ხოლო უკანასკნელი 571 წლის შემდეგ².

V.

დაგვიჩა ვასარკვევი ერთი საკითხი: ვინ იყვნენ ეროვნებით ან ჩამომავლობით ეს „ასურელი“ მამები? ყველა წყაროები, რაც კი მოიძებნება დღეს. ისტორიული, ჰაგიოგრაფიული, ლიტურგიკული, და ყველა მკვლევარნი ერთხმად მოწმობენ, რომ ეს მამები იყვნენ ასურელები ან სირიელები, მოღვაწენი ანტიოქიის მახლობლად მდებარე მონასტრისა და ერთგული მოწაფეები სვიმეონ საკვირველთმოქმედისა (521—596), რომელმაც თითქოს საგანგებოდ განოგზავნა ისინი ჩვენში. ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ არავითარი კავშირი ამ მამებს სვიმეონ საკვირველთმოქმედთან არა ჰქონიათ, როგორც მის უშუალო მო-

¹) მართალია, ჩვენი წყაროები ეროვნულ ხელისუფლებას ქართლში 591 წლამდე ჰეულსხმობენ: პირველი ასეთი ხელისუფალი, მათი ცნობით, ყოფილა სტეფანოზის მამა გუარამი, რომელიც პილი ქართლის ბატონ-პატრონადაა გამოყვანილი (ქართლ. ცხოვრ. მართამ დედოფლისა, გვ. 190—193, 330—340). მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვექონდეს საქმე. 591 წლამდე ქართლში შეუძლებელია ისეთი ბატონ-პატრონობა, როგორსაც მემპრიათანი გუარამს მიაწერენ. ეს გუარამი ის გურგენი ხომ არაა, რომელსაც თეოდანე ბიზანტიელი წერს: ΓΑΥΡΑΜ-ის ემხის, ხოლო იოანე ეფესელი მეფეს, და რომელიც, მათი გადმოცემით, 571 წელს კონსტანტინოპოლში მოსულა ვარდან მამიკონიანთან და დვინის კათალიკოს იოანესთან ერთად სომეხ-ქართველთა საქმეების გამო მოსალაპარაკებლად? (Joanni episc. VI, 11, Dindorf, Hist. graeci minores I, 445). ჩვენ გვეგონია, რომ ეს გუარამ-გურგენი ერთერთი იმ „მთავართაგანი“ იყო, რომელნიც, ესტატე მცხეთელის ცხოვრების მოწმობით (საქართვე. სამოთხე, გვ. 315), ქართლის შინაუ საქმეებს განაგებდნენ. როგორც უნდა იყოს, პირველი ერისმთავარი მაინც სტეფანოზია, ვინაიდან გუარამს მემპრიათანე კურაპალატს ემხის.

²) ამ საკითხს ვაკვრით შევხვ ცნობილი პროფ. ვ. ბოლოტოვიცი, მაგრამ მას სირიელ მამათა მოსლევა ქართლში წარმოდგენილი ჰქონდა ტრადიციულად, მათ ისინი მიიჩნდანართლმადიდებელ ბერებად, მისიონერებად, და ფიქრობდა, რომ ისინი ერთად, ერთსადაიმადედროს მოვიდნენ; სპარს-ბიზანტიელთა ურთიერთობისა და ქართლის მდგომარეობის მიხედვით მათი მოსლვის წელიწადად ბოლოტოვიცი მიიჩნდა ან 562, ან 571, ან 591 წლების მომდევნოდროს (Журнал Сосема Импери. Акад. наук на 1896—1897 год, том. 267—269).

წაფეებს; მათი მეთაურის, იოანე ზედაზნელის, ცხოვრება, არც მეტაფრასტული, არც ძველი-არსენისეული, ამის შესახებ არას ამბობს, მხოლოდ შიო მღვიმელის მეტაფრასტულს ცხოვრებაშია მოხსენებული სვიმეონი; აქ ნათქვამია: როდესაც იოანე მოწაფეებითურთ ქართლისაკენ გამოემგზავრა, „ამჟამად აღსრულ იყო დიდი მნათობი სვეონ საკრველთმოქმედი მთასა საკრველსა..... და ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმუყანებელსა“¹. მაგრამ აქ არც ისაა ნათქვამი, რომ ეს მამები მოწაფეები იყვნენ სვიმეონისა, არც ის, რომ ისინი სვიმეონმა გამოგზავნა ჩვენში. იოანესა და მის მოწაფეებს, ამ თქმულებით, გავგონილი ჰქონიათ სვიმეონის სახელი,—ეს კი სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, თუ მხედველობაში გვექნება, რომ სვიმეონის სახელი მთელს აღმოსავლეთში იყო მოფენილი,—და გზაზე შემოუღლიათ მასთან მხოლოდ ლოცვა-კურთხევის მისაღებად, თუმცა ესეც უკეც დიოფიზიტური ეპოქისა და ტრადიციის წვლილია და არა სინამდვილის ანარეკლი. მართლაც, ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ მამებს თვალთაღარ უნახავთ სვიმეონი; აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში, რომელიც, ვიმეორებთ, ყველაზე მეტად არქაულია, ნათქვამია: „ხოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სვეონ მესუეტისა ანტიოქელისაჲ, არა თუ ხილვითა ეხილცა სადამეერთმან ერთი, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა; რომლითა იხილებდის შორიელი, ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“². აქ პირდაპირაა აღნიშნული, რომ აბიბოსს, რომელიც, ტრადიციით, იოანეს საზოგადოების წევრი იყო. და მასთან ერთად მოვიდა, თვალთაღარ უხილავს სვიმეონი, მათ შორის მხოლოდ სულიერი ერთობა და მწიწრ-მოწიწრა არსებობდა, მაგრამ ეს უკანასკნელიც დიოფიზიტური ტენდენციის კვალია შემდეგ დროში გადაკეთებულს და გარდაქმნილს ცხოვრებაში.

ამაირად „ასურელი“ მამები არ ყოფილან სვიმეონის მოწაფენი და არც მის მიერ გამოგზავნილნი ჩვენში; ჩვენ გვგონია, რომ ისინი ნამდვილად „ასურელნიც“ არ ყოფილან, არამედ პირწივარდნილი ქართველები. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ, სირიიდან გამოქცეულნი, ისინი შორეულს ქართლში მოდიან; მეორე,—პირველი დღიდანვე მათი ქართლში მოსვლისა, ეს მამები ისე დაუახლოვდენ ადგილობრივ მკვიდრთ, ისე შეიჭრენ მათს სულსა და გულში, რომ ძნელი დასაჯერებელია ეს მოეხერხებიათ შორეული უცხოეთიდან მოსულ ადამიანებს, რომელთაც არც ენა იყოდენ ადგილობრივ მკვიდრთა, არც ზნე და ჩვეულებანი მათი. შესაძენ—შიოს ცხოვრება გადმოგვეცხვოს, რომ, როდესაც იოანე მოწაფეებითურთ შემოვიდა ქართლში, მას მიეგება კათოლიკოზი ევლავიოზი, რომელსაც იოანემ ქართულად დაუწყო ლაპარაკი, თუმცა ეს ენა მან არ იცოდა წინათო; აი ეს ადგილი: „აქა დამაყენა მე სიტყუამან მოთხრობად თქუნდა საკრველებისა დადისა თუ..... ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყუელი, ყოვლად დაუბრკოლებელი..... კეშმარიტად საკრველ არს ღმერთი შორის წმი-

¹) სიძველ. მუხ. ხელნ. № 170, გვ. 66—67. საქართველოს სამოთხე. გვ. 224

²) სიძველ. მუხ. № 170, გვ. 94. საქარ. სამოთხ., გვ. 214

დათა მისთა, რომელმან სულითა წმიდითა წამსა შინა ალატყუა სიტყვთა ზრახვად იოანე, რომელი არცა ოდეს ისმოიდა, არა თუ ესწავა¹. რასაკვირველია, ჰაგიოგრაფის შექმლო თავისებურად გადაეკეთებია და გაეგო ნამდილი ფაქტი და ბუნებრივს მოვლენაში სასწაული დაენახა, ჩვენ კი გვეგონია, რომ ამ შემთხვევაში მოხდა მხოლოდ ის, რაც უნდა მომხდარიყო: ქართველი ქართულად გამოელაპარაკა ქართველს, არც მეტი, არც ნაკლები. ამავე ძეგლში შიოს შესახებ ნათქვამია, რომ როდესაც მასთან გამოქვებულში მეფე და მთავარნი მივიდნენ, შიო მათ ქართულად ელაპარაკებოდა, „რამეთუ ენა ქართული შეუნიერად და მართლად ესწავა პირველ, ოდეს იყო იოანეს თანა, მოძღურისა ეკისისა. რამეთუ ოთხი წელი მუნ სრულყო ზედაძენსა. ხოლო ლოცვასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძნულსა იხმარებდა, რამეთუ ორივე ესე ესწავა ნეტარსა მას“². საეჭვოა, რომ ზედაზნის მთაზე, თუგინდ ოთხი წლის განმავლობაში, იოანეს შეესწავლებინოს შიოსათვის ქართული „შუენიერად და მართლად“, ვინაიდან, ჰაგიოგრაფის სიტყვით, იოანე თვითონ ასური იყო და, როგორც ასეთი, უნდა ვიგულისხმოთ, ასურულად ელაპარაკებოდა შიოს, განსაკუთრებით შინაურს, ოჯახურ ცხოვრებაში; და, თუ ეს მაინც მოხდა, ალბათ იმიტომ, რომ იოანე ასური კი არა, ქართველი ყოფილა. მაგრამ ამ თქმულებაში რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: ვასაგებია, როდესაც ჰაგიოგრაფი გვარწმუნებს, რომ შიომ, ასურმა, ქართული და ბერძნული ენა შეისწავლაო, მაგრამ სრულიად გაუგებარია, როდესაც ის ამბობს, რომ მან, ქართულთან და ბერძნულთან ერთად, აგრეთვე ასურულიც შეისწავლაო: თუ ის ასური იყო, რაღა შესწავლა უნდოდა სამშობლო ენისა? მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ნამდილიად ის არც ასური ყოფილა; შიო ქართულად იმიტომ ლაპარაკობდა „შუენიერად და მართლად“, რომ ის ქართველი იყო. დასასრულ, დავით გარეჯელის შესახებ მის ცხოვრებაში, როგორც ძველში, ისე მეტაფრასტულში, ნათქვამია, რომ გარეჯის უდაბნოში მასთან მოვიდა შემთხვევით ბარბაროზი, რომელსაც დავითი „მიუგებდა“ ან „ეტყუდა სომხურითა ენითაო“³. ცხადია, ახლად მოსული დავითი უცბად სომხურად ვერ დიწყებდა ლაპარაკს და, თუ ეს მოხდა, ალბათ იმიტომ, რომ დავითი მკვიდრი იყო გარეჯის მიდამოებისა, სადაც, სომხურ მოსახლეობასთან სიახლოვის ან აღრუქობის გამო, ადგილობრივმა ქართველებმა სომხური ენაც იცოდნენ⁴. საერთოდ, როდესაც ამ მოღვაწეების ბიოგრაფიას ეკითხულობთ, ისეთს შთაბეჭდილებას ვლენბულობთ. რომ ჩვენში ნოსტრის შენდევნი იხინი სამოღვაწო პუნქტად უკვე ნაცნობ ადგილებს ირჩევენ: „რომელიმე კახეთით, და რომელიმე კუხეთით, და სხუანი ზენასოფლით“⁵ წაჰვიდ-წამოვიდნენო, ამბობს ბიოგრაფი მათი⁶;—ალბათ თავიანთ სამშობლო კუთხეებში.

1) სიძველ. მუხ. № 170, გვ. 67; საქართველ. სამოთხე, გვ. 225.

2) სიძველ. მუხ. № 170, გვ. 79; საქართველ. სამოთხე, გვ. 237.

3) სიძველ. მუხ. ხელნ. № 139, გვ. 159, საქართველ. სამოთხე, გვ. 277.

4) შუად. H. Mapp, Архив. Визант. Источн. м. XII. стр. 7. Brossel, Hist. de l' Géorgie. Introduction, p. x.

5) სიძველ. მუხ. № 189, გვ. 21, საქართველ. სამოთხე, გვ. 207, 216, 251.

ამნაირად, ჩვენ მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მამები ქართველები იყვნენ, ვიდრე ასურები. როგორ მოხედენ ისინი სირიაში? დღეს უკვე ცნობილია, თუ რა კულტურული კავშირი არსებობდა აღმოსავლეთსა, კერძოდ სირიას, და ქართლს შორის უკანასკნელში ქრისტიანობის დამყარების პირველსა საუკუნეებში; ქართლის ქრისტიანობა გენეტიურად იყო დაკავშირებული სირია-პალესტინის ქრისტიანობასთან, აქედან საზრდოობდა ის და აქედან ღებულობდა მამოძრავებელ ძალებს. ამით აიხსნება, რომ ქართლიდან იმთავითვე მიდიოდნენ ჩვენები სირია-პალესტინაში, სადაც ბევრი მათგანი სამუდამოდ რჩებოდა და მოღვაწეობას იწყებდა. მოვიგონოთ პეტრე მაიუმელი და მის მიერ პალესტინაში დაარსებული „ქართველთა მონასტერი“¹; მოვიგონოთ სვიმონ დიდი მესვეტი (+ 459), რომელთანაც ქართველებს, ისტორიკოსის თეოდორიტე კვრელის ცნობით („თეოფილონ ისტორია“, თ. 26), მუდმივი კავშირი ჰქონიათ². მოვიგონოთ ქართველ ბერმონაზონთა კოლონია საბას ლავრაში მეექვსე საუკუნის დამდეგს³, მოვიგონოთ სვიმონ საკვირველთმოქმედის მონასტერში ქართველთა როლი და მასიური მისღვა-მოსღვა, კერძოდ იერუსალიმით მოსული აქ სამი ქართველი, რომელთაგან ერთი, სახელით ანტონი, „მამასახლისი იყო მონასტრისა პატრიარქისაჲ და წინამძღუარი ძმთა სიმრავლისაჲ“⁴. სირია-პალესტინაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს ძალუენებურად ითრევდა ის დოღმატიკური მოძრაობა, რომლითაც ასე იყო მდიდარი აღმოსავლეთის ისტორია V-VI საუკუნეებისა, ზოგი მათგანი აქტიური მონაწილეც კი ხდებოდა ამ მოძრაობისა, მაგალითად პეტრე იბერიელი ან მაიუმელი. საკვირველი არაა, რომ ეგრედწოდებული „ასურელი“ მამებიც ჩაითრია მაშინდელმა მონოფიზიტურმა მოძრაობამ და, როდესაც დაიწყო დევნა და შვეიწროება მონოფიზიტებისა, მათ მოაშურეს თავის სამშობლო ქვეყანას, ქართლს. ასე გვეხატება ჩვენ მათი ისტორია და თავგადასავალი.

ამნაირად, „ასურელ მამათა“ შესახებ ჩვენ შენდგეს დასკვნებამდე მივდივართ:

1) დღეს არსებული და ცნობილი ლიტერატურული წყაროები ამ მამათა შესახებ შედგენილია სამონასტრო ზეპირთქმულებათა და ტრადიციათა ნიადაგზე და ჩაწერილია არაუადრეს მეცხრე საუკუნისა; ისინი გატარებულია იმ ბრძოლის ბრძმედში, რომელიც წარმოებდა ჩვენში VII-IX საუკუნეთა სიგრძეზე ქალკედონისტთა და ანტიქალკედონისტთა შორის, მათში კუმარიტება ტენდენციურად წარყენილია გამარჯვებული დიოფიზიტობის მიერ, რომელსაც უნებლიეთ გაპარვია შიგადაშიგ თითო-ორიოლა, ისტორიული სინამდვილის მაკვენებელი, დეტალი.

2) ტრადიცია იმის შესახებ, რომ ჩვენში მოვიდა 13 მოღვაწე, რომელთაგან ერთი მოძღვარი იყო და 12 მოწაფე შექმნილია იესო ქრისტესა და მისი 12 მოწაფის მისიის ანალოგიით, ნამდვილად რიცხვი მათი გაცილებით მეტი

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 91.

²) Исторический очерк сирийского монашества до половины VI в., проф. иер. А. н. а. тся, стр. 132.

³) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 33, 92.

⁴) იქვე, გვ. 50, 91; Acta Sanctorum Maii, p. 118; H. M a p p, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверз I, 35.

იყო, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 17-სა; ესენი არ გამოსულან ერთისადა-
იმავე მონასტრიდან თუ ადგილიდან და არც ერთს დროს, ერთად, მოსულან
ქართლში.

3) ეს მოღვაწეები არ იყვნენ მართლმადიდებელნი ან დიოფიზიტები, არა-
მედ ანტიქალკედონისტები ან მონოფიზიტები; მათ გადაუტანიათ მთელი სიმ-
წვავე იმ დევნულობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში მეექვსე საუკუნის
სიგრძეზე, და ქართლში მოსულან არა სამისიონერო მიზნით, არამედ იძულებით,
ისინი გამოქცევიან დასახელებულ დევნულობას.

4) მოსულან ეს მოღვაწენი ქართლში სხვადასხვა დროს, ცალცალკე პარ-
ტიებად: ყველაზე ადრე მოსულა დავით გარეჯელი, 520 წლის ახლო ხანებში;
შერე მოსულა იოანე ზედაზნელი ექვსი მოწაფით 543 წელს; მათ შემდეგ მო-
სულა ანტონ მარტყოფელი, ედესია ქალაქით, 545 წელს, უკანასკნელად კი აბი-
ბოს ნეკრესელი 571 წლის დევნულობასთან დაკავშირებით.

5) ეს მოღვაწენი არ ყოფილან არც სვიმეონ საკვირველმოქმედის მოწა-
ფენი, არც ნამდვილად სირიელები, არამედ ქართველები; მათი სირიაში ყოფნა
და მოღვაწეობა აიხსნება იმ კულტურული ურთიერთობით, რომელიც არსებობ-
და V-VI საუკუნეებში ქართლსა და აღმოსავლეთს შორის.

ქ. ტვილისი
30, VI, 1925.

ZUR FRAGE DER ANKUNFT DER 13 SYRISCHEN VÄTER IN GEORGIEN

von

K. KEKELIDZE.

(Schlussfolgerungen).

Das Christentum von Ost-Georgien, d. h. der Provinz Karthlien, ist mit dem syrischen Christentum genetisch verwandt. Daher erklären sich verschiedene, seit der Bekehrung Georgiens im Gange befindliche halbhistorische, halblegendäre Erzählungen als Nachklang dieser Verwandtschaft.

Eine dieser Erzählungen ist die über die Ankunft in Karthlien (d. h. in Ost-Georgien) der sogenannten „dreizehn syrischen Väter“. Es ist eine historische Tatsache: die Tätigkeit der 13 syrischen Väter bezeichnet den Anfang des georgischen Mönchtums und einen Wendepunkt in der Christianisierung des georgischen Volkes. Leider aber ist diese historische Tatsache im Laufe der Zeit mit solchen legendären Einzelheiten verwickelt, dass es sehr schwer ist, in den erhaltenen schriftlichen Quellen die Wahrheit von der Dichtung zu scheiden und so das rein-historische Ereignis in seiner ursprünglichen Reinheit wiederherzustellen. Es genügt zu bemerken, dass wir bis jetzt in Un-

kenntnis waren — wer waren diese Väter, wann sind sie in Karthlien angekommen, welche Ziele erfolgten sie und was bildete die Veranlassung dazu.

Die vorliegende Arbeit macht den Versuch, auf alle diese Fragen eine bestimmte Antwort auf Grund der Rekonstruktion der historischen Wirklichkeit zu geben. Die Hauptergebnisse lassen sich folgendermassen zusammenfassen:

1. Alle bis jetzt bekannten literarischen Quellen inbetreff der „13 syrischen Väter“ sind auf Grund mündlicher Klosterüberlieferungen abgefasst und nicht früher als im IX. Jahrhundert niedergeschrieben. Sie sind infolge des Kampfes zwischen den Anhängern und Gegnern des Chalcedonense, der in Georgien vom VII. bis zum IX. Jahrhundert währte, im Geiste des überhandgenommenen Dyophysitismus tendenziös entstellt worden, obwohl manche Einzelheit, die für die geschichtliche Wirklichkeit bürgt, doch unwillkürlich stehen geblieben ist.

2. Die Überlieferung selbst von der Ankunft in Karthlien der 13 Väter, von denen einer der Lehrer und 12 seine Schüler waren, hat sich nach Analogie der Mission Christi und seiner 12 Schüler gebildet. Tatsächlich aber war die Gesamtzahl dieser Missionäre viel grösser, jedenfalls nicht unter 17; sie waren nicht aus einunddemselben Kloster hergekommen, nicht zusammen und nicht zu einundderselben Zeit in Karthlien angelangt.

3. Diese Missionäre waren keine Orthodoxen, Dyophysiten, sondern Bekämpfer des Chalcedonense oder Monophysiten; sie hatten die ganze Härte der religiösen Verfolgungen, welche in Syrien im VI. Jahrhundert stattfanden, zu erdulden und gelangten in Karthlien nicht freiwillig, sondern gezwungen an, — sie flüchteten sich vor den genannten Verfolgungen.

4. Diese Missionäre kamen in Karthlien zu verschiedenen Zeiten, in einzelnen Gruppen an; als erster kam David von Garedscha, J. 520; dann kam Johannes von Sedaseni mit sechs Schülern, im Jahre 543; ihm folgte Antonius von Martqobi im Jahre 545 aus Edessa, und als letzter kam Habibo von Nekressi infolge der Verfolgungen vom Jahre 571.

5. Diese Missionäre waren weder Schüler Symeons Taumaturgos († 596), noch geborene Syrier, sondern echte Georgier; ihr Leben und ihre Tätigkeit in Syrien ist aus den kulturellen Wechselbeziehungen zwischen Karthlien und Syrien im V—VI Jahrhundert zu erklären.

ბორის ლოლობერიძე.

'საკმერცხის ღვრილისებრ ხორცმებთა კლინიკის შესახებ.

1910 წელს ჩემ შრომაში აღწერილი იყო ცამეტი შემთხვევა საკვერცხის ღვრილისებრი ხორცმებებისა, რომელთა ოპერაციები ნაწარმოები იყო ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო-საგინეკოლოგიო კლინიკაში. იმ შრომაში განხილულია ღვრილისებრი ხორცმებების საკითხის მხოლოდ პათოლოგიურ-ანატომიური მხარე. მე განზახული მქონდა ამ საკითხის კლინიკური მხარეც გადამესინჯა მოკლე ხანში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მხოლოდ ეხლა მომეცა შეძლება სისრულეში მოვიყვანო ეს, სამაგიეროდ ის 13 შემთხვევა, რომელიც აღწერილი იყო ჩემს პირველ შრომაში, რამდენიმე ახალი შემთხვევითაა შევსებული.

ოპერაციული ტენიკის განვითარებისთანავე, როდესაც ოვარიოტომია ყოველდღიურ ოპერაციად გადაიქცა, გინეკოლოგებმა ყურადღება მიაქციეს საკვერცხის ღვრილისებრი ხორცმებებს, რომელთაც ზოგიერთი განსაკუთრებული თვისება აქვთ სხვა კეთილთვისებიან ხორცმებებთან შედარებით. აღნიშნულია ორივე მხარის დაავადების სიხშირე, ასციტის გაჩენა, peritoneum-ზე იმპლანტაციების შექმნა (Wirchowის impmetastasen) და ამ ხორცმებებით გამოწვეული კახექსია.

ყველა ამ განსაკუთრებულმა თვისებებმა ეჭიმებს აფიქრებინეს, რომ საკვერცხის ღვრილისებრი სიმსივნეები ავთვისებიან ხორცმებებს წარმოადგენენ.

აი რასა სწერს Словянский ღვრილისებრი ცისტომების შესახებ: „ისინი კეთილთვისებიან ხორცმებებს წარმოადგენენ, მაგრამ ისეთი მიდრეკილებით, რომ შედარებით ადვილად გადაიქცევიან ხოლმე ავთვისებიან ხორცმებებად. ეს უქანასკნელი თვისება ღვრილისებრ წყალბუმბებს ბევრად უფრო მკაფიოდ აქვთ გამოხატული, ვიდრე მათ მონათესავე ჯირკვლავან ცისტომებს. შედარებით ხშირად იქცევა ის ავთვისებიან ხორცმებად, რომლის ანატომიურ თვისებათა მიხედვით ის, ჩემის აზრით, შეიძლება მეორად კირჩხიბად ჩაითვალოს. ასეთ გადაქცევას ჩვენ ვპოულობთ ხან მუცლის აპკზე პაპილალური წანაზარდების დისემინაციის სახით, ხან კიდევ, თუმცა უფრო იშვიათად, შორეულ ორგანოთა მეტასტაზების სახით. არა იშვიათია აგრეთვე ხორცმებების რეციდივი რადიკალური ოპერაციების შემდეგ

Coblenzის აზრით ღვრილისებრ ცისტომებს ნათლად აქვთ გამოხატული ავთვისებიანი ხასიათი, და ამიტომ პროგნოსტიული თვალსაზრისით ისინი უნდა გეშონი არიან.

Шпрановი თავის დისერტაციაში ყველა კეთილთვისებიან ღვრილისებრ სიმსივნეს ორ ჯგუფად ჰყოფს: fibroma papillare და adenoma papillare. მისი რწმენით, ორივე შემთხვევა, წინააღმდეგ Coblenzის აზრისა, კარგ პროგნოზს იძლევა, თუ შესაძლებელია ოპერაციით მათი ამოცლა in toto. თუ მუცლის აქვზე დისემინაციური ადგილები რჩება adenoma papillareს დროს, ეს ძლიერ არასასიამოვნო მოვლენაა, და fibroma papillareს დროს კი, პირიქით, უფრო სანუგეშოა.

Pfannenstieli ამტკიცებს, რომ ღვრილისებრი ცისტომები ხშირად არ არის ავი თვისებისა: ავთვისებიანად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის პაპილარული ცისტომები, რომელთაც მიკროსკოპის ქვეშ ან კარცინომისა ან ადენო-კარცინომის სურათს გვიჩვენებენ. ავ თვისებად ის თვლის დესტრუქტულ ზრდას, სისხლისა და ლიმფატური გზების მიმართულებით მეტასტაზების შექმნას და კახეკსიას. პერიტონეუმზე იმპლანტაციებს ის ავთვისებიანად არა სცნობს, რადგან ისინი საკვერცხის სრულიად კეთილთვისებიან ადენომათა დროსაც გვხვდება ხოლმე და სიმსივნის ნაწილების განთავისუფლებისა და მათი პერიტონეუმზე ტრანსპლანტაციის გამო წარმოიშობა. Fibroma papillareს ჯგუფს ის სრულებით კეთილთვისებიანად თვლის. ეს ხორცმეტები ნელა იზრდება, მეტ წილად ცალმხრივ ვითარდება, არც მეტასტაზებსა, არც დისემინაციასა და არც რეციდივებს არ იძლევა. რამოდენიმე ასეთ შემთხვევაზე აწარმოებდა ის დაკვირვებას 3-4 წლის განმავლობაში.

Adenoma papillare უფრო სწრაფად იზრდება, 50% ში ორივე მხრივ ვითარდება, მაგრამ დიდი ასციტისა და ხშირი პუნქციის დროსაც ავადმყოფებს რამოდენიმე წლის განმავლობაში კარგი შეხედულება აქვთ. რადიკალური ოპერაციების შედეგები ხანგრძლივია. პერიტონეუმზე მეტასტაზების დროსაც შესაძლოა რამოდენიმე წლის განმავლობაში ავადმყოფი კარგად გრძნობდეს თავს უასციტოდაც. თუ ოპერაციის დროს დატოვებულია ცისტის კედლის ნაწილები, მაშინ ხორცმეტი თავის ზრდას განაგრძობს, მაგრამ უდესტრუქციოდ, უმეტასტაზოდ და უკახეკსიოდ. ამისდა მიხედვით adenoma papillareც კეთილთვისებიანია კლინიკური თვალსაზრისით და მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს საშიშროებას, თუ ის მთლიანად არ იქნა ამოკვეთილი. Fibromისა ან adenoma papillareს დროს ხორცმეტთა პათოლოგიის თვალსაზრისით შეუძლებელია ლამაზაივი ავი თვისების შესახებ. მას ჰქონდა ორი შემთხვევა, როდესაც ხორცმეტი ოპერაციამდის 14-15 წლის განმავლობაში არსებობდა; მიუხედავად ამისა მიკროსკოპის ქვეშ არსად არ იყო ნახული ავთვისებიანი ვადანგეარება.

ვრცელ შრომაში Pfannenstieli განიხილავს 60 შემთხვევას ღვრილისებრი ხორცმეტებისა, რომელიც მას 10 წლის განმავლობაში ბრესლაუს გინეკოლოგიურ კლინიკაში ჰქონდა მიღებული 400 ovariectomyზე. მას მოჰყავს 1 შემთხვევა, სადაც სიმსივნე ოპერაციით ამოულიათ, მაგრამ მუცლის აკიდან დისემინაციების ამოცლა შეუძლებელი გახდარა; მიუხედავად ამისა, 3 წლის შემდეგ ავადმყოფი კიდევ ცოცხალი ყოფილა. ასეთი მოკლე ხნის დაკვირვება მას საკმარისად არ მიაჩნია. ასეთივე ნაკლი, მისი აზრით, აქვს Torntons, Sommerისა, Fleischels, Freundის და Meiners შემთხვევებს, სადაც დაკვირვება გრძელდებოდა არა უმეტეს 3-4 წლისა. მას შეუძლებლად მიაჩნია ნუცლის აქვზე იმპლან-

ტაციების მოსპობა ოპერაციის შემდეგ, რადგანაც მიკროსკოპიულ სურათებში პროლიფერატიული პროცესები ყოველთვის უფრო განვითარებულია, ვიდრე დეგენერატიული. მას ჰქონდა შემთხვევები, სადაც რეციდივი არ ყოფილა 2-20 წლამდე ოპერაციის შემდეგ. \bar{n} შემთხვევაში კი, როდესაც ოპერაცია არა რადიკალურად იყო ნაწარმოები რეციდივები აღმოჩნდა. Pfannenstiel ამ გვარ სიმსივნეებს კეთილთვისებიანად სთვლის, ვინაიდან ისინი არ შეეზრდებიან ხოლმე დისტრუქტულად მეზობელ ორგანოებს და არ იძლევიან რეციდივებსა და ნაშვლად მეტასტაზებს. მისი აზრით დებულება დერილისებრი ადენომების ავთვისებიანად გადაგვარების შესახებ ჯერ კიდევ დაპტკიცებას მოითხოვს.

Pfannenstielის შემდეგ ავტორების მთელმა რიგმა ასწერა შემთხვევები, სადაც ხორცმეტი რეციდივებს არ იძლეოდა, მიუხედავად იმისა, რომ პაპილალური ხორცმეტის ოპერაციის დროს წანახარდები მუცლის აკეზე ვერ იქნა მოშორებული, რადგანაც ისინი უხვად იყო განვითარებული (Toth, Pfannenstiel, Kleinmann, Falk, Olshausen, Freund, Stöcklin, Troche, Bumm, Frenkel, Vincel, Mackenrodt, Teilhaber, Улезко-Строганова). მათი დაკვირვება გრძელდებოდა რამოდენაღე თვიდან 22 წლამდე. Mackenrodts აზრით საჭიროა ძირითადი სიმსივნის ამოკვეთა და მაშინ მუცლის აკეზე დისემინაციები თავისით ქრება. Pfannenstielის აზრით კი ამ შემთხვევაში თვით მუცლის საფარის გაკვეთას აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ტუბერკულოზური პერიტონიტის დროს.

საგულისხმოა Maissის შემთხვევა, სადაც laparotomia explorativa დროს სიმსივნე მუცლის აკეზე მრავალი დისემინაციის გამო დაგვიანებულად იყო ჩათვლილი. 16 თვის შემდეგ ახალი ლაპაროტომიით სიმსივნე ამოკვეთილი იყო, რადგან მეტასტაზები აღარ არსებობდა. ჩემის აზრით, ასეთი შემთხვევა გამოწვეულია უნდა ჩაითვალოს.

კიდევ უფრო საინტერესოა Rouxის შემთხვევა: 41 წლის ქალწულს ჰქონდა დერილისებრი სიმსივნე მრავალი დისემინაციით მუცლის აკეზე, რის გამოც ოპერაცია დაგვიანებულად იყო მიჩნეული და მუცლის ქრილობა ისევ შეკერილი. 7 წლის შემდეგ ფიბრომიომის გამო კვლავ უყვეს ლაპაროტომია და მუცლის ღრუში არამც თუ დისემინაციები არა ჩანდა არსად, არამედ თვით პირვანდელი სიმსივნეც აღარ იყო.

დასახელებული შემთხვევების საწინააღმდეგოდ აღწერილია აგრეთვე შემთხვევები რეციდივებისა მუცლის ღრუში დისემინაციების დატოვების შემდეგ (მეორე შემთხვევა Falk-ისა), რაც ზოგ ავტორს უფლებას აძლევს საეკვო პროგნოზი დასვას (Leopold, Martin).

შემდეგ ლიტერატურაში არსებობს მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც კეთილთვისებიანი დერილისებრი სიმსივნის ოპერაციის შემდეგ ავთვისებიანი ხორცმეტი განვითარდა ან სიმსივნის ადგილას, ან ნაწიბურზე (Seydel, Wendeler, Halban, Ortmann, მესამე შემთხვევა Fleischli-ისა). ამის შესახებ Olshausen მიგვიითობს, რომ პირველ სიმსივნეში შეიძლება კირჩხიბი შემჩნეული არ იყოს.

Улезко-Строганова მრავალი დერილისებრი სიმსივნეების გამოკვლევისას 43% კარცინომატოზული გადაგვარება იპოვა; ამავე დროს ზოგ შემთხვევაში

გადაგვარება ეხებოდა სიმსივნის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს, ასე რომ ზოგჯერ ძნელიც იყო მისი აღმოჩენა. ამით მართლდება Olshausenის ზემოაღნიშული აზრი.

ღვრილისებრი ხორცმეტების ხშირად ორთავე მხარეზე განვითარების გამო Küstnerსა, Godartსა და Gottschalkს აუცილებლად მიაჩნიათ ოპერაციის დროს პროფილაქტიურად მეორე საკვერცხის მოშორებაც, თუნდაც ის საღივ იყოს. Negeli და Fleischliნი არ ეთანხმებიან ამ აზრს. Wanorolkenი კი გვირჩევს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მეორე საკვერცხეს და, თუ ის საღია, მოექვეთოს მხოლოდ ხნიერ ქალებს.

გადავდივარ ჩვენი შემთხვევების განხილვაზე:

14 წლის განმავლობაში 1905—1919 წ. ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო-საგინეკოლოგიო კლინიკაში გაკეთებულია 207 ოვარიოტომია საკვერცხის წყალბუშტის გამო. ამ რიცხვიდან 26 შემთხვევაში იყო ჰისტოლოგიურად კეთილთვისებიანი ღვრილისებრი ხორცმეტი საკვერცხისა, რაც უდრის დაახლოებით 12, 5% ს. Pfannenstiell, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, 400 ოვარიოტომიაზე ჰქონდა 60 შემთხვევა კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი ღვრილისებრი ხორცმეტებისა ე. ი. 15% ს. ეს რიცხვი უახლოვდება ჩვენსას.

წლოვანობისა მიხედვით ავადმყოფები უმეტეს ნაწილად მოხუცებულნი არიან, სახელდობრ 6 ავადმყოფი იყო 30 წელიწადზე ნაკლებისა, 12 კი 30—40 წლისა და 6 კიდევ 40-50 წლისა. ერთ შემთხვევაში კი 50 წლისაზე მეტისა. 3-ჯერ სიმსივნე ჰქონდა ქალწულებს 15, 18, და 23 წლიანების, დანარჩენები კი სქესობრივად ნაცხოვრები იყვნენ.

პათოლოგიურ-ანატომიური სურათის მიხედვით 9 შემთხვევაში იყო fibroma papillare, დანარჩენებში კი adenoma papillare (Pfannenstiellისა და ჩემი ნომენკლატურით). ამ რიცხვში არაა შეტანილი სიმსივნები, რომელთაც ღვრილისებრი სარკომის ან კირჩხიბის ხასიათი ჰქონდათ, რადგანაც მე მაქვს განზრახული განვიხილო საკითხი ავი თვისების შესახებ იმ ღვრილისებრი ხორცმეტებისა, რომელნიც მიკროსკოპის ქვეშ ავთვისებიან სიმსივნის სურათს არ წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით პაპილარული კირჩხიბი და სარკომა ჩვენთვის საინტერესო არ არის.

შემთხვევების გადათვლიერებიდან ჩანს, რომ არ არსებობს განსაზღვრული წლოვანობა, რომელსაც უფრო ეთვისებოდეს ფიბრომა აღენომასთან შედარებით, ან პირიქით. ორივე ჯგუფში შედიან ბებრებიცა და ახალგაზრდებიც, ქალწულებიცა და ქმრიანი ქალებიც.

ავადმყოფების ჩივილებიდან ყურადღებას იქცევს ტკივილები. მათგან მხოლოდ 5-ს არ აღუნიშნავს ტკივილები. ამ ნიშანზე მიგვივითთა უკვე Pfannenstiellმა, რომელიც დიდ მნიშვნელოვანად თვლიდა მას დიაგნოსტიკური მხრივ. ტკივილები აღინიშნება თანასწორად, როგორც fibroma papillare, ისე აგრეთვე adenomas დროსაც და ზოგჯერ ეს ტკივილები საკმაოდ ძლიერია.

უნდა აღინიშნოს, რომ პაპილარული სიმსივნების ამ ორი ჯგუფიდან არც ერთ ავადმყოფს არ ჰქონია კახექსია. თვით მე-16 შემთხვევამაც კი, რომელიც დაგვიანებულად იყო მიჩნეული, არ გვიჩვენა კახექსია.

10 შემთხვევაში ხორცმეტი ორსავე მხარეზე იყო, ხოლო ერთი ამ რიცხვიდან ეკუთვნოდა *fibroma papillare* ჯგუფს (6), დანარჩენი კი—ადენომებისას. პირველი ჯგუფიდან 3 შემთხვევაში, გარდა ღვრილისებრი ხორცმეტისა, ცალ მხარეზე, უბრალო *cystoma* აღმოჩნდა მეორეზე (1, 7, 8). 3 შემთხვევაში (2, 4, 7) ერთდროულად საშვილოსნოს ფიბრომიომაც აღმოჩნდა, რომელთაგანაც ერთი აუთვისებიათ იყო გადაგვარებული. მეორე ჯგუფიდან გარდა 9 ორივე მხრივ განვითარებული ღვრილისებრი სიმსივნეებისა, ჩვენა გვაქვს 2 შემთხვევა სადაც ღვრილისებრი ხორცმეტი ორივე მხარეზე სხვა და სხვა დროს განვითარდა და განმეორებითი ლაპაროტომიის მიზეზად გადაიქცა (13 და 24). პირველ შემთხვევაში მეორე საკვერცხის პაპილარული ცისტომა განვითარდა და ოპერაცია გამოიწვია პირველი ოპერაციის 5 წლის შემდეგ, მეორეში კი—8 თვის შემდეგ. სხვა ორ შემთხვევაში (10 და 18) ერთდროულად მეორე მხარეზე აღმოჩენილი წყალბუშტი არ შეიცავდა ღვრილისებრ წანაზარდებს. მე-11 შემთხვევაში იმავე დროს იყო საშვილოსნოს ფიბრომიომაც.

ორ ავადმყოფს (19 და 26) წინათ უკვე სადაც სხვა ადგილას ჰქონიათ გაკეთებული ოპერაცია საკვერცხის ცისტომის გამო, მაგრამ ვინაიდან ეს ოპერაციები კლინიკაში არ იყო გაკეთებული, ჩვენ ვერ გამოვარკვეით თუ რა გვარი ცისტომები იყო ის. აღსანიშნავია, რომ ოცდამეექვსე შემთხვევაში ავადმყოფის სიტყვებით 3 წლის წინათ მას ამოაცალეს ზარცენა საკვერცხის წყალბუშტი, ჩვენ კი ოპერაციის დროს აღმოვაჩინეთ *papilloma superficialis* ორივე საკვერცხისა. აღბათ პირველი ოპერაციის დროს მას ჰქონდა პაროვარიალური ცისტომა, საკვერცხე კი ოპერაციის დროს დატოვებული იყო.

ამ გვარად დადასტურებულია მეტი წილი ავტორების დასკვნა, რომ საკვერცხის პაპილარული სიმსივნეები უმეტეს ნაწილად ორივე მხარეზე ვითარდება. *Adenoma papillare* 17 შემთხვევაში ცალი საკვერცხის სიმსივნის დროს მხოლოდ ოთხში (11, 17, 20, 22) აღმოჩნდა ნორმალურად მეორე მხარის სასქესო ჯირკვალი, მაგრამ ამ ოთხი შემთხვევის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით მათი შემდეგი ბედი და ამიტომ არ შეგვიძლია ესთქვათ, განუვითარდა მათ შემდეგში დატოვებული საკვერცხიდან ისეთივე სიმსივნე, თუ არა. ყოველ შემთხვევაში ჩვენს მასალაზე დამყარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტეს ნაწილად *adenoma papillare* ორივე მხარეანია, ან და ხორცმეტი ორივე საკვერცხეზე სხვა და სხვა დროს ვითარდება. ამას ეყრდნობა Küstnerის წინადადება (იხ. ზემოთ) ოპერაციის დროს მეორე საკვერცხის ამოცლისა, თუნდაც ის საღი იყოს.

პირიქით, *fibroma papillare* ჯგუფში მხოლოდ 1 შემთხვევაში (6) იყო ორივე მხარეზე განვითარებული ღვრილისებრი წყალბუშტი. დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ ცალმხრივი სიმსივნე იყო.

წინანდელ ჩემს შრომაში მე გამოვიანგარიშე ორივე მხარეზე განვითარებული კეთილთვისებიანი ღვრილისებრი ხორცმეტების $\frac{1}{10}$ -33 $\frac{1}{10}$, თუ ჩვენ ფიბრომასა და ადენომას ერთად ვიანგარიშებთ. ამ ჯამად ახალი შემთხვევების დამატებით ეს $\frac{1}{10}$ ბევრად მატულობს, სახელდობრ: ის აღის 53,8 $\frac{1}{10}$ მდე. მხო-

ლოდ აღენომებისათვის გამოანგარიშებული % უდრის 76,5%/ს. ეს რიცხვი უახლოვდება Olschauseნიის ციფრს, რომელიც უდრის 77%, ს. Pfannenstiell ჰქონდა 60%, შირშოვს 55%.

უნდა აღინიშნოს, რომ თანახმად Pfannenstiellის დასკვნისა და აგრეთვე ჩემი წინანდელი ზოხსენებისა, ორივე მხაროვანი დვრილისებრი ხორცმეტეტების დროს დვრილები ჩვეულებრივ ორივე მხარეზე ერთი და იგივე მაკრო- და მიკროსკოპიული სურათი აქვს. ეს ეხება როგორც ორივე მხარეზე ერთდროულად განვითარებულ სიმსივნეებს, ისე აგრეთვე სხვა და სხვა დროს განვითარებულებსაც. როგორც ჩანს, ცალ საკვერცხეში პროცესის განვითარების ხარისხს არ აქვს გავლენა მეორე საკვერცხის დააადებაზე; ყოველ შემთხვევაში ჩემი მე-17-ე შემთხვევა ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, სადაც მარჯვენა მხარეზე დვრილისებრი წყალბუშტი იყო პერიტონეუმის მთლიანი დისემინაციით და უდიდესი ასციტით, ხოლო მეორე საკვერცხე კი სრულებით სანი აღმოჩნდა.

საზოგადოდ პერიტონეუმზე დისემინაცია ხშირი მოვლენა adenoma papillareლ დროს და არასოდეს არ იჩენს ის თავს ფიბრომის დროს. იგივე უნახავს Pfannenstiellსაც. აღენომების 17 შემთხვევიდან პერიტონეუმზე დისემინაცია ჩვენ გვექონდა 6-ჯერ (35,3%), ამ შემთხვევებში დვრილები ყოველთვის საკვერცხის ზედაპირზე იყო მოთავსებული. ხოლო ჩენა გვაქვს ერთი შემთხვევა, სადაც, მიუხედავად ორივე მხაროვანი გარეგანი პაპილომისა დიდი ასციტით, პერიტონეუმზე დისემინაცია არ აღმოჩნდა (26). სხვა ორ შემთხვევაში, სადაც ხორცმეტის ზედაპირზე დვრილები ნაკლებად იყო განვითარებული, არც ასციტი აღმოჩნდა და არც პერიტონეუმზე დისემინაცია.

მეტასტაზების სიშირემ პერიტონეუმზე საბუთი მისცა ავტორებს (Olschauseნი, Martin და სხვ.) დვრილისებრი ხორცმეტები ავთვისებიანად ჩათვალათ, რადგანაც ამგვარი შემთხვევის ოპერაციისა და ძირითადი ხორცმეტის რადიკალურად მოშორების დროს, წანახარდები პერიტონეუმზე ძალაუნებურად ოჩებთან. ამისდა მიხედვით დიდ ინტერესს წარმოადგენს შემდეგი დაკვირვება ამგვარ ავადმყოფებზე.

მართლაც, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ავტორების მთელმა რიგმა გამოაქვეყნა შემთხვევები, სადაც მიუხედავად პერიტონეუმზე დატოვებული დისემინაციისა, ხორცმეტი მრავალი წლის განმავლობაში რეციდივებს არ იძლეოდა და ასციტიც არ აღმოჩენილა, ასე რომ კლინიკურად ამგვარი ავადმყოფები განკურნებულად ითვლებოდენ.

რაც შეეხება ჩვენ შემთხვევებს, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნაოპერაციები უახლოესი შედეგები სრულებით დამაკმაყოფილებელია, რადგანაც ჩვენ მივიღეთ 0% სიკვდილიანობისა. უფრო შორეული შედეგების შესახებ ჩენა გვაქვს ცნობები 26-დან მხოლოდ 17 ავადმყოფის შესახებ. დანარჩენი 9 ავადმყოფის შედეგი ჩენთვის უცნობი დარჩა. ის ცნობები კი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, ფრიად სანუგეშოა. მაგალითად, მე-12 შემთხვევაში, სადაც ორივე მხარეზე დვრილისებრი სიმსივნე იყო პერიტონეუმის მთლიანი დისემინაციით, ოპერაციის შემდეგ 1 წლის განმავლობაში არც რეციდივი და არც ასციტი არ აღმოჩნდა. მე-14 შემთხვევაში ორივე მხარეზე განვითარებული ხორცმეტის დროს,

დიდი ასციტით და მუცლის აკვის დისემინაციით, ავადმყოფობა არ განმეორდა 3 წლის განმავლობაში ოპერაციის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დისემინაცია ოპერაციის დროს ვერ იყო მოშორებული. მე-23 შემთხვევაში, რომელიც უკანასკნელის ანალოგიურია, რეციდივი არ იყო 4 წლის განმავლობაში. მე-25 და 26 შემთხვევებში დაკვირვება გრძელდებოდა 1½ და 1/2 წელიწადს. არც ერთში და არც მეორეში რეციდივი არ ყოფილა. დაბოლოს მხოლოდ მე-16 შემთხვევაში, სადაც რადიკალური ოპერაცია არ იყო ნაქნარი, მხოლოდ laparotomia explorativa, და, ვინაიდან შემთხვევა დაგვიანებულად იყო მიჩნეული, ყველაფერი დატოვებული იყო in situ, 3 წლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ წერილობითი ცნობა ავადმყოფისაგან, რომ ასციტი ისევ იჩენს თავს, რის გამოც ის იძულებულია ხშირად გაიკეთოს პუნქცია. ამ 3 წლის განმავლობაში პუნქცია 75-ჯერ გაუკეთებია. დანარჩენ შემთხვევებში იქ, სადაც ჩვენ გვექონდა ცნობა ავადმყოფების შემდეგი ბედის შესახებ, ხორცმეტი არ განმეორებულა და მხოლოდ ორ შემთხვევაში (13, 24) შემდეგში ხელახლად განვითარდა ანალოგიური ხორცმეტი მეორე საკვერცხიდან, რომელიც პირველი ოპერაციის დროს საღი აღმოჩნდა და ამიტომ დატოვებული იყო.

რაც შეეხება fibroma papillare ჯგუფს, აქ ყველა შემთხვევაში ოპერაციების შედეგები სრულებით სანუგეშოა, როგორც უახლოესი, ისე აგრეთვე შორეულიც, თუმცა ლიტერატურის მიხედვით ეს apriori მოსალოდნელი იყო. საზოგადოდ, თუ ვისმე ექვი ებადებოდა დერილისებრი ხორცმეტების კეთილთვისების შესახებ, ეს ეხებოდა მხოლოდ აღენომებს და არა ფიბრომებს. ფიბრომების შემთხვევები კი მე მოვიყვანე აქ მხოლოდ შესაძარებლად.

ამ შედეგების გადათვალისწინების შემდეგ ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ დერილისებრი ხორცმეტები არამც და არამც არ ჩაითვლებიან ავთვისებიან სიმსივნეებად, მიუხედავად მუცლის აკვზე დისემინაციებისა, ხშირი ასციტისა და ხშირად ორივე მხარეზე განვითარებისა. თანახმად Martinის სამართლიანი შინაშენისა, რეციდივი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ხორცმეტი რადიკალურად არაა ამოკვეთილი, არამედ მისი ნაწილები დატოვებულია, რასაც ხშირად ხელს უწყობს ხორცმეტის ლოკალიზაცია განიერი იოგის ფურცლებს შორის. მაგრამ კონსერვატიული მიომორტიის შემდეგ აგრეთვე შესაძლებელია რეციდივი, თუ ყველა კვანძები არაა ამოკვეთილი: ერთი ამ გვარი შემთხვევა გვექონდა კიდევაც ჩვენ ოდესის უნივერსიტეტის კლინიკაში, მაგრამ არავის არ მოუწია აზრად ამის ვაშო მიომა ავთვისებიან ხორცმეტად ჩასთვალოს.

უახლოესი შედეგები ოპერაციებისა უმეტეს ნაწილად სანუგეშოა, შორეული შედეგებიც ასეთივე უნდა იყოს, თუ ძირითადი ხორცმეტი რადიკალურადაა მოშორებული. თვით მე-16 შემთხვევაშიაც კი, რომელიც დაგვიანებულად იყო ცნობილი და არაფერი იყო ამოკვეთილი, ავადმყოფი 3 წლის შემდეგაც სცხოვრობდა, თუმცა ასციტი კი ჰქონდა.

ოპერაციის დროს მეორე საღი საკვერცხის დატოვების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მე-24 შემთხვევაში ავადმყოფის მოხუცებულობის გამო, შესაძლებელია, წინდახედულობა მოითხოვდა პროფილაქტიურად მეორე საღი საკვერცხეც მოკვეთვარებისა მეორე ოპერაციის საშისროგების თავიდან ასაცილებლად; რაცა შეეხებ-

ბა №-13 შემთხვევას, ავადმყოფის ახალგაზრდობის გამო, მე გგონია, უმჯობესია სალი საკვერცხის დატოვება, როგორც ჩვენც მოვიქცეთ, მიუხედავად მეორე ოპერაციის საშიშროებისა. ეს ყოველთვის უკეთესია, ვიდრე ახალგაზრდა ქალის სასქესო ჯირკვლების მოსპობა, მით უმეტეს, რომ შესაძლებელია მეორე საკვერცხე სრულიადაც არ დაავადდეს.

დვრილისებრი ხორცმეტების აეთვისებიანი გადაგვარება არ გვინახავს ჩვენს შემთხვევაში (ნახე ზემოთ Улезко-Строганова, Зарецкий). ლიტერატურის შემთხვევები კი, ჩემს აზრით, არ ამტკიცებენ პაპილარული ხორცმეტების აეთვისებიანობას. საშვილოსნოს ფიბრომიომების დროსაც არის აღწერილი აეთვისებიანი გადაგვარება, მაგამ ეს არ გვაძლევს ნებას ფიბრომიომა აეთვისებიან ხორცმეტად მივიჩნიოთ. ამას ამტკიცებს ჩვენი მე-16 შემთხვევა და ანალოგიური შემთხვევებიც ლიტერატურიდან.

დასასრულ ამ შემთხვევების მოკლე განხილვიდან მე ნებას მივსცემ ჩემს თანხ შემდეგი დასკვნები გამოვიტანო:

1) საკვერცხის დვრილისებრი ხორცმეტები, რომელთაც მიკროსკოპის ქვეშ არა აქვთ აეთვისებიანი ხასიათი, როგორც ფიბრომა და ადენომა papillare. კლინიკურადაც აგრეთვე კეთილთვისებიანად უნდა ჩაითვალებინ.

2) საკვერცხის პაპილარული ხორცმეტების დიაგნოზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტკივილებს, რომლებიც თითქმის ყოველთვის თანდართულია მათთან. ეს ნიშანი ხელს გვიწყობს უბრალო და დვრილისებრ ცისტომათა შორის დიფერენციული დიაგნოზის დასმასა.

3) საკვერცხის დვრილისებრი ხორცმეტი არ იწვევს კახექსიას, ყოველ შემთხვევაში არ გვინახავს იგი ჩვენ დაკვირვებაში.

4) Adenoma papillare უმეტეს ნაწილად ორივე მხარეზე ვითარდება, ეს გარეწობა ოპერაციის დროს უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში და თუ ავადმყოფი კლიმაქტიურ ან მასთან მიახლოებულ ხანაშია, პროფილაქტიურად ამოკვეთილ იქნას თუნდაც სალი მეორე საკვერცხეც. ახალგაზრდობის დროს კი სჯობს ავადმყოფი განმეორებითი ოპერაციის განსაცდელში ჩაეყენოთ, ვიდრე კასტრაცია ვუყოთ.

5) მუცლის აპქზე დისემინაციას ჩვეულებრივ ადგილი აქვს, როდესაც დვრილები საკვერცხის ან წყალბუშტის გარე ზედაპირზე ვითარდებიან; ამასთან უმეტეს ნაწილად თანდართულია ასციტიც. აგრეთვე შესაძლებელია მეორე საკვერცხე სალი იყოს. შესაძლებელია ასციტი იყოს მარტო საკვერცხის დაავადების დროს, როცა დისემინაცია მუცლის აპქზე არ არის.

6) ოპერაციის ქნა სჯობს per abdomen, რათა უკეთესად გაშინჯულ იქნას მთელი პერიტონეუმი, სინსიფნე საესებით ამოკვეთილ იქნას და არ იყოს დატოვებული თუნდაც მცირე სეგმენტი ხორცმეტისა, რომლიდანაც შემდეგში რეციდივის განვითარება შესაძლებელი.

7) უნდა ვეცადოთ სავსებით მოვაროთ ძირითადი ხორცმეტი მიუხედავად პერიტონეუმიზე დისემინაციის ძლიერი განვითარებისა, რადგანაც ამის შემდეგ უმეტეს ნაწილად, მუცლის აპქზე დისემინაცია ქრება. თუ ძირითადი სინსიფნე რადიკალურადაა მოშორებული, პროგნოზი უმეტეს ნაწილად სანუგეშოა.

I ჯგუფი. fibroma papillare.

№ 1. ფ. კ., 22 წლისა, ქმრიანი, nullipara ავადა ერთი წელიწადი. ტკივილებს ზივის. ოპერაცია 11.III. 1905. Salpingoophorectomia bilateralis per colpotomiam. აღმოჩნდა: cystis parovariale et salpingoophoritis sin, cystis ovarii dextri. მარჯვენა წყალბუშტში, მის შიგნითა ზედაპირზე, მოთავსებულია პაპილური წანაზარდები. ნაოპერაციევი პერიოდი გართულდა: periparimetritis bilateralis. ერთი თვის შემდეგ გაეწერა. მისი შემდეგი ბედი უცნობია.

№ 2. ბ. მ., 10 წლისა, ქმრიანი, nullipara, ძლიერ ტკივილებს ზივის. სიმსივნე შეიძინა 3 წლის წინ. ოპერაცია 11.III. 1907. amputatio uteri myomatosis supravaginalis cum adnexis per laparotomiam. აღმოჩნდა: Fibromyoma uteri subserosum et interstitiale et cystoma papillare ov. dextri. 2 ფიბრომატოზული კვანძი, თვითეული ნარინჯის ოდენა, მარჯვნივ ფორთოხლის ოდენა ცისტონა. წყალბუშტის ზედაპირზე hylusთან მოთავსებულია მკვრივი მექეკისებრივი წანაზარდები. ოპერაციის შემდეგ პერიოდმა წესიერად ჩაიარა. 1910 წელს სრულებით საღი იყო. შემდეგ ავადმყოფი აღარ გვინახავს. (დაკვირვება 3 წლის განმავლობაში).

№ 3. ბ. პ., 38 წ., ქმრიანი, 6-para, ძლიერ ტკივილებს ზივის. სიმსივნე შეიძინა 15 წლის წინ. ოპერაცია 8. X. 1907. Ovariectomy sin. per laparotomiam. აღმოჩნდა: Cystoma ov. sin. სიმსივნე ბავშვის თავის ოდენაა. წყალბუშტის შიგნითა ზედაპირზე მოთავსებულია მექეკისებრივი წანაზარდები. გაეწერა მე-21 დღეს განკურნებული. 7.III. 1912. მიღებულია მისგან წერილობითი ცნობა, რომ სრულებით საღადაა.

№ 4. ა. ს., 46 წლისა, ქმრიანი, 1-para, ძლიერ ტკივილებს ზივის. ოპერაცია XI. 1907. Amputatio uteri myomatosis supravaginalis cum adnexis per laparotomiam. აღმოჩენილია: fibromyoma uteri interstitiale multiplex, fibroma et papilloma superficiale ov. sin. საშვილოსნოს ფიბრომიომა ცისტისებრად გადაგვარებული, მიკროსკოპის ქვეშ აღმოჩნდა სარკომატოზული გადაგვარება ერთი კვანძისა (sarcoma fusocellulare). მარცხენა საკვერცხე ფიბრომიომა გადაქცეული, hylusთან მის ზედაპირზე მოთავსებულია მექეკისებრი დვრილების ჯგუფი. მე-27 დღეს გაეწერა საღი. ავადმყოფის შემდეგი ბედი აღარ ვიცით.

№ 5. ტ. ი., 36 წლისა, ქმრიანი, nullipara, ზივის ძლიერ ტკივილებს. ოპერაცია 9.X. 1909. Ovariectomy sin. per laparotomiam. აღმოჩნდა: cystoma ov. sin. სიმსივნე ბატის კვერცხის ოდენა. hylusის პირდაპირ წყალბუშტის შიგნითა ზედაპირზე მკირე რაოდენობა დვრილებისა. მე-14 დღეს გაეწერა საღი. 17. IV. 1912. ავადმყოფი გასინჯულია კლინიკაში და არაფერი არანორმალური არ აღმოჩნდა. შემდეგში ავადმყოფი აღარ გვინახავს.

№ 6. ა. კ., 57 წლისა, ქმრიანი. მუცლის ტკივილს ზივის. 10 წელიწადია klimaxი აქვს. სიმსივნე აღმოჩნდა ერთი წლის წინ. ოპერაცია 2.XII. 1909. ovariectomy bilateralis per laparotomiam. აღმოჩნდა: cystomata ov. duplex. ნარ-

ჯენიე ხორცმეტი ბავშვის თავის ოდენა, მარცხნივ კი—მუშტის ოდენა. ორივე გავსებული წებოსებრი სითხით, შიგნითა ზედაპირზე მკვრივი მექეპისებრი წანა-ხარდი. მე-16 დღეს გაეწერა სალი. 3 წლის შემდეგ სრულებით სალი იყო.

№7. თ. ო., 39 წლისა, ქმრიანი, 2-para. 16 წელიწადია ავად, ტკივილებს ჩივის. ოპერაცია 12.XI. 1911. Amputatio uteri myomatosi supravaginalis cum adnexis per laparotomiam. აღმოჩნდა: fibromyoma uteri multiplex, cystoma ovarii sin. et papilloma ovarii dextri. მარცხნივ მრავალ ღრუიანი ცისტომა, რომლის ერთი ღრუ გავსებულია ქონით და ბალნით. მარჯვნივ ნორმალური საკვერცხე, მის hylusთან მოვროვილია რამოდენიმე ცისტი ქაშამის კვერცხის ოდენა და ცოტა მომცრო ზომისა. მათ ძირთან მოთავსებულია მექეპისებრი წანაზარდები, როგორც შიგნითა ისე გარეთა ზედაპირზე. მე-25 დღეს გაეწერა სალი. 1¹/₂ წლის შემდეგ გასინჯული იყო კლინიკაში და არაფერი არანორმალური არ აღმოჩნდა.

№8. ო. ზ., 18 წლისა, virgointacta, ტკივილებს ჩივის. სიმსივნე შეამჩნია 3 წლის წინეთ. ოპერაცია 26.XI. 1912. Ovariectomy dextra et resectio ov. sin. აღმოჩნდა: cystoinata ovariorum bilater. torsio pedunculi cystidis dextri. მარჯვენა წყალბუშტი მოზრდილი კაცის თავზე დიდი. ლიტრამდე სითხეს შეიცავდა; მის შიგნითა ზედაპირზე მკვრივი დერილები იყო. მარცხნივ ცისტისებრივად გადაგვარებული საკვერცხე ნაწილობრივ მოშორებული იყო. მე-13 დღეს გაეწერა სალი. 7 წლის შემდეგაც კარგად იყო.

№9. ლ. ა., 22 წლისა, ქმრიანი, 1-para. ავადაა 2¹/₂ თვე, ტკივილებს ჩივის. ოპერაცია 28.I. 1915. ovariectomy dex. per laparotomiam. აღმოჩნდა: cystoma ov. dex. სიმსივნე ახალშობილი ბავშვის თავის ოდენა. მის შიგნითა ზედაპირზე მოთავსებულია hylusთან მკვრივი დერილები. მე-17 დღეს გაეწერა სალი. 1¹/₂ წლის შემდეგ სრულებით სალი იყო.

II ჯგუფი. Adenoma papillare.

№10. ა. დ., 48 წ. ქმრიანი, nullipara. სიმსივნე 2 წლის წინ შეიმჩნია. ჩივის ტკივილებსა და სისხლის დენას. ოპერაცია 28.I. 1908. Salpingo-oophorectomia bilateralis per laparotomiam. აღმოჩნდა: Cystoma ov. bilater. მარჯვნივ სიმსივნე მოზრდილ კაცის თავზე დიდი და რამოდენიმე ღრუიდან შემდგარი hylusთან მოთავსებულია რბილი დერილები, რომელთაც ერთ ადგილას წყალბუშტის კედელი გაუხერხეთათ და გარედ ჩანან. მარცხნივ ცისტისებრი საკვერცხე დერილებს არ შეიცავს. 31 დღეს გაეწერა სალი. შემდეგი მისი ბედ-იღბალი აღარ შევვითყვია.

№11. მ. ბ., 37 წლისა, ქმრიანი, nullipara. მუცლის ღრუში ტკივილებს ჩივის, ავადაა 15 წ. ოპერაცია 15.XI. 1910. ovariectomy sin per laparotomiam. აღმოჩნდა: cystoma ov. sin., Hydrosalpinx dex. fibromyoma uteri: წყალბუშტი მოზრდილი კაცის თავის ოდენა, ოთხ ლიტრამდე სითხეს შეიცავდა. მის შიგნითა ზედაპირზე მრავალი რბილი კონსისტენციის დერილები იყო მოთავსებული. საშვილოსნოს უკანა კედელზე ფიბრომატოზული კვანძი იყო. მე-16 დღეს გაეწერა სალი. შემდეგი მისი ბედ-იღბალი აღარ გავიგია.

№ 12. პ. ვ., 33 წლისა, ქმრიანი, 1- para, სიმსივნე შეიმჩნია. 8 თვის წინ, ტკივილები არა აქვს. ოპერაცია 19.XI. 1911. Ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: Cystomata ovariorum intralig. papillare bilater. მარჯვნივ ცისტომა ნარინჯის ოდენა, პაროვარიალური, რამოდენიმე პარკისაგან შემდგარი, რომელნიც დვრილებით იყო გაკსებული. მცირე რაოდენობა დვრილებისა გარეთა ზედაპირზე იყო მოთავსებული, ცისტის ძირთან. მარცხნივ, ამგვარივე ნუქის ოდენა სიმსივნე. პერიტონეუმზე დისემინაცია. ასციტი არ იყო. სიმსივნები მოშორებულ იქმნა რადიკალურად. დისემინაციები კი დატოვებული. მუცლის ღრუს დრენაჟი. ოპერაციის შემდეგ კრილოზის ქვემო კუთხე დაჩირქდა. მე-30 დღეს სალი გაეწერა. ერთი წლის შემდეგ სრულებით კარგად იყო.

№ 13. ნ. ს., 15 წლისა, puella intacta. ჩივის ტკივილებს. სიმსივნე აღმოჩნდა 6 თვის წინ. ოპერაცია 13.II. 1907. ovariectomy dex. per laparotomy. ნახულია: cystoma ov. dex., papillare necrotica, torsio pedunculi. სიმსივნე 3 წლის ბავშვის თავის ოდენა, ფეხმოგრებილი, ცისტის კედელი ნეკროტული: წყალბუშტის შიგნითა ზედაპირზე მრავალი დვრილები აგრეთვე ნეკროტული. მე-18 დღეს გაეწერა სალი. 2.III. 1912. ხელ ახლად ნაქნარია ოპერაცია მარცხენა საკვერცხის იმ გვარივე წყალბუშტის გამო, ნხოლოდ სიმსივნეს ფეხი აღარ ჰქონდა მოგრებილი. 1917 წლამდე სალი იყო.

№ 14. მ. გ., 38 წლისა, ქმრიანი, 2-para. ჩივის ტკივილებს და ასციტს. ავადა 2 წელიწადი. ოპერაცია 14.X. 1909. Ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: cystoma ov. sin. papillare et papilloma superficiale ov. dextri. Disseminatio peritonei, ascitis. მარცხნივ ბუშტის ოდენა სიმსივნე აუარებელ კალნაბის მაგვარ დვრილებით სავსე, როგორც სიმსივნის ღრუში, ისე მის ზედაპირზედაც. მარცხენა საკვერცხე კი ამგვარსავე დვრილებს ერთი წლის ბავშვის თავის ოდენა სიმსივნედ გადაეკციათ. ხორკუტები ორსავე ნხარეზე რადიკალურად ამოკვეთილი იყო, მუცლის აკვზე მეტასტაზები კი დატოვებული. მე-18 დღეს გაეწერა სალი. შემდეგ 5 წლის განმავლობაში ავიდმყოფს თვალი ვადევენთ. რეციდივი არ აღმოჩენილა, არც ასციტი განმეორებულა. თავს კარგად გრძობდა.

№ 15. ა. ბ., 30 წლისა, ქმრიანი, nullipara, ზედმეტად მსუქანი, წონით 9 ფუთი. ჩივის ტკივილებს და სიმსივნეს, რომელიც 3 თვის წინ აღმოჩნდა. ოპერაცია 24.IV. 1910. Ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: Cystoma ovariorum intralig. papillare bilater. მარჯვენა სიმსივნე მუშტის ოდენა, მარცხენა-კოტა მეტი. ორივე ცისტი მრავალ-პარკოვანი და მრავალი დვრილებითაა სავსე, რომელნიც კალნაბს მოგვავგონებენ. ცისტების გარეგან ზედაპირზე დვრილები არ არის. არც დისემინაცია პერიტონეუმზე. ნაოპერაციევს გარდულებათ: პარამეტრიტა ორსავე მხარეზე და კრილოზის დაჩირქება. გაეწერა მე-33 დღეს და ამბულატორულად სწამლობდა პარამეტრიტის ნაშთებს. 2 წლის წინდემდე კვლავ ოპერაცია ვუყავით ნაოპერაციევი ნაწიბურის თიაქრის გამო. რეციდივი არ იყო. ავადმყოფის მდგომარეობას თვალს ვადევნებდით. 1914 წლამდე რეციდივი არ ყოფილა.

№ 16. გ. უ., 30 წლისა, ქმრიანი, 4-para. ჩივის მუცლის ტკივილებს და ასციტს. კლინიკაში მოსვლამდე 11-ჯერ გაუკეთებია პუნქცია. ოპერაცია 10.X. 1909. laparotomia explorativa. აღმოჩნდა: *cysto-papilloma ovariorum amborum. Disseminatio peritonei: degeneratio papillomatosa omenti majolis.* შემთხვევა დაგვიანებულად იყო მიჩნეული და ამოჭრილია დვრილების მხოლოდ პატარა ნაკერი მიკროსკოპიული გამოკვლევისათვის. გაეწერა მე-31 დღეს: *In statu quo ante.* 3 წლის შემდეგ მიღებულია წერილობითი ცნობა პროვინციიდან იმ ექიმისაგან, რომელიც მას სწამლობდა, რომ ოპერაციის შემდეგ 75-ჯერ უყვეს მას პუნქცია და ბოლო ხანებში ფეხების შეშუპებაც დაეტყო.

№ 17. ხ. ჩ., 28 წლისა, ქმრიანი, 2-para, ჩივის მუცლის ტკივილს და სიმსივნეს. ავადა 2 თვეს. დიდი ასციტი აქვს. მუცლის გარშემოწერილობა ჰიპის სიმაღლეზე 129 cent. უდრის. ოპერაცია 9.X. 1911. *ovariotomia per laparotomiam.* აღმოჩნდა: *cystoma ov. dextri papillare, disseminatio peritonei, ascitis.* სიმსივნე მუშტის ოდენაა; წყალბუშტის შიგნითა და გარეთა ზედაპირზე მრავალი დვრილისებრი წანაზარდია. მუცლის მთელი პერიტეალური და ვისცერალური აპკის დისემინაცია. სიმსივნე რადიკალურად იქმნა ამოკვეთილი. დისემინაციები კი დატოვებული. ავადმყოფი გაეწერა მე-16 დღეს საღი. შემდეგი მისი ბედ-იღბალი ჩვენ აღარ ვიცით.

№ 18. ხ. ბ., 37 წლისა, ქმრიანი, nullipara, ჩივის ტკივილებს. ოპერაცია 30.VIII. 1910. *Ovariectomy bilateralis per laparotomiam.* აღმოჩნდა: *cystomata ovariorum amborum.* მარჯვნივ წყალბუშტი მუშტის ოდენა, მარცხნივ კი ქაშის კვერცხის ოდენა. მარჯვენაში დვრილისებრი წანაზარდებია, მარცხენაში კი არა: გაეწერა მე-15 დღეს განკურნებული. შემდეგი ცნობა ავადმყოფზე არა გვაქვს.

№ 19. რ. ვ., 49 წლისა, ქვრივი, 3-para. 17 წლის წინ საკვერცხის წყალბუშტის გამო ნაქნარი იყო ოპერაცია. 1 წლის წინ ისევ შეიძინა სიმსივნე. ტკივილები არა აქვს. *Hernia linæ albae post operationem.* ოპერაცია 27.IX. 1912. *ovariotomia dextra per laparotomiam, herniorrhaphia.* აღმოჩნდა: *cystoma ov. dex. intralig. papillare.* ხორცმეტი 1 წლის ბავშვის თავის ოდენა, მრავალპარკოვანი წყალბუშტი, რომლის ყველა პარკები დვრილისებრი წანაზარდებითაა გავსებული. გაეწერა მე-14 დღეს განკურნებული. ავადმყოფიდან შემდეგი ცნობა აღარ გვექონია.

№ 20. ტ. შ., 39 წ. ქვრივი, 2-para, ჩივის *menorrhagiებს.* ოპერაცია 3.X. 1913. *ovariotomia sin. laparotomiam.* აღმოჩნდა: *cystoma ov. sin. papillare.* სიმსივნე ნარიჯის ოდენა, მრავალი დვრილით. გაეწერა მე-14 დღეს განკურნებული. შემდეგი ცნობები არა გვაქვს.

№ 21. პ. ლ., 23. წ., ქალწული, ავადა 2 $\frac{1}{2}$ წ. ჩივის მუცლის სიმსივნეს. ოპერაცია 24.II. 1914. *ovariotomia bilateralis per laparotomiam.* აღმოჩნდა: *cystomata ovariorum amborum papillare.* მარჯვნივ სიმსივნე ახალშობილი ბავშვის თავის ოდენა. დვრილებით გავსებული; ასეთივე დვრილების მცირე რაოდენობა სიმსივნის გარედანაც, *hylusთან* არის. მარცხენა წყალბუშტი 1 წლის ბავშვის თავის ოდენა, დვრილები მხოლოდ ღრუშია. ოპერაციის შემდეგ ნაკერები დაჩირქდა. გაეწერა მე-33 დღეს განკურნებული. შემდეგი, ცნობა არა გვაქვს.

№ 22. ა. რ., 35 წ., ქმრიანი, 1-para. ჩივის ტკივილებს. სიმსიენე შეამჩნია 6 თვის წინ. ოპერაცია 20.I. 1915. ovariectomy sin. per laparotomy. აღმოჩნდა: cystoma ov. sin. papillare. სიმსიენე დიდი ფორთოხლის ოდენაა. დვრილები მხოლოდ ღრუშია მოთავსებული. გაეწერა მე-17 დღეს განკურნებული. შემდეგი ცნობები არა გვაქვს.

№ 23. ხ. კ., 45 წ., ქმრიანი. ჩივის მუცლის ტკივილებს, სიმსიენეს და ასციტს. ოპერაცია 14.II. 1915. ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: cystomata ovariorum amborum papillare. მარჯვნივ სიმსიენე ახალშობილი ბავშვის თავის ოდენა, მრავალი დვრილებით სიმსიენის ორსავე ზედაპირზე. მარცხნივ ისეთივე ხორცმეტი ბაჭის კვერცხის ოდენა. დისემინაცია პერიტონეუმზე და ბადეკონზე. ხორცმეტები რადიკალურად ამოკვეთილ იქნა, მეტასტაზები კი დატოვებული. გაეწერა მე-17 დღეს განკურნებული. 1921 წლამდე ავადმყოფს თვალყურს ვადევნებდით, საღი იყო და რეციდივი არა ჰქონია.

№ 24. ფ. კ., 40 წ., ქმრიანი, 10-para. ჩივის ტკივილებს და სიმსიენეს, რომელიც შეიძინა 3 თვის წინ. ოპერაცია 8.II. 1916. ovariectomy dex. per laparotomy. აღმოჩნდა: cystoma ov. dex. papillare, მრავალ პარკოვანი წყალბუშტი 1 წლის ბავშვის თავის ოდენა. შიგნით მრავალი დვრილი ჰქონდა, გარედან კი სრულებით არა. მარცხენა საკვერცხე საღი იყო. და ოპერაციის დროს დატოვებული. გაეწერა მე-13 დღეს საღი. 8 თვის შემდეგ შემოვიდა ხელახლად კლინიკაში უკვე მარცხენა საკვერცხის წყალბუშტით, კვლავ გაიკეთა ოპერაცია 3.XI. 1916. მე-14 დღეს განკურნებული გაეწერა. შემდეგი ცნობები არა გვაქვს. ორივე ხორცმეტის მაკროსკოპიული და მიკროსკოპიული სურათი ერთგვარია.

№ 25. ვ., 24 წ., ქმრიანი, nullipara, ჩივის ტკივილებს. ოპერაცია 4.I. 1917. ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: cysto-papilloma ovariorum duplex. მარცხენა წყალბუშტი მუშტის ოდენა, მრავალ პარკოვანი და ორივე ზედაპირზე კალნაბის მაგვარად მრავალი ნახარდებით მოფენილი. მარჯვნივ საკვერცხე ოდნავ გადიდებული და გარეთა ზედაპირზე რამოდენიმე იმავე სახის დვრილებით. მუცლის აპკზე დისემინაცია, ასციტი. მე-16 დღეს საღი გაეწერა. ამის შემდეგ 1½ წლის განმავლობაში ავადმყოფს თვალყურს ვადევნებდით და ასციტი და რეციდივი არა ჰქონია.

№ 26. რ. ფ., 38 წლისა, ქმრიანი, nullipara, 3 წლის წინ ოპერაცია გაეკეთებინა მარცხენა საკვერცხის წყალბუშტის გამო. 3 თვის წინ განმეორებითი ოპერაცია უბის თიჯარისა და ასციტის გამო. მაშინ სიმსიენე შემჩნეული არ იყო. უკანასკნელი ოპერაციის 1 კვირის შემდეგ ისევ აღმოაჩნდა ასციტი. კლინიკაში ოპერაცია უყვეს 19.III. 1919. ovariectomy bilateralis per laparotomy. აღმოჩნდა: papilloma superficialis ovariorum amborum., ascitis. მარჯვნივ სიმსიენე ერთი წლის ბავშვის თავის ოდენა, კალნაბის თავის მაგვარად - papilloma superficialis წმინდა შემთხვევა. მარცხენა საკვერცხე რამოდენიმედ გადიდებული და გადანაკეთზე რამოდენამე პარკს შეიცავდა. შიგნითა და გარეთა ზედაპირზე მრავალი იმგვარივე დვრილები. მუცლის აპკი სუფთა აღმოჩნდა, დისემინაციები არსად იყო, ხოლო დვრილების რამოდენიმე ნაგლეჯი ასციტურ სითხეში

თავისუფლად დაცურაედა. ოპერაციის შემდეგ პატარა ინფილტრატი ჰქონდა parametriumში. გაეწერა მე-30 დღეს. 1921 წლამდე სრულეზით საღი იყო, ასციტრაც აღარ ჰქონდა.

ლიტერატურა

Bertino A. 1914. Sulla bilateralità dei tumori maligni dell' ovaie. *Рец. Ж. Ар. и Ж. Бол.*, март, стр. 488.

Coblentz H. 1890. Das Ovarialpapillom in pathologisch-anatomischer und histogenetischer Beziehung. *Wirsch. Arch.* B. 82, S. 268.

Falk. 1908. Geburtshülfliche Gesell. zu Hamburg. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* № 5, S. 162.

Flaischlen 1909. Ueber Rezidive nach der Extirpation papillären Ovarialkystome. *Zeitschr. f. Geb. u. Gyn.* B. 55, S. 676.

Godart 1906. Papilläre Ovarialkyste mit Metastasen auf d. serosa. Recidiv 1 Jahr nach Operation. *Centralbl. f. Gyn.* № 23. S. 674.

Гогоберидзе Б. 1910. К вопросу о патологии сопочковых опухолей яичника. *Сборник трудов, посвященный проф. Нов. Унив. Д. Ц. Кашенскому в день 25 летия юбилея.* Одесса.

Gottschalk S. 1906. Ueber das Oberflächenpapilom des Eierstocks und seine Beziehung zum cystadenoma serosum papillare. *Zeitschrift f. Geb. u. Gyn.* B. 58, S. 306.

Gottschalk S. 1909. Verhandl. d. Ges. f. Geb. u. Gyn. zu Berlin. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* № 49. S. 1679.

Halban 1902. „Geburtshilflich-Gynäkologische Gesell. in Wien“. Sitz. 22. I. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* 1902 S. 650.

Henkel 1904. „Verhandl. d. Gesell. f. Geb. und Gyn. zu Berlin. Sitz. 22. I Ref. in *Zeitschr. f. Geb. u. Gyn.* 1904. S. 629.

Küstner O. 1903. Краткий учебник гинекологии, перев. проф. В. С. Груздева.

Sunkebein. 1908. Die Malignität bei Ovarialkystomen. *Münch. med. Woch.*, № 52.

Maiss. 1906. Gynäkologische Gesell. in Breslau. Ref. in *Centralbl. f. Gyn.*, S. 1279.

Mackenrodt R. 1909. Verhandl. d. Gesell. f. Geb. u. Gyn. zu Berlin. Sitz. 9. VII. Ref. in *Zeitschr. f. Geb. und Gyn.* B. 65. H. 3. S. 698, und *Centralbl. f. Gyn.* 1910 № 6, S. 190.

Martin A. 1899. Die Erkrankungen der Eierstöcke und Nebensierstöcke. Leipzig.

Meinert 1894. „Gynitkol. Gesell. zu Dresden. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* S. 1167.

Nagel 1909. Verhandl. d. Gesel. f. Geb. u. Gyn. zu Berlin. Sitz. 9.VII. Ref. in *Zeitschr. f. Geb. u. Gyn.* B. 65, S. 698.

Olshausen 1909. Gesel. f. Geb. u. Gyn. zu Berlin. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* № 49, S. 1679.

Ortmann 1909 ibidem.

Pfannenstiel. 1893. Ueber die Malignität der papillären Ovarialgeschwülste. *Berichte üb. d. Verhandl. der V. Versamml. d. deutsch. Gesell. f. Gyn.* S. 577.

Pfannenstiel. 1894. Ueber Carcinombildung nach Ovariectomien. *Zeitschr. f. Geb. u. Gyn.* B. 28. S. 349.

Pfannenstiel. 1895. Ueber die papillären Geschwülste des Eierstocks. *Arch. f. Gyn.* B. 48.

Pfannenstiel. 1908. Die Erkrankungen des Eierstockes und Nebeneierstockes. *Veits Handbuch. d. Gyn.* B. IV, H. 1.

Pfannenstiel. 1908 a. Geburtshilfliche Gesell. zu Hamburg. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* № 5, S. 162.

Raith A. 1908. The pelvic organ of a case, where inoperable papilloma of the left ovary had been found seven years ago. *Trans. Obst. Soc. London.* Vol. 49. P. 3. June-Jull p. 216. Ref. in *Jahresbericht f. Geb. u. Gyn.* S. 434.

Seydel 1899. Epiteliale Geschwülste des Eierstockes. *Ergeb. d. Allg. Pathol. u. pathol. Anat. d. Mensch. u. Tiere*, VI.

Славянский К. 1897. Частная патология и терапия женских болезней Т. II, СПб. стр. 189.

Toth 1897. Gynäkologische Section d. Königl. ungar. Ärztenverein zu Budapest. Ref. *Centralbl. f. Gyn.* 1897 S. 410.

Улезко-Строганова К. 1909. К вопросу о самопроизвольном излечении новообразований. *Труды III съезда об-ва Российских Акушеров и гинекологов.* Киев, 1909 Вып. II стр. 94.

Улезко-Строганова К. 1913. О раковом перерождении яичников кистом. *Журн. Акуш. и жен. Бол.* 1913, стр. 1711.


Vincet, 1909. Drei Beobachtungen von sehr spätem Auftreten eines Recidivs bei Kranken, die wegen entarteter Kystome der Ovarien operiert worden waren. *Ann. de gyn. et d' obst.* August. Ref. in *Centralbl. f. Gyn.* 1910 № 7 S. 265.

Wendeler P. 1899. Bösartigkeit und Metastasen der Eierstockstumoren. Kap. in Martins „Krankheiten der Eierstöcke und Nebeneierstöcke“. Leipzig S. 481.

Ширшов Д. 1892. Сосочковые кистомы в клиническом и патолого-анатомическом отношении. Дисс. СПб.

ბ. ლოლობერიძე, საკვების დერილისებარ ხორცმეტა-
კლინიკის შესახებ.


ტფილისის უნივერსიტეტის
მოამბე, VI.



სურ. 1.
Fibroma papillare შემთხვევა.



სურ. 2.
Adenoma papillare შემთხვევა.



სურ. 3.
Fibroma papillare.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

სუქაველი ძველს ქართულ მწერლობაში¹.

აღმოსავლური პირვანდელი ეკლესიის არცერთ მოღვაწეზე ძველს ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება იმდენი ცნობა, როგორც ე. წ. სუქიასისა და მისთა მოყვასთა შესახებ. უკანასკნელი, სომხურად „სუქიასიანქ“ად და ქართულად „სუქაველად“ ანუ „მესუქეველად“ წოდებულნი, საენაოდ ცნობილნი არიან ძველს ქართულ მწერლობაში. ერთის მხრივ საპაეოგრაფიო და მეორე მხრივ სალიტერატურული ხასიათის ნაწარმოებებში, და ამიტომაც ღირსნი არიან განსაკუთრებულნი ყურადღებისა.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა იბადება საკითხი: ვინ იყვენ ე. წ. სუქიასი და მოყვასნი მისნი ანუ, მოკლედ, სუქაველნი მესუქეველნი?

შესათფერი საპაეოგრაფიო ნაწარმოები ამაზე მოგვითხრობს შემდეგს.

პირველი საუკუნის დამლევს ანუ მეორე საუკუნის დამდეგს ქრ. შ. სოხეთში მოღვაწეობდენ ე. წ. ვოსკიანნი (ოსკიანნი), ე. ი. ვოსკი (ოსკი) და მოყვასნი მისნი, რომლებიც ვითომდა რომიდან იყვენ მოსულნი. ივინი, მონათლეს რა ქრისტიანებად, შევიდენ სამეფო კარში, რათა ქრისტიანობა გაეშეშებულათ მეფის ოჯახში, მაგრამ ვერ ჰპოეს იქ ვერც თვით მეფე, ვერც მისი წესულე—ალანთა მეფის ასული სათენიკი, რომელიც საკმაოდ ცნობილია მოხელის ისტორიიდანაც (lib. II, cap. 49—57). ნათლისღება მიიღო მხოლოდ იმავე კარში მყოფმა სათენიკის მონათესავე 19 მოხელემ, და მათ შორის იყო ე. წ. ბარაქათრა ანუ ბაჰათრა, რომელიც გაქრისტიანების შედეგად იწოდა „სუქიას“ად, რაც მალაქია მთავარეპისკოპოს ორმანიანის აზრით², ბერძნულად „სუქიას“ (ე. ი. მშვიდი, წყნარი) უნდა უდრიდეს. და აი ამ სუქიასის განმითელი გუნდი ათქრამეტა მოღვაწეთა ცნობილი გახდა შედეგში „სუქიასიანთა“ სახელით.

როდესაც არტაშესის შვილებმა ვოსკიანთ (ოსკიანთ) დევნა დაიწყეს, უკანასკნელნი გადავიდენ ბაგრევანდის ოლქში, სადაც იმოღვაწეს 43 წელს. სანამც

¹) წაკითხულ იყო მოხსენებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების კრებაზე 1920 წ. 15 თებერვალს. იხედება დიდი შემოკლებით.

²) *У а г а р т ი ა ს ა რ ქ ი ლ . ო რ მ ა ნ ი ა ნ . ს ე კ ო დ ა თ ი ა მ etc.*, კონსტანტინოპოლი 1912 — 13; სვ. 51 (§ 27.)—მიქაელ ჩამჩიანი (*ს ქ რ ა ყ ქ ე 2 ა ძ ა ს ა ს . წ ა მ ა ი ქ ი ს ზ ა ი ე ე ლ .* — I, ვენეცია 1784, გვ. 599), ადარებს *სიოქსას კოთა-ს-გოჯ-გოჯთან* და აქედან *სიოქსასსაჩკო ხნას კოიქსახე-გოქსახედ*.

კაზის მოწოდებენ აგრეთვე სუქიასიანნიც, რომელთაც თავდაპირველად თავშესაფარი მოიპოვეს ვოსკიანთ თანა და მოინათლეს ეფერატის სათავეში, ხოლო მერმე განბარტოვდნენ. სხვათა შორის, ბაგრევანდს ყოფნის დროს ისინი იდგენ მახლობლად სოფლისა „ბაგოვან“-„ბაგუნ“ და ქალაქისა „ვალარსაერტ“, „ნოპატ“ად წოდებულის წითის პირისპირ, რომელიც მათ გამო „სუსკავ“ (*Սուսկավ*) || „სუსკავეტ“ (*Սուսկավետ*)ად იწოდა¹. მაგრამ სპეხთა მეფეებმა აქაც მოსვენება არ მისცეს მღვდლებს: ისინი ჯერ აწამეს ვოსკიანთ, მერმე კი სუქიასიანთ დაუწყეს დევნა. სწორედ ამ დროს, 2—3 წლის გაჭირების შემდეგ, გამოჩნდა ალანთა ქვეყნის ერთი მთავარი, სახელით „ბარლაჰა“, რომელმაც აწამა ივანი².

ეს ამბავი უნდა მომხდარიყო, მაღალია ორ მანანის ანგარიშით, მე-11-ე საუკუნის ნახევარში, მ. ჩამჩიანით—130 წელს, ხოლო აბრაჰამ ზამინიანით 127—130 წლებში

სუქიასიანნი საერთოდ „მძოვარნი“ იყვნენ ანუ, როგოც ქართულ წყაროებშია ნათქვამი, „მძოვარ იქმნებოდეს ვითარცა ველურნი“, და ვინაიდან ამვე დროს „ბაღნიანი“ც იყვენ ანუ ელია წინასწარმეტყველისამებრ თხის ტყავი ეცვა. აგრეთვე „ქავშ“ (*Քավշ*) || „ქოშ“ (*Քոշ*) ერქვათ.

სუქიასიანთა „ცხოვრება“ ანუ „მარტივილობა“ ერთი იმ ჰაგიოგრაფიულ-მარტივოლოგიურ ნაწარმოებთაგანია სომხურს ენაზე, რომელიც დაწერილი უნდა იყოს მე-V—VI-ე საუკუნის განაწილებაში, ე. ი. ასურულ-სომხურ-ალბანურ-ქართული განუყოფელი ეკლესიის არსებობის ხანაში, თუმცა თვით ამ ძეგლს, სომხურ დედანს, რომელიც შენახულა სხვადასხვა ევრსიებით, მოუღწევია ჩვენამდე შაჰლად მერმინდელი დროის, საკმარად გადაკეთებული და, ამასთანავე ერთად, გადამხინჯებული, სახით³.

1) „სუსკავ“ (*Սուսկավ*) „სუსკავეტ“ (*Սուսկավետ*) ცნობილია ალაშვერტის რაიონში ქალაქ-ბნჯსანან (სხვათა შორის, იხსენიება იოსებ დვინელის მარტივილობის ტექსტში: *Յ. Մասնահ-դեսնահ, Է. Ճանահ, Հայոց նոր վիսնիք* (1155—1813), *գլխահան հրատ., Վագարշատ* 1883, გვ. 52). თუ ამ სახელწოდებას რაიმე კავშირი აქვს სუქავლებთან, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ „სუსკავ“ „სუსკავეტ“-ი კი არ წარმოიშვა სუქაველებთან, არამედ, უკუაღმართ, სუქავლებს ეძღა მიერთა თავიანთი სახელწოდება ადგილის სახელებთან. მაგრამ ახსენებენ საბოლოოდ გადაწყვეტა რთულდება იმათ, რომ თვით „სუსკავს“ თითქმის ბერძნულ „სუსკავ“-სთანაც ჰქონდეს რაღაც მონათესაობა.

2) ი. ლიტერატურა „სუსკაველთა“ შესახებ: *Մկրտիչ Եւգենիան. Լիակատար վաղ և վկայարանობիկնք սրբոց որ Կան Կիս Տոնայուցի և Եկեղեցւոյ Նայաստոսնայ, ერთ-ტომიანი* განკუთვნი, *Վենետիկ* 1810, გვ. 130—135. 12 ტომიანი გამოცემა, ტ. II, *Վենետիկ* 1811, გვ. 10—12. *Մოսკოյի Հայկականք* XIX, *Վենետիկ* 1854, გვ. 33—56; *Մ. 2-րդ ხანა*, *op. cit.*, I, გვ. 343—344; *მოსკოვის სკ.* (*Մոսկოვის*). *Մնայատարաններ և վկայարանობիկնք, Վագարշատ* 1906, გვ. 70—91; *Մ. 4-րդ ხანა*, *op. cit.*, II, *op. cit.*, II, 54—55 (§§ 26—27).

3) ი. ლ. 2. აგრეთვე: *Ի. Կ. 2-րդ ხანის*, *Հայոց եկեղեցւոյ պատմութիւն* I, *նոր* *ხარակն* 1905, გვ. 12.

4) ი. ლ. 2. აგრეთვე: *მ. 1-ე ტომიანი* გამოცემა 1810—11 წ. და *Մოսკოյի Հայկականք* XIX 1854 წ. ტექსტი საერთოდ მოიპოვება სენაქსარებში (*Յայտարարք*) და რეველსიტყვაობის კრებულებში (*ժողովրդի*), სენაქსარის ერთ-ერთი რედაქტორ ევთიმის მე-XVII-ე ს. ცნობილს მოღვაწეს *გ. 1-ე ტომ* წ. 1-ე ტ. ხოლო ამ რედაქციის ერთ-ერთი ხელნაწერი გენეპლარის დატულია ჩვენი *რეველსიტყვაობის* სიფიფელთსაცავის (იფ. საეკლესიო მუზეუმის) N: 846-ის კვ. 56.

„სუქიას“ი ქართულ წყაროებში ცნობილია „სუქია“დ, ხოლო იგივე „სუქია-ას“ი მოყვასებითურთ ანუ ე. წ. „სუქიასიანა“ (*Усухьясисаи* სუქიასიანჯ) — „სუქაველ“ ი „მესუქაველ“ებად¹.

I.

სუქაველნი ძველს ქართულ საჰაგიოგრაფიო მწერლობაში.

სუქაველთა ცხორების ქართულ ვერსიას მოუღწევია ჩვენამდე ორი რედაქციით, რომელთაგან ერთი, ძველი, მოთავსებულია ათონის ივერთა მონასტრის „მამათა ცხორება“ში, რომელიც დაცულია მე-X-ე ს. ტყავის № 57² ხელნაწერში. ხოლო მეორე, ახალი, ანტონ კათალიკოზის „მარტირიკა“ში

უკანასკნელი, ე. ი. მეორე რედაქცია, წარმოადგენს ანტონ კათალიკოზის მიერ გადაშუშავებულ ძველ ტექსტს, და მას შემდეგი სათაური აქვს: „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდათა სუქიასი და მის თანა ვნებულთა სუქაველთა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოელისა ზემონისა საქართველოსა დავითიან ბაგრატიონისა“³.

ხოლო პირველი რედაქცია, რომელიც ეკუთვნის არა უგვიანეს მე-X-ე ს. ცნობილია შემდეგი სათაურით: „თთუესა აპრილსა იე წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუქაველთაჲ. ქს უმეტესრე ყოველთასა აღიდე მამათ მთავარი არსენი, აღიდეგელი წმიდათა შენტა მოწამეთაჲ“⁴.

თუ რას წარმოადგენს სუქაველთა მარტივობის ქართული თარგმანის ეს ძველი რედაქცია, ამაზე ორი აზრი შეუძლებელია. ჯერ ერთი რომ, როგორც სონხურ, ისე ქართულ ტექსტებს შეუნარჩუნებიათ ნაწარმოების ავტორის სახელი: *დათ ქლასქიე ღაიღორაყე, ი ქიე არიეყე სსათონ იმს არსაყათსაქან ქ ჰიამაყ თქმულეღისამებრ ჩრეულსიტყვაობისა, აღწერა ანტონ მეუღაბნონენან*

¹) იხ. შენ. 1, გვ. 124.

²) იხ. წინასწარი ცნობები ზაზე: П. Иоселиани, Жизнь и писание святых, прославленных православною грузинскою церковью, Тфл. 1852, გვ. 10, 12; პ[ლატონ] იოსელიანი, წყობილ-სიტყუაობა ქმნილი ინტონისაგან პირუტლისა etc., ტფილისი 1852, გვ. 148—149; А. П а г р е з и, Сведения о памятниках грузинской письменности, т. 1, в. 3, Спб. 1894, დ. მატება, გვ. 5, 7, 160; Н. М а р р, Из поездки на Афон,—Ж. М. Н. Пр. 1899 г. № 3, გვ. 17—18; მისივე, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. 1,—Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва⁴, т. XIII, 1900, გვ. 63; А. Х а х а н о в, Материалы по грузинской агиологии [Труды по востоковедению XXXI], Москва 1910, стр. XII—XIV. ქართული ტექსტი: А. Х а х а н о в, op. cit., გვ. 10—24.

³) იხ. წინასწარი ცნობა ამის შესახებ: ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე, გამ. დ. ბუბინოვის მიერ, ს. პ. ბ. 1854, გვ. XXVI; გამოცემულია მ. საბინინის მიერ: ქართული ტექსტი—საქართველოს სამოღებ, ს. პ. ბ. 1852, გვ. 621—620=რუსული თარგმანი—Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. III, Спб. 1873, გვ. 1—8.

⁴) იხ. ხელნაწერები წერტილების საზოგადოებისა № № 907, 1272, 2983 და 3638.

⁵) А. Х а х а н о в, op. cit., 10.

პრობით¹. მერმე: ქართული ტექსტი სომხური დედნის თითქმის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს წარმოადგენს, გარდა მხოლოდ წინა ნაწილისა, რომელიც სომხურში არ მოიპოვება. ქართულს-კი შეუნარჩუნებია მთლად.

უკანასკნელ გარემოებას თავდაპირველად ყურადღება მიაქცია ნ. მარამა, რომელმაც გამოთქვა აზრი შესახებ იმისა, რომ სუქაველთა მარტვილობის ქართული ვერსია სიტყვა-სიტყვითი თარგმანია იმ სომხური ტექსტისა, რომელიც მოთავსებულია *სიძიქრ ჯაკყასანის* მე-XIX-ე ტომში. ამასთანავე ერთად ნ. მარამი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა: „სომხური ტექსტი ამ შემთხვევაში ნაკლებეფანის სახით არის წარმოდგენილი; ყოველ შემთხვევაში დაბეჭდილ ტექსტს აკლია ქართულ თარგმანთან შედარებით დასახელებული სომხური გამოცემის ფორმატის თითქმის ოთხი გვერდი თვით დასაწყისში და აგრეთვე მთელი ეპილოგი, სადაც მოთხრობილია წმიდანთა ნაწილებზე კონსტანტინე ქუის ლეგენდარულ ხილვასთან დაკავშირებით. ამრიგად ქართული ტექსტი ავსებს სომხური დედნის დაკარგულ ნაწილებს, თუმცა იმის ცნობებიც არის, რომ იანი, განსაკუთრებით კონსტანტინეს ხილვა, სრულიად არიან დაცული სომხურ ენაზედაც“, და სხვა².

მიუხედავად ამისა, ქართული ტექსტი სომხური დედნის ბრმა თარგმანს ნაძვრად არ წარმოადგენს, ვინაიდან მასში ჩვენ ვხედავთ ისეთ თავისებურებებს, რომლებიც ნაყოფია ქართველი მთარგმნელის აზროვნებისა. ასე, მაგალითად, სომხ. *აჟან, აჟანხ, აჟანაჟის* მაგიერ ქართულში ნახპარია მათი კანონზომიერი ეკვივალენტები: ოვისი, ოვისეთი, ოვისთა. მერმე: სომხ. *ჩ ჩაგყისიჟ ყაჟაიჩ* — „პარესა ბაგრევანდისასა“, ქართულში, როგორც ივ. ჯავახიშვილი მაც აღნიშნავს³, გადმოთარგმნილია: „ეკესა ბაგრევანდისასა“⁴. მესამე: იმ დროს, როდესაც სომხური დედანი არ იძლევა არავითარ განმარტებას „ვოსკიანთა“ (ოსკიანთა) მეთაურის „ვოსკი“ (ოსკის) სახელწოდების შესახებ, ქართულში წარმოდგენილია მთელი ეტიმოლოგია სიტყვისა: „ოსკე, რომელი ითარგმნების ქართველთა ოქრო მოწესე ქმულნი“⁵.

სუქაველთა მარტვილობა, სხვა ჰაგიოგრაფიულ-მარტვილოგიური ნაწარმოებების მსგავსად, რასაკვირველია, სავსეა ლეგენდარული მოტივებით და სასწაულებითა აღწერილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ მოიპოვება ზოგიერთი ისეთი

¹ 124 გვ. მე-2-ე შენ. მოხსენებული ლიტერატურის გარდა იხ.: *ჟაკყასანის მარამის* წიგნი, *საბუნძეაჟანის ნაქყასანის ქაგყანისაჟანის ნაქანხან* (ყარე-ძე), *ქხისიქის* 124, გვ. 301—A. *Хаханов*, *op. cit.* 23.

² *Н. Мар. Из поездки на Афон*, გვ. 17—18.

³ *სიძიქრ* XIX, 33.

⁴ *И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении* [Тексты и Разыскания по армяно-грузинской филологии, VIII]. Сиб. 1905, გვ. 35.

⁵ *А. Хаханов, op. cit.*, 11.

⁶ *Ibid.*, 11. —საინტერესოა, რომ ვოსკიანთ (ოსკიანთ) ცხრობაში თვით მათი მეთაური სწავლად არის მოხსენებული, რაც ბერძნულ *Χαχας* წარმოადგენს, ე. ი. სომხურისა და ქართულის *ოსკი* (ვოსკი) = „ოქროს“ მნიშვნელობით. მაგრამ სომხურ ლიტერატურაში არსებობს უკვე ახსნისა სომხ. *ოსკი*-ს ბერძნული წმინდანისაგან, რაც „მძოვარ“ს ნიშნავს (შდრ. *მ. რ. მარამის* 124, *op. cit.*, I, 12).

ადვილები, რომელთაც რეალური ელფერი აქვთ და ამიტომაც გამოსადეგი არიან ვითარცა ისტორიული წყარო. მაგალითად, საინტერესოა შემდეგი მოთხრობა, რომელიც სომხურ დედანში წარმოადგენს თვით დასაწყისს, ქართულში კი — ზუნებრივ გაგრძელებას იმ შესავლისას, რომელიც გამოტოვებულია სომხურში. აი ეს ადგილი სომხური და ქართული ევრსიებით:

ზარათოაქ, ირე აზნაყინ ქსანთაყ
 ყრანს დისი შაქინსკაყ თიქნილ ქ
 ჯაი, ხ ქარყაყათხაქ ქ სერეო
 არანთ აჯახსრთაყ სრეოყ ათარს-
 ტონ ზარეისი, მზარსარსაქ ქაქილნი
 ნქატათაყ, ირეო ათაქინს თორს
 მსქ. ქ ათყანს ქლასარსაქ ქა-
 ნიხს კსნთაყ ქ ჭრითთი ზლათაყინ,
 ხ მქარსაქ ირ ელთ არს ქასლქინ
 ქ ზლათი. ხ სრანსქაყ არანთ
 რაყაყა ზიყა ქარყაყათხაქსანს
 ხ ქ ჭრითთი ზლათი თს კათარს-
 ყანს კარეოყინ შაქინსკაყ სრეოქ ს.
 ზიყა სქსაქ რნახსყანს ქ შიქლქ
 რქინს, ირ კანონს ყქსარსინ ხრსანთ
 შორქათ ღიჯყალ შიქლქ, ხ ზარ-
 რსაქ ყალთი კანოქმანს ზარისან
 დიქ, დიქიქ სიყათ სქრქინს. სითა-
 შარსაქ სქრსიქიქ ხრს დქარქინს იჯ-
 სარსა ქ თსარსაქსქინს სითობი,
 კამი ზარეიქ ქარელორქინ ს. კანოქ
 სქრქინს ჯიჯიყ კით ამთაყ აღსქსაქ
 სქრქინს, დიქ ქარელორ იჯ იხსქინს. კან-
 დიქ სქარსაქ სქ დქართლანს ირეიქ
 ქარელორ, ხ დქართოქ ქარელორს
 ჯიჯიყ ქარელორქინ შარსიყ, ხ ქ ზარ-
 სანთ მთხაქ ზარქინსიქ ქრქობიყინს,
 აქინიხსაქ კამიქ კიქოსანსიქ ყაჯ-
 სარსაქ ჯიჯიყ. ასქრ. მსყისაქ აღს-
 სქრქინს დსქრქინს, ხ მთიყ დქრქ
 სითიქრქობსანს ზარქინსაყ. სქინიხ-
 თს დიქიყ დიქარსაქ, დჯარქინს ჯარ-
 სარქ ქარელორს თინსქ ხ სითანსა-
 გიყინსიქ დქოსათიანს ჯიჯიყ, ხსქ სქარ-
 სსქქინს კიქინს ხ მთაქინს სქრქინს
 ხრსანთ. სქქ მქარეიქ ქრქქარეიქ
 სქრქინსიქ ქარელორს შარსიყ ქარქინს
 ჯიჯიყ,

ახოვანნი, რომელნი წარვიდეს კარით
 ოგესეთისათ სათენეკ დედოფლისა თანა
 სომხითს, განსწავლულნი წმიდათა-გან
 კაცთა მოწაფეთა-გან წმიდისა თადეოზ
 მოციქულისათა შერთებულნი. წყაროთა
 ეფერატისათა, რომელთაჲ პირველი მათი
 იყო წმიდა ოსკე, რომელი ითარგ-
 მნების ქართველთა ოქრო მოწესე ქმულ-
 ნი, ამთ მიერ განსწავლულნი სიტყუა-
 სა ცხოვრებისა ქრისტის შიერ სარ-
 წმუნობითა და ნათელლებულნი შესძი-
 ნებდეს დღედ სარწმუნოებისა და ნე-
 ტარი იგი კაცი მათისა მის მოძღურე-
 ბისა-თჳს ქრისტის მიმართა სარწმუნოე-
 ბისა-თჳს აღესრულებოდეს ძეთა-გან სა-
 თენეკისთა, რომლისა-თჳს იგინი წარ-
 მოსრულ მოვიდეს და დაეკვდრ[ნ]ეს სუ-
 კავეანსა მთასა, რომელთა სახელად წი-
 ნამძღუარისა მის მათისა სუქიალისთა
 ეწოდა სუკავეან, კეესა ბაგრევანდისსა
 და პირის პირ ბაგვანსა სოფელსა დამარ-
 თებით ნოპატსა მთასა, მძოვარ იქმნე-
 ბოდეს ვითარცა ველურნი კაცნი მოხე-
 დვითა ღვთისათა, წელიწადთა მათ შა-
 პუ მეფისათა, რამეთუ ქუქყანა სომხი-
 თისაჲ მოოკრებულ იყო შემდგომად წელ-
 თა მათ, რამეთუ არა აქუნდათ მათ
 მეფს, რამეთუ მოეკლა ძქ ვალაშინი
 და ხუასრო მეფს სომხითისაჲ მეფესა
 სპარსთასა და შური აღელო მამულისა
 მის შურისგებისაჲ. ამისა შემდგომად
 ენება წარწყმედაჲ ქუქყანისა მის სომ-
 ხითისაჲ და იტყოდა: წარვიდეს და მო-
 ვაოკრო ქუქყანაჲ სომხითისაჲ და შური
 ვიძიო მამულისა ჩუეულებისა მის. ამნე-
 რითგან ერისა კრება ყო ყოველთა-
 გან ქუქყანათა და ენება წარწყმედაჲ

ს ღამაჩ ზაა ჰ თარაღიოთ სერქერ
ჯაკოე¹;

და მოსპოლვაჲ ქუცყანისა სომხეთისაჲ.
ხოლო ნეტარნი იგი დგეს და გულის-
ხმა ჰყოფდეს საქმესა მას, თუ ვითარ-
მე შური იძიოს მეფემან სპარსთამან ქუ-
ცყანისა-გან სომხითისა, და მწუხარებასა
შინა იყო დიდსა და ურევასა ქუცყა-
ნაჲ სომხითისაჲ².

ვარდა ამისა, საინტერესოა თვით მოწამეთა სია:

ს ო მ ხ უ რ ი ვ ე რ ს ი ი თ .

შ ი ქ ს რ ე ჯ ა კ ა ს რ ა ნ ა რ ი

სა აკა სნ ანოლანერ სრანსელაგუნ.
აოღერნ შიღქრას, ჴიონსქიანისა, შალ-
ღიღატა, ჴიიღრათისა, სიქერაქერისა,
შხინასა, შაიკასა, შსიღქრას, შილ-
თისა, შყრანსისა, შიასისა, შილთისა,
შაღქრასა, შიღრანსა, შნასათასა, ში-
იღრისა, შსაქრისა, შიღიღისა³;

და ეს⁴ არს სახელნი ნეტართა ნათ:
სიეკიას, ლუნკიანოს, პოლოქტეს, კო-
ღრატოს, იდიქსიქიროს, მენანს, ფო-
კას, სერგის, დუეტოს (დომენტოს),
ადრიანოს, ზოსიმოს, ბექტოს, თალკესა.
იორდანეს, ანასტას, თეოდოროს, ია-
კობოს, თეოდოსიოს.

ს ო ღ ღ ი რ ხ ა ნ ი თ

ფიქსაღერნ ჰ სიგა მქლქ⁵ ირ ზაჩი
ლიქიერ ჩანაღრას ღამ ჩარაგაღა,
ჰ ძიღთოღქლან ანოლანსეგალ შიღრას
(იღ კიონარენ ასაჰ ხაღქრისა, ს შარღ-
მანს ჴანაღრთხაღ ღამ ჴხხაღ), ირ-
აღსა ჰღ ქსაღაღაღანს ღხანსა ათა-
გსაღ (ასანს ძიღაღარანღ); ირაღსა ს
საღ ღსიღერ ჴიღრას ანოლანსეგანს ჴილ-
ქიანისა, შიიღღატა, შიიღრათისა, სიქერ-
აქერისა (ღამ ასათიღ ს იღღქრის),
სღმასა, შიღქრას, შიღიღისა, შიღიღისა,
სიღრანსისა ღამ ასიღქრანისა,
შიასისა, შიღიღიღ, შაღქრასა ღამ
შაღღესა, შიღრანსა, შნასათაღ-
ღისა, შიღიღისა ღამ შიღიღიღისა,
შსაქიღ ს შიღიღიღისა: ჴნე ამისაჲ⁶
იიღქრ იღიღთასანს ღამ ჴრანსათას⁷;

მოთავარიიგი ამათ შორის, რომელ პირ-
ველად იწოდებოდა ბაჰადრას ანუ ბარა-
ქადა, ნათლისღებისას წოდებულ იქმნა
სუქიას (რომელ ბერძნულად ითქმის ისიე-
ქიოს და ვადითარგმნების წყნარი ან
ჩუმი), რამეთუ მჰვიდობიან ცხოვრებას
მისდევდენ (იტყვიან ცხოვრებისაღწე-
რელნი). აგრეთვე მისნი მოყვანნიც წო-
დებულ იქმნეს: ლუკიანოს, პოლოქტეს,
კოდრატოს, იდიქსიქიროს (ანუ ანტიოქ
და ოქქირონ), მემანს, ფოკას, სერგიოს,
დომეტოს, ადრიანოს ანუ ანდრიანოს,
ზოსიმოს, ბექტორ, თალკესა ანუ თალ-
ლესა, იორდანეს, ანასტათიოს, თეო-
დოტოს ანუ თეოდოტიოს, იაკობ და
თეოდოსიოს; სულ ყველანი კაცნი ათ-
რვაშეტინი ანუ ათცხრამეტინი.

¹) შიქსერ XIX, 33—34.

²) А. Х а х а н о в, op. cit., 11—12.

³) შიქსერ XIX, 55.

⁴) მღგერხან, 11, 91.

ქართული ვერსიით.

ძველი რედაქციით

ახალი რედაქციით

«ესე არს სახელები ნეტართ[ა] მათ. პირველი მათი წმიდაჲ სუქიოს, ლუკიანე, პოლიოქტოს, კოსტრატოს, იქდიოქ. სუქრიონ, მენას, ფოკა, სვრჯიოს, დომენტრიოს, ანდრიანოს, ზოსიმოს, ბიქტორ, თალელეოს, იორდანე, ანასტასიოს, თევდოტიოს, იაკობ, თევდოსიოს»¹.

«სახელნი ათცხრამეტთა მათ ქეწნა-რიტებისა-თჳს ვნებულთანი, რომელნიცა უწყებულ იქმნნეს ჩუქნდა, არიან ესენი: სუქიოს, ლუკიანოს, პოლიევქტოს, კოდრატოს, იექირიონ, მიმიანოს, ფოკა, ნურანგიოს, დომენტრიოს, ანდრიანოს, ზოსიმოს, ვიქტორიოს, თალელეოს, იორდანოს, ანასტასოს, იაკობ, თეოდორიტოს»².

მაშასადამე, ჩვენ ხელთ გვაქვს სამნაირი სია სუქაველთა გუნდისა, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ ჰუარავენ ერთმანეთს. გარდა ამისა, თვით ქართული ვერსიის ე. წ. ახალ რედაქციაში, მიუხედავად იმისა, რომ მის ავტორს, ანტონ კათალიკოზს, მოწამეთა სახელების ჩამოთვლამდე აღნიშნული აქვს მათი ნუსხა—ათცხრამეტად, ჩამოთვლის დროს ფაქტიურად მხოლოდ ჩვიდმეტი ჰყავს მოხსენებული.

II.

სამაჰველი ძველს ქართულ სალიტურალიკო მწიგნობარში.

სალიტურლიკო ხასიათის ქართულ ნაწარმოებთა შორის არსებობს ე. წ. „ლოცვაჲ წმიდათა მესუქეველთა“, რომელსაც მოუღწევია ჩვენამდე ორი ვარიანტი. ორივე მოთავსებულია ჩვენი უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის) ხელნაწერებში, რომელთაგანაც ერთი (A)—მე-XVI-ე ს. (№ 450)³, ხოლო მეორე (B)—მე-XVII—XVIII-ე ს. (№ 895)⁴.

ვინაიდან ეს ძველი ძველი ქართული მწერლობისა აქამომდე გამოცემული არ არის, ხოლო მისი სლაური თარგმანი, შესრულებული კორნ. კეკელიძის მიერ, გამოქვეყნებულია შემოკლებული სახით⁵, საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო ის აქ ორივე არსებული ხელნაწერებისა მიხედვით.

„ლოცვა“ შესდგება 4 სხვადასხვა პატარა ნაწილისაგან. რომელთაგანაც თვითოეული ერთ მთლიან ნაწერს წარმოადგენს და ხელოვნურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

აი ამ ლოცვის ტექსტი:

¹) А. Хаханов, 21.

²) მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 623 (= М. Сабинин, Полное живое описание, etc., III, 4).

³) Ф. Кордания, Описание рукописей Тифлисского Церковного музея, II, Тфл. 1902, გვ. 26.

⁴) М. Джанашидзе, Описание рукописей Церковного музея etc., III, Тфл. 1908, გვ. 144.

⁵) об. Молитва святых Месукейских (ლოცვა მესუქეველთა)—Корн. Кекелидзе, Литургические грузинские памятники etc., Тфл. 1908, გვ. 138.

A 319 a

ლოცვაჲ წმიდათა მესუქეველთა.

B 115 a

I. წყალობაჲ ყავ, უფალო, ქუცყნისაჲ ამის-თჳს დიდითა წყალობითა¹ შენითა², რამეთუ დაღაცათუ არს უსჯულოებჲჲ ამით შორის ხოლო შენ, უფალო, დამბადებელო³ და შემოქმედო⁴ ყოველთა დამბადებულთაო⁵ და ყოველთა წყალობაჲ⁶ და შეწევნაჲ⁷ შენ მიერ არს. გარემიაქციე გულისწყრომისაჲ⁸ მახვლი ამათ-გან. კაცთ-მოყუარეო და ძკრუქსენებელო უფალო და შენდა დიდებაჲ ყოველისე-თჳს⁹.

A 319 b

II. უფალო ღმერთო ჩუწნო, რომელმან უწყი¹⁰ ყოველივე¹¹, ნუ შემადრწუნებნ მე¹² ბოროტი იგი მკეცი, რომელი მოვალნ მონათა ზედა უფლისათა და ნუ დამიტეეებ შეწევნისა-გან შენისა¹³ და სასოგბისა¹⁴, რომელი შემძღებელ ხარ ყოველთა ზედა¹⁵ და ნუ მისცემ სიწმიდესა შენსა ძალთა¹⁶. ღმერთო, რომელი ყოველისავე მეცნიერ ხარ, და უწყნი ყოველნი გულნი კაცთანი, უფალო, შენ უწყი, რამეთუ შენ მიგცენით თავნი ჩუწნნი მონებად¹⁸. რათა ღირს ვიქ-

B 115 b

მნეთ¹⁵; უტყუპლთა²⁰ შენთა საუკუნოდ.

III. შესუქეველთა წმიდათა მოწამეთა²¹ სახელები ესე არს. სუქას, ლუკიანე, პოლიოქტეს²², კოტრატოს, იქლეტი, სუქირიონ²³, მენას, ფოკა²⁴, სერჯოს, დომენტრიოს²⁵, ანდრიანოს, ზოსიმეოს²⁶, ბიკტორ, თაღელეოს, იორდანე, ანასტასიოს, A 320 a თეოდორტიოს²⁷, იაკობაჲ, თეოდოსიოს.

IV. ესენი იყვნენ²⁸ მათსა ზედა²⁹ სუკავენას ქუცყანასა სომხეთისასა³⁰, კერძოსა ბაგრევანდისასა³¹, პირის-პირ ბაგრევანს, სოფელსა დამართებით ნოპატას. მათსა მძოვარ იქმნებოდეს, ვითარცა ველურნი. ითხოვეს ძმართისა-გან სამს სამეოცდა ხუთთა³² სრულ ქმნობითა კურნებაჲ. ხოლო იყვნეს ქუცყნისა-გან ოსეთისაჲ³³ დაბალთა ნათესავთა³⁴ წარმოპყლოდეს დედოფალსა სათენეკეს. დიდმან კოსტანტინე ანგელოზისა³⁵ ჩუწნებითა წარიხუნა³⁶ ნაწილნი მათნი. თუქსა აპრილსა იე ბაგრევანდს³⁷ სპარსთა³⁸ მეფემან შაჰუ³⁹ აწამნა კელითა ერისთავისა ბარლაზასითა⁴⁰.

1. A. წყალობითაჲ; 2. B. წყალობითა შენითა] შენითა წყალობითა; 3. B. დამბადებელოჲ; 4. შემოქმედოჲ; 5. A. დამბადებელოთაო, B. დაბადებელოთაო; 6. B. ყოველთა სწყალობ; 7. A. შეწევნა; 8. B. გულისწყრომა; 9. B. ყოველისთვისე; 10. A. უწყის. 11. A. ყოველისავე; 12. B. ნუ შემადრწუნებ ჩუწნ; 13. A. შენისაჲ; 14. A. სასოგებისა; 15. A. ზედაჲ; 16. A. ძალთასა; 17. AB. მონებად; 18. AB. რათა; 19. A. ვიქმენით; 20. AB. აღთქმითაჲ; 21. A. წმიდათაჲ მოწამეთაჲ; 22. B. პოლიაქტოს; 23. B. სუქირიდონ; 24. A. ფოკა; 25. A. დომენტრიოს; 26. B. ზოსიმეს; 27. A. ევდორტიოს; 28. A. იყუნეს; 29. A. ზედაჲ; 30. A. ქუცყანასაჲ სომხეთისასა; 31. A. კერძოსაჲ ბაგრევანდისასა; 32. A. სამეოცდა ხუთთა; 33. B. ოსეთისა (sic); 34. A. ნათესავთა; 35. A. ანგელოზისა; 36. A. წარიხუნა; 37. AB. ბაგრევანდი; 38. A. სპარსთა; 39. A. შაჰუ; 40. A. ბაართაბაჲსითა.

ამ ნაწარმოებში, როგორც ვხედავთ, სალიტურლიკო ხასიათისა მხოლოდ პირველი ორი ნაწყვეტი, მესამე ნაწყვეტი წარმოადგენს მარტივლთა სიას, ხო-

ლო მეოთხე—მოკლე შინაარსს მათი „ცხოვრებისას“. თვითოველს საფუძვლად აქვს „მარტილობის“ გარკვეული ადგილი, რის დამტკიცებაც ძალიან ადვილია უბრალო შედარებითის გზით. და მართლაც, ამ ნაწყევტებზე შეიძლება ითქვას შემდეგი.

პირველზე. „ვითარ იხილეს კირი იგი და გლახაკებდა ქუცყანისა სომხითისააა წმიდათა მოწამეთა, — ვითხულობთ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, — ეტყუდა ნეტარი კოდრატოს წმიდასა სუქიას: მოვედით და ლოცვა ვყოთ, რათა მშვიდობა ყოს უფალმან ქუცყანისა ამის-თვის. და ილოცვიდეს ყოველნი იგი და თქუსს“¹. შემდეგ მოყვანილია თვით ლოცვა შემდეგი შინაარსისა:

სომხური ვერსიით

ქართული ვერსიით

*ილირმხა ასთილად ღათ მძბი ილირ-
მილქხანა ღილმ ქ ილირჟ აუხსარჩი, აქ
ქტყსა და ანორქნილქხან ჳ ქ ათას, აქ
ღილ ილქ და არარქჳ ამინაჟან
არარადიფ, ამინსიღონ იქსასკანილ-
ქხან და ილირმილქხან ქ ჳქს ჳ. ჳარბი
ღურთმილქხანს სიღრნ ქ ჳიფანს, მარ
ღასაქ და ანორქსასკ და ჳხღ ქასიღ
ქამინაჟანქ*².

წყალობა ყავ, უფალო ქუცყანისა ამისა-თვის დიდიდა შენითა წყალობითა, რამეთუ დაღაცათუ არს უმჯულოებაა ამათ შორის. ხოლო შენ, უფალო, დაძაღებულო, შემოქმედო ყოველთა დაძაღებულთაო და ყოველთა წყალობაა და შეწვენაა შენ მიერ არს. გარე-მაიქციე გულის-წყრომისა მახვილი ამით-გან კაცთ-მოყვარეო და ძვრ-უსენებულო უფალო და შენდა დიდებაა ყოვლისავე-თვის³.

მეორეზე. როდესაც ახლახან მოყვანილი შინაარსის ლოცვა თქვესო, — ამბობს მარტიროლოგი, — „მასვე ეამსა მიიქცა მეფე სპარსთაა ქუცყანადე თვსა და იქნა მშვლობა დიდი ქუცყანასა სომხითისასა და ვითარცა იხილეს იგი წმიდათა მათ, განიხარეს ფრიად და აღიდებდეს ღმერთსა. ხოლო მასვე ეამსა ღამისასა ჩუქნებაა იხილა წმიდამან პოლოკტე და ეტყუდა ძმათა თვსთა: „ხილვა მეჩუქნა მე ღამესა ამას, ვითარმედ ღომი ერთი გამოვიდოდა ბქეთა-გან ჩუქნთა და მოიწიოდა ვიდრე ჩუქნდამდე და დიდიდა წყობითა მეწყებოდა ჩუქნა“. ხოლო ვითარცა ესმა ესე ნეტართა მათ, მუკლნი დაიდგნეს, ილოცვიდეს და იტყოდეს ესრეტთ“⁴. შემდეგ მოყვანილია ლოცვა შემდეგი შინაარსისა:

*სტე ასთილად, ირ ჳლახი ჳამინაჟან, მქ
ღარნიღრეილსეღჳიღ ჳარ ჳაღანს, ირ
ქარბასკისკ ჳაჟ ქ იქსიღაჟ ბათაჟიფ
ღიფ. ილქ, მქ ქიღიღრ ჳჳიღ ქაქსასკანილქ
ხანს ჳილმქ, და ქილსაჟ, ირ ჳარნიღრ
სა ქამინაჟანქ.*

უფალო ღმერთო ჩუქნო, რომელმან უწყი ყოველივე, ნუ შემადრწუნებნ ჩუქნ ბოროტი იგი მკეცი, რომელი მოვალნ მონათა ზედა ღუთისათა და ნუ დამიტევებ შეწვენისა-გან შენისა და სასიებისა, რომელი შემძღებელ ხარ ყოველ-

¹) A. Xaxanov, 12.

²) შიფერე XIX, 35. სიღრხან II, 96.

³) A. Xaxanov, 12.

⁴) Ibid., 12.

*ს აქ თარ ვეროქსიან გი ჯანვი
სათილად, ირ ამინაყქთოქ სი, ს ვი-
თხა ვეროთი ირვლოე მაროქსანი. სიქ,რ,
ვი. ვითხა ვქ ვიქ თილად ვანბქნი
მსრ ქ ბანაკიქსიან, ვქ არძანსიორ
ქციორ ანთილს სითთმანე დიე ირ
კაკსიონიქი¹.*

უბრალო შედარება სუქაველთა მარტვილობიდან მოყვანილი ამ ორი ექს-
ცერტისა ზემოთ აღნიშნულ ლოცვებთან, ვგონებ, სრულიად საკმარისია იმ
დებულების დასამტკიცებლად, რომ უქანასკნელნი ამოკრეფილნი არიან მარ-
ტიროლოგიური ნაწარმოებიდან, რომელიც თავის რიგზე სომეხურიდანაა გადმო-
თარგმნილი ქართულად.

ამგარე, სალიტურლიკო ხასიათის ნაწარმოები ქართულს მწერლობაში ნხო-
ლოდ ამ ლოცვით ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ლოცვებით არ ამოიწურება.

3. იოსელიანი სუქაველებზე ლაპარაკისას სამართლიანად აღნიშნავს,
რომ „ძუღლად არს მიღებული ხსენება მათი ქართულთა ეკლესიისაგან“, ვი-
ნაიდან „1107 წელსა აღწერილსა წმიდათ საგალობელში, რომელიცა“ მან, 3.
იოსელიანიმა, იხილა „ტყავზედ დაწერილი ათონისა მთასა (1840 წელსა), იყო
შემდეგი მათთვის სიტყუა: «წმიდათა მოწამეთა სუქიასი და მოყუასთა მისთა,
რომელნი იყვნეს სომხითით და ეწამნეს ურწმუნოთაგან 100 წელსა ქრისტესითა»;
გარდა ამისა, „ესევე მათთვის თქმულება,—3. იოსელიანი სუქვით,—
შემდეგთა წიგნთაჲსა შინა ჰსჩანს, რომელნიცა იქუს დღეს ქართულთა ეკლე-
სიასა, გარნა ამა განსხუაობითა, რომელ მოიხსენებიან ივინი მესუქევებად, სუ-
ქიად და მოყუასებად მისთა ქართულებად (sic. ლ. მ.-ბ.). ვგონებ დროთა
ძუღლთა ჰქონიესთ ქართულთა ნაწილნიცა მათნი წმიდანი, ამისთვის, რომელ
ესრეთ გალობს ეკლესია კსენებისა მათისა დღესა“. ამის შედგომ 3. იოსე-
ლიანი ს მიჰყავს საგალობელი შემდეგი შინაარსისა:

„აღმობრწყინდა დღესა მოწამისა საღმრთო ხსენება, შემოკრებული სულთა
დღესასწაულის მოყუარეთასა, რომელმან სისხლითა მარტვლობისა თვისისათა
შეამკო პოროფირი სძლისა ეკლესიისა ჩუქნისა, და სიმდიდრედ დიდ-ძალად ნა-
წილნი თვნნი წმიდანი მოგუანნიქნა, მტუღლად მეფისა კეთილ-მსახურისა და მფარუპ-
ლად ერისა მორწმუნისა“ (ყამნი, 15 აპრ.)².

* * *

ორივე ხასიათის ნაწარმოებში, როგორც საპაგიოგრაფიოსა; ისე სალიტურ-
ლიკოში, მოიპოვება დაწერილებითი სია თვით მარტვილთა, რიცხვით 19-მდე.
ეს სია სხვადასხვანაირად არის მოყვანილი სხვადასხვა წყაროში. ამიტომაც მას
ესაკიროება შესაფერისად შემოწმება და, შეძლებისდა გვარად, აღდგენა.

¹) *შიქსერ* XIX, 36. *მაცხერხას* II, 97—98.

²) *А. Жаханов*, 12—13.

³) *ქართო* 6 | *იოსელიანი*, წყობილ-სიტყუაობა etc., გვ. 149, შენ. 57.

ამ მიზნით შედგენილია წინამდებარე ტაბულა, სადაც ნაჩვენებია მარტვილთა სახელები: 1) მარტვილობის სომხური დედნისამებრ, 2) მისივე ძველი ქართული რედაქციისამებრ, 3) ქართული სალიტურლავო ნაწარმოებისამებრ, და 4) ქართული ახალი (ან ტონ კათალიკოზისეული) რედაქციისამებრ¹. ამასთანავე ერთად, ვინაიდან ყველა სახელს ბერძნული ელფერი აძევს, ხოლო ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სუქაველთა მარტვილობის არქეტიპისა და პრიორიტეტის საკითხის გამოსაჭკვევად, მით უმეტეს, რომ მისი ავტორი — „ანტონ მეუდაბნოე“ — კ რ ო მ ა დ, ე. ი. ბერძნული სჯულის შიშვერად, იწოდება, მე საკვიროდ მიმაჩნია პარალელურად ბერძნული ექვივალენტების აღნიშვნაც (რაც ჩემ მიერ არის ჩამატებული).

მარტვილობისა სომხური დედნით	მარტვილობისა ქართ. ძველი რედ.	სალიტურლავო ტექსტით.	მარტვილობისა ქართ. ახ. რედ.	უდრის ბერძნულს
<i>Մարტիաս</i>	სუქიოს	სუქას	სუქიოს	Μαρτυχας
<i>Ղուկասիანոս (Ղուկასիანոս)</i>	ლუკიანე	ლუკიანე	ლუნკიანოს	Λουκιανος
<i>Պოლიդოტეს (Պոլიდոტეს)</i>	პოლიოტოს	პოლიოტეს (პოლიაკტოს)	პოლიევეტოს	Πολυδοτος
<i>Կոնსტანტინոս (Մատիթր և Մարტիրոն)</i>	კონსტანტოს იქდიოქ სუქირიონ	კონსტანტოს იქდუქ სუქირიონ (სუქირილონ)	კონსტანტოს იქვირიონ	Κωνσταντίνος "Εκδοτος" Συκκιριον
<i>Մենաս (Մնաս)</i>	მენას	მენას	მიმიანოს	Μηνας (Μηνς)
<i>Փակաս (Փակաս)</i>	ფოკა	ფოკაჲ	ფოკა	Φακας
<i>Սերգիս (Սերգիս)</i>	სერჯიოს	სერჯოს	ნერანგიოს (?)	Σεργίος (Σερ- γίος)
<i>Դომենტიոս (Դոմնիոս)</i>	დომენტიოს	დომენტიოს (დომენტრიოს)	დომენტიანოს	Δομεντιος (Δο- μεντιανος)
<i>Անდრიანოս (Ագրանიოս Աნიერქიანოս)</i>	ანდრიანოს	ანდრიანოს	ანდრიანოს	Ἀνδριανος (Ἀν- δριανος)
<i>Զոսիմոս (Զոսիմիոս)</i>	ზოსიმოს	ზოსიმეოს (ზოსიმეს)	ზოსიმოს	Ζωσιμος
<i>Բიკტორ (Բիქტორ)</i>	ბიქტორ	ბიქტორ	ვიკიტორიოს	Βικτωρ
<i>Թաղևոս (Թաղևես)</i>	თალეღეოს	თალეღეოს	თალალეოს	Θαλειςος
<i>Յորդანես</i>	იორდანე	იორდანე	იორდანოს	Ἰορδανος (Ἰορδανος)
<i>Անასთას (Անասთასქես)</i>	ანასტასიოს	ანასტასიოს	ანასტასოს	Ἀναστασιος

¹) უკანასკნელი — მე-10-ე შენიშვნაში აღნიშნული ხელნაწერებისა და მიხედვით.

<i>მტოიოიოა</i> (<i>მტოიქათოა</i> ; <i>მტოიოაიოა</i>)	თევდოტოს	თევდოტოს (ევდოტოს)	თეოდორი- ტოს	ԲՅՆԻՄԱՅԻԶ (ԲՅՆԻՄԱԳԻՂԻԶ, ՅԵՆԵՍԻՄԱՅԻԶ)
<i>მასკიოო</i> (<i>მასკიო</i>)	იაკობ	იაკობაჲ	იაკობ	ԻԱԿՈԲԻԶ
<i>მტოიოაიოა</i>	თედოსიოს	თედოსიოს	—	ԲԵՏԻՄԱՅԻԶ

მაშასადამე, 19 მარტივლთა სახელები შემდეგია: 1. სუქიას || სუქიოს, 2. ლუკიანოს || ლუნკიანოს, 3. პოლიევქტოს, 4. კოდრატოს, 5. იქლიქ ეკლიქ, 6. სიქიროს || სუქირიონ, 7. მემნას || მენას, 8. ფოკას || ფოკა, 9. სერგიოს || სერგი, 10. დომენტოს, 11. ადრიანოს ანდრიანოს, 12. ზოსიმოს || ზოსიმეოს. 13. ვიქტორ || ბიქტორ, 14. თალელეოს, 15. იორდანეს | იორდანე, 16. ანასტასიოს || ანასტას, 17. თეოდოროს || თეოდორიტოს, 18. იაკობოს | იაკობ, და 19. თეოდოსიოს.

ექვს გარეშეა, რომ ყველა ეს სახელწოდებები გარეგნული სახით მაინც ბერძნულია. და თუ მარტივლთა გუნდის მეთაურს მართლაც „სუქიას“ || „სუქიოს“ ერქვა, ხოლო უკანასკნელი იგივე ბერძნული *ἰωᾶκχιος*ა. საიდანაც—„მთავსართის მომატებით—მომდინარეობს ქართული ფორმა „მ-ესუიკ“ („მესუქეველი“)², სრულიად ცხადი იქნება, რომ თვით მარტივლიც ეგვიპტის ბერძნები ყოფილიყვენ. ყოველ შემთხვევაში, რომ ისინი არც სომხები არიან და არც ქართველები, თავისდათავად ცხადია. ამიტომაც მიუღებლად მიჰაჩნია ზოგიერთ მკვლევართა აზრი, ვითომდა „სუქია“ ტომით ქართველი ყოფილიყოს³, რაც ალბათ სათენიკ დედოფლის ვითომდა ოსეთით წამოსვლის ცნობაზე უნდა იყოს აგებული.

დასასრულ, აღენიშნავ, რომ სუქაველნი კარგად არიან ცნობილნი ძველს ქართულს მწერლობაში არა მხოლოდ საჰაგიოგრაფიოსა და სალიტურლიკოში, არამედ აგრეთვე მე-XVIII-ე ს. სასულიერო პოეზიაშიც, სახელდობრ ერთ-ერთ ცნობილი „პიიტიკოს“ის ნაწარმოებებში. მხედველობაში მაქვს ანტონ კათალიკოზის „წყობილ-სიტყუაობა“ და „მარტირიაკა“, სადაც სუქიასისა და მისთანათა შესახებ ნათქვამია შემდეგი:

1) „მ“ თავსართიანი ქართ. სიტყვების შესახებ იხ.: *А. Шанидзе, Два чашо-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках*,—*Записки Вост. Отд. Рус. Арх.* 6-ва*, т. XXIII, 1916, გვ. 4; აქაკი შანიძე, ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში,—*განათლება* 1918 წ. № 1, გვ. 25; *Л. Мелнксет-Бекоя, К археологии и этнологии Тувальского Осиа (Ша материалов первой поездки в „Юго-Осетию“*, 17—31 октября 1924 г.),—*Труды Зап. Научн. Ассон.*, сер. I, вып. I. Тфл. 1924, გვ. 269, прил. 69; ლეონ მელიქსეთ-ბეგო, კაწარეთი,—*საისტორიო მოამბე*, 1924, II, გვ. 162, ზენ. 11 (უკანასკნელში განსაკუთრებით ამ სახელწოდების შესახებ).

2) შდრ. პ[ლატონ] იოსელიანი, წყობილ-სიტყუაობა etc., გვ. 149, ზენ. 57.—*მ. საბინინი (Полное жизнеописание святых etc., III, 2)*, ეხება რა იმ მოღვაწეთ, რომელთა წყალობითაც საქართველოს ეკლესიამ „მართლმადიდებლობა“ შეინარჩუნა, აღნიშნავს, „К числу таких мужей Грузинской церкви принадлежат и святой мученик Сухий, ученик святого Апостола Фаддея“; აგრეთვე: „Достопаженный и святой мученик Су

წყობილსიტყვაობით

(ტაეები 484 და 485)

თვს წმიდისა მოწამისა სუ-
ქიასი.

სისხლთა მარტულთა, ეზიარა სისხლს
საღმრთოს,

შცხო რა იქმნეს, კორცთაგან მტკი-
ცენ ღმრთივ,

ძეცყანა განწმდა, იქმნა ჰაერი წმიდა,
იდიდნეს ზენას, გვრგვნთ მიმღებულნ
ამ,

აღსცილდეს ცათა, ხრწნადნი ჰსცუალ-
ნეს უკუდავებ.

სუქია ბრძენმან, მოისიბრძნა განძრა-
ხჭა,

აბრაჰამებრი, თუ ჰსთქვა უზესთაესიც,
დამტევეებელმან, აქათა ყოველთამან,

სადა ლუთქვა, მსახურთ-ყოფა სიტყუ-
მან,

ენებით მივიდა, მისთვის ენებულისად-
მი².

ეს გახლავს აკროსტიხი, სადაც (წყობილსიტყვაობის მე-484-ე ტაეჰსა და მარტირიკაში) თვითოეული სტრიქონის წინა და ბოლო ასოები გვაძლევს წინადადებას:

ს-უ-ქ-ი-ა ს-ე-ა-ქ-ებ,

ე. ი.

სუქიას ვაქებ.

მარტირიკით

სისხლი მარტვილთა სისხლს საღმრ-
თოს.

შცხო რა იქმნეს, კორცთაგან მტკი-
ცენი ღმრთივ,

ძეცყანა განწმდა, ჰაერი წმიდა.
იდიდნეს ზენოს გვირგვინი მიმღებულნი
ამ.

აღსცილდეს ცათა, ხრწნადნი ჰსცუალ-
ნეს უკუდავებ¹.

хпн, по сохраняяшемуся в древних памятниках и предании был родом Грузии (sic: л. მ.-ბ.) из области Албанской (sic. л.-ბ.), и обращен к свету евангельского учения снятым апостолом Фавстом“.

¹ 3 [ლ ა ტ ო ნ] ი [ო ს ე ლ ი ა ნ ი], წყობილ-სიტყვაობა etc., გვ. 148—149.)

² მე-10-ე შენიშვნაში აღნიშნული ხელნაწერებისდა მიხედვით.

გიორგი ჩუბინაშვილი.

ნიკოდიმე კონდაკოვი

(1844—1925)

(მისი მეცნიერული მოღვაწეობის მიმოხილვა).

წარსული წლის 1 ნოემბერს 80 წელიწადი შეუსრულდა ნიკოდიმე კონდაკოვის ძე კონდაკოვის, რომელმაც ფაქტიურად შექმნა ბიზანტიის და საერთოდ მთელი აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის მეცნიერება. ამ დღიდან ნახევარი წელიწადიც კი არ გასულიყო, რომ იგი გარდაიცვალა.

კონდაკოვის აღნიშნული მეცნიერების დარგში ღირსებისამებრ უჭირავს სრულიად განსაკუთრებული ადგილი, მან საძირკველი ჩაუყარა აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგს მეცნიერულად გაშუქებისა და შესწავლის მხრივ. კერძოდ ქართული ხელოვნების ძეგლებზე დააინტერესეს იგი მისი მეცნიერულად მოღვაწეობის პირველსავე ათეულ წელიწადში იმდენად, რომ მან უძღვნა ან ძეგლებს სპეციალური გამოკვლევა, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის შემდეგი თეორიული დამუშავების ძლიერ სტიმულად შეიქმნა. შეშფოთდაც მას თავის გამოკვლევებში მუდამ მოჰყავდა ცნობები ქართული ხელოვნების შესახებ, რითაც იგი წინ სწევდა მისი ევოლუციის საერთო გაგებას. აი ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების დროს ნ. კ. კონდაკოვი არჩეულ იქნა მის საპატიო წევრად.

ამ წერალს მიზნად აქვს მოკლედ აღნიშნოს მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი, ძირითადი მიმდინებები საერთოდ და ქართული ხელოვნების შესწავლაში კერძოდ.

I

ნ. კონდაკოვი შთამომავლობით გლახია კურსკის გუბერნიიდან, დაიბადა ნოემბრის პირველს 1844 წელს; 17 წლისა შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელშიაც სპეციალურად ეღვაწოდა თ. ი. ბუსლაევიანს და რომელიც დაასრულა 21 წლისან. მისი პირველი დაბეჭდილი ნაშრომები გამოვიდა 1866 წელს. 1867 წელს მან პირველად იმოგზაურა საზღვარგარეთ ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებთა შესასწავლად. ხოლო 1870 წელს იგი მიიწვიეს ხელოვნებათა თეორიისა და ისტორიის კათედრაზე ოდესის უნივერსიტეტში.

როგორც გამოჩნდა ნ. კონდაკოვის უკვე პირველი წერილებიდან, იგი, როცა უნივერსიტეტში სწავლებას შეუდგა, აღჭურვილი იყო საგნის ყოველმხრივი ცოდნით, მეცნიერული ლიტერატურის ღრმა შესწავლით და მტკიცე, ნათე-

ლი მეთოდით. განსაკუთრებით ყველა ეს ნათლად გამოიხატა მის სამავისტრო დისერტაციაში, რომელიც მან დაიცვა 1873 წელს¹. დისერტაციის თემად არჩეული იყო ანტიკური ქანდაკების ძეგლი; ცნობილ მასალაზე მას უნდა დამტკიცებია, რომ შეთვისებული აქვს ყველა მეცნიერული მეთოდი და ხერხი. მხოლოდ როდესაც ბრწყინვალედ ჩააბარა ეს გამოცდა, კონდაკოვმა დაიწყო შესწავლა და გამოკვლევა ხელოვნების იმ განყოფილებისა ან იმ რაიონებისა, რომელნიც მანამდე რჩებოდნენ მეცნიერებაში ან სრულიად და ან თითქმის სრულიად უცნობნი. მართლაც, იმავე 1873 წელს ნ. კონდაკოვმა პირველად იმოგზაურა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში ხელოვნების გამოსაკვლევად. 1875 და 1876 წლებში იგი გაიგზავნა მიელინებაში დასავლეთ ევროპაში, რის შედეგად იყო მისი გამოკვლევა ბიზანტიის მინიატურებისა, რომელიც მან წარადგინა, როგორც სადოქტორო დისერტაცია². 1880 წელს და შემდეგ ხელახლად 1884 წელს ნ. კონდაკოვი მიუშობდა კონსტანტინპოლს ბურომომძღვრულ ძეგლებზე, 1881 წელს ძველი ხელოვნების ძეგლებზე სინას მთაზე; 1888 წელს იგი გადასახლდა ოდესიდან სპეტერბურგში, რადგან არჩეული იყო იქაური უნივერსიტეტის პროფესორად; ამასთანავე ჩაიბარა გამგეობა ერმიტაჟის საშუალო საუკუნეების განყოფილებისა; 1889 წელს მან იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად მონასტრების სალაროების ასაწერად საქართველოში; 1891 წელს იგი, როგორც ექსპედიციის მეთაური, მიდის სირიასა და პალესტინაში. 1892 წლებში კონდაკოვი, როგორც ხელოვნების მეცნიერების სპეციალისტი, მონაწილეობას იღებდა სპეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ახალი წესდების შეიმუშავებაში და მას შემდეგ სამხატვრო აკადემიამ აირჩია იგი თავის ნამდვილ წევრად; ხოლო 1898 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ აირჩია იგი აკადემიკოსად, რის შემდეგ იგი 1899 წ. ათონის მთაზე მიდის საგანგებო მოწვეობილი ექსპედიციით, ხოლო 1900 წელს მაკედონიაში. 1911 წელს კონდაკოვი იკვლევდა ხელახლად დასავლეთ ევროპის ძეგლებს იმ მიზნით, რომ დაეწერა გამოკვლევა ლეთის-მშობლის იკონოგრაფიის შესახებ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ნ. კონდაკოვი განაგრძობდა თავის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ ქ. სოფიაში, შემდეგ კი პრაგის უნივერსიტეტში, იგი გარდაიცვალა პრაგაში 17 თებერვალს 1925 წელს.

ნ. კონდაკოვის ნაშრომებიდან ცხადად ჩანს, როგორ მტკიცედ მეთოდურად უდგებოდა იგი მასალას, როგორ თან-და-თან და შეუწყვეტლივ ფართოვდებოდა მისთვის მასალათა დამუშავების წყალობით შესაძლოება ანა თუ იმ საკითხების დამთავრებისა, სანამ უკანასკნელ წლებში იგი არ შეუდგა ისეთ მეტის მეტად რთული თემების გამოკვლევას, როგორცაა ლეთის-მშობლის იკონოგრაფიის საკითხები³ მან დაიწყო აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების სპე-

¹) Памятник гарлий из Малой Азии и символика греческого искусства. Опыт исторической характеристики. Одесса 1873.

²) История византийского искусства и иконографии по миниатюрам греческих рукописей. Одесса 1876. ვადაკეთებული და გაფართოვებული ფრანგული თარგმანი გამოვიდა. პარიზში 1886 წ. ამ სათაურით: Histoire de l'art byzantin considéré principalement dans les miniatures. Tome I-II, Paris 1886, 1891.

ციალური შესწავლა ქართულიდან, მაგრამ დასჯერდა მაშინ მხოლოდ ხუროთმოძღვრების აღწერას, რადგანაც მხატვრობისა და ხელოვნების პატარა ნაწარმოებთა განხილვისათვის ჯერ არ არსებობდა მტკიცე საყრდნობი პუნქტები. წებდები თავისი მოგზაურობისათვის მან დაისახა მიზნად შესწავლა ბიზანტიის იკონიატურის ძეგლებისა, რომელნიც «მისდევნენ ერთმანერთს განუწყვეტელის თანდათანობით, ნამეტნავად მე IX საუკუნის დასაწყისიდან მე XIII საუკუნემდე და თავიანთი თარიღების სისწორით და მეტადრე თავიანთი საუკეთების სიცხადით, რომელნიც იხსნება თანდართული ტექსტის შემწეობით, წარმოადგენენ დიდ უპირატესობას ბიზანტიური ხელოვნების ისტორიის შესწავლისთვის»¹. ამავდროს იგი სწავლობდა ძველ-ქრისტიანული და ბიზანტიის ხელოვნების ნოქაიკებს და რელიეფებს დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, მასალის მოგროვება, რომლის მხოლოდ ნაწილი იყო მამინვე საბოლოოდ დამუშავებული. ექვსი წლის შემდეგ კონდაკოვი იძლევა «ხორას» (ეგრეთ სწოდებულა ქაზრთე ჯამის) მოზაიკის გამოკვლევას; ამნაირად, ჩაყარა-რა მაგარი სიძიროკველი მინიატურების გამოკვლევით, იგი შეუდგა რომენეტალური მხატვრობის თვითველი ძეგლის დეტალურ ანალიზს. ესლა იგი მიემგზავრება სინას მთაზე, სადაც ანალიზს უშვრება მოზაიკას, ჩუქურთმიან კარებს და მონასტრის ხელნაწერების კოლექციას. შემდეგ იძლევა ბიზანტიის ეკლესიების და კონსტანტინეპოლის ძეგლების საზოგადო აღწერას; ამასთან იგი მტკიცედ უსვამს ხაზს, რა ნაკლს წარმოადგენს მათი შეუსწავლელობა ბიზანტიური ხელოვნების ისტორიისთვის, რადგან მოვა დრო, როცა კონსტანტინეპოლის სიძველეთა შესწავლა «გაუთანასწორდება კერპთაყვანისმცემლობის დროისა და ძველ-ქრისტიანული რომის მეცნიერებას და თავის შედეგების ნაყოფიერებით ერთს უმთავრეს ადგილთაგანს დაიკურს საშუალო-საუკუნეების სიძველეთა მეცნიერებაში საზოგადოდ და ქრისტიანულ აღმოსავლეთისაში კერძოდ»². შემდეგი მისი ნაშრომები უფრო შორს მიდის ბიზანტიური ხელოვნების შესწავლის გაღრმავების მხრივ. ასეთებია მისი გამოკვლევა ბიზანტიის მინაქრებელსა, მიმოხილვა რუსულ სიძველეთა, შემდეგ სიძველეთა სირიისა, პალესტინის, ათონისა და მაკედონიისა. ყოველი ამ ნაშრომთაგანი იძლევა არა თუ მარტო დიდხალ ახლად შეკრებილ მასალას, არამედ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ყოველთვის ჯამს უკეთებს ჩვენს ცოდნას; ამნაირად ეს ჯამი ნათლად გვიჩვენებს, რა არის შესწავლილი და რა არა; რა და როგორ უნდა იყოს შესწავლილი. დასასრულ, კონდაკოვის უკანასკნელ დიდ შრომას აქვს თემად ღვთისმშობლის იკონოგრაფია. «ღვთისმშობლია იკონოგრაფია წარმოადგენს ისტორიულ თემას, შეუღარებლად უფრო ვრცელს და რთულს და უფრო მრავალნაირს, ვიდრე ქრისტიანული იკონოგრაფიის ყველა სხვა განყოფილებაში»³. «ღვთისმშობლეთ წარმოადგენს ქრისტიანის სარწმუნოებრივ აზრით ხატს ანუ სარწმუნოებრივი განცდის და დედობრივი სიყვარულის უნაღლეს გრძნობის საგანს. ღვთისმშობლის ხატს უნდა ჰქონოდა ერთსადაიმამე დროს

¹) სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 1 მარტიდან 1 ენკენისთვემდე 1875 წლისა, მოთავსებულია Записки Новороссийского Университета, Одесса 1876, т. XVIII, с. 179.

²) Труды VI-го археологического съезда въ Одессе, т. III, 1897, с. II.
Иконография Богоматери, т. I, СПб. 1914, с. I.

უმაღლესი სულიერი გრძნობანი ადამიანისა და მიმზიდველი თვისებანი ხალხური ტიპისა. ტიპი განისაზღვრება ეროვნული ხასიათით, მაგრამ ამ ტიპს თანდათან ერთვის განსაზღვრული ისტორიული აზრი, ანუ იღეა საერთო კაცობრიული თვისებისა. ლეთისმშობლისა და მადონნის სახალხო და ისტორიული ტიპების და ხატების თანდათანი ზრდის შესწავლას მიზნად აქვს ნაშასადამე შინაგანი ისტორია. სახალხო ხასიათის განსულიერებისა ანუ გაკეთილშობილებისა და მისი ტიპების ამოღებისა საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის ხარისხამდე, როგორც უმაღლესი ნიმუშებისა და ეგრედწოდებული იდეალებისა¹. ასე უდგება ნ. პ. კონდაკოვი თავის მიერ არჩეულ თეზას. თითონ შემდეგი გამოკვლევა გამოჰხატავს თვითეული ელემენტის და მოტივის ან მათი მნიშვნელობის შეცვლის რთულს. გადახლართულ ევოლუციას, რომელიც თვისებად აქვს კაცობრიობის კულტურას საზოგადოდ. კონდაკოვის ეს შრომა, რომელიც აგვირგინებს მის გამორჩეულ სამეცნიერო მოღვაწეობას, წარმოადგენს აგოეთვე დიდ წვლილს მეცნიერებაში, რომელსაც იმ შემთხვევაშიაც-კი, გინდ მის მიერ წამოყენებული საკითხები შეავსოს და მასალა სრულაად გადამუშავდეს, მაინც შერჩება განსაზღვრული ისტორიული მნიშვნელობა, ისე როგორც ნ. პ. კონდაკოვის სხვა შრომათა ნომეტებულ ნაწილს².

უკვე თავის პირველ ნაშრომებში კონდაკოვი ცხადად გამოთქვამს თავის ძირითად თვალსაზრისს ქრისტიანულ ხელოვნებაზე; მაგრამ რაც უფრო ღრმად მიდიოდა მისი გამოკვლევა, მით უფრო დეტალურად და განსაზღვრულად განსახედა იგი ამ აზრს. მისთვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი იყო ის რწმენა, რომ ქრისტიანული ხელოვნება თავისი შინაარსის უმთავრესი არსით და ფორმით კარდნალურად განსხვავდება ანტიკური ხელოვნებისაგან: «სიკვდილი ანტიკისა იყო შობა ახალი ხელოვნებისა»³. შემდეგ იგი არჩევს განსაზღვრულად ეგრედ წოდებულ ძველ-ქრისტიანული ხანის ხელოვნებაში (ესე იგი ქრისტიანობის პირველ რვა საუკუნეში) ორს ხანას: «უძველესი ანუ რომისა, და ბერძნულ-აღმოსავლური, რომელიც იწყება უკვე მე-IV საუკუნის მეორე ნახევარში»⁴. თითონ რომის ხანა იყო «დრო ელინისხმის ყველგან ძველ მსოფლიოში გავრცელებისა, როგორც თითონ ძველ რომში, ისე შორეულ აზიურ აღმოსავლეთში»⁵. მაგრამ «უკვე მე-IV საუკუნის პირველ ნახევარში შენიშნულია ბერძნულ-აღმოსავლური განათლების გამოცოცხლება და კულტურული დასავლეთის მიდრეკილება აღმოსავლეთის ცენტრებისკენ»⁶. საქმე ისაა, რომ ამ დროდან იუსტინიანემდე «არ იყო საერთო ცენტრი: რომი აღარ იყო ცენტრი, აღარ იყო კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელი, იგი თითონ იქცა პროვინციად, დააღლდა

¹) იქვე, გვ. 2.

²) ჩვენ არ შეგვიძლია სურვილი არ გამოვთქვათ, რომ მესამე ტომი ამ გამოკვლევისა. რომელიც, როგორც გერმანული ლიტერატურიდან ვიკით, უკვე დაწერილია, რაც შეიძლება მალე დაბეჭდილ იყოს და ამნაირად სამეცნიერო წრეებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ მით.

³) Археологическое путешествие по Сирии и Палестине, СПб. 1904. с. 45.

⁴) Иконография Богоматери, т. I, 1914, с. 363. Ср. Византийские эмали, СПб. 1892, с. 293.

⁵) Археол. пут. по Сирии и Палестине, с. 35 (-36); ср. Иконогр. ВМ., I, с. 126.

⁶) Иконогр. ВМ., I, с. 126.

მცხოვრებთა რიცხვიც და წინანდელი შეძლება, ფუფუნება და სიცოცხლე, ნახევრად მკვდარ ქალაქად იქცა (რაზელაც ერთხმად ღალადებენ მისი მნახველნი მე-V საუკუნეში). სამაგიეროდ, არც ბიზანტია იქცა უცებ ცენტრად, თუმცა მან ნემკვიდრობით მიიღო რომის პოლიტიკური როლი, ნაწილად მისი ძალა და შეძლება და აკრთევ მისი საზხატერო სახელოსნოები,—ამიტომ ერთის მაგიერ გაჩნდა რამდენიმე ცენტრი, რომელთაც, გაითავისუფლეს რა თავი ნიმუშის გავლენისაგან, დიწყეს ცხოვრება უფრო კაშკაშა და ძლიერი საკუთარის კულტურული და მხატვრული ცხოვრებით¹. «კულტურული და მხატვრული მოქმედების ცენტრად ამ ხანაში იყვნენ მცირე აზია, სირია და ეგვიპტე»². «ბერძენულ-ლამარ-აველური ხელოვნების ხანა, ელინისტური ხანის მსგავსად, განისაზღვრება უფრო დროით, ვიდრე სივრცითა»³. ეს იგი გეოგრაფიული გავრცელება მისი ჰგავს რომაულ-ელლინისტური ხელოვნების გავრცელებას, ხოლო დრო განისაზღვრება როგორც ხანა ბიზანტიური სტილის წარმოშობისა მე-V საუკუნიდან მე-VIII საუკუნემდე. თუმცა ამ დროსაც ზოგიერთი ძეგლი «ირჩევა განსაკუთრებული მხატვრული მანერით»⁴. რომელსაც არ შეგვიძლიან არ ვუწოდოთ ბიზანტიური. მეორეს ნებით. ესლა უკვე «ცხადი შეიქნა, რომ ძველ-ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა შტო აღწევს თითქმის მე-XII საუკუნემდე და სიცოცხლეს აძლევს ბევრ ადგილობრივ ხელოვნებას»⁵.

მოვლენათა ასეთი სირთულის დროს მკვლევარმა ნათლად უნდა გააარჩიოს პრობლემები, რომ მეთოდურად გაწმინდოს კვლევა-ძიების გზები. და ამ მხრივ მეტად კაშკაშა მეთოდები, მოხმარებული კონდაკოვის მიერ. ყოველთ უწინარეს მან ყურადღება მიაქცია ერთს კარდინალური მნიშვნელობის საკითხს, რომელსაც უუქველია გადაწყვეტი გავლენა ჰქონდა მის მიერ ანტიური და ქრისტიანული ხელოვნების გაგებასა და განსაზღვრაზე. ეს არის საკითხი ხელოვნების ფორმისა და შინაარსისა. ნ. პ. კონდაკოვი გადაწყვეტით აკრიტიკებს თეორიას, რომლის თანახმად «მხატვრული ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს ისეთს სრულს შეფარდებას ფორმისა და შინაარსისას, რომ შინაარსი, დაფარული ფორმით, თითონ ისპობოდეს, როგორც შინაარსი და გადაიქცეოდეს ფორმად»⁶. ამ შემთხვევაში «ძეგლის ყოველნაირი გამოკვლევის მაგიერ არსისა და შინაარსის მხრივ საკმაო იქნება მსჯელობის გამოთქმა ფორმალური სქემების მიხედვით და ამით ამოწურულ იქნება მიზანი ისტორიკოსისა, რომელიც თითქო წინადადე იხუჭავს თვალსა და იყრუებს ყურს, რომ არ დაინახოს და არ გაიგოს ის, რასაც წარმოადგენენ და გადმოგვეცემენ წარსულის ძეგლნი, თითქო მათი წინამკმედლთაც არა ჰქონდათ სათქმელი რაიმე სერიოზული, ანუ წარმოდგინათ რაიმე მნიშვნელოვანი, არამედ ეინტერესებოდათ მხოლოდ საკითხები შეჯგუფე-

¹) Иконогр. ВМ., I, с. 128—129, ср. 153.

²) იქვე, გვ. 128. შეად. Македония, СПН. 19, 4), с. 58—59.

³) Иконогр. ВМ., I, с. 133.

⁴) იქვე. გვ. 365.

⁵) იქვე. გვ. 353. შეად. აკრთევ Арх. Пут. по Сирии и Палестине, с. 132—133.

⁶) Арх. ел. пут. по Сирии и Пал., с. 9.

ბისა, სინათლისა და ჩრდილისა, და სხვა»¹. კონდაკოვი მოითხოვს ხელოვნების შინაარსის ანალიზს არსების მარიავაც, და მისი ანალიზით ადვენს ძირითად განსხვავებას ქრისტიანული ხელოვნებისას ანტიკურისაგან. «სირია, ეგვიპტე და მცირე აზია ხელმძღვანელობას უწევდნენ ხელოვნებას ამ ხანის [ე. ი. ძველ-ქრისტიანული ხანის] დროს არა იმიტომ, რომ მათ სახელოვნობებში აღწევდნენ უკიდურეს მხატვრულ ფორმას», არამედ იმიტომ, რომ «ბერძენთა აღმოსავლეთი ეხლა ახალ შინაარსს აძლევდა ხელოვნებას და დღეიდან იგი გადავიდა კუპ-თაყვანისმცემლური ბერძნულ-ლათინური ნიმუშებიდან ახალ ქრისტიანულ ნიმუშებზე და მით შინაარსს იღვიძდა აღმოსავლეთის ერთა სარწმუნოებრივი ცხოვრებიდან და ყველა მის მოვლენათაგან: მონაზნობა, წმიდათა და მათ ნაწილათაყვანისცემა და ტაძართა გამრავლება წამებულთა სახელობაზე; მოქუერება იქცეოდა სარწმუნოებად და საჩქაროდ ნუშავდებოდა მისი წირვა-ლოცვის ფორმები»².

კონდაკოვი ასეთის მიზნებით უდგება ხელოვნების განხილვას, და, ცხადია, მოცლილთა საქმედ სთვლის «კამათს აღმოსავლეთისა და რომის ბატონობასა და პირველობაზე»³, და ბეჯითად მოითხოვს გამოკვლევას «ტიპიურ ფორმების, ხასიათის და ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეობისას ქრისტიანული ხელოვნების შექმნაში»⁴, რადგან ისტორიული პროგრესის არხი მდგომარეობს შეუწყვეტელ ერთურობით შეთვისებაში ყველა ცოცხალ და კულტურულ ეროვნებათა მიერ იმ შედეგებისა, რომელთაც მიაღწიეს საერთოდ ყველა ამ ეროვნებათა წინამორბედმა თაობებმა»⁵. ამასთან დაკავშირებით დგება დიდისაგან დიდი ამოცანა: «რომაული, რავენანს, კოპტთა, სიოიისა, საბერძნეთისა და მცირე აზიის ქვეყნებისა, საკუთრივ ბიზანტიის სტილის განსხვავებულ თვისებათა ცოდნა უნდა ხელთ ვიპყრათ»⁶.

ამნაირად ჩვენ მივიღით შემდეგ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მოთხოვნასთან, რომელიც სრულიად მკაფიოდ ჩამოაყალიბა კონდაკოვმა და რომელიც მან განსაზღვრულად წამოაყენა, როგორც მოთხოვნა, რომელიც უნდა წარედგინოს აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების მკვლევართ ისე, როგორც იგი დიდხანსა მიღებულია დასავლეთ ევროპის და ანტიკურ ხელოვნებაში, სახელოვნობ სტილის გამოკვლევა. კონდაკოვი არ სწყვეტს მოსაზრებებს იმ ფორმის შესახებ, რომელშიაც ჩამოაყალიბდება ჩვენი დისციპლინის შენობა და ნაწილები, მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ «მეცნიერული უპირატესობა და ავტორიტეტი დაპრჩება იმ განყოფილებას, რომელიც აშენებული იქნება ფორმის გამოკვლევასა და მისი ისტორიული მოძრაობის შედარებით შესწავლაზე. ყოველი არქეოლოგიური გამოკვლევა, მოკლებული ამ ძირითად და ერთად ერთ მეთოდს

¹) იქვე, გვ. 24.

²) Иконогр. ВМ., I, 134—135. შეად. აგრეთვე Памятники Константинополя, in: Труды VI археологического съезда. т. III, 1857, с. IV.

³) Археол. Пут., с. 11.

⁴) იქვე, გვ. 11. შეად. Македония, с. 260.

⁵) Археол. Пут., с. 11.

⁶) იქვე, გვ. 12, შეად. Визант. эмали, с. 294.

ჩვენს საკანში, წარმოადგენს უნაყოფო შრომას, უსარგებლოს მომავალ თაობე-
 ლი: თვია ¹. «ისტორიულ დაღაგებას, დაუუძნებულს შედარებით დახასიათებაზე,
 აქვს უმთავრესი მიზანი არა ძველის აღწერა, არამედ მისი განსაზღვრა სიძველე-
 თა არჩეული ჯგუფის უმთავრეს ისტორიული ნიშნების მიხედვით. არქეოლოგი-
 ური აღწერა ამ წრეში მით უკეთესია, რაც უფრო მოკლეა და რაც უფრო ნა-
 კლებ დეტალებს შეიცავს, რადგანაც იგი დახასიათებას აბნელებს. ბიზანტიის
 არქეოლოგიის ყველა ნაკლი მეტად მკაფიოდ იჩენს თავს უსაზღვრო და უნაყო-
 ფო აღწერებში: იკონოგრაფიული სცენა და მისი ტიპები აღწერებში წარმო-
 დგენილია როგორც ახალი, ანუ უცნობი რამ, როდესაც თუ ჩვეულებრივი კომპო-
 ზიციის შაბლონურ შესრულებას ენახავთ ან დაწვერილებით სხვებს შევადარებთ,
 ახალი გამოდგება მხოლოდ რაიმე წერილმანი ნიშანი, დეტალის რაიმე განსხვავ-
 ვება, რაიმე ახალი მხარე და სხ., რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ გამოკვლე-
 ვისთვის ². «გულის გამწყალბებელი უნაყოფობა» ამნაირი აღწერისა, ამნაირი
 რეგისტრაციებისა და სხვა, რომელიც არ შეიცავს გამოკვლევას, შესრულებულს
 მტკიცედ შემუშავებული მეთოდით და მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხების
 პასუხად, კონდაკოვმა დაასურათა ათონის სიძველეთა შესწავლის მაგალი-
 თით, კერძოდ სევეასტიანოვის მეტად ფართოდ დაყენებული ექსპედიციის
 მაგალითით ³. აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრული
 სტილის და მის თანდათანობითი განვითარების და ევოლუციის გამოსაჩენად
 კონდაკოვმა უკანასკნელ ათ წელიწადში გადადგა უკანასკნელი უძნელესი
 ნაბიჯიც. სახელდობრ თავის უკანასკნელ მრავალტომიან გამოკვლევაში იგი შე-
 ეცადა მხატვრულ ნაწარმოებთა ორიგინალების აღდგენას ჩვენამდე მოღწეულის
 ნეღადი ასლების მიხედვით.

საინტერესოა, რომ მკვლევართათვის საჭირო მასალის მხრივ კონდაკოვი
 სტილისტური ანალიზისათვის როდი საზღვრავს ამოცანას და ფარგლებს თვი-
 თეულ ინდივიდუალურად ცნობილი მხატვრის ნაწარმოებთა, არამედ იგი წინ
 აყენებს ხელოვნების მასიურ, უსახელო, ხალხურ ნაწარმოებთა გამოკვლევას ⁴. მათ
 შორის, რასაკვირველია, უნდა აირჩეს ისეთები, რომლებსაც «თავიანთი დამახასია-
 თებელი თვისებებით შეუძლიათ ეპოქის „ძეგლების“ შექმნა; და ასეთი არჩევის შემ-
 დგე საჭიროა მათი შედარებითი დახასიათება და ისეთი თანდათანობითი დაღაგე-
 ბა დროისა და ურთიერთთან კავშირის მიხედვით, რაც უნდა იძლეოდეს მათ ისტო-
 რიულ განარაგებას გზის მაჩვენებელი ნიშნების მსგავსად ⁵. ამნაირად საზოგადოდ
 კონდაკოვი უცქერის მხატვრული შემოქმედების პროცესებს, როგორც კანონ-
 შეუწონილ. აუცილებელ, ევოლუციონურ რიგებს, და ესმის საშუალო საუკუნეების
 ქრისტიანული ხელოვნება დასავლეთსა და აღმოსავლეთში, როგორც ბიზანტიის

¹) Памятники христ. искусства на Афоне. СПб. 1902, с. 3.

²) იქვე, გვ. 59—60.

³) იქვე, გვ. 4—11.

⁴) Арх. Пут. по Сирии и Пал.. с. 1—4. აქვე ამ დაპირისპირებას ერთად შერთვის
 ნისი განსაზღვრება არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიისა. შეადარე აგრეთვე Памятн. хр.
 исх. на Афоне. с. 59 и 60.

⁵) Пам. хр. иск. на Афоне, с. 59.

და ძველ-ქრისტიანული ხელოვნების შემდეგი განვითარება ეროვნულ ნიადაგზე, — ამიტომ ადვილი გასაგებია ამ ხელოვნების დიდი ნაირ-ნაირობა. ამნაირი შეხედულებით ჩვენ ვიღებთ «ხელოვნებაში საერთო და ხალხური მოძრაობის ფართე დარგს, რომელმაც მოიცვა საშუალო საუკუნეების დამდევს მთელი ქრისტიანული მსოფლიო ირლანდიიდან საბერძნეთამდე და შორეულ საქართველომდე. მაშინ გავიგებთ ლომბარდისა და საქართველოს მხატვრული ფორმების უცნაურ შესავსებას და ამასთანავე მკაცრ განსხვავებას სამხრეთ იტალიისა და სხვა ძველებისაგან»¹.

II

რაკი გავიცანით ეხლა, თუ რა გაარიგა თავისი დაუღალავი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში ნიკოდიმე კონდაკოვმა, როგორ მტკიცედ თანდათანობით აფართოვებდა იგი არჩეულ თემებს, იკვლევდა-რა აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების ერთს განყოფილებას მეორის შემდეგ, რითაც ჰქმნიდა ამ ხელოვნების მეცნიერებას, ჩვენ შეგვიძლიან ეხლა მივპარათოდ დეტალურ გაცნობას მისი ნაშრომებისას, რომელიც მან სპეციალურად უძღვნა ქართულ ხელოვნებას. თუ აღმოსავლეთ-ქრისტიანული ხელოვნების საზოგადო მეცნიერებაში სწორედ კონდაკოვის ნაშრომნი წარმოადგენენ განვითარების ეტაპებს, რადგანაც წინად, შეიძლება ითქვას, იყო მხოლოდ ცარიელი ადგილი, ისე კერძოდ ქართული ხელოვნების შესახებაც მის ნაშრომებს უქირავთ იგივე ადგილი, თუმცა თითონ იგი უკვე დიდი ხანია სვლიდა მათ ჩვენი მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის არა შესაფერისად.

მისი გამოკვლევა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ იყო შედეგი ერთის მხრით ეკლესიების პირადად ნახვისა 1873 წელს², მეორეს მხრით საგნის ლიტერატურისა, სახელდობრ დიუბუასი, ბროსესი, გაგარინისა და გრიმის შრომებისა და ხუროთმოძღვრის ნორვეის გამოუცემელი სურათების შესწავლისა³. ეს გამოკვლევა არის ერთ-ერთი ადრეული შრომა კონდაკოვისა, ამიტომ ერთის მხრივ იგი ნამეტნავად ნათლადაა დაწერილი მეთოდოლოგიის მხრივ, მეორეს მხრივ აჩენს, რომ ავტორს ხელფეხი აქვს შეკრული აღმოსავლეთ-ქრისტიანულ, ეგრედ წოდებულ „ბიზანტიური“ ხელოვნების საზოგადო პრინციპებით. მიზანს, რომელიც დაისახა ნიკოდიმე კონდაკოვმა ასე ახასიათებს ის: «არა შეკრება ახალი მასალისა, არამედ სისტემატური განხილვა ცნობილი მასალებისა, და ისტორიული ანალიზი განყოფილებისა და მისი ურთიერთობისა საერთო ქრისტიანული ხელოვნების ისტორიასთან» (გვ. 6). ამა-სთან კონდაკოვი ზოგიერთი ფაქტების მიხედვით არკვევს, რომ «ეპიგრაფიული ცნობები არა სწყვეტენ ქართულ ეკლესიათა ქრონოლოგიის საკითხს, თუმცა-კი ძლიერ დიდ დახმარებას უწევენ» (15). ქრისტიანული ხელოვნების შედარებითი ისტორიის სათანადო დამუშავებამდე «სასარგებლო იქნება უოველი საერთო განხილვა ქართულ-სომხური ხუროთმოძღვრებისა ყველა მის განსახიერებაში და

¹) Древняя архитектура Грузии, Москва 1876, с. 57.

²) Древняя архитектура Грузии. Исследование. Москва 1876, с. 6.

³) იქვე, გვ. 6, 3—5.

ხუროთმოძღვრების საერთო განვითარებასთან შეფარდებით» (16), რადგანაც საკიროა «გამოსვლა მეცნიერულ გზაზე: ამას ითხოვს ის დიდი მეცნიერული ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს კავკასია და მისი ნაშთები» (60).

თავისი გამოკვლევის შინაარსი კონდაკოვმა გაყო ხუთ ნაწილად: შესავალი, სადაც მოცემულია განხილვა ლიტერატურისა, ქართული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხისა და მისი ურთიერთობისა საზოგადო ქრისტიანულთან, დასასრულ ძველთა ქრონოლოგიური საკითხისა, ე. ი. მთელი რიგი წინასწარი მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხებისა. ახსნის შემდეგი სამი თავიდან პირველი არკვევს ქრისტიანული ტაძრების საფუძვლებს ქართული შენობების მიხედვით და მათთან შედარებით. მეორე თავი იძლევა ქართული ტაძრების ძირითადი ხუროთმოძღვრული მომენტების სპეციალურ განხილვას და მათ შეფარდებას დროსთან, და ბოლოს, მესამე თავი იხილავს ქართული ტაძრების სხვადასხვა დეკორატიულ მორთულობას, ქანდაკებას, ორნამენტალურ ნახარბებს—გეომეტრიულსა და მცენარეულს, ფრესკებს, მოზაიკებს. შემდეგ მოსდევს საერთო დასკვნა, სადაც კონდაკოვი აყენებს ქართული ხუროთმოძღვრების ურთიერთობის საკითხს სხვა ცალცალკე ქრისტიანულ ქვეყნებთან, სახელდობრ ბიზანტიასთან, სირიასთან, მცირე აზიასთან, იტალიასთან, ირანდინასთან და თვით საფრანკეთთან და რუსეთთან, განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში, სახელდობრ მე-XI საუკუნიდან მე-XV საუკუნემდე, რომელი დროსაც ის აკუთვნებს ქართულ ტაძართა დანახასიათებელი ტიპის შექმნას.

კონდაკოვი თავის გამოკვლევას საერთო დებულებით იწყებს: «ხუროთმოძღვრულ მოვლენათა მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს თავის პირველ და უმთავრეს მიზნად აქვს დასახული გვაჩვენოს ის შინაგანი მისი მნიშვნელობა, რომელზედაც დამოკიდებულია თვით შენობის გეგმა» (16). ქრისტიანულ ეკლესიებში ეს დამოკიდებულია ღვთის-მსახურების მიზნებზე და პროცესებზე. შემდეგ ის იხილავს და არკვევს ეკლესიის ნაწილების ურთიერთობას და მათ დამოკიდებულებას ცალცალკე ნაწილების აღრე გამოსახულ სიმბოლიზაციასთან, რომელმაც ხელი შეუწყო ეკლესიების ზოგიერთი ისეთი წესების შენახვას, რომელთაც დაკარგეს შემდეგში თავისი მნიშვნელობა. საერთოდ ქართული ეკლესიების შესახებ კონდაკოვი აღნიშნავს ტრადიციულ ფორმათა სიმკვიდრეს, როგორც, მაგ., საკურთხევის დაბალ ზღუდეს შემდეგი დროის კანკელის ალაგას, რომეცა სრულიად ჭეარავდა საკურთხეველს მლოცველთაგან, სამრეკლოებისა და სანათლავების უქონლობას უკანასკნელ დრომდე, და სხვ.

გემის დეტალების განხილვის შემდეგ, კონდაკოვი მიმართავს «სივრცის ხუროთმოძღვრული დაყოფის» (22) ელემენტების განხილვას ქართულ ტაძრებში. ამასთან, როგორც ვთქვით, ის იღებს ტიპიურ ქართულ ტაძარს უკვე მე-XI და მის მომდევნო საუკუნეებისას. აღნიშნულ გეგმაში, მაგალითად, მართო შუაში მოთავსებული გუმბათი გვაძლევს ჯვრის ძირითად სიმბოლიურ ფორმას» (22). ამასთან გეგმა მოგროძა, შენობის გეგმა ზაზილიკურია, მაგრამ გუმბათი აქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ბიზანტიური ტაძრების მეორე პერიოდის ტიპია. აწერილი კანონიური გეგმის ბატონობა საქართველოში იწყება მე-X, ანუ მე-IX საუკუნიდან მაინც და არა ამაზე ადრე, ხოლო მკვიდრდება

მე-XI საუკუნეში და ამიტომ ყველა შენობას. ამ ხანაზე წინ აშენებულს, ეძლე-
ვა განსაკუთრებული ინტერესი» (24); ეს უძველესი შრე განსხვავდება ხუროთ-
მოძღვრული აზრის სიმდიდრით, სტილის ფორმების ნორჩი შევრძნებით მის სამ-
შობლოში და მის გაუქვავების ხანაში» (24). ასეთი ეკლესიები აშენებულია
გეგმაზე, რომელიც ყველაზე ძლიერ უახლოვდება მრავალ გეგმას, და «უეჭველია,
არც შეიძლება, რომ ასეთი ეკლესია ბევრი იყოს საქართველოში» (26). მაგ-
რამ ყველა ამ ეკლესიებში ნამეტნავად შესანიშნავია თავისი სიძველითაც და გე-
გმის დამახასიათებლობითაც ჯუარის პატარა ეკლესია მცხეთაში» (27), ეგრედ
წოდებული მცხეთის ჯუარის დიდი ტაძარი. ნ. კ. კონდაკოვი სცნობს, რომ ამ
შენობის თარიღი სწორედაა ნაჩვენები; დასახელებული არიან მისი ამშენებელიც
(გვ. 14), სახელდომ იგი აშენებულია მე-VII საუკუნის დასაწყისის გეგმაზე¹.

კონდაკოვი იძლევა ბიზანტიური ტაძრების სხვადასხვა გეგმის ნოკლე
განხილვას, ანაწილებს მათ ქრონოლოგიურის თანდათანობით და უფარდებს
მათ საქართველოს თანამავგარ შენობებსაც. მაგრამ ის განსაზღვრულად ეწინააღმ-
დეგებოდა აზრს, ვითომც საქართველოს გაეღენა ქრონოდეს საერთო ევროპიულს,
დასავლეთისა და ბიზანტიის ხელოვნებაზე. «უფრო ბუნებრივია მივიღოთ ფაქ-
ტი, რომ დასავლეთის სხვადასხვა ფორმა გავრცელდა საქართველოში საბერძ-
ნეთისა, პალესტინისა და მცირე აზიის შუაობათა, ამბობს კონდაკოვი².
საზოგადოდ კი ქრისტიანული ხელოვნების ყველა მოვლენას ის იხილავს, რო-
გორც მწყობრ მთლიან ერთეულს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივიღებთ ჩვენ
«ფართიან საერთო და ხალხურ მოძრაობას ხელოვნებაში, რომელიც მოვიღო მთელ
ქრისტიანულ მსოფლიოს საშუალო საუკუნეების დასაწყისში» (57).

«შენობის გეგმა — ეს არის მხოლოდ შიშველი სქემა მასი კომპოზიციისა სივრ-
ცეში. გეგმა გამობატავს იმ საერთო კულტურულ ფორმას, იმ საერთო აზრს,
რომელიც არსებობს უცვლელად მრავალ საუკუნეზე.» (30). ამ საერთო ფორმის
ვაიაციები იხატება დეკორაციებში და აგრეთვე ცალ-ცალკე ფორმათა ერთ-
ნაირ მოძრაობაში. «ვუმბათიანი შენობის გარეუდან სახეს შეადგენს უპირველ-
სად ყოვლისა თვით გუმბათი» (31). «გუმბათის თალი დაყრდნობილია ყოველ-
თვის ოთხ სვეტზე, რომელთაც ჩაჩოდ აქვთ პილასტრის შევრილები, რახედაც
დაყრდნობილია ნაეების მაღალი ცილინდრულ თაღები» (36). ქართულ ეკლესიებში
გუმბათის კონუსი ღებულობს «განსაზღვრულ ფორმას, რომელშიაც მისი სიმაღლე
ეთანაბრება მისი საუფუქლის რკალის რადიუსს. დროთა განმავლობაში ეს შეუფარ-
დება კონუსის სიმაღლისა სათუფუქლის დიამეტრთან უფრო და უფრო იზრდება და ბო-
ლოს თანაბრობამდე მიდის, და ამ პირობაში კონუსის სიმაღლე ეთანასწორება
გუმბათის ყელის სიმაღლეს» (32). ამის მერე ხანებში ეს «პარამონიული შეფარდება
ირღვევა დაქვეითების პროპორციებით» (32) ეკლესიათა უმზავსად მაღალ გუმ-
ბათის ყელში.

მასის განაწილებაში ნათელია მისწრაფება სწორე ოთხკუთხედისადმი.
ეს განსაკუთრებულად ნათლად გამოიხატა ატსილის გამართვაში. «ქართულმა

¹ გვ. 27 (მაგრამ სხვანაირად 51 ვგვრდებ).

² გვ. 55, შეად. გვ. 54, 45-44.

ხუროთმოძღვრებამ შეითვისა ავრეთვე განსაკუთრებული, სპეციალურად მისი კუთვნილი, საშუალება აფსიდის ანუ საკუროთმძღვრელის ნიშისა აღმოსავლეთის კედლის შიგნით აშენებისა, რაც სრულიად არ ემჩნევა გარედან. რომ განესაზღვრათ უმთავრესი ნიშის სიერცე, უფრო ნათლად აღენიშნათ მისი მდებარეობა და შეემციებინათ კედლის ნამეტანი სისქე, ხუროთმოძღვრები აღმოსავლეთ კედელს იმ ადგილებში, სადაც ორი ნახევრად მრგვალი ნიშა ჰხდება უმთავრეს ნიშას, ჰხერხებენ გარედან და აკეთებენ იქ ორს განსაკუთრებულ ნიშას, რომლებიც სამკუთხედად შედიან შუამდებარე მასის სისქეში» (35).

«ტიპიურობა ქართული ხუროთმოძღვრებისა მდგომარეობს იმ დამახასიათებელ კელიებებში, რომელიც გადაიტანა ამ ნიადაგზე ბიზანტიური შენობის გარეგანმა სახემ. და ეს სახე ნათლად ვკივივნებს პრინციპებს, განსხვავებულს იმ პრინციპებისაგან, რომლებიც ხელმძღვანელ-ობას უწევდენ ძველ ქრისტიანულსა და ადრეულ ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებას: ეს პრინციპები საშუალო საუკუნისაა» (36) «და მართლაც ბიზანტიურმა ვუმბათიანმა ხუროთმოძღვრებამ ნამდვილად ფასადი (იკავერ შიქნა. ქართული ხუროთმოძღვრება, რომელსაც უპირიველესად ყოვლისა ახასიათებს ფასადების ორიგინალური ფორმები, ამ შევთხვევაში წარმოადგენს რაღაც ახალს, თავისებურს» (40). «თვითეული ქართული ფასადი, წარმოადგენს კედელს, რომელიც ჰუარავს უმთავრესსა და გვერდების ნაევს, და შესდგება სანი ნაწილისაგან: შულა მალალი ფონტონისა და ორი გვერდის ფრთისაგან. რამდენადაც შენობის ხუროთმოძღვრება უფრო უახლოვდება ქართულ ეკლესიათა ჩვეულებრივ ტიპს, იმდენად უფრო მალა იწევს გუმბათი, იმდენად უფრო მალაია ეს ფონტონები და იმდენად უფრო მახვილია მათი შეერთების კუთხეები; რამდენადაც უფრო ძველია ხუროთმოძღვრება, იმდენად უფრო უახლოვდება ეს ნაწილები უფრობონტალურ ბანებს: ეს ჰარმონიით და მთლიანობით სავეს ევისება შეადგენს პირველ პირობას ქართული ხუროთმოძღვრების სილამაზისა» (41).

რამდენადაც განვითარებულია ქართული ტაძრების ფასადი, იმდენად «უფრო გამოდის გარეთ და თავს იჩენს ორნამენტაცია, რომელიც აესებს უმთავრეს ნაწილებს, ანდა ხუროთმოძღვრული ორგანიზმის ნაწილებს ლამაზი არმიანი ჩუქურთმებით და ჰყოფს კედლებს გაბედულად მოფიქრებული და ფართოდ გაშლილი კამარებით» (40). «უასადის სამი არე ჩვეულებრივ ნაყოფილია სამი კამარის ჩარჩოთი, რომლებმაც იმავე დროს უნდა გამოხატონ ნავების შიგნითა კონსტრუქცია» (42). ამ ფორმამ საქართველოში უკვე ადრე მიიღო ორნამენტალური ანუ დეკორატიული ხასიათი» (42). პირველად იგი მაინც ფასადების დანაწილებისათვის არის შემოღებული. «მაგრამ ამ დეკორაციის დახასიათება არ ჩერდება უპარალ დანაწილებაზე: ბოლო დროის შენობებში, ე. ი. მე-XIII საუკუნიდან დაწყებული, კონსტრუქციის მოხრილი, გადაგრეხილი ხაზები, რომელნიც ეკლესიების ფასადებს ლეწვისის ლერობებით ეხვევიან, წარმოადგენენ ხუროთმოძღვრული აზრის იმისთანა არაობასა და ფანტაზიის იმისთანა თავნებობას, რომ შეიძლება მივსვავსოთ მართო ძველ მექსიკანურ შენობათა ფანტასტიურ დეკორაციებს. ეს კოლონები ენსვავსება პირდაპირ ლატენებს, რომლებზედაც დაკედულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა ხუროთმოძღვრული მორთულობა-

ნი: ასე, შუა კამარა მის მწვერვალთან ჩამოშვებულ ლატანზე იკერს უშველებელ რელეფიან ჯვარს, რომელიც მორთულია ხლართებით, ქვევით რომშია ავსილი იმავე ორნამენტებით, ზევით კი ხანდახან ერთი ან ორი ვარსკვლავი» (42). «მაგრამ ეს თვისება, რომელიც უცხოა ბიზანტიური ხელოვნებისთვის, მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის ქართული ხუროთმოძღვრების სისტემაში» (43). იგი საერთოა იტალიის მე-XI-XII საუკუნეების რომანული ხუროთმოძღვრებისა და იმავე დროის საქართველოს ხუროთმოძღვრებისთვის. კონდაკოვი ვერ აფასებს ამ ხეობის განსაკუთრებულ მხატვრულ მხარეს, არც თითონ მათ, არც მით უმეტეს მათ ევოლუციონურ მნიშვნელობას. მაგრამ ის იძენდა პირადად მისი ბრალი არ არის, რომდენადაც იმ ხანისაა, როდესაც დაწერილი იყო ეს შრომა, როდესაც ფაქტების ქრონოლოგიური თარიღები არ იყო სწორედ დადგენილი.

«შენობის ორნამენტისა—მისი სიკოცხლეა, მისი სულაა, ის აძლევს მას განსაზღვრულ სახეს» (48) უეჭველად, ქართული ხუროთმოძღვრების ორნამენტაციის უმთავრეს სახეს წარმოადგენს საკუთარი ორნამენტი, რომლის დამახასიათებელ ფორმას შეადგენს ნაირ-ნაირად გადახლართული ზოლები და რომელსაც მოკლედ ეძახიან „ხლართვას“ (47). «ეს ორნამენტი ხუროთმოძღვრულია და მჭიდროდ დაკავშირებულია შენობის კონსტრუქციასთან. ამ მონუმენტალური ორნამენტაციის დალაგების ადგილებიც სრულიად ეთანხმება მის ხასიათს: სვეტის თავების კუბებში, სასუფეველთა ოთხკუთხიანი გვერდები, თვით ფანჯრისა და კარების კამარა და მათ ვარს შემოვლებული კამარები ანდა გარეთა ჩარჩოს ხვეულებსა, კოზმიდებისა და სხვა განკვეთათა სარტყლები, თაღების წიბოები და მათ განკვეთათა ცენტრები და სხვა.» (48). «უნდა სრული სიპართვე ვთქვათ, რომ ქართულმა ხელოვნებამ მთავრება და ფართედ ისარგებლა ამ ფორმით და სხვა პლასტიკურ მორთულობათა უქონლობის გამო განავითარა მისი სახეები უფრო საესტეტიო, ვიდრე ყველა სხვა ქვეყნებმა, სადაც კი ეს ფორმა გაჩნდა» (50). «ქართული ხლართვის ფორმებს, გინდ იროანდულთან შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა აქვთ: მათი ხასიათი უფრო სწორია, ორნამენტის ნახატი ნათელია, ნახატის მნიშვნელობა და აზრი ყოველთვის შეეფერება მონუმენტალურ მიზნებს და არასოდეს არ ემორჩილება ფანტაზიის ქაოტიურ თავნებობასა და ფორმებით თამაშს» (50).

«მაგრამ ქართული ტაძრის გარეთა მხარის მთელ ამ ორნამენტაციას უძველეს დროში ყოველთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ ფრესკულ ცხატვრობას, რომლითაც მოფენილი იყო შიგნითა კედლების დიდი არებები» (51) და რომელიც წარმოადგენს ბიზანტიის სტილის უკიდურეს დაცემას» (52).

ასეთია ძირითადი დებულებანი, რომელნიც დაადგინა ნიკოლომი კონდაკოვი ქართული ტაძრების შესწავლის შემდეგ. ჩვენ ვხედავთ, როგორ მტკიცედ მეთოდურად, სხვა ქრისტიანული ქვეყნების ძეგლებთან შედარებით ანალიზის გზით, მიღის იგი სწორე ქრონოლოგიურ განსაზღვრამდე. ამავე შედარებით მეთოდის წყალობით პოულობს იგი მავარ საფუძველს ქართულ და სხვა ქრისტიანულ ხელოვნებათა ურთიერთობის საკითხების განხილვისთვის. მაგალითად, ააზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხუროთმოძღვრება სრულიად დამოკიდებულია და პირდაპირ წარმოიშვა სომხურისაგან (7), კონდაკოვი უარპყოფს როგორც საზოგადო მოსაზრებით, ისე ნამეტნავად დეტალების ანა-

ლოზისა და თავდაპირველად ატენის სიონის ტიპის ეკლესიების ანალიზის მიხედვით. ეს ეკლესიები დაკავშირებულია მცხეთის ჯვრის ეკლესიასთან¹. ნ. კონდაკოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ «ცნობილი შნააზე, სასტიკი მსაჯული და ღრმა ანალიტიკოსი, ჩაყენებული ორ ცეცხლ შუა ერთად-ერთის ავტორიტეტის დიუბლუას დაკვირვებათა და საზოგადო ცოდნათა შუა იძულებული გახდა ერჩია კომპრომისი და ეთქვა, რომ საქართველოში სტილის განვითარება გამოდგა უფრო ნათელი, ვიდრე თვით მის სამშობლოში—სომხეთში» (7-8). პირიქით, შედარებითმა ანალიზმა შეაძლებინა კონდაკოვის დამტკიცება იმისი, რომ ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება სრულიად ეთანხმება ბიზანტიისა და საშუალო საუკუნეების (რომანულსა და გოთიკურ) ხუროთმოძღვრების განვითარებას². კონდაკოვი ხაზს უსვამს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, იმ დებულებას, რომ საშუალო საუკუნეების დამდეგს მთელი ქრისტიანული მსოფლიო მოცული იყო საერთო ხალხური მოძრაობით ხელოვნებაში³. ამნაირად ქართული ეკლესიები შეიცავენ როგორც აღმოსავლეთის, ისე იმავე დროს დასავლეთის ელემენტებს, ე. ი. წარმოადგენენ საინტერესო მოვლენას ამ ორ მსოფლიოს შორის.

საქართველოს ძველი ხუროთმოძღვრების აღწერა, რომელიც შეადგენს განთქმული მეცნიერის ერთ-ერთს ადრეულა გამოკვლევას, შეიცავს, რასაკვირველია, არა ერთს შემცდარ აზრს (მაგალითად, ძველთა ქრონოლოგიაში, ორნამენტალურ მორთულობათა განვითარების ეტაპების თანდათანობაში, ფრესკული მხატვრობის დაბალი თვისებისა, და სხვა), მაგრამ ესეთი ბედი ყოველი შრომისა, ნამეტნავად ისეთის, რომელსაც აქვს ისეთი საფუძველდები, ქვაკუთხედის წინაშენლობა, როგორც აქვს ამ წიგნს. ტყუილად კი არ გაიარა მას აქეთ 50-ზე მეტმა წელიწადმა. თვით კონდაკოვმა გამოთქვა აზრი, რომ ესლა ამ ჩენს შრომას ბევრში აღარ ვეთანხმებო. ეს შეეხება, რასაკვირველია, სხვადასხვა მეორე-ხარისხოვან ანუ დეტალურ მხარეს და აგრეთვე იმ შეხედულებას, რომ ქართული ხელოვნება შეადგენს საერთო ქრისტიანული ხელოვნების ნაწილს, ხოლო ფაქტების გამოკვლევის ძირითადმა ჩონჩხმა არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა დღემდე, ხოლო მისი მეთოდი წარმოადგენს პირდაპირ მაგალითს ახალგაზრდა მკვლევართათვის.

III.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის შემდეგი 50 წლის განმავლობაში კონდაკოვის არა ერთხელ უსარგებლია მასალით ქართული ხელოვნების ისტორიიდან ხელოვნების ევოლუციის პარალელურ ან საერთო მოვლენათა დასადგენად. მათ შორის ქართული ხელოვნების მოვლენათა ორი ჯგუფი მეტად მკაცრი და ღრმად გამოიკვლია მან, თუმცა კი არ მოუცია დამოუკიდებელი და დამთავრებული აღწერა მათი. ესაა პირველი ქედვითი ხელოვნება საქართველო-

¹) შეად. გვ. 7-8 და 27-28.

²) შეად. გვ. 36, 40, 53 და შემდ.

³) შეად. გვ. 57.

ში და მეორე მინაქრისა. ამ სიძველეთა წინაშე კონდაკოვს მიუძღვის დიდი დამსახურება: მან არა თუ მარტო გამოიკვლია, არამედ შეინახა და დაცვა კიდევ ესენი.

როგორც უკვე გეჰქონდა მოხსენებელი კონდაკოვმა მოაწყო 1589 წელს სპეციალური მოგზაურობა, რომელმაც გასტანა მთელი აკვისტო, დასავლეთ საქართველოს მონასტრებში შენახულ სიძველეთა ასაწერად. კონდაკოვს ახლდა დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც ამოწმებდა და სთარგმნიდა ქართულ წარწერებს და სხვ. შეკრებილი მდიდარი მასალა გამოიცა უკვე დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ ერთ ტომად in —quarto მრავალი რეპროდუქციით; იგი ხელმოწერილია ორივე მკვლევარის მიერ. ორივე მკვლევარის წერილები ამ შრომაში ცხადად ირჩევა ერთმანეთისგან შინაარსით და ბაქრაძის მიერ დაწერილი თვით ეპილოგიც მკაფიოდ განსხვავდება კონდაკოვის მიერ დაწერილისგან¹.

დამახასიათებელია მთელი ამ მოგზაურობის ისტორია. აი როგორ ასწერს მას თ. ი. პოკროვსკი². «ეს მოგზაურობა და თვით მონასტრების საღაროების აღწერა გაპოინწია იმ ცხადი მტაცებლობის შემთხვევითმა გამოაშკარაებამ, რომელიც ხდებოდა კავკასიის ძველ მონასტრებში წარსული საუკუნის მ. მ. წლებში. ადგილობრივმა ფოტოგრაფმა [საბინ-გუქსმა] ნებაჰთვა აიღო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისგან ტფილისში, რომ ძველებული ვერცხლის ხატები და სხვა ნივთები ახალი ვერცხლისავე ხატებით და სხვ. შეეცვალა. და დაიწყო სისტემატური მტაცებლური თარეში საქართველოს მონასტრების საღაროთა სიძველეებზე. მათში უძველეს დროიდან ინახებოდა ხატები, მოკაზმული მინაქრიან მედალიონებით, რომელთა ნაწილი ბიზანტიაშია შესრულებული, ნაწილი—საქართველოში. მინაქრის ტექნიკური წარმოება, რომელმაც მე X—XII საუკუნეებში უმაღლეს განვითარებას მიღწია მართლმადიდებელ აღმოსავლეთში, ამ ეპოქად თითქმის დაკარგულია, მინაქრის ნიმუშებიდან შენახულია შედარებით მცირე რაოდენობა, ამიუომ ესენი წარმოადგენენ მეტად სასურველ მასალას ყოველი მეზეუმისა და კოლექციისთვის. მეტად ადვილი გასაგებია, თუ როგორი მოგება უნდა ჰქონოდა ხელგანომავალ ფოტოგრაფს, როდესაც იგი ხელში იგდებდა ხატს, მორთულს ოკიოდ ამნაირი მედალიონით და მის მაგიერ სდგამდა ხატს ვერცხლით მოკაზმულობით მოსკოვის სახელო-ნომადიდან. ამნაირი გამოცვლა მას ნებადართული ჰქონდა ზემოთ მოხსენებული კანტორისაგან. სამწუხაროდ ძვირფას მედალიონებს გარდა შეწირულ ხატებს ჰქონდათ ისტორიული წარწერები თარელებით, რომლებიც უმოწყალოდ მოსპეს. ფოტოგრაფი მინც მარჯვედ განავრძობდა თავის მტაცებლურ თარევს. ერთ-ერთი მედალიონი მან მოურიდებლად მიიტანა პეტერბურგში. გრაფ ა. ა. ბობრინსკიმ, რომელმაც შეიძინა ეს მედალიონი, უჩვენა იგი პროფესორ ნ. პ. კონდაკოვს. აჰან დაუუწინებლივ აჩვენა გრაფს ეს მედალიონი ჯუშმათის

¹) Одисъ памятников древности въ нѣкотрыхъ храмахъ и монастыряхъ Грузиин, составленная Н. Кондаковымъ. Грузинские надписи прочтены и истолкованы Д. Бакурадзе. СПб. 1890, с. 23.

²) იხ. მისი წერილი კონდაკოვის შესახებ მე-XII ტომში Прав. Вѣстн.: вѣст. Энциклопедия, СПб. 1911, столб. 745—747.

მონასტრის ძველი ხატის ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც გადაღებული იყო ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ ჯერ კიდევ მე-70 წლებში. ნ. პ. კონდაკოვის წინადადებით გადაწყვიტეს საჩქაროდ მოეხდინათ იმ უმთავრეს სიძველეთა აღწერა, რომლებიც ინახებოდნენ საქართველოს უმთავრეს მონასტრებში, დაებეჭდათ ეს აღწერა და გაეგზავნათ მიწერილობა ეპარქიალური უწყებისთვის, რათა მონასტრებს დაეცვათ ამ აღწერაში აღნიშნული ყველა ნივთები: რასაკვირველია, ამ აღწერაში მოჰყვა მხოლოდ სიძველეთა უმცირესი ნაწილია.

ამ მოგზაურობის დროს კონდაკოვმა და ბაქრაძემ დაათვალიერეს და აწერეს სიძველეებით უმდიდრესი ტაძრების საღარონი, სახელდობრ: გელათისა, მოწამეთისა, ნიკორწმინდისა, ხონისა, მარტვილისა, ზობისა, ცაიშისა, კოცხერისა, ჯუმათისა, შემოქმედისა, ლიხაურისა, კაცხისა, მღვიმისა, საყანისა, ჯრუჭისა და უბისისა და აგრეთვე ზოგიერთი საგნები სიონის სიძველეთა მუზეუმისა და განთქმული „ანჩის ხატი“ ქ. ტფილისში. ამ საღაროთა შესწავლამ მდიდარი მასალა მისცა კონდაკოვს დაკვირვებისა და გამოკვლევისათვის, სახელდობრ, ქედვითი ხელოვნებისა და მინაქრის შესახებ. კონდაკოვი უკვე ამ აღწერაში აღნიშნავს გზა და გზა ნივთების აღწერასთან ერთად ქედვითი ხელოვნების ეტაპებს. /ქედვითი ხელოვნება საქართველოში, სწერს კონდაკოვი, მე-XI საუკუნის ბოლოდან განვითარდა დამოუკიდებელი ხელოვნების ბარისხამდე და სუფევდა მთელს მე-XII და XIII საუკუნეებში. მე-XIV საუკუნის ნიშნები წარმოადგენენ უკვე სტილისა და ტექნიკის დაქვემდებარებას. ნახატის უკიდურეს პრიმატიონასთან ერთად, ორნამენტული ვითარდება განსაკუთრებული სიმდიდრით და ბრწყინავს ოსტატობით. ქედვის შემდეგ ოსტატი ხშირად ყველა დეტალს საპირველი აღრმავებს და ცხადი სიყვარულით აკეთებს ბადოვან ფონებს და მშვენიერ არშიებს. მუშაობის მეტ სისრულეს ვერც თვით ბიზანტიაში შეგვიძლებია წარმოადგინოთ ამ ევოლუციის მიმოხილვაში განვითარების ხანა მეტად შევიწროებულია და დაცემის დაწყება მეტად ადრეა აღნიშნული, მაგრამ ასეთი აზრის ბრალი უნდა დაედვას ისტორიკოსების მიერ ძველების თარიღების არასწორედ ჩვენებას, ხოლო მეორე მხრით, ბიზანტიის ხელოვნების „პალეოლოგთა“ ხანის ჯერ კიდევ საერთო გამოურკვევლობა. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ აღწერას და მის თარიღებს კრიტიკა უნდა ეყოს მხოლოდ მისი დროის მეცნიერულ მსლწვეთთა თვალსაზრისით და არა საუკუნის მეოთხედით ან მეტი ხნით უფრო მასზე გვიან გამოკვლეული ცნობების მიხედვით. ამასთან საერთოდ „აღწერა“ იძლევა ცნობებს ცალკე საგნებზე და აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ მხატვრულ თვისებებს, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია კატალოგებში.

ქართული ხელოვნების მეორე მნიშვნელოვან განყოფილებას, რომელიც დამუშავებულ იქმნა ამ მოგზაურობის დროს კონდაკოვის მიერ და რომელმაც გამოიწვია ნამდვილად თვით ეს მოგზაურობა, წარმოადგენს მინაქარი. ეს თემა სწორედ იმ დროს აინტერესებდა კონდაკოვს, რადგანაც ცნობილმა კოლექციონერმა ა. ვ. ზეენიგოროდსკიმ სთხოვა მას თავისი მინაქარების კრებულის აღწერა. კონდაკოვმა დასწერა ეგრედ წოდებული „ბიზანტიური“

მინაქრის ყველა იმ დროს ცნობილი ძეგლების მონოგრაფიული გამოკვლევა. კონდაკოვი ჯგუფებად ჰყოფს მასალას ტექნიკურისა, ისტორიულისა და მხატვრული ნიშნების მიხედვით, იძლევა მის სრულ მიმოხილვას, საესეს დაკვირვებათა და ცალ-ცალკე შინაშენებს დაუშრეტელი მასალით. იგი ცხადად გამოჰყოფს მინაქრების ჯგუფს ქართული წარწერებით, აღნიშნავს ფერების განსაკუთრებულ სიკაშაშეს და სინორჩეს, და ამავე ფერების სხვადასხვა ელფერს ქართულ და ნამდვილ ბიზანტიურ მინაქრებში¹. აზნაირად უკვე კონდაკოვმა დააყენა რიგში საკითხი წმინდა აღმოსავლურ, ანუ საეკლესიო ქართული მინაქრების გამოყოფაზე კონსტანტინეპოლისა და დასავლეთ ევროპის მინაქრების გან. მანვე დაადგინა საფუძვლები ამ მინაქრის ხელოვნების ძეგლების ქრონოლოგიურად განაწილებისათვის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მე VIII—IX საუკუნეებიდან მე-XIII—XIV საუკუნეებამდე. თვით აღწერაში იგი ისეთ მასალას აძლევს ხელში მკვლევარს, რომლის შემწეობითაც ამ ეპოქაში შეიძლება საკითხი მთლიანად გადასინჯულ იქნას, რადგანაც საქართველოში დღემდე ინახება მინაქრის ხელოვნების ცალკე ნაწარმოებნიც და მრავალკაცი ძეგლები, რომლებიც მეტად მდიდარია დეკორაციის მხრით და რომლებიც შეიძლება გამოვლენას სინაქსარის ნიმუშად, და საუცხოვო მაგალითად საკითხის დასადგენად ნაირ-ნაირი მანერის სხვადასხვა ხანაში².

აზნაირად კონდაკოვის სამოცი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგია ახალი შტოს შექმნა საზოგადო ხელოვნების-მეცნიერებაში. რაც შეეხება კერძოდ საქართველოს ხელოვნებას, ნიკოდიმე კონდაკოვი ის კაცი იყო, რომელმაც პირველად ღრმა მეცნიერის თვალით გამოიკვლია იგი და რომელსაც ამრიგად დაუეიწყარი ღვაწლი მიუძღვის მისი შესწავლის საქმეში.

G. TSCHUBINASCHWILI.

PROFESSOR NIKODIMOS KONDAKOW (1844 - 1925) UND SEINE WISSENSCHAFTLICHE TÄTIGKEIT.

Kondakow war der Mann, dem es — wie wenigen — vergönnt war, eine neue wissenschaftliche Disziplin ins Leben zu rufen, nämlich die sogen. byzantinische Kunstgeschichte im weitesten Sinne des Wortes, d. h. eigentlich Kunstgeschichte des gesammten christlichen Orientes. Er veröffentlichte sowohl Gesamtdarstellungen aus dem genannten Gebiete, als auch einzelne Spezialforschungen von ausschlaggebender Bedeutung, da er methodisch immer weiter, immer tiefer vorrückte. Eine seiner Erstlingsarbeiten betraf die Architektur Georgiens, als eines Teilgebietes christlich-orientalischer Kunstgeschichte; auch im weiteren Verlaufe seiner wissenschaftlichen Tätigkeit verarbeitete er

¹) История и памятники Византийской эмали. Византийские эмали собрания А. В. Звенигородского. СПб. 1902, гл. 146—147 და სხ.

²) იქვე, გვ. 131, 133.

vergleichsweise andere Tatsachen georgischer Kunstgeschichte, im Jahre 1889 aber unternahm er wegen Denkmalschutz eine Reise nach Georgien, die mit wissenschaftlicher Beschreibung der Klostersakristeien, speziell mit den Denkmälern georgischer und byzantinischer Emails verbunden war.

Im vorangehenden Artikel ist zunächst ein Gesamtüberblick Kondakow's wissenschaftlicher Tätigkeit gegeben in ihrem Wachstum und der immer fortschreitenden Vertiefung der Problemstellungen, samt einer Charakteristik seiner Anschauungen über einige Fragen prinzipieller Art, wie z. B. über das Verhältnis von christischer und antiker Kunst, über die Bedeutung Roms und des Orients im Zustandekommen „byzantinischer Kunst“, über Fragen der Form und des Inhaltes im Kunstwerke, über Stilfragen, usw. Im zweiten Kapitel wird ein Einblick in die Gedankengänge seiner Monographie „Die alte Architektur Georgiens“ (Moskau 1876, russisch) gegeben, im dritten aber die Ergebnisse und die neuen Probleme skizziert, die Kondakow bei der Erforschung georgischer Toreutik und Emails aufgestellt hat. Kondakow's hervorragende wissenschaftliche Verdienste auch auf diesem speziellen Gebiete georgischer Kunstgeschichte erforderten eine eingehende Behandlung, zumal ja Kondakow zum Ehrenmitglied unserer Universität bei ihrer Gründung ernannt wurde.

იოველ ქუთათელაძე.

პირველი ცდა შმაგას მოშენებისა სოფელ ქასკში.

(Atropa Belladonna).

წამლის მცენარეთა მოშენების საკიროებაში ჩვენ დაგვარწმუნა უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში შექმნილმა პირობებმა, როდესაც ფარმაცევტიულ ბაზარზე არ მოიპოვებოდა მრავალი მცენარე, ზოგიერთი მათგანი კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში იზრდება, არც ახლა არსებობს ბაზარზე და ეს კი გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს მკურნალობის საქმეს. თუმცა ბოლოწლების განმავლობაში წამლის მცენარეთა მოშენებას მოჰკიდეს ხელი რუსეთში, მაგრამ იქ მათი მოშენება წარმოებს მცირე ფარგლებში და არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნილების მცირე ნაწილიც.

რაც შეეხება საქართველოში წამლის მცენარეთა მოშენების საქმეს, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ პირველ ყოფილ მდგომარეობაშია, ვინაიდან ამით არ დაინტერესებულან სათანადო ორგანოები, მის მოშენებას, მიუხედავად დიდი საკიროებისა, ვერ მოუღვამს ფეხი და სოფლის მეურნეობაში საპატიო ადგილი ვერ დაუკავებია.

წაწლის მცენარეთა მოშენებას ხელი შეუშალა იმ მცდარმა შეხედულებამაც, რომ ვითომდა მხოლოდ ველურად მოზარდი მცენარე უნდა იხმარებოდეს მკურნალობაში და არა მოშენებული, რადგანაც პირველი უფრო მდიდარია საკირო შემადგენელი ნაწილებითაო. ასეთი მცდარი შეხედულება არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ ჩვენ არ შევისწავლით ყველა საკირო პირობებს წამლის მცენარეთა მოსაშენებლად.

მას შემდგომ, რაც პრაქტიკამ ზოგიერთ შემთხვევაში დაგვარწმუნა, რომ მოშენებით შეიძლება მიღებულ იქმნეს მცენარე გაცილებით უფრო მდიდარი შემადგენელი ნაწილებით, ვიდრე ველურად მოზარდი, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენ არ ვყოფილვართ საკმაოდ გაცნობილი წაწლის მცენარის მოშენებისთვის ყველა საკირო პირობებთან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესწავლილი იქნება საკირო შემადგენელი ნაწილების შემკველი წაწლის მცენარის მოშენების ყველა საკირო პირობები, ზეოაღნიშნული მცდარ შეხედულებას ადგილი აღარ ექვება.

აბ შეიძლება არ აღინიშნოს რომ წამლის მცენარეთა მოშენებას ბევრად ხელი შეუშალა შემდეგმა გაურკვეველობამაც. როდესაც ლაპარაკია წამლის მცენარეთა მოშენების შესახებ, მრავალი პიროვნება წინააღმდეგია ამისა იმ შე-

თხვევაში, თუ დასახელებული მცენარე დიდი რაოდენობით ველურად იზრდება. თავიანთ წინააღმდეგობას შემდეგით ასახულებენ: რა საჭიროა მოშენება ისეთი მცენარისა, რომელიც ველურად იზრდება და რომლის მოსაშენებლად არ არის საჭირო დახვნა-დაფარცხვა-დათესვა-დამუშავებაო.

პირველი შეხედვით მართლაც და ძლიერ გავრცელებულ, ველურად შეკრება-მოგროვება მოზარდი მცენარისა, რომლის მოშენებისათვისაც არაფერი დახარჯულა, შედარებით იაფი უნდა ჯდებოდეს და ასეთი მცენარის მოშენება არ უნდა იყოს საჭირო და მიზანშეწონილი, მაგრამ თუ კარგად დაუყვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ასეთი შეხედულებაც მცდარია. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი პირობებისა, რომლებიც დაგვარწმუნებს მოშენების საჭიროებაში თუნდაც ისეთი წამლის მცენარისას, რომელიც ველურად იზრდება და ძლიერ გავრცელებულიც არის.

ეს პირობები, რომლებიც გვიკარნახებს წამლის მცენარეთა მოშენების საჭიროებას, შემდეგია:

ა) ველურად მოზარდი მცენარის მოგროვებისას დრო, რომელიც იხარჯება ტყესა და ველში მცენარის ძებნაზე, საგრძნობლად აძვირებს მის ფასს.

ბ) დიდ სიძაღლეს წარმოადგენს აგრეთვე დაგროვება შეკრებილი მასალისა ერთ მოხერხებულ ადგილას, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში მუშამ შედარებით დიდი მანძილი უნდა გაიაროს, რომ მოძებნოს შემდეგი ცალები მცენარისა. სიარულის დროს ტომარში ან კალათაში მოგროვილი მასალა რჩება დიდხანს გაუშლელი და თუ ლაპარაკია ყვავილებზე ან ფოთლებზე, მოხდება მათი ჩახურება, გაშავება და მასალადამე მასალის გაფუჭება.

გ) დიდ სიძაღლეს წარმოადგენს აგრეთვე დაგროვილი მასალის გაშრობაც. კიდევ რომ ადვილად იქმნეს მოგროვილი მაგალითად მცენარის ფოთლები (თუ შემთხვევით ერთ ადგილას საკმარისად დიდი რაოდენობა შეგვხვდა), ჩვენ არ გვაქვს საშუალება ტყეში გაეაშროთ იგი ისე, როგორც საჭიროა და ზოგიერთ შემთხვევაში კი გაშრობა შეუძლებელიც ხდება.

როგორც ცნობილია, საშრობი ოთახის ტყეში გაკეთება შეუძლებელია, რადგანაც ტყეში ერთ ადგილას არ შეიძლება იყოს იმდენი რაოდენობა მოსაგროვებელი მასალისა, რომ მან გაამართლოს საშრობი ოთახის აშენება; მათი შორიდან მოზიდვა კი მოუხერხებელია. ამ რიგად ტყეში გვიხდება მცენარის ნაწილების გაშრობა პირდაპირ მიწაზე. უკანასკნელ შემთხვევაში, ესე იგი, თუ გასაშრობად არ არის გადახურული ადგილი, შესაძლებელია უეცრად მოსულმა წვიმამ ძლიერ ან ნაწილობრივ მაინც დააზიანოს შეგროვილი მასალა იმ მზრივ, რომ ნაწილობრივ გამშრალი ან მთლიანად გამოშრალი ფოთლები ხელახლად გასამშრალელები შეიქმნეს. შესელება-გაშრობის პროცესის განმეორებისას კი კლებულობს შემადგენელი ნაწილების რაოდენობა. ამ რიგად უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იქმნეს მიღებული ნაწილობრივად დაზიანებული მასალა; შესაძლოა კიდევაც დაგროვილი მცენარის ნაწილები რამოდენიმე დღით მოქცეს ბუნების ისეთი პირობების ქვეშ, რომ შეუძლებელი შეიქმნეს თავის დროზე მათი გაშრობა და მთლიანად გაფუჭდეს.

დ) წამლის მცენარეთა მოშენების საჭიროებაზე გვითითებს ჩვენ აგრეთვე ის გარემოება რომ, რა აუარებელიც უნდა იყოს ველურად-მოზარდი ამა თუ იმ მცენარის რაოდენობა, თუ მისი ყოველ წლიური რაციონალური ექსპლოატაცია დაიწყება, ბოლოს და ბოლოს ცხადია, იგი მოისპობა.

ე) ველურად მოზარდ, წამლის მცენარეთა მოშობას ხელს უწყობს აგრეთვე ჩვენი ტყეების შემცირება (სადაც უმთავრესად ისინი იზრდება, რასაც ყოველ წლიურად ადგილი აქვს უფრო და უფრო მეტ ფარგლებში.

ამ გვარად, თუმცა ველურად მოზარდ მცენარის მოყვანა არ თხოულობს დახვნა დაფარცხვა-დათესვა-გამარგვლას და ძლიერ იაფიც უნდა ჯდებაოდეს მისი მხოლოდ მოკრეფა-გამშრალება, თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა შემოსხმენებულს დაერწმუნდებით, რომ მედპივი და რაციონალურ პირობებში მუშაობა ამითხვეს საჭირო წამლის მცენარეთა მოშენებას, რასაც დიდი უპირატესობა მიიქვს ველურად მოზარდ მცენარესთან. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მოშენებული მცენარის დიდი რაოდენობა არის ერთ ადგილას ყოველ წლიურად, რომელიც, მართალია, მოშენებისაუვის საქმარისად დიდ ხარჯს თხოულობს, მაგრამ მისი მოკრეფა და გაშრობა შეუდარებლად უფრო ადვილად ხდება, თვით მცენარის ნაწილები უზრუნველყოფილია ბუნებრივი პირობებით გამოწვეული დაზიანებისაგან (ვინაიდან იქვე საშრობი ოთახი არის მოწყობილი) და ამნაირად ბოლოს და ბოლოს გაცილებით უფრო იაფი ჯდება მოშენებულის ვიდრე ველურადი მოზარდი მცენარიდან მიღებული საჭირო ნაწილები.

ამ რიგად, ყველა ზემოაღნიშნული ცხადყოფს წამლის მცენარეთა მოშენების საჭიროება-უპირატესობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სრულიად ხელი უნდა ავიღოთ ველურად მოზარდ მცენარეთა შეგროვებაზე. წამლის მცენარეთა მოშენებასთან ერთად უნდა წარმოებდეს ველურად მოზარდ მცენარეთა შეგროვებაც, მხოლოდ ასეთი მოგროვება უნდა ხდებოდეს ისეთ პირობებში, რომ მოგროვილი მასალა რაც შეიძლება ნაკლები დაჯდეს, რომ შესაძლებელი შეიქნეს მისი გამოყენება არა მარტო ჩვენი მიზნებისათვის, არამედ საზღვარგარეთისათვისაც. მხოლოდ ასეთ პირობებში აქვს მიზანი მათ მოგროვებას.

მართლაც და ნუ თუ სირცხვილად არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ საქართველოში მთელი რიგი წამლის მცენარეთა დიდძალი რაოდენობით ველურად იზრდებოდეს, ხანდახან ჩვენგან მხოლოდ რამოდენიმე ვერსის მანძილზედაც, ჩვენ მათ ვერ ვკრეფდეთ, ან შესაძლოა არც ვიცოდეთ იზრდება თუ არა (რადგანაც ამით არ დაინტერესებულვართ) და ამავე დროს იმავე მცენარეებს ან მათ ნაწილებს საზღვარგარეთიდან ვიწერდეთ, შეიძლება უფრო ნაკლები ხარისხისას, ვიდრე აქ მოგვეპოვება.

ასეთ მცენარეებს ეკუთვნის: კატაბალახა (*Valeriana officinalis*), შროშანა (*Convallaria Majalis*), სალაფი (*Orchis morio*), შშავა (*Atropa Belladonna*) და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მცენარეები საქართველოსათვის დიდ განძს წარმოადგენენ, რომ მათს დიდ რაოდენობით სისტემატიურ მოკრეფა დაგროვებას შეეძლო ერთგვარი საფუძველი ჩაეყარა ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, მას შეეძლო დაინტერესებია სოფლის მუშა და ამ რიგად გა-

მოეწვია მათი მოშენების საქარობედაც, ასეთი დაგროვება არ ხდება, ან და თუ ხდება, მას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს, რასაც ფარმაკო-ქიმიური წრე-წველობის განვითარებისათვის არავითარი წინშეწელობა არა აქვს.

რაც შეეხება წამლის რეცხვასა და მოწმობას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ მცენარის მოშენების განძრახვის პირდაპირ სისრულეში მოყვანა არ შეაძლებია. ჯერ უნდა გამოირკვეს ის პირობები, რომლებშიც ამათუთმ მცენარეს შეუძლია მთლიანი განვითარება, ესე იგი ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა მარტო სათანადო შეხედულების მცენარის მიღების ხელის შეწყობი პირობები, არამედ ისეთი პირობებიც, რომლებიც შესრულება შეგვაძლებინებს საკირო შემადგენელი ნაწილების შემცველი მცენარის მიღებას.

ამ პირობების ცოდნა აუცილებელია და დაკული უნდა იქნეს ისინი ყოველთვის, როდესაც ჩვენ მოვისურვებთ ამა თუ იმ მცენარის მოშენებას, რადგანაც, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, შესაძლებელია მიღებული იქნეს რომელიმე, შესახედავად ზედმიწევნით ლამაზი და სათანადო შეხედულების მცენარე, მაგრამ ამავე დროს იგი სრულებით არ შეიცავდეს საკირო შემადგენელ, მოქმედ ნაწილებს. ერთი სიტყვით, თუ მოვიწადინებთ მკურნალობაში სახმარ მცენარეთა მოშენებას, უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა მივაქვიოთ ყურადღება და გამოვარკვიოთ შენდები:

1) თუ რა მცენარე უფრო საკიროა მკურნალობაში. ხანდახან თვითონ მცენარეს, როგორც ასეთს, არა აქვს დიდი მნიშვნელობა მკურნალობაში, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის არის მისგან მიღებული შენამზადი (პრეპარატი), მაგალითად: ხაშხაში (Papaver Somniferum), რომლისაგანაც ამფიონი (opium) მიიღება.

2) თუ რა დაჯდება დაახლოებით მცენარის მოშენება. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ მუშის ხელფასი ძლიერ დიდი იქმნა, მას შეუძლია იმდენად გააძვიროს მასალის ღირებულება რომ თვით მოშენებას მიზანი დაეკარგოს. ამ საკითხთან ერთად უნდა გათვალისწინებულ იქნეს მოსალოდნელი შესაძლებლობა მოსავლის რაოდენობისა.

3) უწყობს თუ არა ხელს მცენარის კეთილხარისხოვნებას ჰავა და ის ნიადაგი, სადაც იგი უნდა მოყვანილი იქმნეს. ამ გარემოებას კი უპირველესი მნიშვნელობა აქვს რადგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შესაძლოა სათანადო შეხედულების, მაგრამ მოქმედ შემადგენელი ნაწილების არა შემცველი მცენარე იქმნეს მიღებული.

4) საკიროა თუ არა მცენარის შემადგენელ ნაწილების რაოდენობის მონატებისათვის ადგილის გაპოხიერება.

თუ ამ პირობების გამოარკვევისას ჩვენ დავრწმუნდებით, რომ შესაძლებელია სათანადო შემადგენლობის და ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით არა ძვირი მცენარის ანუ ნისი ნაწილების მიღება, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შევუდგეთ წამლის მცენარეთა მოშენებას და ამ მიზნით არჩეულ უნდა იქნეს სარწყავი ადგილები.

წამლის მცენარეთა მოშენებას კი საქართველოში ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. ამ მიზნით საკიროა იქ-

ნებს მიქცეული უმთავრესად ყურადღება ჯერჯერობით ორ-სამ¹ რომელიმე მუდმივ საკირო მცენარის განვითარებაზე, იქმნეს მიღებული საკირო შემადგენელ ნაწილების შეწყველი მცენარე და დაეთმოს მის პლანტაციებს რაც შეიძლება დიდი ადგილი, რათა ადგილობრივ შესაძლებელ შეიქმნეს შექმნა სათანადო ქარხნებისა მიღებული ნედლი მასალის გადამამუშავებლად.

კიდევ რომ სხვადასხვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო შეუძლებელი შეიქმნეს საკირო ქარხნების შექმნა, სულ ერთია, არ შეიძლება რომ დიდძალმა ერთი სახის ნივთიერებამ არ მიიქციოს ყურადღება საზღვარ გარეთაც კი და არ მოიპოვოს მან ბაზარი.

საქართველოში წანლის მცენარეთა მოშენებაში პირველი ნაბიჯის გადადგმის პრიორიტეტი ეკუთვნის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც ამ მიზნით დიდი ვაივალბანის შემდგომ შესძლო გლენები საკან სოფ. კასპში (ქართლში) 74 დესეტინა მიწის მიღება. უკვე მეორე წელიწადია რაც ამ ადგილში წარმოებს წანლის მცენარეთა მოშენების ცდები, რომლებმაც ძლიერ სასურველი შედეგები მოგვცა, მაგრამ უსახსრობის გამო უნივერსიტეტმა ვერ შესძლო მუშაობის გაფართოება.

მოშენებას აწარმოებს წანლის მცენარეთა მოშენებლობის კათედრა, რომელიც სტუდენტებთან პრაქტიკული ვარჯიშობის ჩასატარებლად, მას შემდგომ რაც რომ სათანადო დაწესებულებათაგან ვერ შესძლო საკირო თანხის მიღება, იძულებული იყო კერძოდ, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ესესხა 600 მანეთი ანუ 1925 წლის განმავლობაში და ამ თანხამ შეადგებინა (მართალია შეგვიანებით) სხვადასხვა წანლის მცენარეთა 13-14 დესეტინაზე მოშენება. დათესილია რამოდენიმე მცენარე, მაგრამ აქ ჩვენ განვიზრახეთ მკითხველთა ყურადღების შეჩერება მხოლოდ *Atropa Belladonna*-ის მოშენებაზე.

Atropa Belladonna (შვავა) ცნობილია, როგორც ძლიერ გაერკელებული ველურად მოზარდი მცენარე. იგი იზრდება პოლონეთისა, ყირიმისა და კავკასიის მთა-ადგილებიან ტყეებში. მის სამშობლოდ ითვლება შუა და სახრეთი ევროპა, ელინი და ლიტვა. მცენარე ეკუთვნის *Solanaceae*-ს ოჯახს. *Atropa Belladonna* წარმოადგენს მრავალწლოვან ბალახოვან, 1-1½ მეტრის სიმაღლის მცენარეს. ძირი აქვს თითისტარისებრი, რომელიც იძლევა მრავალ-რიცხოვან გვერდით ძირებს. ძირი ყოველწლიურად მატულობს და აღწევს სიმაღლით 5-ს და სიგრძით 50 სმ-ს. ძირი თანდათან ხვედება და დაახლოვებით მეთათე წლის შედეგ მცენარე კვდება. მცენარის ღერო პირდაპირმდგარი, არა ცხადკუთხოვანია და კენწეროსკენ ჩანგლისებრი შტოიანდება. ღერო, ისე როგორც ფოთლები, წყველია მწვანე ზედა მხარეს. ფოთლები მცენარეს ასხია წყვილ-წყვილად დალაგებული ერთი მეორესთან ახლოს, რომელთა შორისაც ერთი ყოველთვის გაცილებით უფრო დიდია მეორეზე. მცენარის ძირა ფოთლები აღწევს სიგრძით 15—20 ს და სიუარით 10 სმ-ს. აღნიშნული ზომის ფოთლები ყურწიანია და უფრო დიდი შედარებით მცენარის ზემო ფოთლებთან, რომელნიც თითქმის მჯდარ ფოთ-

¹) ცდები კი მოშენების პირობების გამოსარკვევად სასურველია იყოს დაყენებული რაც შეიძლება მეტ მცენარეთა შესახებ.

ლებს წარმოადგენს. ფოთლები მთელ კიდიანია დმ ტიტველი ან ოდნავ ბუსუსებთან ქვემო მზრიდან ნერვების ალაგას. ყვავის მეორე წლის იენისსა და ივლისში. ყვავილები მომილაკო ზარაკისებრია, დახრილი და ზანგელა იის ფერისა. ნაყოფი შემკულია ხუთფოთლიან, წვენიანი ჯამაკით. ნაყოფში მოთავსებული მრავალრიცხოვანი კვერცხისებრი, ორნხრივ შეტეცილი თესლი მოლილიანფერო შავია. როგორც დეკორატიულ მცენარეს ჩვეულებრივად აშენებენ მას ბაღებში და ბოსტნებში. ნაყოფის წვენს იტალიის ქალების წაბაძვით, ხმარობენ ლოყების შესაღებავად, რასთანაც დაკავშირებულია მცენარის „Belladonna“ სახელწოდება¹. მეურნალობაში იხმარება *Atropa Belladonna*ს ფოთლები, შეკრებილი მცენარის აყვავილებების დროს. მისგან ამზადებენ მთელ რიგს პრეპარატებისას, რომელთა შორისაც პირველი ადგილი უკავია ექსტრაქტს, და რომელიც ორნიარია: მოსკო და მკერევი კონისიტენციისა (*Extractum Belladonnae spissum* და *siccum*). მცენარედან, მისი 2 წლის სიკოცხლის შემდგომ, ლებულობენ ძირებს და ამზადებენ მისგან მთელ რიგს მცენარეთა ტუტებისას რომელთა შორისაც პირველი ადგილი *Atropinum*-ს უკავია.

სანამ ზემოაღნიშნულ მამულში (სოფ. კასპში) *Atropa Belladonna*ს მოშენებას შეუდგებოდით, ჩვენ განვიზრახეთ მიგველო წინასწარ ცნობები შესახებ იმისა, თუ რა რაოდენობას შეიცავდა შემადგენელი ნაწილებისას იმავ სოფლის ახლო-მახლო მთებში ველურად მოზარდი, მოსაშენებლად განზრახული მცენარე შმაგას ფოთლები. ამით ჩვენ გვსურდა გაგვეგო ის, თუ რამდენად ხელს უწყობს ამ მიდამოებში ბუნებრივი პირობები ველურად მოზარდ მცენარეს მის განვითარებაში.

ამ მიზნით ჩვენ მიერ შეგროვილი აყვავილებულ ველურად მოზარდ *Atropa Belladonna*ს ფოთლები იყო გამოკვლეული რუსეთის 1910 წლის სამოქალაქო ფარმაკოპეაში მოყვანილი წესით და აღმოჩნდა რომ მცენარეულ ტუტეთა რაოდენობა უდრიდა 0,52%-ს².

ეს გარემოება მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ამ უბანში აღნიშნულ მცენარეს კარგად უნდა ეხარებია.

ამ გამოკვლევის შემდგომ ჩვენ შეუდგეით შმაგას მოშენებას. მცენარის მოსაშენებლად თესლი მიღებული იყო ტფილისის ბატანიკური ბაღიდან.

ვინაიდან სახელმწიფო უნივერსიტეტმა ზემოაღნიშნული მამულის მიღება ჩხოლოდ 1924 წლის აპრილში შესძლო, ამისთვის იმავ წელში დათესესაც დაავგიანდა.

¹ ეს სახელწოდება გვხვდება ჩვენ მე-16 საუკუნეში და ლამაზ ქალ ნიშნავს. ამ სახელწოდებით ისარგებლა Linné მცენარის მეცნიერული დიაგნოზის დამყარებისას, რომ ამასთანავე ერთად მიეთითებია მცენარის მომაკვდინებელ თვისებებზედაც. *Atropos* სახელწოდება სიკვდილის დღერთის; ეს არის საბერძნეთის მითოლოგიის პარტა ერთი იმ სამ დათავანი, რომელიც შეუბრალებლად კეთდა თვითთელი მომაკვდავის ცხოვრების დაფს, რომლის რთვასაც იწყებდა *Clothes* და აგრძელებდა *Lachesis*. მე-15 საუკუნეში კი მცენარე იხსენიება *Solatrium Furiale*-ს სახელწოდებით.

² Pucknerის გამოკვლევით ამერიკული შმაგას ფოთლები მცენარეულ ტუტეთა 0,01-0,05%,/ს და გერმანიის 0,52%-ს შეიცავს. რუსეთის ფარმაკოპეის (VI გამოცემა) მოთხოვნილებების მიხედვით შმაგას ფოთლები უნდა შეიცავდეს მცენარეულტუტეთა 0,3-0,4%ულ რაოდენობას.

რადგან აღარ იყო დრო თესლის სათბურში ჩათესვისა იმ მიზნით რომ შემდგომი ნერგი გადაგვერგო, ამიტომ *Atropa Belladonna*ს თესლის დათესვა მოვახდინეთ პირდაპირ ხნულში და თესლს გადავაფარეთ მიწა დაახლოებით 2 მთის სიმაღლეზე.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ, 1924 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში სოფელ კასპში წვიმა არ მოსულა, ასე რომ, თესლის გაღვივებისათვის და აგრეთვე თვით მცენარეს მის განვითარებისათვის ძლიერ ცუდი პირობები ჰქონდა.

ნათესი სანამ მცენარე აზოვიდოდა მოირწყო 3 ჯერ. აზოვიდა ნათესი 5-6 კვირის შემდეგ. შემოდგომისას ნათესი დათხელებული იყო იმ ანგარიშით, რომ ორ ცალს შორის დარჩენილიყო ერთი არშინი ადგილი. ამოღებული ზედმეტი ცალები გადაგვლი იყო, რომლებმაც გაიხარა. იმისდამიუხედავად რომ წელს განსაკუთრებული ზამთარი იყო. [3 გოჯის სიმაღლეზე დათოვის შემდგომ სიცივე ზემოაღნიშნულ სოფელში - 24°C-ით აღწევდა] მცენარე სრულდება არ დაზიანდა. ამა 1925 წლის გაზაფხულზე, როდესაც ნამის რაოდენობა საკნარისი იყო, მცენარე მშვენივრად ამოიყარა და იენისის დასაწყისში სიმაღლე უკვე 1 მეტრი ჰქონდა. ძირა ფოთლების სიგრძე იყო 12—15 და სიგანე 7—8 cm. რაც შეეხება მცენარის აყვავებას, უღა აღინიშნოს შემდეგი: პირველივე წლის განმავლობაში აყვავდა რამოდენიმე ძირი, დანარჩენებმა კი იყვავილა ცამეტი თვის შემდგომ თესლის დათესვისა. ესე იგი 1925 წლის იენისის პირველ რიცხვებში. აყვავილებისას მოკოფილი მცენარის ძირა დიდი ფოთლები გამშრალებული იყო ჩრდოლში. ფოთლების მოკრფის 2 კვირის შემდგომ წარმოებული იყო მათი კიმიური გამოკვლევა, რისთვისაც წინასწარ გავამშრალეთ ფოთლები Soxletის საშრობ ყუთში 18 წუთის განმავლობაში. საშრობ ყუთში 1° იყო 100°C-ით. გაშრობით მიღებული მუდმივი წონის ფოთლები იყო გამოკვლეული რუსულ საბოქალაქო 1910 წლის ფარმაკოპეაში მოყვანილი წესით.

აღმოჩნდა, რომ მცენარეულ ტუტეთა რაოდენობა შმაგას ფოთლებში უდრია 0,5664%/ს, მაშინ როდესაც იმავე სოფ. კასპ-ს მიდამოებში ველურად მოზარდი მცენარე როგორც ზემოთ აღნიშნული იყო შეიცავდა მცენარეულ ტუტეთა 0,52%/ს.

ამ რიგად მოშენებული შმაგას ფოთლები შეიცავდა 0,0164%/ით მცენარეულ ტუტეთა მეტ რაოდენობას ვიდრე იგივე მცენარე ველურად მოზარდი.

ეს გარემოება ლაპარაკობს წინააღმდეგ იმ მცდარი შეხედულებისა, რომელიც წამლის მცენარეთა მოშენების შესახებ არსებობდა, არსებობს კიდევ და რომლის მიხედვითაც ველურად მოზარდ მცენარეს მკურნალობაში სახმარად ეძლეოდა და ეძლევა უპირატესობა, როგორც და ვითომ შემაღვენელი ნაწილების მეტ რაოდენობის შემცველს. ველურად მოზარდი შმაგას უპირატესობაზე გვიითიებს ჩვენ Gerard ის და ზოგ სხვ. გამოკვლევები, რომელთა თანახმად ველურად მოზარდი შმაგას ფოთლებში ნახული მცენარეულ ტუტეთა რაოდენობა უდრის 0,58%/ს, მოშენებულ შმაგაში კი 0,4%/ს.

სამწუხარად ჩვენ მოკლებული ვართ ცნობებს, იყო თუ არა გამოკვლევისას Gerardის განკარგულებაში როგორც მოშენებული ისე ველურად მოზარდი შმაგა მოკრებილი დაახლოებით ერთსა და იმავე უბანში. იმ შემთხვევაში, თუ

ისინი მოკრებილი იყო ერთი ერთმანეთიდან ძლიერ დაშორებულ ადგილებში, თუ ნიადაგი და ჰავა იმ ადგილებში სხვადასხვა იყო, თუ ველურად მოზარდ მცენარეს მის განვითარებისას უფრო კარგი პირობები ჰქონდა ვიდრე მოშენებულს, რასაკვირველია შესაძლებელია ყოველიყო პირველი, შეზადგენელი ნაწილების უფრო მეტ რაოდენობის შემცველი ვიდრე მეორე.

ასე თუ ისე ჩვენ მიერ მიღებული შედეგები კი ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია ველურად მოზარდ მცენარეზე არა ნაკლები ხარისხის, შემადგენელ ნაწილების რაოდენობის მხრივ მოშენებული მცენარის მიღება.

ჩვენ არ შევკვიძლია ეთქვათ, რომ ჩვენ მიერ დათესილ მცენარეს ხელშემწყობი პირობები ჰქონოდა განსაეითარებლად პირველი წლის განმავლობაში, როგორც აღნიშნული იყო, შმაგას თესლი თავის დროზე არ იყო დათესილი და დათესვის შემდეგ მთელი ზაფხულის განმავლობაში გვალვები იყო ამიტომ მოსალოდნელია შემადგენელი ნაწილებით უფრო მდიდარი მცენარე იქმნეს მიღებული, თუ ნათესი უფრო კარგ პირობებში იქნება ჩაყენებული, ესე იგი თუ მიწა შემოდგომით დაიხუნება, გაზაფხულზე თავის დროზე დაიფარცხება, დაითესება და საკმარისი სინაპცი ექნება; თუმცა შესაძლებელია ჩვენ მიერ ზემო აღნიშნული პირობებში ჩაყენებული ნათესი პირიქით შემადგენელ ნაწილებით უფრო მდიდარ მცენარეს გვაძლევდეს.

Сარის დაკვირვებით მშრალი ზაფხულის დროს მიიღება შემადგენელი ნაწილებით უფრო მდიდარი შმაგა. მართალია ჩვენ მიერ დათესილ შმაგას ფოთლების მოკრეთვის, ესე იგი მცენარის სიცოცხლის მეორე წელში საკმარისი წვიმება იყო. მაგრამ შესაძლოა მცენარის სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში მის განვითარებისას არსებულ ჩვენის აზრით ცუდ პირობებმა პირ იქით მას ბელი შეუწყო და შესაძლებელი გახადა შემადგენელი ნაწილების რაოდენობის მხრივ ასეთი კარგი შედეგების მიღება; მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორია ეს აზრი.

ასე თუ ისე, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში შესაძლებელია მომქმედი შემადგენელი ნაწილებით საკმარისად მდიდარი შმაგას მოშენება და ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამ რიგად თუ მივიღებთ მშედველობაში რომ შმაგასაგან მიიღება, შეიძლება ითქვას, ხმარებიდან გამოუვალი ძვირფასი შენამზადები, რომ ამ შენამზადების დღეი რაოდენობაა საკმარისი მკურნალობაში, აგრეთვე იმასაც რომ შესაძლოა მცენარის ყველა ნაწილების სხვადასხვა მიზნით გამოყენება, რომ საქართველოში მისი მოშენება შეიძლება და კარგ შედეგსაც გვაძლევს, შევკვიძლია ვთქვათ, რომ ღროა შმაგას მოშენებას დაეთქოს სოფლის მეურნეობაში საპატიო ადგილი.

LES PREMIERS ESSAIS DE LA CULTURE D'ATROPA
BELLADONNA A KASPI.

p a r

J. KOUTATÉLADZÉ.

Les premiers pas pour le développement de la culture des plantes médicinales en grand ont été fait par la chaire de culture des plantes médicinales de l'Université de Tiflis. Cette chaire est une des branches de Chimie pharmaceutique.

Dans ce but l'Université a obtenu au village Kaspi en 1924 74 deciatines de terrain. Vu que c'était déjà le mois d'Avril, l'Atropa Belladonna n'a pu être ensemencée qu' à la fin de ce mois, les grains ont été semés directement dans le sol et non dans la serre (les bâches) pour être transplantées plus tard dans la terre.

Malgré la grande sécheresse (cette année l'été a été particulièrement sec) l'Atropa Belladonna a commencé à pousser 5 (cinq) semaines après avoir été semée. Et elle n'a été arrosée que trois fois pendant ce delais de temps. Quelques plantes ont fleuri le même été, quant aux autres elles n'ont eu des fruits que treize mois après l'ensemencement.

En ce qui concerne la quantité d'Alcaloïdes, il est a remarquer, que, comme les recherches chimiques l'ont démontrée, l'Atropa Belladonna cultivée contient 0,5664%, tandis que les plantes dite sauvages qui poussent dans les environs n'en contiennent que 0,52%. Ainsi les resultats obtenus par nous démontrent clairement que la plante d'Atropa Belladonna cultivée n'est pas inférieure à la plante sauvage.

Et encore, nous ne pouvons pas dire que les plantes d'Atropa Belladonna cultivées par nous ont poussé dans des conditions favorables. Comme nous l'avons déjà dit, l'ensemencement a eu lieu trop tard et la sécheresse a beaucoup nui aussi. Il est naturel à supposer que la plante aurait été beaucoup plus riche en parties composantes, si elle avait été semée à temps dans la terre labourée dès l'automne, hersée au printemps et arrosée régulièrement.

Il est possible aussi que les conditions que nous considérons comme défavorables (sécheresse) soient au contraire favorables pour que la plante soit plus riche en parties composantes.

Que ce soit d'une manière ou d'une autre, or il est déjà démontré qu'il est possible d'obtenir en Géorgie l'Atropa Belladonna suffisamment riche en parties actives. On doit tenir compte de cette constatation et il est à souhaiter que sa culture prenne une large part dans notre économie rurale.

გ რ ი გ ო ლ ნ ა თ ა მ ე .

ახალი პრობლემები ევროპის უმოდალიზმის ისტორიაში.

ბენეფიციუმის წარმოშობა და იმპონიბატის საკითხი.

I ბენეფიციუმები შეეკვხე საუკუნეში.

იმ სადაო საკითხებს შორის, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში ჯერ კაროსა და ბელოვის და შემდეგ დოპშის შრომების შემდეგ ხელახალ გადასინჯვას და გარკვევას თხოულობენ, დაისვა აგრეთვე საკითხი ბენეფიციუმისა და იმპონიბატის შესახებ. წინედ საბოლოოდ განმტკიცებულად მიიჩნდათ ის აზრი—და სახელმძღვანელოებშიც ასე იყო შეტანილი და თითქმის დოგმად გადაქცეული—, რომ ბენეფიციუმში, როგორც საფუძველი მეფისადმი სამსახურისა და მასთან კავშირისა, შემოვიდა უკვე აღრეული სახელმწიფოს არსებობის დროს, კერძოდ, ფრანკთა მონარქიაზე რომ ვილაპარაკოთ, მეროვინგების დროს. ამბობდენ სხვათაშორის იმასაც, რომ ბენეფიციუმების დარიგება გახდა საფუძვლად მეროვინგების დაცემისა, რათგანაც პირველად დროებითი წყალობა მეფისა შემდეგში სამემკვიდრეო მფლობელობად გადაიქცაო. დღესაც ისტორიული ლიტერატურის მკითხველთა ფართო მასსაში ეს აზრია განმტკიცებული.

მას შემდეგ, რაც მრავალი საკითხი ასრეთ წოდებულ საშუალო საუკუნოების შესახებ, წინად დოგმად ქცეული, ახლა სადაოდ გამოცხადდა, ეს საკითხიც ხელახლად წამოიკრა. კერძოდ რომ ავილოთ Dopsch, რომელიც მთლად ფეოდალიზმის დროის ისტორიასა და ამ სისტემის წარმოშობასა და განვითარებას თავიდან ბოლომდის ხელახლად იხილავს, ამ საკითხს ეხება თითქოს შემთხვევით და გაკვრით, ვინაიდან მისი შრომის სიმძიმის ცენტრი და მისი ყურადღება სხვა საკითხისაკენ არის უმთავრესად მიმართული და აქ თითქოს თვითონაც არ გრძნობს, თუ რა დიდი საკითხის გადაწყვეტას ეხება.

უნდა ვთქვათ, რომ ბენეფიციუმის არსებობის თუ არ არსებობის საკითხი კაროლინგების საგვარეულოს მეფობამდის პირველად Dopsch-ის დაყენებული არ არის. ლავისისისა და რამბოზის ცნობილი წიგნის 1905 წლის გამოცემაში Berthelot სწერს, რომ ბენეფიციუმის მაგალითები. რამდენადაც იგი ეხება მიწათმფლობელებისა და მიწის მუშების ურთიერთობას და შედის მსხვილი საეკლესიო და კერძო მამულის მართვა-გამგეობის წესში, ხშირია მე-6-ე და განსაკუთრებით კი მე-7-ე საუკუნეში, მაგრამ იმის მაგალითები კი, რომ მეფე სცემდეს ბენეფიციუმებს, არ არის. თვით სიტყვა ბენეფიციუმი არ არის წარმოთქმული მე-7-ე საუკუნემდის. „Pas une fois le mot bénéfice n'apparaît à ce sujet dans les

'historiens ou les documents authentiques du VI-e et du début du VII-e. Le bénéfice royal apparaît au temps carolingien, quand Charle Martel sécularise les biens d'Eglise, puis les donne, à charge de service militaire, à de fidèles"¹.

მაშასადამე, თანახმად ამ დებულებისა, სამეფო ბენეფიციუმი მხოლოდ კაროლინგების დროს შემოსულა, როდესაც კარლ მარტელმა საეკლესიო ქონებათა სეკულარიზაცია მოახდინაო. მანამდის კი წყაროებში თვით სიტყვა „ბენეფიციუმიც“ კი არა გვხვდებაო.

ბენეფიციუმის წარმოშობის საკითხს ეხება აგრეთვე Dopsch თავის ახალ შრომაში². 94 გვერდზე და 166 გვ. (ტ. II) ის ამბობს, რომ მეროვინგების დროს იყვნენ გასინდები, Leudები და ვასსალები, რომელთაც ადგილ-მამული ექირათ, თავის მებატონისაგან ან მეფისაგან (von ihren Herren) მიღებული და რომ ამათი ვალდებულება მარტო სამსახური კი არ იყო, არამედ აგრეთვე სამეურნეო საქმეხდაც უნდა ეზრუნა (რასაკვირველია, თავის მფლობელობის ფარგალში) სამეურნეო საქმეების მოწყობაზედ კი მეროვინგებს კაროლინგებზე არა ნაკლებ სკიორდობლად ზრუნვა, ამიტომაც დოპშის აზრი ბენეფიციუმის წარმოშობის დროის შესახებ ასეთია: რათგანაც მიწის გაცემა ბენეფიციუმის სახით მეროვინგების დროს ხშირად ხდებოდა და მსხვილი მიწათმფლობელობის დასაწყისი, როგორც ახლა ვიცით, ამ ხანას ეკუთვნის, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სამეურნეო და სოციალური კავშირი, ალბათ სხვადასხვა წრეებს შორის, რომელთა ურთიერთობაც ბენეფიციუმებით განისაზღვრებოდა, წარმოიშვა არა უგვიანეს ხანაში, კაროლინგების დროს, არამედ მეროვინგების დროს³. მიუხედავად დოპშის ამ სიტყვებისა, მაინც საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ბენეფიციუმის გაცემის წესი მეროვინგების დროს, გადაუწყვეტელი რჩება. ამ საკითხს განსაკუთრებით სერიოზული უკრძალების მიქცევა სკიორდება იმის გამო, რომ მას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიის გამოსარკვევად. ამიტომ არის, რომ ამისთანა საკითხზე მსჯელობდნენ და მუშაობდნენ ისეთი მეცნიერნი, როგორც როტი, რომელიც ამბობდა, რომ ბენეფიციუმის სახით მიწის გაცემა კაროლინგების დროს იქნა შემოღებული და თუ მეროვინგების დროს არსებობდა მიწის გაცემა, არა ბენეფიციუმის სახით, არამედ სამემკვიდრეოდ გაიცემოდაო⁴. ამ აზრს დოპშის სიტყვით ეკამათებოდა Brunnerი, მაგრამ მნიშვნელოვანი შესწორება და ცვლილება მეცნიერების თეალსაზრისში ამ სავანზე მას არ შეუტანია. ისე რომ ერთი მხრით ცნობილი ვაიცი (Waitz) აზრი, რომ მეროვინგების დროს ბენეფიციუმების არსებობას აქვს საბუთიო, მეორე მხრით როტის აზრი, რომელიც ამას უარაჰყოფს. დელბრუკს, და როგორც ეტყობა მასთან ერთად დოპშისაც, რომელიც უერთ-

¹) Lavisse et Rambaud. Histoire générale t. I. 1905. Les royaumes Barbares de la Gaule par Berthelot. p. 151-2.

²) Dopsch. Wirtschaftliche und soziale Grundlagen der europäischen kulturentwicklung, Wien 1924 S. 94 und 166.

³) Dopsch, ib. S. 170.

⁴) ib. 299. ბენეფიციუმებად გაცემულ წესს, როგორც Dopsch ამბობს, როტი უწოდებს: „eine carolingische Neuerung“.

დება მის არგუმენტაციას, გადააქვს ეს საკითხი ახალ სიბრტყეზე. ბენეფიციუმის არსებობის გამოსარკვევად დეკლარაცი ადარებს ერთმანეთს მეროვინგების და კაროლინგების დროის სამხედრო ძალის შემადგენლობას და ამითი სურს გაარკვიოს ბენეფიციუმის წარმოშობის საკითხი. რომ შეიძლებაოდეს ნათლად გამოჩვენება მისი, თუ როგორი მიწათმფლობელებისაგან შესდგებოდა ჯარი ორსავე შემთხვევაში, ეს მეთოდი კარგია. მაგრამ სიძნელეც აქ არის. ჩემის აზრით ბენეფიციუმის არსებობისა და არ არსებობის საკითხის გამორკვევა იქნება უფრო ადვილი იყოს, ვიდრე ამისი, ვინაიდან მეროვინგების დროს, გარდა იმ ცენტრალური ჯგუფისა, რომელიც მეფის რაზმს შეადგენდა, თუ ვინ იღებდა. ჯარში მონაწილეობას, ამისი გარკვევით თქმა ძნელია. ჯარის მეთაურებს რაზმები მიჰყავდათ, რომელნიც ნაწილობრივ თავისუფალი გლეხკაცებისაგან შედგებოდა ჯერჯერობით (მე-7-ე საუკუნემდის), ნაწილი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ვინ იყვნენ თვით მეთაურნი. ბენეფიციუმების პატრონები თუ უკვე მესაკუთრები, ამის გამორკვევა ძნელია. დოკუმის მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ რომაელების დროს ეძლეოდა ჯარს მამული, საქმეს ვერ არკვევს, რაუგანაც მაშინ. სხვა პირობები იყო და მეროვინგების დროს კი სხვა პირობები. დოკუმს ვასალიტიტური და ბენეფიციალური ურთიერთობა გალია-რომის დროის¹ კლიენტური ურთიერთობამდის აჰყავს. დოკუმს თითქოს ეს მიაჩნია საკითხის გადაწყვეტად და გამოდის, რომ მეროვინგების დროსაც ბენეფიციუმი უნდა არსებულებოდა, რაკი იმის წინ იყო და თითქოს მისი არსებობა არც შეწყვეტილა. რომის ბუცელარიები (bucellarii) და მათი მიწები (iundi militares)², რომელსაც დოკუმი იგონებს, ისეთ დროს არსებობდა, როდესაც უდიდეს სახელმწიფოს თავის დასაცავად დიდძალი ჯარი იყო საქირო და უკვე მოწყობილი ცენტრალისტური აპარატი იმპერატორებისა ხელიდან არ უშვებდნენ ინიციატივას სახელმწიფოს დაცვისას. მეორე მხრით სახელმწიფო ეკონომიურად დეგრესის გზას. დაადგა და ხელახლად გამეფებულ ნატურალური მეურნეობის პირობებში თვითვეულ ჯარისკაცს აძლევდა მამულს. მეროვინგების დროს კი ხელისუფლება ახლად იქმნება და სახელმწიფოს დაცვის საქმეც ახლად ეწყობა. ამიტომ ჯარი მთლად მის განკარგულებაში არ არის, მიწა კი უდავოდ მისია, როგორც დამპყრობელისა. ფისკი მდიდარია. აქ მსგავსება იმაშია, რომ ორსავე შემთხვევაში მიწის დარიცხვა აუცილებელია, მაგრამ რომის მთავრობას შეუძლიან, რა პირობებითაც სურს, იმ პირობებით მიცემა მამულისა, ვინაიდან ჯარიც და მისი მეთაურნიც მთლად მის განკარგულებაში არიან. გარდა ამისა, ჯარიც დგება იმ ელემენტებისაგან, რომელთაც არაფერი არ გააჩნიათ, ადგილობრივი კავშირი არც ერთ პროვინციასთან არა აქვთ.

მეროვინგების დროის პირობებში კი სულ სხვა იყო. ჯარი შედგებოდა ისეთი ხალხისაგან, რომელთაც ასე თუ ისე ამა თუ იმ ტომთან და მის ტერიტორიასთან ჰქონდა კავშირი³. რაც შეეხება გალია-რომაულ კლიენტური დამო-

¹) იხ. №66. („gallo-römische Klientelverhältnisse“).

²) იხ. №22—33 შ.

³) Dopsch. Op. cit. S. 306.

კიდებულების გავლენას მეროვინგების დროის ბენეფიციალურსა, პრეკარიულსა და პატრონ-ყმურ სისტემაზე, ეს უტყუარი ფაქტია, მაგრამ აქ ერთი დიდი განსხვავებაც არის. გალია-რომაულ ცხოვრებაში კლიენტური დამოკიდებულება ჯერ არ იყო სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე გავლენის მქონე მოვლენა. მართვა-გამგეობა, ხელისუფლება, თვით სახელმწიფოს დაცვა, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, სულ სხვა წრეების ხელში იყო, ისე რომ კლიენტურ დამოკიდებულებას მაშინ მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მეროვინგების დროს კი მეფეს თავისი დროის შესაფერი აპარატი არა აქვს, გარეშე საზოგადოებრივი ორგანიზაციისა. ამიტომ, თუ არსებობს ბენეფიციური სისტემა, თუ არსებობს ყმად ნაფიცობა (*gasindi, leudes, vassi*), ეს არის ერთადერთი ძალა, რომელიც სახელმწიფოს განაგებს და იცავს მტრისაგან.

მართალია ეს განსხვავება ევოლუციური გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს, ისე რომ მაინც უნდა დოკუმთან ერთად ვიფიქროთ, რომ კლიენტური დამოკიდებულება თანდათან ევოლუციური გარდაქმნის პროცესში, რომელიც შეუწყვეტლად მიდიოდა. გადაიქცევა კაროლინგების დროის ბენეფიციური სისტემაზე დაფუძნებულ ვასალობა-სუზერენობად. აქედან შესაძლოა ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ მეროვინგების დროსაც უნდა ყოფილიყო ბენეფიციური სისტემა. მაგრამ რათგანაც მე-6—7 საუკუნეების დოკუმენტალური მასალა გვაქვს, ამიტომ არ შეიძლება ეს დებულება მივიღოთ მასალის განუზილველად. რამდენად ადასტურებს ეს მასალა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას? აი საკითხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა. დოკუმიც ამ გზას ადგება. მასალების განილვის საფუძველზე დოკუმში იმ დასკვნადის მიღის, რომ იმ ცნების გამო-სახატავად, რომელსაც შემდეგში გარკვევით ბენეფიციუმს უწოდებენ, მეროვინგების დროს არსებობს ტერმინი „*largitas*“, რომელიც არის თხოვნის შედეგი, რაც გამოიხატება „*competire*“ სიტყვით. თვით „*largitas*“ სიტყვას დოკუმში თარგმნის, როგორც წყალობას, ჭეղამოქმედებას, სიუხვს: „*die Milde*“. ეს კი დოკუმისავე აზრით, რომლითაც იგი ეთანხმება სხვების მიერ გამოთქმულ აზრს, არის ტექნიკური ტერმინი მეფის მიერ მიწის ბენეფიციუმის სახით გადაცემისა². ყველა ეს ცნობები და მოსაზრებანი მეტად ძვირფასია ჩვენ მიერ აქ დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად და ძლიერ წინა სწევს საკითხი გამორკვევას. ამიტომ დოკუმის მსჯელობა რომ განავრძობთ, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ბენეფიციუმში თითქმის იგივე პრეკარიუმში ყოფილა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც. დოკუმის საბოლოო დასკვნა ამ საკითხის შესახებ, როგორც ჩანს, ასეთია, რომ მე-6-ე საუკუნეში (ნობილი იყო მიწის გადაცემა მხოლოდ როგორც „*precariae verba regis*“ ან მეფის მიერ საეკლესიო მამულის ბენეფიციუმად გადაცემა. მართლაც, თუ რამდენად იყო ასეთი ფორმა გავრცელებული, ჩანს იმ ტექსტებიდან, რომელიც მოპყავს დოკუმს:

Accedit etiam, ut temporibus discordiae supra promissionem b. m. Clodovei regis ecclesiarum aliqui competissent ipsaque res in fata conlapsi propriis heredibus reliquissent.

²) Dopsch, O. cit. p. 315.

Perpetuo enim anathemate feriatur, qui res ecclesiae aut competire aut pervadere periculosa infestatione praesumpserit¹. ცხადია, რომ კანონი იძულებულია, ბრძოლა გამოუცხადოს მეტად ფართოდ გავრცელებულ ადათს, რომელიც ზოგიერთ ბოროტმოქმედების საბაბსაც და საშუალებასაც კი აძლევს. ზოგი პრეკარიუმს სამემკვიდრეოდ ითვისებს, ზოგი სხვის მამულს ლეზულობს მეფისაგან პრეკარიუმის სახით, რაც მაშინ ადვილი მოსახერხებელი იყო, ვინაიდან გაცემული მამულების სიები და დაეთრები ალბათ არ არსებობდა. ამნაირად მარტო საეკლესიო მამულებს კი არ ითვისებდენ, ხშირად ქვრივებისა და გასათხოვარი ქალების მამულებსაც ასე ეპატრონებოდენ.

ut nullus res alienas competire aegis audeat potestate. Nullus viduum neque filium alterius extra voluntatem parentum aut rapere praesumat aut regis beneficio estimet postulandum².

ეს ცნობები და ეს ტექსტები ცხადად გვიყენებენ თვალწინ მე-6-7 საუკუნეების ურთიერთობასა და საზოგადოების სტრუქტურას. მეტისმეტი ელემენტარული სტრუქტურა იმ დროისა არა თუ კერძო პირებს ვერ უზრუნველყოფდა ცხადი ძალმომრეობისა და, რაც უფრო მთავარია, კანონის დარღვევისაგან, არამედ თვით ეკლესია და თვით მეფეც კი არ იყო დაცული, ვინაიდან ხშირად მის მამულს სამემკვიდრეოდ იღებდნენ ხელში. ამ ტექსტებს ჩვენ სწორედ იმ მხრივ უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ ის რასაც დოკუმენტი ამბობს, მიუხედავად მისი მოსაზრებათა დიდი მნიშვნელობისა საზოგადოდ, ჩვენი საკითხის გადაწყვეტაში უძლურია. ის რომ პრეკარიუმს და ბენეფიციუმს ერთმანეთსა ჰკავს, ის რომ მამულს გადასაცემად არსებობდა მრავალი ერთგვარი ტერმინი, ამტიკებს მხოლოდ წესებისა და საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმების გამოურკვევლობას. ჩვენთვის კი საკიროა ვიცოდეთ, მე-6—7 საუკუნეებში ბენეფიციუმების პირობებით, არსებობდა მამულების გაცემა, თუ სამემკვიდრეოდ.

ამის შესახებ პირდაპირ პასუხს ვერც ეს ტექსტები ვაძლევენ და ვერც თვით მეროვინგთა გვარეულობის მეფობის სიგლები. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ამოწერილ ტექსტებს და შევეხოთ სხვა თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ აქ ნახმარია საკმაოდ არეულად ტერმინები „beneficium“ „competire“ და ამასთან სამემკვიდრეო მფლობელობის წინააღმდეგ არის ლაპარაკი, ვაფთქობენებს, რომ მართლაც ბენეფიციუმები, პრეკარიუმის მაგვარი თუ არა, ბენეფიციუმის სახელით, ან „largitas“ სახელით, მაინც არსებობდა. მეფეები აძლევენ მამულებს არა სამემკვიდრეოდ, არამედ დროებით. პარიზის კრებაზე 556—573 წლებში გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც მიწის მფლობელის შვილები არ უნდა ფლობდნენ მამის მიერ მიღებულ ქონებას³. მაგრამ ეს იყო უკვე მეექვსე საუკუნის ბოლოში, როდესაც ბრძოლა გაჩაღებული იყო. საინტერესოა უფრო ის არის, თუ რა პირობით სცემდნენ თვით მეფეები ადგილ-მამულს და რამიზანი ჰქონდა მათ გაცემა. ისინი თავიდანვე გარკვევით და ხაზგასმით დროე-

¹) Op. cit. p. 316, განსაკუთრებით შენიშვნები 114 და 115.

²) Dopsch, Op. cit. 316.

³) ib. განსაკუთრებით შენიშვნა 117.

ბით მფლობელობას ჰგულისხმობენ, როდესაც ბენეფიციუმებს არიგებენ, თუ არა. მაშასადამე არსიტოკრატიის ბრძოლას, რომ მათ მფლობელობაში მყოფი ქონება სამემკვიდრეოდ გადაეცემათ, სრული და ცხადი უკანონობა იყო, თუ მის კანონიერების შესახებ დავა შეიძლებოდა, რომლიდანაც გაპარჯებული უძლიერესი გამოდიოდა. ამისათვის უნდა ავიღოთ და განვიხილოთ პირდაპირი საბუთები ადგილ-მამულების გაცემისა პირველი მეროვინგების დროს.

ხლოდოვეხის სიგელი რომ ავიღოთ 510 წელს მიცემული, იქ ცხადად დავინახავთ, რომ მეფე მამულის მემკვიდრეობით თუ მფლობელობის წესით გადაცემის საკითხში დიდ დაუდევრობას იჩენს. იქ ჯერ არ არსებობს გათვალისწინებული მამულის სამემკვიდრეოდ ხელში ჩაგდების შესახებლობა. ამიტომ მეფე ამას უწრადლებას არ აქცევს და დაუდევარი გულუხვობით ამბობს: „Sint vobis loco patriae in perpetuum possessiones, quas donamus in nomine sanctae, individuae aequalis et consubstantialis Trinitatis“¹. ეს ცხადი დაუდევრობაა, რომელიც აიხსნება იმით, რომ ხლოდოვეხს ჰკონია, არსებული მდგომარეობა უცვლელად დარჩება და მიწაზე დასახლებულნი ყოველთვის დასახლებულებად იქნებიან. საუკუნოდ და საშვილისშვილოდაც რომ დარჩნენ, მაინც მიწა ისევ მეფის საკუთრებად დარჩება და იქ დასახლებულები მხოლოდ მეფის წყალობის ნიშნებად. მას ასე ჰკონია, ვინაიდან არ იცის ჯერ ადათის ძალა, რომელიც ძველ მდგომარეობას ადვილად სცვლის თუ ხელშეკრულებაში სრულიად გარკვეული პირობები არ არის აღნიშნული. ისე რომ ხლოდოვეხი ამ მამულს ევსპიციის და მაქსიმეს აძლევს საშვილისშვილოდ, მაგრამ არა როგორც სამემკვიდრეო საკუთრებას, ვინაიდან ის ამბობს „corporaliter possidendum praebemus“².

II. ბენეფიციუმი და მფარველობა.

საბუთიდან სრულიად ცხადია, რომ მეფე აძლევს ბერებს მამულს იმ ვარაუდით, რომ ისინი სამუდამოდ იქ იცხოვრებენ, მაგრამ ამავე დროს მეფე ისე საზრობს, რომ ეს მამული ისევ წინანდებურად იმისი იქნება, რაც ცხადად ჩანს კიდევ იქიდან, რომ მამულის გადაცემას უკავშირებს თავის მფარველობას, ისე რომ რაკი მამულის მფლობელობა მონასტრის მიერ მეფის წარმოდგენაში უქვეყლად მის მფარველობასთან არის დაკავშირებული, ცხადია, რომ მეფის პიროვნებას ვერ ჩამოჰშორდება ვერც მამული და ვერც მასზე დასახლებულნი. რომ მეფე სწორედ ასე საზრობდა, ჩანს იმ მფარველობის დეკლარაციიდან, რომელსაც იგი დასძენს ბოლოში ამ სიგელს: „Tu vero, Eusebi“, მიჰმართავს იგი ეპისკოპოსს, რომლის სამწყსოშიც იმყოფებოდა გაცემული მამული: „Euspicii senectam fove, Maximino fave et tam eos, quam possessiones eorum in tua parochia ab omni calumnia et iniuria praesta liberos; neque enim nocendi sunt quos regalie affectus prosequitur. Idem agite, o vos omnes sancte (sic!) catholicae religionis episcopi“³.

¹) Monumenta Germaniae historica. ed. Pertz. Diplomatum t. I. № 1.

²) ib.

³) ibidem.

რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ეპისკოპოსებს და განსაკუთრებით კი ევსე-ბის ავალებს, რომ მან იზრუნოს მოხუც აუსპიციზე და მფარველობა გაუწიოს ააცილოს თავიდან ყოველი უსიამოვნება და უსამართლობა, რათგანაც არა ეითარი ვნება არ უნდა აქონდეს იმას, ვისაც აქვს მეფის კეთილგანწყობილება.

მფარველობის ელემენტი ადგილ-მამულის გაცემასთან ერთად აქ ცხადია, მხოლოდ ჯერ საზოგადო ფორმულები არ შემუშავებულა ამ საბუთში და ამიტომ რამოდენადმე გაურკვევლად არის ყველა ამაზე საუბარი. გასაკვირალიც არ არის. ეს საბუთი ეკუთვნის 510 წელს. რომ ავიღოთ თუნდაც 528 წლის საბუთი, რომელიც ეკუთვნის ხილდებერთ პირველს, იქ მეორდება თითქმის იგივე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შესაფერი აქტების ტექნიკური ტერმინები უკვე გამორკვეული და შემუშავებულია. გასაკვირველიც არ არის, ვინაიდან ამ მოკლე ხნის განმავლობაში, ეტყობა, ბევრი ამგვარი აქტი გამოსულა, რომ მეფე თვით აცხადებს: *Si petitionibus servorum Dei, quod pro eorum quietem vel iuvamen pertinet, libenter obaudimus, regiam consuetudinem exercemus*¹. თუ მონათა ლეთისათა თხოვნას მათი დახმარების შესახებ შევასრულებთ, მეფეთა ჩვეულებისამებრ მოვიქცევითო.

ამ დოკუმენტის წარმოშობის წყაროც, ფორმალურად მინც, თუ არსებითად არა, იგივეა, რაც პირველისა—ადგილ-მამულის მიძღვრთა თხოვნა: „*petitionibus*“, „*nobis postulavit*“. თვით გაცემულ-მამულსაც აგრეთვე წყალობის არა მარტო ხასიათი, სახელწოდებაცა აქვს: ორსავე შემთხვევაში „*misericordia*“ ეწოდება. მაგრამ „*beneficium*“ ტერმინი კი მხოლოდ იმავე ხილდებერთის მეორე საბუთშია, რომელიც იმავე 528 წელს არის გამოცემული. მე მგონია, ეს ერთი პირველ საბუთთაგანი უნდა იყოს, რომელშიც ეს სიტყვა პირდაპირ არის ნახმარი: „*ad loca sanctorum oportuna beneficia concedimus*“². ყოველ შემთხვევაში დოკუმენტის მოყვანილი ადგილები, სადაც ეს სიტყვა იხმარება, ამაზე უგვიანეს დროს ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება ბერთელოს ზემოთ მოყვანილ განცხადებას, რომ სიტყვა ბენეფიციუმში საბუთებში ნახმარი არც კია კაროლინგების დრომდისო, ანის უსაბუთობა ცხადია. მაგრამ მხოლოდ სიტყვის ხმარება ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებს. უმთავრესი ის არის, თუ რა ცნებას ათავსებდნენ ამ სიტყვაში საბუთების შემდგენელნი: ნიშნავდა ეს დროებით მფლობელობას, თუ სამემკვიდრეოს.

ამის გამოსარკვევად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ ტერმინთან ერთად ყველგან გვხვდება მფარველობის აღმნიშვნელი ტერმინი. პირველ საბუთში ეს ბუნდოვანად და უხერხულად არის გამოხატული, მეორეში კი სრულიად გარკვევით, გარკვეული და უკვე შემუშავებული ტერმინოლოგიით. არა მგონია, რომ ეს ტერმინები მაშინდელი გამოგონილი იყოს და უწინ არ არსებულ იყოს, მაგრამ ამ ხასიათის სიგლებში მათი ხმარება, ეტყობა, ახლად შემოდიოდა, ალბათ ამიტომ მეფეს თავის პირველ სიგელში ახსნა სკირდება იმისი, თუ რას ნიშნავს

1) *ibidem*. № 2.

2) *ibidem*, № 3.

მეფის მფარველობა. როდესაც ის მიჰპართავს ეპისკოპოსს, რომ მან მზრუნველობა და მფარველობა გაუწიოს ახალ მფლობელს, დარიგების კილოთი ეუბნება: ვინც მეფის კეთილგანწყობილებით სარგებლობს, იმისი შევიწროვება არ შეიძლება. ხილდებერთის სიგელში ჩვენ ამის შესახებ უფრო გარკვეულ ფორმულას ვხვდებით. მაკრამ ცნების გამოხატვა ერთ ფორმულაზე არ ჩერდება. ხან ახლად მიღებული ტერმინი იხმარება, რომაელებისაგან გადმოდებული: *tuitio regii nominis*, ხან ძველი: *mundeburdum*, ერთგან არის აგრეთვე: „*sub immunitatis nostrae tuitione*“. აი ეს ადგილები: „*ipsum etiam domnum et venerabilem virum cum omnibus monachis suis, et res ad se pertinentes, in nostro mundeburde vel tuitione recepisse et tenere cognoscat*“¹. ეს ტერმინები და ფორმულები შემდეგ წყაროებში მრავალია. *Mundeburdum*, ანუ *mundium* გერმანული წარმოშობის ცნებაა. მუნდიუმის უფლება მეფეებს თავდაპირველადვე ჰქონდათ. შემდეგ რომაელების გავლენით მეფის მფარველობის უფლებამ უფრო გარკვეული სახე მიიღო, და მაშინ რომაული ტერმინიც შემოვიდა: *tuitio*, ანუ *tuitio regii nominis* სიტყვა „*immunitas*“, ანუ „*emmunitas*“ აგრეთვე რომაულია და იგი მთლად არა უდგება *mundeburdum*ს და *tuitio*ს. მაშინ როდესაც ორი უკანასკნელი მეფის მფარველობასა და მის მიერ დაცვას ნიშნავს, პირველი ნიშნავს გადასახადებისაგან, ან საზოგადოდ რაიმე ვალდებულებისაგან განთავისუფლებას, შემდეგში კი შეუვალობას. როგორ მოხდა, რომ ტერმინები და მაშასადამე ცნებებიც არეულია. ჩვენ მიერ დასმული მთავარი საკითხის ამოცანა სწორედ აქ არის.

შემთხვევით არ არის ეს ორი ტერმინი არეული ერთმანეთში. ამ დროს, რომელსაც ეკუთვნის ის წყარო, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, ხელშეუვალობა როგორც სისტემა არ არსებობდა. იყო მხოლოდ მეფის მფარველობა. რომაელებისაგან კი გადმოვიდა ორი ტერმინი ერთი მეორის მონათესავე ცნებათა აღსანიშნავად. როდესაც ეს ცნობები გერმანელთა ცხოვრებას ეფუძება, მათ შორის განსხვავება იშლებოდა. ეს სრულიად ბუნებრივიც არის. რომაელებში გადასახადები მეფის სახელით იკრიბებოდა და მეფის ხაზინაში მიდიოდა. ვინც ამ გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, ის უნდა მეფის განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებაში ყოფილიყო, თუნდაც არ ყოფილიყო მის შესახებ გამოცხადებული განსაკუთრებით მეფის მფარველობა. ამიტომ ვასაკირალი არ არის, ვიმეორებ, რომ ეს ორი ცნება გერმანელებმა ერთმანეთში არიეს. ეს ცხადად გამოჩნდება, თუ გამოვიარკვიებთ, როგორ ესმის მეფეს *tuitio*, *mundeburdum* და *immunitas*. მოწყალებით დაჯილდოებულების მიმართ მფარველობის გამოცხადების შემდეგ მეფე ასეთ განმარტებას იძლევა: „*Quapropter per praesentem praeceptum iubemus, ut neque vos, neque successores vestri, nec aliquis de fidelibus nostris, in causas aut in rebus ipsis sancti viri ingredi non praesumatis, aut aliqui de rebus aut de terminis minuere cogitetis, aut in aliquo molesti esse velit*“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიგლის ძალით, მეფე ბრძანებს, რომ მისი მოხელეები და ერთგულნი და მათი მემკვიდრენი არ ერეოდნენ ამ წმიდა კაცის საქმეებში, არც მის

¹) Mon. Germ. ibidem № 2.

ქონებას და მიჯნას დააკლონ რამე, არც მისთვის უსიამოვნების მიყენება გაბედონ¹. სრულიად ცხადია, რომ აქ მფარველობის და ხელშეუვალობის ელემენტები ერომანეთშია არეული, ვინაიდან მეფის მფარველობა იმას ნიშნავს, რომ სხვა არაეინ, არც თვით მეფის მოხელე არ უნდა ჩაერიოს მფარველობაში მყოფი კაცის საქმეში. ცხადია, რომ მათ ზედამხედველობას თვით მეფე პირადად კისრულობს. რას იფიქრებდა მეფე, თუ შემდეგში აქედან თვით მეფის უფლებათა შეზღუდვაც წარმოდგებოდა, ვინაიდან მეფის რამე საქმეში ჩარევა მოხელეების საშუალებით ხდებოდა და რაკი მოხელეებს აკრძალული ექნებოდათ ეს, ამათ თვით მეფესაც ეკრძალებოდა, ისე რომ შემდეგში იმპუნიტეტმა მეფის მიერ უფლებებზე უარის თქმის ხასიათთა მნიშვნელობა მიიღო.

აღნიშნული მფარველობის გამოცხადებას ტექსტის ბოლოში დაპირდაპირებული აქტის ის სამსახურიც, რომელიც უნდა გაეწიათ სახელმწიფოსათვის და პირადად მეფისათვის დასახლებულ ბერებს. მათ და მათ მემკვიდრეებს ფრანკთა სამეფოს სიმტიციისათვის უნდა ელოცნათ და ლეთისაგან წყალობა გამოეთხოვათ. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იმპუნიტეტის წარმოშობის საკითხი უკავშირდება ბენეფიციუმის წარმოშობის საკითხს და ორივე ერთად მეფის მფარველობასთან არის დაკავშირებული. შემდეგში გართულებულმა ცხოვრებამ, მისი ფორმების დიფერენციაციამ ეს ცნობები ერთმანეთს დააშორა. ფეოდალური რეჟიმის ჩამოყალიბების დროს მეფის მფარველობა მხოლოდ იმის შინაგნებს და პირად ვასალებს ჰქონდა. იმპუნიტი უკვე თვითონ იყო წყაპო მფარველობისა. იმპუნიტეტიც თავის თავად მეფისაგან ჩამოშორებას ნიშნავდა. მაშასადამე აქ არც მფარველობაზე შეიძლება დალაპარაკო. რაც შეეხება მფარველობასა და ბენეფიციუმს, ეს ორი ცნება, მართალია, ერთმანეთის საწინააღმდეგონი არ არიან, მაგრამ ის მოვლენები, რომელნიც ამ ორი სიტყვით აღინიშნებოდნენ, ერთმანეთს არ იყვენ დაკავშირებულნი.

რა მიზეზია, რომ მეროვინგთა საგვარეულოს პირველი მეფეები ამ ცნებებს ერთმანეთში ურევენ? მიზეზი ცხოვრების სიმარტივე და განუვითარებლობაა. ეს სამი, ასე ვთქვათ, ინსტიტუტი, ან ჩვეულება მე-6-ე საუკუნის პირობებში ერთსა და იმავე მიზანს აღწევს. მთავარი მიზანი ხელისუფლების მოღვაწეობისა კი მაშინ ერთი იყო: ადგილ-მამულის ექსპლოატაცია, ცარიელი მიწების დამუშავება, ულრან ტყეებში კულტურის და მშენებლობის შეტანა. ისე რომ მკარველობის სამაგიერო სამსახური, რომელიც ამ სივალის აღნიშნულია და რომელიც ზემოთ მოიყვანეთ—ბერებმა სახელმწიფოს მთლიანობისათვის ილოცონო მხოლოდ საჩვენებელი მხარეა. ნამდვილი მიზანი გამოხატულია ვითომდა სხვათა შორის ნათქვამ სიტყვებში: „omnia quae infra istis terminis continentur, ad excolendum, plantandum aedificandum et secundum monachorum regulam quicquid voluerit construendum“². ეს სიტყვები ისეა ნათქვამი, ვითომც დასახლება ნაბოძებ მამულში, მისი დამუშავება, მშენებლობა, რომლის უფლებასაც მეფე აძლევს, წარმოადგენდეს მეფის წყალობას. ეს რომ ასე იყოს,

¹) ibidem.

²) ibidem № 2. საზოგადო ანთივე ხასიათი აქვს მარკელის ფორმულებში დატულ ნაბოძებ სივალეს. (იხ. Dop. ch. Op. cit., II, p. 168. შენიშვნა.)

მაშინ რა საკირო იქნებოდა ამის აღნიშვნა: რაკი ადგილს მეფე მონასტრებს უბოძებს, ცხადია, იმისთვის, რომ ეს მიწა დაიმუშაონ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თუ ერთი მხრით ბერების საკიროებას შეადგენდა მიწის დამუშავება, ესევე შეადგენდა მეფის საკიროებასაც, ვინაიდან დასახლებული და დამუშავებული მიწა მეფეს რითიმე ემსახურებოდა. ამგვარი მოღვაწეობა პირველი მეროვინგებისათვის უდიდეს საქმეს შეადგენდა და რა გასაკვირველია, რომ მეფე ამას ხაზგასმით აღნიშნავდა. რომ ბენეფიციუმის გაცემას სამეურნეო ხასიათის მიზანი ჰქონდა, ამას მტკიცება არც ესაქიროება. ამის შესახებ მკვლევართა შორის ამ ბოლო დროს მაინც არ არსებობს უთანხმოება.

მაშასადამე სამეურნეო მიზანს აღწევს მეფე იმით, რომ დაუმუშავებელ მიწაზე ხალხს ასახლებს. ამისთვის ის მათ მფარველობასაც უწყევს, რომ დამშვიდებით იმუშაონ. ამავე მიზნით ის შეუვალობასაც აძლევს, რომ მოხლეჩებმა არ შეაწუხონ. ამავე დროს მეფეს ჰსურს, რომ დასახლებულები შეეჩვივნენ ახალ ბინას, როგორც სამშობლოს, „desinitle peregrini inter Francos esse et sint vobis loco patriae in perpetuum possessiones, quas donamus“¹. ნუ იგრძნობთ თავს უცხოებად ფრანკთა შორის და ის მფლობელობა, რომელსაც გაძლევთ, სამშობლოს ალავას გეგულებოდეთო. აქედან ცხადია, რომ მეფე ძლიერ აფასებს დასახლებულებს, რომ მიწა ბერია და დამუშავებელი ცოტა. ამიტომ ცდილობს, ყოველი საშუალებით მიიზიდოს ისინი. რა თქმა უნდა ამიტომ ფიქრიც არ იქნება იმაზედ, რომ მეფემ დროებით სამფლობელოდ მისცეს ადგილ-მამული. პირიქით, ის ცდილობს რომ გადმოსახლებულებმა ისე იგრძნონ თავი, რომ არაოდეს არსად არ წავიდნენ. ცხადია, მუშა ხელის მოთხოვნილება აქ სქარბობს წინადადებას, ამიტომ მეფისათვის უფრო მოსალოდნელია, რომ დასახლებულებს რაიმე არ მოეწონათ და ცოტა ხნის შემდეგ აიყარნენ და სხვაგან წავიდნენ. ამისი მეფეს ეშინიან და ამიტომაც უსვამს ხაზს „in perpetuum“ სიტყვას. ამ პირობებში არც შეიძლებოდა და არც ვისმე მოათქვამდებოდა ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ამ სამფლობელოს დროებით გაძლევთ. ვისაც სახვეწარი ჰქონდა ის ამას როგორ იტყოდა.

მაგრამ მაინც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეფე ამ მიწას საკუთრებად აძლევდა. რაკი ბერების დასახლება ახალ ადგილ-მამულზე მეფის მფარველობასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მიწაზე დასახლებულებსაც და თვით მიწისაც უმაღლეს მესაკუთრედ და პატრონად მეფე ითვლებოდა. ეს უდავო იყო. მეფე მიწას საშვილიშვილოდ კი აძლევდა, მაგრამ არა საკუთრებად, არამედ სამფლობელოდ. არც იხმარებოდა მაშინ სიტყვა: „საკუთრება“. ბოძებულ ადგილ-მამულს ყველგან ეწოდება „possessio“. საკუთრების ცნება მარტო მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას ხომ არ შეიცავს, საკუთრება უნდა ყოველგვარ დამოკიდებულებისაგან თავისუფალი იყოს და მესაკუთრეს უნდა საკუთრება მთლად თავის განკარგულებაში ჰქონდეს. ამგვარი საკითხები იმ დროს შესაძლოა სრულებითაც არ იყო ჩამოყალიბებული, ვინაიდან თემური მიწათმფლობელობა ახალი მოსპობილი იყო, როდესაც უკვე მიწები მსხვილ მფლობელთა ხელში გადა-

¹) Ibid. № 1.

დიოდა. მაგრამ ეს რთული საკითხია, სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ახლა ამ საკითხს ნუ შევეხებით. აღნიშნოთ მხოლოდ, რომ ალლოდი კერძო საკუთრებადაც რომ ეცნოთ, მაინც არა ჰგავს იმას, რა პირობებითაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ბერები ღებულობენ მიწას. მართალია, მეფე ლაპარაკობს მემკვიდრეების შესახებ, მაგრამ მემკვიდრე მას ისე ესმის, როგორც ახლანდელი ბერების შრომის განმაგრძელებელნი და არა ისე, როგორც საკუთრების მიმღებნი. ალლოდი კი უექველად ყოველგვარ პერსონალურ მემკვიდრეობას ჰგულისხმობს. რიპუართა სამართალში, მაგალითად, ალლოდის შესახებ შემდეგი ღებულებებია შეტანილი: *Si quis absque liberis defunctus fuerit, si pater materque superstites fuerint, in hereditatem succedant.*

Si pater materque non fuerint, frater et soror succedant.

Sin autem nec eos habuerit, tunc soror matris patrisque succedant. Et deinceps usque quintum geniculum, qui proximus fuerit, in hereditatem succedat.

მემკვიდრედ ცხადდება ჯერ დედ-მამა, მერე და-ძმა, მერე დეიდა და მამიდა და ასე მესხუთე თაობამდის, ვინც უახლოესი ნათესავია¹. ამგვარ მემკვიდრეობაზე არაფერია ნათქვამი აღნიშნულ სიგლებში და მასასადამე მეფეს ამ პირობებში შეეძლო ეფიქრა, რომ მიწის უზენაესი და საბოლოო პატრონად მაინც მეფე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მაზედ საშვილისშვილოდ სხვა რჩება. ის ფიქრობდა, რომ მიწის ჩამორთმევის უფლება მას ყოველთვის ჰქონდა, რაკი თვით ფაქტი მათი მიწაზე დასახლებისა მეფის წყალობასთან და მფარველობასთან იყო დაკავშირებული. საკმაო იყო მეფეს მფარველობა მოეხსნა, ეს კი მის ხელში იყო და მის ნებაყოფლობაზე იყო დამოკიდებული, რომ მკლობელს მიწაც ჩამოერთმეოდა იმავე მოხელეების საშუალებით, რომელთა მხრივაც მეფეს გამოცხადებული აქვს მამულის ხელშეუვალობა.

ამგვარად არ შეიძლება, რომ მეროვინგების დროის ბენეფიციუმების გაცემაში ჩვენ ვეძიოთ აღნიშვნა იმისი, რომ მიწა საკუთრებად კი არა, დროებით ეძლეოდა. რაკი იგი მფარველობასთან იყო დაკავშირებული და მფარველობა კი რაინე თანამდებობასთან — მლოცავის თანამდებობა იქნებოდა თუ გრაფისა — ამიტომ მფარველობის მოხსნა და თანამდებობიდან მოხსნა ერთი და იგივე აქტი იყო და ამავე დროს ბენეფიციუმიც წაერთმეოდა. ხოლო თუ მეფის კეთილგანწყობილება საშვილიშვილოდ დარჩებოდა, მაშინ მფარველობაც, თანამდებობაც და ადგილ-მამულიც საშვილიშვილოდ რჩებოდა.

ამიტომ იყო რომ ახლად შექმნილმა არისტოკრატებმა ბენეფიციუმების სამემკვიდრეოდ გადაცემა მოითხოვა მაშინ, როდესაც გრაფობის წოდების მემკვიდრეობა მიიღო. ან ყოველ შემთხვევაში, ორივეს ერთსა და იმავე დროს თხოულობს, რადგანაც ერთი მეორესთან არის დაკავშირებული. რომ გადავათვალიეროთ ყველა ის სიგლები ბენეფიციუმების შესახებ, რომელიც მოთავსებულია ჩემ ხელთ მყოფ გამოცემაში, დაერწმუნდებით, რომ თითქმის შეეჭეს საუკუნის ბოლომდის მეფეები აწარმოებენ მამულების გაცემას იმავე პირობებით, რომელიც

¹) Mon. Germ. Hist. Legum tomus V, fasciculus II. Hannoverae MDCCCLXXXIII Lex Ribuaria LVIII, De alodibus. p. 240

ჩვენ ზემოთა გვაქვს აწერილი: იგავე ბენეფიციუმის გაცემა მფარველობით, იგივე ტერმინოლოგიის ხმარება, იგივე ფორმულები. ცხადია, რომ ყველგან მეფე მფარველობის ვადას არ ზღუდავს ფორმალურად, მაგრამ იგი ამ საკითხებს უკავშირებს, როგორც ვთქვით თავის მფარველობის გარდა, უნდა ვიფიქროთ, პირად სამსახურს, რადგანაც მიზანი ხალხის დასახლებისა სწორედ ეს არის (ad excolendum, plantandum და სხვა). ამიტომ, ვიდრე წყალობის მიმღები მეფეს ემსახურება, მიწა მისი საკუთრება, ცხადია, არ არის. ხოლო თუ სამსახურს თავს დაანებებს ან ისე ვერ ემსახურება როგორც მეფეს სურს, მეფე მას თანამდებობიდან გადააყენებს და ამით მამულიც, ცხადია, ჩამოერთმევა.

III. ახალი არისტოკრატის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ.

ალბათ პრაქტიკაც სწორედ ასეთი იყო, რომ არისტოკრატია უკვე მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში მეფეს ებრძვის. ბრძოლა თანდათან მწვავედება და ბოლოს იგი თავდება 587 წლის და 614 წლის შეთანხმებით, ანუ უკეთ ვთქვათ, აქტით. ამ აქტებს რომ დავაკვირდეთ, განსაცვიფრებელი სისწორით მტკიცდება ყველა ზემოთ თქმული¹, ჯერ ერთი არისტოკრატია მართლაც იბრძვის არა იმისთვის, რომ მემკვიდრეობითი ხასიათი მისცეს ბენეფიციუმებს, არამედ იმისთვის, რომ მეფეს გრაფების გადაყენება-დანიშვნის უფლება შეუზღუდოს, მეფის სასარგებლოდ გადასახადების რაოდენობა შეიმციროს, მეფის ჩარევის შემთხვევები მამულების მფლობელობის საქმეებში შეზღუდოს. ბენეფიციუმის შესახებ ისინი ცდილობენ მხოლოდ იმას, რომ იგი უფრო მტკიცე და გარკვეულ წესს ემორჩილებოდეს². ერთი სიტყვით არისტოკრატის ბრძოლის მიზანი არის მათი დამოკიდებულება მეფისაგან. თუ ამის ხასიათი შეიცვლება, ბენეფიციუმიც უზრუნველყოფილია. ცხადია, აქ ბენეფიციუმის მემკვიდრეობაზე კი არ არის უმთავრესად ლაპარაკი, მის სამტკიცებელ, რაც დამოკიდებულია მეფისა და მიწის მფლობელების შორის ურთიერთობის წესებზე. პირადი ურთიერთობა აქ ყველაფრის გადამწყვეტი იყო. ამიტომაც ის არისტოკრატია, რომელიც მეფის ბოძებულ მანულებზე სახლდება, ცდილობს თავის მხრივ, რომ ბევრი ისეთი ხალხი შეიძინოს, რომელიც მის მფარველობაშია, პირადად მისგან დამოკიდებული. რადგანაც ვისაც ამგვარი ხალხი მეტი ჰყავდა, ძლიერიც ის იყო, ამიტომ მეფე ისე ადვილად მას ვერას გაუბედავდა და ადგილ-მამულიც, რომელიც მეფისაგან ჰქონდა მიღებული, მას შეჰრჩებოდა, რაც ყველაზე უმთავრესი იყო, ვინაიდან, თუ მამული არ ექნებოდა, ვერც პირადი ერთგული ხალხი ეყოლებოდა. მეფე აწას გრძნობდა: და ცდილობდა მსახურთა და ხელქვეითთა მოძრაობაში მათთვის კონკურენცია გაეწია: ხშირად თავისკენ გადმოჰყავდა

¹) 614 წლის აქტის შესახებ დოქსის აზრი იხ. Dopsch, Op. cit. S. 337. 567. აქტის შინაარსი: Lavisse et Rambaud, Hist. génér. t. I, Berthelot. p. 154. 614 წლის აქტი იქვე, p. 155. იხ. აგრეთვე Петрушевский, Очерки по ист. среднев. общ. и гос. 1922 стр. 255. Mon. G. leg. t. I p. 14.

²) Similiter quidquid antefati reges fidelibus suis contulerunt aut adhuc conferre... voluerint stabiliter confirmare.

თავისი ხელქვეითი არისტოკრატიის ყმად ნათეციები (ცხოვრების უკეთესი პირობების მინიჭებით, რაიცა ჩანს 587 წლის აქტის ერთი მუხლიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ არავინ არ უნდა ალელეებდეს სხვის ყმად ნათეცებს (leudas) და არც უნდა თავის მფარველობის ქვეშ ღებულობდეს (nec venientes excipiat)¹.

ბოლოს მაინც არისტოკრატიის ძლიერებამ მაღალ წერტილს მიაღწია, ისე რომ ადგილი ჰქონდა ამგვარ შემთხვევას: სიგიბერტი მოკლულ იქმნა, ავსტრალიის დიდებულებმა მისი შვილი ხილდებერთი დასვეს ტახტზე. როდესაც გონტრანმა მოისურვა ამ ბავშვის ნახვა, რომ თავის მემკვიდრედ მიეღო, ბავშვი წარდგა მის წინაშე დიდებულებითურთ (cum proceribus suis). ამას გარდა, 584 წელს გონტრანმა და ხილპერიხმა შეკრეს პირობა, რომლის ძალითაც შეთანხმდნენ, მიეღოთ ის დადგენილებანი, რომელსაც გამოიტანდნენ საეკლესიო და საერო დიდებულნი.

ბოლოს 587 წელს არისტოკრატიასა და მეფეს შორის შეიკრა პირობა, რომელიც ეხება ბენეფიციუმებს სწორედ იმ აზრით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, და ცდილობს მეფის მოულოდნელი სურვილების მსხვერპლი არ იყოს არისტოკრატია. მაგრამ უფრო ნიშნულზეა 614 წლის ხელშეკრულება. ამ აქტში მეფე პირობას იძლევა, არ მიიღოს თავის მფარველობის ქვეშ დაბალი სამღვდნეობა, ეპისკოპოსის დაუკითხავად, არ დაიჭიროს გარდაცვალებულის მამული, როდესაც ანდერძი არ აღმოჩნდება დატოვებული, არამედ მისცეს საშუალება, რომ გარდაცვალებულის ნათესაობამ მიიღოს მამულის მემკვიდრეობა თანახმად კანონისა, ეპისკოპოსის სამსჯავროს უფლებები არ იქნეს დარღვეული, მოისპოს უსამართლო გადასახადები და აგრეთვე საბაჟო გადასახადები, არ იწიშნებოდნენ გრაფებად გარეშე პირნი, არამედ ადგილობრივი მიწათმფლობელების წარმომადგენელნი. ბენეფიციუმების შესახებ აქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ მეფე უნდა აძლევდეს საშუალებას ნათესაეებს, რომ მათ მემკვიდრეობა დაუბრკოლებლივ მიიღონ ხოლმე. აქედან ცხადია, რომ აქ კანონზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მხოლოდ პრაქტიკაზე. როგორც ზემოთ გამოიჩვენა, ბენეფიციუმების გაცემის დროს მეფე მემკვიდრეობას არ უარჰყოფდა და ამიტომ ამაზე დაეა არც იქნებოდა მხოლოდ შემდეგ, როდესაც ალლოდის მემკვიდრეობად გადაცემის კანონი ჩამოყალიბდა, ამათ უნდათ, რომ ალლოდის კანონი ბენეფიციუმზე გადამოიტანონ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით მიუთითებენ ისინი კანონზე. მაგრამ პრაქტიკაში კი მეფე ხშირად უკან ჩამოაბრძენდა მამულს, რადგანაც ის არ ფიქრობდა, რომ მამულის ბენეფიციუმად გადაცემით, მან თავის უფლებებზე მამულის მიმართ ხელი აიღო. ის ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რომ თავისი უფლებები განახორციელოს: გადასახადებს უმატებს, მამულებს ართმევს, როდესაც მფლობელი მოკვდება ანდერძის დაუტოვებლად, თუ მემკვიდრე ქალია (ქვრივი, ზუნდა ქალიშვილი) თვითონ ათხოვებს ვიზენდაც ჰსურს. ეს საკუთრების უფლების დარღვევაა, მაგრამ მეფეს არც მოუცია ბენეფიციუმი საკუთრებად. ამიტომაც ხდება, რომ არისტოკრატია მეფეს მხოლოდ იმას ელდავება, რომ კონფისკაციები არ მოახდინოს ხოლმე. ხოლო რადგანაც მა-

¹) Similiter convenit ut nullus alterius leudas nec sollicitet nec venientes excipiat.

მულის მფლობელობა თანამდებობასთან არის დაკავშირებული, ყველაზე მეტად იმას სთხოვენ მეფეს, რომ მან გრაფებად არ დანიშნოს უცხო პირები, არამედ ადგილობრივი მემამულეები. ამ პირობებში მამულიც და თანამდებობაც ისევ ძველი ბენეფიციუმების მიწლებზე ჰჩებოდათ „ut nullus iudex, de aliis provinciis... in alia loca ordinetur ut si aliquid mali perpetraverit, de suis propriis rebus exinde quod male abstulerit juxta legis ordinem debeat restituere“¹.

კიდევ მეტად რომ გავალრმავოთ საკითხი და უფრო ღრმად ჩავეხლოთ მდგომარეობას, გამოდის, რომ მეფე ბენეფიციუმების ჩამორთმევით არავითარ კანონს არ არღვევდა, ის ძველად არსებული წესის თანახმად იქცეოდა. ბენეფიციუმის ჩამორთმევა კონფისკაცია კი არ იყო მეექვსე საუკუნის შეხედულებით, კანონიერი აქტი იყო, რომელიც შედეგი იყო იმისი, რომ ბენეფიციუმი მეუფეს ეკუთვნის და მეფის ნაწყალობეა. ახალ-ახალი გადასახადების გაწერა — ესეც კანონიერი იყო, ვინაიდან არც ერთ ნაწყალობეზე სიგელში არ იყო ნათქვამი, რომ მეფე გადასახადთა განსაზღვრულ რაოდენობას გადაახდევინებს და მეტს არა. მიწა დასამუშავებლად გაიციმოდა და რამდენ შემოსავლის მიღებასაც მოისურვებდა თავისი მიწიდან მეფე, ეს წინდაწინვე არავინ იცოდა, რასაკვირველია აგრეთვე არსად არ იყო აღნიშნული ის, რომ მეფე თავის მფარველობას და თანამდებობას სხვას არავის მისცემს.

მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. თავდაპირველად რომ გასცემდა ხოლმე მეფე ბენეფიციუმებს, მაშინ იგი მცირეოდენი შემოსავლითაც კმაყოფილდებოდა, ვინაიდან ცენტრალურ ხელისუფლებას დიდი მოთხოვნილებანი არ ჰქონდა. შემდეგ თანდათან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა რთულდებდა და მეფის ხაზინა მეტ ხარჯს მოითხოვს. ხარჯი კი შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს მხოლოდ მამულებიდან. ამიტომ შემოიღო მეფემ ისეთი გადასახადები, როგორც საბაჟო გადასახადი. ამავე დროს კერძო საკუთრების ცნება მემკვიდრეობის ნხრივ უფრო და უფრო გარკვეულ სახეს ღებულობს და მეფის თვითნებობას ბენეფიციუმის პატრონები არ ემორჩილებიან. მეფე კი ახალ-ახალ საშუალებას იკონებს გადასახადების განრავლებებისათვის: როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, სარგებლობს, მაგალითად, როდესაც მემკვიდრე ქალია და ათხოვებს იმაზე, ვინც მას მეტს გადასახადს მისცემს და უფრო ერთგულად ემსახურება, თუ ანდერძს არ დასტოვებს მემამულე და ისე მოკვდება, მის ნათესავეებს არ დაუთმობს მამულს, ვიდრე ისინი ამისათვის საფასურს რასმე არ მისცემენ. ერთი სიტყვით მემამულეს თავის მამულის სამემკვიდროდ გადაცემის უფლება აქვს, მაგრამ მეფე მაინც მესაკუთრეა და ბენეფიციუმებს ის განაგებს. ახალი ეკონომიური მოთხოვნილებების თანახმად კი, ამისთანა მდგომარეობის დარჩენა შეუძლებელი იყო, ამიტომაც დიდებულნი იბრძვიან, რომ ბენეფიციუმის მდგომარეობა უფრო გარკვეული იყოს. ის უფრო გარკვეულად ჰგავდეს საკუთრებას. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თანამდებობა შეჭრით და ბენეფიციუმის სამემკვიდროდ გადაცემა უფრო მტკიცე ნიადაგზე იყოს, თორემ მარტო პირველი საკმარისი არ იყო, ვინაიდან კერძო პირს მეფე უფრო ადვილად ჩა-

¹) Mon. Germ. Hist. legum t. 1 p. 11.

მოართმევდა მამულს. ამგვარად, რაკი მემამულეები გაძლიერდნენ და დამოუკიდებელი ძალა შეიძინეს, დროის შესაფერი მოთხოვნილების განხორციელება მოისურვეს და შედეგები იძულებულნი იყვნენ, ნელ-ნელა დაეთმოთ.

ამ ბრძოლის მსვლელობა და დადგენილებათა შინაარსი კიდევ უფრო ნათელსა ჰქვენს პირველ აქტებს. ახლა აშკარად ჩანს ბენეფიციუმის წარმოშობის პროცესი. ცხადად ჩანს, რომ ბენეფიციუმი არც თავდაპირველად და არც შემდეგ არ ყოფილა დროებითი ის იყო სამემკვიდრეო, ოღონდ თვით მემკვიდრეობის ცნება, ყოველ შემთხვევაში ბენეფიციუმის მიმართ, გამოურკვეველი იყო და 587-614 წლების აქტები ამას არკვევენ. გარდა ამისა ბენეფიციუმის მფლობელობის სიმტკიცე, რაკი მისი მემკვიდრეობის საკითხი გამოურკვეველი იყო, დამაჯღბელი იყო მეფის პირად განწყობილებაზე და მის მფარველობაზე ბენეფიციუმის ამღების მიმართ, ხოლო შემდეგში ეს ორი ცნება ერთმანეთს ჰშორდება და იმპუნტეტი ხშირად იძლევა ბენეფიციუმის დამოუკიდებლად. (ასე ფიქრობს დოკში) ¹. როდესაც პირადი განწყობილებისა და მფარველობის ცნება ჰშორდება ბენეფიციუმის გაცემის პრაქტიკას, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ ხასიათს ღებულობს და მტკიცდება იმითი, რომ ნამდვილი საკუთრების სახეს ღებულობს. ისე რომ შეცთომად უნდა ჩაითვალოს აზრი, ვითომ ბენეფიციუმი კაროლინგებამდის არ არსებულებოდა, მაგრამ შეცთომაა ისიც, ვითომ იგი არსებობდა, როგორც თორმალურად დროებითი მფლობელობა.

მაშასადამე, საზოგადო დასკვნები ბენეფიციუმის ხასიათის შესახებ ასეთია: ბენეფიციუმი არსებობდა, როგორც ჩვეულებრივი მფლობელობა, მაგრამ ვინაიდან მაშინ საზოგადოდ ყველაფერი პირადი ურთიერთობით განისაზღვრებოდა და გარკვეული კანონი და ცნებაც კი მემკვიდრეობისა არ არსებობდა, ბენეფიციუმშიც ამ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. მისი მდგომარეობა ეკონომიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზე ატეხილი ბრძოლის პროცესში ირკვევა, რომლის შედეგიც არისტოკრატიის გაძლიერება და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება იყო.

ეს დასკვნები ბენეფიციუმებისა და იმპუნტეტების შესახებ, როგორც მკითხველი ადვილად მიხვდება, წყაროების სრულიად ობიექტიური შესწავლის შედეგია დამოუკიდებლად ყოველგვარი წინადადებული აზრისა. ჩვენი დასკვნები კი არ ეთანხმება ზოგიერთ ავტორიტეტთა აზრებს. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ძველი სკოლა ბენეფიციუმს ნაწილობრივ ისე უტყუროდა, როგორც მეროვინგების დროს წარმოშობილ ინსტიტუტს, რომელიც ქონების დროებით სამფლობელოდ გადაცემაში მდგომარეობდა; ნაწილობრივ კი სთვლიდა, რომ ბენეფიციუმი წარმოშობილია მხოლოდ კაროლინგების დროს. ახალი სკოლა დოკშიის პირით აცხადებს, რომ ბენეფიციუმი სწორედ მეროვინგების დროს კი არა, კიდევ უფრო ადრეა წარმოშობილი. დოკშის ასეც უნდა ეფიქრა, ვინაიდან, ვიდრე ბენეფიციუმის საკითხს დააყენებდა, მას უკვე შედგენილი ჰქონდა ის აზრი, რომ გერმანელების მოქალაქობრივი განვითარება ეკუთვნის ბევრად უფრო ძველ დროს, ვიდრე აქამდის ფიქრობდნენ; რომ ტაციტუსის დროს გერ-

¹) Dopsch, Op. cit. t. II S. 93.

მანელებს უკვე გაჩაღებული კულტურული ცხოვრება ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით ბენეფიციუმებიც, როგორც ერთგვარი განვითარების საფეხური, ადრე იყო შემოღებული.

მე კი ვამტკიცებ ძველი სკოლის საწინააღმდეგოდ, რომ ბენეფიციუმში არსებობდა მეროვინგების დროს, მაგრამ სულ სხვა სახისა, ვიდრე ეგონათ, და ახალი სკოლის წინააღმდეგ, რომ ეს წესი შემოვიდა სწორედ მეროვინგების დროს და პირველი მისი სახე სწორედ კულტურული კანუფითარებლობის შედეგი იყო, ვინაიდან გაურკვეველობა მემკვიდრეობის საკითხში, გაურკვეველობა იმაში, თუ რა არის საკუთრება, კერძო უფლებრივი ურთიერთობის ძლიერება—ყველა ეს ედვა საფუძვლად ბენეფიციუმის წესს და ამიტომ იგი მეტად გაურკვეველი ინსტიტუტი იყო, რის გამოც მრავალი გაუგებრობა და ბევრი ბრძოლა მოხდა. ამიტომ 587 და 614 წლების აქტების შესრულება ნიშნავდა მხოლოდ გაურკვეველობის შეტანას და უცილობელად მოქალაქობრივი განვითარების შედეგი იყო. ამიტომ ბენეფიციუმის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გვიყენებს წინ მთელ რიგს საღაო საკითხებისას, რომელსაც განხილვა სჭირდება. მანამდის კი, ვიდრე მხოლოდ და მხოლოდ უტყუარი საბუთების ნიადაგზე ვდგევართ, ზემოთ მოყვანილი დასკვნები ჩემის აზრით უნდა მიღებულ იყოს გარეშე ყოველი შიშისა, რომ ასეთი დასკვნები რომელსამე ავტორიტეტულ აზრს ეწინააღმდეგება.

G. NATHADZÉ.

LES NOUVEAUX PROBLÈMES DANS L'HISTOIRE DE LA FÉODALITÉ DE L'EUROPE (L'ORIGINE DES BÉNÉFICES ET LA QUESTION DE L'IMMUNITÉ).

Concernant l'origine du système des bénéfices il y a dans la science historique deux opinions: d'après l'une la distribution des bénéfices ne commence que de l'époque carolingienne, d'après l'autre elle existait aussi avant les Carolings, mais les bénéfices avaient alors un caractère temporel et non pas de dons héréditaires de terres. Dopsch rapporte le commencement du système des bénéfices à l'époque même de la distribution des terres aux soldats chez les Romains et aux clients chez les gallo romains. Il prouve en même temps que les dons de terres à l'époque mérovingienne avaient lieu souvent sous un autre nom et souvent même les dons „précaires“ coïncidaient avec ceux des bénéfices. Il est juste de penser que le commencement du système des bénéfices peut être ramené historiquement à l'époque romaine, mais ce serait erroné de faire commencer à cette époque le développement du système bénéfical du moyen âge, parce qu'on remarque une différence sensible entre les systèmes de la distribution de ces deux époques. Mais d'un autre côté il est important qu' à l'époque mérovingienne la distribution bénéficiale des terres ait été désignée sous d'autres noms. Les recherches scientifiques des matériaux documentaires relatifs à l'époque mérovingienne, même le faible matériel dont je dispose en ce moment, nous prouve que le système des dons

dans ce temps là se pratiquait absolument. On rencontre aussi le terme „bénéfices“ mais on ne parle nulle part du caractère temporel de ces dons. Au contraire, on parle partout du patronage du roi, cela crée une situation dans laquelle les rois ne cessaient jamais d'être maîtres de la destinée des terres distribuées et de leurs possesseurs. Ils ne renoncent pas à leurs droits sur les terres données, ce que nous devons expliquer par l'indétermination commune alors des conceptions de la propriété immeuble. C'est pourquoi le roi profite de son droit de propriétaire, il investit la terre donnée de toutes sortes de contributions, prive le possesseur de son patronage et reprend de force le bénéfice. Le roi considère tout cela non pas comme une usurpation, mais comme son droit de possesseur et de protecteur, auquel il n'a pas renoncé. Une pareille situation contradictoire des bénéfices ne disparaît que lorsque l'aristocratie se fortifie et limite les droits du roi. Selon les actes des années 587 et 614 l'aristocratie définit clairement les droits d'héritage des bénéfices et cherche surtout à se faire indépendante du roi et à restreindre les droits royaux pour la création des comtes et la perception des redevances. Ces restrictions changent de fait la situation du droit de bénéfices qui deviennent réellement une possession héréditaire. Ainsi l'évolution du système bénéficial qui commence sans doute à l'époque mérovingienne ne consiste pas en ce que les bénéfices se transforment de possession temporelle en possession héréditaire. Aux temps mérovingiens ils étaient quoique héréditaires, indéterminés au sens du droit à cause de la domination des droits personnels dans les relations mutuelles. Avec le développement des relations économiques et avec la délimitation de l'idée de la propriété la dépendance de la possession des bénéfices s'affranchit de la protection du roi. Voilà pourquoi la personne qui possède le bénéfice se transforme en propriétaire héréditaire.

ნიკოლოზ ქოჩიავა.

საპარტიველოს სახელმწიფო ფინანსები.

1. როგორც სათაურიდან ჩანს, ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ფინანსები. ჩვენ განვიხილავთ სრულიად საქართველოს სახელმწიფო ფინანსებს. ცალკე ცნობებს ავტონომიურ რესპუბლიკებზე ჩვენ იმდენად მოვიყვანთ, რამდენადაც საჭირო იქნება მათი მონაწილეობის ხარისხისა და მათი შედარებითი მდგომარეობის გაგება.

ჩვენი საკითხის განხილვას ვზღუდავთ ჩვენ დროის მიხედვით. ჩვენ განვიხილავთ სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობას 1923-24 საბიუჯეტო წელში. ეს არის ერთად ერთი სრული, თორმეტთვიანი საბიუჯეტო წელიწადი. ამ წლისათვის ჩვენ გვაქვს დამუშავებული ცნობები, როგორც ბიუჯეტზე, ისე მის შესრულებაზე. 1924-25 საბიუჯეტო წელიწადი მხოლოდ ეხლა დამთავრდა და საბოლოო მასალა, სათანადოდ დამუშავებული, ჯერ კიდევ არა გვაქვს. რა ამოცანა აქვს ამ წერილს? ჩვენ გვსურს საქართველოს სახელმწიფო ფინანსების აღწერა, მისი გაგება, საფინანსო მეურნეობის ამ ნაწილის მოვლენათა მიზეზობრივი ახსნა. აქ ჩვენ არ შეუდგებით სახელმწიფო ფინანსების სისტემის „შეფასებას“, არ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ „რა“ და „როგორ“ უნდა იქნეს მოწყობილი. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს უკანასკნელ საკითხზე პასუხის გაცემის საჭიროების უარყოფას, რხოლოდ ასეთი პასუხის გაცემა საჭიროა სხვა დროს და ადგილას.

2. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში იწყება საკუთარი და დამოუკიდებელი საფინანსო მეურნეობის წარმოებით. საფინანსო მეურნეობის სათავეში იდგა ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც საფინანსო მეურნეობის საჭიროების მიხედვით რამოდენიმე განყოფილებად იყო გაყოფილი. კომისარიატის ადგილობრივი აგენტები იყვნენ საფინანსო და სააქციო ინსპექტორები. საკასო საქმე იმყოფებოდა ხაზინების ხელში. სახელმწიფო კონტროლს აწარმოებდა მუშათა და გლეხთა ინსპექცია. წინათ არსებული წინასწარი კონტროლის ადგილი დაიკავა შემდგომმა კონტროლმა.

თვალსაჩინო ცვლილება მოხდა ადგილობრივი ფინანსების სფეროში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ადგილობრივი თვითმართველობანი უშუალოდ და დამოუკიდებლად აწარმოებდნენ თავის საფინანსო მეურნეობას. შეერთება საერთო ბიუჯეტში, სახელმწიფოს მიერ ამ საერთო ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება არ ხდებოდა. სახელმწიფო არ იყო უკანასკნელი სიტყვის მთქმელი, ადგილობრივი ფინანსების ჩამოყალიბებელი. თებერვლის შემდეგ მდგომარეობა

რეობა იცვლება. ახალ სოციალ-ეკონომიურ სისტემასთან შეფარდებით, ადგილობრივი ფინანსების ცენტრალიზაცია ხდება. სახელმწიფო არის ადგილობრივი საფინანსო მეურნეობის უმაღლესი გამგე.

ადგილობრივი ფინანსების გამგეობის მიზნით კომისარიატთან დაარსდა ადგილობრივი ფინანსების ქვე-განყოფილება, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელ განყოფილებად გარდაიქცა.

შემდეგს წ. ხდება ძლიერ მნიშვნელოვანი ცვლილება. არსდება ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა. ფედერატიულ საფუძველზე აგებულ სახელმწიფოს სათანადოდ ჩამოყალიბებული საფინანსო მეურნეობაც უნდა შეესაბამებოდეს. ხდება საფინანსო მეურნეობის გაერთიანება და არსდება ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც არის ა. კ. გაერთიანებული საფინანსო მეურნეობის უშუალო გამგე. კომისარიატს ჰყავს საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში რწმუნებულები, რომელნიც კომისარიატის დირექტივების მიხედვით მონაწილე რესპუბლიკის საფინანსო მეურნეობას განაგებენ. საქართველოში რწმუნებულს ჰყავს თავისი რწმუნებულები აქარასა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

1924 წ. მარტამდე რწმუნებულის სამმართველოს ადგილობრივ აგენტებს წარმოადგენდნენ იგივე საფინანსო და სააქციზო ინსპექციები. შემდეგ კი მდგომარეობა იცვლება. რთული საფინანსო მეურნეობის გამგებლობა ხსენებული აგენტების საშუალებით ძნელი იყო. ადგილობრივი მმართველობის ახალი სისტემაც თხოვლობდა ადგილობრივი საფინანსო მმართველობის სხვაგვარ ჩამოყალიბებას. 1924 წ. მარტში არსდება სამაზრო აღმ. კომიტეტებთან საფინანსო განყოფილება (სამფინგანი). ის ექვემდებარება რწმუნებულს სამმართველოს. სამმართველოს დირექტივებით ის აწარმოებს მაზრის მთელ საფინანსო მეურნეობას. საკასო საქმეც მის ხელშია. სამაზრო საფინანსო განყოფილებას ექვემდებარებიან საფინანსო და სააქციზო ინსპექტორებიც. იმავე წელს ხდება მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, დროთა მსვლელობაში, თავისებურ ორგანიზაციად ხდება, მას ევალება სახელმწიფო აპარატის გამოკვლევა-გაუმჯობესება. საკონტროლო ფუნქციებიდან ის განთავისუფლებულია. სამაგიეროდ თვით ფინანსთა კომისარიატთან და რწმუნებულის სამმართველოსთან არსდება საფინანსო-საკონტროლო განყოფილება, რომელიც სახელმწიფო კონტროლის დანიშნულებას ასრულებს. ეს ცნობები სრულებით საქმარისი ჩვენთა ანონისათვის და ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით აღარ შეუჩერდებით.

3. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობას ძველი აზრით ადგილი აღარ აქვს. საბჭოთა სახელმწიფოში ადგილობრივი ორგანო არ წარმოადგენს თვითმმართველობას. ის სახელმწიფოს ორგანოა, მას ექვემდებარება, ასრულებს მის დავალებას, ენაბრება მას ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების წარმოებაში.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ასეთი დანიშნულება და დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან გავლენას ახდენს სახელმწიფოს საფინანსო სისტემაზე.

გასაბჭოების შემდეგაც რჩება ფინანსების ორ ჯგუფად დაყოფა: სახელმწიფო და ადგილობრივი; მაგრამ ამ დაყოფას უკვე სხვა შინაარსი და მნიშვნე-

ლობა აქვს—ეს დაყოფა საეკონომიკური შეესაბამება სახელმწიფოს და ადგილობრივი ორგანოების ახალ დამოკიდებულებას.

ადგილობრივ ორგანოებს აქვს საკუთარი შემოსავალ-გასავალი, სახელმწიფოს საკუთარი.

დაყოფას საფუძვლად უდევს განსაზღვრული ინსტიტუტის მნიშვნელობა. იმისდა მიხედვით, არის ესა თუ ის მოვლენა ადგილობრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, ის თავს იჩენს ან ადგილობრივს, ან სახელმწიფო საფინანსო მეურნეობაში. ასეთი დაყოფა საერთოდ ძნელია, ის ცვალებადია დროისა და საჭიროების მიხედვით, აქედან გადატანა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივზე და პირიქით.

ა. კ. ფედერაციის დაარსებამდე საქართველოს საფინანსო მეურნეობას შეადგენდა ეს ორი ნაწილი: სახელმწიფო და ადგილობრივი საფინანსო მეურნეობა. ა. კ. ფედერაციის დაარსების შემდეგ ხდება ცვლილება, გამოწვეული ახალი კონსტიტუციით.

ფედერატიულ მთავრობას აქვს საკუთარი საერთო ამოცანები, რესპუბლიკისა და ადგილებსაც საკუთარი. არსდება ფედერატიული და რესპუბლიკანური კომისარიატები. ყოველი მათგანი ეწევა სხვადასხვა ხარჯს. როგორც ფედერატიულ მთავრობას, ისე რესპუბლიკანურსაც და ადგილობრივ ორგანოებსაც უნდა ჰქონდეს თავის განკარგულებაში განსაზღვრული თანხა. მათ თავისი ამოცანების გადაჭრისათვის სჭირდება განსაზღვრული ქონება, შეუწყვეტელი შემოსავალი. ცენტრალიზაციის ხარისხი, ცენტრალიზაციის ხასიათი განსაზღვრავს მათი საფინანსო მეურნეობის მოცულობას. ვინაიდან ფედერატიული კომისარიატები დიდ ხარჯებს იწვევენ, ფედერატიული საფინანსო მეურნეობა უფრო დიდი მოცულობისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე რესპუბლიკანური. ეს მომენტი ჩვენს საფინანსო მეურნეობის სისტემის განსაზღვრელია.

ფედერატიული ფინანსების ჩამოყალიბებისათვის არსებობს სამი გზა: ფედერაციისა და რესპუბლიკის აქვს შემოსავლის საკუთარი წყარო, ან ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა (საგადასახადო წყაროს სიმდიდრის ან მოსახლეობის სიმდიდრის მიხედვით) მისცემს ფედერაციას განსაზღვრულ თანხას ან და გატარებულია შერეული სისტემა. ა. კ. ფედერაცია თავისი ხასიათის მიხედვით პირველი გზით წაივდა და წარმოიშვა შემოსავლის ყველა წყაროთა ორ ჯგუფად დაყოფა: ფედერატიულსა და რესპუბლიკანურად.

მასთან გასავალიც, იმისდა მიხედვით არის კომისარიატი გაერთიანებული თუ არა, დაიყო ორ ჯგუფად: ფედერატიულსა და რესპუბლიკანურად. მათთან არსებობს მესამე ჯგუფიც: ადგილობრივი შემოსავალი და გასავალი. ვინაიდან ამ წერილის მიზანი არ არის ადგილობრივი ფინანსების გაშუქება (აქამდე ამ საკითხს იმდენად ვეხებოდით, რამდენად ეს საჭირო იყო სახელმწიფო ფინანსების გასაგებად), შემდეგში მას ჩვენ არც კი შეეხებით.

როგორი იყო შემოსავლის წყაროთა დანაწილება ფედერაციისა და რესპუბლიკის შორის 1923-24 წ.?

არსებული წესის მიხედვით, ფედერაციის შემოსავალს წარმოადგენდა: I. პირდაპირი ხარკები—მთლიანი სასოფლო სამეურნეო და სამეცკიდრეო; II..

არაპირდაპირი ხარკები—აქციზი და საბაჟო გადასახადი; III. საფასურები.—საღერ-
ბო და რამოდენიმე წერილმანი, როგორც მაგალითად, საკონსულო, სანავთსად-
გურო და სხვა. საკანცელარიო საფასური, შემოსული ფედერატიულ კომისარი-
ატში, ეკუთვნოდა ფედერაციას; IV. სახელმწიფო რევალიები ე. ი. ფოსტისა, ტე-
ლეგრაფისა, ტელეფონისა, რადიოსი, რკინის გზისა, სამონეტო, ფულისა და სხვა
ნიშნების დასამზადებელ ქარხნების, სახელმწიფო დაზღვევისა და ფლოტის შე-
მოსავალი, ნაპარტახები და კონფისკაცია-ქმნილი ქონება და კაპიტალები და სა-
კონცესიო თანხები. პირველი ხუთი წყაროს შემოსავალი უკვე 1923 წ. მილიო-
ნა საკავშირო ხარჯთ-ალრიცხვით. V. შემოსავალი ფედერატიული საეკპრო-სა-
მრეწველო სარეწაოებიდან. ამას უნდა დაუმატოთ კიდევ VI. სხვა და სხვა
წერილმანი შემოსავალი, VII. საბრუნავი თანხები და VIII. არაჩვეულებრივი შე-
მოსავალი.

რასაკვირველია წყაროების ეს აღნიშვნა იმას არ ნიშნავს კიდევ, რომ 1923-
24 წ. შემოსავალი ყველა წყაროებიდან შემოვიდა—ეს არის მხოლოდ სია იმ
წყაროთა, რომელიც მიეკუთვნა ფედერაციას. თუ რა შემოსავალი ჰქონდა ფე-
დერაციის ნამდვილად შემდეგ დავინახავთ.

ამ რიგად ფედერატიული შემოსავალი შესდგებოდა საკუთარის სახარკო
და არასახარკო შემოსავლიდან. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკიდან ფე-
დერაცია აძლევდა ანარიცხის სახით რესპუბლიკას $10\frac{1}{2}\%$ -ს და ადგილებს $25\frac{1}{2}\%$ -ს.

ფედერაციის ხარჯებს წარმოადგენდა შემდეგ უწყებათა ხარჯები: 1. ა.
ქ. ც. აღმასრულებელი კომიტეტისა, 2. ა. ჯ. სახალხო კომისართა საბჭოსი, 3.
შრომისა, 4. სასურსათოსი (შემდეგ მას ლიკვიდაცია უყვეს), 5. ფინანსთა, 6. ში-
ნაგანი ვაჭრობის, 7. სამხედრო კომისარიატებისა, 8. საგანგებო კომისიისა, 9.
მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, 10. კავშირის გზათა კომისარიატის რწმუნ-
ებულის სანმართველოსი (გარდა რკინის გზებისა), 11. საბაჟო, საპირაბო და
მთავარი სანიტარული სამმართველოსი.

რესპუბლიკას კი მიეკუთვნა შემდეგი წყაროები: I. პირდაპირი ხარკები:
a) სარეწავი ხარკი, b) საშემოსავლო ხარკი, c) გაუქმებულ პირდაპირ ხარკთა
ნარჩენები. II საფასურები: a) სასამართლო, b) საბუთების შეაოწმებისა, c) სასინ-
ჯო და მრავალი სხვა წერილმანი. III. შემოსავალი რესპუბლიკანური ქონებიდან,
IV. შემოსავალი სახელმწიფო სასოფლო-მეურნეობიდან და შესაქონლეობიდან.
V. შემოსავალი რესპუბლიკანური ვაჭრობა-მრეწველობიდან და ბანკებიდან. VI.
სხვა და სხვა წერილმანი შემოსავალი, VII. არაჩვეულებრივი შემოსავალი.

რესპუბლიკა ანარიცხის სახით აძლევდა ადგილებს შემდეგ თანხას: სარე-
წავი ხარკიდან $25\frac{1}{2}\%$ -ს, ხოლო $1/1V$ -იდან $40\frac{1}{2}\%$ -ს, საშემოსავლო ხარკიდან $25\frac{1}{2}\%$ -ს,
სატყეო შემოსავლიდან $25\frac{1}{2}\%$ -ს, ხოლო $1/1V$ -იდან $30\frac{1}{2}\%$ -ს, საძოვარის შემოსავ-
ლიდან $50\frac{1}{2}\%$ -ს.

მაშასადამე, რესპუბლიკის შემოსავალს შეადგენდა: $10\frac{1}{2}\%$ ანარიცხი
მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკიდან და საკუთარი სახარკო და არა სა-
ხარკო შემოსავალი.

რესპუბლიკის ხარჯები შედგებოდა გაუერთიანებელი კომისარიატების
ხარჯებისაგან. ეს კომისარიატები და დაწესებულებანი იყვნენ: 1. ც. აღმასრუ-

ლებელი კომიტეტი, 2. სახალხო კომისართა საბჭო, 3. ჯანმრთელობის, 4. განათლების, 5. მიწათ-მოქმედების, 6. იუსტიციის, 7. სოციალური უზრუნველყოფისა და 8. შინაგან საქმეთა კომისარიატები და 9. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო.

თუ დაუყვირდებით შემოსავლის მთავარ წყაროებს, დავინახავთ, რომ არაპირდაპირი ხარკები და სახელმწიფო რეგალიები მთლად ფედერაციას ეკუთვნის. პირდაპირი ხარკები და საფასურები დაყოფილია ფედერაციასა და რესპუბლიკებს შორის. სხვა და სხვა სარეწაოებისა და სახელმწიფო ქონების შემოსავალი ეკუთვნის ხან ფედერაციას, ხან რესპუბლიკებს, იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ამ ქონების ან სარეწაოს მფლობელი.

ნათლად ჩანს, რომ ფედერაციას მიეკუთვნა შემოსავლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყაროები,—ეს აიხსნება ფედერაციის ხასიათითა და დანიშნულებით.

ასეთი იყო ჩვენი საფინანსო სისტემა 1923-24 წ. შემოსავლის წყაროების და ხარჯების დანაწილების მხრივ. ეს სისტემა არის შედეგი ერთის მხრივ ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და მეორე მხრივ ახალი ეკონომიური პოლიტიკისა.

4. ქალაქის ფულის ტრიალის პირობებში, ფულისა, რომელიც დღით დღე იაფდებოდა, ურყევ ბიუჯეტის შედგენა შეუძლებელი საქმე იყო. შეიძლება მხოლოდ საორიენტაციო და პროვიზორული ბიუჯეტების შედგენა. რაკი საქართველოს გასაბჭოება 1921 წ. მოხდა, თებერვალში, ამიტომ ამ წელში საბიუჯეტო წელი შეიცავდა დროს 25 თებერვლიდან 31 დეკემბრამდე; მეორე საბიუჯეტო წელი იყო 1922 წელი. პირველ წელში არავითარი ბიუჯეტი არ გქმნია. მეორე წელში შედგენილი იყო მთელი წლის საორიენტაციო ბიუჯეტი გამოანგარიშებულ ოქროს მანეთებში.

ა. კ. ფედერაციის დაარსების შემდეგ საბიუჯეტო წლად მიღებულ იქნა, ისე როგორც რუსეთში, სამეურნეო წელიწადი, ე. ი. პერიოდი I. X—30/IX. ამიტომ გარდამავალ წელში, 1923 წ., საბიუჯეტო წელიწადი შეიცავდა მხოლოდ 9 თვეს 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე.

პირველი სრული საბიუჯეტო წელი, ამრიგად, არის 1923-24 წ., ის დაიწყო I ოქტომბერს და დამთავრდა 30 სექტემბერს 1924 წლისა. შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტისათვის მიღებულ იქნა რუსეთის მსგავსი ნომენკლატურა.

შემოსავლის ბიუჯეტი იყოფებოდა ორ ნაწილად: ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი შემოსავალი. ჩვეულებრივი შემოსავალი დაყოფილ იყო განყოფილებებად. ეს განყოფილებანი იყვნენ: I პირდაპირი ხარკები, II არაპირდაპირი ხარკები, III. საფასურები. IV. სახელმწიფო რეგალიები. V. შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან, VI. შემოსავალი სახელმწიფო სასოფლო-მეურნეობიდან და მესაქონლეობიდან, VII. შემოსავალი სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობიდან და ბანკებიდან, VIII. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება, IX. სხვადასხვა შემოსავალი. თვითთული განყოფილება იყოფებოდა პარაგრაფებად. მაგალ., პირველი განყოფილება დაყოფილ იყო ხუთ პარაგრაფად a. სასოფლო-სამეურნეო ხარკი, b. სარეწავი ხარკი, c. საშემოსავლო ხარკი, d. სამემკვიდრეო ხარკი და

ე. გაუქმებულ ხარკთა ნაშთები. თვითიული პარაგრაფი დაყოფილ იყო მუხლებად. მაგ., პირველი განყოფილების მეორე პარაგრაფი (სარწეწვი ხარკი) იყოფოდა შემდეგ მუხლებად: ა, საპატენტო ხარკი, ბ. გამთანაბრებელი ხარკი, გ. საურავი და დ. ჯარიმა.

მეორე ნაწილი, არაჩვეულებრივი შემოსავალი, იყოფებოდა მხოლოდ პარაგრაფებად: 1. არაჩვეულებრივად აღიარებული საკონცესიო თანხები. 2. სახელმწიფო ფონდის რეალიზაციიდან, 3. სათესლე და სასურსათო თესლის დაბრუნებიდან, 4. სესხიდან და საკრედიტო ოპერაციებიდან. პარაგრაფები აქაც დაყოფილი იყო მუხლობრივ. ამ რიგად შემოსავლის ბიუჯეტი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ცხრა განყოფილებისა და 41 პარაგრაფისაგან (ოთხი ეკუთვნოდა არაჩვეულებრივ შემოსავალს). მუხლების ნუმერაცია ხდებოდა თვითიულ პარაგრაფში ცალკედ და ყოველ პარაგრაფში ხელახლად იწყებოდა. სულ იყო 144 მუხლი.

გასავლის კლასიფიკაცია უფრო რთული იყო. მთელი გასავალი დაყოფილი იყო 15 განყოფილებად. I. კანონმდებლობა და უმაღლესი მმართველობა, II. საერთო შინაგანი მმართველობა, III. დაცვის ხარჯები, IV. სასამართლო გამასწორებელი დაწესებულებანი, V. განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, VI. ჯანმრთელობის დაცვა და ვეტერინარია, VII. სოციალური უზრუნველყოფა, VIII. საფინანსო მმართველობა. IX. მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, სასურსათო საქმე, X. ვაჭრობა მრეწველობა და სხვა.

ყოველ განყოფილებაში მოქცეული იყო ხსიათის მიხედვით ესა თუ ის კომისარიატი; თვითიული კომისარიატის ხარჯები იყოფებოდა პარაგრაფებად და ყოველი პარაგრაფი ეხლებად. ვინაიდან ყოველი კომისარიატის ხარჯების ხსიათი განსხვავდება ერთი მეორისაგან, ყოველ კომისარიატს რამოდენიმე პირველ პარაგრაფების შემდეგ ჰქონდა თავისი კლასიფიკაცია—კლასიფიკაცია საერთო ყველა კომისარიატებისთვის არ არსებობდა.

მაგ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯების ნომენკლატურა შემდეგი იყო: განყ. IV. სასამართლო და გამასწორებელი დაწესებულებანი. § 1. ხელფასი, § 2. სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები, § 3. გათბობა, § 4. ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ხარჯები, § 5. საგზაო კმაყოფა, § 6. სატრანსპორტო ხარჯები, § 7. სახელმწიფო შენობები, § 8. გამომცემლობა, § 9. მმართველობის სხვადასხვა ხარჯები, § 10. სასამართლოს მოწყობა მომზადება, § 11. თავისუფლების აღკვეთის ადგილების მსახურთა და მუშათა ბარჯთ უზრუნველყოფა, § 12. დაპატიმრებულთა შენახვა, § 13. თავისუფლების აღკვეთის ადგილების სახელოსნოების მოწყობა. განყ. VII. სოციალური უზრუნველყოფა. § 14. სოციალური დახლევის ანაჩიცი.

მაგალითისთვის მოვიყვანთ პირველი პარაგრაფის მუხლობრივ დაყოფას: 1. ცენტრალურ დაწესებულებათა ხელფასი, 2. ადგილობრივ დაწესებულებათა ხელფასი, 3. სასამართლო დაწესებულებათა ხელფასი, 4. თავისუფლების აღკვეთის ადგილების მსახურთა და მუშათა ხელფასი. 5. კონვოის ხელფასი. სულ იყო 25 მუხლი.

როგორც ვიცით, სახელმწიფო თავისი შემოსავლის განაზღვრულ ნაწილს ანარიცხის სახით ადგილებს აძლევდა. შემოსავლის ბიუჯეტში ნაჩვენებია იყო მხოლოდ სახელმწიფოს წილი, ე. ი. თანხები, რომელიც პრჩებოდა ანარიცხის გამოკლების შემდეგ. 1923-24 წ. ბიუჯეტი იყო, როგორც ეხლა იტყვიან, ნეტრო-ბიუჯეტი.

ბიუჯეტის შედგენა მიმდინარეობდა შემდეგნაირად: ყოველი კომისარიატი ადგენდა თავის ხარჯთ-ალრიცხვას. რწმუნებულის სამმართველო კი შეადგენდა შემოსავლის ალრიცხვას. ნავარაუდვეი შემოსავალ-გასავალი განიხილებოდა რწმუნებულის სამმართველოს საბიუჯეტო თათბირზე. შემდეგ მას განიხილავდა სახალხო კომისართა საბჭოს კომისია, მიღებულ ალრიცხვას ამტკიცებდა კომისართა საბჭო და შემდეგ კი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამის შემდეგ ის გაივლიდა იმავე სტადიებს. ა. კ. ფედერატიულ დაწესებულებებში. საბოლოო სიტყვა, ამ რიგად, ეკუთვნოდა ა. კ. ფედერატიულ ც. აღმ. კომ. ს. აშვარად ბიუჯეტის პროექტი იქცეოდა ბიუჯეტად, საფინანსო კანონად.

1923-24 წ. ჩვენ გვქონდა პროვიზორული და საორიენტაციო ბიუჯეტი.

შედგენილი იყო საორიენტაციოდ პირველი კვარტალისა, მეორე კვარტალისა და მეორე ნახევარ-წლის ბიუჯეტი. პირველი და მეორე კვარტალის ბიუჯეტი მოგვეპოვება საქართველოსა, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთისათვის. აჭარისათვის კი არა. მეორე ნახევარი წლის ბიუჯეტი მოგვეპოვება ყველა რესპუბლიკისათვის. აჭარისათვის გვაქვს მთელი წლის საორიენტაციო ბიუჯეტიც.

ცნობები საქართველოს და სამხრეთ ოსეთის პირველისა და მეორე კვარტალის ბიუჯეტის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ პარაგრაფების მიხედვით. მიუხედავად ასეთი სხვადასხვაობისა, ეს მასალა ჩვენ სრულ შექმნება გვადლევს, გამოვარკვიოთ ჩვენი მიზანი, სრულიად საქართველოს 1923-24 წ. რესპუბლიკანური ბიუჯეტი და მისი შესრულება თვითეული პარაგრაფის მიხედვით და ფედერატიული და საკავშირო შემოსავალ-გასავალი საქართველოს ფარგლებში.

5. მოკლედ შევჩერდებით იმ პირობებზე, რომელშიც მიდიოდა 1923-24 წ. ბიუჯეტის შესრულება.

ფულის ტრიალის მხრივ როგორც ფედერაციის, ისე რესპუბლიკის მფლობარეობა მეტად მძიმე იყო. საბიუჯეტო წელი დაიწყო ქალაქის ფულის ტრიალით. მასთან ეს ფული, ემისიის ზრდის გამო, დღით-დღე იაფდებოდა. გააფთება მიჯიოდა იმდენად სწრაფად, რომ სამეურნეო გეგმის განხორციელება ძლიერ გაძნელებული იყო. მდგომარეობას ამსუბუქებდა ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტები, რომელიც პარალელურად ტრიალებდა და რომელიც გახდა ანგარიშის ურყევ საფუძვლად.

1 ოქტომბერს 1923 წ. ერთი ჩერვონეცი ტფილისის ბირჟაზე ღირდა 52.700.000, 31 დეკემბერს 440.00.000 და ქალაქის ფულის ტრიალის უკანასკნელ დღეს ჩერვონეცის კურსი უდრიდა 125.000.000.000 მან.-ს.

ეს, რასაკვირველია, ძლიერ საგრძნობი იყო ჩვენი საფინანსო მეურნეობისთვის. თუმცა ბიუჯეტი ჩერვონულ მანეთებში იყო შედგენილი, მაგრამ შესასავალი შენრიდოდა ბონებით, რომელიც დღით-დღე იაფდებოდა; ეს რასა-

კვირველია ანცირებდა შემოსავალს. სახელმწიფოს კი თავისი ვალების გასტუმრება უხდებოდა ჩერვონეცის უკვე გადიდებული კურსის მიხედვით.

15 აპრილი 1914 წ. თვალსაჩინო თარიღია. ამ დღეს ნოხდა კურსის სტაბილიზაცია, შეწყდა ემისია. მთავრობა შეუდგა ქალაქის ფულის შესყიდვას და მოკლე ხანში ფულის რეფორმაც დამთავრდა: გამოსყიდულ იქმნა 16 კვადრალიონი მან. ოქროს კურსით. მათი ფასი უდრიდა 1.250 ათ. მ.-ს. საქართველოზე მოდიოდა 509 ათ. მ. ე. ი. ორი მესამელი.

ურყევი ჩერვონეცის შემოტანამ დადებითი გავლენა იქონია, როგორც მთელ სახალხო მეურნეობაზე, ისე საფინანსო მეურნეობაზედაც. საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარი მიმდინარეობს ურყევი ფულის ტრიალის პირობებში. 1923-24 წ. ითვლება მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინების წლად. სასოფლო მეურნეობისა და მუწველობის პროდუქცია საგრძობლად იზრდება. ფართოდება საკრედიტო დაწესებულებათა ქსელი. იზრდება ვაჭრობა. სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკა აღწევს მიზანს იმ მხრივ, რომ კერძო ვაჭრობა-მრეწველობა იკვეცება და სახელმწიფო და კოოპერატიული ფართოვდება.

ქალაქისა და სოფლის განხეთქილებამ, განოხატულმა ცნობილ „მაკრატელში“, უნაღლეს წერტილს წილწია სწორეთ 1923 წ. შემოდგომაზე. 1 ოქტომბერს სასოფლო-სამეურნეო ინდექსი უდრიდა 81-სა და საზრეწველო კი 114-ს. განსხვავება შეადგენდა 33-ს. (აღებულია საბითუმო ფასები ტუილისის ბაზარზე. საერთო ინდექსი=100). სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაიფების მიხეზით გლესს ფული არ მოვპოვებოდა, იგი ძლიერ გაღარიბებული იყო. ქალაქის პროდუქტებს იგი ვერ ყიდულობდა და მრეწველობაც ამის გამო დიდ კრიზისს განიცდიდა. მიღებული ზომების წყალობით გაიზარდა, სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების გაზიდვა, ფასმა აიწია, ქალაქის ნაწარმოების ფასი წავიდა დაცემის გზით და „მაკრატელმა“ თანდათან შეკეცა დაიწყო. 1924 წ. დაწყებისას განსხვავება შეადგენდა მხოლოდ 13-ს. 1923-24 წელი სახალხო მეურნეობის აღორძინების წელია, მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის ცალკე დარგები, მაგ. თამბაქოსი, დიდ კრიზისს განიცდიდა ამ დარგისათვის ცუდი კონიუნქტურის გამო.

სახალხო მეურნეობის თვითეული დარგის დახასიათებაზე ჩვენ აქ ვერ შეეჩრდებით – ეს ძალიან შორს წავიყვანდა. ჩვენი მიზნისათვის საკმარისია აქ მოყვანილი საერთო ცნობები.

ფულის რეფორმამ და სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებამ გავლენა იქონია საფინანსო მეურნეობაზე. 1923-24 წ. ეხედავთ საფინანსო მეურნეობის ზრდა-განვითარებას წინა წლებთან შედარებით.

მაგრამ 1923-24 წ. სახალხო მეურნეობა დიდად ჩამორჩენილია ომის წინანდელ სახალხო მეურნეობაზე. ამიტომ საფინანსო მეურნეობის მოცულობაც მცირეა, გეგმის შესრულებაც ძნელია.

1923-24 წ. ბიუჯეტი ჯერ კიდევ ღარიბი სახელმწიფოს ბიუჯეტია: ის აკმაყოფილებს შემოსავლის მიხედვით მხოლოდ აუცილებელ საჭირო მოთხოვნილებას. 1923-24 წ. ბიუჯეტი „მაგარი“ ბიუჯეტია. მის ჩარჩოებში ყოფნა ძნელი იყო. მაგრამ ამას ძოითხოვდა სახელმწიფოს საერთო მდგომარეობა.

დანიშნულება	%		შემოღება		%		შეტი + ნაღები		%		
	შან.	კ.	შან.	კ.	შან.	კ.	შან.	კ.			
განყ. I. კირდაკიირი ხარკები	192110	—	3.82	74151	26	3.41	—	57988	41	—	43.88
1. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარკი	13673846	—	46.36	1,477,195	02	58.89	—	920190	94	—	20.65
2. საოჯახო ხარკი	616120	—	17.83	37,482	22	7.5	—	241,207	25	—	30.16
3. საშემოსულო ხარკი	6192	50	0.18	102	06	0.47	+	4,113	73	+	07.07
4. გაკუმბულ პორდა. ხარკთა ნაშთები	2351785	50	68.08	1736116	50	79.55	—	615371	91	—	26.13
პირვ. განყოფ. ჯამი											
განყ. III. საფასურები	65556	—	1.90	61161	67	2.80	—	1391	33	—	2.12
19. სასამართლო, საკანცელარიო და სასაბჭოო				43930	190	2.15	—				
20. სხვა და სხვა საფასურები	65556	—	1.90	107315	57	4.05	+	41969	57	+	40.31
განყ. V. შემოსავალი სახელმწიფო კონტრაქტების	219256	—	7.19	64810	97	3.07	—	181615	161	—	73.16
19. შემოსავალი კონტრაქტების იჯარით გაქვითვადი	391730	—	9.83	199288	65	9.04	—	143161	45	—	42.23
31. საჯარო შემოსავალი	388190	—	11.62	102,299	02	12.11	—	25076	195	—	55.29
განყ. VI. შემოსავალი სახელმწიფო სასოფლო მეურნეობის	157841	—	4.57	87	0	—	—	137777	00	—	90.94
19. მიწის და მეურვეობის											
23. შემოსავალი სას. ბიუჯეტზე მყოფ მეურნ.				11	07	—	—				
24. შემოსავალი სახელმწიფო ანგარიშზე მყოფ მეურნ.	157841	—	4.57	98	07	—	—	137705	48	—	90.94
განყ. VII. შემოსავალი სახელმწიფო ვაჭრობა, მუშაობა											
19. შემოსავალი სახელმწიფო ვაჭრობა, მუშაობა და ბანკობა	1920	—	0.56	4681	61	0.22	—	42238	37	—	90.02
23. შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საოჯახო კონტრაქტების	50049	—	1.45	47776	65	2.20	—	2223	45	—	4.91
24. შემოსავალი სახელმწიფო ანგარიშზე მყოფ საოჯახო კონტრაქტების	90210	—	2.81	52158	28	2.12	—	41161	72	—	45.87
განყ. VIII. სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება	174070	—	5.07	596	63	0.03	—	17173	97	—	90.43
19. სხვა და სხვა სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურება	173970	—	5.07	596	63	0.03	—	17173	97	—	90.43
განყ. IX. სახელმწიფო შემოსავალი	19947	—	0.58	11895	16	0.53	—	8100	81	—	40.37
19. სხვა და სხვა სახელმწიფო შემოსავალი	19947	—	0.58	11895	16	0.53	—	8100	81	—	40.37
განყ. X. შემოსავალი	3,153,171	50	100	217,1919	72	110	—	4,283,221	78	—	37.14
მოლდ.											

„აქ ჩვენ განვიხილავთ საქართველოს მთელ სახელმწიფო შემოსავალს—ჯერ რესპუბლიკანურსა და შემდეგ ფედერატიულსა და საკავშიროს. ტაბ. № 1 (იხ. 187 გვ.) წარმოადგენს რესპუბლიკანურ ბიუჯეტსა და მისი შესრულებას შემოსავლითს ნაწილში.

სასოფლო-სამეურნეო ხარკი შემოტანილ იქნა საქართველოში სწორედ 1923/24 წელს. ხარკი გაწერილი იყო ხორბლის ერთეულებში. ერთი ფუთი ხორბალი მიღებულ იქნა ერთ მანეთად. ხარკის შეტანა შეიძლებოდა როგორც ნატურით, ისე ფულთ.

1923-24 წ. გაწერილი იყო 2306903 ფ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავეთ საქართველოში ხარკი გაწერილი იყო სიმინდის ერთეულში 1,5 ფ. სიმინდი მიღებულ იქნა ერთ ფუთ ხორბლად.

სათინანსო აპარატის ენერჯიული ზომების წყალობით აკრეფილ იქნა 1945275 ფ., ე. ი. გაწერილი რაოდენობის 84,3% დანარჩენი ნაწილი ჩაიწერა ნაშთად. ამ რაოდენობიდან ნატურით შემოვიდა მხოლოდ 182808 ფ.—9,4% ფულთ კი, ხორბლის ერთეულებში, 1762467 ფ.—90,6%. თუ იმავე რიცხვებს მანეთობით გამოვხატავთ, ამავე სტრატის მივლემთ, რადგანაც ერთი ფუთი ხორბალი ერთ მანეთად იყო მიღებული. მაგრამ ნამდვილად საქმის ვითარება სხვანაირი იყო. ფულთ შეტანილი ნაწილი შემოდიოდა ბონებით და მთელი წლის შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 741,5 მილ. მანეთი. დავალიანების შესრულების გამოსარკვევად პირველ რიცხვს უნდა დავეყაროთ, თინანსიური შედეგის გამოსარკვევად კი—მეორეს.

უკვე ვთქვი, რომ სასოფლო სამეურნეო ხარკიდან რესპუბლიკას ეძლეოდა მხოლოდ 10% ანარიცხის სახით. ბიუჯეტში შეტანილი იყო სწორედ 10% იმ თანხისა, რომლის შემოსვლა 1923-24 წ. მოსალოდნელი იყო, ბიუჯეტში შეტანილი იყო 132140 მან. რესპუბლიკამ კი ფაქტიურად მიიღო 74151 მან. ამ რიგად შესრულების % შეადგენს 56.12%-ს. მიუხედავად ამისა სასოფლო-სამეურნეო ხარკის მნიშვნელობა ბიუჯეტში და მის შესრულებაში თითქმის ერთი და იგივეა 3.82% და 3.41% სარეწავეი ხარკი შედგება ორი ნაწილისაგან—ძირითადი და გამათანაბრებელი ხარკი. ორივე, როგორც ვთქვი, ეკუთვნოდა რესპუბლიკას, ხოლო ადგილებს ანარიცხი ეძლეოდა (იხ. ზევით).

საბიუჯეტო წლის სახარკო კომპანია, ისე როგორც ეხლა, იყოფებოდა ორ ნახევარ-წლიან პერიოდად: 1 ოქტომბრიდან—31 მარტამდე და 1 აპრილიდან—30 სექტემბრამდე. ამას მიზნად ჰქონდა სინამდვილესთან უფრო სწორი შეგუება, ყველა ცვლილებებიც სარგებლობა. საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება. გატარებულ იქნა ს. ს. რ. კავშირთან სახარკო უნიფიკაცია. ა. კ. ფედერატიული მთავრობის სახარკო კანონმდებლობის ადგილი დაიკავა კავშირის სახარკო კანონმდებლობამ. ახალი წესით ძირითადი ხარკი გადიდებულ იქნა საშუალოდ 30-40%-ით. შეცვლილ იქნა გამათანაბრებელი ხარკის საფუძვლებიც. მოგების დაბეგოვის მაგივრად, შემოტანილ იქნა ბრუნვის დაბეგვვა, რაც უფრო მკაცრ დაბეგვრად უნდა ჩაითვალოს. ამრიგად, მეორე ნახევრიდან, სარეწავეი ხარკის ტვირთი გადიდებულ იქნა.

სარეწავი ხარკის შემოსავალი ნავარაუდები იყო 1597396 მან., შემოვიდა კი 1277196 მან. ამ რიგად, სარეწავი ხარკი შესრულებული იყო თითქმის 80%-ით. ძირითადი ხარკი მთლად შექოვიდა. ნაშთები გვაქვს ნხოლოდ გამთანაბრებელ ხარკში.

სარეწავი ხარკის მნიშვნელობა ბიუჯეტის შესრულებაში უფრო დიდია, ვიდრე ბიუჯეტში 58.80% და 16.26%^{1/10}, ამრიგად რესპუბლიკანური შემოსავლის ნახევარს წარმოადგენს მხოლოდ სარეწავი ხარკი. სარეწავი ხარკი რესპუბლიკანური შემოსავლის მთავარი წყაროა. სახარკო უნიფიკაციას საშემოსავლო ხარკისათვისაც მოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებანი.

მეორე ნახევარში ხარკი იყოფა ორ ნაწილად—საკლასო და საერთო შემოსავლის მიხედვით (ძირითადი და დამატებითი). შემოტანილია ქონებრივი ხარკიც: გატარებულია საკეშირო განაკვეთებიც, რის შედეგი სახარკო ტვირთის გადიდება იყო.

რესპუბლიკის წილი ნავარაუდები იყო 616120 მან., შემოვიდა კი 371522 მ. შესრულების % შეადგენს 60.81%^{1/10}, საშემოსავლო ხარკის მნიშვნელობა, როგორც ბიუჯეტში, ისე შესრულებაში თითქმის უცვლელია 17.83 და 17.26%^{1/10}, საშემოსავლო ხარკს ჯერ კიდევ არ უკავია ის ადგილი, რომელიც მას კანონმდებლის აზრით უნდა ეკავოს, როგორც პერსონალურ ხარკს.

საშემოსავლო ხარკი მეორე ნახევარში ვერ ჩატარდა რიგიანად. ამის მიზეზი იყო ხსენებული გარდატეხა. საფინანსო აპარატს არ ჰქონდა არც დრო და არც ძალა, სრულიად აღერიცხა გადამხდელთა, ახალი დებულებით გაფართოებული, ჯგუფი.

საფასურები ნავარაუდები იყო 65655 მან. სულ კი შემოვიდა 107515 მან. ან 16.34%^{1/10}-ზე მეტი. ასეთი შესრულება ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ საფასური უცხოეთის პასპორტის გაცემისათვის რესპუბლიკის გადაეცა. საფასურის მნიშვნელობა ბიუჯეტის შესრულებაში აიწია 1.95%^{1/10}-ით, ბიუჯეტში კი ის არ აღემატებოდა 1.90%^{1/10}-ს.

ეხლა შეუდგეთ შემოსავალს სახელმწიფო ქონებიდან. სახელმწიფოს რევოლუციამდისაც ჰქონდა ქონება. რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს ქონებრივი ფონდი გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფოს ქონებრივი ფონდი კიდევ უფრო გამდიდრდა. დღეს სახელმწიფოს ეკუთვნის ტყეები, საძოვარი, სათევზაო და სანადირო ადგილები, მრავალი შენობები, ბაღები, ბაღჩები, სახნავი მიწები, სათიბები და სხვა. ამ ქონებას სახელმწიფო ან იჯარით გასცეკვს ხოლმე ან თვითონ სარგებლობს.

ქონების იჯარით გაცემისაგან ნავარაუდები იყო 21525 მ. შემოვიდა კი 6661 მ. შესრულების % შეადგენს მხოლოდ 22.81%^{1/10}-ს. მისი მნიშვნელობა ბიუჯეტში 7.19%^{1/10}-ია და შესრულებაში კი მხოლოდ 3.07%^{1/10}.

უფრო მნიშვნელოვანია სატყეო შემოსავალი. უკანასკნელი ნავარაუდები იყო 339750 მ., შემოვიდა კი ნაკლები—196288 მ. ე. ი. 42.23%^{1/10}-ით ნაკლები. მისი მნიშვნელობა ბიუჯეტში და შესრულებაში დიდად არ განსხვავდება: 11.83 და 9.01%^{1/10}.

ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ ნამდვილად მეტი შემოვიდა, ვიდრე ბიუჯეტის შესრულებაშია ნაჩვენები. თანხები, რომელიც არ არის ნაჩვენები ბიუჯეტში. დანხარჯა უშუალოდ იმ უწყებათა მიერ, რომელნიც იმ თანხებს ლეგულაზდენ. ეს ნართლუებოდა იმით, რომ საჭირო იყო მიღებული ფულის მაშინვე დახარჯვა, მისი სწრაფი გაიაფების გამო.

მაგრამ შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან მაინც არ არის დიდი. ქალაქის ფულის მეურნეობამ, სახალხო მეურნეობის საერთო დაცემამ აქაც იქონია გავლენა.

სახელმწიფო სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ ნორჩია. ის ორგანიზაციის პროცესში იმყოფება, როგორც ახალი საქმე ფართე მასშტაბით. ბიუჯეტში შეტანილი იყო შემოსავალი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი მეურნეობებიდან 157535 მან. შემოსავალი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მეურნეობებიდან ბიუჯეტში შეტანილი არ იყო, რადგანაც ასეთი შემოსავალი მოსალოდნელი არ იყო. მაგრამ შეტანილი თანხაც არ გამართლდა.

სახელმწიფო დღეს აქტიური მეურნე სუბიექტია. ის აწარმოებს ვაჭრობა-მრეწველობას. ამ დარგში ის სრული ბატონიც არის, რადგანაც მთელი მსხვილი და მნიშვნელოვანი მეურნეობა მის ხელში იმყოფება.

შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სარეწაოებიდან ნავარაუდები იყო 46920 მ. (საერთო შემოსავლის 1.36%, შემოვიდა კი მხოლოდ 4681 მან., საერთო შემოსავლის 0.22%); ამ რიგად შესრულების % არ აღემატება 9.92%-ს უკეთესია მდგომარეობა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სარეწაოთა დარგში. აქ ნავარაუდები იყო 50000 მან. შემოვიდა კი 47776 მ. ე. ი. შესრულების % შეადგენს 95.05% -ს. ბიუჯეტის შესრულებაში მისი მნიშვნელობაც გაზრდილია 1.45%-იდან 2.20-დე.

მთელი შემოსავალი სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობა-ბანკებიდან ნავარაუდები იყო 96920 მან. (საერთო შემოსავლის 2.81%) და შემოვიდა კი 45.87 " -ით ნაკლები, ე. ი. 52458 მან. (საერთო შემოსავლის 2.42%). სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობაც ჯერ ნორჩია, ისიც იმყოფება ორგანიზაციის პროცესში. ვაჭრობა-მრეწველობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია ომის წინა ნორმებს. მასთან სახელმწიფო სარეწაოებს, დებულების მიხედვით, სახელმწიფო სალაროში შეაქვეთ მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი მოგებისა და არა მთელი მოგება. მაგრამ ეს ნაწილიც არ შეაქვეთ ყოველთვის. სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობა ღარიბია კაპიტალებით და მოგება ხშირად მოხმარებულია კაპიტალის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, ზოგიერთი სარეწაო იჩენს თავისებურ „პატრიოტიზმს“, და „სამეურნეო ინტერესს“. მათ ავიწყდებათ, რომ ისინი სახელმწიფო სარეწაოები არის და მისდევენ რა სარეწაოს ზრდა-განვითარებას უგულოდ უხსნიან მთავრობას თავის ანგარიშებს და აძლევენ მას თავის მოგებას. ბოლო ხანში ასეთი სარეწაოების მიმართ მიღებული იქნა მკაცრი ზომები. რწმუნებულის სამმართველო ინტენსივრად იხილავს სარეწაოთა ბალანსებს და მოკლე ხანში დამყარდება ნორმალური მდგომარეობა. დანარჩენი შემოსავალი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათზე ჩვენ არ შევჩერდებით.

მთელი რესპუბლიკანური შემოსავალი სრულიად საქართველოში ნავარაუდევნი იყო 3.155.171 მ. 50 კ. ფაქტიურად კი შემოვიდა 2.171.949 მ. 72 კ. ე. ი. 1.283.221 მ. 78 კ.-ით ანუ 37.14%-ით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს მხოლოდ 62.80%-ს. რა მიზეზები ჰქონდა ასეთ შესრულებას, ჩვენ უკვე ვიცით.

რესპუბლიკის შემოსავლის ბიუჯეტში პირველი ადგილი უკავია პირდაპირ ხარკებს 79.95%. ამ განყოფილების შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან 12.11%. მესამე ადგილი უკავია საფასურებს 1.95%, მეოთხე კი სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის შემოსავალს 2.42%. საფასური მეტს შემოსავალს იძლევა, ვიდრე სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობა.

ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია შემოსავალთა ორ ჯგუფად დაყოფა: სახარკოდ და არა სახარკოდ.

ჩვენ სახარკო შემოსავალს წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი ხარკები. ამ რიგად რესპუბლიკანურ შემოსავალში სახარკო შემოსავალი შეადგენს 1736419 მ. 59 კ.-ს ან 79.95%-ს და არასახარკო 435533 მ. 14 კ. ან 20.05%ს. ე. ი. არასახარკო შემოსავალი შეადგენს საერთო შემოსავლის მხოლოდ 1/-ს. ეს არ არის ის სურათი, რომელსაც მისდევს საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობა არანორმალურია. საბჭოთა ხელისუფლების მიზანია უკუქცევითი მიპართება. მისი აზრით შემოსავლის უდიდეს ნაწილს სწორედ არასახარკო შემოსავალი უნდა შეადგენდეს. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს მისაღწევად არის, ვინაიდან სახელმწიფოს დიდი ქონება აქვს, ვინაიდან ვაჭრობა-მრეწველობა მის ხელში იპყრება. საბჭოთა ხელისუფლებას ჰსურს სახარკო ტვირთის შემცირება და თვით გაუქმებაც, რომ მოსახლეობამ ეს თანხა თვითონ ნაყოფიერად მოიხმაროს.

მოყვანილი მაშართება 1923-24 წ. აიხსნებოდა სახალხო მეურნეობის მაშინდელი მდგომარეობით. სახელმწიფო მეურნეობა ჯერ კიდევ არ იღვა მტკიცე და ჯანსაღ ნიადაგზე.

შემდეგში საბჭოთა ხელისუფლება წავიდა სასოფლო-სამეურნეო ხარკის შემცირების საშუალებით, სახარკო ტვირთის და სახარკო შემოსავლის მნიშვნელობის შემცირების გზით. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად მიღწეულია საბოლოო მიზანი.

სრულიად საქართველოს შემოსავალი რესპუბლიკანური ბიუჯეტით საშუალოდ ერთ მკხოვრებზე შეადგენდა ალბებულ წ. 0,98 მ. ეხლა განვიხილავთ საერთო რესპუბლიკანურ შემოსავალში ავტონომიური რესპუბლიკების მონაწილეობის ხარისხს და მასთან შედარებით მოსახლეობასთან.

სრულიად საქართველოს შემოსავალი, როგორც ვიცით, შეადგენდა 2171949 მან. 73 კ. საქართველოს (სამხრეთ-ოსეთით) შემოსავალი უდრიდა 1816452 მ. 51 კ. ან 83,63%, აჭარისა 181207 მ. 66 კ. ან 8,33% და აფხაზეთისა— 174289 მ. 56 კ. ან 8,04%.

მოსახლეობის დანაწილება კი შემდეგ სურათს გვაძლევს: საქართველო (სამხრეთ-ოსეთით) 2166667 ან 87,77%, აჭარისტანი 128010 ან 5,18%, აფხაზეთი 174754 ან 7,05%.

შემოსავლის დაყოფა არ არის შეთანხმებული მოსახლეობის დაყოფასთან, საქართველოს მოსახლეობის წილი უფრო დიდია, ვიდრე შემოსავლის წილი, პირიქითი მდგომარეობა გვაქვს ავტონომიურ რესპუბლიკებში. აქ მოსახლეობის წილი უფრო მცირეა, ვიდრე შემოსავლისა. მასთან აქარის მდგომარეობა უფრო კარგია, ვიდრე აფხაზეთისა. ასეთსავე სურათს გვაძლევს საშუალო შემოსავალი ერთ მცხოვრებზე. უკანასკნელი საქართველოში უდრის 0,54 მ. მ., აფხაზეთში 1,00 მ. და აჭარაში 1.42 მან. ს.

როგორც საქართველოში, ისე ავტონომიურ რესპუბლიკებში ერთი და იგივე საფინანსო სისტემა სწარმოებს, განაკვეთებიც თანაბარია. ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო აპარატიც დამაკმაყოფილებელია. საქართველოში ბიუჯეტის (კერძოდ შემოსავლის მთავარი ნაწილის—პირდაპირი ხარკების) შესრულების % უფრო დიდია, ვიდრე ავტონომიებში. ბიუჯეტის შესრულების % საქართველოში შეადგენს—64,8%/ს, აჭარაში—50,4%, აფხაზეთში—59,9%/ს. პირდაპირი ხარკებისათვის გვაქვს შემდეგი %: საქართველოში—77,3%/ს, აჭარაში—57,2%/ს, აფხაზეთში—63,6%/ს. მიუხედავად ყველა ამისა ავტონომიური რესპუბლიკების შემოსავლის ნაწილი უფრო დიდია, ვიდრე მოსახლეობის, საშუალო შემოსავალიც უფრო დიდია. აქ უკუქცევითი მიმართებაც გვაქვს: რაც უფრო მცირეა მოსახლეობის ნაწილი და ბიუჯეტის შესრულების %, იმდენად უფრო დიდია შემოსავლის წილი და საშუალო შემოსავალი. არა მხოლოდ ბიუჯეტის შესრულებაში, არამედ თვით ბიუჯეტშიც იმავე ხასიათის სურათი გვაქვს.

რას ნიშნავს და რითი აიხსნება ეს მოვლენა?

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ავტონომიური რესპუბლიკები ფინანსაურად უფრო მძლავრი არიან, ვიდრე საქართველო¹.

7. ფედერატიულ ბიუჯეტში მოთავსებულია მთელი ამიერ-კავკასიის ფედერატიული შემოსავალი. ბიუჯეტში არ არის ნაჩვენები თვითმული რესპუბლიკისათვის ნავარაუდები შემოსავალი. აქ გამოყვანილია თვითმული მუხლისათვის მხოლოდ ერთი საერთო რიცხვი. ამიტომ აქ ჯერ მოვიყვანთ საქართველოსათვის ნავარაუდები ფედერატიული შემოსავლის და მისი შესრულების %-ს. აქ მხოლოდ 1923-24 წ. ფაქტიური ფედერატიული შემოსავლის მოყვანით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ქვემოთ (ტაბ. № 2) მოყვანილია პთელი ფედერატიული შემოსავალი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ რიგად, ტაბულაში მოთავსებულია არა მხოლოდ სამწირო ხაზინების, არამედ ცენტრალური სალაროს ცნობებიც. გაერთიანებულ საფინანსო მეთურნობის პირობებში ამ ცნობებს საკასო ცნობების ხასიათი აქვს. მაგრამ ამ ცნობებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საფინანსო მეთურნობისა და სიძლიერის დახასიათებისთვისაც.

ფედერატიულ შემოსავალში ნაჩვენებია სასოფლო სამეურნეო ხარკის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება ანარიცხების გამოკლების შემდეგ. ფედერაციის წილმა შეადგინა 434684 მ. 20 კ. ანუ 3,97%.

¹ საქართველოს (უაფხაზეთოდ) შემოსავალი 1921 წ.—1.118,650 მ., 1922 წ.—5.310,72 მ., რესპუბლიკანური 1923 წ. (ცხრა თვე—იანვარი-სექტემბერი)—917,526 მ.

სამემკვიდრეო ხარკის შემოსავალი შეადგენდა 22241 მ. 18 კ.ს ან 0,21¹/₆ ს. მსხვილი მამულების გაუქმების გამო სამემკვიდრეო ხარკის მნიშვნელობა არც შეიძლება დიდი იქნეს.

ფედერატიული ბიუჯეტის მთავარ წყაროს წარმოადგენდა არაპირდაპირი ხარკები. უკანასკნელს ფედერატიულ შემოსავალში იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირდაპირ ხარკებს რესპუბლიკანურში. არაპირდაპირ ხარკთა შორის პირველი ადგილი უკავია ბაეებს (2403694 მ. ან 21,97¹/₆) და შაქრის აქციზს—(2279.445 მ. 20,83¹/₆). საპატიო ადგილი უკავია თამბაქოსა (1093778 მ. ან 10¹/₆) და ლენის (1007681 მ. ან 9,21¹/₆) აქციზს.

შემოსავალი არაპირდაპირი ხარკებიდან შეადგენდა მთლად 7869560 მ. ან 71,92¹/₆. საფასურების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საღებრო გადასახალი (1061438 მ. ან 9,70¹/₆). საფასურების მთელმა შემოსავალმა კი შეადგინა 1125126 მ. ან 10,28¹/₆.

ფედერატიული ვაჭრობა-მრეწველობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან უკანასკნელი უმთავრესად რესპუბლიკების ხელში იმყოფება. რესპუბლიკები მხოლოდ საგარეო ვაჭრობას არიან მოშორებული. ვაჭრობა-მრეწველობიდან ფედერაციამ მიიღო სულ 302436 მ. ან 2,72¹/₆.

ფედერაციას საკუთარი სესხი არ გამოუშვია. მან მოახდინა მხოლოდ საკავშირო სესხების რეალიზაცია, რაშიდაც მიიღო განალღებული თანხის ნაწილი — 48458 მ. არაჩვეულებრივი შემოსავალი ერთად შეადგენდა 160734 მ. ან 1,47¹/₆ ს, სრულიად საქართველოში შემოსული ფედერატიული შემოსავალი შეადგენდა 10,941.525 მ. 20 კ.ს.

შემოსავალთა მნიშვნელობის თანმიმდევრობის მხრივ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: პირველი ადგილი უკავია არაპირდაპირ ხარკებს,—71,92¹/₆, მეორე—საღებრო გადასახდის წყალობით საფასურებს—10,28¹/₆, მესამე (თუ არ გაუწვეთ ანგარიშს სახელმწიფო ხარჯების ანაზღაურებას)—პირდაპირ ხარკებს—4,18¹/₆ და მეოთხე—ვაჭრობა-მრეწველობის შემოსავალს—2,76¹/₆. სხვა წყაროები უმნიშვნელოა.

1923-24 წ. სახალხო მეურნეობის აღორძინებამ კარგი გავლენა იქონია ფედერატიულ ფინანსებზედაც. მოხმარებისა და წარმოების გაფართოვებამ გაადიდა არაპირდაპირ ხარკთა შემოსავალიც. ფედერატიული საფინანსო მეურნეობის მოცულობა საერთოდ გაიზარდა შედარებით წარსულ წელთან.

ფედერატიულ შემოსავალში სახარკო შემოსავალი შეადგენს 8326485 მ. 33 კ. და არასახარკო 2.615.039 მ. 82 კ. . ე. ი. 76,10¹/₆ და 23,90¹/₆ ს. აქაც სახარკო შემოსავალი სკაბობს. მიმართება თითქმის იგივეა, როგორც რესპუბლიკანურ ბიუჯეტში.

ბაშასადამე, ჩვენ არა მხოლოდ რესპუბლიკანურ ან ფედერატიულ შემოსავალში, არამედ საერთოდ გვაქვს ეს არასასურველი სურათი¹.

ს. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები სახელმწიფო რეგალიების შემოსავალზედაც. სრულიად საქართველოს რკინის გზების შემოსავალი (საკასო) შეადგენდა 1923—24 წ. 19.703.742 მ. 63 კ. ს. ამ თანხებიდან აქარის შემოსავალი შეად-

¹) 1923 წ. ფედერატიული შემოსავალი (ცხრა თვე) უდრიდა—2.349.000 მ.

	მან.	ქ.	%
ა. ჩვეულებრივი შემოსავალი			
განუ. I. პირდაპირი ხარკები.			
1. სასოფლო-სამეურნეო ხარკი	434681	20	3,97
4. სამემკვიდრეო ხარკი	22241	18	0,21
პირუ. განუ. ჯამი .			
	456925	38	4,18
განუ. II. არაპირდაპირი ხარკები.			
6. ლინის აქციები და სააქტივო ხარკი .	1007681	43	9,21
7. შაქრის აქციები	2.279.445	47	20,83
8. ჩაისა და ყავის აქციები .	245935	20	2,27
9. ასანთის აქციები	97195	36	0,89
10. თამბაქოს აქციები	1098778	17	10,00
11. ჰილზისა და პაპიროსის ქაღალდის აქციები	139149	59	1,27
12. მარლის აქციები	88491	72	0,81
13. ნავთის ნაწარმოების აქციები	328515	78	3,00
14. სახლის აქციები	40064	41	0,37
15. საფეიქრო ნაწარმოების აქციები	129913	38	1,19
16. რეზინის კალოშების აქციები .	12611	91	0,11
17. საბაჟოების შემოსავალი	2.103691	55	21,97
შეორე განუ. ჯამი .			
	7369560	—	71,92
განუ. III. საფასურები.			
18. საღებრო გადასახადი	1061438	47	9,70
19. სასამართლო, საკანცელარიო და საბუთებისა	6189	95	0,06
20. სხვადასხვა	57488	04	0,52
შესამე განუ. ჯამი .			
	1125126	46	10,28
განუ. IV. სახელმწიფო რეგალიები.			
§ 21. შემოსავალი ფულისა და სხვა ნიშნების დამაშ. ქარხნ.	1133	29	0,04
შეოთხე განუ. ჯამი .			
	4133	29	0,04
განუ. V. შემოსავალი სახელმწიფო კონტებიდან.			
§ 30. შემოსავალი კონტების იჯარით ვაცემიდან	104	25	—
მეხუთე განუ. ჯამი .			
	104	25	—
განუ. VII. შემოსავალი სახ. ვაჭრობა-მრეწ. და ბანკებიდან.			
34. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ. სარეწაოებიდან	1360	57	0,01
35. სამეურნეო ანგარიშზე	182832	53	1,67
36. შემოსავალი საგარეო ვაჭრობიდან	118183	21	1,08
მეშვიდე განუ. ჯამი .			
	302436	12	2,76
განუ. VIII. სახელმწ. ხარჯების ანაზღაურება.			
§ 39. სესხის და ხარჯების დაბრუნება	915683	29	8,37
შეოთხე განუ. ჯამი .			
	915683	29	8,37
განუ. IX. სხვადასხვა შემოსავალი.			
§ 40. სხვადასხვა შემოსავალი	106821	63	0,98
შეცხბე განუ. ჯამი			
	106821	63	0,98
ბ. არჩვეულპირივი შემოსავალი.			
2. სახელმწიფო ფონდის რეალიზაციიდან	112100	94	1,03
3. სათვისლე და სასურსათო სესხის დაბრუნება	175	64	—
4. სესხიდან და საკრედიტო ოპერაციებიდან	48458	20	0,44
არაჩვეულ. შემ. მთლად .			
	160731	78	1,47
შედეგარტ. შემ. მთლად			
	10941525	20	100

(ტაბულა № 2).

გენდა 4.584.859 მ. 29 კ. სრულიად საქართველოს ფოსტის შემოსავალი იმავე წ. შეადგენდა 487862 მ. 57 კ. ტელეგრაფისა 566136 მ. 89 კ.ს, რადიოსი 7436 მ. 44 კ.ს, ტელეფონისა 258019 მ. 63 კ.ს, სხვა 29204 მ. 12 კ., საერთოდ კი— 1.348.659 მ. 65 კ.ს—უკანასკნელი თანხა შეიძლება ჩაითვალოს თვით საქართველოს შემოსავლად. ხსენებული რეგალიების შემოსავალი ერთად შეადგენდა 21.052.102 მ. 28 კ.

9. ამ რიგად სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე მიღებულ სახელმწიფო შემოსავალმა 1923-24 წ. შეადგინა 2 179.949 მ. 72 კ.+10.941.525 მ. 20 კ.+21.052.402 მ. 28 კ. ან 34.165.877 მ. 20 კ.

1924 წ. გვექონდა ცხრათვიანი ადგილობრივი ბიუჯეტი, იანვარი—სექტემბერი, რომელიც უდრიდა 15 063.509 მ. 07 კ.ს, თუ ამ ბიუჯეტს გადავიყვანთ მთელ წელზე, მივიღებთ დაახლოვებით წლიურ ბიუჯეტს—20.081.678 მ. 76 კ. ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ ცხრათვიან ბიუჯეტში 356 854 მ. 77 კ. წარმოადგენდა დოქაციას. 13 მაზრის და 2 ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება შეადგენდა 66% (სხვა ერთეულებზე, სამწუხაროდ, აქამდე ცნობა არა გვაქვს) ¹.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ,—რაც ჩვენ რესპუბლიკანური ბიუჯეტის განხილვის თავი დავანებეთ, საქმე გვაქვს უმთავრესად საკასო შემოსავალთან. ამ რიცხვებზე დაყრდნობით, რთული გამოანგარიშებით, შეიძლება საქართველოს საფინანსო ძალის გამოანგარიშება (დღეს ეს აქ არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს), მაგრამ თვით ეს რიცხვები არ არის ამ ძალის ხარისხის სწორი მაჩვენებელი.

10. ეხლა შეგვიძლია შეუდგეთ სახელმწიფო ხარჯებს. ჯერ განვიხილოთ რესპუბლიკანური ხარჯები (იხ. ტაბ. № 3).

1923-24 წ. ბიუჯეტით ყველაზე უფრო მცირე ხარჯები ჰქონდა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—50015 მ. 92 კ. ან საერთო ხარჯების 0,70%¹, დიდი არ არის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოსი და ც. ა. კ. ხარჯებიც—122979 მ. ან 1,71%¹ და 130231 მ. ან 1.82%¹.

ყველაზე უფრო დიდია იუსტიციისა (701459 მ. ან 9,78%¹), შინაგან საქმეთა (894994 მ. ან 12,48%¹) და ჯანმრთელობის (903383 მ. ან 12,60%¹) კომისარიატების ხარჯები. არაწვეულებრივი ადგილი უკავია განათლების სახალხო კომისარიატს. მისი ხარჯები შეადგენდა 4640685 მ. ან ყველა რესპუბლიკანური ხარჯების 50,78%¹, ე. ი. ნახევარზე ცოტათი მეტს. სტატ. ც. სამ. დახარჯა ნავარაუდევ თანხაზე 4663 მ. ან 3.94%¹ მეტი. ყველა სხვა კომისარიატების ხარჯები ნაკლები იყო ბიუჯეტში მიღებულთან შედარებით. ც. ა. კ. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 85,17%¹, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის 86, 22%¹, ბიუჯეტის შესრულების მხრითაც სახალხო განათლების კომისარიატის მდგომარეობა უკეთესია. მისი ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 95,08%¹.

როგორც მოყვანილი ტაბულიდან ჩანს, ჩვენ ყველა ხარჯები დანიშნულების მიხედვით დაყავით.

¹) მთელი წლის ადგილობრივი ფაქტურის შემოსავალი, გამოანგარიშებული ცხრათვიანი ბიუჯეტის და მისი შესრულების მიხედვით შეადგენს 12.936.000 მან. ამ რიგად 1923-24 წ. მთელი შემოსავალი შეადგენს 17.110 278 მ.

ბარჯების დასახელება	დანიშნულია		დახარჯულია		შეტი + ნაკლები				
	მან.	პ. %	მან.	პ. %	მან.	პ. %			
I. შპს-ების დასახელები									
I. შპს-ების დასახელები									
აღმინისტრატორული ხარჯები.									
ა. კ.ი		1,76	190231	71	1,82	22071	20	14,83	
საბ. კომ. საბ. კომ.		9,64	205278	23	4,13	21568	77	6,91	
შენაგ. საკმ. საბ. კომ.		10,92	891994	89	12,18	34746	11	5,76	
ფსტრის საბ. კომ.		8,06	701450	19	9,78	51873	81	6,84	
სტატისტიკის ც. სამმართველო.		1,36	122970	50	1,71	4663	50	3,94	
	2201142	26,31	2 144,943	59	29,92	-116198	48	6,38	
ბ. სამეურნეო აღმ. ნისტ. ხარჯ.									
მიწათმოქმ. საბ. კომ.		5,53	490946	29	6,00	-49628	71	10,43	
	480475	5,53	490946	29	6,00	-49628	71	20,33	
მილად სამ. აღმ.									
მილად შპს-თვ. ხარჯ.		31,88	2575789	81	35,92	-195827	19	7,44	
	2771617	31,88	2575789	81	35,92	-195827	19	7,44	
II. სოციალ-კულტურული ხარჯები.									
სახალხო განათლ. კომ.		56,13	4 610 685	28	5,78	-298590	72	4,92	
ჯანმრთელობის საბ. კომ.		11,31	903388	18	12,60	- 80 62	82	8,15	
სოც. უზრუნველ. საბ. კომ.		0,63	50015	92	0,70	-	7903	06	13,78
მილად სოც. კულტ. ხარჯები.		66,12	5534084	38	64,08	-327736	62	5,53	
მილად რესპუბ. ხარჯები.		10,0	8168914	20	10,0	-328023	71	0,02	
	5921821	66,12	5534084	38	64,08	-327736	62	5,53	
	8083498	10,0	8168914	20	10,0	-328023	71	0,02	

რესპუბლიკანურ ხარჯებში ადმინისტრატ. ხარჯები შეადგენდა 2144943 მ. ან 29,92%/ს (ნავარაუდები იყო 2291142 ანუ 26,34%/ს). შესრულების % შეადგენს 93,32%/ს.

სამეურნეო-ადმინისტრაციული ხარჯები შედგება მხოლოდ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯებისაგან. ამ კომისარიატის ხარჯები შეადგენდა 430846 მ.ს., ნავარაუდებზე 49628 მ. ან 10,33% ნაკლებს.

მმართველობის მთელი ხარჯები კი შეადგენდა 2575789 მ. ან 35,92%/ს. ნავარაუდები იყო 2771617 მ. ან ყველა ხარჯების 31,89%/ს. მმართველობის ხარჯების შესრულება შეადგენს 92,94%/ს.

სოციალ-კულტურული ხარჯები ნავარაუდები იყო 5921821 მანეთი ან 68,12%/ს. ფაქტიურად დაინარჯა 327736 მ. ან 5,53%/ს-ით ნაკლები ე. ი. რესპუბლიკის სოციალ კულტურული ხარჯები უდრიდა 5594084 მ. ს. ან ყველა ხარჯების 64,08%/ს.

ამ რიგად, ყველა ხარჯების ორ ჯგუფად დაყოფის შემდეგ ვლდებულობთ, რომ მმართველობის ხარჯები შეადგენდა 35,92%/ს და სოციალ-კულტურული 64,08%/ს.

1923-24 წ. მთელი რესპუბლიკანური გასაველი შედგენდა 8169814 მ. 29 კ. ს. ნავარაუდები იყო 8693438 მ. გასაველითი ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 93,88%/ს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ვიძლევიტ ნავარაუდებისა და ფაქტიური ხარჯების შედარებას. წლის განმავლობაში გახსნილი კრედიტები თითქმის მთლიანად რქნა, ამოწურული.

მოყვანილი ცნობების მიხედვით რესპუბლიკანური ბიუჯეტის ხარჯების დანაწილება მიზან-შეწონილად უნდა ჩაითვალოს—გასაველის ორი მესამედი აკმაყოფილებს მოსახლეობის სოციალ-კულტურულ მოთხოვნილებებს.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული თანხებით იფარებოდა მხოლოდ აუცილებელი საჭირო მოთხოვნილებანი. ბიუჯეტის ჩარჩოებში ჩატევა ძლიერ ძნელი იყო, მაგრამ ამას აუცილებელად მოითხოვდა სახელმწიფოს მდგომარეობა და საჭირო ეკონომია.

სწორედ ამიტომ ხარჯების ორ ჯგუფად დაყოფა: ხელფასი და სხვა ხარჯები, არ იძლევა კეთილ სურათს. ხელფასის ხარჯები შეადგენს 68,95%/ს და სხვა ხარჯები კი 31,05%/ს. ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, ვერ ჩაითვლება ნორმალურად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს განსაკუთრებული პირობების შედეგია და მას გარდამავალი ხასიათი აქვს.

ყველზე დიდი ადგილი უკავია ხელფასის იუსტიციის კომისარიატის ხარჯებში—84,03%/ს, შემდეგ განათლების კომისარიატის—77,93%/ს და შინაგან საქმეთა კომისარიატის ხარჯებში—70,60%/ს. ყველაზე ნაკლებია ხელფასის ხარჯები ც. ა. კ.-ისა და სახ. კომ. საბჭოსი—28,83 და 20,87%/ს.

როგორი იყო თვითეული რესპუბლიკის ხარჯები 1923-24 წ.?

ზევით მოყვანილი თანხა 8169814 მ. 29 კ. შემდგენიარად იყო დანაწილებული: საქართველო—6.948.921 მ. 87 კ. სამხრეთ-ოსეთი—185022 მ. 92 კ. (ერ-

თად 7133944 მ. 79 კ.), აპარა—562272 მ. 98 კ, აფხაზეთი 473596 მ. 52 კ. ეს რიცხვები, $\%$ -ში გამომატული, შემდეგ სურათს გვაძლევს: 85,1 $\%$, 2,3 $\%$ (ერთად - 87,4 $\%$), 6, 9 $\%$ და 5,7 $\%$.

მოსახლეობის დანაწილება კი შემდეგნაირია; საქართველო 84,50, სამხრეთ-ოსეთი 3,27 (ერთად 87 77) აპარა—5,18 $\%$ და აფხაზეთი 7,05 $\%$.

საქართველოს ხარჯების წილი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოსახლეობის წილი, სამხრეთ-ოსეთში კი ხარჯებში მონაწილეობის $\%$ უფრო მცირეა, ვიდრე მოსახლეობისა. თუ კი ორივე რესპუბლიკას მთლიანად ავიღებთ, როგორც შემოსავლის განხილვის დროს, მაშინ დაეინახავთ, რომ მოსახლეობის $\%$ უფრო დიდია, (87,77), ვიდრე ხარჯებისა (87,4).

აფხაზეთშიც მოსახლეობის $\%$ უფრო მაღალია, ვიდრე ხარჯებისა—7,05 და 5,7 $\%$, აქ განსხვავება უფრო დიდია არის, ვიდრე საქართველოში.

განსაკუთრებული ადგილი უკავია აპარას. აქ უკუქცევითი მდგომარეობა გვაქვს. აქ ხარჯების $\%$ უფრო დიდია, ვიდრე მოსახლეობისა—6,9 $\%$ და 5,18 $\%$. ყველაზე უკეთესად უნდა ჩაითვალოს აპარის მდგომარეობა. ამას ამტკიცებს საშუალო ხარჯის სიდიდეც ერთ მცხოვრებზე.

საშუალო ხარჯი ერთ მცხოვრებზე საქართველოში უდრიდა 3,33 მ.ს, ოსეთში 2,29 მ.ს (ერთად 3,30 მ.ს), აპარაში 4,39 მ.ს და აფხაზეთში—2,71 მ. ს, საერთოდ კი 3,31 მან. ს.

არც ერთ რესპუბლიკაში რესპუბლიკანური შემოსავალი არ ფარავს რესპუბლიკანურ გასავალს, ყველაზე უფრო დიდი იყო დეფიციტი საქართველოში (სამხრეთ-ოსეთითურთ)—74,54 $\%$ (5 317.492 მ. 28 კ.). აპარაში დეფიციტი შეადგენდა 67,77 $\%$ (381065 მ. 32 კ. ს) და აფხაზეთში 63, 20 $\%$ ს (299306 მ. 96 კ. ს). სრულიად საქართველოს საერთო შემოსავალი უდრიდა 2.171.949 მ. 72 კ. ს. გასავალი კი—8169814 მ. 29 კ. ს. ამ რიგად დეფიციტი შეადგენდა 5.997.864 მ. 57 კ. ს. ან 73,41 $\%$.

დეფიციტი იფარებოდა ა. კ. ფინანსთა კომისარიატის დოტაციით. საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში დეფიციტის დაფარვის საშუალება იყო ქალაქის ფულის ემისია. მეორე ნახევარში, ფულის რეფორმის შემდეგ, დოტაცია იძლეოდა მოსკოვიდან მიღებული ფონდიდან¹.

11. ფედერატიული გასავალი შედგებოდა გაერთიანებულ დაწესებულებათა ხარჯებიდან ა. კ. ბიუჯეტში სხვადასხვა კომისარიატის ხარჯებთან ერთად შეტანილი ხარჯები სხვადასხვა ფონდებიდან. ეს ფონდები არის: სახარჯთ-აღრიცხვო, სარეზერვო, სადოტაციო, სპეციალური და განსაკუთრებული. ფედერატიული ხარჯები 1923 - 24 წ. ერთად (სამაზრო ხაზინების და ცენტრალური სალაროს ცნობებით) შეადგენდა 7.968.084 მ. 98 კ. ს. ეს თანხა უშუალოდ საქართველოზე დაინარჯა.

განაწილება რესპუბლიკათა შორის შემდეგნაირია: საქართველო (სამხრეთ-ოსეთითურთ)—6.490.127 მ. 99 კ. ან 81,5 $\%$, აფხაზეთი 318090 მ. 37 კ. ან

¹) საქართველოს გასავალი 1921 წ. = 8.163.267 მ., 1922 წ. = 14.782.133 მ., 1923 წ. (ცხრა თვე, მხოლოდ რესპუბლიკანური) = 4.832.000.

4,0%,, აქარა 1.159.866 მ. 62 კ. ან 14,5%,, საშუალო ხარჯი ერთ მცხოვრებზე იმავე რესპუბლიკებისათვის გვიძღვეს შემდეგ სურათს; 3,12 მ., 1,63 მ. და 9,06 მ. საერთოდ სრულიად საქართველოში კი საშუალო ნახარჯი ერთ მცხოვრებზე უდრიდა 3,23 მ. ს. ფედერატიული დაწესებულებათა ხარჯებშიაც იგივე არაკეთილი მდგომარეობა გვაქვს ხარჯების „ხელფასად და სხვა ხარჯებად“ დაყოფის მხრივ. ზოგიერთ კომისარიატში ხელფასის ხარჯები 92 %-ს აღწევს. მაგრამ ზოგიერთში იგი მხოლოდ 4,6%,-ს შეადგენს (გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, რკნის გზების ხარჯის გამოყოფით, სამირაბო სამმართველო).

12. სპეციალურად საკავშირო ხარჯთა აღრიცხვით გატარებული იყო 1923-24 წ. 93493 მ. 19 კ. საქართველოს წილი რკინის გზების ხარჯებში, სათანადო დაწესებულების გამოანგარიშებით, 1923-24 წ. შეადგენდა 5.200.000 მ. ს. იმავე წელში ფოსტა-ტელეგრაფის მთელი ხარჯები უდრიდა 1.305.659 მ. 65 კ. ს.

13. თუ ჩვენ ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზების ხარჯებს გამოვკყოფთ და რესპუბლიკანურ ხარჯებს შევადარებთ სხვა ყველა სახელმწიფო ხარჯების ჯამს (=16.231.492 მ. 46 კ.), მაშინ დავინახავთ, რომ თითოეული რესპუბლიკანური ხარჯის მნიშვნელობა საერთო ხარჯებში შემცირდება ერთი ორად. და ამრიგად ჯანმრთელობის ხარჯები შეადგენს დაახლოებით 6,3%,-ს, განათლებისა 25,3 %,-ს, სახალხო კომისარიატისა—2,6%,-ს და სხვა.

14. ამ რიგად საქართველოს მთელი სახელმწიფო ხარჯები შეადგენდა 1923 24 წ. 8.169.814 მ. 29 კ. + 7.968.084 მ. 98 კ. + 93423 მ. 19 კ. + 5.200.000 + 1.305.659 მ. 65 კ. ან ერთად: 22.737.052 მ. 11 კ. ს.

ადგილობრივი გასაჯალი შეადგენდა 15063509 მ. 07 კ. ს და მთელი წლისა კი, გამოანგარიშებული იმავე ხერხით, როგორც შემოსავალი—20994.578 მ. 76 კ.—ს¹.

ეს არის ის თანხები, რომელიც უშუალოდ დაიხარჯა საქართველოში.

თუ ჩვენ გავსურს გავვიანგარიშოთ საქართველოს „ღირებულება“, არაუბული წესწყობილების მიხედვით, მაშინ საჭიროა დავამატოს ამ ხარჯებს ის თანხაც, რომელიც წარმოადგენს საქართველოს წილს ზოგიერთ ა. კავკასიის და საკავშირო ცენტრალურ დაწესებულებათა ხარჯებში. ამის გამოანგარიშება, როგორც თქვით, დღეს აქ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

15. იმ რიცხვების ბუნების ნიშნით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, უნდა შენიშოთ თქმულით დავკმაყოფილდეთ.

საქართველოს საფინანსო მეურნეობა ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. წარსულ წ.წ-ში ყოველ წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა, 1923-24 წ. შემდეგაც არა ერთი ცვლილება მოხდა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. 1924-5 საბიუჯეტო წელში მომხდარი საბიუჯეტო უნიფიკაცია კავშირთან. მაგრამ საფინანსო მეურნეობას უკვე აჩნია საბოლოო ჩამოყალიბების ნიშნები.

¹) მთელი წლის ადგილობრივი ფაქტიური ხარჯები, გამოანგარიშებული ცხრა თვის ბიუჯეტისა და მისი შესრულების მიხედვით შეადგენდა 11.046.530 მ. ს. ამ რიგად საქართველოს მთელი გასაჯალი უდრიდა 33.783.580 მ. ს.

საფინანსო მეურნეობის მასალის მხრივაც ჩვენ ვიმყოფებით მასალის დაგროვების პროცესში.

საქირა განსაზღვრული დროს გავლა იმისთვის, რომ ჩვენ შევძლოთ საფინანსო მეურნეობის ყოველმხრივი შესწავლა, მისი დინამიკის გამოკვლევა, განსაზღვრული სისწორის აღმოჩენა, მისი ტიპის და ადგილის განმარტება საკავშირო და მსოფლიო საფინანსო მეურნეობის ფარგლებში.

ახლად დამთავრებულ 1924-5 და ახლად დაწყებულ 1925-26. წ. უკვე მოაქვს ის საინტერესო ცნობები, რომელთა დაყრდნობითაც შეიძლება არა ერთი საინტერესო საკითხის გაშუქება. თავის დროზე ეს მასალებიც იქნება დამუშავებული.

სერგი დანელია.

ქ ე ნ ო ნ ის ღ ი ა ლ ე მ ტ ი კ ა .

დიალექტიკა, რომლის ცნებასაც ეგზომ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ფილოსოფიური აზროვნების ვითარებაში, პირველად პარმენიდეს საყვარელმა მოწაფემ (πατριάρχ) ¹ ძენონ ელეელმა აღმოაჩინა. დიოგენე ლაერტის გადმოცემით, არისტოტელს უთქვამს ძენონზე: εἰσαεὶς ἄνευ ἡμετέων δὲ ἀεχαιῶν, ὡς ἂν ἴκλειαν ἰσχυραῖς ².

ძენონი სრულიად ბუნებრივად წააწყდა თავის აღმოჩენას: ელეატისმის ფილოსოფიური შინაარსი უკვე პარმენიდემ ამოსწურა. პრინციპულად ახალის თქმა ამ მიმართულებით შეუძლებელი იყო. ამიტომ პარმენიდეს მემკვიდრეებს ან უნდა ეკისრათ მასწავლებლის ἄριστος ³ ჰექსუს ⁴ გაეპოპულარებიათ, ისე, მაგალითად, როგორც მოიქცა „უფრო ტლანქი“ (ἀγροῦχῶς ⁴) მელისსო სამოსელი, ან უნდა დაეცვათ იგი მოწინააღმდეგეთა შემოტევისაგან. უკანასკნელი საქმე განსაკუთრებით ძნელი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან პარმენიდეს ფილოსოფია მარტო თეორია კი არ იყო სხვა თეორიათა შორის, არამედ ის იყო თეორია ἄλλ' ἄλλ' და, როგორც ასეთს, მას ოპოზიციითა იდგნენ ერთის მხრით სხვა ფილოსოფიური მოძღვრებანი, მეორეს მხრით კი ჩვეულებრივი შეგნება. ძენონმა თავისი დიდი ნიქის შესაფერად აირჩია ის, რაც უფრო ძნელი იყო. ელეატური ფილოსოფიური კოშკის მაღლობებიდან მან არამც თუ ჩინებულად მოიგერია ჰერაკლიტეს მიერ ათვალწუნებული „ბრბოს“ (ჰეგელი იტყოდა „მეტაფიზიკის“) შემოტევა, არამედ თვითონ გადავიდა იერიშზე: აქ ფილოსოფია ილაშქრებდა პირველად თავისი სუვერენობის დასაცავად, და ამიტომ არის აღმაფართოვანებელი ძენონის დიალექტიკა. პლატონი ასე აგვიწერს ძენონის ფილოსოფიური თხზულების შინაარსს: „ეს თხზულება პარმენიდეს შეხედულებებისათვის ერთგვარი დახმარება იმათ წინააღმდეგ, ვინც კდილობს ეს შეხედულებები სამასხროდ გახადოს იმ მოსაზრებით, თითქო მტკიცება, რომ სინამდვილე ერთაა, იხლართებოდეს მრავალ სასაცილო შეუსაბამობაში. აღნიშნული თხზულება მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ მრავლობა არსებობს, სამაგიეროს

¹) Ὁ δὲ Ζήνων δαιμόνιος Περσέωνος καὶ γένειον ἀνεὲς πατριάρχ, მოვითხრობს ერთი ძველი მწერალი. Diog. Laert. IX, 25.

²) Diog. L., X, 25.

³) Diels, Die Fragm. der Vorsokratiker, 18 B fr. S, 52.

⁴) Arist. Metaph. 986 b 25.

ე. ი. განი, სიგრძე და სიმსხვე. მაგრამ ის, რასაც სიდიდე აქვს, მეორე ასეთივე სიდიდის შემცველი ნაწილის გარეშე მდებარებს და მათ შორის იმყოფება მანძილი ან ახალი სიდიდე. ამ მესამე სიდიდისა და ორი პირველის შორის იმყოფება ორი ახალი სიდიდე. ორი ახალი სიდიდენი თავის მხრივ ოთხს ახალ სიდიდეს გულისხმობენ და ასე დაუსრულებლად. გამოდის, რომ, თუ არსი მრავალია, მაშინ ის სიდიდეთა უსაზღვრო რიცხვისაგან უნდა შედგებოდეს. რაც უნდა მცირე იყოს ნაწილის სიდიდე, უსაზღვრო რიცხვი მისი უსაზღვრო დიდს მთელს მოგვცემს.

ჰ. თუ არსი მრავალია, ის უსაზღვროდ მცირე იქნება, ვინაიდან ეს არსი ნაწილთა განსაზღვრული რიცხვისაგან უნდა შედგებოდეს, რათა ის ნამდვილად არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არსი აქტუალზოდ ვერ იქცეოდა. თუ ასეა, მაშინ დაუშვებელია, რომ არსის ყოველ ორ ნაწილს შორის ახალი ნაწილი არსებობდეს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობის ქვეშ, თუ ეს ნაწილები განუფენელი არიან, ვინაიდან ყოველი განუფენილი გამოყოფილია მეორე განუფენილისაგან ახალი განუფენილით. მაგრამ განუფენელის მიმატება სიდიდეს არ ზრდის, ისე როგორც მისი გამოკლება სიდიდეს არ ამცირებს¹. ამიტომ რაც უნდა დიდი იყოს განუფენელ ნაწილთა ჯამი, ის განუფენელს ან უსაზღვროდ მცირე მთელს მოგვცემს.

რომ უფრო ნათელი იქცეს ჩვენთვის ძენონის აზრთა მსვლელობა, შეიძლება ის შემდეგი დიალოგის სახით წარმოვიდგინოთ²:

ძენონი. შენ ჰფიქრობ, რომ ბუნება ნამდვილად არსებობს?

მოპასუხე. დიახ, მე ამას ვფიქრობ: ბუნება არის ნამდვილი არსი.

ძენონი. განუფენილია ეს არსი თუ არა?

მოპასუხე. დიახ, არსი განუფენილია.

ძენონი. მაშ, ის მრავალი ნაწილისაგან შემდგარი ყოფილა და მრავლობაც ნამდვილად არსებულა.

მოპასუხე. დიახ, მრავლობა ნამდვილად არსებობს და არსიც მრავალი ნაწილისაგან შედგება.

ძენონი. თუ არსი მრავალი ნაწილისაგან შედგება, ეს ნაწილები ან განუფენილი უნდა იყოს, ან განუფენელი³. მესამე ხომ შეუძლებელია. განა შეუძლებელი არ არის, რომ რამე არც განუფენელი იყოს და არც განუფენელი?

მოპასუხე. დიახ, ეს შეუძლებელია.

ძენონი. მაშ, როგორია არსის ნაწილები: განუფენილი თუ განუფენელი?

მოპასუხე. არსის ნაწილები განუფენელი უნდა იყოს.

¹) DV. 19 B *Μεγέθηα*

ἡ ἀπειροπένητις ἔστι ἐπένητις

γένηται ἐπένηται.

²) თუმცა ძენონს დიალოგები არ დაუწერია (Burnet, Die Anf. d. griech. Philos., 281), მაგრამ ჩვენს იმპატრიას აქვს ისტორიული საბუთი: არისტოტელი ახსენებს ერთხელ (Soph. el. 170 b 19. DV 19 A 14) ძენონს შემდეგს კონტექსტში: ὁ ἀπειροπένητις ἔστι ἐπένητις Ζήνωνος, რაც უშუალოდ დიალოგს გულისხმობს. გარდა ამისა სიმპლიკიოსის მოწმობაში (Phys. 1108. 18. DV 19 A 29) ძენონის ერთი არგუმენტი (*ἀπεπένητις ἐπένητις*) მოყვანილია დიალოგური ფორმით: ძენონი ეკამათება პროტაგორს.

³) აქ არის ისტორიული სათავე იმისა, რასაც ცნების განაწილების (divisio) ლოლიკაში დიხტომიას უწოდებენ.

ქენონი. განუფენელი ხომ ის არის, რასაც სიდიდე სრულიად არა აქვს? განუფენელი ამას ეწოდება, თუ რასმე სხვას?

მოპასუხე. განუფენელი სწორედ ამას ეწოდება.

ქენონი. კი, მაგრამ ის, რასაც სიდიდე არა აქვს, თუ მეორეს მივუმატეთ, გაიზრდება ეს უკანასკნელი თუ არა? მე ვფიქრობ, რომ არ გაიზრდება. შენ როგორ ჰფიქრობ?

მოპასუხე. მეც გეთანხმები ამაში სრულიად.

ქენონი. კარგი, მომწონს შენი პასუხი. მაშ, განუფენელი ერთეულებისაგან ან ნაწილებისაგან შემდგარი მთელი, ე. ი. არსი, თვითონ განუფენელი ყოფილა.

მოპასუხე. ასე გაშობის.

ქენონი. სხვანაირად რომ ვთქვათ, არსი უსაზღვროდ მცირე მოცულობის ყოფილა, ვინაიდან განუფენელი ყოველ მოცემულ სიდიდეზე უფრო მცირეა. რას იტყვი ამაზე?

მოპასუხე. დიახ, არსი უსაზღვროდ მცირეა მიღებულ პირობებში.

ქენონი. კი, მაგრამ ბუნება, რომელსაც შენ განფენილ არსად სოვლი, ხომ იმაზედ უფრო მცირე არ არის, რაც თვითონ არის. მას ხომ განსაზღვრული სიდიდე აქვს?

მოპასუხე. შენ მართალი ხარ.

ქენონი. აბა დააკვირდი შენს მსჯელობას: განსაზღვრული სიდიდის არსი უსაზღვროდ მცირე ან ყოველ განსაზღვრულ სიდიდეზე (ე. ი. თავის თავზედაც) ნაკლები ყოფილა. ეს ხომ წინააღმდეგობაა?

მოპასუხე. გეთანხმები, რომ ეს წინააღმდეგობაა. მე ვცდებოდი, როდესაც ვფიქრობდი, რომ განფენილი არსის ნაწილები განუფენელიაო. არსი განფენილი ნაწილებისაგან შედგება და ის მაინც მრავლობად რჩება.

ქენონი. ვეჭვობ, რომ ამან გიშველოს, ჩემო კარგო! თუ არსი განფენილი ნაწილებისაგან შედგება, ამ ნაწილების რიცხვი ხომ უსაზღვრო უნდა იყოს?

მოპასუხე. ეს რატომ?

ქენონი. თითოეულ განფენილ ნაწილს ხომ ახალი ნაწილები ექნება; ვინაიდან ყოველი განფენილი ერთეული განიყოფება და განუყოფელი განფენილობა შეუძლებელია¹.

მოპასუხე. ეხლა გეთანხმები. უკეთუ ყოველი განფენილი ერთეული, განფენილი ნაწილებისაგან შედგება, არსის განფენილი ნაწილების რიცხვიც უსაზღვრო იქნება.

ქენონი. უსაზღვრო რიცხვი განფენილ ნაწილებისა განა უსაზღვრო სიდიდის მთელს არ შექმნის?

მოპასუხე. დიახ, ეს ასე იქნება.

ქენონი. მაშ, თუ არსი მრავალი/ განფენილი ნაწილისაგან შედგება, ის უსაზღვროდ დიდი ან ყოველ მოცემულ სიდიდეზე მეტი ყოფილა?

¹) აქ ჩვენ ოდნავ შევსცვალეთ ზემოყვანილი ფრაგმენტის აზრი, მისი არსებითი შინაარსის დაცვით. ელემენტების ოპონენტები, ატომისტები, უარყოფენ შემდეგ ამ დებულებას, რომ განუყოფელი განფენილობა არ არსებობს. შდრ. ს. დ ა ნ ე ლ ი ა, ატომისტური ფილოსოფია ქველ საბერძნეთში, გვ. 22.

მომასუხე. ამ დასკვნას ვერ გადაუხვევთ.

ძენონი. ეხლა დააკვირდი, ჩემო კეთილო, შენს მსჯელობას. ბუნება, რომელსაც შენ განფენილ არსად სთვლი, იმაზე მეტი სიდიდისა ხომ არ არის, რაც ის არის? მას ხომ განსაზღვრული სიდიდე აქვს? მაშ, შენ მიერ დაშვებული დებულების ძალით გამოდის, რომ განსაზღვრული სიდიდის არსი უსაზღვროდ დიდი ან ყოველ განსაზღვრულ სიდიდეზე (მაშასადამე, თავის თავზედაც) მეტი ყოფილა. ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობაა?

მომასუხე. დიახ, ეს წინააღმდეგობაა. ეხლა ვხედავ, რომ არსი არ შეიძლება მრავალი ნაწილისაგან შედგებოდეს ან მრავლობა არ არსებობს ნამდვილად, ვინაიდან ეს ნაწილები არც განფენილად შეიძლება განვიაზროთ და არც განუფენელად.

ძენონი. სწორედ ეს მინდოდა მეც მეთქვა. არსის მრავლობის დაშვება წინააღმდეგობებში ვეხვევს, რადგანაც კითხვაზე, განფენილია თუ არ არის განფენილი არსი, უნდა ან ის ითქვას, რომ არსი განფენილია, ან ის, რომ ის არ არის განფენილი. საშუალო გზა არ არსებობს. რათა ამ წინააღმდეგობებს თავი დავალწიოთ, უნდა არსის მრავლობა უარყუოთ.

უეკველია, რომ აქ ძენონს ჩადენილი აქვს შეცდომა. ის ვერ არჩევს უსაზღვროს $\alpha\alpha\alpha$ და $\beta\beta\beta$; უსაზღვროსაგან α და β ; რომ განფენილი კონკრეტული სიდიდის გაყოფა დაუსრულებლად შეიძლება, ეს იგულისხმება; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის უსაზღვრო ნაწილებისაგან წარმოსდგება. Ratio cognoscendi საგნისა ერთია, ხოლო მისი ratio essendi სულ სხვაა. ეს გაგრემოება განიორკვეოდა ძენონისათვის, რომ მას ყურადღება მიექცია იმ აუცილებლობისათვის, რომ ერთეულების სიდიდე თანდათან მცირდება გაყოფის გაგრძელების თანაბრად. მაგრამ ძენონი იდეალისტი იყო, და მისთვის, ისე როგორც პარნეიდესათვისაც, შემეცნებითი და რეალური დამოკიდებულება ერთიმეორეს ფარავდენ საესებით: α და β არ არის α და β .

ამ არგუმენტის განხილვა გავათავოთ მოკლე შენიშვნით. ტანნერის შეხედულებით, ზემოყვანილი საბუთით ძენონს განზრახული ჰქონდა დაენტიკცებია, რომ საგნის ნაწილი არ შეიძლება განუყოფელ და განფენილ ერთეულად ვიაზროთ: თუ საგნის ნაწილები განფენილია, ის უსაზღვროდ დიდი ყოფილა; თუ კი ეს ნაწილები განუყოფელია, მაშინ საგანი უსაზღვროდ მცირე ყოფილა. უკვე ცელერმა უარჰყო ტანნერის ინტერპრეტაცია¹. და მართლაც, ძენონისათვის, როგორც ეს საკმაოდ ცხად ყავივთ ზევით, განუყოფელისა და განფენილი ერთეულის ცნება წინამძღვარში შედის და არა დასკვნაში; ის დასაყრდნობ მუხლის წარმოდგენს დასკვნის დასაპტიკცებლად. დასკვნა კი, რომელიც დედუქციის მიზანს შეადგენს, არის დებულება: არსი არ არის მრავალი. ძენონისათვის უდაგოა, რომ არსისა, როგორც მრავალ ერთეულთა ჯამისა, და ერთეულის, როგორც განუყოფელის (ან განუფენელის) და განფენილის, ცნებები ერთიმეორეს წინააღმდეგებიან (ამის აღნიშვნაში ტანნერი არ ცდება), მაგრამ თვითონ

¹) DV 18 B 5.

²) Zeller, Die Phil. d. Gr. I, 752.

ძენონი უკუაგდებს არა განუყოფელი და განფენილი ერთეულის ცნებას, როგორც ფიქრობს ტანერი, არამედ მრავალ ერთეულთაგან შემდგარი არსის ცნებას.

2. გარდა ზემოყვანილისა, ძენონს აქვს მეორე საბუთიც მრავლობის წინააღმდეგ, რომელიც გამოდის არა არსის მოცულობისაგან, არამედ მისი რიცხვისაგან: *εἰ πῶλλὰ ἔσται, ἀνέχεται ἑαυτὴν εἶναι ἕνα ἔσται καὶ ἴσως πληθύνει αὐτὸν ὅταν ἐλάττωται*; *εἰ δὲ ἁπλοῦς ἔσται ἕνα ἔσται, ἀπαρξάμενος ἕν εἶναι.*

εἰ πῶλλὰ ἔσται, ἀπαιτῶν τὴν ἕνα ἔσται ἕν: ὡς ἔπειτα ματῶν τὸν ἕνα ἔσται, πῶν: ἐκείνου ἕπειτα ματῶν: καὶ ἴσως ἀπαιτῶν τὴν ἕνα ἔσται (fr. 3).

თუ არსი მრავალი ერთეულისაგან შედგება და მრავლობა ნამდვილად არსებობს, მაშინ შემადგენელ ერთეულთა რიცხვი ერთსა და იმავე დროს განსაზღვრულიც უნდა იყოს და უსაზღვროც. განსაზღვრული იქნება ეს რიცხვი იმიტომ, რომ არსს იმდენი ერთეული აქვს, რამდენიც აქვს: არც მეტი, არც ნაკლები. უსაზღვრო კი იქნება ეს რიცხვი იმიტომ, რომ ორ ერთეულს შუა, რაც უნდა მკიდროდ იყვნენ ისინი დაახლოვებული, არის მესამე ერთეული; ამ მესამე და პირველ ორს შუა არის ახალი ერთეულები და ასე დაუსრულებლად. ამ რიგულ დებულება, რომ არსი მრავალია, შეიცავს ორს საწინააღმდეგო დებულებას: 1. არსს ნაწილების განსაზღვრული რიცხვი აქვს. 2. არსს ნაწილების უსაზღვრო რიცხვი აქვს. ეს კი წინააღმდეგობაა. მაშ არ უნდა იყოს სწორი, რომ არსი მრავალ ერთეულებისაგან შედგება.—არსებითად ამ საბუთშიც იგივე შეცდომაა, რაც პირველში. იყო: შემეცნებითი და რეალური დამოკიდებულების აღრევა. ჩვენი შემეცნებისათვის, რომელიც ემპირიული მომენტიდან იწყება, არსი არის დასათვლელი სინამდვილე და ამ დათვლის პროცესს საზღვარი არ უჩანს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვითონ არსი, რომელსაც ვთვლით, უსაზღვროა, როგორც დათვლილი სინამდვილე¹. პირველ შემთხვევაში, როდესაც ძენონი ამტკიცებს, რომ არსის ერთეულთა რიცხვი განსაზღვრულია, მას მხედველობაში აქვს არსი, როგორც დათვლილი სინამდვილე; მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ის ცდილობს ამის საწინააღმდეგო დებულება დაამტკიცოს, მას მხედველობაში აქვს არსი, როგორც დასათვლელი სინამდვილე. ამიტომ მსჯელობა, რომელსაც ძენონი დათვლილი სინამდვილის შესახებ ამყარებს, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მსჯელობას, რომელსაც ის აყარებს დასათვლელ სინამდვილეზე, რადგან ამ მსჯელობათა სუბიექტები სხვადასხვაა. თუ კი ძენონი სხვას ფიქრობს, ხდება ეს იმისათვის, რომ მას ემპირიული გონება ვერ გაუარჩევია აბსოლუტურისაგან.

B


მარტო არსის მრავლობას კი არ უარპყოფს ძენონი; ის უარპყოფს აგრეთვე არსის მოძრაობასაც და მოჰყავს ამის სასარგებლოდ შემდეგი საბუთები:

1. მოძრაობა ჰულისხმობს განსაზღვრულ სიჩქარეს: თუ საგანი მოძრაობს, მას განსაზღვრული სიჩქარეც უნდა ჰქონდეს, არც მეტი და არც ნაკლები. მაგ-

¹) წინააღმდეგი მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, რომ ჩვენი თვის პროცესი ჰქმნიდეს არსს, ე. ი. იმას, რასაც ის სთვლის.

რამ ეს არ არის ასე: ერთსა და იმავე საგანს, რომელსაც გრძნობა მოძრაობაში გვიჩვენებს, სხვადასხვა სიჩქარე აქვს. წარმოვიდგინოთ ალექსანდრე აფროდიზიელის მაგალითისამებრ სამი საგანი, A, B, C, რომელთაგანაც თითოეული ოთხი თანასწორი ნაწილისაგან შედგება: AAAA, BBBB, CCCC. ამ საგანთაგან ერთი (A) გაჩერებულია, ორნი (B და C) მოძრაობენ თანასწორი სიჩქარით მოპირდაპირე მიმართულებით, ისე რომ ერთსა და იმავე მომენტში მათი თავები უსწორედ ბიან ერთმანეთს A საგნის შუა ადგილში (1 სურ.).

ამ მომენტიდან B საგანი A საგნის მიმართ გაივლის AA-ს, ე. ი. მანძილის ორ ერთეულს, ხოლო იგივე B საგანი იმავე დროს განმავლობაში Cსაგნის მიმართ გაივლის CCCC ს, ე. ი. ოთხ ერთეულს, (2 სურ.). გამოდის, რომ A საგნის მიმართ B საგანს ორჯერ ნაკლები სიჩქარე ჰქონია, ვიდრე C საგნის მიმართ. მაშ, ერთი განსაზღვრული სიჩქარე მოძრავ საგანს არა აქვს. მისი სიჩქარე იცვლება იმის მიხედვით, თუ რის მიმართ მოძრაობს იგი¹.



არისტოტელი ამ არგუმენტის შესახებ შენიშნავს: *ἔπειτα δὲ ἡ ἀναγκαῖα ἐπιπέδου ἐστὶν ὅτι μὴ τὸ μὲν παρὰ ἀποσπασθεῖν τὸ δὲ παρὰ ἵκεταισιν τὸ ἴσον ἐπέμειναι ἀπὸ τοῦ αὐτοῦ τὸν ἴσον ἐπέμειναι γρηγορῶς τοῦτο δὲ ἔπειτα ἕκαστος². ამავე აზრს იმეორებს შემდეგ ცელსერიც: *der ganze Fehlschluss beruht darauf, dass der von einem Körper durchlaufene Raum an der Grösse der Körper gemessen wird, an denen er vorbeigekommen ist, mögen diese nun ihrerseits ruhen oder bewegt werden³. თუ ძენონმა ასეთი შეცდომა ჩაიდინა, ის მეტად გულუბრყვილო ვინმე ყოფილა. მაგრამ ეს ასე არ არის. ძენონი იმას კი არ ამბობს, რომ ერთმა და იმავე მოძრაობამ ერთი და იგივე მანძილი უნდა გააკეთოს მეორე სხეულის მიმართ, სულ ერთია, მოძრაობს სხეული თუ არა. ის ფიქრობს მხოლოდ, რომ არ არის ემპირიაში აბათი სხეული, რომლის მიმართებიცაა შეიძლებოდა მოძრაობათა გაზომვა. ამიტომ ემპირიული მოძრაობა მრავლდება და სხვადასხვა სახეს იღებს, იმისდამიხედვით, რომ სხვადასხვა საგნების მდგომარეობა, რომლებსაც ის ეუარდება. როდესაც ის ეუარდება უძრავ სხეულს, მას ერთი სახე აქვს. როდესაც ის ეუარდება მოძრავ სხეულს, მას სხვა სახე აქვს: ემპირიული მოძრაობა რელატიურია. მას არ აქვს განსაზღვრული სახე: ის არის და არ არის. რომ მოძრაობა ნამდვილი ყოფილიყო, მას განსაზღვრული, გარემოს ცვალებადობისაგან დამოუკიდებელი ან საკუთარი და უცვლელი ლოლიკური შინაარსი ექნებოდა. რატომ? იმიტომ რომ არსი ლოლიკურია: არსი არის.—თუ ამ მსჯელობაში არის შეცდომა, ეს შეცდომა სწორედ უკანასკნელ დებულებაში უნდა ვეძიოთ და არა იქ, სადაც მას არისტოტელი და მის კვალად ცელსერიც პოულობს.**

2. ამ არგუმენტს მოძრაობის წინააღმდეგ უახლოვდება მეორე არგუმენტიც: მოძრაობა გულისხმობს. ორი განსხვავებული მოძრაობის სიჩქარის სხვადა-

¹) Simpl. Phys. 1010,32. DV 19 A 28.
²) Arist Phys. 239 b:33. DV 19 A 28.
³) Zeller, 1,762.

სხვაობას. თუ სიჩქარის სხვადასხვაობა უარყოფილი იქნება, მაშინ სიჩქარეც უარყოფილი იქნება და მასთან მოძრაობაც: სიჩქარის სხვადასხვაობა ნიშნავს იმას, რომ დროს ერთი და იმავე ნაწილის განმავლობაში ერთი („უფრო ჩქარა“) გადის სივრცის მეტს მანძილს, ვიდრე გადის მეორე („უფრო ნელი“), რის გამოც უფრო ჩქარს შეუძლია დაეწიოს წინგასწრებულს უფრო ნელს. თუ ყოველი პირობის ქვეშ შეუძლებელია, რომ უკან ჩამორჩენილი საგანი ოდესმე დაეწიოს წინ გასწრებულს, მაშინ სიჩქარის სხვაობაც შეუძლებელია და მასთან შეუძლებელია თვით სიჩქარე და მოძრაობაც, ვინაიდან სიჩქარის გარეშე მოძრაობა ვერ განიხარება. ძენონი ამტკიცებს სწორედ, რომ უკან ჩამორჩენილი საგანი ვერ დაეწევა წინგასწრებულს. თვით ფეხმარდი აქილესიც რომ იყოს ეს უკან ჩამორჩენილი, ხოლო წინგასწრებული კი იყოს ჩანჩალა კუ¹.

თქვეთ, აქილესის ასი ნაბიჯით არის კუს უკან, როდესაც ორივენი იწყებენ ერთი მიმართულებით რბენას. სანამ აქილესი ამ ას ნაბიჯს გაირბენს, კუ, რომელიც 100-ჯერ უფრო ნელად მოძრაობს, მოასწრებს ხომ ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაწევას. მაშ, კუს დასაწევად აქილესს სჭირია ამ ერთი ნაბიჯის გადარბენაც. მაგრამ სანამ ის ამას მოასწრებს, კუ თავის მხრივ კიდევ წაიწევს $\frac{1}{1000}$ ნაბიჯს. სანამ აქილესი ამ $\frac{1}{1000}$ ნაბიჯს გაირბენს, კუ წაიწევა $\frac{1}{100000}$ ნაბიჯით, და ასე იქნება დაუსრულებლად, რადგანაც ყოველი განსაზღვრული მანძილის გავლას აქილესი დროს ანდომებს, ამ დროს განმავლობაში კი კუ ახალ-ახალ მანძილს აკეთებს. მაშასადამე, აქილესი კუს ვერ დაეწევა. ამიტომ სიჩქარე არ ყოფილა² და მასთან არც მოძრაობა ყოფილა.


ეს არაგუმენტიც ზევით უკვე ორჯერ აღნიშნულ ორაზროვნობაზეა აგებული. ის სამართლიანად გამოდის იმ დებულებიდან, რომ დროს ყოველი მანძილი შეიძლება ჩვენს შეძენებაში უსაზღვროდ გავანაწილოთ; მაგრამ შეცთომით ვერ არჩევს შესაძლებელი განაწილების უსაზღვრობას ($\alpha\pi\epsilon\iota\sigma\nu\ \chi\alpha\tau\acute{\alpha}\ \delta\iota\alpha\iota\tau\acute{\alpha}\sigma\epsilon\iota\varsigma$) აქტუალი უსაზღვრობისაგან ($\alpha\tau\epsilon\iota\sigma\tau\omega\ \tau\epsilon\iota\varsigma\ \delta\epsilon\sigma\chi\acute{\alpha}\tau\epsilon\iota\varsigma$). მართალია, ის დრო, რომელიც დასჭირდება აქილესს კუს დასაწევად, შეიძლება უსაზღვროდ გაიყოს, ან უკეთ, ჩვენი აზრისათვის ასეთს გაყოფას საზღვარი არა აქვს (ასი წვლიც რომ მოეანდომოთ ერთი წამის გაყოფას ჩვენს აზრში, მაინც გაყოფის პროცესი დამთავრებულად არ ჩაითვლება). მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულიად, რომ თვით ის რეალური დრო, რომელსაც ანდომებს აქილესი კუს დასაწევად, უსაზღვრო იყოს. პირობით, ამ დროს განსაზღვრა უბრალო არითმეტიკის საქმეა. თუ ერთ წამში აქილესი გარბის 100 ნაბიჯს, კუ კი 1 ნაბიჯს, აქილესი დაეწევა კუს $(1+0,01+0,0001+0,000001\dots)$ წამის განმავლობაში. ეს კი უდრის $1,010101\dots$ ან $1,01$ ან $1\frac{1}{90}$ წანს. გაივლის თუ არა ეს დრო, აქილესიც გაუთანასწორდება კუს.

¹) Arist. Phys 239 b 14. DV 19 A 26.

²) სწორედ იმის დაამტკიცებლად არის მოყვანილი ეს საბუთი, რომ სიჩქარე არ არის, და არა იმის, რომ შეუძლებელია „cin gegebens Ziel zu erreichen“, როგორც ცელერი ი ფიქრობს 1,757.

ზემოყვანილი არგუმენტი გულისხმობს დებულებას, რომ დროს გაყოფას საზღვარი არა აქვს, ე. ი. დრო წარმოდგენილია აქ, როგორც კონტი-
ნუუმი და არა როგორც დისკრეტ ერთეულთა ან განუყოფელ მომენტთა არით-
მეტიკული ჯამი. ვისმე (მაგალითად, პითაგორელს) შეეძლო ესაყვედურებია
ძენონისათვის: „შენ უსაფუძვლოდ იღებ, ჩემო კეთილო, იმ დებულებას, რომ
დრო დაუსრულებლად განიყოფება. მე ვთქვარ, რომ დროს გაყოფას საზღვა-
რი აქვს: დრო განუყოფელ ერთეულებსაგან ან მომენტებისაგან შედგება
(*ἄν γὰρ οὐκ ἔστι χρόνος ἐκ χρόνων ἢ ἐκ στιγμῶν*).“ „შენი დებულების პირობის ქვეშაც მოძ-
რაობა აბსურდია“, უპასუბებს ძენონი ამ საყვედურზე: „ისე როგორც აბსურ-
დია ის მაშინ, როდესაც ვიღებ, რომ დრო დაუსრულებლად განიყოფება“. ორი
არგუმენტი მოჰყავს ძენონს ამ საყვედურის პასუხად:

ჰ. ყოველი მოძრაობა ნიშნავს სივრცის ერთ წერტილიდან მეორე წერტილზე
გადასვლას განსაზღვრული დროს განმავლობაში. განსაზღვრული დრო კი, მიღე-
ბული პირობის ძალით, არის განუყოფელ მომენტთა განსაზღვრული რიცხვი.
ვთქვათ, საგანი მოძრაობს a წერტილიდან b წერტილამდის (იხ. ო: სურ):



ყიდრე ის b წერტილამდის მიაღწევდეს, ე. ი. მთელს ab გზას გაივლიდეს,
მან უნდა გაიაროს ნახევარი გზა¹ ac. ყიდრე ის ამ ნახევარს გზას გაივლიდეს,
საქროა ამის ნახევარი (ad) გაიაროს, და ასე დაუსრულებლად: მანძილს ყო-
ველს ნახევარს ახალი ნახევარი აქვს და ეს მანძილიც აპიტომ უსახვროა. ამ-
რიგად a წერტილიდან b წერტილში გადასვლა ან ab მანძილის გავლა საკანს
დროს მომენტების განსაზღვრული რიცხვის განმავლობაში არ უქელთა. ნაშა-
სადამე, მოძრაობა, როგორც განსაზღვრული დროს განმავლობაში სივრცის უსა-
ზღვრო მანძილის გავლა, შეუძლებელია². — თუ რა შეცომაა ამ მსჯელობაში. ად-
ვილი გასაგებია ზემო ნათქვამის მიხედვით. აქაც ორზაროვნობაა: დებულება,
„ყოველი მანძილის გაყოფას საზღვარი არ უჩანს“, ძენონს ვერ გაურჩევია დე-
ბულებისაგან, „ყოველი მანძილი უსახვროა“.

ეს უკანასკნელი არგუმენტი, როგორც ჩანს, გამოდის იმ წინანამძღვარიდან,
რომ მოძრაობის ცნება დროსა და სივრცის შესაფერისობას გულისხმობს; შენ-
დევ ამტკიცებს, რომ ეს შესაფერისობა ნამდვილად არ არსებობს, რადგან ის
უაზრობაა: განსაზღვრული დრო განუყოფელ მომენტთა ან დროს ერთეულთა გან-
საზღვრულ რიცხვისაგან შედგება, ხოლო სივრცის ყოველი მანძილი, რაც უნდა
მცირე იყოს ის, შეიძლება განაწილდეს, და ანრიგად ის ვრცელ ერაუელთა
უსახვრო რიცხვად უნდა წარმოვიდგინოთ.

არისტოტელის უსაყვედურებს აქ ძენონს, ვითომ მან მხედველობადან გა-
უშვა, რომ დროც კონტინუუმი (αυτεχρησ) სივრცის მსგავსად³ და ისიც აპიტომ

¹) Arist. Phys. 230 b 30. DV 19 A 27.


²) Arist. Phys. 230 b 9. DV 19 A 25.

³) თუ ორი სხეული ისე ეხება ერთმანეთს, რომ მათი საზღვრები ერთ-მანეთს ეკრძებიან.
ე. ი. პირველის საზღვარი არის იმავე დროს მეორის საზღვარიც, ეს იქნება კონტინუუმი. ალის-
ტოტელის შეხედულებით. ცხადია, რომ ასეთი კონტინუუმის განაწილებას საზღვარი არ უჩანს.

უსაზღვროდ განიყოფება და არ შეიძლება ის განუყოფელ ანუ დისკრეტ ნაწილებს არითმეტიკულ ჯამად წარმოვიდგინოთ: $\alpha\beta; \alpha\gamma; \alpha\delta; \alpha\epsilon; \alpha\zeta; \alpha\eta; \alpha\theta; \alpha\iota; \alpha\kappa; \alpha\lambda; \alpha\mu; \alpha\nu; \alpha\xi; \alpha\omicron; \alpha\pi; \alpha\rho; \alpha\sigma; \alpha\tau; \alpha\upsilon; \alpha\varphi; \alpha\chi; \alpha\psi; \alpha\omega$. შეგვიძლია გავებდეთ და ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ დამყარებულ კონტექსტში ეს საყვედური სამართლიანი არ არის: ძენონს მხედველობიდან კი არ გაუშვია, რომ დრო არ შეიძლება განუყოფელ მომენტთა ან დისკრეტ ერთეულთა ჯამად წარმოვიდგინოთ, არამედ ის მას განზრახ პეულსხმობს. როგორც გსურთ, ისე წარმოვიდგინეთ დრო: გნებავთ, როგორც კონტინუუმი, რომლის გაყოფასაც არ აქვს საზღვარი, გნებავთ, როგორც ჯამი განუყოფელი მომენტებისა; მოძრაობა მანაც აბსურდია. თუ დრო კონტინუუმი, აქილესი ვერ დაეწევა კუს, და მაშასადამე, მოძრაობის სიჩქარე და თვით მოძრაობა არ არსებულა; თუ კი დრო განუყოფელ მომენტთა ან დისკრეტ ერთეულთა ჯამია, არც მანინ ყოფილა მოძრაობა, რადგანაც განუყოფელ მომენტთა განსაზღვრულ რიცხვში საგანი a წერტილიდან ვერ გადავა b წერტილში.

როგორც ითქვა, ამ უკანასკნელ არგუმენტში მოძრაობის წინააღმდეგ ძენონი იმას ეყრდნობა, რომ დრო დისკრეტულ ან ერთა მეორისაგან განცალკევებულ ერთეულთაგან შედგება; რაც შეეხება სივრცეს, ის წარმოდგენილია, როგორც კონტინუუმი, რომლის გაყოფას საზღვარი არა აქვს. ამაზე ვინმეს შეეძლო ეთქვა: — მე არ ვეთანხმები ასეთ მსჯელობას, რადგან არ ვფიქრობ, რომ ab მანძილი, რომელიც მოძრაობაში მყოფმა საგანმა უნდა გაიაროს, დაუსრულებლად შეიძლება გაიყოს. სივრცის მანძილის გაყოფასაც აქვს თავისი საზღვარი ისე, როგორც აქვს საზღვარი დროს გაყოფას, რადგან სივრცეც დისკრეტულ და განუყოფელ ერთეულთა ჯამია. ეს ერთეულებია წერტილები, რომლებსაც არა აქვთ სივრცე, სიმსხო და განი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გასაყოფი იქნებოდნენ. — ძლიერ კარგი. ეთქვათ რომ სივრცე უსაზღვროდ არ განიყოფება, რომ ის განუყოფელ ერთეულთა (წერტილთა) განსაზღვრული ჯამია. მე დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ ამ პირობითაც მოძრაობა აბსურდია, უპასუხებს ძენონი და მოჰყავს შემდეგი საბუთი მოძრაობის წინააღმდეგ.

4. ავიღოთ რომელიმე საგნის მოძრაობა, მაგალითად, გატყორცილი ისრისა. მონადირე, რომელმაც ის გასტყორცნა, არის A წერტილში. ირემიც, რომელსაც მან ესროლა, არის B წერტილში (იხ. 4 სურ.).



4 სურ.

AB ხაზი შედგება განუყოფელი ერთეულებისაგან ან წერტილებისაგან, მიღებული პირობის ძალით. ეთქვათ, ის არის W განუყოფელ წერტილთა ჯამი: $a+b+c+d+e+\dots$ როდესაც ისრის წვერი იმყოფება a წერტილში, ის იმ ჯამს იმყოფება სწორედ ამ წერტილში და არა სხვაგან: უნდა ითქვას, რომ იმ დროს ისრის წვერი გაჩერებულია a წერტილში, რადგანაც წერტილში მოძრაობა შეუ-

¹⁾ ერთგვარად და თანასწორად ნაწილდება დროც და სივრცის სიდიდეც. Arist. Phys. 233 a 11.

ქლებელია: წერტილს არა აქვს სიგრძე. როდესაც ისრის წვერი იმყოფება ხ წერტილში, აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ის იმ დროს გაჩერებულია ხ წერტილში (თუ წვერი გაჩერებულია, გაჩერებულია მთელი ისარიც) და ასე შემდეგაც. ამგვარად შეიძლება ვიმსჯელოთ AB ხაზის ყოველი წერტილის შესახებ. ამიტომ ისრის გადასვლა A წერტილიდან B წერტილამდის ბოლოს და ბოლოს ყოფილა W გაჩერებათა ჯამი. გაჩერებათა ჯამი კი თვითონაც გაჩერება იქნება და არა მოძრაობა!.

ამაზე ვინმეს (ატომისტს?) შეეძლო ეპასუხა: „თუმცა მოძრაობა არის გაჩერებათა ჯამი. ე. ი. ის გაჩერებათაგან შედგება, მაგრამ ამით მოძრაობა არ არის მოსპობილი, ვინაიდან მთელს შეიძლება ჰქონდეს ისეთი თვისებები, რომლებიც არა აქვს მის შემადგენელ ნაწილებს“. აი ამ პასუხის წინააღმდეგ არის მიმართული ძენონის ერთი მტკიცება (αὐτῶν τῶν ἀτόμων, რომელსაც ჯერაც ვერ უპოვეს ადგილი, და რომლის შესახებ დღესაც არ არის გამოჩვეული, რისთვის განოიგონა ის ძენონმა, რა მიზანი ჰქონდა მას. ჩვენი გაგებით კი, ეს მტკიცება განუყრელი კავშირით არის შეკრული ძენონის არგუმენტებთან მოძრაობის წინააღმდეგ: ის მათ დასრულებას წარმოადგენს.

5. ძენონი. შენ ამბობ, რომ მთელს აქვს თვისებები, რომლებიც არა აქვს მის შემადგენელ ნაწილებს, ცალკე აღებულებს? მაშ გამოდის, რომ შექანიკური შეერთება ნაწილებისა ჰქმნის მთელის ახალს თვისებებს?

მოპასუხე. დიახ, მე ამას ვამბობ და კიდევ დაგიმტკიცებ მაგალითით. ლომის ერთი მედიმნი ხომ მარცვლების ჯამია: ცალ-ცალკე ეს მარცვლები რომ ზვიდნან იატაკზე გაეავდოთ, ისინი ხმაურობას არ აღენენ. მაგრამ როდესაც მათი მედიმნის მარცვლებს ერთბაშად დაეყრით იატაკზე, დიდი ხმაურობა ატყდება.

ძენონი. მიპასუხეთ, რამდენი ლომის მარცვალი იქნება ერთ მედიმნში?

მოპასუხე. დაახლოებით, ათი ათასი.

ძენონი. ერთი მარცვალი რომ დაავდოთ იატაკზე, მოიღებს თუ არა იგი ხმაურობას?

მოპასუხე. არა.

ძენონი. ამ ერთ მარცვალს რომ კიდევ ერთი მიეყობათ, მოიღებენ თუ არა იატაკზე გადებულნი ორი მარცვალი ხმაურობას?

მოპასუხე. არა.

ძენონი. რომ სამი მარცვალი გაეავდოთ, იქნება თუ არა ხმაურობა?

მოპასუხე. არა.

ასე შეიძლება თითო-თითო მარცვალის მომატებით ათათას მარცვლამდის ანუ მთელ მედიმნამდის თანდათან ასვლა და ვერსად მოპასუხე ვერ გაბედავდა თქმას, რომ ერთი რომელიმე მარცვლის მომატების გამო გაჩნდა ხმაურობა, რადგანაც ამ ხმაურობის მიზეზად მაშინ ეს ერთი უკანასკნელად მიმატებული მარცვალი უნდა გამოცხადებულიყო. აქედან კი დასკვნა ის უნდა ყოფილიყო, რომ მთელს არ შეიძლება მიეწეროს ნიშნები, რომლებიც არა აქვს მის ნაწი-

ლებს, და უკანასკნელთა მექანიკური შეერთება ვერ ჰქნის თვისებებს, როგორც არ გააჩნია თათოფულს მათგანს ცალ-ცალკე აღებულთ. ე. ი. რაოდენობა არ ჰქნის რომელიმას: რაოდენობით შექმნილი რომელიმე მოჩვენებაა¹.

თუ კარგად დავაყვირდით ამ უკანასკნელ საბუთს, მივხვდებით, რა შეტომა აქვს აქ ძენონს ჩადენილი: ის ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ჩვენი აზროვნებისათვის გაჩენა ახალისა (გაჩერებისაგან მოძრაობისა, სიჩქუნისაგან ხმაურობისა) დაუძლეველია, და ფიქრობს, ვითომ ამით დამტკიცებულია ისიც, რომ ახალის გაჩენა არ არსებობს. ეს კი არ არის მართალი: რაც ჩვენი აზროვნებისათვის დაუძლეველია, ის სინამდვილეს მოკლებულად მაშინ გვექნებოდა უფლებად გამოვცეცხადებია, თუ დამტკიცებული იქნებოდა, რომ ჩვენი აზროვნება ჰქნის სინამდვილეს. გარეშე ამისა კი დაუძლეველი ჩვენი აზროვნებისათვის შეიძლება ნამდვილად არსებობდეს; მაგალითად, რაც ამ აზროვნებისათვის გაჩერებათა ჯამია, ის შესაძლებელია ნამდვილი მოძრაობა ან გაჩერების საწინააღმდეგო რეალობა იყოს. — ჩვენი წარმოდგენა საგნისა რომ მეორეს ასეთსავე ჩვენს წარმოდგენას საგნისას მიუმატოთ, ახალი შინაარსის წარმოდგენა საგნისა არ გვექნება. მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ ერთი საგანი მეორეს ასეთსავე საგანს თუ მიუვსატეთ ახალი საგანი არ შეიქმნება. განა ჩვენი წარმოდგენა საგნისა და რეალური საგანი ერთი და იგივეა? არა.

C

ბუნება არ არის, რადგან არ არის არც მრავლობა, არც მოძრაობა.. მაგრამ ამით ძენონი არ კმაყოფილდება: მას ახალი საბუთი მოჰყავს ბუნების იორეალობის დასამტკიცებლად. ეს არის საბუთი სივრცის წინააღმდეგ.

ის, რასაც ჩვენ ბუნებას ვეძახით, ვანფენილია, ე. ი. ის სივრცეში იმყოფება ან მას ადგილი აქვს. მაგრამ შეუძლებელია ამის განაზრება. თუ ბუნებას ადგილი აქვს, ე. ი. თუ ის ადგილში იმყოფება, ეს უკანასკნელიც თავის ადგილში უნდა იმყოფებოდეს, ეს მეორე ადგილიც თავის ადგილში და ასე დაუსრულებლად: ერთი აბსოლუტური ადგილი, რომელშიც უნდა იყოს მოთავსებული ყველაფერი და რომელიც თვითონ არაფერში არ აოის, არ შეიძლება ამპირობით. აბსოლუტური ადგილის გარეშე კი შედარებით ადვილს ეკარგება აზრი, და, როგორც უნაზრობა, უკანასკნელი არც არსებობს. მანასადამე, ნამდვილად არ არის განფენილი ბუნებას: ის მხოლოდ მოჩვენებაა.

ასეთი უნდა ყოფილიყო, თუ არ ვცდებით, ამ არგუმენტის აზრი, რამდენადაც შეიძლება მისი მიწვდომა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. ერთი ნაწყვეტი ძენონის თხზულებისა, სიმპლიკიოსის მიერ გადმოცემული, ამბობს: $\epsilon\iota \ \xi\alpha\lambda\upsilon\ \delta\ \tau\epsilon\lambda\epsilon\iota\varsigma \ \xi\upsilon \ \tau\epsilon\iota\ \xi\omicron\iota\alpha\iota; \ \pi\alpha\upsilon \ \gamma\acute{\alpha}\rho \ \omicron\upsilon \ \tau\upsilon\iota\varsigma: \ \tau\delta \ \beta\epsilon \ \xi\upsilon \ \tau\epsilon\iota \ \kappa\alpha\iota \ \xi\upsilon \ \tau\epsilon\lambda\alpha\upsilon. \ \xi\alpha\lambda\alpha \ \mu\epsilon\gamma\alpha \ \kappa\alpha\iota \ \delta\ \tau\epsilon\lambda\epsilon\iota\varsigma \ \xi\upsilon \ \tau\epsilon\lambda\alpha\upsilon \ \kappa\alpha\iota \ \tau\epsilon\lambda\alpha\upsilon \ \xi\eta' \ \mu\epsilon\pi\alpha\sigma\epsilon\upsilon\sigma\alpha. \ \iota\kappa \ \xi\prime. \ \alpha \ \xi\omicron\tau\upsilon\iota \ \delta \ \tau\epsilon\lambda\epsilon\iota\varsigma \ \xi\prime.$

¹) $\epsilon\iota \ \delta \ \mu\acute{\alpha}\kappa\iota\sigma\iota\varsigma \ \tau\epsilon\delta \ \alpha\epsilon\gamma\chi\epsilon\tau\epsilon\ \upsilon \ \mu\omicron\iota\epsilon\tau, \ \mu\alpha\epsilon\chi\epsilon\tau\epsilon: \ \kappa\alpha\iota \ \delta \ \epsilon\lambda \ \alpha\epsilon\gamma\chi\epsilon\tau\epsilon\ \ \kappa\alpha\iota \ \tau\epsilon \ \mu\alpha\iota\alpha\iota\sigma\epsilon\delta\ \ \tau\alpha\upsilon \ \alpha\epsilon\gamma\chi\epsilon\tau\epsilon.$ Simpl. 1104 18. DV 19 A 29. „თუ ერთი მედიონი მარცვლებისა ხმაურობს, იბმურებს ერთი მარცვლიც და ერთი მეათასედიც მარცვლისა“. მაგრამ, რაკი ერთი მეათასედი მარცვლისა არ ხმაურობს, არც ერთი მედიონი მარცვლი ხმაურობს—ასე უნდა დავაბოლოოთ სიმპლიკიოსის მოწმობა.

²) Simpl. 562,3. ვთანხმება ანას სხვა ცნობებშიც. DV 19 A 24.

სხვა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ის მაინც ნათელია, რომ ამ საბუთით ძენონი ამტკიცებს განუფენილი ბუნების ირრეალობას და ის მიმართულია არა ბუნების მრავლობის წინააღმდეგ, როგორც ფიქრობს ცელერი¹, არამედ ბუნების განუფენილობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ეს არგუმენტი უნდა ცალკე გამოვყოთ და დავუპირდაპიროთ ის მრავლობასა და მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ არგუმენტაციას².

ჩვენ ხანგრძლივად შევჩერდით ძენონის არგუმენტებზე. გამოწვეულია ეს სხვათა შორის მით, რომ არსებულ ლიტერატურაში არ არის გამოკვეთული კავშირი ამ არგუმენტებს შორის. ამიტომ უკანასკნელებს ჩვეულებრივ გადმოვკვეთენ ცალ-ცალკე, თითქო ისინი მსჯელობის ერთს ჯაქვს არ წარმოადგენდენ ამ ნაკლის გამოსწორება სცადა ტანნერი³, რომელსაც გაჰყენენ ბოიმიკერი⁴ და ბუჩერი⁵. მაგარა ტანნერის ცდის წინააღმდეგ უნდა ითქვას ჯერ ის, რომ ეს მეცნიერი ვერ ახერხებს ძენონის ყველა არგუმენტის ურთიერთ დაკავშირებას: და მეორე კი ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტანნერი materialiter შეცდომიანია ჩაუარდნილი, როდესაც ჰუიქრობს, რომ ძენონი ეკამათება პითაგორელთა წარმოდგენას სივრცეზე და დროზე, როგორც დისკრეტულ ერთეულთა ჯანზე

ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ ზევით, ძენონი არამც თუ აო ეკამათება ვრცეული და დროული რაოდენობის დისკრეტობას, არამედ გამოდის ზოგს შემთხვევაში ამ დისკრეტობისაგან, რათა ცხად ჰყოს მრავლობის და მოძრაობის აბსურდობა, ისე როგორც სხვა შემთხვევაში ის გამოძის წინააღმდეგი წარმოდგენიდან ან დროსა და სივრცის უწყვეტობისაგან, რათა ცხად ჰყოს მოძრაობის და მრავლობის ისევე ის აბსურდობა ამ დაშვების თვალსაზრისითაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვითონ ძენონისათვის სულერთი იყო, მიიჩნევდა ვინ-მე დროს და სივრცეს კონტინუუმად თუ დისკრეტ ერთეულთა ჯამად: ორსავე შემთხვევაში ის დაწმტკიცებდა მოპირდაპირეს, რომ მრავლობა და მოძრაობა არ არსებობენ ნამდვილად. სწორედ ეს უკანასკნელი დებულება იყო ძენონის მთავარი მიზანი, და ყველა მისი არგუმენტები ამ მიზნის გარშემო არიან გაერთიანებული.

კრიტიკული თვალი რომ გადავაელოთ ძენონის არგუმენტებს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ძენონი ამტკიცებს იმას, რომ ემპირიული ბუნება (ვანუფენილობა, მოძრაობა და მრავლობა) არ თავსდება იმ წარმოდგენათა წყობაში, რომლებიც ძენონის დროს მიღებული იყო. აქედან მას გამოჰყავს ის დებულება, რომ ემპირიული ბუნება საზოგადოდ გონების ჩარჩოში არ თავსდება, რომ ის ეწინააღმდეგება გონებას, რომ ის უგნურია. მაშასადამე, დაასკენის ძენონი, ემპირიული ბუნება არ არსებობსო.

¹) Zeller, 1, 751 თავსებს ამ საბუთს იმ რუბრიკის ქვეშ, რომელსაც საერთო სათაურად აქვს: Die Beweise gegen die Vielheit.

²) ამ არგუმენტის შეცდომა იმაშია, რომ ის ადგილს კონკრეტულ საგანს უთანასწორებს. წყარო ამ შეცდომისა სალაპარაკო ენაშია საქმბელი. შტრ. Gomperz, Griech. Denker 1 B. 2 Aufl, 178.

³) Tannery, Science Hellène, p. 249; Baumker, Das problem der Materie, 60, ff.; Burnet, 281 ff.

ძნელი არ არის ამ თეორიის შეტომების აღმოჩენა.

ჯერ ბუნებაც რომ ჩვენს წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდეს, აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ის უგუნურია: ეგებ თვითონ ჩვენი წარმოდგენებია უგუნური. ძნონი ვერ არჩევს ემპირიულ გონების ცნებას აბსოლუტური გონების ცნებისაგან.

მაგრამ ისიც რომ დამტკიცებული იყოს, ვითომ ბუნებასა და აბსოლუტურ გონებას შორის არის წინააღმდეგობა, ეს კიდევ არაფერს ამბობს იმის სასარგებლოდ, რომ ბუნება არ არსებობს. რად უნდა უსათუოდ არსებობდეს ნხოლოდ ის, რაც გონიერია? ამას ხომ განსაკუთრებული განხილვა და გამოკვლევა სჭირია, რომელიც ძნონს არ მოუხდენია.

S. DANELIA.

ZENO'S DIALEKTIK

(Zusammenfassung).

Im vorliegenden Aufsatz wird der Versuch gemacht, einen Zusammenhang zwischen den berühmten Beweisen Zeno's aus Elea aufzudecken. Vo!-lends fehlt uns an solchen Versuchen in der bisherigen philosophie-geschicht!-ichen Forschung nicht: man kann sich hier auf Tannery's Beispiel berufen. Aber der von Ed. Zeller schon aufgezeigte Irrtum, den der französische Gelehrte (ihm stimmen hier Bäumker und Burnet bei) begangen hatte, ist gut bekannt: Tannery hatte die zenonische Kritik auf die pythagoreische Lehre bezogen und von diesem Standpunkte aus die Einheit der zenonischen Beweise herauszustellen versucht. Meiner Meinung nach ist der Grundgedanke, der die Beweise Zeno's zusammenhält, folgender: die sinnlich wahrnehmbare Natur ist nur ein Schein, der das echte Sein entbehrt. Diesen eleatischen Grundsatz hatte Zeno von seinem Lehrer Parmenides entlehnt und ihn dialektisch in seinen Beweisen der Scheinbarkeit des Raumes, der Vielheit und der Bewegung ausgeführt. So sieht man es leicht, dass diese Abhandlung im Wesentlichen nur eine Bestätigung und weitere Entwiecklung der zellerischen Ansicht ist: eine weitere Entwiecklung, denn Zeller, dessen Autorität auf dem Gebiete der philosophie-geschichtlichen Forschung so hoch steht und dem gegenüber es an der gebührenden Achtung meinerseits durchaus nicht fehlt, hatte den strengen Zusammenhang der zenonischen Beweise nicht bemerkt, und ihn sogar explicite verneint (D. Phil. d. Griech. 1^o, 748 f.).

ALEXANDER W WEDENSKIJ

(1856—1925).

NEKROLOG.

Am 7 März 1925 verschied Alexander Wwedenskiĵ, Professor der Philosophie an der Leningrader Universität, der letzte ansehnliche Vertreter jener russischen Universitätsphilosophie, die durch das Statut vom J. 1863 ins Leben gerufen wurde. Dem Aufblühen der Philosophie in den Universitäten entsprach ein gleichzeitiger Aufschwung des philosophischen Denkens in den geistlichen Akademien. Solchen Namen, wie die von Grot, Wladimir Ssolowjew, Lopatin und von den Gebrüdern Trubetzkoi—können die geistlichen Akademien nicht minder bedeutende entgegenstellen, wie Karinskiĵ, Liniĵskij, Nesmielow, Sserebrennikow u. a.

Alexander Wwedenskiĵ wurde im J. 1856 geboren. Er absolvierte das Gymnasium in Tambow und seine wissenschaftliche Bildung erhielt er an zwei Fakultäten der Petersburger Universität—an der mathematischen und historisch-philologischen. Prof. M. Wladislawlew gewann den jungen Studenten für die Philosophie und liess ihn sich zum Professorenamt vorbereiten. Von 1887 bis 1924 lehrte A. Wwedenskiĵ an der Petersburger (jetzt Leningrader) Universität Philosophie, zuerst als Dozent, nachher als Professor. Sein ganzes Leben ist aufs innigste mit der Universität und den Höheren weiblichen Kursen verbunden; hier erwarb er den Ruhm eines glänzenden Redners und hervorragenden Denkers. Seine erste Arbeit wurde im J. 1886 publiziert. Zwei Jahre später veröffentlichte er sein erstes bedeutendes wissenschaftliches Werk, seine Dissertation zur Erlangung der Magisterwürde: „Versuch einer Konstruktion der Materie nach den Prinzipien der kritischen Philosophie“. Den Prinzipien der kritischen Philosophie, welche die Grundlage dieser Arbeit bildeten, ist Wwedenskiĵ sein ganzes Leben lang treu geblieben.

In das Jahr 1892 fällt seine Arbeit „Von den Grenzen und Merkmalen der Beseeltheit“; sie rief eine lebhafte Polemik hervor, in welcher Grot, Astafjew, Lopatin, Fürst Sergius Trubetzkoi und Radlow als seine Gegner auftraten.

Wwedenskij unternimmt es folgendes zu beweisen: hält man sich ausschliesslich an die Data der äusseren und inneren Erfahrung, so stellt es sich heraus, dass das fremde Seelenleben keine objektiven Merkmale aufweise und folglich wie vom Standpunkte der materialistischen, so auch von dem der spiritualistischen Metaphysik aus unbeweisbar sei. Hätte Wwedenskij sein Problem umfassender gestellt, so müsste er behauptet haben, dass vom Standpunkte des Spiritualismus aus die Existenz der Aussenwelt nicht zu beweisen sei, und von dem des Materialismus -- die der eignen Seele. Die Prinzipien der kritischen Philosophie, welche die Unmöglichkeit der Metaphysik zur Folge haben, wendet Wwedenskij auch zur Frage von der Freiheit des Willens und vom Sinn des Lebens an in seinem Buche „Philosophische Skizzen“, einer Sammlung seiner philosophischen Aufsätze, die im J. 1901 erschien.

Die Willensfreiheit und der Sinn des Lebens können nicht bewiesen werden, sie sind Gegenstand des Glaubens. Zum Glauben an die Freiheit verpflichtet uns das Sittengesetz und zum Sinn des Lebens gelangen wir durch den Glauben an die Unsterblichkeit der Seele. Zum selben Thema kehrt Wwedenskij noch einmal zurück in seinem letzten Aufsätze, welcher in der 3-ten Nummer der Zeitschrift „Мысль“ in 1921 publiziert wurde. In dieser Arbeit sucht Wwedenskij darzustellen, dass die Existenz Gottes ebenso unbeweisbar sei, wie die Negation derselben -- beides ist Gegenstand des Glaubens. Als Vertreter des Kritizismus verhielt sich Wwedenskij ablehnend zum Mystizismus Wl. Ssolowjew's und auch zum Intuitivismus Losskij's: beide Philosophen vermengen, seiner Ansicht nach, die Gebiete des Wissens und Glaubens, während alle seine Bemühungen grade darauf gerichtet waren, zwischen beiden Gebieten eine unüberwindliche Schranke zu errichten. Der Scheidung des Wissens und Glaubens räumt Wwedenskij sehr viel Platz ein auch in seinen beiden Hauptwerken: seiner „Logik, als Theil der Erkenntnistheorie“ und seiner „Psychologie ohne jegliche Metaphysik“. Die Metaphysik zu vernichten, die Wissenschaft von allen Elementen des Glaubens, d. heisst von unbegründeten Voraussetzungen, zu reinigen -- dies war das beständige Streben des verstorbenen Denkers.

Was war es aber, das Wwedenskij zu einem Standpunkte hinzog, der wohl skeptisch erscheinen mag und sogar einigermaßen erniedrigend für die Kraft des menschlichen Verstandes? Es war eben seine Achtung für die Wissenschaft, zumal seine Verehrung für die Mathematik und Naturwissenschaft, die er mit Kant für die Grundlage der wissenschaftlichen Erkenntnis hielt. Das unvergänglich Wertvolle in den Arbeiten des Prof. Wwedenskij liegt grade in seinem Versuche, die Wissenschaft ausschliesslich auf Grund des Beweisbaren zu bauen und die Grenzen der menschlichen Erkenntnis zu Bewusstsein zu bringen.

Hier ist natürlich nicht der Ort, sich in die Kritik des von Prof. Wwedenskij erkorenen Standpunktes zu vertiefen, obzwar letzterer viele Bedenken

erregt hat; wir können aber nicht umhin, zu betonen, dass er denselben meisterhaft verteidigte und ihn dem Verstehen der breitesten Gesellschaftskreise anpasste.

A. Wwedenskij nannte seine Philosophie „Logizismus“, um sie vom Kritizismus Kants, dem sie sehr nahe steht, abzusondern. Der Ausdruck „Logizismus“ soll bedeuten, dass es möglich sei, die Ungültigkeit der Metaphysik auf Grund der formalen Logik zu beweisen, ohne zu verwickelten erkenntnistheoretischen Betrachtungen zu rekurrieren, deren so viele die Kritik der reinen Vernunft aufweist. Der Gedankengang Wwedenskij's ist folgender: das Denken ist vom Vorstellen verschieden. Wir können den Widerspruch denken, aber vorstellen können wir ihn nicht. Jeder Beweis nimmt unumgänglich die Form eines Schlusses an und hat folglich den Satz des Widerspruchs zum Grunde. Um aber einen Syllogismus zu konstruieren, müssen wir wissen, ob der Satz des Widerspruchs auf den Gegenstand des Schlusses anwendbar sei. Doch, was das wahrhaftige Sein, oder die Dinge an sich betrifft, so können wir nicht wissen, ob es möglich sei, den Satz des Widerspruchs auf sie anzuwenden, da das Ding an sich unvorstellbar ist; folglich ist auch die Erkenntnis desselben, d. h. die Metaphysik, unmöglich. Diese wenig überzeugende Gedankenfolge schätzte Wwedenskij sehr hoch und nannte sie „den russischen Beweis des Kritizismus“.

Oesters bot sich dem Prof. Wwedenskij die Gelegenheit an, seine Ansichten gegen Erwiederungen zu verteidigen. Wir erwähnten schon die Polemik über die Merkmale der Beseeltheit, aber auch der Logizismus wurde von Seiten Lusskij's und Bukreew's bestritten. Einen sehr harten Kampf über den Begriff der Zeit bei Kant hatte Wwedenskij mit Karinskij zu bestehen. In dieser Polemik zeigte der erstere eine grosse Gabe der Dialektik, welche ihm half die Angriffe Karinskij's zu parieren, der seinerseits in der Philosophie Kants vorzüglich bewandert war und einen scharfen kritischen Verstand besass. Mit Wlad. Ssolovjew polemisierte Wwedenskij über Spinoza: Wwedenskij sah in ihm einen Atheisten, während W. Ssolovjew ihn für gottesbegeistert hielt. Wenig Befriedigung bot Wwedenskij seine Polemik mit A. Netschajew und I. Prodan, denn in diesem Streite walteten nicht ausschliesslich wissenschaftliche Motive, sondern auch Affekte und die törichten Angriffe I. Prodan's führten zu einer Gerichtsverhandlung, die für Prof. Wwedenskij mit völliger Rechtfertigung, für Prodan aber mit Schmach endete.

Die Bedeutung des Prof. Wwedenskij ist aber mit der Erwähnung seiner wissenschaftlichen Tätigkeit, seines Kampfes gegen die Metaphysik und seiner Verteidigung der reinen Wissenschaft nicht erschöpft, denn er war ausserdem noch ein hervorragender Pädagog.

Während seiner 37-jährigen Lehrtätigkeit an zwei Hochschulen (ausser der Rajewschens weiblichen Kursen und der Militärakademie) brachte er seinen

Hörern Liebe und Achtung für die Wissenschaft bei und erntete als Lektor einen ungemeinen Erfolg. Seine Vorlesungen zeichneten sich durch eine seltene Klarheit und Zugänglichkeit aus, ohne an wissenschaftlichem Wert einzubüssen. Er verstand es seine Zuhörer durch eine feine Dialektik für seine Denkart zu gewinnen.

Sein Auditorium war immer überfüllt und wohl Tausende von Hörern sind bei ihm in der Schule gewesen, wobei sie von ihm einer sehr strengen Prüfung unterzogen wurden. Als Lehrer verfolgte er beständig ein Ziel, das völlig dem Geiste seiner Philosophie entsprach: er war immer besorgt, seine Hörer zur Selbstständigkeit des Denkens, zum kritischen Verhalten gegenüber solchen Sätzen, die für allgemeingültig und unumstösslich gelten, zu erziehen. In dieser Hinsicht hat Wwedenskij der russischen Gesellschaft einen unschätzbaren Dienst erwiesen und seinem Namen wird in der Geschichte der russischen Aufklärung ein Ehrenplatz beschieden, da er viel dazu beigetragen hat, den dogmatischen Schlummer zu stören, dem die Menschen von Natur aus so sehr unterworfen sind.

Am öffentlichen Leben nahm Wwedenskij nur als Mitglied der Universität und der Philosophischen Gesellschaft teil; wie im Professorenrat, so auch in der Fakultät übte er einen grossen Einfluss auf seine Kollegen aus und wurde von denselben hoch geachtet; auf seine Meinung ward immer viel gegeben. Der philosophischen Gesellschaft, deren beständiger Vorsitzender er 25 Jahre, d. h. fast die ganze Zeit ihrer Existenz verblieb, widmete er viel Aufmerksamkeit. Wwedenskij gelang es dieser Gesellschaft im Leben der Petersburger gebildeten Kreise eine erhebliche Bedeutung zu verschaffen, auch machte er ihre Sitzungen sehr lehrreich für die studierende Jugend. Die Jahressitzungen der Gesellschaft erfolgten immer in der Aula der Universität und wurden sehr stark besucht. Zum Halten von Vorträgen lud der Vorsitzende die hervorragendsten Gelehrten und Schriftsteller ein, wie Wl. Ssolowjew, A. Koni, I. Pawlow, D. Ginzburg, Schtscherbatskoy, N. Kottlarewskij, Boborykin u. a. Wwedenskij leitete meisterhaft die Verhandlungen, die sich nach den Vorträgen entspannen und verstand es vortrefflich, in jedem Vortrage das wahrheitsgemässe auszuscheiden, aber andererseits auch die schwachen Seiten desselben zu beleuchten.

A. Wwedenskij zeichnete sich durch einen aufrichtigen Charakter aus; er hielt sich immer ferne von allerhand Intriguen, was ihm nicht schwer fiel, da er von Natur etwas verschlossen war und hauptsächlich in Kreise seiner Familie und einiger weniger Freunde verkehrte. Seine Meinung verhehlte er nicht, sondern sagte sie immer klar und offen aus. In der Klarheit und fast mathematischen Genauigkeit seines Denkens gab sich vielleicht das französische Blut kund, welches er von seiner Mutter erbt. Er neigte nie zur Sentimentalität, aber als Freund vermochte er tiefe und aufrichtige Gefühle zu offenbaren, ohne sie zur Schau zu tragen. Sein Kritizismus, der allen Religi-

onen einen gleichen Wert zuschrieb, hinderte ihn nicht, die grösste Achtung für die orthodoxe Kirche zu hegen.

In seiner Person verschied aus dem Leben nicht nur ein bedeutender Gelehrte und ein glänzender Pädagog, sondern auch ein ausgezeichneter Mensch.

E. Radlow.

აღ. ჟანელიძე.

გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარკვე.

I. შავაშვიის თეორიის კრიტიკის გამო.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაინახა, რომ მიწის სახე პარცელიდანვე ქმნილი და უცვლელი არ არის, მისთვის ნათელი შეიქნა, რომ მთებსაც თავისი ისტორია აქვს, რომ ისინიც რბადებიან, იზრდებიან და ქრებიან ისევე, როგორც უელაფერი უსაზღვრო ცის ქვეშ. მაგრამ თუ მთები წარმოიშობიან, ამ მოვლენას რაიმე მიზეზი უნდა ჰქონდეს, და მეცნიერებაც იმ თავითვე შეუდგა მის ძეგლს. პიოველ ცდას ამ გზაზე A. von Humboldt-ისა და L. von Buch-ის ამოხსნების ანუ პლუტონური თეორია წარმოადგენს, რომლის მიხედვით მთების ამარჯვა ქვევიდან მოწოდებული ვულკანური მასის გავლენით ხდება. ეს მოძღვრება წარსული საუკუნის პირველ ნახევარში საყოველთაოდ მიღებული იყო, მაგრამ ნალე აღმოჩნდა, რომ იგი ნაკლებად ეგუება მიწის ქერქის ნაშენობის (ტექტონიკის) მრავალ ძირითად ფაქტს, და ამიტომ მისი შეცვლა აუცილებელი შეიქნა. E. de Beaumont-მა, რომელიც დასაწყისში თვითონაც პლუტონური თეორიის მიმდევარი იყო, უკვე 1829 წელს გამოთქვა და 1852ს ვრცლად დაასაბუთა ახალი თეორია, დღეს ყველასაგან კონტრაქციისა ანუ შეკუმშვის თეორიად ცნობილი. ეს მოძღვრება, როგორც ვიცით, შემდეგში მდგომარეობს: მიწა საერთოკლავთშორისო სივრცეში დიდძალ სითბოს ასხივებს და ამის გამო ცივდება. გაცივება იწვევს შეკუმშვას, მაგრამ რადგანაც შედარებით უფრო ცივი ქერქის შეკუმშვის კოეფიციენტი ნაკლები არის, ვიდრე მიწის გულისა, უქანასკნელი ჩატად იკუმშება. ამის გამო ქერქი სცილდება დამატარებულ გულს და მათ შორის ვირტუალური სივრცე იჩნდება. ხოლო რადგან სიმძიმე აიძულებს მიწის ქერქს ძირს დაიწიოს და ისევე გულს დაეყრდნოს, წარმოდგება კამარული დაწოლა ისეთივე, როგორც ჰაკალითად ქვის ხიდებში ან გუმბათებში მოქმედებს. შევეუბრვივად მიმართული სიმძიმის ძალა ტანგენსურად იქცევა და, როდესაც საკმარის ძლიერი გახდება, ქერქის დანაოქებასა და მთებთან ამოხრცვას იწვევს. ამ რიგად მიწის ქერქის აწეობა მცირდება და იგი (ქერქი) ისევე გულს ეყრდნობა.

ახლა თეორიამ თანდათან ნეტი მიმდევარი იპოვა ჯერ ანგლურ-საქსურ ქვეყნებში და შემდეგ ევროპის კონტინენტზეც და წარსული საუკუნის დასასრულს უდავოდ გაბატონებული იყო ისეთი ავტორიტეტების მეშვეობით, როგორც Alb. Heim, E. Suess და სხ. რაც შეეხება პლუტონურ თეორიას, მისი პრეტენზიები

ზოგი კერძო შემთხვევის ახსნის იქით აღარ მიდიოდა¹. მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში Reyerის², Ampfererის³, Andréé's⁴, Dacqués⁵, და სულ ბოლოს Wegenerის⁶ კრიტიკამ ძლიერ შეაჩივრა შეკუმშვის მოქცევის საფუძვლები. დღეს ბევრისათვის ამ თეორიის ბედი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი არის⁷ და მის გადაჩვენება ხრუნვა უფიქროს საქმეა, მაგრამ სხვები, და მათ შორის არა უკანასკნელი (Alb. Heim, E. Haug, H. Stille და სხვანი) სხვა აზრისა არიან და ბოლოსდაბოლოს ყველაზედ უფრო მისაღებად ისევ კონტრაქციის თეორია მიაჩნიათ.

კონტრაქციის თეორიის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა ორგვარი ხასიათისა არის ერთი მხრით უარყოფენ თვით შეკუმშვის სინამდვილეს (ან მის რაოდენობის საკმარისობას), რადგანაც მიწის გაცეხვას შემდგომად ჰიმოთეზად სთვლიან, ხოლო მეორე მხრით ამტკიცებენ, რომ მიწის შეკუმშვა, კიდევ როგორც ხდებოდა, ისეთი სახის ნაოქებს ვერ მოგვეცნა, როგორსაც არსებული მთების სისტემები წარმოადგენს. მე მინდა ამ წერილში უკანასკნელი კატეგორიის კრიტიკაზე შეჩერდეთ. უნდა ვთქვათ არგუმენტი აქ ორი არის: 1. მთების ნაოქების მხოლოდ მიწის ქერქის განსაზღვრულ ზოლებში წარმოშობა და არა მიწის მთელს ზედაპირზე. 2. მთების განვითარება კონტინენტების ცალ მხარეზე და არა მათ გარშემო.

1. მიწის ქერქი რომ რჩეულ ადგილებში დანაოქდეს მხოლოდ, და არა საყოველთაოდ, ეს შეკუმშვის თეორიის მიხედვით ტანგენსური დაწოლის შორ მანძილზე გადაცემას მოითხოვს. მაგრამ მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზე მიწის ქერქი კამარული დაწოლის დაგროვება ისეთ ძალას წარმოშობდა, რომელიც მრავალჯერ აღემატება⁸ ქანების წინევაგამძლეობას (Druckfestigkeit, resistance à la pression)⁹. ამიტომ მიწის ქერქი თითქოს სრულიად უნდა დამსხვრეულიყო და ლოდების უფორმო ნარევიდ ქვეუღიყო.

მე ვფიქრობ, რომ ეს კრიტიკა კონტრაქციის თეორიის შემდგომ გაგებაზედ არის აგებული. მისი ავტორები გულისხმობენ, რომ შეკუმშვის თეორიის მიხედვით მიწის ქერქსა და გულს შორის სრული სიცარიელე არსებობს და კა-

¹) E. Philipp, Ueber junge Intrusionen in Mexiko u. ihre Beziehungen zur Tektonik der durchbrochenen Schichtgesteine, nach den Forschungen von E. Böse u. C. Burckhardt. *Zentralblatt f. M., G. u. P.*, 1907, p. 449-460.

²) E. Reyer, *Theoretische Geologie*, Stuttgart 1888; *Geologische Prinzipienfragen*, Leipzig 1907.

³) O. Ampferer, Ueber das Bewegungsbild von Faltengebirgen. *Jahrb. d. k. k. Geol. Reichsanst.*, Bd. I, VI, 1906, p. 539-622.

⁴) K. Andréé, Ueber die Bedingungen d. Gebirgsbildung, Berlin 1914.

⁵) E. Dacqués, *Grundlagen u. Methoden d. Paläogeographie*, Jena 1915.

⁶) A. Wegener, *Die Entstehung d. Kontinente u. Ozeane*. 3. Auflage. Braunschweig 1922.


⁷) დაზახსათებელი არის ამ ძივის M. Gignoux, *Les theories de Wegener. Revue gén. Sciences*, 1925, no 5.

⁸) ეს აზრი გამოთქვა Ampferer-მა (loc. cit.) და ანავე იმეორებენ კონტრაქციის თეორიის ყველა მოწინააღმდეგენი

პარულ დაწო-რაში მიწის ქერქის აღებულის ნაწილის მთელი წონა გადააქეთ. ასეთ ძალას, რაღა თქმა უნდა, ვერც ერთი ქანი ვერ გაუძლებდა. მაგრამ ნამდვილად მიწის ქერქი პიროსფეროზე ტიპტივობს და არასოდეს არ სცილდება მას. სიცარილე, რომელიც მათ შორის ჩნდება, არა მარტო ვირტუალი, არამედ ნაწილობრივად არის და შეკუმშვის გამო წარმომდგარი კამარული დაწოლა მიწის ქერქის წონის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. ეს ძალა ქერქში შორს გადაიქცემა და, როდესაც იგი იმდენად გაიზრდება, რომ მიწის ქერქსა და მის დასაყრდენს შორის დრესის ძალას გადააქარბოს, მას შეუძლია ქერქი გააკოცოს და უსუსტეს ადგილას მისი დანაოქება გამოიწვიოს. ამ გეარად გასაგებნი ხდება (შეკუმშვის თეორიის თვალთსაზრისით) მთების წარმოშობა კონტინენტების ნაპირზე გეოსინკლინალების ვიწრო ზოლში. ეს მოსაზრება, რომელიც მე აღრევე მქონდა გათვალისწინებული, როგორც შემდეგ შევიტყვი, Nölike¹ აქვს დაწვრილებით განვითარებული.

2. მაგრამ რჩება მეორე დაბრკოლება: რად ჩნდება მთები კონტინენტების უკლები და არა მათ ირგვლივ, როგორც ამას მექანიკის კანონები მოითხოვს, თუ შეკუმშვის თეორიას ვემყარებით? როდესაც კონტინენტის მასა მიწის გულის შეკუმშვის გამო ძირს იწევს, მის ირგვლივ, სადაც მიწის ქერქის უფრო ხელი ნაწილი (ოკეანის ფსკერი) იწყება, ყველგან ნაოქები უნდა წარმოიშვას და კონტინენტები მთების სარტყლით უნდა იყვნენ გარემოცული. ნამდვილად კი ეს ასე არ ხდება და მთები მხოლოდ კონტინენტების ერთ-ერთ მხარეზე ვითარდება. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს Ampfererმა და Wegenerმა.

შემდეგი მსჯელობით მე ვფიქრობ დავამტყიცო, რომ არც ეს სიძნელე არის შეკუმშვის თეორიისთვის დაუძლეველი. როგორც გეოფიზიკოსები, ისე გეოლოგები შეთანხმებული არიან, რომ კონტინენტები პიროსფეროზე (simaზე) პოტივტივე უფრო მსუბუქი მასალის (sialის) ბელტებს წარმოადგენენ. ვთქვათ, ეს ბელტები ერთიმეორისაგან განკალკევებული სიმეტრიული სხეულები არის, როგორც ამას Wegenerის სქემაზე ვხედავთ². მაშინ ჰიდროსტატიკური დაწოლის ცენტრი p და სიმძიმის ცენტრი g ერთ ვერტიკალზე მოხედებიან (1 სურ.) და სხეული ძალთასწორად იქნება. მაგრამ ასეთი პირობები რეალურად, შეიძლება ითქვას, არასოდეს განხორციელებული არ არის. ჩვეულებრივად კონტინენტის ერთ-ერთი მხარე უფრო დაბალია, მეორე უფრო მაღალი და იზოსტაზისის მოძღვრების თანახმად ჩაძირულ ნაწილსაც მზგავსადქე უსწორი რელიეფი უნდა ჰქონდეს (სურ. 2). ამიტომ აქ




სურ. 1

1) Fr. Nölike, Kritisches zur Kontraktionshipothese. Zentr. f. M. G. u. P. 1923, p. 78-82. Nölike ანგარიში სწორი არ არის იმდენად, რამდენადაც ის მხოლოდ ზედაპირულ დრესას ითვალისწინებს და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ კონტინენტები პიროსფეროში არის ჩაფლული.


2) Loc cit., p. 21.

სიმძიმისა და ჰიდროსტატიკური დაწოლის ცენტრები ერთ შვეულბრძვივზე აღარ იქნება და მივიღებთ ძალათა წყვილს, რომელმაც კონტინენტის გადატრიალება უნდა გამოიწვიოს. და გამოიწვევდა კიდევ, კონტინენტები რომ სიალის განცალკევებულ ბელტებს წარმოადგენდნენ, როგორც ჩვენ ეს ზემოთ დაფუძვით და როგორც ამას Wegenerი ამტკიცებს. მაგრამ სხვა ადგილას¹ მე ვცადე დამემტკიცებია, რომ მიწის ქერქი უწყვეტი არის და კონტინენტები მსოფლიო ოკეანის უსკერისაგან მხოლოდ სისქით გასხვავდებიან (სურ. 3). ასეთ პირობებში კონტინენტის გადაბრუნება შესაძლებელი აღარ არის. სამაგიეროდ სიმძიმის ძალა ჰორიზონტულ კომპონენტს, მოგვეცხვს, რომელიც კონტინენტს თითქო დაქანებულ სიბრტყეზე მდებარე სხეულს, ცალ მხარეზე (ვსკენ) აწევბა. შეკუმშვის გამო წარმოშდგარი კამარული დაწოლა ან ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს, სანამ ძალა ისეთ სიდიდეს არ მიაღწევს, რომ დანაოქება გამოიწვიოს.



სურ. 2

ეს მიმართ ვ იმ მხარეზედ არის, საითაც კონტინენტის რელიეფი მალა-ლია. ე. ი. კონტინენტი შეკუმშვის გამო იქითკენ მიცურავს, მას საითაც მთები აკრავს. აქიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა: მთების ახალი სისტემა კონტინენტს იქითკენ უნდა მოეკრას, საითაც წინანდელი სისტემა წარმოშობილა, რაც საკვებით მართლდება მიწის ისტორიაში (პურონული, კალედონიური, ჰერცინული და ალპური სისტემები ევროპაში).



სურ. 3

როგორც ვხედავთ, შეკუმშვის თეორია თვით შეიცავს კონტინენტების ცურვის ჰიპოთეზს და შეუძლია ახსნას ყველა ის მოვლენები, რომელთათვისაც ეს უკანასკნელი არის შექმნილი. უნდა ეივლისხმობთ კი, რომ კონტინენტების ჩანასახები იმ თავითვე ასიმეტრიული (რელიეფის მხრივ) იყვნენ, რაც სრულიად მისაღები არის. რასაკვირველია, დასაწყისში ეს ასიმეტრია (შენდეგ დისი-

¹) ა. ჯანელიძე, ოკეანეების წარმოშობა. „ტფ. უნივ. მოამბე“, IV 1924, გვ. 279-324.

მეტრია) სუსტი იქნებოდა და შეიძლება ამითაც აინსნებოდეს Uhligns მიერ¹ შემჩნეული უწყსროგო გავრცელება და ცვალებადი მიმართულება არქაიკუმის ნაოქებისა.

ყოველ შემთხვევაში, თუნცა შეკუმშვის თეორია ჯერ კიდევ ბევრ მკვლევარს, მაგრამ მის ძირითად უვარგისობაზე ლაპარაკი უეჭველად ნაადრევია. უპირატესობა მას მრავალი აქვს, ხოლო მოწინააღმდეგეების მიერ შენიშნული ნაკლი არც ერთი გადამწყვეტი არ არის.

II. მისჯარი და მსბავსი მოკლანებაი რაბაში.

რაქა რომ მეწყრის კლასიკური ქვეყანა არის, ყველა იცის. ეს გარემოება, რომ კიდევ ვისმე დაჰვიწყებოდა, წარსული ვახუფხულის ამბები, რომელთაც ვახუფხულის ქრონიკას სამწუხარო მათა მისცეს, მაინც მოაგონებდა უსიამოვნო სინამდვილეს. მაგრამ მიზეზი ამ მოვლენისა და მისი განვითარების მექანიზმი მეტ წილად სრულიად ყალბად აქვთ წარმოდგენილი.

უქანასკნელი ორი ვახუფხულის განმავლობაში რაქაში წარმოებულმა გეოლოგიურმა მუშაობამ საშუალება მომცა ამ საკითხის შესახებაც ცოტაოდენი მასალა დამეგროვებია² და, რადგანაც ზოგი დაკვირვება ინტერესს მოკლებული არ არის. მსურს აქ მათ შესახებ მოკლე ანგარიში მოვათავსო.

მეწყრის ცნება, როგორც მეტი წილი ხალხური შეგნებიდან გავოსულ ცნებათა, მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი მოძრავ მიწას წარმოადგენს, ხოლო ასეთმა მოვლენამ სულ სხვადასხვა პირობებში შეიძლება იჩინოს თავი. ყოველ შემთხვევაში ორ გარემოებას აქვს მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა: ქანის მეტსა თუ ნაკლებ მოძრაობას და ადგილის დაქანებას. უქანასკნელი გარემოება არის იმის მიზეზი, რომ მეწყრებს მხოლოდ მთებში ვხვდავთ, ხოლო პირველზე მეწყრების ბუნებრივი კლასიფიკაცია შევიძლია ავაგოთ. 1. გაშიშვლებული კლდეები ატმოსფერული აგენტების გავლენით უწყვეტლევ იშლება და მათი ფერდობი ნანგრევებით იფარება. ამგვარად წარმოდგება ნაზავის კონუსები და კალთები, რომელნიც საკმაოდ მოძრავ მასალას წარმოადგენენ და განსაზღვრულ პირობებში შეიძლება კიდევ დაიძრან. ეს იქნება ნაზავის მეწყერი. 2. სხვა შემთხვევაში შეიძლება თვით მკვიდრ ქანს ჰქონდეს საკმაოდ დენადობა, ან შეიძინოს იგი და იწყოს მოძრაობა. ეს იქნება საკუთრივ მეწყერი. 3. დასასრულ შეიძლება ქანი დენადი არ იყოს, მაგრამ ერთი შრე მეორეზე მიცოცავდეს ერთიანად. ან მოკლენას მიწყებრთან მხოლოდ შორეული მსგავსება აქვს.

1. ნაზავის კონუსები ჩნდება ყველგან, სადაც კი მავარი და ფიცი ქანი-საგან შემდგარი მაღალი კლდეები არის გაშიშვლებული. ქანი ირლვევა, დიდი თუ მცირე ნაშტრევეები ქვევით ცვივა და კლდის ძირთან ან მის კალთაზე გროვ-

¹) V. Uhlig. Ueber Gebirgsbildung. Wien 1914.

²) უქანასკნელ ვახუფხულზე სავათა ნორის რაქის სამახრო აღმასკონის დავალებით ემუშაობდი. უქანასკნელს ანტერესებს არა მარტო მადნეულობის ბლდობებუ. არაუდ მახროს სისტემატური გეოლოგიური წყაუდაც. საქისადმი ასეთი ვერობული მიდგონა, უეჭველია, ჩვენში იშვიათი არის და მე სიანოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ ინიციაციას რაქანი ჰქონდა ადგილი.

დება. ამ დაგროვებაში ღერებიც დიდ მონაწილეობას ლებულობენ. თუ ნაზეავი დიდი ლოდებისგან შედგება, მას რაქაში როყნარს უწოდებენ. წერილი ელემენტებისგან როკქნარი შედგება, ხოლო კიდევ უფრო წვრილისაგან ქვიშნარი ანუ ქვიშ(ნ)ობი. უკანასკნელ შემთხვევაში ქვიშაში მეტი ან ნაკლები თიხა შეიძლება იყოს გარეული. როყნარი პირიქით სიპი ქვისაგან შედგება და მაში-



სურ. 4

ნაც კი, როდესაც მის ზედაპირზე უკვე ტყე გაშენებულა, შიგნით იგი უსწორმასწორო სიღრუეებით არის სავსე. როყნარის განაყოფიერებულ სახეს ლოდების მდინარე წარმოადგენს.

ყველა ამ მოვლენებს მრავლად ვხვდებით რაქაში. როყნარის კარგ მაგალითებს იძლევა ვულკანური ქანები (პორფირიტები რიკეულის ხეობაში, ანდეზი-

ტი(?) მამისონის მისავალში და სხ.) და ზედა ცარცის კირქვა. უკანასკნელი ტექტონური ძალების გავლენით ყველა მიმართულებით ბზარების ხშირი ბადით არის დასერილი და ძლიერ ადვილად იშლება. ჩვეულებრივ იგი როქენარს იძლევა, მაგრამ ზოგჯერ როყნარიც შეიძლება მოგვეცეს (ზნაკეურას ხეობა სოფ. ქედისუბნის ქვემოთ. სურ. 4).

კლდეების ნგრევა უწყვეტლივ სწარმოებს, თუმცა შეიძლება უეცარი კატასტროფის ხასიათიც მიიღოს. ზოგჯერ მთელი სოფლები, როგორც მაგ. გოგოლეთი, რომელსაც თავზე კირქვის კარნიზი დაჰყურებს, მომწყდარი და დაგორებული ლოდების გამო მუდამ შიშში არის. კლდეების მოწყვეტა ჩვეულებრივ გაზაფხულზე ხდება ხოლმე თოვლის დნობისას ან მის შემდეგ¹.

თვით ნაზეავის კონუსები და კალთები ჩვეულებრივად საკმაოდ მკვიდრად დგას. საკიროა მხოლოდ, რომ მათი თავისუფალი ზედაპირის დაქანება ერფოვარ საზღვარო კუთხეს არ ასცილდეს. ეს კუთხე სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა არის და დამოკიდებულია ნაზეავის ელემენტების სიმრავლეზე, მათი ზედაპირის მოლაპულობაზე და სისველე-სიმშრალეზე. ზოგჯერ ნაზეავის დაფერდების კუთხე შეიძლება ძლიერ დიდი იყოს. ყოველ შემთხვევაში მას სრულიად გარკვეული საზღვარი აქვს ხოლმე და, თუ მას გადასცილდა, ძალთასწორობა ირღვევა და მიწა ქვევითკენ დაიძვრის. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც ნაზეავზე გზა ან არხი გაჰყავთ. ასეთ შემთხვევაში გზის ზედა მხარე დაიმეწყრება ხოლმე და შეიძლება ქვედა ნაწილიც გაიყოლოს. ამიტომ არის რომ მაღალმთიან ადგილებში ჰიდროელექტრული სადგურებისთვის არხის გაყვანას თითქმის ყოველთვის გვირბის გათხრას ამჯობინებენ.

სადაც აღამიანი არა, იქ ზოგჯერ თვით ბუნება არღვევს ნაზეავის კონუსებისა თუ კალთების ძალთასწორობას. ხშირად ასეთი კონუსი თავისი ფუძით მდინარეში დგას (მაგ. იგივე რიცეული). მდინარე მას ყოველი აღიდების დროს ძირს აცლის და ამის გამო მთელი მასა ნელა, მაგრამ უწყვეტლივ ქვევით იწევს.

2. ნაზეავის მოძრაობას ტიპიურ მეწყერთან მხოლოდ ზერეულე მსგავსება აქვს. უკანასკნელის ფიზიოგრაფია სულ სხვანაირი არის, გაცილებით უფრო საინტერესო და ნაკლებ ცნობილი. მეწყრის წარმოშობას ჩვეულებრივ ასე აგვიწერენ: მოხდება, რომ მთის კალთაზე თიხიანი შრეები მაგარი ქანის შრეებზე არის დალაგებული და ორივეს ხეობისაკენ აქვს დაქანება. თუ თოვლის დნობის დროს ან ხანგრძლივი წვიმების შემდეგ თიხას ბევრი წყალი გაუჯდა, იგი თავის მკვიდრ საფუძველზე მოსხლტება და ქვევითკენ დაიძვრის. შემდეგში დავინახავთ, თუ რა წილი უღდევს ქემშარიტებას ამ შეხედულებაში, ახლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მეწყრების დიდი უმრავლესობის ბუნება სულ სხვანაირი არის. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთ ტიპიურ შემთხვევას მაინც გავეცნობით.

¹) ერთი ასეთი შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყო ორი ირემი (ხარი და ფური), რომელთა ძალებიც რიცეულის ხეობაში იქმნა პოვნილი. ეს ფაქტი საკმაოდ საინტერესო არის, რადგანაც იმ მხარეში დიდი ხანია ირემები აღარ არის და ჯიშიც შეიძლება განსხვავებული იყოს. ორივე ცხოველის თავის ქალები ჩვენი უნივერსიტეტის ძოტრეჟინის ლაბორატორიას გადაეცა.

ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სოფ. ლეიარის მეწყერი ქვემო რაკაში. მთელი ეს სოფელი დამეწყრილი არის, მაგრამ აქ მხედველობაში ერთი პატარა მეწყერი მაქვს, რომელიც სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს მდ. რიცეულისაკენ. ამის მიხედვით ვგებ უფრო სწორიც იქნებოდა მისთვის კლდისუბნის მეწყერი გვეწოდებია. მდ. რიცეულისა და მის პარალელ ლეიარის წყალს შუა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ზედა ცარცის კედლიდან რიონამდღი, მესამეულის ეროზიული სერი მიჰყვება. ამ სერის სიმაღლე რიცეულის ღონიდან საშუალოდ 300 მეტრი არის. იგი OW მიმართული და სამხრეთისაკენ დაქანებული (დაქანების კუთხე მეტად ცვალებადია, მაგრამ მით უფრო დიდი, რაც უფრო ვუახლოვდებით ზედა ცარცის კედელს), თიხიანი რუხი ქვიშაქვისა და თიხის შრეებისაგან არის შემდგარი და, მასასადამე, როგორც რიცეულისა, ისე ლეიარის წყლის ხეობა ნაოქის მიმართულების პერპენდიკულარულია. აი ამ სერის ჩრდილო კალთაზე (ე. ი. რიცეულის ხეობის მარჯვენა ფერდზე) მდებარეობს ზემოხსენებული მეწყერი. მაღლობის კალთები ყანებით არის დაფარული, ხოლო თვით სერს მომეტებულად ტყე და ბუჩქნარი გადაუყვება. ასეთ ტყეში სერის უმაღლესი ადგილიდან იწყება მეწყერი. ქვენიადაგი აქ ერთიანად ქვიშაქვისა და თიხისაგან შედგება (კირქვის ნაზავი აქამდღი არ აღწევს). დაქანება რიცეულისაკენ 40°ამდღი ადის. რამოდენიმე წლის წინად ამ ტყე-ბუჩქნარის კარგად დიდი ნაწილი (ერთ ჰექტარამდე) თავის მიწიანად მოწყვეტულა და ძირს წამოსულა. ამის გამო გაჩენილა შეუულებრივეკედლებიანი ამფიტეატრისებური ტაფობი, რომელიც საკვირვლად წააგავს მყინვარების მასაზრდოებელ ფირნის ცირკს ან კიდევ მთის ლელის დაგროვებითს აუზს. მხოლოდ, ეს ტაფობი ფირნისა და ყინულის ნაცვლად მიწით არის ამოვსილი. ტაფობის აღმოსავლეთი მხარე გახსნილია და აქეთკენ მიწის მდინარე გადმოდის, რომელიც 1500მ მეტრზე მდლის და სანამ კლდის უბნის გზამდღი ჩააწყვედეს, ადრევე წყდება. იგი ადრინდელი მშრალი ლელის კალაპოტს მიჰყვება და მისი სიფართოვე, რომელიც ვიწრო ადგილებში 3 მეტრი თუ იქნება, სხვაგან შეიძლება ათსაც ასცილდეს.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ამ მოვლენის ნახვისას ყველა განიცდის, ეს მყინვარებთან საკვირველი მზგავსება არის. როგორც მყინვარი, ისე ეს მიწის მდინარეც დაგროვებითი აუზიდან გამოდის და მეტად თუ ნაკლებად ვიწრო კალაპოტში მიმდინარეობს. მდინარის ზედაპირი ორსავე შემთხვევაში შუაში ამოზნექილია, ხოლო ნაპირებისაკენ დაწვეული. საცა კალაპოტის დაქანებაში გარდატეხა ხდება, მიწის მდინარეც მყინვარივით გარდიგარდმო ნაპირალებით იზნარება; ვიწრობებიდან გამოსვლისას მათ გასწვრივი ნაპირალები ემატება (სურ. 5); თუ მიწის მდინარს წინ დაბრკოლება შეჰხვდა, მაგ. ხეების ჯგუფით გამაგრებული კორდი, იგი ორად იყოფა, ხოლო შემდეგ ორივე ტოტს შეუძლია ისევე თავი მოიყაროს ბოლოში მყინვარის მზგავსად მიწის მდინარეც უეცრად თავდება (სურ. 6). აქ მას განაგრძობს ლელე, რომელშიც, რასაკვირველია, წყალი მხოლოდ წვიმების დროს არის. ამ წყალს მუდამ გააქვს მიწის მდინარიდან მიწა და ეს წარმოადგენს ყინულის დნობის ეკვივალენტს. შლამი წყალს შორს მიაქვს, მაგრამ ქვებს კი მალე სტოვებს, რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ, და აქ დაგროვილი ღორღი ერთსა და იმავე დროს შუბლის მორენისა და ფლუვიო-

გლაციალი დანალექის ანალოგი არის. (ლეიარის მეწყრის ამ ნაწილის სურათი არ გამოდგა, მაგრამ სურ. 7ზე ჩვენ ვხედავთ რამოდენადმე მსგავს მოვლენას ბუკეულიდან, რიონის მეორე ნხარეზე). ამოდენი მსგავსება შემთხვევითი არ არის და ღრმა მიზეზიდან გამომდინარეობს. ეს მიზეზი კი შემდეგია: მიწის მდინარეში მიწა კი არ მიცოცავს, ისევე მიმდინარეობს, როგორც ყინული მყინვარში. ამით აიხსნება მდინარის დატოტვისა და ტოტების ისევე შეერთების შესაძლებლობა: ამითვე აიხსნება მისი მორგება ცვალებად კალაპოტზე და აქიდან წარმომდგარი მდინარეობის გასწვრივ ცვალებადი სისწრაფე.



სურ. 5

მეწყრის სათავეში ჩვენ გვაქვს თახისა და თიხიანი ქვიშაქვის შრეები: უკანასკნელნი გამოფიტვის შემდეგ იმავე თიხას ემსგავსებიან, ხოლოთ ქვიშის გამომეტ დენადობას იჩენენ. შთელი ეს მასა, წყლით გაჯღენილი, სრულიად პლასტიურ მასალას იძლევა, რომელიც დაქანებულ საფუძველზე სიმძიმის გავლენით ნელ-ნელა დენას იწყებს. ეს დენა წყლის დენისაგან თითქმის მარტო სისწრაფით განირჩევა და ამ მხრივ ყინულისას უახლოვდება რასაკვირველია, დენა მხოლოდ მანამღი სწარმოებს, სანამ მიწა წყლით არის გაჯღენილი (გაზაფხულისა და შემოდგომის წვიმებში), ხოლო სისველესთან ერთად მეწყერი დენადობასაც ჰკარგავს. სუბსტრატუმზე ცოცვას აქ ადგილი არა აქვს.

ამგვარი მიწის დენა ცნობილი არის ცივ ქვეყნებში, სადაც მათ Andersonმა¹ Solidation უწოდა. ასეთი ტიპის მეწყერი მეტად გავრცელებული არის

¹) K. Sapper, Das Erdfließen in polaren Gebieten. *Geolog. Rundschau*, 1913, S. 103.

მთელ რაქვაში. ქვემო რაქვაში იგი დაკავშირებული არის მესამეულის სინკლინალთან, რომელსაც რიონის ხეობა მიჰყვება თითქმის პარალელურად ხიდის კარიდან ქვევამდო, ხოლო ზემო რაქვაში (წესს ზევით) ზედა აურასთან და რამოდენადმე ქვედა აურისა და ეგრეთწოდებულ თიხის ფიქლებთან. აღსანიშნავია სხიერის მეწყერი, რომლის სათავეშიც, ხირხონისთან, ექვსაპი მიწის მდინარე და ერთი ლოდების მდინარე იყრის თავს გრანდიოზულ ტაფობში, ბარულას მეწყერი და სხვა.



სურ. 6.

თუმცა მეწყერი ძლიერ ნელა მიმდინარეობს, მაგრამ მას იმდენი მძიმე მასალა მიჰქვს, რომ დიდ ზღინარესაც კი უკან დაახეინებს ხოლმე. ამ მხრივ შესანიშნავია რიონის მაგალითი ბარის ხიდსა და ბარაკონს შუა. აქ მდინარე შუა აურის (?) მაგარ პორფირიტების კლდისა და ზედა აურის (კალციენის) ფხვიერი მეტად თიხიანი ქვიშაქვების და ფიქლებრივი თიხის სახლევარს მიჰყვება. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ჩვეულებრივად ხდება, უფრო რბილ ქანში შეჭრილიყო, მდინარეს ყოველივე მოლოდინის წინააღმდეგ, თავისი კალაპოტი სწორედ პორფირიტებში გაუქრია. ამის მიზეზი რიონის მარცხენა ნაპირიდან მოწოლილი მეწყერები არის, რომელთაც იმდენი მასალა შემოაქვთ მდინარეში, რომ მისი გაზიდვა უფრო ძნელი აღმოჩენილა, ვიდრე გრანტივით მაგარ პორფირიტში კალაპოტის გაპოკეეთა. ზოგჯერ, ჩანს, მეწყერს მდინარე კიდევ დაუგუბებია, როგორც ამას მოწმობს იმავე პარის ხილთან რიონის მარჯვენა ნაპირზე გადასროლილი კირქვის ქვები, რომელთაც ყანაში ეპოულობთ წყლის დონიდან

10ოდ მეტრის სიმაღლეზე. ასეთსავე მოვლენას ვამჩნევთ ლეჩხუმშიაც, საცა ასხის მთიდან მომდინარე დიდ მეწყერს (აქაც ზედა ძურა) ოყურეშის ხილთან ქვა და მიწა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გაუტანია.



სურ. 7.

მეწყერი ყოველთვის ხეობის მყინვარის სახეს არ ღებულობს. მოხდება ხოლნე, რომ მთელი მთის ქედის კალთა საკმაოდ დიდ მანძილზე, რომელიც შეიძლება რამოდენიმე კილომეტრით გაიზომებოდეს, ერთ მთლიან მეწყერს წარმოადგენს და ფართო ფრონტით მოძრაობს ხეობისაკენ. ასეთ სურათს ვხედავთ, მაგალითად, რიონის მარცხენა ნაპირზე სოფ. ბუგეულში (ქვემო რაქა). აქ რიონის ვიწრო და ღრმა ხეობის საწხრეთი ფერდობი საწხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ შემდეგი ქა-

ნებისაგან შედგება: სენონის კირქვა, თევზებიანი ჰორიზონტის (იგულისხმება ზე- და თევზებიანი ჰორიზონტი) ძალზე გათხელებული ფენა, სპანიოდონტელებიანი ქვიშაქვა, ანდეზიტის ძლიერი დაიკი, რომელიც ზედაშავრიდან ჯვარისადმი დაახლოებით რიონის პარალელურად მიდის, და სარმატის ფიქლებრივი თიხის, თიხიანი ქვიშაქვისა და კონგლომერატის სერია, რომელიც მდინარემდი გრძელდება. ანდეზიტი მეწყურისათვის ერთგვარ ზღუდეს წარმოადგენს და ამიტომ უკანასკნელი მხოლოდ მის ჩრდილოეთით იწყება. აქიდან თიხად გამოფიტული ქვიშაქვა და თიხა რამოდენიმე კილომეტრიანი ფრონტით მოძრაობს რიონისაკენ. ზევით ანდეზიტის კლდესთან ჯერ კიდევ დაუშლელი ქანები შრეებრივად არის აგებული, შემდეგ ქვიშაქვისა მხოლოდ ლოდები გვხვდება, და ქვევით მარტო მიწა და რჩება, რომელშიაც პატარა ლელებს ღრმა კალაპოტები გაუჭრიათ. ზევით, სადაც გამოუფიტავი ქვიშაქვის უბნები კიდევ დარჩენილა, მათ შორის ვიწრო კალაპოტებში მიწის მდინარეები მოძრაობს, ქვევით კი ყველა ისინი ერთად იყრიან თავს და ერთ მეწყერს წარმოადგენენ, რომელიც რამოდენიმე კვადრატული კილომეტრის მანძილზე არის გაშლილი. მსგავსება ე. წ. კალთის მყინვართან მეტად დიდია.



სურ. 8.

მთელი მთა ანდეზიტებიდან დაწყებული რიონამდი ერთად არ მოძრაობს. პირობით, ის რამოდენიმე წყებად არის მოწყვეტილი და ამგვარად წარმოდგარა მთელი რიგა ტერასებისა, რომელიც მეწყურიანი ლანდშაფტის ერთ დამაბასიათებელ თვისებათაგანს წარმოადგენენ (სურ. 8).

თვითნებური ტერასის ზედაპირი კიდევ დახასიათდება უსწორმასწორობით, რაც მიწის მასის უთანაბრო მოძრაობით აიხსნება. ჩალრმავებულ ადგილებში

ტბები არის ჩამდგარი. ესეც მეტად დამახასიათებელი მოვლენაა და უნებურად მორენულ ლანდშაფტზე გვაფიქრებინებს.

სააუზრადლება აგრეთვე შემდეგი. მეწყრის სათავეში, როგორც ზემოთ ვთქვით, ვულკანური ქანის კლდე არის. ეს ქანი მეტად ფიციხია და ადვილად ირღვევა. ჩვეულებრივ პირობებში კლდის ძირში ნაზვავის კალთა უნდა წარმოშობილიყო. ნამდვილად კი სულ სხვა ხდება, პირველი შეხედვით სრულიად გაუგებარი: ვულკანის ნაზვავის კალთა რიონის პირას არის, ვულკანური კლდიდან სამიოდე ვერსის მანძილზე, ნამდვილი როყნარის სახით, შუაში კი მესამეულის ქვიშაქვა და თიხა არის. ამ პარადოქსული ფაქტის მიზეზი, რასაკვირველია, ისევე მეწყერი არის. ზევით ვულკანური ქვის ლოდები მესამეულზე ცვივა. აქიდან მათ მეწყერი ნუბატრონება და ქვევით ჩამოაქვს, მთის ძირამდი, სადაც მეწყრის მოქმედებას წყლის სკელის, აქ ქვიშაქვისა და თიხისაგან წარმომდგარი შლამი წყალს გააქვს, ხოლო გამძლე ვულკანური ქვები ადგილზევე რჩება, ისე როგორც ლეიარის ნეწყრის ბოლოში აღვნიშნეთ. ამგვარად წარმოდგარა როყნარი, რომელიც ერთიანად ვულკანური ელემენტებისაგან შედგება და კაცს აფიქრებინებს, თითქო ამ ადგილას ვულკანური ქანის გამოსავალი იყოს. ამ როყნარსა და ვულკანურ კლდეს შორის, რომელიც მისი ნამდვილი წყაროა, ვულკანურ ქვებს მხოლოდ აქა იქ ვხვდებით გაფანტულს და მით უფრო ნაკლებს, რაც უფრო ვუახლოვდებით კლდეს.

მეწყრის მოძრაობა ერთხომიერად არ ხდება. მისი სისწრაფე არსებითად დამოკიდებულია სინესტეზე. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზამთრის ყინვებსა და გაყინული მიწის გაზაფხულზე გაღობას. ამ ძალების პერიოდული ხასიათი და დიდი დრესა, რომელიც მეწყრის მოძრაობის დროს ვითარდება, მიზეზი ხდება ამ მოვლენის პერიოდული პაროქსიზმებისა. სოფ. ბუგეულში, მცხოვრებლების თქმით, ასეთი პაროქსიზმი ყოველ 7-10 წელიწადში მეორდება ხოლმე. უკანასკნელს 1924 წ. გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი. აპრილის ერთ ღამეს გაისმა მიწაში გუგუნე და მიწის ძვრამ სახლები შეარყია. შენობებმა იწყეს კრიალი. მძინარე ხალხს გამოჰღვიძებია და შეშინებული გარეთ გამოცვივნულა. მიწის ძვრას, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა და დროგამოშვებით რამოდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და დამთხვალ მოსახლეობას დაშვილებით ვეღარ დეძინა. აღსანიშნავია, რომ ერთხელეუ ძალთასწორობიდან გამოსული მიწა მშინაც კი განაგრძობდა მოძრაობას, როდესაც იგი, გარედან მაინც, სრულიად გამზმარი იყო. შედეგები ამ მოძრაობისა სხვადასხვა იყო. იმ ტერასაზე, რომელზედაც სოფელი არის გაშენებული, და უახლოესი ზედა ტერასის კედელთან, უკანასკნელი მაგ. ერთ ღამეს დიდ სივრცეზე ჩამოიქცა დიდი ხმაურობით, მაგრამ მთელ მოვლენაში დიდი მონაწილეობა არ მიუღია. რაც შეეხება პირველს, იგი რამოდენიმე კვადრატ კილომეტრის სივრცეზე არის გაშლილი და ზედ გარდა ყანებისა და ვენახებისა 40მდი მოსახლე არის გაფანტული. აი სწორედ მთელი ეს კუთხე დაიძრა ქვევითკენ. გარეგნულად ეს მოძრაობა, რა თქმა უნდა, უძრავად დარჩენილი ზედა ტერასის ძირთან იყო საუკეთესოდ შესამჩნევი. გარდა საერთო მოძრაობისა რიონისაკენ, რომელიც უფრო ძნელი შესამჩნევა, იგი გამოიხატებოდა: მიწის დასკლამაში, ზოგი ადგილის ძირს დაწვევაში, ტბების გაჩენაში,

წყაროების დაშრობაში და სხვა. მიწაში გაჩნდა ნაპრალები, რომელნიც ძვირად გამოდგინებულ მეთრის მანძილზე გრძელდებოდნენ და მალე მიწითვე ამოივსნენ. ნაპრალები ჩნდებოდნენ უმთავრესად მეწყურის უძრავად დარჩენილ სახლეტებთან. ზოგი ნაპრალის ცალმა პირმა ძირს დაიწია, ასე რომ ნამდვილი ნახლეტები წარმოიშვა, მართალია, მცირე ამპლიტუდისა (30—40 cm). სიღრმეში მიწის ღენის უსწორმასწორობის გამო, მიწის ზედაპირმა უთანაბროდ დაიწია და ამ გეგრად წარმომდგარი უსწორმასწორო ზედაპირის ტაფობებში წყალი ჩადგა. გაჩნდა მთელი რიგი ტბებისა, რომელთა სიღრმეც ერთ მეტრს არ აღემატებოდა. ზოგი მათგანი ჩემი მისვლისას უკვე დამშრალი იყო, რომდენიმე კი დარჩენილიყო. ერთი მათგანი ს. გოცირიძის ეზოში. მიწის უთანხმო მოძრაობასვე მოწმობენ დარღვეული ან მიგრებილი ლობებები და ყორეები.

რადგანაც მთელი მიწა ერთიანად მოძრაობდა და მეწყურის ზედაპირი თითქმის პერიზონტულია, მოსახლეობამ შინი მეტი განიცადა, ვიდრე ზარალი. მაინც ხის სახლები, მიწის დაფერდების გამო ქვიტკირის საძირკველს დაპრობიან და ხის ბოკონებზე დგანან; ზოგის კედლებიც დახსნილა და გაძრუდებული სახურავი ზამთრის თოვლს ძნელად თუ გაუძლებს. განსაკუთრებით დაზარალებულია ის მოსახლეები, რომელნიც ზედა ტერასის ძირთან არიან. სამაზრო ხელისუფლებას განზრახული აქვს მთელი ეს უბანი შედარებით უფრო უშიშარ ადგილზე გადასახლოს. მათაც ეს არ ეუხსოვებათ, რადგანაც მათ შორის არიან ისეთები, რომელთაც ერთი თაობის მახსოვრობაში უკვე სამჯერ მოუცვლიათ ბინა.

საერთოდ მეწყური რაჰველებისათვის ჩვეული მოვლენა არის, ისე რომ მას ხალხის ზნე-ჩვეულებაშიაც კი დაუქერია ადგილი. ადათის მიხედვით, როდესაც მეწყური ყანას ქვევით ჩამოიტანს, ადგილი ქვედა ყანის პატრონს ეკუთვნის, ზედა ყანის პატრონმა კი ზევით უნდა აიწიოს.

3. მიწის ცოცვა ჩვეულებრივი მეწყურისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ ქანი დაუშლელი არის და მოძრაობა შრეებრივობის სიბრტყის გასწვრივ ხდება. შრეების დაქანება, რასაკვირველია, ხეობისკენ უნდა იყოს. რაც შეეხება ქანებს, საუკეთესო მასალას ასეთი მოძრაობისათვის ფიქლებრივი თიხა და თიხის ფიქლები წარმოადგენს, თუმცა მერგელიც არ არის დაცოცების უნარს სავსებით მოკლებული. ქანს ამ შემთხვევაში იმიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ იმისთვის, რომ შრის ზედა ნაწილი ქვევით ჩამოცურდეს, საჭიროა, ქვედა ნაწილში მეორეული ნაოქმბრივობა განვითარდეს, რაც ქანის პლასტიურობაზედ არის დამოკიდებული. მტკიცე ქანი, როგორც მაგ. ქვიშაქვა, მხოლოდ მაშინ დაცოცდება, თუ მისი ქვედა ნაწილი დარღვეულია.

რაქვაში კლდის ცოცვა ძლიერ გავრცელებულია და განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვემო რაქვაში, რიონის მარჯვენა ნაპირზე. აქ ტექტონური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია ამ მოვლენისათვის. თითქმის ვერტიკალურ რიონისაკენ დაქანებულ ზედა ცარცის მკვიდრ კედელზე მიბჯენილია მესამეულის თევზიანი ფიქლებრივი თიხა, რომელზედაც მხოცენის ქვიშაქვისა, თიხის და კონგლომერატების სერია დევს. მთელი ეს წყება რიონისაკენ არის დაქანებული და ნელა მოცოცავს ძირს ცარცის ზედაპირზე (იხ. განაკვეთი). უკანასკნელი ამის გამო, რამდენადაც იგი მესამეულის ზემოთ დარჩენილა, მოლიპულ-მოელვარებულ-

ლი არის. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს იქ, სადაც დაცოცება უკანასკნელ წლებში მომხდარა, მაგ. ლეიარის თავზე.

შრეების ცოცვა სხვა უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებსაც იწვევს. მოხდება ხოლმე, რომ დაცოცებული სერიის ქვედა ფენები გათხელდეს და ზოგჯერ სულაც დაიფაროს ზედა ფენებს ქვეშ. ამით აიხსნება, რომ ქვემო რაქის სინკლინის პერიფერიიზე ბევრგან ქვედა მესამეული ნაწილობრივ აღარ ჩანს.

დასასრულ რამოდენიმე დასკვნა:

1. ტიპური მეწყერი მიწის დენას წარმოადგენს. მიწის უეცარი ჩამოქცევის ხასიათი (ზეავი, ლავინა) მეწყერს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ დაქანება ძლიერ დიდია.

2. მიწის ცოცვა არსებითად განსხვავდება მეწყრისაგან, თუმცა ფიქლებრივ მხარეებში ორივე მოვლენა ერთი მეორეში არეულია.

3. მეწყერების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთის ტოპოგრაფიული ფორმების გაგებისათვის, კერძოდ ტერასებისა და ტბების. მაგ. კუთხაროზე (შთა რაქა-სევანეთის საზღვარზე) 3000 მ. სიმაღლეზე, მარალი თოვლის საზღვართან რამოდენიმე მშვენიერი ტერასი არის. პირველ შეხედვაზე არც ერთი გეოლოგი არ დაფიქრდება, ეს ტერასები მყინვრებს მიაწეროს. მხოლოდ, მიუხედავად მრავალი ცდისა, მე ვერ შევძელი მყინვარის იმგვარი მდებარეობა წარმომედგინა, რომელიც ასეთ ტერასებს მოგვეცემდა. დღეს ჩემთვის ექვს გარეშეა, რომ ეს ტერასები მეწყერების საქმეა. ესევე ითქმის მრავალი პატარა მთის ტბის შესახებ იმავე კუთხაროზე და სხვაგან.

4. არა ნაკლებ დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს მეწყერებს (და ცოცვას) დეტალური ტექტონიკის კვლევის დროს. განსაკუთრებით ბევრ შეცდომას ჩაღიან ამ მხრივ ის გეოლოგები, რომელთაც სამთო კომპასის გადაქარბებული პატივისცემა აქვთ.

5. იმდენად, რამდენადაც მიწის ცოცვას შეუძლია მეორეული ნაოქები წარმოშვას, იგი ოროგენული ფაქტორია. მას შთაში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც Arn. Heimის მიერ¹ შემჩნეულ ნაპირის ნალექების დაცოცებასა და დანაოქებას ტბებსა და ზღვაში.

III. რა მანძილზე არის შესაძლებელი ქარსტული ღრმანაპი?

1925 წ. იენისში შემთხვევა მომეცა მონაწილეობა მიმელო ამიერ-კავკასიის რკინისგზების მართვლობის მიერ მდ. ტყიბულაზე განზრახული ელექტრული სადგურის გეგმის გეოლოგიურ ექსპერტიზაში. კომისიაში შედიოდნენ ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტის უფროსი გეოლოგები რიაბინინი და რენგარტენი და ინჟინერ-გეოლოგი კონფუშეესკი. გამოსაკვლევი იყო, თუ რამდენად საიმელო იქნება ხსენებული სადგური გეოლოგიური მხრით.

მდ. ტყიბულა და მისი შენაკადი სკიპი ნაქერალის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე ჰკრეფენ წყალს, იყრიან თავს ახალსოფლის ტაფობში და აქიდან და-

¹) Arn. Heim, Ueber rezente u. fossile subaquatische Rutschungen. *N. Jahrb. M. G. P.*, 1908, Bd. II, S. 136.

ახლოებით სამხრეთისაკენ მიმდინარეობენ. მთელი აუზი მოთავსებული არის აურის ქანებში. მხოლოდ ტაფობის ბოლოში გაივლის მდინარე ქვედა ცარცის ძალზე დაქანებული შრეების კედელს, შემდეგ შუა ცარცის ქვიშაქვას, და ზედა-ცარცის კირქვის პიტალო კლდეს მიადგება. უკანასკნელი, ისევე როგორც ქვედა და შუა ცარცი, სამხრეთისაკენ დაქანებული შრეებისაგან შედგება. სწორედ ზედა ცარცის კედლის ძირში ტყიბულა დიდ ნაპრალს აწყდება და მთელი მისი წყალი შიგ ჩადის. მდინარე იკარგება. ამის გამო უწოდებია ხალხს ამ ადგილისათვის სურათიანი სახელი: წყალ დასავალთ. 1,4 კილომეტრის შემდეგ ზემო იმერეთის სოფ. ძვერთან მდინარე ისევ გამოდის ზედაპირზე, ახლა უკვე ძვერულას სახელით. მისი დონე სათავესთან 300 მეტრით უფრო დაბალია ვიდრე ტყიბულასი.

პირობითი სადგურის პროექტის მიხედვით ტყიბულა ახალსოფლის ტაფობში უნდა დააგუბონ და შემდეგ წყალი ზედა ცარცში გვირავით გაიყვანონ. მაშინ ძვერულას მხრით მივიღებთ 290 მეტრის ვარდნას, რაც, ცხადია, დიდ ენერგიას წარმოადგენს. თუ ამას დაემატებთ საგუბრის სიდიდეს და მასასა-დამე წყლის გასავალის რეგულაციის ფართო შესაძლებლობას, ადვილი გასაგები იქნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ეს პროექტი გზათა უწყებაში იწვევს.

ქაშხალის აგება თავდაპირველად თვით სასულესთან (ე. ი. ნაპრალთან, რომელშიაც წყალი იკარგება) იყო განზრახული. იგი ზედა ცარცის კირქვას უნდა მიჰყრდნობოდა (კარაპეტიანი და კონაქუშეცკი). ასეთი გეგმის უვარგისობა ცხადი იყო და ამიტომ შემდეგ ინე. კონაქუშეცკიმ ქაშხალი საგრძნობლად უკან დასწია, მაგრამ ამ ახალი ვარიანტიც მისი ერთი თავი ზედა ცარცს ეყრდნობოდა. შემოხსენებულმა კომისიამ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგამ გზაზე და მთელი ქაშხალი წყალგაუფალ შუა ცარცში გადაიტანა. სამწუხაროდ განსაკუთრებული პირობების გამო საგუბრის სიმიდობა აქაც საეკოლო დარჩა და ეს გარემოება კომისიამ აღნიშნა კიდევ თავის დასკვნაში. მაგრამ მე აქ თვით პროექტის ავტორიანობაზე არ მსურს ლაპარაკი. ჩემი განზრახვა არის, ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას, რომელსაც უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს.

სხვათა შორის მე აღვნიშნე კომისიაში, რომ ქვედა ცარცის კირქვა ქაშხალის წინ (ზევით) რჩება და წყალში მოხვედბა. მეორე მხრით, რამდენადაც ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ, ამ ადგილის დასავლეთით 6 კილომეტრის მანძილზე, სოფ. ცუცხვათში, იმავე კირქვას ღრმა ხეობა-ჭყვეთს, რომლის დონე 1300-ზე მეტრ. უფრო დაბალია, ვიდრე ტყიბულასი. რადგანაც ქვედა ცარცში ნაქერალაზე ტიპიურ კარსტულ მოვლენებს აქვს ადგილი, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც იგივე იქნება და მოსალოდნელია, რომ საგუბრიდან წყალი სწორედ ამ კირქვის საშუალებით ცუცხვათისკენ წაიღიდეს. ამაზე მიპასუხეს, რომ ტყიბულიდან ხსენებულ ხეობამდე 6 კილომეტრია და ასეთ მანძილზე კარსტული დრენაჟი შეუძლებელი არისო. მართალია, სპეციალისტები როგორც W. Kilian¹,

¹) W. Kilian. La géologie et l'aménagement hydroélectrique des chutes d'eau. Grenoble 1921, p. 33.

20 კილომეტრზე ლაპარაკობენ, მაგრამ მხოლოდ ეს საბუთად არ კმაროდა, და მეც ავტორიტეტული პირობის შეხედულება გავიზიარე იმ მტკიცე გადაწყვეტილებით კი, რომ პირველი შემთხვევისთანავე ჩემი თუ მათი აზრის სისწორე შემოწმდება.

ამის საშუალებაც მალე მომეცა. წარსულ ენკენისთევეში რაქაში მუშაობის დროს სხვათა შორის მდინარე შაორის ტაუბოცი დაწვრილებით მოვიარე. ეს ტაუბოცი ნაქერალის აღმოსავლეთით მდებარეობს 1120 მეტრის სიმაღლეზე და შესანიშნავი არის კარსტული მოვლენებით. მდ. შაორი აღმოსავლეთიდან მომდინარეობს საწალიკის მთის გასწვრივ იზოკლინურ ხეობაში, რომელიც შუა ცარცის მერგელში არის გათხრილი (იხ. გეოლოგიური რუკა და განაკვეთი) დაახლოვებით სოფ. ნიკორწმინდის მერიდიანზე დასავლეთიდან მას ერთვის ნაქერალისა და წმ. გიორგის მთიდან მომდინარე დიდქალის წყალი და ამის შემდეგ ორივე ერთად შაორად წოდებული ჩრდილოეთისკენ მიემართებიან. აქ ორიოდე კილომეტრის მანძილზე სოფ. ნიკორწმინდიდან მდინარე შუა ცარცის მერგელს სცილდება და ქვედა ცარცის კირქვაში შედის. უკანასკნელი ერთიანად დაცხრალებულია დიდი და პატარა ხვრელებით, რომელთაც ხალხი სასულეებს ანუ სათვალეებს უწოდებს. წყალი სასულეებში ჩადის და იკარგება. ნხოლოდ კილომეტრის შემდეგ იგი კვლავ გამოდის სინათლეზე კელიშის ღრმა კანიონის ძირში შარაულას სახელით. მდ. ტყიბულის შემდეგ ამიერკავკასიის რკინის გზის უწყებამ ელექტრული სადგურისათვის ადგილის ძებნაში შაორს მიაქცია ყურადღება და უნდა ითქვას, რომ შაორის პროექტი ძლიერ ღამაზი აზრი არის. იქ საცა მდინარე მერგელს სტოვებს და დაკარსტულ კირქვაზე გადადის, მისი ხეობა ძლიერ ვიწროვდება. საცაო არის აქ მერგელზე ქაშხალის ავადოთ და დავუბუბული წყალი მთელ შაორის ქალას ტბად გადააქცევს. ამ ტბიდან რომ წყალი გვირავით ნაქერალაში გავიყვანოთ ტყიბულის მხრით მივიღებთ 480 მეტრის ვარდნას. შედარებით ვიწრო ქაშხალი, ვეებურთელა საგუბარი, დანალექის სიმრავლე, მოკლე გვირავი და დიდი ვარდნა—ყველაფერი ამ პროექტის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამას დაუშვართ საუცხოვო ლანდშაფტის პირობებში 1120 მეტრის სიმაღლეზე ამოდენა ტბის შექმნა, მდინარის უკან დაპრუნების (დღეს წყალი ნაქერალიდან ნიკორწმინდისკენ მიდის) გაბედული აზრი და სურათი უფრო სრული იქნება. მაგრამ,—ეს მაგრამ აქაც არსებობს—გამოსარკვევი რჩება გეოლოგიური პირობები. ქაშხალის ადგილი საკმაოდ საიმედო არის. საგუბრის ფსკერიც წყალგაუფალი მერგელისგან შედგება. მაშასადამე მთელი საქმე საგუბრის ნაპირები არის. ჩრდილო და განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირი საშიშს არავფერს წარმოადგენს, რადგან აქ ან მერგელი არის, ან კირქვის იზოლაცია ადვილად შეიძლება. სამაგიეროდ თითქმის მთელი სამხრეთი და დასავლეთი ნაპირის სიგრძეზე წყალი უშუალოდ შეეხება ქვედა ცარცის კირქვას, სწორედ იმ კირქვას, რომელიც უალრესად დაკარსტული არის და რომელშიაც ქალის მეორე მხარეზე შაორი იკარგება.


ამ კირქვის იზოლაცია შეუძლებელი არის. მაშასადამე პროექტის ბედი დამოკიდებული არის კითხვაზე: შეიძლება თუ არა ამ კირქვაში წყლის დაკარგვა. ნაპირები და სასულეები აქ უეჭველად ბევრი არის, მაგრამ სად უნდა წა-

ვიდეს იქ ჩანადენი წყალი? ტექტონიკური პირობები ისეთი არის, რომ მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს: ან შარაულას ხეობაში გასვლა, ან მდ. კრიხულაში სოფ. სხევაში. ერთიცა და მეორე ადგილიც 6 კილომეტრზე უფრო დაშორებული არის. მასასადამე ხსენებული გეოლოგების შეხედულების თანახმად აქ წყლის დაკარგვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

როგორც უკვე ვთქვი, შაორის ქალის მთელი სამხრეთი ნაპირის გასწორე კირქვაში მრავლად გვხვდება სასულეები. ბევრი მათგანი წყალს იძლევა. ამიტომ დაიბადა აზრი, რომ საერთოდ აქ მხოლოდ წყლის მომცემი სასულეები არის, თანახმად ზემოხსენებული შეხედულებისა, და არც ერთი შთანმთქავი. საჭირო იყო ამ აზრის შემოწმება. ენახოთ, რას გვეუბნება სინამდვილე.

რადგანაც უშუალოდ ამ საკითხის გამორკვევა მხოლოდ წყალდიდობის დროს შეიძლება, მე იძულებული ვიყავი არაპირდაპირი საშუალება მეპოვა რამე.

1. პირველი იყო ძაბრისებური სასულეების დაკვირვება. ასეთები საკმაოდ მოიპოვება შაორის ქალის SO კუთხეში. ზოგი მათგანი მდინარის ალუვიონში არის და დიდი წვიმების შემდეგ წყალს იძლევა. ცხადია, მათი მოქმედება ფრე-ატული ზედაპირის რყევასთან არის დაკავშირებული. (ჩემი რჩევით ეს შეამოწმა კიდეც ინჟ. პატალეევმა). ზოგიც მერგელის შრეებს შუა მომწყვედი წყლით საზრდოობს. მაგრამ არის რამდენიმე ისეთიც, რომელნიც კირქვაში არიან ამოღებული. ის გარემოება, რომ წვიმის შემდეგ ამ ძაბრებში გუბები არ დგება და მათ ძირზე ღორღი არის ხოლმე დაგროვილი, ამტკიცებს, რომ შიგ წყალი ჩადის.




სურ. 9.

კირქვაში მთის ფერღზე არის სასულეები, რომელნიც ჩვეულებრივ დამ-შრალი არიან, მაგრამ დიდი წვიმების შემდეგ წყალს იძლევიან. ამგვარი პერი-ოდული მოქმედება იმის მომასწავებელია, რომ ისინი დაკავშირებული არიან მიწისქვეშა წყლის გზებთან. ჩვეულებრივ პირობებში ამ გზებს წყალი ქვევით მიჰყავს. მხოლოდ მაშინ, როდესაც წყალი ძლიერ ბევრია, ის ქვევით აღარ გაე-ტევა და ხსენებულ სასულეშიაც იწყებს დენას (სურ. 9). ამიტომ პერიოდულად მოქმედი მომცემი სასულეები შთანმთქავი ნაპრალების თანამგზავრად უნდა ჩაი-

თვალის (პერიოდულია აგრეთვე სიფონური წყაროებიც, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი უნდა იყოს)¹.

3. მესამე დაკვირვება ტოპოგრაფიას შეეხება. შაორის ქალის SW ნაპირზე, მთის ძირში, არის რამოდენიმე დიდი სასულე, რომელთაგანაც ზოგი დღეს წყალს იძლევა. ისინი შაორის აწინდელი ქალის დონეზე მდებარეობენ და მდინარის ძველ ტერასში ჩაქრილი კალაპოტით უერთდებიან მთავარ ქალას. ამ ღრმა გვერდის ხეობების ფორმა, მხოლოდ მაშინ არის გასაგები, თუ მივიღებთ, რომ სასულეები მშთანთქავი არიან.

4. შაორის ქალის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ცნობილი ხარისთვალის ტბა, რომელიც დიდქალის წყლის ერთ-ერთ შენაკადს ასაზრდოებს. ამ ტბის ძაბრისებური ფორმა (სურ. 10) და მისი სიღრმე (37 მეტრი!) ნათლად მოწმობს, რომ ეს ძველი შთანთქავი სასულეა, რომელიც შემდეგ დახშულა, რაც საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს. თუ ეს სასულე დღეს წყალსაც იძლევა, ეს იმით აიხსნება რომ შიგ წინათაც წყარო ყოფილა. ასეთი შთანთქავი სასულე, რომელშიაც წყარო გაჰოდის და იქვე იკარგება, ახლაც არა ერთი არის მეზობელ ადგილებში. საკმაო იქნება მათი შთანთქავი მილი ზევიდან ჩამოტანილმა ღორღმა და შლამმა დახშოს, და ისეთსავე ტბას მივიღებთ, როგორც ხარისთვალა.



სურ. 10.

ამ გვარად ყველა დაკვირვება ერთსადაიმასვე მოწმობს. მე აქ განხილავა არა მაქვს შეეხებო მნიშვნელოვან საკითხს, თუ რამდენად დასაძლობია შაორის საგუბრის პროექტი, მაშასადამე ვირც იმაზე ვიტყვი რასმე, თუ რამდენად მოახერხებელია აღნიშნული სასულეების იზოლაცია, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულისგან, ვფიქრობ, ერთი კი შეიძლება დაეასკვნათ: კარსტული დრენაჟი ექვს კილომეტრზე და მეტზე და ცკიდევ შესაძლებელი ყოფილა.

ეს არც გასაკვირალია, თუ მოვიგონებთ, რომ არსებობს მთელი რიგი გამოკვლეული მღვიმეებისა, რომელთა სიგრძე 6 კილომეტრს აღემატება, და მამონტის მღვიმე ჩრდილო ამერიკაში 80 კილომეტრსაც აჭარბებს².

¹) ეს მოსახრება მარტო თეორიული შესაძლებლობა არ არის. მაგალითისთვის საკმაო იქნება დევისაბელოთ ბინული (წყარო) Boundalao საფრანგეთში (E. de Martonne, Traité de géographie physique, 3-ème éd., Paris 1920, p. 350).

²) E. A. Martel, Evolution souterraine, Paris 1908, p. 56.

IV. მასალაზე რაჭის გეოლოგიისათვის.

1924 წლის ზაფხულზე ორი თვის განმავლობაში რაჭა-ლეჩხუმში მუშაობა შემხვდა, 1925 წ. ზაფხულშიაც თვეზე მეტი გავატარე რაჭაში და, თუმცა ეს ისედაც მცირე დრო უმთავრესად გამოყენებითი გეოლოგიისათვის უნდა შემეწირა (ჰიდრო-გეოლოგიური კვლევა, გზის პროსპექცია, მანქანების ძიება), ცოტაოდენი გეოლოგიური მასალის შეკრება მაინც მოახერხე. სამწუხაროდ ტფილისში ჯერ-ჯერობითი კიდეე არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, საცა ამ მასალის დამუშავება და აკროვნად გამოყენება შეიძლებოდა, და ამიტომ იძულებული ვარ, ეს საქმე იმ დროისთვის გადავდო, როდესაც ახლად დაარსებული საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი საამისო პირობებს შექმნის. მიუხედავად ამისა იმედი მაქვს, რომ დაგროვებული მასალის ზერელე გადასინჯვის შედეგები და მათთან დაკავშირებული დაკვირვებანი საქმაოდ გაამართლებენ ამ წინასწარი მოხსენების გამოქვეყნებას. ინტერესი საქართველოს გეოლოგიისადმი დღითიდღე იზრდება, როგორც მეცნიერულს ისე სამეურნეო წრეებში, შორეული ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტი ჩვენს ტერიტორიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ქართველებიც მოვალე ვართ ამ საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

საუკეთესო საშუალება ამა თუ იმ კუთხის გეოლოგიური სახის გამოსარკვევად, რასაკვირველია, დაწვრილებითი რუკის შედგენა არის. ასეთ ძაფზე მძივიეთი მწყობრად აიკმორდა ყველა მიღწეული შედეგები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის ცდა მთელი რაქისათვის ნაადრევი იქნებოდა. წინასწარ საჭიროა პალეონტოლოგიური საბუთების შესწავლა, ყველა მნიშვნელოვანი ბუნებრივი თუ ხელოვნური განაკვეთის დაწვრილებით გამოკვლევა და განსაკუთრებით კი მთელი საკვლევი მხარის კვალდაკვალ დავლა. ამ ჟამად არც ერთი, არც მეორე, არც მესამე შესრულებული არა მაქვს და ჯერ კიდევ დიდი დრო იქნება საჭირო, რომ დაწყებული მუშაობა სასურველ ბოლომდე მივიყვანო. ამიტომ წინამდებარე რუკა (იხ. ტაბ. II), რომელიც შესწავლილი რაიონის ნაწილს წარმოადგენს, მხოლოდ დროებითა ხასიათის მასალა არის, რომელიც მახლობელ მომავალშივე უნდა გადასინჯოს. ვფიქრობ, ეს გადასინჯვა არსებით ცელილებას მაინც არ გამოიწვევს.

თუმცა საბოლოოდ ავგემვის საფუძვლად ერთეფრსიანი ტოპოგრაფიული რუკის აღება მაქვს განზრახული, მაგრამ აქ ორეფრსიანით ($\frac{1}{825000}$) ვსარგებლობ. განმარტებაში შეევებები არა მარტო ავგემულ კუთხეს, არამედ მეზობელ ადგილებსაც.

საერთო ადგილმდებარეობა. გეოგრაფიულად რაჭა და რიონის აუზი საირმის ორქვს ზევით ერთიდაიგივე არის. ჩვენს რუკაზე ამ მხარის მხოლოდ ქვედა ნაწილი არის მოთავსებული. სოფ. სორს ქვევით რიონი ვიწრო კანიონით გარდი-გარდმო ჰყვეთს პორფირიტების მასას, რომელსაც მხოლოდ ნღ. ბარულას შესართავთან აღწევს თავს, და შემდეგ სოფ. წესამდი შედარებით უფრო ფართო იზოკლიხურ ხეობაში მიმდინარეობს. წესის ბოლოში იგი ისევ მარცხნივ უხვევს და ახლა ქვედა და შუა ცარცის თითქმის შეუულებრივად ამართულ შრე-

ებს სკრის დაახლოვებით მიმართების პერპენდიკულარულად. აქ არის ზემოხსენებულზე კიდევ უფრო ვიწრო ხილისკარის¹ ორქე. ხილისკარის ქვემოთ რიონის საკმაოდ ფართო სინკლინური ხეობით მიემართება დასავლეთისკენ, სანამ რაჭის ბოლოში, საირმესა და ღვარდიას შუა ისევ კირქვის კანიონში არ შეიქრება. ეს სინკლინი ქვემო რაჭის მთავარი ტექტონური ელემენტი არის. რუკაზე ადვილი დასანახავია, რომ იგი აღმოსავლეთით ზემო-რაჭაში გრძელდება რიონის მარცხენა ნაპირით, ხოლო დასავლეთით ლეჩხუმში გადადის. ამ მთავარ სინკლინში დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ შექრილი არის ორი ბრაქიანტიკლინი: ნიკორწმინდის წმ. გიორგის მთიდან ამბროლაურამდი და საირპის ხეამლიდან (რუკის გარეთ არის, დასავლეთით) ქვეყნამდი. ჩრდილოეთით მას „ლიასისა“ და „პალეოძოიკუმის“ იზოკლინური სერია აკრავს, სამხრეთით ყვირილის სინკლინური აუზი.

რაჭის დასავლეთ ნაწილს ხილისკარის ქვევით ქვემო რაჭა ჰქვია. ოროგრაფიულად ქვემო-რაჭა გველისთავის ულამბი გრძელდება, მაგრამ აღმინისტრატულიად და ეთნოგრაფიულადაც რიონის მარჯვენა ნაპირი ასკის წყალს ქვევით უკვე ლეჩხუმს ეკუთვნის.

პორფირიტებიანი სერია და „ლიასი“. ქვემო-რაჭის სინკლინის ერთი მთავარ ელემენტთაგანი პორფირიტების სერია არის. იგი უმთავრესად მწვანე და შოწითლო ავკიტანი პორფირიტის, დიაბაზის და ბაზალტის შეეულებრივი ფენებისგან შედგება, რომელთა შუა ვულკანური ტუფები, ტუფ ბრეჭიები, ქვიშაქვა და ფიქალბერივი ქვიშაქვა არის ჩართული. ამ სერიის სისქე მდ. რიციულის ხეობაში 3 კილომეტრს აღემატება და მისი პორიზონტული გავრცელება შესაფერად დიდია. ამ მხრივ არსებული გეოლოგიური რუკები (სიმონოვიჩი, ფ. ავარი, ფურნიე, ლებედევი) ყველა შესწორებას საჭიროობს, გარდა გ. სმირნოვის რუკისა, მაგრამ უკანასკნელი დასავლეთით რიციულს არ სცილდება. მე დავრწმუნდი, რომ ეს სერია არა თუ რიციულსას, ასკის წყლის ხეობასაც ჰკვეთს და ლეჩხუმში გადადის, საცა იგი კიდევ უფრო ძლიერად არის განვითარებული. ცხენის წყლიდან დაწყებული ცაგერს ზევით ის უერთდება სეანეთის პორფირიტებს, რომელნიც ზემოხსენებულ რუკებზე წარმოდგენილი არიან როგორც სრულიად დამოუკიდებელი. შემდეგ ეს სერია დასავლეთისაკენ ენგურის ხეობაში გადადის (სიმონოვიჩი) და მასაც სცილდება. ამ მიმართულებით მისი საზღვრის აღნიშვნა ჯერ ჩემთვის შესაძლებელი არ არის. მთელ აღნიშნულ მანძილზე პორფირიტების სერია უწყვეტა არის. მხოლოდ მდ. ლაჯანურის ხეობაში (ლეჩხუმი), სოფ. ორბელის ჩრდილოეთით, იმალება იგი მცირე მანძილზე ცარცის ანტიკლინის ქვეშ. აღმოსავლეთით პორფირიტების ზოლი რიონის მარცხენა ნაპირზე გადის და სოფ. შარდომეთთან თავდება (იხ. გ. სმირნოვის შრომა), სადაც მას ზედა აურა ჰუარავს. სამხრეთისაკენ პორფირიტებიანი ფორმაცია ცარცის კირქვის ქვეშ არის დამარხული, მაგრამ ისევ ჩნდე-

¹) ამ ორქის დასავლეთ მისაველში რიონზე ძველადვე ხიდი ყოფილა გადაებული. ხიდის ორივე თავს პიტალო კლდეზე მიშენებული სადარაჯოები იცავდა, შიგ რაჭის ერისთვის კაცები იღვან.

ბა ოკრიბაში ნაქერალის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც აურა ვაში-შვლებული და ღრმად დასერილი არის. ოკრიბის შუა ჯურის პორფირიტები რომ ზემოხსენებულ სერიასთან არის დაკავშირებული, ამაში უშუალოდაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ. მართლაც ამ ქანების წყება ოკრიბიდან რიონის მარჯვენა ნაპირზე გადადის ლეჩხუმში, უფლის ხეაშლის მთას დასავლეთით, ჰყვეთს ცხენისწყლის ხეობას სოფ. ზუბთან და პატარა მდინარე ყვერეშულას ხეობით უერთდება სვანეთის პოლიტირიტებს. ამ მხრივაც არსებული რუკები, რომელნიც ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე ცაბცის უწყვეტ ზოლს ავლებენ, შესასწორებელი არის.

ამ რიგად პორფირიტებიანი ფორმაციის გავრცელება ძლიერ დიდი არის და შესაფერადე დიდია მისი სტრატეგრაფიული და პალეოგეოგრაფიული მნიშვნელობა. მეტად საინტერესო იქნებოდა მისი დამოკიდებულების გამორკვევა ერთი მხრით მდ. ჯოჯოროის ხეობის პორფირიტებთან და მეორე მხრით რიონის პორფირიტებთან ონსა და უწერას შუა.

რაც შეეხება იმ ვულკანური აქტივობის ხანის დათარიღებას, რომლის მოწმეც ეს ფორმაცია არის, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ნბრით არის შესაძლებელი. სოფ. წესში პორფირიტებს თავზე ადევს ფუძის კონგლომერატი. ამავე პორფირიტის ხარჯით შემდგარი, და შეზღუდვით თიხიანი ქვიშაქვა, რომელშიაც 1924 წელს სხვა მრავალ ორგანულ ნაშთებთან ერთად მდიდარი Macrocephalites-ების ფაუნა ვიპოვე, მათ შორის

M. macrocephalus

მაშასადამე უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ პორფირიტებიანი სერია კალაოვიენის ტრანსგრესიაზე ადრინდელი არის. გაცილებით უფრო ძნელი არის ქვედა საზღვრის აღნიშვნა, ვინაიდან ე. წ. ლიასის ქვიშაქვისა და ფიქლების ასაკი, რომელთაც პორფირიტები ადევს, საკმაოდ გაურკვეველი არის. არც იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, რომ კონტაქტი ლიასსა და პორფირიტებს შუა სტრატეგრაფიული იყოს და არა ტექტონური. თვით პორფირიტებიან სერიაში დღემდე ლიგნიტის ნიშნების გარდა სხვა ორგანული ნაშთი არ ნიპოვნია. მდ. რიკულის ხეობაში პორფირიტებიან სერიას ჩრდილოეთისკენ თეთრქანისიანი რუხი ქვიშაქვისა და მოშავო ფიქლების მორიგეობითი შრეები მოჰყვება. თუ ნახშიროვან ნიეთიერებათ არ მივიღებთ მხედველობაში, ორგანული ნაშთები ამ სერიაში არ მოიპოვება. იგი არა ერთხელ არის აწერილი და ჩვეულებრივ მას ლიასს მიაკუთვნებენ. მართლაც, თუ ვიგულისხმებთ, რომ პორფირიტებიანი სერია ქვიშაქვისა და ფიქლების ფორმაციაზე ახალგაზრდა არის, და მოვიგონებთ, რომ პორფირიტები კალაოვიენზე უადრეს ხანას ეკუთვნის, უნდა დავასკვნათ, რომ ქვიშაქვისა და ფიქლების სერიის წარმოშობა ლიასზე ან ბაიოციენზე უახლოესი არ არის. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ ორი ჯგუფის ტექტონური დამოკიდებულება სრულიად გამოურკვეველი არის და მაშასადამე ლიასის ასაკი მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიღოთ.

მიპართება ლიასის შრეების WNW არის, დაქანება შვეულბრივის გარ-
შემო ქანაობს და ხან ჩრდილოეთისკენ გადაიხრება, ხან სამხრეთისკენ. რაც შე-
ეხება გავრცელებას, იგი არა ნაკლებ დიდი უნდა იყოს, ვიდრე პორფირიტები-
სა. მე მათ შევხვდი სორსა და ონს შუა, ლუხუნურის ხეობაში, რიცეულის ხეო-
ბაში. ასკის წყლის ხეობაში, ლაჯანურის ხეობაში და ცხენისწყლის ხეობაში,
სვანეთში.

ზედა ჟურა. სხვადასხვა ავტორი ზედა ჟურის შესახებ რაქაში სულ სხვა-
დასხვა აზრისა არის. Favren, სიმონოვიჩი, სპირნოვი მარტო ქვედა ჟუ-
რას აღნიშნავენ; ლებედევს მის რუკაზე იქაც კი ზედა ჟურა აქვს, სადაც პორ-
ფირიტების სერია უნდა იყოს; Fournier მთელ ზემოხსენებულ ლიასის ფორმა-
ციას გარკვეულად ზედა ჟურას მიაკუთვნებს. უნდა დავუმატოთ, რომ როდესაც
ამ რაიონში და მეზობელ მხარეებში ზედა ჟურაზე არის ლაბარაკი, მხედველო-
ბაში ოქსფორდიენი და კიმერიჯიენი აქვთ. მაგ. სულ ბოლო დროს კონაჟუ-
შევსკი წერს, რომ წესში ოქსფორდიენი და კიმერიჯიენი არისო. კალოვიენი
ჯერ არავის აღუნიშნავს.

მხოლოდ 1924 ზაფხულზე აღმოვაჩინე სოფ. წესში საკმაოდ მდიდარი კა-
ლოვიენის ფაუნა, რომელიც ახალ შუქს ჰფენს მთელს ზედა ჟურის საკითხს.
რადგანაც ამ ფაქტს საკმაო მნიშვნელობა აქვს, ზედმეტი არ იქნება ორიოდ
სიტყვით სოფ. წესზე NS მიმართულგზით გავლებულ განაკვეთს გავეცნოთ. ზე-
ვიდან ქვევით აქ გვხვდება:

11 კირქვა

10 კირქვის ქვიშაქვა

9 დოლომიტოვანი ბრეჩია

8 თაბაშირისა და თიხის შრეების მორიგეობა

7 კვარცის ქვიშაქვა და ქვიშა

6 ვარდისფერი წმინდამარცვლიანი და რუხი ქვიშაქვა

5 თეთრი და ვარდისფერი კირქვა

4 ფერადი ქვიშაქვა

3 რუხი თიხიანი ქვიშაქვა კალოვიენის ფაუნით

2 ფუძის კონგლომერატი და ქვიშაქვა პორფირიტებისაგან წარმომდგარი

1 პორფირიტეული ტუფ-ბრეჩია.

კალოვიენის ფაუნა მე-3 ფენაში არის. ფუძის კონგლომერატი ამტკიცებს,
რომ იგი (ფენა) ავტოქტონური არის. აქ შევავროვე ე. წ. საწისქვილე დელის
კალაპოტში მეწყურის ჩამოტანილი ან მკვიდრ ქანში შემდეგი ნამარხები:

Belemnites

Solen

Phylloceras

Pecten

Perisphinctes

Samellibranchiat'ები დიდი და პა-

Macrocephalites (რამოდენიმე სახე,

ტარა

მათ შორის *M. macrocephalus*)

Nerinea და სხვა Gasteropoda

Trigonia

დანახშირებული მცენარეები (ფე-
ნებიდან 2)

შრეები, 4 გაშიშვლებული შარაზე წვის ლექნებს ქვევით. წითელ ფხვიერ ქვიშაქვაში აქ ვიპოვე Belemnites და წერილი ნიარები, რომელთა დაუმტკრევლად ამოღება ქანიდან არ მოხერხდა. დანარჩენ ფენებში 10მდი ნამარხი არ მიპოვნია.

ზემოხსენებული ფაუნის გარკვევა მახლობელი მომავლისათვის უნდა გადავდო. თუ მანამდე ვიგულისხმებთ, რომ იგი კალოვიენისა არის, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგი შრეები 9მდი ან შეიძლება 11მდისაც ზედა ჯურის დანარჩენ სართულებს¹ წარმოადგენს.

ზედა ჯურა სოლივით იჭრება აღმოსავლეთიდან ცარცისა და პორფირიტებიანი სერიის შუა და რიცეულის მარცხენა ნაპირს არ სცილდება. შემდეგ ცარცი უშუალოდ ეხება პორფირიტებს და მხოლოდ ასხის მთის ქვეშ (ლეჩხუმში, ცხენის წყლის ხეობა) ჩნდება ისევ ზედა ჯურა. რაც შეეხება რაკა-ლენხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთას, იქ ზედა ჯურის კონგლომერატს ვხედავთ ხეობაში ქორთასა და შქმერს შუა და თხზორში მდ. შარაულას მარცხენა ნაპირზე. აღსანიშნავია აგრეთვე იმავე კონგლომერატის ქვები შაორის ქალის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თეთრი-ღელის კალაპოტში. ეს ღელე ქვედა ცარცის კირქვის ნახსლეტს მოჰყვება და ეტყობა ზედა ჯურამდე ჩაუწევია. ნაქერალის სამხრეთ დასავლეთით ამავე კონგლომერატის ელემენტებს (უმთავრესად გრანიტის ქვაგვლებს) ეპოულობთ მდ. ტყიბულის ნელექქში.

ქვედა ცარცი.—ზედა ჯურის ~~განსხვავებული~~ ფენებს წესთან და სოფ. მუხლში, ბრექჩიასებური დოლომიტი მოჰყვება, რომელზედაც კირქვის ქვიშაქვა და შემდეგ მკვრივი მარმარილოსებური კირქვა დევს. უკანასკნელს მოჰყვება კუნძებიანი კირქვა, რომელიც განსაკუთრებით რაკა-ლენხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაზე არის ძლიერ განვითარებული (ნაქერალა, საწულიკე, მრავალძალი). რადგან კუნძებიან კირქვაზე აპტინის მერგელი დევს, იგი ნეოკომიენის ზედა საზღვარს უნდა წარმოადგენდეს².

ჩემ მიერ გასინჯულ განაკვეთებში, როგორც ზედა ჯურის ზედა შრეები, ისე ცარცის ქვედა ფენები უნამარხო იყო და ამიტომ ამ ორი სისტემის საზღვრის გავლება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა. შეიძლება სხვა რომელიმე განაკვეთმა, მაგ. ნაქერალისამ, შემდეგში უკეთესი მასალა მოგვეცეს. ყოველ შემთხვევაში ამ ემად პორტლანდიენის, ვალანგიინიენის და ოტრივიენის შესახებ არავითარი საბუთი არა. მაქვს. ორიოდ ნამარხი, ნაპოენი შრეში 10 წესთან, ამ დანაკლისს ვერ ავისებს. ნამარხები თითქმის მარტო კუნძებიან კირქვაში მოიპოვება. ეს კუნძები, რომელნიც მთელ ქანში გაბანდული არიან დატოტელ ძარღვებად, ძლიერ მოგვაგონებენ ზოგიერთ მარჯანს, მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული უნდა იყოს. ასეთსავე კუნძებს ეპოულობთ ზედა ჯურის კირქვაში 5 და ზედა ცარცში. უკანასკნელ შემთხვევაში კუნძები გაკაფებული არიან, რასაც ქვედა ცარცში მხოლოდ იშვიათად ვხედავთ.

¹) Quenstedt და მის შემდეგ გერმანელი ავტორების უმეტესობა კალოვიენს შუა ჯურას მიაკუთვნებენ. ფრანგი და ინგლისელი ავტორები მას ზედა ჯურის პირველ სართულად სთვლიან.

²) ნეოკომიენის ტერმინს ავტორები სხვადასხვა აზრით ხმარობენ. მე აქ ნეოკომიენს ვუწოდებ ქვედა ცარცს აპტინამდე უკანასკნელი სართულის გამოკლებით.

ამ კირქვაში, რომელიც ცნობილია, როგორც ურგონისა, შეიძლება ორი ჰორიზონტი გავარჩიოთ: ქვევით კაპროტინებიანი მასივი კირქვა, რომელშიაც ზოგ ადგილებში, უმთავრესად რაქის გარეთ, უხვად არის გაფანტული *Caprotina ammonialis* ნიჟარები, და ზევით უფრო მერგელისებური კირქვა, რომელშიაც მრავლად გვხვდება დიდი

<i>Exogyra latissima</i> და აგრეთვე	Belemnites.
Stromatopora,	Nautilus,
Rhynchonella,	Lytoceras.
ზღვის ზღარბები,	

ამ ნამარხების ხასიათი და ის გარემოება, რომ შემდეგი შრეები აპტიენს ეკუთვნის, ნებას გვაძლევს კუნძებიანი კირქვა, თანახმად მიღებული შეხედულებისა, ბარემიენს მივაკუთვნოთ. ქვედა ცარცის კირქვა რაქა-ლეჩხუმის თეთრი მთების მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

შუა ცარცი.—(ცნობილია, რომ ცარცს ზოგი ორ სექციად ჰყოფს (W. Kilian¹⁾, ზოგი სამად (E. Haug²⁾), მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც კიდევ სხვადასხვაობა არსებობს თვითოეული სექციის განსაზღვრაში. Haug-ი შუა ცარცნი ათავსებს ალბიენს, სენომანიენს და ტურონიენს, Jacob-ისთვის კი³ შუა ცარცი აპტიენისა, ალბიენისა და სენომანიენისგან შედგება. მეც ამ უკანასკნელ განაწილებას ვიხმარ, რადგანაც ჩემ მიერ შესწავლილი კუთხის ცარცის ბუნებას ის უკეთ ეგუება.

სოფ. ნიკორწმინდაში *E. latissim*-იან კირქვაზე დევს მერგელი, რომლის სისქეც რამოდენიმე მეტრს არ აღემატება, შემდეგ კუნძებიანი კირქვის ასეთივე ფენა და მეორე ისევე მერგელი, რომელიც ზედა ცარცის თეთრ კირქვამდე გრძელდება და რამოდენიმე ასი მეტრის სისქე იქნება. მთელი ეს სერია შუა ცარცს ეკუთვნის. მერგელის ქვედა შრეები ლითოგრაფიული ქვის ხასიათისა არის, თუმცა ხშირი ბზარების გამო პრაქტიკულად გამოუდევარი, და, გარდა კალციტის იშვიათი ძარღვებისა, მარკაზიტის სფეროკრისტალებს და პირიტს შეიცავს. იგრ ძლიერ მდიდარია ნამარხებით, რომელთა შორის გვხვდება:

<i>Terebratul</i> (<i>T. sella</i> , <i>biplicata</i> და სხ.).	Desmoceras
Magas	Silesites
Rhynchonella	Puzosia
Panopaea	Parahoplites
Pleurotomaria	Colchidites n. gen.
Belemnites (<i>B. semicanaliculatus</i> , <i>minus</i> ..)	Crioceras
	Hamites

ზოგჯერ ქანი ნამდვილი ლუმაშელის სახეს ლებულობს. სკარბობენ *Terebratul*-ები *Belemnit*-ები და განსაკუთრებით *Ammonit*-ები, რომელთა შორის შესანიშნავია თავისებური განხვეული ფორმა *Colchidites* gen. nov. სამწუხაროდ

¹⁾ W. Kilian, Unterkreide in Lethaea geognostica, 2. Teil, 3. Bd. I. Abt. f. Lf. 1907

²⁾ E. Haug, Traité de géologie, 1917-11, v. 11, fasc. 2, p. 1153.

³⁾ C. h. Jacob, Etudes paléontol. et stratigr. sur la partie moyenne des terr. crétaées... Thèse, Paris 1907.

ამ ქანიდან ნამარხის მთელად ამოღება, გარდა *Terebratul'*ებისა, თითქმის შეუძლებელია.

ნამარხებში არეულია, როგორც აპტიენის, ისე ალბიენის ფორმები. ამ ორი სართულის განსაზღვრა, სანამ მთელი მასალა დაწვრილებით შესწავლილი არ არის, მოუხერხებელია. ზევითკენ მერგელი თანდათან ღარიბდება და უნამარხო მტრედის ფერ სხვაობაში გადადის. უკანასკნელს თავისი მხრით პატარა *Lamellibranchiat'*ებიანი მერგელი სცელის და შემდეგ ქვიშაქვისა და ქვიშის ძლიერი სერია იწყება. უკანასკნელს ისევ პატარა *Lamellibranchiat'*ებიანი მერგელის რამოდენიმე მეტრი ჰხურავს, რომელსაც ზედა ცარცის კირქვა მოჰყვება.

ზემოსხენებული ქვიშაქვა, რომელსაც გლაუკონიტი ნეტ წილად მომწვანო ფერს აძლევს, მაგრამ ზოგჯერ ვარდისფერიც არის, მეტად საგულისხმო მოვლენას წარმოადგენს და მკაფიოდ ირჩევა მერგელისა და კირქვის ერთფეროვან სერიაში, მას ჩვენ რაქა-ლექზუმში ყველგან ვხვდებით, რის გამო შუა ცარცის ზედა ნაწილის განსაზღვრა ძლიერ ადვილდება. მხოლოდ ნაშინ, როდესაც სამხრეთისაკენ, მაგ. სოფ. თლუხთან, მისი სისქე მრავალ ათეულ მეტრს უდრის, რიონის მარჯვენა ნაპირზე იგი 1-2 მეტრს აღარ აღემატება. ასეთი სწრაფი წაწვეტება გვიჩვენებს, რომ ქანს ადგილობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ ქვიშაქვის ქვეშ და თავზე ერთსა და იმავე მერგელს ვხედავთ. იწყება ეს ფორმაცია ქვიშაქვის თხელი შრეებით (პიოდეცო), რომელნიც მერგელთან მორიგეობენ, და თავდება ქვიშაქვისა და წმინდაპარცელიანი კონგლომერატის სქელი შრით, რომლის სისქე რამოდენიმე ათეულ მეტრს უდრის. შიგ ძლიერ მკაფიოდ ჩანს ხლართული შრეებრივობა. დამახასიათებელი არის მისთვის აგრეთვე თავისებური დატოტვილი სხეულები, რომელნიც შეიძლება კიების ხერხელებისგან წარმოდგებოდნენ. ქვევით ქვიშაქვისა და მერგელის მორიგეობა პიოდეჯერ მეორდება (თლუხის თავზე). ამ ქვიშაქვაში ეპოულობთ დიდ ამონიტებს და მათ შორის

Acanthoceras Rhotomagense,

რაც ნებას გვაძლევს მთელი სერია დროებით სენომანიენს მივაკუთვნოთ. ზედა სქელი შრის სულ ზედა ნაწილშიაც ვიპოვე *Lamellibranchiat'*ების ნივარები (საკინკია, სოფ. აგარის ბოლოზე), მაგრამ ჯერ არ გაპირკვევია.

მეფერტის „*свита Мтавари*“¹⁾, როგორც ქანისა და სტრატეგრაფიული მდებარეობამ და მარწმუნა, ამ ქვიშაქვის პორიზონტული გაგრძელება არის და, მაშასადამე, ნაწილობრივ ისიც სენომანიენს ეკუთვნის.

ზედაცარცი. — სენომანიენის მერგელი ზედა ცარცის თეთრ კირქვაში გადადის. ქვევით ეს ქანი შრეებრივი არის, ზევით კი უფრო მასივ ხასიათს ღებულობს. შიგ ხშირი არის კაყის კონკრეციები მეტ წილად დატოტვილი და ზოგჯერ შრეებრივობის სიბრტყეზე ფენებად დაგროვილი. ნამარხებიც ამ ქანში გაკაყებული არის (მაგ. *Echinocorys*).

¹⁾ იხ. Л. Конюшевский, Геологические черты района проектируемой Тквибульской гидростанции: *Закавказский Трумпорт*, Тифлис 1925, № 5-6.

თუმცა ზედა ცარცში ნამარხები ძლიერ იშვიათი არის, მაინც შეიძლება ისი ორად გაყოფა:

ზევით სენონიენი <i>Belcmitella mucronata</i> ათი ქვევით ტურონიენი <i>Echinocorys ovalis</i> ათ.	ორივე სართელში უხნი- რესი ნამარხი არის Ino- ceramus
--	---

ზედა ცარცის კირქვა ძლიერ ფიციხია, თანაც უკიდურესად დაბნარულიც და ამიტომ ადვილად იშლება და იძლევა როკკის ნაზეაებს. უმეტეს შემთხვევაში იგი ეროზიას უკვე გადაურეცხავს, თუ მას უფრო ახალგაზრდა შრეები არ იფარავს. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ რაქა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილოეთის ფრთაზე სოფ. ძირაგოთლის აღმოსავლეთით მესამეული უშუალოდ დევს სენომანიენზე და ზედა ცარცი არ არის. ამ მხრივაც გეოლოგიური რუკები შესასწორებელია.

მესამეული.—ცარცისა და მესამეულის საზღვრის კარგი განაკვეთი რუკაზე წარმოდგენილ ადგილებში არ შეიხვედრია. შესაძლებელია აგეთი არსებობდეს ლეიარისაკენ. აღმოსავლეთით კი რიონის ორივე ნაპირზე ძლიერ დაქანებული შრეების ცოცხის გამო ზედა თევზიანი ჰორიზონტი უშუალოდ ეხება სენონიენის კირქვას (ან თვით სენომანიენს). შეხება ცხადად ანორმულია. სამაგიეროდ ცარცის ზედა ნაწილის და მესამეულის ქვედა ჰორიზონტების კარგი განაკვეთები გვაქვს ლეჩხუმში, სახელდობრ მდ. ლაჯანურის ორპირის ჩრდილო მისავალთან და განსაკუთრებით კი ცხენისწყლის ნაპირზე სოფ. ლარჩვალთან (სარეწკელას დასაწყისი). ამ ადგილებში დაგროვებული ფაუნის შესწავლა უკვე აღაღდა ბევრ რასმე გამოარკვევს იმ გარდამავალი ხანის შესახებ დასავლეთ საქართველოში.

ერთ წინანდელ წერილში¹ უკვე აღენიშნე, რომ ლეჩხუმის მესამეულში ორი თევზიანი ჰორიზონტი არის მკაფიოდ განსხვავებული. რაქაში ქვედა თევზიანი ჰორიზონტი ჯერ-ჯერობით ნხოლოდ ქვაპუკარში შეენიშნე სოფ. იწის მხრით. ზედა თევზიანი ჰორიზონტს, პირიქით, დიდი ადგილი უჭირავს ქვენო რაქის სინკლინის ორივე ფრთაზე. იგი წარმოდგენილი არის მუქი ფიქლებრივი თიხით, რომლისთვისაც დიდი კვერისებური კონკრეციები და რკინის ოქრა ძლიერ დამახასიათებელი არის. მასშივე ვხვდებით თეთრი თაბაშირის (გიპსის) შრეებს ახალსოფელში, ზნაკვაში, ტოლაში და სხვაგან. თევზიანი ჰორიზონტის შემდეგ იწყება თიხისა, თიხაქვისის, ქვიშაქვის და კონგლომერატის მორიგეობა, რომელიც მხოლოდ ეკუთვნის და სარმატით თავდება. ამ სერიის ფაუნა დაგროვებული აქვს გეოლოგიური კათედრის თანამშრომელს ი. კაქაიძეს და უნდა ვიფიქროთ, რომ მალე შესძლებს კიდევ მის დამუშავებას.

ნუმულიტიებიანი ფაციესი, რომელიც ლეჩხუმში ძლიერ გავრცელებული არის, რაქაში ჯერ არ შეიხვედრია.

მეთხუთეული და თანამედროვე ფორმაცია წარმოდგენილი არის მდინარეების და დელტების ალუვიონით და ნაზეავით.

¹ ა. ჯანელიძე, ტულისის მიდამოების ჰიდროგრაფია. „ტფ. უნივერსიტეტის ნო-აბგ“ ტ. V. გვ. 342.

ვულკანური მოქმედება. ვულკანიზმის დიდ აქტივობას შუა აუროს განმავლობაში ზედა აუროსში დიდი სიწყნარე მოჰყვა. არც ქვედა ცარცის განმავლობაში ჩანს ვულკანური მოქმედების რაიმე ნიშანი. ესევე შეიძლება ითქვას შუა ცარცის დიდი ნაწილის შესახებ. მხოლოდ სენოზოიკის დროს იწყება ვულკანური ძალების გამოვლილება, მაგრამ არა თვით ჩვენი კვლევის რაიონში, არამედ მის სამხრეთ-დასავლეთით, ოკრიბაში. ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ზედა ცარცში უკვე თვით რაქა ხდება ვულკანიზმის ასპარეზი. სოუ. ბონკიორში ზედა ცარცის კირქვაში დატანული არის და შესთან ერთად დანაკლებულა ბაზალტური პორიანი ლავის რამოდენიმე ფენა. ქანის პორები უკვე თვითრი მინერალით არის ამოვსებული. ასეთივე ლავის ფენას, ნეკლევა ითქვას, ამ ფენების გაგრძელებას ვხვდებით მდინარე ზაკეურას ხეობაში ნაგარევის ციხის ქვეშ ზედა ცარცში. იგივე ქანი მოჩანს სოუ. მოტუიარის აღმოსავლეთით კირქვის კარიზში დაახლოებით ტურონიენსა და სენონიენს შუა.

მიოცენში, სპანიოლონტელების საუკუნეში შომბარა ძლიერი ამონთხევანი. რომელთა ნაშთი არის ანდეზიტური და ბაზალტური ლავის სქელი ფენები ზედა შერასა და ჯგარისას შუა. აქაც ვხვდებით პორიან ლავას, მაგრამ პორები ამოვსებული არ არის, რაც გასაგებია ქანის ახალგაზრდობის გამო.

საგულისხმო არის აგრეთვე ნიკორწმინდის დიაბაზის ძარღვი. გ. სმირნოვი მას აგვიწერს, როგორც დაფარულ ძარღვს, რომელსაც დღის სინათლე არ უხილავს: жила, обнажаясь по склону котловины, не доходит до дневной поверхности; повидимому трещина, занятая жилой, не распространялась до дневной поверхности¹. ეს რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს ისევე, როგორც აზრი, თითქო ძარღვი კირქვაში იყოს². ნაშედილად ნიკორწმინდის დიაბაზი შუა ცარცის (ალბიენის) მერგელს ჰყვეს და დაახლოებით ორი კილომეტრის ფრონტზედ არის გაშიშვლებული. მდებარეობს ნიკორწმინდის ტაძრის სამხრეთით სამგლიას გორის ფერდზე და ხოტევის ბაჟისინკლინის ღერძის შესახებ მცირეოდნად გადახრილი არის ჩრდილოეთისკენ. დაქანებული არის სამხრეთ აღმოსავლეთისკენ. ასე რომ თავისუფალი თავით სოუ. ბონკიორისკენ იუყრება. ქანის მოკლე პეტროგრაფიულ აღწერას ეპოულობთ იმავე გ. სმირნოვის შრომაში. მხოლოდ უნდა დავსძინოთ, რომ დიაბაზის ხასიათი მას მხოლოდ შუაგულში აქვს. ეს არის მისი ნორმული სახე, ხოლო კონტაქტში იგი ბაზალტის აგებულებას ღებულობს.


საინტერესო არის ამ ძარღვის ასაკის საკითხი. კონტაქტის საუკუნოვო მოვლენები მის სახურავ გვერდზე მოწმობს, რომ მისი წარმოშობა ალბიენის და უთუოდ აგრეთვე სენოზოიკის შემდეგ დროს ეუფარება. მეორე მხრივ მისი დაქანება მერგელის შრეების შესახებ ამტკიცებს, რომ იგი ირიბულად ჰყვეთდა სენოზოიკის და გადადიოდა ზედა ცარცში. სამგლიას გორის გარშემო ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით აღარც ზედა ცარცისა და აღარც შუასი

¹) Г. Смирновъ, Геологическое описание части Рачинскаго уѣзда Кутаисской губ. *Мат. по иссл. Кавказа*. 1909, сер. 3, кн. 7, стр. 125.

²) *ibidem*.

კვალი აღარ არის. ინტენსიურ ეროზიას გადაუწმენდია ყველაფერი ბარემიენის კირქვის ზეით და სხვათა შორის დიაბაზის ძარღვის გაგრძელება. მხოლოდ სოფ. ხონქიორში ვხვდებით ხელახლა შუა და ზედა ცარცს, რომელსაც აქ მესამეული მოსდევს. ბუნებრივად იბადება საკითხი: ხონქიორის ლავის ფენები ზედა ცარცში ან მესამეულის ანდეზიტი (ან ორივე ერთად) ნიკორწმინდის ძარღვის გაგრძელება ხომ არ არის? მაშინ უკანასკნელი უნდა გაგვეგო, როგორც ძველი ვულკანის სადენი მილი. რაკი დღეს უშუალო კავშირი დარღვეული არის, ამ საკითხის გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ექნება პეტროგრაფიულ ანალიზს.

ტექტონიკა. ის ბანა, როდესაც მთელ კავკასიონში ერთ უზარმაზარ ანტიკლინს ჰყავდავდნ (Abich), ჩვენი მეცნიერების საბოლოოდ მივიწყებულ ეტაპს წარმოადგენს. ასეთი აზრის გამეორება დღეს უეჭველად კუროიზად უნდა ჩაითვალოს¹. Fournier-მ უკვე 1895 წ. დაგვხატა კავკასიონი, როგორც იზოკლინური ნაოკების სერია. უნდა ვიფიქროთ, რომ სინამდვილეში მისი სქემა ზედმეტად გამარტივებული აღმოჩნდება. ყოველ შემთხვევაში ამ დიდ პრობლემას მე აქ არ შეეხებები და ვერც შეეხებები. ორიოდ სიტყვა მხოლოდ კირქვის კავკასიონის ტექტონიკის შესახებ დასავეთ საქართველოში.



სურ. 11.

სურ. 11 რაკა-ლეჩხუმის მთების ნაოკების მიმართულებას წარმოადგენს. ნათი დამახასიათებელი არის ვირგაციების მთელი რიგი. თუ დავიწყებთ ნაქერალა-ხვამლის ანტიკლინით, რომლისას ნაქერალა და ხვამლი მხოლოდ ჩრდილო ფრთას წარმოადგენენ და რომელიც რაკა-ლეჩხუმს სამხრეთით საზღვრავს, ჩვენ ვხვდებით, რომ ის ჯერ ფოცხერევის შტოს იძლევა, შემდეგ ნიკორწმინდის, საირმის და

¹) იხ. მაგ. Ляйстер и Чурсин. География Кавказа. Тифлис 1924, გვ. 31, განაკვეთი. ეს მეტად გულბრყვილო განაკვეთი სხვა მხრივაც საინტერესოა: მაგ. ჩრდილო ფერდის ცარცი და სამხრეთის პალეოგენი ავტორებს მოხდენილი ნაოკით შეუერთებიათ!

ბოლოს ცაგერ-წესის ანტიკლინს. საცა მთავარ ღერძს ეს შტოები უერთდება, ნაოკი, ოასაკვირველია, გაფართოებული არის და ამით აახსნება შეცთომა, რო-ნელსაც Fournier-ს შემდეგ სხვებაც იმეორებენ, თითქო აქ ეგრეთ წოდებული გუმბათები იყოს: ოკრიბის გუმბათი, ალპანის გუმბათი და სხ. Fournier-ს ახ-რით ეს მოვლენა დამახასიათებელიც კია ჩვენი მაარის ტექტონიკისათვის¹. ნამ-დვილად აქ არავითარი გუმბათები არ არის.

დასავლეთით ნაქერალა-ხვამლის ანტიკლინი მხოლოდ ერთ შტოს იძლევა, მათხოჯისას. ყველა ამ ნაოკების ჩონჩხს ცარცის კირკვა შეადგენს. სამხრეთით კირკვის შრეები იმალება იპერეთის მესამეულის ქვეშ, ჩრდილოეთით კი მცირე ვამონაკლისით ცაგერ-წესის ანტიკლინის კალთაზე წყდება თითქმის შეველე-ბრივად ამართული.

ცაგერ-წესის ანტიკლინი ცოტაოდენ განმარტებას მოითხოვს, რადგან გეოლო-გიურ რუკებზე და განაკვეთებზე (Abich, Favre, ს ი მ ო ნ ო ვ ი ჩ ი, Fournier, ს მ ი რ-ნ ო ვ ი) იგი აღნიშნულ არ არის და მის არსებობას დამტკიცება სჭირდება. 1. მდ. რიციეულის ხეობაში ქვედა ცარცი პორფირიტებიან სერიას ადევს, ხოლო უკა-ნასკნელი „ლიასის“ ფსამიტებს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ანტიკლინის ერთ ფრთას ეკუთვნისო, მაგრამ პორფირიტებიანი სერია ქვევიდან კონგლომერა-ტით იწყება, რომლის ელემენტები სწორედ პორფირიტებისაგან არის ნასესხები. რაკი ეს კონგლომერატი პორფირიტების ქვეშ დევს და მათზე უფრო ახალგაზრდა კი უნდა იყოს (იგი ანალოგი არის იმ ტუფ-კონგლომერატისა, რომლითაც პორ-ფირიტებიანი სერია თავდება), უნდა ვიფიქროთ, რომ პორფირიტების სერიას ანტიკლინის ღერძი ჰკვეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში სადმე მეზობლად პორფი-რიტები უნდა იყოს ხსენებული კონგლომერატის ქვეშ. 2. მდ. ლაჯანურის ხე-ობაში სოფ. ორბელის ჩრდილოეთით ეს ანტიკლინი უკვე უშუქველი ხდება. აქ ჩვენ გვაქვს ცარცის სრული ნაოკი, რომლის ქვეშ პორფირიტები დაფარული აოის. 3. თუ მხედველობაში მივიღებთ ენგურის ხეობის რუკას და განაკვეთს, რო-მელთაც ს ი მ ო ნ ო ვ ი ჩ ი² იძლევა, მაშინ დავინახავთ, რომ სვანეთში არა თუ ცაგერ-წესის ანტიკლინი არის სრული, მის ჩრდილოეთით კიდევ ერთი ანტიკლინი გვაქვს, რომლის სამხრეთი ფრთის შედგენაში ცარციც ლეზულობს მონაწილეობას.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ პორფირიტები და მათი მომყოლი ფორმაცი-ები საკმაოდ დამოუკიდებელი არიან მათ ქვეშ მდებარე ლიასის შრეებისაგან. ავტოქტონური არიან ისინი აქ, თუ არა? ამ კითხვას, იმედი მაქვს, პასუხი ახლო მომავალში გავსცე. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ცარციც იყოს მცირედ თვით პორფირიტებზე გაციოკებული. ორსავე შემთხვევაში მოძრაობა ჩრდილოეთის მი-მართულებით უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ნასხლეტებს, ავგებულ რაიონში ორი მთავარი შემთხვევა უნ-და აღინიშნოს. ერთი დიდი ნასხლეთი მიჰყვება რიონს OIV მიმართულებით. იგი ცხადად ჩანს საკეცისას და იწას შუა. აქ ზედა ცარცი თავზე დაჰყურებს მე-

¹) loc cit. passim.

²) С. С И М О Н О В И Ч, Геол. настл. № доп. рѣки Пурга, 1876. Мюн. по Кавказу, сер. 1, кн. 7, 1877.

სამეულს (იხ. განაცხეტი). რამდენად შორს გრძელდება ეს ნასხლეტი აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ, ძნელი სათქმელია, რადგან იგი რიონის ალუვიონის ქვეშ იმალება. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთით მის გაგრძელებას წარმოადგენს გასწორივი ნასხლეტი, რომელიც საირმის ანტიკლინის ქედს მიჰყვება (იხ. რუკა). ნასხლეტის ამპლიტუდა აქ გაცილებით უფრო ნაკლებია. მეორე ნასხლეტი პირველის პერპენდიკულარულად მიჰყვება ზნაკურას მარჯვენა ნაპირს. ან ხაზის გასწორივ მესამეულ ებება შუა ცარცს. ამ ორი ნასხლეტის, განსაკუთრებით პირველი მათგანის გავლენით უნდა აიხსნებოდეს სხვათა შორის ქვეწო რაქის სინკლინალის ფრთების ცოცვა რიონისაკენ. ეს მოძრაობა ცხადად ემჩნევა არა მარტო დამეწყურილ მესამეულს, არამედ შუა ცარცის მერგელსაც (სა-პულდოი, ხიდისკარი). მასვე უნდა მიეწეროს ანორმული კონტაქტი ზედა თევზიან კარიზონტსა და სონონიენს ან თვით სენომანიენს შორის (ძირაგეულის აღმოსავლეთით).

აღნიშნით კიდევ ჩვენი რუკის ფარგლებში მოხვარეულის ნასხლეტი შორის კალის სამხრეთ-დასავლეთით. აქიდან გამოაქვს თეთრ-ლელეს ზედაფურის კონგლომერატი. ამ ნასხლეტის მხოლოდ დასაწყისი არის ჩვენს რუკაზე, დანარჩენი კი მის გარეშე რჩება.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ 'ხიდისკარში, სწორედ რიონის კალაპოტის ხაზზე, ცაგერ-წყის ანტიკლინის ცარცის ფრთა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს. ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ იმ თავითვე ბზარი იყო, რომლითაც რიონმა ისარგებლა კალაპოტის გასაქრელად.

პალეოგეოგრაფია—პალეოგეოგრაფიული აღდგენა შედარებითი გეოლოგიის ამოცანა არის. ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა პაწია კუთხის შესწავლის საშუალებით ასეთი ამოცანების გადაჭრის ცდა. მაგრამ საკითხების დასმა და ზემოფარგვლა შესაძლებელიც არის და სასურველიც. ამ ორიოდ სტრიქონის მიზანიც მხოლოდ ეს იქნება.

ლიგნიტის პატარა ბუდეები და აგრეთვე ზოგიერთი ბრექჩიების ბუნება, რომელიც, როგორც უკვე გ. ს. მ. ი. რ. ო. ვ. მ. ა. აღნიშნა, პორფირიტების in situ გამოფიტვისა და რღვევის შედეგი უნდა იყოს, გვაფიქრებინებს, რომ პორფირიტებიანი სერია ხმელეთზე ანუ უკეთ ვულკანურ არქიპელაგში წარმოშობილი ფორმაცია უნდა იყოს. თუმცა საერთოდ აჭრა ვულკანიზმის და ოროგენეტიული აქტივობის პაუზის დროს წარმოადგენს. მაგრამ აქ პირიქით, ვულკანიზმის არაჩვეულებრივ ინტენსივობასთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია, რომ იგი ტექტონურ მოძრაობასთანაც იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში იხადება კითხვა, სად იქნებოდა ამ მოძრაობის აქერა? მრავალი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ეს კერა მთავარი ქედი არ ყოფილა. ყურადღება უფრო ძირულის მასივისაკენ უნდა იქნეს მიპართული.

კალოვიენი ფუძის კონგლომერატით და ქვიშაქვით იწყება და ტრანსგრესიულად ჰფარავს პორფირიტებს. ეტყობა კალოვიენის უნივერსალ ტრანსგრესიას რაჰაშიაც ჰქონია ადგილი. მეორე მხრით ზედა აჭრა კონგლომერატით და გიჰსით თავდება. აქაც ზედა აჭრის კაჭად ცნობილ რეგრესიასთან გვაქვს საქმე.


ნდ. რიცხულიდან დაწყებული დასავლეთისაკენ დიდ ნანძილზე ქვედა ცარცი უშუალოდ ეხება პორფირიტებიან სერიას. ზედა ჯურის შრეები აქ არ ჩანს. ეს ფაქტი ტექტონურ მოძრაობას უნდა ნიშნავდეს, თუ მთელი ზედა ჯურის ან ზედა ჯურის ერთი ნაწილის განწველობაში ამ ადგილას ტენძულის არსებობას, —ეს არის კითხვა, რომელიც მოჰყავალი (1926 წ.) ხაუბელის კაპანიამ უნდა გამოარკვიოს.

ზედა ჯურის კონგლომერატნი ხშირი არის გრანიტის და კვარცპორფირის მორგვალელებული ქვები. ასეთი არის ამ ქანის სახე ქორთასა და შქმერს შუა. ნოხვარულში ნაჭერალის აღმოსავლეთით, ნდ. ტყიბულას აუზში. უფრო ჩრდილოეთით კი კონგლომერატის ადგილს კვარცის ქვიშაქვა იკერს წესში და ნუბლნი გიპსის ქვეშ, თხმორში შარაულას ნარცხენა ნაპირზე). მეორე მხრით. ჩვენს შეკითხვაზე პროფ. ა. თვალკრელძემ დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული კონგლომერატის გრანიტი ენათესავება ძირულის მასივის გრანიტს. ყოველივე ეს ნება გვაძლევს ვთქვათ, რომ რაჭის ზედა ჯურის მექანიკური დანალექის მასალას სანხრეთ აღმოსავლეთისაკენ მდებარე ძირულის მასივი იძლეოდა და არა კავკასიონი.

ცარცის პერიოდში ხელახლა ტრანსგრესია იწყება და ლავუნის ნალექს (გიპსი) კირქვა სცვლის. სხვაგან ქვედა ცარცის ტრანსგრესია სენომანიენში აღწევს მაქსიმუმს. როგორი არის ამ მხრივ მდგომარეობა რაქანა? ცარცი აქ ქვიშაქვისებური კირქვით იწყება, რომელსაც ურგონისებური მასივი კირქვა მოჰყვება. უკანასკნელის ზედა ნაწილი თანდათან უფრო მერგვლისებური ხდება და აპტიენის მერგვლში გადადის. უკანასკნელი ტიპური ბათილი დანალექი არის და ეს მისი ხასიათი კიდევ უფრო ღრმავდება ალბიენში, სადაც გამართული აზონიტების ადგილს ლიპი ამონიტები (Desmocerasatidae) იკერებ. ნაშასადამე, ტრანსგრესია თანდათან მატულობს, როგორც მოსალოდნელიც იყო. მაგრამ სენომანიენში ერთბაშად ზემოთ აღწერილი ქვიშაქვა ჩნდება. რას ნიშნავს ეს? მოასწავებს თუ არა ნაადრევ რეგრესიას?

აქ საკირო იქნება წინასწარ რამოდენიმე დაკვირვების აღნიშვნა. ქვემო რაქანში სენომანიენის ქვიშაქვა ერთთავად არ სცვლის მერგელს. იგი პირიქით მერგელისა და ქვიშაქვის თხელი შრეების (20—30 cm) მორიგეობით იწყება. სენომანიენის განაკვეთში სოფ. თლუხსა და შაორის ხეობას შუა 20 თუ 30 ასეთი გამეორება შეიძლება დაეითვალათ. მხოლოდ შემდეგ იწყება ქვიშაქვის მთავარი ფენა (რამოდენიმე ათეული მეტრი), რომელიც ზევით მკვირმარცვლიანი კონგლომერატით თავდება. ამ ფენასაც თავზე ისევ მერგელი ადევს სულლიად ისეთივე, როგორიც ქვიშაქვის ქვეშ არის, და მხოლოდ შემდეგ ზედა ცარცის კირქვა იწყება. ცხადია, ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი მოკლე ხნის განწველობაში ტრანსგრესია-რეგრესია 20-30ჯერ გამეორებულყოფს. ვერც იმას ვიტყვი, თითქო მერგელის ადგილი თანდათანობით თხელი ზღვის დანალექს დაეკიროს, რადგან მთელი სერია მერგელით იწყება და მერგელითვე თავდება. ნაწილში არის საქმე? ან კითხვაზე დიდხანს პასუხი ვერ გამცეა. მხოლოდ წასულ სექტემბერში შემთხვევით სოფ. ცუცხვათიდან აჯამეთისაკენ გავლის დროს მივაქტიე უზრადლება, რომ აქ ქვედა და ზედა ცარცს შუა მთელი ადგილი ვულკანურ-

ვა ტუფოვან ქანებს უჭირავს, რომელიც პირველი შეხედვით აურისა გვეგონება. ცოტა აღმოსავლეთით აქიდან, წყალდასავალთან (საცა მდ. ტუიბულა იკარგება) შუა ცარცი (მთლად?) ფერადი ქვიშაქვით არის წარმოდგენილი. კიდევ უფრო დაშორებით, ქვემო რაქაში, რიონის მარცხენა ნაპირზე სენოზოინის ქვიშაქვის ზემოხსენებული ფაციესი გვაქვს, რომელიც რიონს გაღმა მხოლოდ ორი თხელი შრით-ღა არის წარმოდგენილი (კლდისუბანი რიცეულზე). დასკვნა თითქო ცხადი უნდა იყოს: შუა ცარცის განმავლობაში ტუცხვათის მიდამოებში ან მის სამხრეთით (ქუთაისისკენ ისევ მერგელი და ქვიშაქვა არის) არსებობდა ვულკანური მოქმედების კერა, რომლის პროდუქტები, წყლის მიერ გადამუშავებული, გარშემო ზღვაში ილექებოდა ჩვეულებრივ შლამთან მორიგეობით. სურ. 12ზე ნოცემული სქემა გამომხატავს ჩემს შეხედულებას ამ საკითხზე და, ვვიჭრობ, სინამდვილესაც. თუ იგი სწორი არის, მაშინ ადვილი გასაგები იქნება, თუ რად არ არის წყალდასავალში ამონიტებიანი მერგელი და ამ მოვლენის ასახსნელად არ ჯაგვირდება არც ჰიპოთეზური ნასხლეტი (Конюшевский) და არც სელიმენ-ტაისის პაუნა (Медфорт).



სურ. 12. C₁—ქვედა ცარცი, C₂—შუა ცარცი, C₃—ზედა ცარცი.

ზედა ცარცის კარქვა ზღვის ზღარბების და დიდი ინოცერამების ფაუნით ისევ ზღვის გათსელებას მოწმობს. ამ საერთო სურათს *Bélemnites mucronata*-ც არ არღვევს, რადგან არაერთი სტრუქტურა არა გვაქვს, ეს ფეხთავეა ღრმა ზღვის მცხოვრებელ ჩვეულებათ. მდგომარეობა, ალბათ საგონებლად არც ცარცი-სა და პალეოგენის საზღვარზე შეცვლილა, როდესაც კარქვის ადგილს ტერიგენი დანალექი იჭერს (პირველი თევზიანი ჰორიზონტის მერგელი). შემდეგაც მსხვილ-ნაწილულების დალექვა ისევ თხელ ზღვაში ხდება (რაქა-ლეჩხულის სინკლინის დასავლეთი ნაწილი) და მე-2 თევზიანი ჰორიზონტის დრო უკვე ლაგუნის პარობებში ტარდება. ამის მოწამეა ამ ჰორიზონტში ჩართული გვამის შრეები აბალსოთელში, ზნაკვაში და ტოლაში.

მოცენის განმავლობაში კონგლომერატა და თიხა მთავარ როლს თამაშობს და სარმატის შემდეგ ზღვა საბოლოოდ სტოვებს რაქა-ლეჩხუმს. ყოველ შემთხვევაში უფრო ახალი დროის ზღვის ნალექი აქ ცნობილი არ არის.

მადნეულობა და მინერალური წყლები.—აგეგმულ ტერიტორიაზე ლიგნიტის უმნიშვნელო ბუდეები იშორად გვხვდება. როგორც ზედა აურაში, ისე პალეოგენში. ასფალტი და ოზოკერიტი გავრცელებულია სოფ. ბაჯში რიონის მარცხენა ნაპირზე. თხმორში თეთრი და შავი ლელის კალაპოტებში გავიშვლებულია მთელი რიგი კალციტის OW მიმართული ძარღვებისა, რომლებიც პირიტის, ქალკოპირიტის და ტყვიის კრიალას შეიცავს. როგორც გადმოცემა და ნაშკედურები მოწმობს, წასული საუკუნის მეორე ნახევარში ან მაინის შინანარეწველური დამუშავება სწარმოებდა, ხგონი ბერძნების სიერ. თაბაშირი (გიასი) გვხვდება ზედა აურაში (რიონის მარცხენა ნაპირი ღესს ზევით) და პალეოგენში (ახალსოფელი, ზნაკვა, ტოლა). წესთან მას სტებენ კიდევ ადგილობრივი საპრობებისათვის.

გოგირდის წყალი გამოდის ხიდისკარში რიონის ორივე ნაპირზე. უკველია, ზედა აურის გიჟთან დაკავშირებით. გიჟთანვე არის დაკავშირებული პატარა გოგირდის წყაროები ზნაკუოას ნაპირზე ზნაკვაში. შავრა-ჯერაისის ვულკანური ვანდენის გასწორი რიონის მარცხენა ნაპირზე გამოდის მთელი რიგი გოგირდის (აბანო ბუგეულში) და რკინის წყლებისა. მათი ვულკანური გენეზისი შესაძლებელი არის. რიონის მარჯვენა ნაპირზე, მთაში, მინერალური წყლები, რა თქმა უნდა, უფრო ხშირია, მაგრამ მათი აღნუსხვისათვის საპრობ მასალა ჯერ-ჯერობით არ მომეპოვება.

V. COLCHIDITES,

ცარცის ამონიტების ერთი ახალი გვარი.

კავკასიის გეოლოგიას დღემდე თითქმის მარტო დახვერვის ხასიათი ჰქონდა. ამ მხრივ უქველად ახალი ხანის დასაწყისის მოასწავებს ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტის აწინდელი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს კავკასიონის რამოდენიმე ადგილას გადაკვეთას და შესაფერი ზოლების ერთგვრსიან რუკაზე აგეგმვას. მაგრამ დაწერილებითი სტრატეგრაფია აუცილებლად ჰკულისხმობს ნამარხ ფაუნათა ზედმიწევნით შესწავლას. ამიტომ ამიერიდან შეუძლებელი იქნება პალეონტოლოგიური მასალის ზერეფე გაცნობით და სახელდახელო გარკვევით დაკმაყოფილება. აქამდე კი, თუ მცირეოდენ გამოხაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, სწორედ ასე ხდებოდა. ამის ჩინებული მაგალითია თუნდაც კირქვის კავკასიონის აპტიენის ფაუნა რაჭაში. არ ყოფილა გეოლოგი, ეროპელი თუ რუსი, რომ ცენტრული კავკასიონი შეესწავლოს და რაჭა არ მოეელოს. ყველას მათ მოხსენებული აქვს აპტიენის მერგლის სიუხვე ამონიტებით და ყველანი იძლევიან ამ ფაუნის მეტად თუ ნაკლებად გრძელ სიას. აგრეთვე ყველანი აღნიშნავენ აპტიენის ამონიტებს შორის განხვეული (déroulé) ფორმების კარბობას და Criocerasთან ერთად Macroscaphitesს და Ancylocerasს ასახელებენ. მაგრამ სოფ. ნიკორწმინდის აპტიენის გაცნობამ დამარწმუნა, რომ თუმცა შიგ განხვეული ამონიტების სიმრავლე მართლაც საკვირველია, ზემოხსენებული ორი გვარი საკმაოდ იშვიათი უნდა იყოს. სამაგიეროდ მთელი შრეები სავსე არის ერთი თავისებური ფორმით, რომელიც გარეკანი მსგავსების

გამო შეიძლება ზერელე დამკვირვებელს *Ancyloceras* ან *Macroscephites*-ად მიეღოს და. როგორც ჩანს, მაჟულიათ კიდევ. რადგან ამ სრულიად ახალ ფორმას, ახალს არა ზარტო როგორც სახეს, არამედ როგორც გვარსაც, უეჭველი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ცარცის სტრატეგრაფიისთვის და საზოგადო პალეონტოლოგიური თვალთაზრისითაც ძლიერ საინტერესო არის, გადავწყვიტე აქვე ავსწერო იგი ამ სახელწოდებით

Colchidites n. gen.

ნიკორწმინდიდან მოტყუარში მიმავალი გზა ლემანეურის უღელით გადაღის. ამ მთის ჩრდილო კალთაზე, ნიკორწმინდის თავზე გზა მერგელში არის გაკერილი და შორიდანვე მოჩანს თეთრი ზოლად. ეს ზოლი და მის პარალელად 100ოდ მეტრის სიგრძეზე მიმავალი ხრამი, რომელიც წვიმისაგან დათხრილს ჰველ გზას წარმოადგენს, ერთიანად მოქედილია ნამარხებით. ამონიტებს, ბელემნიტებს, ტერებრატულებს რიცხვი არა აქვს. გვხვდება აგრეთვე *Rhynchonell*ები, *Cardium*ები და ძლიერ იშვიათად *Pleurotomari*ები. სამწუხაროდ, გამოუფიქრებელი ჩანი ძლიერ ფიცხია და მისგან მთელი ნამარხის გამოტეხა შეუძლებელია, გამოფიტული კი წყრილად იმსხვრევა. ამიტომ სრული ნამარხის შვნა, თუ *Terebraul*ებს არ მივიღებთ მხედველობაში, მეტად ძნელია და ბევრ შრომას და მოთპინებას მოითხოვს.

ღედა-ქანი ძლიერ წმინდამარცვლიანი მერგელი არის, საბეჭდავი ქვის ტიპისა. გამოუფიქრებს ნაცრის ფერი აქვს, გამოფიტული კი თეთრია. ნამარხები შიგ უვნებლად არის დაცული, თვით განხვეული ამონიტების სათუთი ნივარებიც კი. ამონიტების შიგა ხვეულები და ტერებრატულულების ნივარები ზოგჯერ გაპიოიტებული არის. ღედა-ქანის ბუნება, ნამარხების მთლიანობა და მის გარემოება, რომ მათ შორის ლიპი ამონიტები დიდ როლს თამაშობენ, ხოლო ცხადად ნაპირის მცხოვრებლები სრულიად არ მოიპოვებიან, ნათლად მოწმობს, რომ ღრმა ზღვის, ბათილი ზოლის დანალექთან გვაქვს საქმე: ღრმა წყალში ნელა იძირებოდა მკვდარი ცხოველების სკელეტები და ტალღებისთვის მიუწვდომელ წმინდა შლამში უვნებლად იმარხებოდა.

რაც შეეხება ქანის ასაკს, მისი ზედმიწევნით განსაზღვრა ჯერ-ჯერობით, სანამ მთელი მასალა არ შემისწავლია, შეუძლებელია უნდა გადავდო. ახლავე შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ეს შრეები ცნობილი არის, როგორც აპტიენის მერგელი, და ნამარხების საერთო ხასიათი მოწმობს, რომ მათი დაღეკვა ზედა აპტიენის ან შეიძლება ქვედა ალბიენის დროს უნდა მომხდარიყო.

ჩემ მიერ შეგროვებულ მასალაში ამონიტები მთავარ როლს თამაშობენ. მათ შორის აქ ასაწერი ფორმა 25ოდე ცალით არის წარმოდგენილი. მეტი წილისა მხოლოდ პირველი ხვეულები მაქვს. საკმაოდ არის აგრეთვე უკანასკნელი, კავისებური ხვეულის ნატეხები და ხუთი სრული ან თითქმის სრული ინდივიდი. ყველა შინაგან კალაპოტს წარმოადგენს. ეს მასალა უეჭველად საკმარისი არის ახალი გვარის განსასაზღვრავად, თუმცა ყოველმხრივ სრული აღწერის საშუალებას კი არ იძლევა.

ნამარხის საერთო ფორმა მეტად დაშხასიათებელია (იხ. სურ. 14 და ტაბ. 1, სურ. 1). ნიკარა მკაფიოდ იყოფა სამ ნაწილად: პირველი ჰელიკოიდური, საშუალო დისკოსებური და უკანასკნელი განხვეული, ჯერ სწორი და შემდეგ კავსებურად მოხრილი, როგორც *Ancyloceras*. ავწროთ რიგ-რიგად სამივე ნაწილი.

ჰელიკოიდურ ნაწილში ნიკარის ხვეულები ერთი-ნეორეს ეხება. მისი სიდიდე მთელ ნიკარასთან შეფარდებით ძლიერ ცვალებადია. მეტ შემთხვევაში ჰელიქსის ფუძის დიამეტრი 5-6 მმს არ აღემატება, მაგრამ ორ სახეში (*C. intermedius*, *C. sp.*) იგი 16 და 18 მმმდე აღის. ცვალებადია აგრეთვე ხვეულების რიცხვი. უფრო ხშირად იგი 3-4 უდრის, მაგრამ ზოგჯერ (*C. colchicus*) ნმდი აღწევს. ზოგ შემთხვევაში ჰელიქსის სიმაღლე მეტია, ვიდრე მისი ფუძის დიამეტრი, ზოგში კი პირიქით. დახვევა მეტ წილად უკლმა ხდება ე. ი. მარცხნიდან მარჯვნივ, თუმცა შესაძლებელია წინააღმდეგი შემთხვევაც ერთსა-და-იმვე სახეშიაც კი. ჰელიქსის ღერძი სპირული ნაწილის დახვევის სიბრტყეში მდებარეობს.

ჰელიკოიდური ნაწილი მხოლოდ ინდივიდის განვითარების პირველ სტადიამ წარმოადგენს. მას მოჰყვება წესებრივად სპირული ნაწილი, რომელიც საესებით ჰგავს *Parahoplites*ს ნიკარას. სპირის პირველი ხვეულის დიამეტრი ჰელიქსის სი-



სურ. 13

მაღლეზე არის დამოკიდებული, რადგან ეს ხვეული ჰელიქსის წვეროს ეხება. სპირის ხვეულების რიცხვი კიდევ უფრო ცვალებადია ვიდრე ჰელიქსისა. მაშინ როდესაც *C. intermedius*ს ერთი სრული ხვეულიც კი არა აქვს, *C. shaoriensis* (იხ. ტაბ. 1, სურ. 2) ორნახევარს ასრულებს. სპირის პირველ ხვეულში ნიკარის მილის განაკვეთი ოდნავ დისიმეტრიული არის (სურ. 13).

განხვეული ნაწილის მორფოლოგია სრულიად წააგავს *Ancyloceras*სისას. სრული ნიმუშების პოვნა, რასაკვირველია, ადვილი არ არის და ამიტომ შეუძლებელია ითქვას, ყველა სახეს აქვს ეს უკანასკნელი ნაწილი, თუ არა.

მოკაზმულობისა და მასთან დაკავშირებულ თვისებათა გასაცნობად საუკეთესო იქნება ინდივიდუალი განვითარება შევისწავლოთ. მილის განაკვეთი და საწყისში იზოდიამეტრულია ან უფრო ფართო, ვიდრე მაღალი. შემდეგ სიმაღლე თანდათან მატულობს და სპირულ ნაწილში ბევრად მეტია სიგანეზე. ამიტომ ნიკარას ბრტყელი ფორმა აქვს. ჰელიქსის წვერო ძნელი გასაშინჯავი არის. ყოველ შემთხვევაში გვერდები (*côtes*, *Rippen*) დასაწყისში სიფონის მხარეზე გაწყვეტილი არიან ღიპი სიფონური ზოლით. შემდეგ ხვეულებზე გვერდები ერთი-მეორეს უერთდებიან, თუმცა სიფონის ზოლზე კიდევ უსტრ არიან. მაღე ამა-საც ბოლო ელვება და გვერდების პირვანდელი გაწყვეტილობის არავითარი კვალი აღარ რჩება. ჰელიქსის ხვეულების მოკაზმულობა დისიმეტრიული არის. მილის ზედამხარის გვერდები წინ არის მიმართული, ქვედა მხარისა კი უკან. პირველ ხვეულებზე აქა-იქ გვხვდება დატორკვა, შემდეგ ყველა გვერდი ცალია.

სპირული ნაწილის გვერდები უკვე ყველა უწყვეტი არის. მილის გარე კედელზე ისინი წინ გამოხზნეულ და გასქელებულ სიფონურ რკალებს სახავენ. გვერდები ყველა ცალია. ჩანამატი გვერდები (*côtes intercalaires*) თუ გვხვდება, მცირე რიცხვი.

ნიეარის განხვეულ ნაწილზე გვერდები ან თავიდანვე მსხვილია და შორი-შორი (*C. intermedius*), ან პირველ ნაწილზე წმინდა და ხშირი და მხოლოდ საკუთრივ კავზე ისევ მსხვილი და გაფანტული (*C. colchicus*). უკანასკნელ შემთხვევაში განხვეული ნაწილის გრძელ ნაკვეთზე ჩანამატი გვერდები შიგა მხარეზედაც არის და გარეთაც.

კუნძები (tubercules) არასოდეს არ არის.



სურ. 14. *Colchidites intermedius* n. sp.

სპირულ ნიეარაში საცხოვრებელი ბინის სიგრძე ნახევარ ზეეულს უდრის (*C. shaoriensis*). განხვეულ ფორმებში მას კავის მოკლე ნაკვეთი უჭირავს და გრძელი ნაკვეთის დაახლოვებით ამის მესამედი სიგრძე. პირი სადა არის, უაპოფიზო.

ტიხრის ხაზი კარგად ჩანს რამოდენიმე ნიმუშზე. იგი ძლიერ დატოტვილია და იმავე ტიპისა არის, როგორც *Ancyloceras*-ისა. კერძოდ პირველი გვერდის უბე (premier lobe latéral) ძლიერ ღრმა არის და სამი ტოტით თავდება, რომელთაგან შუა უგრძესია.

გეოგრაფიული და სტრატეგრაფიული გავრცელების შესახებ ზევი არა ითქმის რა, რადგან რაქა-ლემზუმის აპტიენის გარეშე ჯერ ეს ფორმა არსად ცნობილი არ არის.

ახალი გვარის ნათესაობა საკმაოდ გარკვეული არის. *Lytocera* d'Orb-თან, როგორც *Turrilites* ან *Macroscaphites*, დაახლოვება შეუძლებელია. ტიბრის ხაზი, გვერდების განვითარება და მილის განაკვეთი ნათლად მოწმობს, რომ *Hor-litid*ების მონათესავე ჯგუფთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით ახლოს დგას *Colchidites*თან *Heteroceras* d'Orb. განსხვავება მინც დიდია. თუ გვეურს ამაზე დავრწმუნდეთ, საკმაოა შევადაროთ *Heteroceras Astieri* d'Orb¹ და *Colchidites* ის ყველაზე უფრო მსგავსი ფორმა *C. intermedius*.

*Colchidites*ის წარმოშობის საკითხს მხოლოდ გაცერთ შევხები. წინასწარ გადასაპრელი იქნება შემდეგი კითხვა: ჰელიკოიდური სტადია *Colchidites*ის განვითარებაში პალინგენეტურია, თუ კინოგენეტური? სანამ გვარის ფილოგენეტური თანვითარება უცნობი არის, ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი არ მივიცემა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ განხვეული ნაწილის ძლიერ განვითარებას, ძნელი საფიქრებელი იქნება, რომ *Colchidites* ევოლუციის დასაწყისში იყოს. პირიქით, უფრო დასაჯერებელია, რომ ეს ფორმა განვითარების გრძელი პროცესის დასკვნას წარმოადგენს. თუ ეს ასეა, მაშინ ჰელიკოიდურ დახვევა პალინგენეტური თვისება იქნება და *Colchidites*ის წინაპრები ჰელიკოიდურ ფორმებში უნდა ვეძიოთ. ასეთი არის *Heteroceras*, რომელიც ქრონოლოგიურადაც მას წინ უძღვის. მართლაც, d'Orbigny² *Heteroceras*ის გვარში სამ ფრანგულ სახეს ასახელებს: *H. Astierianum*, *H. Hemericianum* და *H. polyptocum*. უკანასკნელი სულ სხვა ჯგუფს ეკუთვნის და განსაკუთრებული გვარის (*Bostrychoceras*) ტიპი არის. დაგვრჩა დანარჩენი ორი და ორივე ბარემიენიდან³ არის. მორფოლოგიურადაც *H. Astieris* და *C. intermedius*ს დაახლოვება ბუნებრივი არის. მეორე მხრით *Heteroceras* კავკასიაში უცნობი არ არის. Abich⁴ ასახელებს *Heteroceras sp. nov.* კავკასიონის ჩრდილო კალთის ქვედა გოლტიდან და ალბათ d'Orbignyმაც ამ სახეს უწოდა *H. Abichanum*: რაც შეეხება *H. sp.*, რომელსაც Fournier⁵ იხსენიებს, მოსალოდნელია, რომ ეს უბრალო გამეორება არის Abichის ცნობისა.

მაშასადამე შეუძლებელი არ არის, რომ *Colchidites Heteroceras*იდან მიმდინარეობდეს. ეგებ მომავალში საშუალო ფორმებიც ვიპოვოთ, ჯერ-ჯერობით კი რამე გადაჭრილი ვერ მითქვამს, რადგან *Heteroceras*ის არც ერთი ნიმუში

¹) L. Joleaud, *Éléments de paléontologie*, Paris 1923, v. I, p. 169. fig. 39 D.

²) A. d'Orbigny, *Prodrome de paléontologie*, Paris 1850, v. II, p. 102, და F. J. Pictet, *Traité de paléont.*, 1854, t. II, p. 714.

³) W. Kilian, *Le crétacé inférieur en France in Contrib. à l'étude des Céphalop. paléoc. du Sud-Est de la France. Mém. pour servir à l'explicit. de la carte géol. de la France*, 1900, p. 22.

⁴) H. Abich, *Prodromus einer Geolog. d. akukas. Länder*, St. Petersburg 1858, S. 130.

⁵) F. J. Pictet, loc. cit. თვით d'Orbignyს წერილი (*Journal de Conchyliologie*, Paris 1851) ტფილისში არ მოიპოვება.

⁶) loc. cit. p. 151. აბტიენში!

არ ჰომეპოვება და ვერც რიგიანი აღწერა მიშვნია. მისი ინდივიდუალური განვითარების შესახებაც არავითარი ცნობა არა მაქვს.

ჩემს მასალებში *Colchidites*-ის ხუთი თუ ექვსი სახე შეიძლება გავარჩიოთ:

- | | |
|------------------------------|------------------------------|
| <i>C. colchicus</i> n. sp. | <i>C. sp.</i> n. sp. |
| <i>C. sp.</i> n. sp. | <i>C. shaoriensis</i> n. sp. |
| <i>C. intermedius</i> n. sp. | <i>C. sp.</i> n. sp. |

ამათგან მხოლოდ ერთს ავსწერ:

Colchidites colchicus n. sp.

ტაბ. I, სურ. 1.

ამ ფორმისა ჩემს კოლექციაში ერთი სრული ნიმუში მაქვს და რამოდენიმე ნაკლები. გეარის შესწავლის შემდეგ მისი აღწერა დიდხანს არ შეგეაჩერებს. ნიჟარა საკმაოდ მოზრდილია. სურათზე წარმოდგენილი ნიმუშის სიდიდე 20 მმს უდრის. კავის განი 11,5 მმ არის, ხოლო დისკოსებური ნაწილის დიამეტრი 6,2 მმ.

ჰელიქსი საშუალოდ განვითარებული არის. იგი 5-6 ხვეულისაგან შედგება. დახვევა წალმა ხდება ან უკუღმა. ჰელიქსის სიმაღლე 15 მმს უდრის, ხოლო მისი ფუძის დიამეტრი 10 მმს. სპირული ნაწილი ერთ ხვეულზე ცოტა მეტი არის. მას მოჰყვება კავი, რომლის უკუქცეული ნაკვეთი 2ჯერ უფრო მოკლეა, ვიდრე პირდაპირი.

ლიბი სიფონური ზოლის სტადია არ ჩანს და გვერდები უწყვეტი არის. დისკოსებურ ნაწილზე ჯერ ხშირი და წვრილი გვერდებია, შემდეგ თანდათან უფრო მსხვილი და შორიშორი. გამართულ ნაწილზე გვერდები ისევ ახლო-ახლოს არის და თან წვრილი, მაგრამ მოხვეულზე და კავის უკუქცეულ ნაკვეთზე (ე. ი. ბოლო ბინაზე) მათ ადგილს მსხვილი გვერდები იკვრს. ჩანამატი გვერდები დისკოზე ძლიერ იშვიათია, კავის პირველ ნაწილზე თითქმის იმდენივე, რამდენიც მთავარი გვერდები. ნიჟარის ბოლოში ჩანამატი გვერდები აღარ არის (პირის უკან).

მილის განაკვეთის ევოლუცია საინტერესოა. ჰელიქსის ბოლოში იგი იზოდიამეტრულია, სპირულ ნაწილზე სიმაღლე თანდათან აღემატება განს და გამართული ნაწილის დასაწყისში სიმაღლე 36 მმს უდრის და სიგანე მხოლოდ 14 მმს, მილი ძლიერ ბრტყელია. შემდეგ შედარებითი სიმაღლე ისევ კლებულობს და პირთან სიმაღლე უდრის 54 მმს, ხოლო სიგანე 35 მმს.

ბოლო ბინა შეაკავს კავის უკუქცეულ ნაწილს და პირდაპირი ნაწილის ბოლოს (დაახლოებით უკუქცეული ნაკვეთის სიგრძის $\frac{1}{3}$). პირი სადაა. ტიბრის ხაზი ზემოთ აღწერილი ტიპისა არის.

სანამ სხვა სახეები არ ამიწერია, *C. colchicus*-ის მეზობელ სახებთან მსგავსება-განსხვავებაზე ლაპარაკი მეტია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ახალი სახე ადვილი გასარჩევია დანარჩენებისგან და თვით სახის ფარგლებში ცვალებადობა დიდი არა ჩანს.

შესწავლილი ნიმუშების რუკები: 4; სადაურობა: სოფ. ნიკორწმინდა; ასაკი: აპტიენი.

ტფილ. უნივერსიტეტის გეოლ. ლაბორატორია.

1925 წ. ნოემბერი.

A. DJANÉLIDZÉ

MÉLANGES GÉOLOGIQUES ET PALÉONTOLOGIQUES,

(Résumés)

I. A PROPOS DES CRITIQUES DE LA THÉORIE DE LA CONTRACTION.

Parmi les critiques adressées à la théorie de la contraction de la terre il y a deux qu'on a souvent répétées: 1, la transmission de la pression tangentielle à de grandes distances est impossible puisque la force transmise devrait dépasser de beaucoup la résistance à la pression que présentent les roches; 2, si la théorie de la contraction avait raison, les plis de montagnes devraient se former tout autour des massifs continentaux en lignes fermées. Le premier de ces arguments est réfuté par Nölke¹, dont le calcul nécessite pourtant des corrections. Pour répondre au second l'auteur fait remarquer qu'un continent n'étant pas, d'une façon générale, symétrique, son centre de gravité et le centre de la pression hydrostatique ne se trouvent pas sur une même verticale. Comme d'autre part, contrairement à l'hypothèse de Wegener, la lithosphère est continue autour du globe², la contraction du noyau terrestre doit provoquer dans ces conditions un glissement du continent dans le sens déterminé par la position de son centre de gravité. Mais alors les plis ne se formeront que de ce même côté et l'objection 2 est ainsi écartée.

II. LES METSKÉRIS DANS LE RADCHA.

On appelle metškéri dans le Radcha (district de la Géorgie occidentale) les mouvements du sol occasionnés soit par le tassement des éboulis, soit par l'écoulement des terrains plastiques (solifluction), soit par le glissement des couches fortement inclinées. L'auteur les étudie tous. Il montre la grande importance qu'ont la solifluction et le glissement pour l'explication des formes du relief montagneux (terrasses, lacs).

III. A QUELLE DISTANCE EST POSSIBLE LE DRAINAGE CARSTIQUE?

En discutant une controverse née au cours de l'étude des conditions géologiques de l'aménagement des chutes d'eau sur la Tkvibula et le Chaori (rivières dans la Géorgie occidentale), l'auteur montre que les plateaux carstiques de la région se trouvent drainés par des points bas situés à des distances supérieures à 6 et même 7 km.

¹) Fr. Nölke, Kritisches zur Kontraktionshypothese. *Zentralbl. f. M., G.u. P.*, 1923, S. 78-82.

²) A. Djanélidzé, L'origine des océans. *Bull. Univ. Tiflis*, t. IV, 1924, p. 279-304.

IV. MATÉRIAUX POUR LA GÉOLOGIE DU RADCHA.

(Rapport préliminaire)

Cet article contient des considérations d'ordre stratigraphique, tectonique et paléogéographique destinées à servir pour l'explication à la carte géologique ci-après (pl. II).

Indiquons quelques faits et conclusions. La série porphyritique (P) de Tsessi a une extension beaucoup plus grande que les auteurs ne l'ont remarqué. Son âge est entécalovien.

Cette série repose en discordance sur les grès psammitiques et les schistes argileux (L), auxquels on attribue, sans preuves suffisantes, l'âge liasique (v. la coupe sur la pl. II).

J' ai trouvé en 1924 dans les couches inférieures des terrains jurassiques supérieurs (J³) à Tsessi une riche faune comprenant des Nerinées, des Trigonies et des Macrocephalites dont *M. Macrocephalus*. L' étude de cette faune n' étant pas encore faite, je lui attribue provisoirement l' âge callovien.

A l' ouest de la r. Ritséouli le Jurassique supérieur n' est plus représenté et le Crétacé inférieur (C₁) repose directement sur la série porphyritique.

Les terrains crétacés font défaut dans la vallée de la Kvéréchoula (bassin du Tskhénis-tskali, hors de notre carte), où l' érosion a entamé le jurassique supérieur et moyen. Une zone étroite réunit ici les terrains jurassiques de la Svanétie et du Letchkhoum et Okriba.

A l' est de Dziraguéouli (rive droite du Rion) le tertiaire repose directement sur l' Albien ou le Cénomaniens.

Les roches clastiques du Jurassique supérieur (grès et sables quartzeux, conglomérats à éléments granitiques) ont dû se former aux dépens d' une terre ferme qui se trouvait au sud de la région étudiée (le massif de la Dziroula ?).

Nous constatons dans la région relevée une regression antécallovienne; une transgression callovienne; une regression dans le Jurassique supérieur; une transgression dans le Crétacé inférieur et surtout moyen; une nouvelle regression dans le Crétacé supérieur. Après quelques oscillations la mer quitte définitivement le Radcha vers la fin du Sarmatique.

La fig. 11 donne le schéma de la direction des plis dans le Radcha et les régions voisines.

On remarque 3 failles sur carte. La plus importante est dirigée OW et coupe le Rion sous un angle aigu; l' autre est perpendiculaire à la première et suit la vallée de la Znakvoura; la troisième se trouve dans le coin SW de la vallée de la Chaori.

La grande activité volcanique dans le Jurassique moyen est suivie par une période de repos durant le Jurassique supérieur et le Crétacé inférieur. Dès le Crétacé moyen l' activité volcanique se réveille au sud de notre ré-

gion (Okriba). Dans le Radcha même nous trouvons des coulées de lave interstratifiées dans les couches du Crétacé supérieur (Khontchiori, Znakva, Motkiari). Les andésites de Namanévi et Djvarissa (entre les couches à Spaiodontella et le Sarmatique) datent du miocène.

Notons les filons métallifères (FeS_2 , FeCuS_2 , PbS) à Tkhmori, le gypse dans le Jurassique supérieur (Moukhli) et le tertiair (Akhali-Sopéli, Znakva, Tolia), l'ozokérite à Badji, les eaux sulfureuses à Khidiskari, Znakva, Bouguéouli etc., les eaux ferrugineuses à l'ouest d' Abanoéthi.

V. COLCHIDITES, un genre nouveau d' Ammonites crétacées.

Les faunes aptiennes du Caucase calcaire dans la Géorgie occidentale renferment de nombreuses espèces d' Ammonites dont la liste a souvent été donnée par les géologues qui ont étudié la région. Cependant une étude paléontologique n'en a jamais été faite et des erreurs de détermination regrettables ont certainement été commises. C'est ainsi que les marnes aptiennes du Radcha renferment un groupe d' Ammonites déroulées particulier que les géologues, ayant parcouru cette région, ont certainement eu entre les mains, mais dont l'importance leur a complètement échappé. Elle figure probablement dans les listes de fossiles sous le nom de Parahoplites ou celui d'Ancyloceras. Vue l'intérêt que la nouvelle forme présente aussi bien au point de vue de la stratigraphie régionale que de la paléontologie générale, je la décris ici sous le nom de

COLCHIDITES n. gen.

Le gisement qui m'a fourni ce fossile se trouve au nord du village de Nicortsmina à une dizaine de kilomètres du col de Nakérala. La roche encaissante est une marne à grain très fin présentant les caractères de la pierre lithographique, sans importance pratique, d'ailleurs, à cause de nombreuses fissures. Sa richesse en fossiles est très grande. On y trouve des Ammonites, des Belemnites et des Terebratules en masses. Moins nombreuses sont les Rhynchonelles et les Opis. Plus rares encore les petits Pecten et les Pleurotomaria. Les coquilles sont le plus souvent entières. Malheureusement il est presque impossible de les extraire de la roche sans les casser.

La nature de la roche, l'état de fossilisation des coquilles et le caractère de la faune, dans laquelle les Ammonites lisses (Desmocératidés) jouent un rôle important, tandis que les formes franchement nérétiques en sont absentes, démontrent que nous avons ici un dépôt de mer profonde. Les squelettes des animaux morts, tombés sur le fond, étaient enfouis dans une vase à l'abri des ondes.

L'étude de la faune n' étant pas encore faite, l'âge du gisement ne peut être déterminé que d'une façon sommaire. On a toujours considéré ces marnes comme aptiennes. Le caractère générale de la faune montre qu'elle doit provenir de l'Aptien et s'élève, peut-être, juspu'à l'Albien inférieur.

J'ai dans ma collection 25 échantillons appartenant au nouveau genre. Tous sont à l'état de moules internes. Les échantillons ne présentant que les partie jeunes de la coquille sont les plus nombreux. Les fragments de la partie déroulée sont fréquent aussi. Il n'y a que cinq échantillons plus ou moins complets. Ces matériaux suffisent pour caractériser le nouveau genre. Ils ne permettent pas d'en faire une étude complète.

L'aspect général du fossile est très caractéristique. La coquille se divise en trois parties nettement distinctes: une première hélicoïdale, la moyenne formant une spire régulière, et la dernière partie déroulée, droite d'abord, puis recourbée en crosse, comme chez les *Ancyloceras*. Nous décrirons successivement toutes ces trois parties.

La partie hélicoïdale forme une hélice à tours 'contiguës, dont l'importance relative par rapport à la coquille entière est très variable. Le diamètre de la base de l'hélice ne dépasse pas 5-6 mm dans la plupart des cas. Chez deux espèces (*C. intermedius*, *C. sp.*) il atteint au contraire 16 et même 18 mm. Le nombre de tours est variable aussi. Ordinairement il est de 3 à 4, mais peut s'élever jusqu'à 6 (*C. colchicus*). Le rapport de la hauteur de l'hélice au diamètre de sa base est tantôt supérieur, tantôt inférieur à l'unité. L'enroulement est dextrogyre dans la plupart de cas (c.-à-d. il se fait dans le sens contraire à celui d'une aiguille de montre si l'on regarde les tours par le sommet de l'hélice), mais il peut être également lévogyre. L'axe de l'hélice se trouve dans le plan de l'enroulement de la partie spiralée de la coquille.

La partie hélicoïdale ne forme que le premier stade du développement de l'individu. Elle est suivie par une spire régulière ressemblant parfaitement à une coquille de *Parahoplites*. Les dimensions du premier tour de la spire sont déterminées par la longueur de l'axe de l'hélice qui en forme le diamètre. Le nombre des tours de la spire est plus variable encore que de ceux de l'hélice. Tandis que chez *C. intermedius* nous n'avons même pas un tour complet, chez *C. shaoriensis* nous en comptons deux et demi. D'ailleurs on peut remarquer que l'importance de la partie spiralée de la coquille varie en raison inverse de celle de la partie hélicoïdale. Plus cette dernière est réduite, plus la première sera développée. Quand le nombre de tours est supérieur à un, ils sont contiguës, mais non enveloppants. La section du premier tour suivant l'hélice est toujours légèrement dissymétrique (fig. 13).

La morphologie de la partie déroulée est en tout point pareille à celle d'un *Ancyloceras*. Malheureusement je n'ai que 4 échantillons ayant conservé cette partie. En attendant que les récoltes ultérieures me fournissent des do-

cuments plus nombreux, il m' est impossible actuellement de dire, si toutes les espèces présentent cette particularité. Pour le moment je ne connais aucun individu adulte qui en soit dépourvu. *C. shaoriensis* est complet, il est vrai, et sa coquille ne manifeste aucune tendance au déroulement, mais les dernières cloisons n'étant pas bien observables, je n' ai aucun critérium pour juger si l'individu est adulte ou non.

L'étude de l'ornementation et des caractères connexes peut être faite le mieux en suivant le développement. La section de tour est isodiamétrique ou même plus large que haute dans la partie hélicoïdale. Elle devient ensuite franchement plus haute que large. La paroi externe est arrondie, la paroi ombilicale assez haute et abrupte. Le sommet même de l'hélice est difficilement observable. On constate pourtant que sur les premiers tours les côtes, bien saillantes, sont interrompues sur la paroi externe par une bande siphonale lisse. Sur les tours suivants les côtes arrivent à traverser la bande siphonale, elles s'y rejoignent, mais restent très affaiblies dans cette région. Ce dernier caractère, rappelant encore l'interruption initiale des côtes, disparaît avant que la partie spiralee de la coquille soit commencée. L'ornementation de la partie hélicoïdale est nettement dissymétrique. Sur les flancs supérieurs (c.-à-d. se trouvant du côté du sommet de l'hélice) des tours les côtes sont dirigées en avant, sur le côté opposé—en arrière. Sur les tours moyens on constate quelquefois des bifurcations.

Les côtes de la partie spirale sont toutes ininterrompues. Elles sont dirigées très légèrement en arrière sur les flancs et forment sur la paroi externe des arcs siphonaux épaissis et dirigés en avant. Elles sont toutes simples. Des côtes intercalaires apparaissent quelquefois vers le tiers extérieur des flancs, mais elles sont très peu nombreuses. Chez *C. colchicus* on compte sur un tour 40 côtes dont 5 seulement intercalaires.

Quant à l'ornementation de la partie déroulée de la coquille, deux cas se présentent. Ou bien les côtes sont très tenues et serrées sur la majeure partie du tronçon descendant de la crosse pour devenir ensuite très fortes et très espacées (*C. colchicus*, *C. sp.*), ou bien elles sont d'emblée fortes et peu nombreuses (*C. intermedius*). Les côtes intercalaires sont disposées sur la paroi externe et interne du tronçon descendant de la crosse et sur la paroi externe de la partie arquée et du tronçon rétrograde.

Il n'y a jamais de tubercules.

La loge a pu être observée dans plusieurs cas. Sa longueur est égale à un demi-tour chez *C. shaoriensis*. Chez *C. colchicus* elle commence près de l'extrémité de la partie descendante de la crosse et occupe les tronçons horizontal et ascendant. C'est la dernière loge se distinguant par sa forte ornementation. L'ouverture est simple, sans apophyses, légèrement arquée en avant dans la partie ventrale (*C. shaoriensis*).

La ligne cloisonnaire est assez bien observable sur plusieurs échantillons. Elle est fortement découpée et du même type que chez les Ancyloceras. Le premier lobe latéral est très profond et se termine par trois branches dont la moyenne est la plus longue.

Les affinités du nouveau genre sont assez claires. Le caractère de la ligne cloisonnaire permet d'écartier le rapprochement avec les Lytoceratidés. Cette même ligne cloisonnaire et le développement des côtes (bande siphonale lisse) et de la section de tour trahissent une parenté manifeste avec les Hoplitidés. Parmi ces derniers c'est surtout le genre *Heteroceras* d'Orb. (*non* *Bostrychoceras*) qui montre une grande ressemblance avec *Colchidites*. Dans les deux cas la coquille commence par une hélice et se déroule ensuite pour se terminer par une crosse. Mais un stade intermédiaire à enroulement discoïde s'intercale chez *Colchidites*. Ce caractère distingue nettement les deux genres, même quand il s'agit des formes, comme *C. intermedius*, dont la partie spiralee est peu développée. Il suffit pour s'en assurer de comparer cette forme avec *Heteroceras Astieri* d'Orb¹.

La question de l'origine des *Colchidites* est très intéressante, mais je ne puis que l'effleurer ici. Il y a une question préalable à laquelle il faut répondre avant d'aborder le problème principal: le stade hélicoïdal dans le développement des *Colchidites* est-il palingénétique ou cénogénétique? Tant que le développement phylogénique du genre restera inconnu, il sera impossible de répondre à cette question. Cependant, vue le caractère „anormal“ très accusé de la coquille (la crosse terminale!), il me paraît difficile de voir dans cette forme le point de départ d'un développement. Il est plus naturel de la considérer comme le terminus d'un long processus évolutif. Et alors, le mode d'enroulement des premiers tours ne représenterait qu'une réminiscence d'un caractère ancestral, il serait de nature palingénétique. Dans ce cas c'est parmi les formes hélicoïdales qu'il faudra chercher l'ascendance des *Colchidites* et c'est au genre *Heteroceras* qu'il faut penser en première ligne. Chronologiquement il précède le nouveau genre. D'Orbigny² rangeait dans *Heteroceras* trois espèces françaises: *H. Asterianum* d'Orb., *H. Hemericianum* d'Orb., *H. polylocum* Röm. sp. Cette dernière espèce appartient à un groupe manifestement différent et consite le type d'un autre genre (*Bostrychoceras*). Il ne reste que les deux autres qui toutes deux sont barremiennes ainsi que les deux espèces citées par W. Kilian³. Les *Colchidites* les suivent donc immédiatement. Morpho-

¹) L. Joleaud, *Eléments de paléontologie*, Paris 1923, p. 160, fig. 39 D.

²) D'après F.-J. Pictet, *Traité de Paléontologie*, 1854, t. II, p. 714. Dans le *Pro-drome de paléontologie d'Orbigny* ne cite que deux espèces (*H. Hemericianum* et *H. polylocum*). Quant à l'article de d'Orbigny consacré spécialement à *Heteroceras* (Notice sur le genre *Heteroceras* de la classe des Cephalopodes, *Journ. de Conchyl.*, Paris, 1851), il m'a été impossible de me le procurer.

³) W. Kilian, *Le crétacé inférieur en France in Contrib. à l'étude des Céphalop. paléocrét. du Sud-Est de la France. Mém. pour servir à l'expl. de la carte géol. de la France*, 1920, p. 22.

logiquement le rapprochement entre un *H. Astieri* d'Orb. et un *C. colchicus* n. sp. est très naturel. D'autre part les *Heteroceras* ne sont pas inconnus au Caucase. Abich¹ en cite un dans le Gault inférieur du versant nord de la chaîne et c'est probablement cette même espèce que d'Orbigny a baptisé de *H. Abichanum*². Quant à *H. sp.* de l'Aptien mentionné par Fournier³, il doit être emprunté à l'ouvrage d'Abich.

Il ne paraît donc pas impossible que les *Colchidites* descendent des *Heteroceras*. Des formes intermédiaires, formant un passage insensible entre les deux groupes, pourraient être trouvées dans l'avenir. Pourtant n'ayant jamais étudié les *Heteroceras*, dont le développement individuel m'est complètement inconnu, ne disposant même pas d'une bonne description de ces formes, il m'est impossible de me prononcer définitivement. Si toutefois les considérations ci-dessus se trouvaient confirmées, on pourrait en tirer quelques conclusions biologiques. Je me suis efforcé ailleurs⁴ de montrer que l'enroulement hélicoïdal est l'indice d'une vie benthique. Les ancêtres des *Colchidites* doivent donc avoir appartenu au benthos. Ce n'est que plus tard que par une adaptation secondaire leurs descendants auraient fait retour à la vie nageante.

Ma collection me permet de distinguer 6 espèces de *Colchidites*:

<i>C. colchicus</i> n. sp.	<i>C. sp.</i> n. sp.
<i>C. sp.</i> n. sp.	<i>C. shaoriensis</i> n. sp.
<i>C. intermedius</i> n. sp.	<i>C. sp.</i> n. sp.

J'en figure ici trois (*C. colchicus*, *C. intermedius*, *C. shaoriensis*), mais je ne décrirai provisoirement qu'une seule:

Colchidites colchicus n. sp.

Pl. I, fig. 1.

J'ai de cette forme dans ma collection un échantillon complet et plusieurs incomplets qui lui sont identiques. Après l'étude du genre que nous venons de faire sa description ne nous retiendra pas beaucoup. La coquille est assez grande. Sa longueur atteint 20 cm (échantillon figuré) et peut les dépasser. La largeur de la crosse terminale mesure 11.6 cm et le diamètre de la partie discoïde 6.2 cm.

La partie hélicoïdale est moyennement développée. Elle comprend 5 à 6 tours à enroulement lévogyre sur l'échantillon figuré, dextrogyre sur un autre. La hauteur de l'hélice mesure 15 mm, son diamètre à la base 10 mm. La spire comprend un peu plus d'un tour. Elle est suivie d'une crosse comprenant un segment descendant et un autre ascendant (rétrograde) moitié plus court.

¹) H. Abich, Prodrömus emer Geologie der Kaukas. Lander. St Petersburg 1858, S. 1:20.

²) F.-J. Pictet, loc. cit.

³) E. Fournier, Descript. géol. du Caucase central, Paris 1896, p. 151.

⁴) A. Djanélidzé, Les *Spiticeras* du S.-E. de la France. Mém. pour servir à l'expl. de la carte géol. de la Fr., 1922, p. 22.

Les côtes sont déjà ininterrompues sur la plus jeune partie observable de notre échantillon. D'abord serrées, elles deviennent de plus en plus espacées et fortes sur le segment spiralé de la coquille. Elles sont tenues et relativement serrées sur le segment descendant de la crosse, pour redevenir très fortes et très espacées sur son segment ascendant. Elles sont toutes simples. A côté des côtes principales, allant d'un rebord ombilical jusqu'à l'autre (sur la partie déroulée elles font le tour complet de la coquille), il y a aussi des côtes intercalaires. Rares sur la partie spiralée, elles deviennent régulières sur le tronçon droit où on les voit apparaître aussi bien sur la paroi interne qu'externe.

L'évolution de la section de tour est intéressante. Vers la fin de l'hélice initiale elle est encore isodiamétrique. Sur la spire la hauteur relative du tour s'accroît rapidement. Dans la partie inférieure de la branche descendante de la crosse la hauteur du tour est égale à 36 mm sa largeur étant 14 mm. Ensuite la hauteur relative diminue de nouveau et derrière l'ouverture nous avons la hauteur égale à 54 mm (entre les côtes) et la largeur à 35 mm.

La loge occupe toute la branche ascendante de la crosse et une partie 3 fois plus courte de la branche descendante. Son ouverture est simple.


La ligne cloisonnaire est dans son ensemble conforme au type décrit plus haut.

Comme *C. colchicus* est la seule espèce que je décris ici je ne puis étudier utilement ses rapports avec les espèces voisines. J'indiquerai seulement que la nouvelle espèce se distingue facilement des autres et l'étendue de sa variabilité est de peu d'importance.

Nombre d'échantillons étudiés: un échantillon complet, deux auxquels il ne manque que le segment hélicoïdal (ils ont été détruits en dégageant le fossile de la roche), et enfin deux autres réduits aux segments hélicoïdal et spiralé de la coquille.

Provenance: Nicortsmina en Radcha (Géorgie occidentale), marnes ap-tiennes.





1. *Colchidites colchicus* n. sp.

2. *Colchidites shaoriensis* n. sp.

დიმიტრი უმნაძე.

აღქმა და წარმოდგენა

(ბიოპსიქოლოგიის თვალსაზრისით)

1. შტუტგთ თავის Tonpsychologie-ში შემდეგს საინტერესო ამავეს ნოკვითხრობს: ერთ-ერთი ეჟურცბურგელი კაპელნიესტერი ერთ სიმჟონიას ასწავლიდა თავის ორკესტრს. ერთ ადგილას ძლიერ სუსტი ტონები იყო საკირო. ნიუხედავად ყოველი ცდისა, დამკვრელებნა თავისი მანესტროს მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერა გზით ვერ ნოახერხეს: იგი სულ უფრო და უფრო სუსტ ტონებს მოითხოვდა. ბოლოს, რომ ვერაფერი გამოვიდა, გაჯავრებულმა შემუსიკებმა თავისი საკრავები ტუჩებზე მიიდეს მხოლოდ და ასე გაჩერდენ. მანესტრომ აღტაცებით წამოიძახა: „აი, სწორედ ასე უნდა, ბატონებო! ოღონდ კარგად დაინახსოვრეთ: ამაზე ძლიერი ხმები მთელ სიმჟონიას გააფუქებს.“

მშვენიერი მაგალითია სინამდვილისა და ოცნების აღრევისა! და მერე რამდენი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება!

ამერიკელი მკვლევარი Perky თავის ცდის პირებს ფორთოხლის წარმოდგენასა და საპროექციო კედელზე მრთავსებას სთხოვდა. ამავე დროს იგი, მართვის შეუმჩნევლად, ამავე კედელზე საპროექციო აპარატის საშუალებით ფორთოხლის მკრთალ სურათს აჩენდა: ცდის პირები თითქმის ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს სურათი მათი წარმოდგენა იყო და არა სინამდვილე. — სიზმარში ჩენი ოცნების სახეები სინამდვილედ გვეჩვენება. — ჰამლეტი მანის ზრდილს თითქოს საკუთარი თვალით ხედავს. — სპირიტები სულებს იხმობენ საიქიოდან და მათთან პირისპირ საუბარს ახერხებენ: არ შეიძლება ითქვას, რომ იგინი ყოველთვის ტყუიან: მათთვის წარმოდგენილი სულები ხელსახებ სინამდვილედ იქცევიან. — ცრუმორწმუნე გლეხი კინკებს ხედავს. — დასასრულ, საწალო საუკუნეების მთელი სოფლმხედველობა სინამდვილისა და ოცნების ურთიერთში აღრევის ფატუმით იყო აღბეჭდილი.

მეორის მხრივ, ოცნებისა და სინამდვილის, წარმოდგენისა და ნახულის ურთიერთისაგან მკათიოდა და უყოყმანოდ გამოყოფა ყოველდღიური აზროვნების ჩვეულებრივისა და მტკიცე თვისებას შეადგენს: აი, ამ ჟამად ჩემს წინაშე მდებარე ქალაღის ფურცელს ვხედავ; მე მას აღქვამ (воспринимаю). ეხუჟავ თვალს, მაგრამ ვხედავ; ჩემს ცნობიერებაში ქალაღლის სახე მიინც ვანაერძობს არსებობას: ეხლა მე მისი წარმოდგენა მაქვს. და არ არსებობს. ნორმალური ადამიანი, რომ ასეთ შემთხვევებში აღქმისა და წარმოდგენის ურთიერთისაგან გარჩევა გაუპირდეს.

ბუნებრივად ისმის საკითხი: რა უდევს საფუძვლად აღქმისა და წარმოდგენის ურთიერთისაგან გარჩევის შესაძლებლობას, ან და უფრო ფართოდ: რა მიწარუება არსებობს აღქმასა და წარმოდგენას შორის?

2. ეს საკითხი პრობლემად მხოლოდ ფენომენოლოგიურ-დესკრიპტული ფსიქოლოგიისათვის გარდაიქცა: ექსპლიკატურ-გენეტურ თვალსაზრისისათვის წარმოდგენასა და აღქმას შორის გამლიზიანებლისადმი მიმართება ჰქმნის საკმარის განსხვავებას; ამის მიხედვით, აღქმა საგნობრივი ცნობიერების იმ შინაარსად იგულისხმება, რომელიც უშუალოდაა გარე გამლიზიანებულზე დამოკიდებული, ხოლო წარმოდგენად — ის შინაარსი, რომელიც მასზე მხოლოდ შუაობითაა და-
პოკიდებული.

ფენომენოლოგიურ-დესკრიპტულ თვალსაზრისს გარე გამლიზიანებლისადმი დამოკიდებულება არ აინტერესებს: მისთვის თვით განცდის იმანენტურ თავიანტურებათა გათვალისწინებაა მთავარი. ამ მხრივ კი განსხვავება აღქმასა და წარმოდგენას შორის არც ისე ევალსაჩინოდ გვევლინება, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

მართლაც და, რით შეიძლება აღქმა ფენომენოლოგიურად განსხვავდებოდეს წარმოდგენისაგან?

თანამედროვე ფსიქოლოგიაში უკვე უდაოდ შეიძლება აღიარებულ იქმნეს, რომ შინაარსის მხრივ აღქმასა და წარმოდგენას შორის არსებითი განსხვავება არ უნდა არსებობდეს. Stumpf-ისა და Lindworsky-ს¹ გამოკვლევათა შემდეგ, მართალია, დავა ამ საკითხზე არ შეწყვეტილა, მაგრამ დღეს უკვე მაინც იშვიათად შევხვდებით ფსიქოლოგს, რომ აღქმისა და წარმოდგენის შინაარსის პრინციპულ განსხვავებულებას ეყრდნობოდეს.

სამაგიეროდ, ერთი-ცა და მეორეც ხარისხულ განსხვავებას სკვრეტს მათ შორის. Lindworsky, რომლის შეხედულებაც არსებითად არ განსხვავდება Stumpf-ის შეხედულებასაგან, შემდეგი დებულებით გამოსთქვამს თავის აზრს:

a. გრძნობათა პერიფერიული აგზნებაზე უშუალოდ დამოკიდებული მარტივი განცდა საგნობრივი ცნობიერებისა არც ერთი აბსოლუტური შინაარსიანი ნიშნით არ განსხვავდება გრძნობად გალიზიანებაზე არაპირდაპირ დამოკიდებულთაგან (აღქმა წარმოდგენისაგან. დ. უ.).

b. ამავე დროს ორივე ამ განცდის საერთო ნიშნებიდან ზოგი უფრო ძლიერ ერთ ჯგუფს აქვს განვითარებული და ზოგი მეორე ჯგუფს².

რომელია ეს საერთო ნიშნები? Lindworsky-ს პასუხი ასეთია: „მართალია, ინტენსიობა წარმოდგენასაც აქვს, მაგრამ ნორმალურ წარმოდგენას იგი, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო სუსტად აქვს განვითარებული, ვიდრე ნორმალურ აღქმას. არც წარმოდგენაა ნოკლებული სიმტკიცეს (Konstanz), სიცხოველეს,

¹) C. Stumpf, Empfindung und Vorstellung. *Abhandlungen a. d. Kgl. Preuss. Akad. d. Wiss.* 1918. Phil. hist. Klasse Nr. 1. შეად. აგრეთვე Rieffert-ის დაწერილებითი ზეჯურატი ამ გამოკვლევის: *Zeitschr. f. Psych.* Bd. 83. S. 238. ff. Lindworsky, *Wahrnehmung und Vorstellung.* Z. f. Psych. B. 80 S. 201 ff.

²) Lindworsky, op. cit. S. 224.

უხარვეზობას (Lückenlosigkeit). მაგრამ ამ ნიშნებს იგი გაცილებით უფრო იშვიათად ატარებს, ვიდრე აღქმა. წარმოდგენაც თავისდება ზოგჯერ ობიექტურ სივრცეში, მაგრამ აღქმა, ჩვეულებრივ, შეუღარებლად უფრო ნათლად ეგუდება მას, ვიდრე წარმოდგენა¹. ამგვარად, Lindworsky's მხედველობაში აქვს ინტენსიობა, სიციხოველვა, გაძძღვობა, სავსეობა (Fülle) და ობიექტური ლოკალიზაცია, ვითარცა ისეთი თვისებები, რომელნიც განსაკუთრებით აღქმისთვის არიან დამახასიათებელნი. მაგრამ არის ხომ ისეთი შემთხვევებიც როდესაც პერიფერიულ გალიზიანებაზე უშუალოდ დამოკიდებული განცდასათვის მცირე ინტენსიობისა და სიციხოველისა აონს ხოლომე, რომ ამ მხრივ არც კი განსხვავდება საგრძნობლად წარმოდგენისაგან!

ხოლო თუ ეს ასეა, როგორ ხდება მაშინ, რომ ადამიანი ასე იშვიათად ურევს აღქმასა და წარმოდგენას ურთიერთში? „პირიქით, წინამეცნიერული აზროვნება სულ სხვა თვისებებს აწერს აღქმას, ვიდრე წარმოდგენას: აღქმაში ჩვენ თვით საგანს ეუპირდაპირდებით, ხოლო წარმოდგენაში—არა: აღქმას ნამდვილის ხასიათი აქვს, წარმოდგენა მხოლოდ უბრალო მოჩვენებად გვევლინება. მაშ, კითხვა იბადება: საიდან ჩნდება ასეთი განსხვავება, თუ განცდის ორთავე ჯგუფს შინაარსეული ნიშნები არსებითად ერთი და იგივე აქვს?“ Lindworsky's აზრით, „მთავარი შეცდომა წინანდელი დისკუსიისა (ჩვენს საკითხზე იმაში მდგომარეობდა, რომ გრძნობად გალიზიანებაზე უშუალოდ დამოკიდებულ განცდებს აღქმად სთვლიდენ, ხოლო მათზე არაპირდაპირ დამოკიდებულ წარმოდგენად“ (S. 224). ნამდვილად კი, განცდათა გამოკვეთა აღქმად ან წარმოდგენად მხოლოდ განვითარებული ცნობიერების მოწინავე რად უნდა ჩაითვალოს. პირველად, მაშასადამე, არც აღქმა არსებობს და არც წარმოდგენა: არის მხოლოდ საგნობრივი ცნობიერების უბრალო განცდები, რომელნიც თუ რითმე განსხვავდებიან ურთიერთისაგან, მხოლოდ ზოგიერთი თვისების მეტ-ნაკლები განვითარებით. აღქმად ან წარმოდგენად მათ ჩვენი ცნობიერების უმაღლესი ფუნქციები აქცევენ.

ამგვარად, ცხადია, რომ Lindworsky's თეორიის მიხედვით, აღქმა და წარმოდგენა, ვითარცა განსხვავებული განცდები, მხოლოდ განვითარებული ცნობიერებისათვის არსებობენ, და ბავშვს, მაგალითად, არც აღქმა აქვს და არც წარმოდგენა: მისი ცნობიერებაში ჩვენ მხოლოდ უბრალო საგნობრივ განცდებს ვხვდებით, რომელნიც თუ რითმე განსხვავდებიან ურთიერთისაგან, მარტო ერთ და იმავე თვისებათა განვითარების მეტ-ნაკლებობით.

მაგრამ რა ფუნქციებია, რომ ამ არსებითად განურჩეველ მასალას მკაფიოდ ჩამოყალიბებული აღქმისა და წარმოდგენის დალით აღბეჭდვენ?

Lindworsky's აზრით, აქ გარდამწყვეტი მნიშვნელობა შედარების აქტს ეკუთვნის: ბავშვი საგნობრივი ცნობიერების ხარისხეულად განსხვავებულ შინაარსს განიცდის. ერთს მეორეს ადარებს და ბოლოს ორთავე ჯგუფის რელატიური განსხვავებულობის აზრს იძენს. ამგვარად მოპოებულ აზრს შეუძლია არა მარტო დაუკავშირდეს განასხვავებულ განცდებს, ვითარცა მხსიერებაში დაცული ცოდ-

¹) ibid. S. 214.

ნა, არამედ იგი აბსოლუტური შთაბეჭდილებების სახითაც იჩენს ხოლმე თავს“ (S. 234). თავისი გამოცდილების პროცესში ბავშვი ხედავს, რომ ამ განცდათა ერთ ჯგუფს უშუალო კავშირი აქვს გამლიზიანებელთან, ხოლო მეორეს—არა. იგი ამასაც უშუალო მიმართების შემეცნებით სწვდება, მესხიერებაში იცავს და აბსოლუტური შთაბეჭდილების სახეს აძლევს. „ამგვარად, ჩნდება, სწავთა შორის, საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის ნიშანი, რომელიც ასე მკაფიოდ განასხვავებს განვითარებულ ალქმას წარმოდგენისაგან“ (234). ასეთია Lindworskys თეორია. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ასეთივეა არსებითად Stmpის შეხედულებაც.

საკითხავია, რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს თეორია? მის დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ ალქმის წარმოდგენისაგან განსხვავებულობას იგი საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის ცნობიერებაში კერეტს ალქმამდე სინამდვილესთან გვაქვს საქმე, წარმოდგენაში კი მხოლოდ მოჩვენებასთან. მაგრამ ლინდვორსკის აზრით, ალქმას მხოლოდ განვითარებულ ცნობიერებაში ახლავს ეს ნიშანი თან: იგი მისი პირველადი კი არა, შეძენილი თვისებაა. როგორ წარმოიშვა ეს თვისება, საიდან და რა გზით გახდა ზოგი ჩვენი საგნობრივი განცდა სინამდვილის მატარებლად და ზოგი კიდევ მოჩვენებისად? ლინდვორსკის მთელი თეორია ამ საკითხის საპასუხოდაა მიმართული: იგი გენეტური თეორიაა par excellence.—რამდენად მართებულია ლინდვორსკის ცდა ალქმისა და წარმოდგენის განსხვავებულობის გენეზისის ახსნისა?

ჯერ ერთი, კიდევ რომ სავესებით დამაკმაყოფილებელი იყოს იგი, ჩვენს საკითხს მაინც ვერ ახსნის. საქმე ისაა, რომ ჩვენ სწორად განვითარებული ცნობიერების დასრულებული ფერომენტა განსხვავებულობა გვაინტერესებს. საიდან წარმოიშვა და როგორ გაჩნდა იგი, ეს ზოგად ფსიქოლოგიურ პრობლემას სრულად არ ეხება: საიდანაც და როგორც უნდა იყოს ეს განსხვავებულობა წარმოშობილი, მისი არსებობა ხომ მაინც ფაქტია, და საკითხი სწორედ ამ ფაქტის თავისებურების შესახებ დგას, გარეშე იმისა, თუ როგორია მისი გენეზისი! გენეტურ თეორიას კი ჩვენი ყურადღების ცენტრი სხვა მხრივ გადააქვს, და მოცემული პრობლემის ნაცვლად სხვა პრობლემაზე იწყებს მსჯელობას. რა თქმა უნდა, ამ გზით იგი ჩვენი საკითხის დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ პოულობს.

ამიტომაც, რომ Lindworskys თეორია ჩვენი პრობლემისათვის ახალსა და საგულისხმოს თითქმის სრულიად ვერაფერს იძლევა.

რაკი ალქმა და წარმოდგენა მხოლოდ განვითარებული ცნობიერების კეთილდებად არის მიჩნეული, რომელიც უბრალო საგნობრივი ცნობიერების გრადუალურად განსხვავებული განცდების მასალიდან აიგება, უეჭველია, ბავშვის განცდათა შორის მათი აღმოჩენა შეუძლებელია: ბავშს მხოლოდ განცდათა ინდიფერენტული მასალა გააჩნია, და ალქმისა და წარმოდგენის განსხვავებისა მან არაფერი იცის. მაშასადამე, ყველა თვისება, რომელიც ამ განსხვავებას უდევს საფუძვლად, ისევ განვითარებული ცნობიერების ფარგლებში უნდა ვეძიოთ: ამ ცნობიერების გარეშე ხომ არც ალქმა არსებობს, როგორც ასეთი, და არც წარმოდგენა.—ასე რომ ლინდვორსკი იძულებული იქნება დაგვეთანხმოს, რომ ვისაც ალქმისა და წარმოდგენის ანალიზი სწავია, იგი სწორედ განვითარე-

ბული ცნობიერების ამ ფენომენებს უნდა მიჰმართაოდეს, რადგანაც მის გარეშე ვერსად ნამდვილ აღქმასა და წარმოდგენას ვერ შევხვდებოდა. და მაშ ჩვენი საკითხისათვის გენეტური თეორია ვერაფერს მოგვცემს საგულისხმოს.

3. ჰუსერლის ფენომენოლოგიის მიმდევრები სწორედ ასე იქცევიან.¹ იგინი აღქმისა და წარმოდგენის „არსებას“ ეძებენ, და ამისთვის, თანახმად ფენომენოლოგიური მეთოდისა, განვითარებული ცნობიერების შესაფერ განცდებს ითვალისწინებენ. — მათი კვლევის შედეგი ასეთია: აღქმასა და წარმოდგენას შორის მხოლოდ ინტენციონალობის მხრივია განსხვავება: აღქმაში თვითონ რეალური გვეძლევა, წარმოდგენაში კი მისი ანარეკლი; აღქმაში საგნის თვითრწინებობასთან (Eigenpräsenz) გვაქვს საქმე. ან და მის თვითმოცემულობასთან (Selbstgegenwart), წარმოდგენაში კი არა.¹

Lindworsky ტყუილად უსაყვედურებს ფენომენოლოგებს, რომ მათი კვლევის ამოსავალი პუნქტი უმართებულაა: „ვინც ფენომენოლოგიურად უპირისპირებს ურთიერთს აღქმასა და წარმოდგენას, მას უუქველად რელატური ნიშნები მოახვდება თვალში; იგინი მას საგნის შემადგენელ ნაწილებად მოეჩვენებოდა და ამ სახით საბოლოო მსჯელობას გაუყალბებებს“². მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხომ ლინდვორსკიც იძულებული ხდება აღქმისა და წარმოდგენის განსასხვავებლად მათი ფენომენოლოგიური დაპირისპირება მოახდინოს, და საინტერესო ისაა, რომ ამ შემთხვევაში იგივე არსებითად იმავე შედეგებს ლებულობს, რასაც ფენომენოლოგები: აღქმის ნიშანთა შორის სინამდვილისა და თვითრწინებობის ცნობიერებას მისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. (განსხვავება მარტო იმაშია, რომ ლინდვორსკის ეს თვისებები „რელატურ ნიშნებად“ მიიჩნია, მაშინ როდესაც ფენომენოლოგთათვის მათ არსებითი ხასიათი აქვთ, მაგრამ უდავოა, რომ აღქმისა და წარმოდგენის განცდაში იგინი არას დროს რელატურ ხასიათს არ ატარებენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ლინდვორსკი იძულებული არ გახდებოდა, იგინი ე. წ. აბსოლუტური შთაბეჭდილების ბუნების ნიშნებად გამოეცხადებია. რა თქმა უნდა, აბსოლუტური შთაბეჭდილების შესახებ ლინდვორსკის ლაპარაკი არ მოუხდებოდა, რომ იგი ფენომენოლოგიურ-დესკრიპტული თვალსაზრისის ნიადაგზე დარჩენილიყო და გენეტურისათვის არ მიემართა: ამ უკანასკნელმა აიძულა იგი, ეს ნიშნები რელატურად აღეარებია და, რადგანაც თვით აღქმის განცდაში მათი რელატურობისა არაფერი ჩანდა, იგინი აბსოლუტური შთაბეჭდილების სახით წარმოედგინა.

მაგრამ ლინდვორსკის ავიწყდება საკუთარივე აზრი, რომლის მიხედვითაც არც ერთი აღქმა უამნიშნებოდ არ არსებობს, რომ საგნობრივი ცნობიერების ყოველი განცდა, რომელიც მოკლებულია ამ ნიშნებს, ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება აღქმად: იგი მხოლოდ უბრალო მასალაა, რომელიც მხოლოდ ამ ნიშანთა მითვისების შემდეგ იქცევა აღქმის ნამდვილ განცდად; განა თვითონ

¹) Koffka, Zur Analyse der Vorstellungen und ihrer Gesetze. S. 271 f. Linke, Grundfragen der Wahrnehmungslehre. Th. Conrad, Ueber Wahrnehmung und Vorstellung. Münch. phil. Abhandl. S. 51 ff.

²) Lindworsky, op. cit. S. 213 f.

ლინდვორსკი არ ამბობს, რომ ალქმა და წარმოდგენა მხოლოდ განვითარებული ცნობიერების ფენომენებს წარმოადგენენ, რომ საგნობრივი ცნობიერების უბრალო განცდები ალქმად და წარმოდგენად „მხოლოდ რელატურ ნიშანთა ზედღართვის წყალობით ვითარდებიან“¹. თუ ასეთია ბუნება იმ ნიშნებისა. რომელთაც ლინდვორსკი „რელეტურს“ უწოდებს, მაშინ უეჭველია, რომ რამდენადაც უმათოდ „ალქმა“ ალქმა კი არა, უბრალო საგნობრივი ცნობიერებაა, უკვე შეუძლებელია იგინი, რელატურ ნიშნებად იქმნენ მიჩნეულნი.

ამგვარად, არსებითად ლინდვორსკიც იძულებული ხდება, ფერომენოლოგიების მიერ დადასტურებული განცდა საგნის თვითმოცემულობისა და სინანდელიისა ალქმის არსებით ნიშნად აღიაროს.

4. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ლინდვორსკი ყველაფერში ცთება, ხოლო ფერომენოლოგები ყველაფერში მართლნი არიან.

საქმე ისაა, რომ ფერომენოლოგიების აზრით, ალქმისა და წარმოდგენის განსხვავება მხოლოდ ინტენციონალურ აქტში უნდა ვიგულოთ, რომ შინაარსეულად მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, რომ განსაკუთრებით Stumpfის მიერ ხელახლა დასაბუთებულ აზრს ამ განცდათა თვისებებს შორის მხოლოდ გრადუალური განსხვავებულობის არსებობის შესახებ მტკიცე საფუძველი აკლია.

Linke, რომელიც არსებითად ფერომენოლოგიის ნიადაგზე დგას, ასე მსჯელობს: „თუ ინტენსიობის ქვეშ იმას ვიგულისხმებთ, რითაც ნათელი ფერის ალქმა ბნელი ფერის ალქმისაგან ან ჩუმი ბგერის ალქმა ძლიერი ბგერის ალქმისაგან განსხვავდება, ცხადი შეიქმნება, რომ არავითარი ინტენსიობის გაძლიერებით არ მოხერხდება ალქმული შეგრძნების ვადაქცევა წარმოდგენილ შეგრძნებადო“². მაშასადამე, მისი აზრის მიხედვით, ალქმა და წარმოდგენა რომ მხოლოდ გრადუალურად იყვნენ ურთიერთისაგან განსხვავებულნი, მაშინ მათ შორის გარდუეკალი უფსკრულის ნაცვლად ინტენსიობის ცვალების თანამიმდევრობითი გზა იქნებოდა გაკაფული.

მაგრამ Stumpfმა ერთ საგულისხმო გარემოებას მიუთითა, რომლის გათვალისწინების შემდეგაც გასაგები ხდება, თუ როგორაა შესაძლო, რომ წარმოდგენასა და ალქმას შორის მხოლოდ ინტენსიობის გრადუალური განსხვავება არსებობდეს, მაგრამ ამის მიუხედავად მათი ურთიერთში გარდასვლა მაინც არ ხდებოდეს³. იგი ფიქრობს, რომ ნამდვილად ინტენსიობის ორი ზონი არსებობს, რომელთაგანაც ერთი გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე მეორე. პირველი წარმოდგენათა ინტენსიობის ზონია, ხოლო მეორე — შეგრძნებათა ინტენსიობისა. ამიტომაც, რომ თეი თქლიერესი წარმოდგენილი ტონიც კი გაცილებით უფრო ნაკლები ინტენსიობისაა, ვიდრე უსუსტესი ალქმული: წარმოდგენილი fortissimo ყოველთვის უფრო სუსტია, ვიდრე ნამდვილად მოსმენილი pianissimo. მართალია, ამ ორ ზონს შუა მესამეც არსებობს, მაგრამ განცდა აქ მხო-

¹) *ibid.* S. 224.

²) Linke, *op. cit.* S. 222.

³) Stumpf, *op. cit.*

ლოდ საგანგებო შემთხვევაში ჩნდება, და მაშინ მისი აღქმისა თუ წარმოდგენისადმი მიკუთვნება ძნელდება: არსებითად იგი არც აღქმა და არც წარმოდგენა.

ხოლო თუ უმთავრესი განსხვავება აღქმასა და წარმოდგენას შორის სწორედ ისაა, რომ ყოველი წარმოდგენა თავისი ინტენსიობით უფრო სუსტია, ვიდრე თვით უსუსტესი pianissimო აღქმა, მიზინ რაღა აზრი უნდა ჰქონდეს fortissimოს წარმოდგენაზე ლაპარაკს, ვინაიდან რაღა fortissimoა ის fortissimo, რომელიც უსუსტეს pianissimოზე უფრო სუსტია?

Stumpfის პასუხა ამ საკითხზე მარტივია და ნათელი. იგი იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ შესაძლოა, ექვეათ, საშორის გამო, რომელიმე fortissimo ყურზე მიღებული კამერტონის mezzoforteზე უძლიერეს არ ისმოდეს, მაგრამ ამის მიუხედავად მას მაინც fortissimოდ განვიციდიდეთ: საქმე ის კი არაა, თუ რა ინტენსიობით მოისმის ფაქტიურად ესა თუ ის ტონი, არამედ საქმე ისაა, თუ რა ინტენსიობისად ვგულისხმობთ მას, როდესაც იგი გვესმის.

ასე უნდა ვიმსჯელოთ წარმოდგენის შემთხვევაშიც: ტონის დანარჩენ ნიშნებსა დახმარებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უსუსტესი ინტენსიობის წარმოდგენაც კი fortissimოდ ვიგულისხმოთ.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ინტენსიობის ორი ზონის აღიარებას წინ არაფერი ეღობება, და ამით წარმოდგენისა და აღქმის ინტენსიობის გრადუალური განსხვავებულობის აზრი მტკიცე საფუძველს ჰპოულობს.

ყოველ შემთხვევაში, ლინკეს იმის უარყოფა მიიჩნევა არ შეუძლია, რომ ჩვეულებრივ, აღქმას მეტი ინტენსიობა ახასიათებს, ვიდრე წარმოდგენას. მაგრამ თუ იგი მაინც უარყოფს აზრს ინტენსიობის მეტნაკლებობის საკლასიფიკაციო პრინციპად აღიარების შესაძლებლობისას, მაშინ იგი ეალღებულა დასვეს საკითხი, თუ რად ხდება, რომ ჩვეულებრივ შემთხვევებში მაინც აღქმა უფრო მეტის ინტენსიობისაა, ვიდრე წარმოდგენა. როგორც შევლევში დავინახეთ. ცენტრალური პრობლემა სწორედ ესაა, და მსთვის გერ-ხნობით სათანადო ყურადღება არაყის მიუქცევიან.

ამგვარად, შტუმპფისა და ლინდვორსკის დებულება აღქმასა და წარმოდგენას შორის ინტენსიობის გრადუალური გაისხვავებულობის შესახებ ძალაში რჩება, ისე როგორც ურყევად უნდა ჩაითვალოს ფენომენოლოგიების დებულებაც, რომ აღქმაში ნაგულისხმევი საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდასთან გვაქვს საქმე.

5. ამის მიხედვით, აღქმისა და წარმოდგენის ურთიერთისაგან განსხვავება ორსავე ამ მომენტს ემყარება. ოლონდ საკითხი ისმის: რად ხდება, რომ ჩვეულებრივ, ორივე ეს მომენტი აღქმაში ერთად გვევლინება, რად ახედებთან იგინი ურთიერთს ყოველთვის?

ფენომენოლოგიის მომხრენი ამ საკითხს არსებითად არც ენებთან. სანაპიეროდ Stumpfი და Lindworsky, ისე როგორც სხვებიც, ღინც ინტენსიობის მეტნაკლებობაში ქერეტს განსხვავებას აღქმასა და წარმოდგენას შორის, ამ საკითხზე, ჩვეულებრივ, შეთანხმებულ პასუხს იძლევიან. საერთოდ იგინი ფიქრობენ, რომ პირველად განცდის განსაზღვრული ინტენსიობაა მოცემული, და საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდა მხოლოდ ამ ინტენსიობიდან გამომდინარეობს.

ნარეობს. ლინდვორსკი მაგალ. ასე მსჯელობს: „როგორც კი იმდენად განვითარდება ბავში, რომ მას უშუალოდ მოცემულში კაუზალურ მიმართებათა გავება შეეძლება, იგი მალე შეაჩნევს, რომ II ჯგუფის (ე. ი. ინტენსიურისა და ნათელი განცდების დ. უ.) შთაბეჭდილებათა მიზეზების დადასტურება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე პირველი ჯგუფის შთაბეჭდილებათა მიზეზებისა. წკრი-ალა ზართან მიახლოებისა თუ მისგან დაშორების საშუალებით, მბგერი სათამაშოს დაფარვისა და გამორჩენის საშუალებით ადვილად ხერხდება მისი მნიშვნელობის გამოკვლა შთაბეჭდილებისათვის. ასე ჩნდება ცოდნა, რომ I ჯგუფის შთაბეჭდილებათა მიღებისას მათი გაპოშვები საგანი მოცემულია; და საგნის თვითმოცემულობის ნიშნის საფუძველი ამგვარად იხადება“ (214). ასევე მსჯელობს იგი სინამდვილის განცდის შესახებაც, რომელიც თან ახლავს ალქმას. ამის მიხედვით, ირკვევა, რომ ლინდვორსკისათვის პირველად მოცემულად განცდათა ინტენსიობისა და სხვა ანალოგიური თვისებების გეტყვობა უნდა ჩაითვალოს; საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდა კი მეორედი ფენომენია, რომელიც ზემოთ აღნიშნულ თვისებათა განცდიდან გამომდინარეობს. ამიტომ ხდება, რომ ყველა ინტენსიური განცდა, თუნდ იგი არაპერიფერიულ გამლიზიანებელზეც იყოს დამოკიდებული, მაინც ალქმისებურად ე. ი. საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის მაჩარებლად განიცდება¹.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულება საქმის ნამდვილ ვითარებას წეფეფერბოდეს. ჯერ ერთი: ჩვეულებრივი ალქმის განცდაში ლინდვორსკის ნიერ აღნიშნული ინტელექტუალური პროცესებისა სრულიად არაფერი ჩანს. ნართალია, არის შემთხვევები, როდესაც არ ვიცით, ალქმასთან გვაქვს საქმე, თუ მხოლოდ ჩვენს წარმოდგენასთან, და მაშინ საკითხის გადასაჭრელად ასეთს ინტელექტუალურ ფუნქციებს მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ საექვო შემთხვევებში ხდება, ე. ი. მაშინ, როდესაც არსებითად არც ალქმის განცდა გვაქვს და არც წარმოდგენისა. ჩვენ კი გარკვეული განცდა გვაინტერესებს, და აქ ინტელექტუალური აქტების დადასტურებას ვერაერთარი თვითდაკვირვება ვერ ახერხებს. არც ლინდვორსკი უარყოფს ამ ფაქტს: ჩვეულებრივი ალქმის შემთხვევებში, დასკვნის აქტის არაფერი ჩანს; მაგრამ თუ ეს ასეა, ეს იმიტომ კი არა, რომ საგნის მოცემულობისა და სინამდვილის განცდა ალქმის პირველადი ნიშანი იყოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს განცდა, რომელიც გენეტურად დასკვნის აქტითაა შექმნილი, ალქმის განცდაში აბსოლუტური შთაბეჭდილობის სახით გვევლინება.—ასეთია ლინდვორსკის მსჯელობა. მაგრამ იგი მხოლოდ მისთვისაა მისაღები, ვისაც ლინდვორსკის გენეტური თეორიის მართებულობა წინასწარ უდაოდ მიაჩნია. კიდევ რომ ჰქონდეს გენეტურ თეორიას ამ შემთხვევაში გარდამწყვეტი მნიშვნელობა², ერთი რამ მაინც სადაოა: როგორ შეიძლება, რომ სინამდვილისა და საგნის თვითმოცემულობის განცდამ აბსოლუტური შთაბეჭდილების სახე მიიღოს?

¹) Lindworsky, Experimentelle Psychologie, 2. A. 1922. S. 161 f.

²) რასაც ჩვენ უარყოფთ.

როგორც ცნობილია, აბსოლუტური შთაბეჭდილების ცნება პირველად Schumann-მა და G. E. Müller-მა წამოაყენეს. შემდეგ ამავე საკითხზე ზოგიერთი საგულისხმო მოსაზრება Ziehen-მა გამოთქვა¹. როდესაც ჩვენ სხვადასხვა სიმძიმეს წყვილ-წყვილად ვადარებთ ურთიერთს, საკმარისია, პირველ სიმძიმეს მოვკიდოთ ხელი, რათა ვთქვათ, რომ იგი მძიმეა, ან სუბუქია, სანამ მეორეს შევადარებდეთ. როგორ ხდება ეს? ირკვევა, რომ სიმძიმეთა მრავალჯონის შედარების ზეგავლენით სუბიექტში ერთგვარი, ცალკე განცდათა შუალედის შესატყვისი მასშტაბი მუშავდება, და თითოეულს ახალ სიმძიმეს ჩვენდაუნებურად ამ მასშტაბით ვზომავთ: როდესაც იგი მეტია, მაშინ მას მძიმედ ვთვლით, ხოლო როდესაც ნაკლებია—მაშინ სუბუქად. ეს სიმძიმე ან სისუბუქე თვით საგნის უშუალო თვისებად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად იგი მხოლოდ იმ შედარების შედეგადაა შექმნილი, რომელსაც მოკემულ სიმძიმესა და შუალედ მასშტაბს შორის შეუგნებლად ვწარმოებთ. Müller-მა ამას აბსოლუტური შთაბეჭდილება უწოდა.

სრულიად ცხადად ჩანს, რომ აბსოლუტური შთაბეჭდილების წესახებ ამ შემთხვევაში მხოლოდ იქაა ლაპარაკი, სადაც განცდის სხვა და სხვა საფეხურის ინტენსიობის მრავალჯონის შედარების გამო ჩვენში ამ ინტენსიობის საშუალო ოდენობის მასშტაბი ჩნდება. აბსოლუტური შთაბეჭდილება ამის ნიხედვით მხოლოდ განცდის განსაზღვრული ინტენსიობის შთაბეჭდილებაა. იქ, სადაც შედარება ინტენსიობის ხარისხეულად განსხვავებულ საფეხურებს შორის არ ხდება, იქ არც საშუალო მასშტაბზე შეიძლება ლაპარაკი და, მაშასადამე, არც აბსოლუტური შთაბეჭდილებაზე. ამიტომაც, რომ ღღემდე ფსიქოლოგიაში მხოლოდ ინტენსიობის განცდის აბსოლუტური შთაბეჭდილება ცნობილი: ტემპერატურის, სიმძიმის, მანძილის აბსოლუტური შთაბეჭდილება. ამის მიხედვით, მაგალითად, რომელობის აბსოლუტური შთაბეჭდილების ცნებაზე არავინ ლაპარაკობს, და სავსებით იგივე უნდა ითქვას ყველა ისეთი თვისების შესახებაც, რომელიც ხარისხეული დასაფეხუროვნების შესაძლებლობას მოკლებულია.

საგნის თვითმოცემულობა და სინამდვილე სწორედ ასეთი განცდებია: ნამდვილი და არანამდვილი ხარისხეულად როდი განსხვავდებიან ურთიერთისაგან და არც თვითმოცემულობა და მოუცემლობა პეტრეაქლებობის მიხედვით განსხვავებული განცდა. ექვი არაა, საშუალო რიცხვი სინამდვილისა და არასინამდვილის ან საგნის თვითმოცემულობისა და არამოცემულობის განცდისა სრულიად წარმოუდგენელი ცნებაა, და მაშასადამე, ასევე წარმოუდგენელი უნდა იყოს სინამდვილისა და საგნის თვითმოცემულობის აბსოლუტური შთაბეჭდილებაც, რომელიც, როგორც ყველა ფიქრობს (და თვით ლინდვორსკი²), მხოლოდ საშუალო მასშტაბთან შედარების ნიადაგზე იჩენს ხოლმე თავს. ამგვარად ცხადია, რომ ჩვენი საკითხის სათანადო გადაჭრას ვერც ლინდვორსკი ახერხებს და ვერც ფენომენოლოგია.

¹) Th. Ziehen, Beitrag zur Lehre vom absoluten Eindruck. Ztschr. f. Psychologie, 71. 1915 S. 275 f.f.

²) Lindworsky, a. a. O. S. 178.

შეიძლება გულუბრყვილო ადამიანის შეხედულება უფრო მისაღები იყოს ან შემთხვევაში? რადაა, რომ აღქმა უფრო ნათელია და ცხოველი, უფრო ინტენსიურია, ვიდრე წარმოდგენა? ჩვეულებრივი, წინამეცნიერული აზროვნება ასე გადასჭრიდა ამ საკითხს: აღქმაში თვით სინამდვილე მოქმედობს ჩვენზე, და ამიტომ იგი უფრო ნათელია და ცხოველი; წარმოდგენაში კი სინამდვილის ზედმოქმედებასთან არა გვაქვს საქმე; ამიტომ იგი ნაკლებ ნათელია და ცხოველი. — მაგრამ არც ეს პასუხია დამაკმაყოფილებელი: (მრავალ სხვა მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, საქმარისი იქნება თუნდა ეს ერთი აღვნიშნოთ: სიზმარში ხომ შეიძლება ძლიერ ცხოველი განცდა გვქონდეს, ეთქვათ, ისეთი პირისა, რომელიც უკვე ღირთ ხანია აღარ არსებობს! ნამდვილი საგნის ზედმოქმედება აქ არ არის, ანონ მიუხედავად ჩემი წარმოდგენა მაინც აღქმისებურად ცხოველია და ნათელი.

6. ამგვარად, ჩვენი პრობლემის მდგომარეობა დღევანდელ მეცნიერებაში ასეთია: ვერაფერ ვერ უარყოფს, რომ აღქმის გრძნობადი შინაარსი მეტის ინტენსიობითაა აღბეჭდილი, ვიდრე წარმოდგენისა: მაშასადამე, აქ აღქმის არსებით ნიშანთან გვაქვს საქმე. მეორის მხრივ, ვერც იმას უარყოფენ, რომ აღქმაში უეჭველად საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, აქაც აღქმის არსებითი ნიშანი უნდა ვიგულოო. რა დამოკიდებულება არსებობს ორივე ამ ნიშანს შორის? ან საკითხი ან სრულიად არ აყენებენ და ან, თუ აყენებენ, მისს სათანადო გადაჭრას ვერ ახერხებენ. მე ვფიქრობ: აღქმისა და წარმოდგენის პრობლემის სიმძრმის ცენტრო, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ აქ, ამ საკითხში უნდა ვეძიოთ.

ჩვენი ძირითადი დებულება ან საკითხის გადაჭრისათვის ასეთია: საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდა პირველადი მომენტია აღქმის განცდაში, და ინტენსიობის მიხედვით შინაარსის ცვალება მხოლოდ ფუნქციანა მისი. მაშასადამე: გრძნობადი შინაარსი, ხარისხეულად მაინც, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რაობას არ წარმოადგენს: იგი მარად იცვლება და ამ შეცვლილ სახით განიცდება, იმის მიხედვით, თუ რას ვგულისხმობთ მასში. როდესაც ჩვენს ცნობიერებაში — რა მიზეზის გამო, ეს სულ ერთია — საგნის თვითმოცემულობისა და სინამდვილის განცდა იჭრება, გრძნობადი შინაარსი ნათელი, ცხოველი და ინტენსიური ხდება. ხოლო როდესაც, პირიქით, ამის საწინააღმდეგო განცდას ეთმობა ადგილი, მაშინ გრძნობადი შინაარსი ნაკლები სიცხოველით, ნაკლები სინათლითა და ნაკლები ინტენსიობით განიცდება. პირველ შემთხვევაში აღქმა გვაქვს, ხოლო მეორეში წარმოდგენა.

ეს ძირითადი დებულება სრულიად არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაპოვართ. პირიქით, მრავალი, ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტი შეიძლება დასახელებულ იქნეს, რომელიც სავსებით ეთანხმება მას. აქ პირველ რიგში ე. წ. Gestalt ფსიქოლოგების გამოკვლევები შეიძლება დავიმოწმოთ, რომელთაგანაც სრულიად ცხადად ჩანს, რომ ჩვენი განცდების გრძნობადი შინაარსი ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრულის უცვლელი ელემენტების შეჯამებას როდი წარმოადგენს, არამედ თვით განცდის აღნაგობის

მიხედვით იცვლება: ყოველგვარი ცვლილება, რომელიც გამოცდილების ერთ ნაწილში ხდება, სახეს უცვლის ყველა მის დანარჩენ ნაწილებსაც. ე. წ. კონსტანტობის პიპოთეზი, რომლის მიხედვითაც შეგრძნება ერთხელ და სამუდამოდაა განსაზღვრული გალიზიანების მიხედვით შეუწყნარებლად მიაჩნიათ Gestaltფსიქოლოგებს, და უდაოა, რომ ამ შემთხვევაში გრძნობადი შინაარსის კონსტანტობის აზრის უარყოფის ცდასთან გვაქვს საქმე¹.

F. Kruegerის ბრძოლა „შეგრძნების დოგმატური ცნების“ წინააღმდეგ და მისი ცდა ფსიქოლოგიაში გენეტური თეალსაზრისის მნიშვნელობის დასაბუთებისა ბოლოს და ბოლოს კვლავ იმავე ტენდენციას აგებულო: „როდესაც მაგალ. ტონის ფიზიკალური გამოიზიანებლის უცვლელობის მიუხედავად ტონის აღქმის შესატყვისი კომპონენტი სხვაგვარად განიცდება, ვიდრე მაშინ, როდესაც ასიმილატური პირობები არა გვაქვს. ლიპსი და შტუმპფტი თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებით გვარწმუნებენ: „შეგრძნება“ „აბსოლუტურად“ იგივე დაჩა; მხოლოდ განმცდელის მსჯელობაა შეცდომაში შეყვანილიო“, — უსაყვედურებს Kruegerი შტუმპფსა და ლიპსს².

დასასრულ. ამავე ტენდენციის დალითაა აღბუღილი Marbel და მისი სკოლის გამოკვლევებიც Einstellungისა და აღქმის ურთიერთ-მიმართების შესახებ. Marbel ერთ-ერთი მოწაფე საგანგებოდ აყენებს საკითხს განწყობის (Einstellung) როლის შესახებ აღქმის სახვის პროცესში და ექსპერიმენტულად ადასტურებს, თუ რაოდენ დიდია ეს როლი აღქმის საბოლოო შემუშავებისათვის³.

არ უნდა თქმა, რომ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მოწმენი ვართ ჯერ მხოლოდ უბრალო ტენდენციის გამოვლიძებისა, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიის კვლევა-ძიებას წარმართავს. ხოლო ეს ტენდენცია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა გარკვეული ცნების სახით, რათა ექსპერიმენტულად მიმართულ კვლევას მეთოდოლოგიურ საფუძვლად დაედოს. ბევრი რამ უშლის ამას ხელს, და უწინარეს და უმეტეს ყოვლისა ის ატომისტური და დოგმატური მსოფლმხედველობის ნაშთები, რომელიც პირველყოფილ ცოდვად დაჰყვა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას და, მიუხედავად ამ ცოდვის სიმძიმის შეგნებისა, ზოგჯერ აშკარად და კიდევ უფრო ხშირად ფარულად გარდაწყვეტ გავლენას ახდენს კვლევა-ძიების საკითხების დაყენებასა და მეთოდოლოგ საშუალებათა არჩევანზე.

ყველაზე უფრო ცხადად ეს თანდაყოლილი მანკი ე. წ. Gestaltფსიქოლოგიაში იგრძნო და იგი Konstanzhypothesეს სახელწოდებით აღნიშნა. ამ პიპოთეზის თანახმად, თუ ფენომენოლოგიურ მონაცემთა და გარეგანიზიანებელთა შორის სრული შესატყვისობა არაა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღება, აპერცეფცია, და სხვა ამ საქმეში ეჭუვა და თავისთავად უცვლელ შეგრძნებათა კომპლექსს სახეშეცვლილად გვივლინებს. თვით შეგრძნებები კი, ეს უშუალო ელემენტები

¹) W. Köhler, Ueber unbemerkte Empfindungen und Urteilstäuschungen. *Z. f. Psych.* 66. 1913. S. 51—80. აგრეთვე K. Köffka, Die Grundlagen des psychischen Entwicklung 1921. S. 98. 194 u. ff.

²) Felix Krüger, Die Entwicklungspsychologie. 1915 S. 67.

³) H. Kleint, Ueber den Einfluss der Einstellung auf die Wahrnehmung. *Arch. f. d. ges. Psychol.* S. 337 (1925) იხ. აგრეთვე Köffka, Zur Analyse der Vorstellungen. 1913.

ვენი განცდებისა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სახისად რჩებიან. მათ მხოლოდ გამლიზიანებული განსაზღვრავს, და ყოველგვარი მათი ცვლილება. მაშასადამე, მხოლოდ გამლიზიანებულთა სფეროში უნდა ვეძიოთ.— Gestalt-უსიქოლოგები ძირითადად ეწინააღმდეგებიან ამ ჰიპოთეზს: „რწმენა, რომ შეგრძნება გამლიზიანებულის მიერაა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული, უნდა იმთავითვე დაეწიყებული იქნეს“¹⁾ „ო, ამბობს Koffka¹⁾. მართალია, ვერცერთი აღნიშნული ფსიქოლოგიური მიმართულება ვერ ახერხებს ჩვენი ცნობიერების გრძობადი შინაარსის კონსტანტობის ფაქტიურად გაუქმებას: თითოეული მათგანი ბოლოს და ბოლოს შეუგნებლად და თავისდა უნებურად კვლავ კონსტანტობის ჰიპოთეზს უბრუნდება²⁾. მაგრამ მისი შეუსაბამობის ახრი მაინც ყველას მოწიფებული აქვს, და თანამედროვე ფსიქოლოგიური აზროვნების ტენდენციისათვის ესეც საკმაოდ დამახასიათებელი ფაქტია.

ამით, რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, თითქოს აღქმათა გრძობადი შინაარსის ცვალებაზე მხოლოდ ჩვენი დროის ფსიქოლოგიურ აზროვნებას მიეყვლიოს. არა! ეს ფაქტი უკვე იმთავითვე ცნობილი იყო. მაგალითისათვის საკანარისი იქნება, თუ ე. წ. ილუზიათა ფენომენის კვლევას მოვიგონებთ. მაგრამ ძველი ფსიქოლოგიის რწმენით ასეთ შემთხვევებში გრძობადი შინაარსი ფაქტიურად იგივე რჩებოდა: იგი თვითონ კი არ იცვლებოდა, არამედ გვეჩვენებოდა მხოლოდ სახე-შეცვლილად, და ამის ჩვეულებრივ მიზეზად ჩვენს მსჯელობას თვლიდენ, რომელიც რაიმე სექუნდარული ფენომენის ზეგავლენით შეტომაში შედიოდა. ასეთი შეხედულება ემპირიული ფსიქოლოგიის ნი ადაგზე განვითარდა და აქედან დოგმატიურად ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასაც გადაეცა. ამ მხრივ ძლიერ დამახასიათებელია ერთი კარგად ცნობილის, მაგრამ ძლიერ ინსტრუქტული ფაქტის ჩვეულებრივი ახსნა, რომელსაც ფსიქოლოგიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სახელმძღვანელოში შეჰხვდებით. რომ ავიღოთ რამოდენიმე მოცულობით განსხვავებული, მაგრამ ერთისა და იმავე სიმძიმის, ფორმისა და შედგენილობის საგანი და სიმძიმის მხრივ ურთიერთს შეედაროთ, ეფექტი მუდამ ერთი და იგივე გვეჩვენება: დიდი ყოველთვის უფრო სუბუქად მოგვეჩვენება, ვიდრე პატარა. ამ განცდის ჩვეულებრივი ახსნა ასეთია: „განსხვავებული სიდიდის აღქმა აქამდე მიღებული გამოცდილების ნიადაგზე იწვევს წარმოდგენას, რომ უფრო დიდი საგანი უფრო მძიმეცაა. ამის გამო მას მეტის იმპულსით ვწვეთ ხოლმე ზევით, ვიდრე პატარას. ობიექტური სიმძიმის თანასწორობის მიუხედავად, დიდი საგანი, ასე ვთქვათ, ზევით მიფრენს, მაშინ როდესაც პატარა თითქოს ძირს ეწეება, და ამ ეფექტის აღქმას, რომ სიმძიმის შეფასებას განსაზღვრავს“³⁾.

ეს თეორია, ერთის მხრივ, ადასტურებს სიდიდით განსხვავებული ორი საგნის აღქმათა გრძობადი შემადგენლობის შესაფერი შეგრძნებების განსხვა-

¹⁾ Koffka, Grundlagen der psychischen Entwicklung. 1921 S. 98.

²⁾ ამის დასაბუთება მოცემული მაქვს ჩემს წერილში: ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, მისი წარსული და მისი პერსპექტივები, რომელიც მოხსენების სახით იყო წაითხული სტუდ. ფსიქ. წარს საჯარო სხდომაზე, 1925 წ. 16 ნოემბერს.

³⁾ H. Ebbinghaus, Grundzüge der Psychologie, S. 406. 1 A. 1919.

ვებულობის ფაქტს; მეორის მხრივ იგი, რაკი აღქმის განსხვავებულობის საფუძველს თვით აღქმის შემადგენელ შეგარძნებათა გარეშე კერეტს, სახელდობრ: საგნის „ზევით აფრენის“ აღქმაში, თვით შეგარძნებებს თავისთავად უცვლელად ჰგულისხმობს, და დოგმა შეგარძნებათა უცვლელობისა სრულიად ხელუხლებელი რჩება.

7. ამ შეხედულების უმართებულობის ცხადსაყოფად საქმარისი იქნებოდა, ვთქვათ, სტრატონის სასწორის საშუალებით იმავე საგნების წნეხითი კოეფიციენტი შეგვემოწმებია: წნეხის ინტენსიობის განცდა ხომ მოკლებული იქნებოდა ამ შემთხვევაში ისეთს თანმზღებ აღქმას, როგორცაა მაგალ. სიმძიმის „ზევით აფრენა“ ან „ძირს მიწებება“! მაშასადამე, თუ აღმოჩნდებოდა, რომ დიდი საგანი ნაკლები ინტენსიობის წნეხის შეგარძნებას იწვევს, ვიდრე პატარა საგანი, მაშინ რაღა საბჭოთი გვექნებოდა, გვეფიქრა, თითქოს ჩენი „შემცთარი“ შეფასება „თანმზღები განცდის ნიადაგზე იყოს აღმოცენებული.

მართივი ცდა უდაოდ ადასტურებს, რომ დიდი საგნის წნეხითი კოეფიციენტი გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე იმავე სიმძიმის პატარა საგნისა. ცხადია, საქმე არც თანმზღებ განცდებში უნდა იყოს, და არც ჩვენს მსჯელობაში. არა, უეკველია, ამ შემთხვევაში საქმე აღქმის გრძობადი შინაარსის, თვით წნეხის შეგარძნების ცვალებადია; და ჩენი უშუალო თვითდაკვირვებაც ცნობიერებაში სხვას ვერაფერს ადასტურებს. ამგვარად, უდაოა, რომ ჩენი განცდების გრძობადი შინაარსი გაპოზიანებლისა და აგზნების მიერ როდია საბოლოოდ განსაზღვრული, არამედ იგი სხვა ფაქტორებითაც განისაზღვრება. გრძობადი შინაარსი, მაშასადამე, არაა პირველადი მომენტია. არა, იგი დამოკიდებული მომენტია, და ამიტომ განცდათა განსხვავებულობა შეუძლებელია მასზე იყოს დამყარებული. ჩვენ ვფიქრობთ, განსაკუთრებით ეს აღნიშნა და წარმოდგენის შესახებაც შეიძლება ითქვას.

8. ოთახში ნახევრად ბნელა. ჩენს საწერ მაგიდასთან ვზივარ და წარმოდგენისა და აღქმის შესახებ ვფიქრობ. მაგონდება Kumpel მოწმობა წარმოდგენილი სახეების ობიექტურ სივრცეში ლოკალიზაციის შესაძლებლობის შესახებ. მეც ვცდილობ, აი ამ კედელზე რაიმე სურათი წარმოვიდგინო. თვალები კედლის მიმართულებით გადამაქვს: მცირეოდენი ძალისხმევის შემდეგ კედელზე სურათის მკრთალი სახე ჩნდება... მომენტი: ერთი-ორი... ნე ობიექტურ სივრცეში მოთავსებული წარმოდგენის შინაარსის ცხად განცდას ვგრძნობ. მაგრამ, უერად, სრულიად მოულოდნელად ჩემს ცნობიერებაში ახალი განცდა იბადება: აი აქ, ქედელზე ხომ მართლა აქი დია სურათი, სწორედ, იქ სადაც წარმოდგენის შინაარსს ვგულისხმობ ლოკალიზაციაქმნილად; და ამ განცდასთან ერთად, ფსიქიკისათვის ჩვეულის მომენტური სისწრაფით წარმოდგენილი სურათის მკრთალი სახე ცხოველდება, ნათლდება და აღქმული საგნის შინაარსად იქცევა; რა დიდი განსხვავებაა ეხლა ორივე განცდის გრძობად შინაარსს შორის: იქ ოღნაევი ხელსახებობა, უმწეობის აღმძერელი სიპკრთალე, უმტიციობა და მერყეობა; აქ კი მყაფიო, ცხოველი, სოლიდური შთაბეჭდილება, გამოკვეთილობა და გარკვეული სიპტიციე, რომელიც თვით დეტალების ცხადი გათვალისწინების შესაძლებლობასაც კი ადვილად იძლევა.

ჩვენს წინაშე ერთ-ერთი უპირატესად ინსტრუქტული მნიშვნელობის ფაქტია! რას გვეუბნება იგი?

ცნობიერების ერთი და იგივე გრძნობადი შინაარსი ჯერ წარმოდგენად განიცდება და მერე აღქმად... ერთი და იგივე შინაარსი—იმ აზრით, რომ პერიფერიული გამლიზიანებელი ორივე შემთხვევაში უცვლელი რჩება: კედელზე მართლა ჰკიდია სურათი, რომელიც ჩემი ნხედველობის ორგანოზე მოქმედობს. უნდა ვიგულისხმობთ, რომ შესატყვისი ფიზიოლოგიური პროცესებიც იგივეა. აქმის მიუხედავად, თვით გრძნობადი შინაარსი წარმოდგენის შემთხვევაში ერთნაირია და აღქმის შემთხვევაში მეორენაირი: მართალია, რომელიც მათ შორის განსხვავება არ ჩანს, სამაგიეროდ გრადუალურად ეს განსხვავება თვალსაჩინოა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე პერიფერიულ გამლიზიანებელზე უშუალოდ დამოკიდებული გრძნობადი შინაარსის გრადუალური ცვლების ფაქტთან გვაქვს საქმე, და საგულისხმო ისაა, რომ ეს ცვლა ჩვენს მაგალითში გარკვევით მეორედ ის, დამოკიდებული ფენომენის სახით გვევლინება. მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ თვით მიმართულებაც შინაარსის გრადუალური ცვლებისა სრულიად გარკვეულია: როდესაც იგი წარმოდგენის შინაარსად იგულისხმება, მისი სიკბადე და ინტენსიობა მცირდება, ხოლო როდესაც წარმოდგენის ადგილს აღქმის განცდა იკავებს, მაშინ პირიქით, იგი უფრო ნეტის სიკბადისა და ინტენსიობისა ხდება.

ანალოგიური განცდების ფაქტთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევებშიც, როდესაც რაიმე არანეულებრივი წდგომარეობის გამო, სვანი ჩვენთვის თითქოს თავის აზრს ჰკარგავს, და ამასთან ერთად მისი რეალობაც სუსტდება... თანდათანობით მისი სახე თითქოს თავის სიმტკიცესა და გარკვეულობას ანიაგებს, სულ უფრო და უფრო ჰაეროვანი ხდება და იმ კავშირსაც საცხებით სწყვეტს, რომელიც თავის გარემოსთან იწყობება: იგი სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივ წარმოდგენას ენსგავსება და მასავით თითქოს სრულიად გარემომოკლებულს „სუბიექტუო სივრცეში“ თავსდება¹.

არსებითად ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს Perky-ს ექსპერიმენტებიდანაც². მასს ცდის პირებსაც ხომ პერიფერიულად აღქმული გრძნობადი შინაარსი ჰქონდათ ცნობიერებაში: ექსპერიმენტატორი საპროექციო აპარატის საშუალებით ფორთოხლის მკრთალ სურათს იძლეოდა ეკრანზე. ამის მიუხედავად, იგი მათ მანაც თავის წარმოდგენად მიაჩნდათ. არ უნდა თქმა, რომ ასეთი აღრევის მიზეზად შეუძლებელია სურათის სიმკრთალე ჩათვალოს. მთავარი აქ ისაა, რომ ცდის პირთ წარმოდგენილი ფორთოხლის სახის მოთავსება უნდოდათ იქ, სადაც მისი ნამდვილი სურათი გაჩნდა. სულ მარტივი ცდის საშუალებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ობიექტურად იმავე სიმკრთალის სურათი საგრძნობლად ჰკარგავს თავის სიმკრთალეს, როგორც კი ცდის პირი მის წარმოსადგენად კი არა, მის აღსაქმელად იქნება განწყობილი.

¹) დ. უზნაძე. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. I. 1925. გვ. 443.

²) Perky, An experimental study of imagination. *Amer. Journ. of Psychology*. 21. გვ. 422 და შემდ.

ამგვარად, აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე: ერთი და იგივე გამლიზიანებული წარმოდგენის განწყობის შემთხვევაში მკრთალსა და უსიკოცლო შეგრძნებებს იწვევს, ხოლო აღქმის შემთხვევაში—შედარებით ნათელსა და ცხოველს.

ამის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ: ერთსა და იმავე პერიფერიულ გამლიზიანებულზე უშუალოდ დამოკიდებული შეგრძნებები შეიძლება ერთხელ წარმოდგენის შინაარსად იქნენ განცდილი და მეორეხელ აღქმის შინაარსად. მაშინ იგინი, მიუხედავად გამლიზიანების ობიექტური იგივეობისა, მანაც განსხვავდებიან გრადუალურად ურთიერთისაგან: წარმოდგენის შინაარსად განცდილი შეგრძნებები ნაკლების ინტენსივობითა და ცხოველობით განიცდებიან, ხოლო იგივე შეგრძნებები—მაგრამ ეხლა უკვე როგორც აღქმის შინაარსში ნაგულისხმევი ფენომენები—შედარებით უფრო მაღალი ინტენსივობისა და ცხოველობის განცდებად გვევლინებიან.

9. იგივე ითქმის, თუ არა პერიფერიულ გამლიზიანებულზე არაპირდაპირ დამოკიდებულ განცდათა შესახებაც? ე. ი. შეიძლება თუ არა ის, რაც ობიექტურად წარმოდგენად ითვლება, ნამდვილად აღქმად იქნეს განცდილი, და ამის გამო მისი გრძნობადი შინაარსიც სათანადოდ შეიცვალოს?

უეჭველია, პერიფერიულ გამლიზიანებულზე არაპირდაპირ დამოკიდებულ განცდებად პირველ რიგში ჩვენს სიზმრის ცნობიერების ფენომენები უნდა ჩაითვალოს. ობიექტურად სიზმრის სახეები ყველანი წარმოდგენები არიან. სამაგიეროდ სულბიექტურად იგინი, ჩვეულებრივ, აღქმისებურად განიცდებიან: სიზმარში ნახული ხელსახები სინამდვილის სახით განიცდება. მაგრამ ეს სოულად არ ნიშნავს, თითქოს სიზმრის ცნობიერებისათვის მხოლოდ აღქმისებური განცდა აწსებობდეს, რომ მას წარმოდგენის განცდის უნარი არ ჰქონდეს. პირიქით, არაერთი შემთხვევის დასახელება შეიძლება, როდესაც სიზმრის შინაარსში აღქმისებური განცდების გვერდით და მათ გარდა წარმოდგენის ცხადი და უეჭველი განცდებიც ჩნდებიან. სიზმრის ფენომენოლოგიური შემადგენლობის ანალიზი უდაოდ დასტურებს ამას¹.

ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ არაპერიფერიული შეგრძნებაც შეიძლება ზოგჯერ აღქმად იქნეს განცდილი და ზოგჯერ—წარმოდგენად. მაგრამ ამას არც უარყოფს ვინმე. საინტერესო მხოლოდ ისაა, თუ რა ემართება არაპერიფერიული შეგრძნებას მაშინ, როდესაც აღქმის შინაარსად იგულისხმება, და მაშინ, როდესაც წარმოდგენის სახით განიცდება.

თვითდაკვირვების ფაქტები ამოწმებენ, რომ წარმოდგენისა და აღქმის გრძნობადი შინაარსიც თავისი სიციხოველისა და ინტენსივობის მხრივ განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგრამ შეცთომბა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ ეს გრადუალური განსხვავებაა, რომ მათ სხვადასხვაობას საფუძვლად უდევს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რად ხდება, რომ სიზმრის მთელი კონტექსტი აღქმისებურად განიცდება: განა შეიძლება ითქვას,

¹) Haecker, Fr., Systematische Traumbcobachtungen. Arch. f. d. ges. Psychol. 21. 1911.

რომ ყველა ცხოველმა წარმოდგენებმა ერთად და ისეთის თანამიმდევრობით მოიყარეს თავი, რომ სწორედ მთლიანი კონტექსტის სახით ჩამოყალიბდნენ, რომელშიც მკრთალი განცდებიც წარმოდგენის სახით სწორედ თავის ადგილას გაჩნდნენ! უქვევლია, ასეთი მოსაზრება არაეისთვის დამარწმუნებელი არ იქნებოდა. ხოლო იმისთვის, ვინც სიზმრის ალტყინებული ფანტაზიის წარმოდგენათა სიცხოველით ხსნის სიზმარში ნახულ განცდათა აღქმისებურობას, ამის ნეტი სხვა მოსაზრება არ არსებობს.

იგივე უნდა ითქვას იმათ შესახებაც, ვინც (Lindworsky-ს მსგავსად) სიზმრის თავისებურებას ცვლავ განცდათა სიცხოველითა და სინამდვილე-არასინამდვილის თვალსაზრისის გაუქმებით ხსნის¹. თუ საქმე მხოლოდ ამ ორ მომენტშია, მაშინ რად უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ეს მომენტი სიზმრის მიმართ ყოველთვის არ რჩება ძალაში? ხოლო თუ ყოველთვის ძალაში რჩება, მაშინ რად ხდება, რომ სიზმრის ცნობიერებამ არა მარტო აღქმისებური განცდები იცის, არამედ წარმოდგენისებურიც?—და მერე: თუ აღქმისა და წარმოდგენის განსხვავება სინამდვილე-არასინამდვილის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, ხოლო სიზმარში ასეთ თვალსაზრისს ადგილი არა აქვს, მაშინ როგორ ხდება, რომ სიზმრის ფენომენოლოგიურ შინაარსში არა მარტო აღქმისა, არამედ წარმოდგენის განცდებსაც ვადასტურებთ?

არა! საქმის ნამდვილ ვითარებას სხვა თვალსაზრისი უკეთ უწყევს ანგარიშს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმოდგენისა და აღქმის სიზმრულ განცდებს შორის ისეთივე განსხვავება არსებობს, როგორც სიფხილის ცნობიერებაში. ხოლო სიზმრის ცნობიერება მეთოდოლოგიურად ერთ დიდ უპირატესობას შეიცავს. რაც ამ განცდათა ურთიერთ მიმართების უკეთ გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. საქმე ისაა, რომ სიზმარში აღძრულ წარმოდგენებს, ჩვეულებრივ, აღქმისებურ განცდებად გარდაქმნის ძლიერი ტენდენცია ახასიათებს, და სწორია შემთხვევები, რომ აქ ყურადმღებელ მეთვალყურეს წარმოდგენის აღქმად ტრანსფორმაციის დაკვირვების შესაძლებლობა ეძლევა. ასეთ შემთხვევებში ერთი და იკივე შინაარსი გვაქვს მოცემული, რომელიც ობიექტურად, რასაკვირველია, წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თვით განმცდელ სუბიექტს იგი ჯერ წარმოდგენად ვეღვინება და შემდეგ—აღქმად. ამიტომ შესაძლებელი ხდება; თვალსაჩინოდ იქმნეს შესწავლილი, თუ რა ემართება წარმოდგენის შინაარსს, როდესაც იგი აღქმის შინაარსად იქცევა.

ასეთი ტრანსფორმაციის შემთხვევათა შორის დავასახელებ შემდეგს:

A. სიზმარში ვხვდავ: X მეუბნება: მომიცადე, შენთვის რაღაც მაქვს სათქმელიო. მოდის და ყურში მიჩურჩულებს. ზე მშვენივრად მესმის, რასაც მეუბნება, მაგრამ გავითვალისწინებ თუ არა მისს ნათქვამს, იმ წამსვე ყველაფერი ჩემს წინ ხელსახებ სინამდვილედ იშლება..

B. ...ზარს რეკენ. მივდივარ, ვაღებ კარს, და ჩემთან ერთი შორეული ნაცნობი შემოდის. იმ წამსვე მაგონდება: ამას ხომ თავისი ძალლი დაჰყავს-მეთქო

¹) Lindworsky, Wahrnehmung und Vorstellung. S. 210. იხ. აგრეთვე მასვე Experimentelle Psychologie, S. 285 ff. 2 A. 1922.

თან! და ამის თქმასთან ერთად, ჩემი წარმოდგენა სინამდვილედ იქცევა: ნაცნობის გვერდით მისი უზარმაზარი ძალის ჩნდება. ვაი თუ ამ ძალმა შემოინიჭოს მეთქი, ვფიქრობ, და ელვის სისწრაფით ჩემი ეს წარმოდგენაც კვლავ სისრულეში მოდის...

ჩემი მიზნისათვის ეს ორი მავალითაც საკმარისია: ცხადია, აქ წარმოდგენის აღქმად ტრანსფორმაციის ფაქტთან გვაქვს საქმე, რას გვეუბნება ეს დაკვირვება? სანამ განსაზღვრული შინაარსი წარმოდგენის სახით განიცდება, იკრძალებულია ეკრთალოს და უსხეულოა. მაგრამ საკმარისია იგივე შინაარსი, აღქმად იქმნეს ნაგულისხმევი, რათა მყის სიცხოველე და სხეულებრიობა შეიძინოს.— გრძობადი შინაარსის ინტენსიობის მეტნაკლებობა, რომელიც ამ ორ განცდას განასხვავებს, მაშასადამე, აქაც ნაწარმობა მომენტალ უნდა ჩაითვალოს: იგი სინამდვილე-არასინამდვილის განცდის საფუძვლად კი არ გამოდის: პირობით: იგი თან სდევს ამ განცდას.

მაშასადამე, აქაც სავსებით იმავე შედეგს ვლბებულობთ, რაც ზემოთ-აღნიშნული დაკვირვებებიდანაც გამომდინარეობდა.

ამის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ: ერთი და იგივე შინაარსი შესაძლებელია წარმოდგენადაც იქმნეს განცდილი და აღქმადაც; და ეს სავსებით იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვართ მიხლამი განწყობილი: როგორც აქტუალური რეალობისადმი, თუ როგორც არააქტუალურისადმი. პირველ შემთხვევაში ამ შინაარსის ინტენსიობითი თვისებები აღმავალი ხაზით იცვლება. ხოლო მეორე შემთხვევაში—დამავალი ხაზით. ეს თვისებები, მაშასადამე, პირველადი კი არაა, ნაწარმოები თვისებებია, ნაწარმოები იმ ძირითადი განწყობისა, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე შინაარსი ან აღქმად განიცდება და ან წარმოდგენად.

10. ჩემი თეორიის ღირებულება ცხადი შეიქმნება, თუ მისი თვალსაზრისით ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სადავო საკითხის გადაწყვეტას ვცდით.

აქ პირველ რიგში სიზმრის პრობლემას უნდა შევხვით. რა არის სიზმრის ცნობიერებისათვის დამახასიათებელი? ჩვეულებრივ, ასეთად იმის განცდების ცხოველობას თვლიან; და ამ განცდათა აღქმისებური ხასიათი თავისთავად აქედან გამომჟავათ. ხოლო რა უდევს საფუძვლად სიზმრის ცნობიერების შინაარსთა თვით ამ ინტენსიურ გაძლიერებას, ამას ან მისს პირველად თავისებურებად, თვლიან და ამ გაძლიერებული ფიზიოლოგიური აგზნებადობის ნაწარმოებად. მაგრამ არც ერთი ამ შეზამლებლობათგან იმისაღები არაა, ვინაიდან მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება, თუ რად ხდება, რომ ნერვული აგზნებადობისა და სიზმრის ცნობიერების ერთნაირად გაძლიერებული მოქმედების მიუხედავად, სიზმრის ფუნქციონოლოგიურ შინაარსში აღქმისებურ განცდათა გვერდით ნანდვილ წარმოდგენებსაც აქვთ ადგილი დათმობილი!

არა! სიზმრის ცნობიერებას რომ ინტენსიური განცდები ახლავს თან—ნათელი, ცხოველი და სხეულებრივი—დამახასიათებელი მისთვის ეს კი არაა: დანახასიათებელი უკურო ისაა, რომ სიზმარში ნახულ სახეებს აქტუალურ სინამდვილედ განვიცდით. ცნობილია, რომ სიზმრის შინაარსს ჩვენს ინტენსიურ აუქტებთან აქვს უწინარეს ყოვლისა კავშირი; ეს დღეს-დღეობით უკვე დამტკიცებულად წე-

იძლება ჩაითვალოს!; ვასაგებია, რომ ადამიანს ძლიერი აფექტების ზეგავლენით სწორედ შესაფერისი სინამდვილის შიშაობით განწყობა უმუშავდება, რომელიც მუდამ მზადაა ამოქმედდეს, და მოქმედებს კიდევ, სანამ ამას სხვა უფრო აქტუალური განწყობა არ უშლის ხელს. ძილში ასეთ შემთხვევებელ გარემოებას ადვილი არ აქვს, და ბუნებრივია, რომ ძილში პირველ რიგში სწორედ ეს მზა განწყობა იჩენს ხოლმე თავს. მათი შესაფერი განცდები აქტუალურ სინამდვილედ განიცდება, და ბუნებრივია, რომ იგიინი გაძლიერებული ინტენსიობის მატარებლად გამოდიან.

კიდევ უფრო ნაყოფიერია ჩვენი თეორია ე. წ. ჰალუცინაციების საკითხის მიმართ. აქაც მთავარ პრობლემად ჰალუცინაციის სიცხველეა მიჩნეული, და საკითხის საბოლოოდ გადაჭრას სწორედ ეს დოგმატურად წინასწარ მიღებული აზრი აძნელებს. ფიზიოლოგიური თეორია ჰალუცინაციის ახსნას კორტიკალური გრძნობადი არეების გაძლიერებულ აგზნებადობაში კერძოებს. მაგრამ მას ერთი რამ ავიწყდება: საქმე რომ მართლა აგზნებადობაში იყოს, მაშინ რად უნდა ხდებოდეს, რომ ჰალუცინანტს ერთ შემთხვევაში ერთი ჰალუცინაცია აქვს და მეორეში მეორე?! თუ გრძნობადი კორტიკალური არეების აგზნებადობა საზოგადოდაა გაძლიერებული, მაშინ ჰალუცინანტის ყველა წარმოდგენას ჰალუცინაციის ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ჰალუცინაციის *causa sufficiens* — გაძლიერებული კორტიკალური აგზნებადობა — ყველა წარმოდგენის შემთხვევაში უნდა ვიკულისხმოდ. ხოლო თუ ვიფიქრებთ, რომ გაძლიერებულია მხოლოდ იმ არეების აგზნებადობა, რომელნიც გარკვეული წარმოდგენის ფიზიოლოგიურ სუბსტრატს შეიცავენ, მაშინ ვასაგები გახდება, რომ სუბიექტს გარკვეულ შემთხვევაში სწორედ გარკვეული ჰალუცინაცია აქვს. მაგრამ მაშინ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით სრულიად გაუგებარ ფაქტთან გვეჭკნებოდა საქმე, და, მამასადავ, იმდენად საეჭვოსთან, რომ მისი რისავე ასახსნელად გამოყენება ძნელად თუ ხელსაყრელი იქნებოდა.

მაგრამ ესეც არ იყოს, ფიზიოლოგიური თეორია წარმოდგენათა სიცხველის მეტს ვერაფერს ხსნის. მეტი განა პრობლემა ესაა? ჰალუცინაციისათვის ეს კი არაა პირველ რიგში დამახასიათებელი, არამედ ის, რომ იგი აღქმისებურად განიცდება, თითქოს საგანი აქტუალურად იყოს მოცემული. საქმე რომ მართლ წარმოდგენის სიცხველეში იყოს, მაშინ ყოველი ცხოველი წარმოდგენა ჰალუცინატორულად უნდა გვეძლეოდეს. ნამდვილად კი ეს ასე არაა. გარდა იმისა, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ძლიერ ცხოველი წარმოდგენის მრავალი ფაქტი იცის²⁾, საგულისხმოა აგრეთვე ა. წ. ეიდეტური ენოზმენის შემთხვევიც: მიუხედავად ოპტიკური თვალსაჩინო ხატის სრული სიცხველისა, ვიდუტკიოსისათვის იგი მიიწე არაა ჰალუცინაცია.

¹⁾ De Sanctis, *Psychologie des Traumes*. Kaffka's Handbuch der vergleichenden Psychologie, B. III. 1922. S. 316.

²⁾ H. Meyer იგვიპობს, რომ მას იმდენად ცხოველი წარმოდგენები ჰქონდა, რომ მათ შინდევ ისეთივე კვალი რჩებოდა, როგორც ჩვეულებრივ მხედველობის შეგრძნებებს სდევს ხოლმე იან. იბ. Lindworsky, op. cit. S. 202.

ვერც ეს იქოლოგიური თეორიები აბრებენ ჰალფენაიციის პრ-ბლემის დამაკმაყოფილებელ გადაქრას ეუნდტის ასინილაციის თეორი-ს მიხედვით, ჩვეულებრივი, ნორმალური ალქმის შინააოსში გარდა შეკრძნე-რაპროდუქტულ ელემენტებსაც ეხედებით. ილუზიაში ამ უკანსენელთა მონაწ-ლეობა უარბია, ხოლო, ჰალუცინაციაში მათ გარდა სხვას თითქმის ვერაფერს ედასტურებთ. მაგრამ თუ ეს ასეა, თუ ჰალუცინაციაში სუბიექტური ელემენ-ტების გარდა, თითქმის არაფრის დადასტურება არ შეიძლება, მათ უფრო გაუგებარია, როგორ ხდება, რომ ეს საესებით სუბიექტურა შემადგენლობის ნომენი მინც ობიექტურად განიცდება. Wundt აქ კვლავ რეპროდუქტულ წა-მოდგენათა სიციხეების გამოსავალს მიმართავს. მაგრამ მაშინ იგი ვალდებული ხდება ახსნას, თუ საიდან გამომდინარეობს წარმოდგენათა ეს სიცხველე. ცი-დის, რომ მან ორ შესაძლებლობაში ერთ-ერთით უნდა აირჩიოს: ან ფიზიო-ლოგიურად ახსნას რეპროდუქტულ ელემენტთა სიცხველედ ან ამგვარად ფი-ზიოლოგიური თეორიის ყველა ნაკლი გაიზიაროს, და ან რაიმე ახალი პრინციპი-წამოაყენოს. Wundt პირველ გზას ირჩევს და ამით კვლავ ფიზიოლოგიურ თ-ორიის უბრუნდება (Grundriss, 331).

ორივე ამ თეორიის უმთავრეს ნაკლს—ისე როგორც სხვა ცნობილ-თეორიებისასაც—ის ძირითადი დოგმატური წინამძღუარი შეადგენს, თითქმის განცდის ალქმისებურობა მისი შინაარსის სიციხველისაგან გამომდინარეობდა. ჩვენ უკვე დაერწმუნდით, რომ ეს დებულება—თავისი აბსოლუტური სახით მინც—უეჭველად ყალბია, რომ გაცილებით უფრო მისაღებია საწინააღმდეგე შეხედულება, რომლის მიხედვითაც წარმოდგენათა სიციხველედ ნაწარმოები ან მეორედი მომენტია და იგი საგნის აქტუალური რეალობის განცდისადგება თან. ილუზიისა და ჰალუცინაციის შემთხვევებში საძიებელია, მაშასადამე, თუ ყოველს ცალკე მომენტში რა პირობებია, რომ სუბიექტის ამა თუ იმ საგნისადმი განწყობას განსაზღვრავს, და როდესაც ასეთი პირობები დადასტურებულია, მაშინ coeteris paribus ილუზიისა და ჰალუცინაციის წარმოდგენათა ჩვეულებრივი სიციხველედ ახსნილია. ასახსნელი მაშასადამე ისაა, თუ როგორ ხდება, რომ მიუხედავად გამომიზიანებლის ზედმოქმედებისა—და ასეთი გამომიზიანებლის ზედმოქმედების დადასტურება არა მარტო ილუზიის, არამედ ჰალუცინაციის შემთხვევაშიც ხერხდება—სუბიექტში ადექვატური რეალობისადმი განწყობა კი არა, არა-ადექვატურისადმი ჩნდება. ალქმის შემთხვევებში განციხვიანებული თამაშობის გარ-დამწყვეტ როლს, ილუზიისა და ჰალუცინაციის შემთხვევებში კი—არა: მაშასადამე, რალაც სხვა. მაგრამ სახელდობრ რა?

11. ამ საკითხს ჩვენი თეორიის ახალი მხარის განხილვაზე გადავყავართ. აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ალქმისა და წარმოდგენის განსხვავებული განცდა საგნის აქტუალური რეალობის გულისხმობასა და გრძობადი შინაარსის გრადუალურ განსხვავებულობას ემყარება. მაგრამ ჩვენ არც ერთხელ არ შეგზრებულვართ იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც საგნის აქტუალური რეალობისა ან მისი თვითმოცემულობის შესახებ ვლაპარაკობთ. წმინდა ფენომენოლოგია ამ შემთხვევაში აქტზე მიგვითითებს. მაგრამ სრულად არა ჩანს, თუ რა უღევს აქტთა ურთიერთცვალებას საუფუგლად. ხომ არ შეი-

ქლება ვიფიქროთ, რომ იგი სავსებით შემთხვევაზე ან ჩვენს უმოტივაციო ნება-სუფობაზეა დამოკიდებული!

და მერე: თვით აქტი ან ინტენცია განა უშუალოდ გვეძლევა როდისმე ცნობიერებაში? ფენომენოლოგიურ-დესკრიპტიული ანალიზი ვერასოდეს მის დაქვერას ვერ ახერხებს. იგი უფრო პოსტულატია, ვიდრე დესკრიპტიულად დადასტურებადი ფსიქიური ფენომენი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს Lindworsky

ფსიქოლოგიური აზროვნების უეჭველ მონაპოვარს წარმოადგენს Koffkaს აზრი, რომლის მიხედვითაც აღქმისა და წარმოდგენის აქტები განწყობაზე (Einstellung) უნდა იყვნენ დამოკიდებულნი. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ამ ნაყოფიერ აზრს იმთავითვე სასიცოცხლო ნერვს უკვეთს, ვინაიდან ფიქრობს, რომ აქტის განწყობაზე დამოკიდებულებას მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ადგილი¹. კოფკას არც შეეძლო ეს საკითხი სხვანაირად გადაეჭრა, რაკი განწყობის ცნებაში იგი იმთავითვე დეტერმინაციის ტენდენციების მოქმედებას გულისხმობს. მართალია, განწყობის ანალიზის ზეგავლენით იგი იძულებული ხდება, მასში „უნებური დეტერმინაციის ტენდენცია“ კერძოს, და ანათ ქეშმარიტებას ოდნავ დაუახლოვდეს, მაგრამ იგი კვლავ ჰშორდება მას, როდესაც განწყობის წარმოშობის შესახებ იწყებს მსჯელობას². საქმე ისაა, რომ ნოდღვრება ე. წ. დეტერმინაციული ტენდენციების შესახებ, რომელიც პირველად H. Achmer წამოაყენა და შემდეგ იმავე Koffkaმ გააფართოვა, როგორც ცნობილია. იმ ფაქტის ცხადსაყოფადაა შემოღებული, რომ წარმოდგენათა მიმდინარეობა ჩვენს ცნობიერებაში არა მარტო ასოციატურადაა განსაზღვრული, არამედ ინსტრუქციაში მიცემულისა და ედის პირის მიერ მიღებული ამოცანიდან გამომდინარე ტენდენციითაც: როდესაც რაიმე ამოცანა გვაქვს გადასაქრელი, ცნობიერებაში წარმოდგენათა ისეთი მიმდინარეობა იჩენს თავს, რომ ასოციატურად მისი ახსნა არ ხერხდება; სავაგიეროდ, ამ მიმდინარეობის ანალიზი ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დასახული ამოცანის შესაფერისადაა მიმართული. აქედან დაასკვნიან, თითქოს მიღებული ამოცანიდან თავისებური ტენდენცია გამომდინარეობდეს, რომელიც წარმოდგენათა თანამიმდევრობას უდევს საფუძვლად.

მაგრამ საგულისხმოა, რომ ფენომენოლოგიურად ასეთი ტენდენციის დადასტურება არასდროს არ ხერხდება: ედის პირმა მის შესახებ არაფერი იცის. ანიტომ უნდა ვიგულისხმოთ, იგი არცაა ცნობიერებაში მოცემული: იგი განსაზღვრავს მხოლოდ ცნობიერების შინაარსის მიმდინარეობას. დეტერმინაციული ტენდენციის მოძღვრებაში აღნიშნული საქმის ვითარება გასაგები იქნებოდა, თუ ვიგულისხმებდით, რომ არცაა საქირო ცნობიერების ფენომენთა თანამიმდევრობის საფუძველი თვითონ ცნობიერებაში ვეძიოთ. „არაცნობიერის ფსიქოლოგია“ სწორედ ასე მსჯელობს. მაგრამ მისი „არაცნობიერი“ ისეთს არაფერს შეიკავს, რაც ოდესმე ან არ ყოფილიყოს და ან არ იქნეს უშუალოდ მოცემული

¹) Koffka, K. Zur Analyse der Vorstellungen und ihrer Gesetze. 1912. S. 275

²) Koffka, op. cit. s. 37. 318. 319.

ცნობიერებაში. ხოლო თუ ეს ასეა, რად ხდება, რომ ცნობიერების ზოგი ფენომენი მხოლოდ მას შემდეგ იძენს ცნობიერების მანიფესტური შინაარსის განსახლერის უნარს, რაც იგი არაცნობიერ სფეროში გადადის? რა ილუმალი თვისება აქვს ასეთი ამ სფეროს? ხოლო, თუ ეს თვისება მას ცნობიერებაში ყოფნისასაც აქვს, მაშინ რად ხდება, რომ იგი მას არასდროს არ ააშკარავენს, სანამ ცნობიერების ფარგლებში რჩება, ან და, მაშინ, როდესაც ცნობიერების შინაარსის მიმდინარეობის განსახლერელის როლში გამოდის, რა უშლის ხელს თვითონაც ცნობიერი შეიქმნეს?

არ ვფიქრობ, რომ ასეთი საკითხების დამაკმაყოფილებელი გადაჭრა როგორმე შესძლოს „არაცნობიერის ფსიქოლოგიამ“, სანამ იგი თავის ძირითად ცნებაზე უარს არ განაცხადებს. სამაგიეროდ ბიოსფერული ფსიქოლოგიისათვის აქ არავითარი სიძნელე არ არსებობს. თუ ცნობიერების მიმდინარეობას ქვეფსიქიური არე უდევს საფუძვლად, — ის, რასაც პოზიტიურად ბიოსფეროს სახელი უკეთ შეეფერება¹, მაშინ გასაგებია, რომ დასახული ამოცანისა და მიღებული გამლზიზიანებლის ზეგავლენით ქვეფსიქიურ არეში თავისებური მდგომარეობა უნდა ჩნდებოდეს, რომელიც თავის ფსიქიურ გამოხატულებას ცნობიერების განსახლერულ შინაარსის სახით პოულობს. საქმე ისეა, არ უნდა წარმოვიდგინოთ — როგორც ძველ ფსიქოლოგიაში ხდება — თითქოს ამოცანის წარმოდგენა თავისთავად არსებობდეს და მისი გარდაქმნევილი წარმოდგენები თავის თავად, და ამ უკანასკნელთა თანამიმდევრობას პირველი განსახლერავდეს. არამედ ასე: ქვეფსიქიურში ერთი მთლიანი მდგომარეობა ჩნდება, რომლის ნიადაგზეც ცნობიერების ასეთივე მთლიანი შინაარსი იბადება: ამოცანის გადაჭრის ცნობიერების შინაარსის თანამიმდევრობა კი არ იძლევა, მას წარმოდგენათა მიმდინარეობის შედეგად როდი ვლბებულობთ, არამედ პირიქით: წარმოდგენათა სწორედ ასეთი და „რა ისეთი თანამიმდევრობა ამოცანის გადაჭრის მთლიანი მდგომარეობის ნაწარმოებად უნდა ჩითვალოს. განწყობა, რომლის გავლენაც Koffkaს რწმენით, აღქმისა და წარმოდგენის განცდის წარმოშვებაზე ყოველ ექვს გარეშეა², სწორედ ამ ქვეფსიქიურ არეში უნდა გადავიტანოთ. მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომაა, რომ ცნობიერების შინაარსის მიმდინარეობა ვგოდენ მქიდროდაა დაკავშირებული განწყობასთან: ცნობიერება ხომ ქვეფსიქიური მდგომარეობის საქარგავზე იშლება! და რა საკვირველია, რომ ცნობიერების ფაქტები თავის აზრსა და სახეს გარკვეული განწყობის ნიადაგზე პოულობდენ!

აღქმისა და წარმოდგენის პრობლემისათვის ქვეფსიქიურის ცნებას გარდაქმნევილი მნიშვნელობა ენიჭება.

სინამდვილის ბიოსფერული არე გარე „გამლიზიანებელთა“ ზეგავლენის მიხედვით იცვლება: ამ გამლიზიანებელთა ზედმოქმედების შემთხვევებში, მაშა-

¹) ბიოსფერული ფსიქოლოგიის ძირითადი ცნების შეახებ პირველად Impersonaliaში (ჩვენი მეცნიერება, № 1) მოიხდა მსჯელობა. შემდეგ: ექსპერ. ფსიქოლოგიის საფუძვლებში. ტ. I, 1925. გვ. 160—184.

²) შდრ. აგრეთვე: Kleint, Ueber den Einfluss der Einstellung auf die Wahrnehmung. Arch. f. d. ges. Psychol. B. LI. 1925. S. 337.

სხადამე, ყოველთვის მისი მდგომარეობის განსაზღვრულ სახესთან გვაქვს საქმე. იქ, სადაც ეს მდგომარეობა აქტუალურია, ჩვენ აქტუალური სინამდვილისადმი უნდა ვიყოთ განწყობილნი, და ვასაგებია, რომ ამ განწყობის ნიადაგზე ცნობიერებაში ისეთი განცდა იბადება, რომელიც ალქმის ყველა თვისებებს განუყრელად ატარებს. ალქმის ჩვეულებრივ შემთხვევებში საფუძვლად ჰას ქვეფსიქიურის გარე ზეგავლენით გამოწვეული აქტუალური საქმის ვითარება უდევს: ამიტომ, რომ გარეგამლიზიანებლის ზედმოქმედების შემთხვევებში ჩვეულებრივ, ალქმისა და წარმოდგენის აღრევა არ ხდება.

მაგრამ ქვეფსიქიურის აქტუალური მდგომარეობის შექმნაში არა მარტო გარე ფაქტორი იღებს მონაწილეობას; არა, აქ ყოველთვის სუბიექტის მდგომარეობაც აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს: ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ აბსოლუტური შემეცნება განხორციელებული ფაქტი იქნებოდა. უნდა ვიფიქრობოთ, რომ ზოგჯერ ერთი ფაქტორი სკარბობს და ზოგჯერ მეორე; ამის ნიხედვით, ქვეფსიქიური არის მდგომარეობაც განსხვავებულია: იგი ხან მეტადაა ობიექტურის მხრივ განსაზღვრული და ხან ნაკლებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც გარდამწყვეტი როლი სუბიექტის მდგომარეობას ენიჭება, ქვეფსიქიურის აქტუალური მდგომარეობა სუბიექტის მიმართულებით განიწყობა, და ობიექტური მომენტის როლი მცირდება. ბუნებრივია ამიტომ, რომ ცნობიერებაში ამ შემთხვევაშიც ალქმისებური განცდა ჩნდება თუმცა ობიექტურ გამოლიზიანებელს იგი სრულიად არ შეეფერება: ქვეფსიქიურში ხომ აქტუალურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ოღონდ ობიექტური ფაქტორი სუბიექტურისაგან არის დაჩრდილული.

ილუზია, ჰალუცინაცია, სიზმარი და ოცნება—ყველაფერი ეს ქვეფსიქიურის ასეთი აქტუალური მდგომარეობის ნიადაგზე ჩნდება, და რომ აქ მართლა სუბიექტური ფაქტორის უპირატეს მონაწილეობასთან გვაქვს საქმე, ეს თანამედროვე ფსიქოლოგიის დაკვირვებებიდანაც ნათლად გამომდინარეობს; ცნობილია, რომ ილუზიის, ჰალუცინაციის, სიზმრისა და ოცნების შინაარსს ჩვენი ინტენსიური ენოციონური განცდები აძლევენ მიმართულებას.

მაშასადამე, ალქმისებურ განცდებს ყოველთვის ქვეფსიქიურის აქტუალური მდგომარეობის კონტექსტი უდევს საფუძვლად. მაგრამ ეს მდგომარეობა ხან ობიექტური გამოლიზიანების მხრივ უფრო მეტადაა განსაზღვრული და ხან სუბიექტურის მხრივ. პირველ შემთხვევაში ჩვენს ცნობიერებაში დასრულებული ალქმის განცდა იჩენს ხოლმე თავს, მეორე შემთხვევაში—ჰალუცინაციისა, ოცნებისა და სიზმრის ალქმისებური განცდები. ამიტომ ხდება, რომ პირველნი ობიექტურად ადექვატური რეალობის განცდას იძლევიან, ხოლო მეორენი—არადექვატური რეალობის განცდას. ამიტომ ხდება ისიც, რომ ყველა ამ განცდებს გრძნობადი შინაარსის სიკვადე და ინტენსიობა ახასიათებს: ცნობიერების არსებობას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რომ რეალურ სინამდვილეში საორიენტაციოდ ცოცხალი არსებასთვის მარტო ბიოსფერული მდგომარეობის ხელმძღვანელობა ყოფილიყო საკმარისი.

სამაგიეროდ იქ, სადაც ბიოსფეროს აქტუალური მდგომარეობის შეცვლასთან არა გვაქვს საქმე, იქ, სადაც მაშასადამე, ცნობიერებაში წარმოდგენის

განცდა იხადება, გრძნობადი შინაარსის სიცხადე და რეტენსიობა ზედმეტი ხდება: ბიოლოგიურად მას გასასამართლებელი საბუთი არ მოეპოება.

მაგრამ არის ხომ შემთხვევები, რომ სუბიექტზე გარე გამოიზიანებელი აქტუალურად მოქმედებს; მაშასადამე, მასში ბიოაფერული მდგომარეობის ცვლილებას, ხოლო ცნობიერებაში აღქმის განცდას უნდა იწვევდეს. მაგრამ ამის მიუხედავად, ცნობიერება მაინც წარმოდგენის სახეებით უპასუხებს. როგორ ხდება ეს? ქვეფსიქიურის ცნებიდან თავის თავად გამომდინარეობს, რომ გარე გამოიზიანებელთა იზოლიურ ზედმოქმედებებსთან არასდროს საქმე არა გვაქვს. რომ ამიტომ ბიოსფეროში ყოველთვის მთლიანი მდგომარეობა ჩნდება, რომელიც ერთგვარი კონტექსტის ან დაკიდევ — განწყობის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ყოველი გარე ზედმოქმედება — არც ვინ სუსტი და მერყეულიც უნდა იყოს იგი — საკმაოდ თვალსაჩინო ანარეკლს პოულობს ბიოსფერულ განწყობილებაში, თუ კი იგი მის კონტექსტს ან განწყობას შეეუერება. წინააღმდეგ შემთხვევაში — მაშინაც კი, როდესაც იგი საკმაოდ ძლიერი და ნტკიცია — ან სრულიად არ აღიბეჭდება ბიოსფერულად და ან იმდენად სუსტად, რომ ცნობიერებაში წარმოდგენის სახით და თუ პოულობს თავის გამოხატულებას. ეს მოსაზრება სრულიად საკმარის ნათელს ჰყენს იმ გარემოებას, რომ ჰერვიერიულ გაზიზიანებელზე უშუალოდ დაპოკიდებული განცდები ან იმ შემთხვევაში განიცდებიან წარმოდგენის სახით, როდესაც ცნობიერების მოცემული კონტექსტისათვის სრულიად მოულოდნელსა და არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებასთან ავჯექს საქმე („სიზმარია ეს, თუ ცხადი?“ ვეკითხებით მაშინ ჩვენ თავს) და ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიზიანებლის ზედმოქმედება სუსტია და გამოუყვეთელი, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ჩვენს დაკვირვებაში და აგრეთვე Perky's ცდებშიც.

D. USNADZE

UEBER WAHRNEHMUNG UND VORSTELLUNG (Zusammenfassung).

1. Wenn man die herrschenden Theorien über Wahrnehmung und Vorstellung überblickt, so kommt man notwendig zum Ergebniss, dass beim heutigen Stande der Wissenschaft nur die folgenden zwei Thesen als massgebende für die Begründung des Unterschiedes zwischen diesen beiden Erlebnissen anerkannt werden müssen: a. der Unterschied zwischen Wahrnehmung und Vorstellung ist nur graduell. b. der Unterschied ist im Erlebnisse der „Eigenpräsenz“ und „Selbstgegenwart“ des Gegenstandes begründet: bei Wahrnehmung ist dieses Erlebniss vorhanden, bei Vorstellung aber nicht.

2. Es wird versucht, nachzuweisen, dass keine von beiden Thesen umzugehen ist, und dass die Wahrnehmung nicht genetisch, sondern wesentlich durch die beiden Momente charakterisiert wird: wie durch das Erlebniss der Selbstgegenwart des gemeinten Gegenstandes, so auch durch die graduelle Steigerung gewisser inhaltlicher Merkmale desselben.

3. Wie kommt es, dass diese beiden Momente, sich notwendig zusammenstoßen? Diese Frage wird in den bisherigen Theorien nicht aufgeworfen, obgleich sie für die Lösung des Problems über Wahrnehmung und Vorstellung von grundlegender Bedeutung zu sein scheint. Die Ansicht, dass das Erlebniss der Selbstgegenwart des Gegenstandes durch die graduelle Steigerung gewisser Erlebnismerkmale zu stande komme, kann nicht ernst genommen werden, denn das widerspricht zu sehr bekannten empirisch und experimentell nachweisbaren Tatsachen.

4. Auf Grund der Selbstbeobachtung wie auch dank der Interpretierung der fremden und eigenen experimentellen Befunde lässt sich die These aufstellen, dass bei der Einstellung auf die Selbstgegenwart oder die Wirklichkeit des Gegenstandes gewisse sinnliche Merkmale des Erlebnisses ihrer Intensität nach merklich höher steigen. Bei der entgegengesetzten Einstellung dagegen ist gewöhnlich das Umgekehrte der Fall.

5. Warum man zu dieser Einsicht bis heute nicht vorgedrungen ist, und keine speziellen Versuche in dieser Richtung angestellt wurden, lässt sich daraus erklären, dass man sich zu fest an die dogmatische s. g. „Konstanz-Hypothese“ der Empfindung festhielt.

6. In Erlebnissen, bei denen wir auf Wirklichkeit des Gegenstandes eingestellt sind, prägen sich die inhaltlichen Merkmale intensiver aus und das Ganze bekommt den Wahrnehmungscharakter. Sobald aber die Einstellung im entgegengesetzten Sinne verändert wird, fällt die Intensität der sinnlichen Merkmale herunter und das Erlebnis wird zur Vorstellung.

7. Es wäre aber verfehlt, zu behaupten, dass die Veränderung der Intensität des Erlebnisses als direkte Funktion der Einstellungsveränderung aufzufassen sei: primär ist weder Intensität noch Einstellung: sie fallen einfach zusammen; sie folgen einander nicht nach, sie machen beide das Ganze des Erlebnisses aus.

8. Das Zusammentreffen dieser beiden Momente weist auf den „unterpsychischen“ Zustand hin, den der Verfasser als Biosphäre bezeichnet wissen will. In dieser noch nicht erforschten Schicht der Wirklichkeit werden durch Eindrücke Veränderungen hervorgerufen, die den Sinn und Gehalt der psychischen Erlebnisse überhaupt begründen. Der Verfasser will die Neuorientierung der Psychologie in dieser Richtung als biosphärische Psychologie bezeichnen.

9. Den Veränderungen in der Biosphäre erwachsen wie die Einstellungen des Subjektes, so auch seine inhaltlichen Erlebnisse. Sind diese Zustandsveränderungen aktuell und ausgeprägt, so wird wie die entsprechende Wirklichkeitseinstellung so auch die Intensität des Erlebnisses ausgeprägter, als im entgegengesetzten Falle.

10. Nicht nur bei der normalen Wahrnehmung, sondern auch im Traum, Halluzination und Phantasie wird der mehr oder weniger stark ausgeprägte Wahrnehmungscharakter der Erlebnisse durch den biosphärischen Zustand begründet. Die hier aufgestellte Theorie der Wahrnehmung und Vorstellung erlaubt also die einheitliche Auffassung aller wahrnehmungsmässiger Erlebnisse ungezwungen durchzuführen.

ვარლამ თოფურია.

ოცობითი თვლის სინტაქსისათვის ქართულურ ენებში¹.

ცნობილია, რომ ზოგიერთ კავკასურ ენასთან ერთად ქართულსა და მის გენეტურად მონათესავე მეგრულ-ქანურსა და სვანურის ორ კილოს, სახელდობრ: ლენტეხურს (ქვემო სვანეთში) და ბალსქვემოუ²ს² (ზემო სვანეთში) ოცობითი თვლა ახასიათებს. ანგარიშის დროს ჩვენ ვამბობთ: ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი და აქედან: ორმოცდაათი, სამოცდათხუთმეტი, ოთხმოცდათერამეტი და ასე შემდეგ.

დღევანდელთან შედარებით ოცობითი თვლა ძველს ქართულში ცოტა სხვანაირად არის წარმოდგენილი. იქ იხმარება: „ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი“... და მაგალითებიც:

ა) ორმოცი: „ორას ორმოცდა ოთხისა დრაჰმისაჲ“ (ათონ. ივერ. მონასტ. კრებულო, 17, 26); „ორმოც დღე და ორმოც ღამე ჰური არა ჭამა“ (იწე ბოლნ. ქადაგ, 5, 1); „რლთაჲმე ორმოცი წელი არს“ (კიმენი, 31, 25-26); „ჭქს მის ჰურითა მათ ორმოც და ექუსსა წელსა აღიშენა“ (ადიშის სახ., იწე II, 20)...

ბ) სამოცი: „და გამოილის ერთმან ოცდაათი და სამოცი და ასი“ (ადიშ. სახ., მწრზ. IV, 8); „და ნაყოფი გამოილიან ერთმან ოცდაათი, ერთმან სამნოცი და ერთმან ასი“ (ib., მწრზ. IV. 20). აქვე აღსანიშნავია ერთი წერილობითი ფონეტიკური მოვლენა: „სამოცი“-ში ორი მ'ს მაგიერ, როგორც ეს ზემო მაგალითში გვაქვს, ჩვეულებრივ ერთი მ გვევლინება, რადგანაც ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე წესის მიხედვით მეზობლად მდგომ ორ თანაბარ თანხმოვანთაჲნ ერთი იკარგვის ამიტომ არის, რომ ძველს ქართულში ასეთი მაგალითები გვხვდება: „სამოცი და ათი დანაკის-კული“ (კიმენი, 31, 12); „გამოაჩინნა ონ სხუანი სავეოც და ათორმეტნი“ (ადიშ. სახ., ლუკა X, 1); „სამოცი წელი მაქუს“ (კელნ. № 1142, 6); „ორათას სამოცდა ათი“ (ვანის სახ., № 1392, 33-208b²);...

ც) ოთხმოცი: „დაჯედ და დაწერე ოთხმოცი“ (ადიშ. სახ., ლუკა XVI, 7); „მოისრნეს თარანელთაგანნი... ოთხმოცი და ოთხი კაცი“ (კიმენი, 41, 2-26);

¹ წაკითხლ იქნა მოსწენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1925 წ. 27 ოქტომბერს.

² სვანური ენის კილოებად დაყოფის შესახებ იხ. აკაკი შანიძე, უმლაღტი სვანურში: „არილი, პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი... მიძღვნილი კრებულო“, ტფილისი 1925, გვ. 171-172.

„ვიდრელარა ოთხმოც და აცხრამეტა [sic] მათ“ (ადიშ. სახ., მათე XVIII,13): „დაუტევენა ოთხმოც და ა[ო]ცხრამეტნი იგი ანგელოზნი“ (იე ბოლნ. ქადაგ., 28₁₁₈)...

ამგვარად, ძველი ქართულით გვაქვს: ორმოცი, სამმოცი || სამეოცი, ოთხმოცი, ხოლო ახლით: ორმოცი, ოთხმოცი (ქს შვევეით) და საპოცი (შეს დაკარგვით). მაგრამ უნდა ითქვას, რომ -ე-სა და -მე-ს დაკარგვა ახალი ქართულის შემოქმედება არ არის; იგი დაკარგულადვე ჩანს იმავე ძველს ძეგლებში, სადაც ვკითხულობთ: „მოსცა ეკლესიასა ორას ოთხმოცი“ (ათონ. კრებ., 226₁₁₃₋₁₁₄); „რომელსა შინა იყო სამოცი ექსავი“ (ib., 244₁₂₂₋₁₂₃); „ეპოვეთ... ას ოთხმოც და ათექუსმეტი“ (წარტყ. იერუს., 48₁₋₂)...

მოყვანილ მავალითებში ჩვენთვის ნაცნობია ორ'ი, სამ'ი, ოთხ'ი და ოცი, ე. ი. პირველი და უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი, ხოლო გაუგებარია ძველი ქართულით მათ შორის ჩართული მარცვლი -მე-. უნებლიედ იბადება კითხვა, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი. მის ასახსნელად შეიძლება ორი მოსაზრების წამოყენება: ა) ეკების იგი შემავრთებელ ნაწილად მიგვეჩნია? მაგრამ ამას ეწინააღმდეგება თვით ქართულის ბუნება, რომელსაც კონპოზიტებში არავითარი შემავრთებელი ნაწილაკი არ ახასიათებს; ბ) თუ დავუშვებო, რომ მ: ორმოც-ოთხმოც'ში სამოც'ის ანალოგიით მივიღეთ, მაშინ აუხსნელი დაგვჩნდება ეს ჩართვა ერთის მხრით, და ნეორეს მხრით, რომ აქ ანალოგიასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ამაში ცხილად დაერწმუნდებით, როცა ჩვენ ქართულის მონათესავე ენების თელას გავითვალისწინებთ.

აკად. ნ. მარრი სულ სხვა განმარტებას იძლევა; მისი სიტყვით: „13 числах 40, 60 и 80 двадцати должны бы стоять по мн. числе и определяющие их числительные единицы — быть согласованы с ними: *ორ-ნ-ი* ოც-ნი, *სამ-ნი* ოც-ნი и *ოთხ-ნი* ოც-ნი. На самом деле еще в древне-литературном — двадцати стоят в ед. числе, как в новогрузинском, но—

В древне-литературном числительные единицы 2, 3 и 4, определяющие двадцати в 40, 60 и 80, стоят в форме на -მე — ორ-მე, სამ-მე → სამე, ოთხ-მე, представляющей собою разновидность формы народного мн. числа¹. და აქვე ნაჩვენებ 52 წ-ში აი. რას ამბობს: „В именах окончание мн. числа с показателем множественности б имеет форму -ებ (←-ემ). То-же окончание появляется в перемещенном состоянии, но с архаичным эквивалентом согласного элемента б, именно *მ-* в виде -მე. Окончание -მე появляется в количественных числительных“ (ib, გვ. 35)².

ამგვარად, როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, ქართული ენის ოცობით თელაში გამოყენებული -მე- ელემენტი აკად. ნ. მარრს მრავლ. რიცხვის მაწარმოებლის—მისი სიტყვით—ხალხური -ებ სუფიქსის არქაულ შესატყვისად მიაჩნია. უკანასკნელ განმარტებაში რომ მის ავტორს დავეთანხმოთ, ჩვენთვის მა-

¹) Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград 1925, § 52, გვ. 73 და Др.-груз.-русский словарь к 1-2 гл. еванг. Марка, СПб. 1913, 48.

²) -მე, როგორც მრავლ. რიცხ. მარცვნიერი სუფიქსი, მოიპოვება, აკად. ნ. მარრის ავე ჩვენებით, ახალ-ულამურში ანუ აქემენიდურ ლტრსმულ წარწერათა მე-2 კატეგორიის ენაში (ib., § 52 და Опред. яз. Ахем., § 17,18).

ინც გაუგებარი დარჩება, თუ რად უნდა ყოფილიყვნენ ან ოცეულნი და ან, მით უმეტეს, ერთეულნი მრავლობით რიცხვში დასწულნი? ამას რომ არ ეგუება ჩვეულებრივ სახელისა და განსაკუთრებით რიცხვის რიცხვთან შეთანხმება ქართულში!¹ მგარამ დაეუშვათ ერთი წუთით, რომ ეგ ნ. მარრის მიერ ახსნილი -მე მართლაც მრავლ. რიცხვის სუფიქსია, მაშინ ჩვენ საამისოდ მეგრულ-ქანურში ხმარებული -ონ, -ენ ელემენტი, ქართული -მე'ს მორფოლოგიური ექვივალენტი, მრავლ. რიცხვის ბოლოსართად უნდა გამოვაცხადოთ. ამგვარი ფუნქციით ალტერვილი -ენ, -ონ სუფიქსი კი მეგრულ-ქანურმა არ იცის. მაშასადამე, ვერც აკად. ნ. მარრის განმარტებაა დამაკმაყოფილებელი.

ახლა გავითვალისწინოთ თვით მეგრულ-ქანური თვლა. გვაქვს:

მეგრულში:		ქანურში:
სუპონეჩი სუმენეჩი	40 *	ჟურენეჩი ჟურნეჩი
ოთხონეჩი	60	სუპენეჩი
	80	ოთხენეჩი ²:

როგორც ვხედავთ, თვლის სისტემა აქაც ქართულისებურია: აღებულია *ჟორ || ჟურ, სუმ, ოთხ ერთეული და მიმატებულია ეჩი („ოცი“), ხოლო ქართული -მე'ს მსგავსად ჩართულია -ონ (მეგრულში) და -ენ (ქანურში). ეს ელემენტები მეგრულ-ქანურის ნიადაგზე დღეს აუხსნელია. შეიძლებოდა კი ესენი ერთის შეხედვით ქანურში ხმარებულ რიგობის მაწარმოებელ -ენერ ან.

¹) აი მაგალითები: „და ვაჟეთ ოც და ათრეჟტი კაცი მოკლული“ (კიმენი, 30, 2-); „გამოვალს ათორმეტი წყაროა და მოპრუყავს იგი“ (ib., 32, 1-2); „და ავა მოიწია... ექუსასი მბრძოლა“ (ib., 41, 1-17); ათუიღმეტი წელი“ (ხელნ. № 1142, 51b)... ანდა: „ათაი ოთხას“ (წარტყ. იერუს., G2, 32-33); „იყო რიცხუი იგი... სამეოც და ექუსი ათასი და ხუთასი და ცხრაღ სული“ (ib., G3, 26-27)..., მაშასადამე, При количественных числительных свыше одного исчисляемые ими предметы в древне-литературном ставятся во мн. числе—როგორც დებულების—აბსოლუტურად მიღება შეუძლებელია (Гр. др.-лит. гр. яз., § 92).

*) „ორმოცი“ მეგრულად იქნება „ჯარნეჩი || ქარნეჩი“; უნდა ყოფილიყო კი „ჟირ-ონ-ეჩი“. ამ უკანასკნელისაგან თუ რა გზით მივიღეთ „ქარნეჩი“, ჩვენთვის ნაწილობრივ მოსადიდ ახსნას იძლევა დან. შიძ. გ. ყიფშიძე: „ორი ონი ფესხ ვერ იკიდებს, მათ ადგილს იჭერს ანი... შემდეგ ოო-საგან წარმომდგარა აა. ორი ა მიიღება ინისა და ონისაგან. სხვანაირად ვერ აიხსნება წარმოშობა ფორმისა: ქ (ა) რ ნ ე ჩ ი („ორმოცი“)... „ორმოცი“-სათვის უნდა ყოფილიყო *ჟორნეჩი || ქორი („ორი“) + ეჩი, მაგრამ არის ქ (ა) რ ნ ე ჩ ი. ცხადია, აქაც მომზდარა ჩვეულებრივი ასიმილაცია: ჟორნეჩი, ხოლო ამ უკანასკნელისაგან სხვა რომლისაზე ფორმის მიღება გარდა ქარნეჩი-სა შეუძლებელია“ (იხ. „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“: ტფ. უნივ. მოამბე, № 1, ტფ. 1915-20, გვ. 7-8).

რომ „ქარნეჩი“ „ჟორნეჩი“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ეგ ცხადია, მაგრამ არა ინისა და ონის ზეგრესული ასიმილაციით, არამედ, უნდა ვიგულისხმოთ რომ, დღევანდელი „ჟირი“-ს ნაცვლად მეგრულში უნდა ყოფილიყო *ჟორი, რასაც ცხადად გვიდასტურებს ქანური ჟურ და მეგრული: ნ სესხების გზით შესული სვანური ჯორი და ქართ. ორი || ჟორი (იხ. ნ. მარრის, Заимствование числительных в фетических языках: ИАН, СПб. 1913, გვ. 789 და Грамм. др.-лит. гр. яз., § 95 გ. აგრეთვე: Яфетические элементы, IX, გვ. 235).

²) ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. (инвер.) яз., СПб. 1914, § 35 ც და ნ. მარრი, Грамм. чанск. (лазск.) яз., СПб. 1910, § 34 და ი. ყიფშიძე, Дополнит. свед. о чанском яз., СПб. 1911, § 34.

-ონ სუფიქსებთან¹ დაგვეკავშირებინა, მაგრამ რიგი დაბრკოლებათა აქაც გვე-
ლობება: თუ პარველს (ე. ი. ენერს) დაუკავშირებთ, მაშინ -ერის დაკარგვა
უნდა აეხსნათ; ყოველ შემთხვევაში -ენის ბუნება ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს.
მისი მრავლობითი რიცხვის სუფიქსობა, როგორც ეს აკად. ნ. მარსს მიჰჩნია,
ჩვენთვის საეჭვოა. თუ -ონს—ქანურს თელაში იგი არაა გამოყენებული.

მაშასადამე, ერთეულ-ოცეულ შორის მოქცეული ძველ ქართულში -მე (ახ-
ლით: -მ), მეგრულში -ონ და ქანურში -ენ ელემენტი არსებულ და მოსაყვანად
შესაძლებელ მოსაზრებათა მიხედვით განუმარტებელია: იგი ა რ ც შემაერთე-
ბელი ნაწილაკია, ა რ ც ანალოგიითაა მიღებული და ა რ ც
მრავლ. რიცხვის სუფიქსია.

მაშ რა უნდა იყოს? გასაღებს ქართულისავე მონათესავე სევანური უნდა
იძლეოდეს. სევანურის ორი კილო: ლაშხური და ბალსჭემოური თელას ათო-
ბით აწარმოებს, ამიტომ მათ ამ ჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს², ხო-
ლო დანაზრენა ორი კილო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბალსჭემოური და
ლენტეხური -ოცობით. თვით „ოცი“ კი ათობითი თვის სისტემაზეა დამყა-
რებული: აერჟეშდ [\llcorner აერჟჟაგეშდ] („ორათი“)³. ლენტეხური ჩვენი სა-
კითხის გასაშუქებლად საყურადღებოს არათურს წარმოადგენს, ამიტომ მას განზე
ვტოვებთ. მიუზბრუნდეთ ბალსჭემოურს; იქ თვლიან:

აერჟეშდ („ორათი“). ურინერჟეშდ („ორმოცი“), სუმინერჟეშდ
(„სამოცი“). ამათი დაშლა შეიძლება შემდეგნაირად: ურ-ინ-ერჟეშდ, სუმ-
ინ-ერჟეშდ. პირველი ურ, სუმ მიღებულია ა-ორის და სემისაგან („ორი“,
„სამი“), ერჟეშდ ჩვენთვის ნაცნობია, ხოლო მათ შორის ქართულ-მეგრულის
მსგავსად ჩართულია -ონ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ -ონ არ არის ისე გაქვე-
ვებულიად წარმოდგენილი სევანურში, როგორც მისი მორფოლოგიური ეჭვივა-
ლენტები ქართულ-მეგრულში. იგი ცოცხალი და გარკვეული ელემენტია სე-
ანურში: იხმარება რიცხვთან და რაოდენობით ზმნისართებთან (როგორცაა:
(„ბევრი, რამდენი“) და ნიშნავს თანამედროვე ენით რომ ვთქვათ: „ჯერ, ხელ“
(„რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს“: გრგოლ ხანძთ., ნე,თ) და ძველი ქართ. „გზის“
(„სამგზის სანატრელი“...), მაგ.: ეშხჟინ („ერთჯერ“), ჟოშელდინ („რამ-
დენჯერ“), ხჟაინ || ხჟაადინ („მრავალჯერ“), მაშასადამე, ურინერჟეშდ =
ურ (<ა-ორ „ორ“ + ინ („ჯერ, ხელ, გზის“) + ერჟეშდ („ორ-ათი“).

ამგვარად, ქართულ-მეგრულ-ქანურისა და სევანურის თვის თანაბარი სი-
სტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, რომ ქართ. -მე⁴სა და

¹) Грамм. чанск. (лазск.) яз., § 35 б.

²) დანტერგებულთ მიეუთითებთ პროფ. აკ. შანიძის წერილზე: „ოცობით თელა და
ათობით წერა ქართულში“ („ჩვენი მეცნიერება“, № 11-12, ტფ. 1924. გვ. 13).

³) „ათისა და სევან. „ა-უმდ“-ის ფონეტიკური სატყვისი მეგრულში „ოთი“ გახლავთ,
ზაიდანაც ონის „ვი“ ჯგუფად დაშლით [როგორც „ხომა || ხვიმა“, „ხოლარი || ხვილ-
არი“] დღევანდელი ენითა უნდა იყოს წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინის დართვა
ერთში გაფეხვარი რჩება. სევანურ აერჟეშდის ზედა რედუქციკაჟნითი უა
და არა ეშდის კლთვნილება, ამას ლენტეხური აერჟეშდ ერთის მხრით და მეორე მხრით
რიგითი რიცხვი „მერჟე“ [\llcorner მერჟე-ე] („მერთე“) გვიმოწმებს. უკანასკნელი ქართულშიაო შე-
მოსული (Н. Марш, Др.-гр.-рус. слов., ჯრ და Грамм., გვ. 18).

მეგრულ-ქანურ -ონ, -ენს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორც დღეს სვანურში ცოცხლად დარჩენილ -ინს. და თუ ეს ასეა, მაშინ ორძეოცი = 2×20 , სუმონეჩი = 3×20 და სხ¹.

ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს კავკასური ენებიდან აბხაზური, წოვა-თუშური (ბაცური) და ჩაჩური (ქისტური), სადაც თვლის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ენათთვის საჭირო სატრანსკრიპციო ნიშნების უქონლობის გამო იძულებულნი ვართ აქვამად ააგალითების მოყვანაზე უარი ვთქვათ და მხოლოდ ლიტერატურაზე მიუთითოთ მივთხველს².

W. TOPOURIA.

SUR LE SYSTÈME DU CALCUL VIGÉSIMAL DANS LES LANGUES KARTUÉLIENNES.

Le but de cet article est de définir la nature des éléments qui sont employés au moment du calcul vigésimal dans les langues kartuéliennes et précisément les infixes: -„me“- (dans le vieux géorgien, -„m“- dans le géorgien moderne), -„oi“- (dans le mingrélien) et -„en“- (dans le tchanien ou le laze) qui sont intercalés entre les unités et les vingtaines et dont la signification est incompréhensible aujourd'hui, si on se base seulement sur le géorgien et le mingrélien (avec le laze), mais si nous considérons la langue suz-nienne, nous verrons que l'infixe -„in“- employé dans l'un des dialectes de cette langue (notamment dans le Bas-Balien) pour la formation des vingtaines (40, 60), vit encore comme suffixe formatif et signifie simplement „fois“, (une fois, deux fois etc.) ainsi que les mots géorgiens „gzis“ et „khel“ qui expriment la même chose. C'est pourquoi leur identité morphologique et le système commun du calcul nous fait penser que dans les langues kartuéliennes les éléments cités ci-dessus doivent remplir les mêmes fonctions que le -„in“- dans le suanien et par conséquent doivent signifier aussi „fois“ („khel“, „gzis“); il en résulte que p. ex. le mot géorg. „or-me-otsi“ (40) veut dire littéralement: deux fois vingt.

¹) მ. ბროსსევიცი სწერს, რომ სამოცი სამჯერ ოციაო (3 fois 20... Grammaire Géorgienne, p. 56) და აღ. ცაგარელიც ადასტურებს, რომ: четные десятки образуются посредством умножения 20 на 2, 3, 4 и т. п. (Срavn. обзор морфологии иберийской группы Кавк. языков, СПб. 1872, გვ. 46-47), მაგრამ არა ჩანს, როგორ ესმის მათ, თუ როგორ ხდება სახელდობრ ეს ჯერობა ან გამრავლება. ი. ყიფშიძე ცთება, როცა 6 ჩანათად მიანიხნა (Грамм. минг. яз., § 3, I და ასობ. და დისობ. წესი, გვ. 5).

²) აფხაზურისათვის ნ. П. Услар, Абхазский язык, Тифлис 1897, § 89; წოვა-თუშურისათვის A. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache, S.-Petersb. 1856, §§ 141, 146 და ჩაჩურისათვის (ქისტურისათვის): П. Услар, Чеченский язык, Тифлис 1858, §§ 44, 48. პირველს (აბხაზურს) სიმ. ჯანაშიამ და მეორეს (წოვა-თუშურს) პროფ. აკ. შანიძემ მოაქციეს ჩემი ყურადღება და სათანადო მასალებიც მომწოდეს. რისთვისაც მათ მადლობას ვუცხადებ.

მიხეილ უარცვანიძე.

STRONGYLOIDES STERCORALIS-ის ფილარიის მავნარი ლარვის მოზოლოგიური ცვლილებანი კოპროკოპულტურაში¹

(Strong. sterc. აღმოჩენილია 1876 Dr Normand-ის მიერ კობინხინიდან ინგლისში ჩამოსულ ჯარის კაცის განავალში. Bavyმ-კი პირველად აღწერა ის იმავე წელ.).

ჩვენში, როგორც ბოლო წლების დაკვირვებანი გვარწმუნებენ, ჩეტად გავრცელებულია ადამიანის საკმლის მონელებელი აპარატის ძლიერ აფთვისებია-ნი, და დღემდე შეუზღწეველი, კიები.

უკანასკნელი მოვლენა იმით უნდა აიხსნას, რომ როგორც თვით ავადმყოფი, ისევე ექიმები ვერ აზრებდნენ აქამდის ამ, მხედველობის საზღვარზე მყოფს, კიებს და მხოლოდ ამ უამად ჩვენში ქართველ ექიმს გაეხსნა ახალი პორიზონ-ტები, გარემოცული სულ სხვა ატმოსფეროთი. ეს ატმოსფერო ტრიალებს ისეთი სამეცნიერო ტაძრის ირგვლივ, როგორც არის ქართული უნივერსიტეტი. ამ დღიამ და აწ ისტორიულმა დაწესებულებამ გადაახალისა შთამომავლობა ძველი ქართული კულტურის მატარებლებისა და საკუთარი თვალთ უფრო ღრმად ჩაახედვინა ჩვენს ექიმებსაც ხალხის ქარ-ვარამში და მის ცხოვრების თავიდასაველში.

ბუნებულ კიებში უკვე ნაპოვია: Necator americ., Ankylost. duodenale, და Strongyloides sterc., ანუ Anguillula intest. et stercoralis, რომლებიც ქნნიან საქართველოში ენდემიებს, ანკილოსტომიაზისა და ანგვილულოზის მოვლენით. ჩვენ გვაქვს ხელთ უტყუარი ცნობები ამ ახალი, თუ ასე შეიძლება ვთქვათ, უბედურების გავრცელებისა ჩვენში. ამ ცნობების მიხედვით, ანკილოსტომიაზი მეტად არის გავრცელებული გურია-სამეგრელო-იმერეთში, სადაც არის აღმოჩენილი ავადმყოფობის ნამდვილ-ბუდეები. რაც შეეხება ანგვილულოზს, ეს ჯერ ჯერობით არ არის ენდემიოლოგიურად შესწავლილი და ელის, როგორც ანკილოსტომიაზი, თავის მახვილადქს.

მხოლოდ ერთი ვიცით დანამდვილებით, რომ ანგვილულოზი საქართველოში პირველად შემჩნეულია უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ კლინიკაში ექიმ ნიკო ყიფშიძის მიერ და თვით Anguillula-კი -- იმავე შემთხვევაში და იმავე კლინიკის ლაბორატორიაში ექ. ი. ხათრიძის მიერ, 1923 წ.².

1) მოხსენებულია ქართ. ექიმთა საზოგადოების სხდომაზე 5 ნოვრბრისთვეს, 1925 წელს.

2) ყიფშიძე და ხათრიძე. Strong. stercoralis, თანამედროვე პედიკონა, № 5, 1924.

ამის შემდეგ ანგილულოზი იყო შემწნეული ბევრჯერ ტფილისის სახეიდ-რო ჰოსპიტალში, რესპუბლიკის ც. კლინიკურ ინსტიტუტში, უნივ. თერაპევტი-ულ კლინიკაში, ჯ. კ. ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში, ჯ. კ. სასამართლო-ქი-მიურ ლაბორატორიაში და ჩემ მიერ ბორჯომის საკურორტო ლაბორატორია-ში. გარდა ამისა, ჯ. კ. დამხლვევ განყოფილების სამკურნალო ქვე-განყოფილე-ბის მიერ 1925 წ. მოწყობილი იყო ჰელმინტოლოგიური ექსპედიცია ექ. მაკა მაჩაბლის თაოსნობით, რომელმაც აღმოაჩინა *Anguillula* ტყიბულისა და ჭიანჭურის მალაროების მუშათა განავალში 22 შემთხვევაში (გაშინჯული იყო 1000-ზე მეტი ადამიანი).

ზოგადი მიმოხილვა და ანგილულის ისტორიული ცნობები.

როგორც თვით ჭიის სახელწოდება გვიკარნახებს, ეს ჭია ცხოვრობს რო-გორც ნაწლავებში (*Anguillula intestinalis*), ისევე ბუნებაში—ნიდაგში, ნებში (*Anguillula stercoralis*—უკანასკნელი სიტყვა წარმომდგარია *Stercus* სიტყვიდან, რაც ნიშნავს ნებს). საკუთრად, *Anguill. intestin.* ბინადრობს წვრილი ნაწლა-ვის თვით კედელში, ლორწოვანი გარსის ქვეშ, და წარმოადგენს ქალწულებრი-ვი ჭიის ძაფისებრ ფორმას, ზომით $3 \times 0,007$ mm (Bavay) — $0,034$ mm (Braun); *Anguillula stercoralis* კი უკვე სქესოვანი ჭიის ფორმაა, ზომით (მდედრობითი სქესისა) 1 mm და მეტიც $\times 0,005$ m/m და (მამრობითი) $0,7$ m/m $\times 0,035$ m/m (Braun). Perroncitolებურად: წიფლ. სქ. $0,95$ mm $\times 52$ მიკრ., მამრ. $0,68$ m/m $\times 34$ მიკრ.

რაც შეეხება იმ მიკროსკოპიულ ჭიებს, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივად ეპოულობთ განავალში ანგილულოზის დროს (ხანდახან მიკროსკოპიულ არეში რამდენიმე ძლიერ მოძრავ ჭიას), ესენი წარმოადგენენ ხსენებული ქალწულებრივი ჭიის მატლებს, ანუ ლარვებს, ანუ ე. წ. „პირველი რივის რაბდითიობებს“, სიგ-რძით $0,35$ m/m (Braun, Brumpt).

ამ ჭიის სამშობლოდ ცნობალია ჩინეთი, საიდანაც შეტანილია და ენდე-მიურად არის გავრცელებული იაპონიაში, ეგვიპტეში, ბრაზილიაში, აფრიკაში და გარდა ამისა შემწნეული იყო რამდენჯერმე დასავლეთ ევროპაში და მხო-ლოდ ერთხელ რუსეთში—ტომსკში, პროფ. კურლოვის მიერ (1912).

ადამიანს ეყრება ეს ჭია ე. წ. ლარვეს *Strongyloides* ანუ ფილარიის მაგ-ვარი ფორმის საშუალებით, რაც წარმოადგენს *Anguillula*-ის განვითარების ერთ-ერთს საფეხურს. ეს ფილარიის მაგვარი ჰხედება ადამიანს ან ჩვეულებრივი გზით (პირის მხრივ) ან-და, როგორც ეს *Fülleborn*-მა დაამტკიცა, გარეგანი საფარვე-ლის,—სრულიად ჯანმრთელი კანისა და ლორწოვანი გარსის გზით: აქედან ჭიე-ბი გადადიან ლიმფურსა და ვენურ სისტემაში, ჰხედებიან ფილტვებს, საიდანაც ზიდიან სასულეში, საყლაპავ მილში, კუჭში და ესახლებიან თორმეტკოჯა და წვრილ ნაწლავების კედელში. Brumpt-ის აზრით კი ეს გზა უნდა იყოს ძლიერ იშვიათი, და ჩვეულებრივად ლარვები გვერდს უნდა უხვევენ ლიმფურ-ვენურ სისტემას და გადადიოდნენ ფილტვებში შემაერთებული გარსის გზით. Kosugem (1924) გამოიკვლია ჰისტოლოგიური პროცესი *Strongyloides* ლარვების შესვლისა სხვა-დასხვა ცხოველთა კანში. მისი დაკვირვებით, თხელ კანიან ცხოველებს (როგო-

რიცაა, მაგ., თაგვები), ლარვები თითქმის ერთი წუთის განმავლობაში გადაულდის კანქვეშა შემეართებელ გარსში. დანარჩენ შემთხვევაში კი, როდესაც ცდების ობიექტებად აღებული ცხოველები უფრო უხეში და ტლანქი საფარველით, ლარვები შედიან ბეწვისა და თმის ბუდეში და აქედან თვით ორგანიზმში; ადამიანს კი ეყრება ხანდახან საოფლე ჯირკვლების გზითაც Kosugel არც ერთხელ არ უნახავს ქიის ლარვები ასეთი საცდელი ცხოველების სისხლის პრეპარატებში.

გარდა ამისა, Füllebornმა, Hung-See-Lu და Höppliმ 1923 დაამტკიცეს, რომ ძალისა და ადამიანის Strongyloides მორფოლოგიურად არ განიზღვეიან ერთი მეორისაგან, მაგრამ ბიოლოგიურად კი მათ საერთო არა რა აქვთ, რადგანაც ადამიანის ფილარიის მაგვარი ლარვე არ ეყრება ძალღებს.

აქვე საინტერესოდ მიმაჩნია აღვნიშნო Fornara-ს დაკვირვება (1923), როდესაც ერთ ჯანმრთელ ქალს, თირკმლების უეცარი რკივლების დროს, აღმოაჩნდა შერღში სისხლს და Anguillula-ს უანრავი ფილარიის მაგვარი ლარვე. რაბდიტოიდები კი იყო შემჩნეული განავალში მხოლოდ 19 დღის შემდეგ. Fornara სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქიის ფილარიის მაგვარი ლარვები ამ შემთხვევაში ფილტვებიდან შესაძლებელია გადასულიყვნენ მარცხენა გულში და იქიდან, სისხლის ქურქლების გზით, თირკმელში.

აქვე მომყავს Anguillula-ის ევოლუციის ციკლის ტაბულა, შედგენილი ჩემ მიერ ლიტერატურისა და საკუთარი მასალების მიხედვით.


რადგანაც Anguillula intestin. და stercoralis, ჩვენის აზრით, არ არის საკმაოდ შესწავლილი და გარდა ამისა, ძველსა და ახალ ლიტერატურაში მათ აღწერის დროს ჩვენ ვპხედებით ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო დაკვირვებებს, განვიზრახეთ დავეყენებინა ზოგიერთი ცდები იმ ქიის განვითარების შესახებ კომპოკულტურაში.

მასალა (განავალი) მიღებული იყო ავადმყოფიდან 1-1. IX. 1295 და იმ დღესვე დადგმული—ნაწილი თერმოსტატში (13°C), ნაწილი კი დატოვებული ლაბორატორიის ერთ ერთ კარადაში, რომლის ტემპერატურა დღე და-ღამ მერყეობდა 16°C-დან 20°C-მდე. განავალს ორსავე შემთხვევაში ჰქონდა მომატებული ცოტათი ცხოველობითი ნახშირი, როგორც ეს აქვს აღნიშნული Brunpis თავის სახელმძღვანელოში (1922). განავლის რეაქცია იყო მტუტე.

იმ დღესვე იყო შესწავლილი და გაზომილი განავლის ქიები, ე. ი. პირველი რიგის რაბდიტოიდები. ჩვენებურ ქიებს თავისებურება აღმოაჩნდა მხოლოდ ზომების მხრივ. სიგრძე მათი არ აღემატება 200 მიკრ.-ს და სიფართე 9-11 მიკრონს. იმ დროს, როდესაც Eruipits დაკვირვებით სიგრძე მათი უდრის 200—300 მიკრ.ს, სიფართე—14—16 მიკრ.ს, Noci-ს დაკვირვებით კი სიგრძე 180 მიკრ.ს. სიფართე 27 მიკრ.ს, Brauით 350 მიკრ.ს. დანარჩენში აპაფრითარ განსხეულება უკვე ცნობილი რაბდიტოიდებიდან.

ამ ქიებიდან მეორე დღეს იყო მიღებული კომპოკულტურა, სადაც ჩვენ ვპხედებით მხოლოდ ფილარიის მაგვარ ლარვებს, ანუ ე. წ. სტრონგილოიდურ, ანუ ინფექციურ ლარვებს და, მიუხედავად რამდენიმე ათეული პრეპარატის გაშინჯვისა, რაბდიტოიდები აღარ იყო შემჩნეული. მიღებულ ფორმას უკვე აღარ ემჩნეოდა ჩვეულებრივი დია პირის ნაპრალი, მხოლოდ წინა ბოლოზე ნათლად

ეტყობოდა საშოს მსგავსი გარსი, რის შემდეგაც იწყებოდა ნამდვილი სხეული ქიისა. ამ სხეულს დააწყისში, დიდი გადიდების დროს (ოკ. 12, ობიექტ.), შეიძლება შემწეულ იყოს ნაპარალსებრივი გასწვრივი ხაზი და თვით სხეულის თავზე ქოჩრის მსგავსი შეკეულობა. უკანა ბოლოს აღარ ეჩნევა ისეთი სიმახვილე, როგორც რაბდიტოიდს. აქ პარაზიტს ეტყობა შესამჩნევად ზრდა. მისი ზომები



სურ. 1. ორიგინალი.


Zeich.-apparat მიკროსკოპიდან (ნახატი რ. ბასილაშვილისა).

უღრის: სიგრძე—330—335 მიკ.ს, სიგანე—14 მიკ.ს. საყლაპავ მილზე აღარ მოჩანს რაბდიტოიდის საპოლუსო გავანიერება, მაგრამ საზღვარი ავ მილისა და ნაწლავისა ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოხატული.

მესამე დღეს კიას სიგრძე ემატება, რაც უღრის 364 მიკ.ს, სიფართე რჩება უწინდებურად. არც წინა ბოლო განიცდის ცვლილებას, უკანა ბოლოს კი

ენჩნევა მკაფიო ნობაზულობა და ის დაბოლოების მწვერვალი, რომელიც აქამდე მახვილად თავდებოდა, ეხლა ვითომ გადაკრილია და შიგ მოჩანს თოსოს მსგავსი ჩაღრმავება (გად 750).

მეოთხე დღეს კიას, შუა ნაწილზედ, უკვე მკაფიოდ აქვს განსაზღვრული საყლაპავი მილის დაბოლოება და ნაწლავის დასაწყისი. ზომა რჩება მესამე დღისა. უკანა ბოლოს კი ენჩნევა უფრო დიდი ჩაღრმავება; ნაწლავის დაბოლოებას აქვს მომრგვალებული მწვერვალი.



სურ. 2. *Original.*

Zeich.-apphot მიკროსკოპიდან (ნახატი რ. ბასილაშვილისა).

მეხუთე დღეს უკანა დაბოლოებას გადაკრილობა აღარ ენჩნევა, ჩაღრმავება-კი მახვილი კუთხეებით იწყება კიის კედლებიდან. ნაწლავის დაბოლოებას აქვს მახვილი მწვერვალი. ზომა უდრის—390 მიკრონამდე.

მეექვსე დღეს კიის დაბოლოებას ენჩნევა ისეთივე გადაკრილობა, როგორც მე-4 დღეზედ, მაგრამ ჩაღრმავების ფსკერი მხვილოვანია (იხ. სურ. 2).

ამ დღიდან ნაწლავი თავის დასაწყისში ორკაპდება და თითოეული ნაწილი წაომოადგენს სწორ გვერდიან ერთ უჯრედიან რომბს, რომლის ცენტროში მოჩანს წერტილისებრივი ჩაღრმეება.


ზრდა უცვლელია.

მეშვიდე დღეს დაბოლოვებას ემჩნევა უკვე მომრგვალება. დანარჩენში — ახალი არაფერი.

მერვე დღეს დაბოლოვების მწვერვალს ემჩნევა ძლიერ ნაზი გარდი-გარდმო ხაზი.

მეცხრე დღეზე დაბოლოვებას უბრუნდება სიმახვილე ბლაგვი კუთხეთი, მაგრამ მას გვერდით ემჩნევა რალაც ხაზი, რაც შეადგენს ქიის ტანის გარსის გაგრძელებას.

შათე დღეს — ხსენებული ხაზი იკარგება. პარაზიტები მოიპოვება ძლიერ იშვიათად (25—30 პრეპარატში 1-2 ქიას თუ იპოვით). განავალს აქვს შერჩენილი ბოლომდე მტუტე რეაქცია (იხ. სურ. 3).



სურ. 3. Original.

სქემა ფილარის მავარი ლარვის განვითარების კოპროკულტურაში, 1-დან მე-10 დღემდე. (ნახატი რ. ბასილაშვილისა).

ამის შემდეგ ქიები ნელ-ნელა ილუპება და უკახასნელ დღეებში ვამჩნევთ მხოლოდ მკვდარ პარაზიტებს, რომლებიც მორფოლოგიურად სრულიად არ განირჩევა უკანასკნელი დღეების ლარვებისაგან. აღნიშნული დაკვირვებანი სწარმოებდა პარალელურად როგორც თერმოსტატიდან აღებულ კულტურაზე, ისე უბრალო კარადის კულტურაზე და შედეგები ყოველთვის ერთი და იგივე იყო მიღებული.

ამ ცდების დროს მხოლოდ ერთხელ იყო ნაპოვნი მომწიფებული და სქესიანი ფორმა ქიისა, — მდელდობრითი სქესისა. ეს ქია სავსებით მოგვაგონებს Zinnის მიერ აღწერილ პარაზიტს¹⁾, მხოლოდ 30-40 კვერცხის მაგიერ, პარაზიტს ეუნახეთ საშილოსნოში მხოლოდ 22 კვერცხი ერთ წყობად დალაგებული. კვერცხი თითქმის სფერული ფორმისაა. გამჭვირვალე და ოდნავ ღია ჩალის ფერის ნაკუქში მოთავსებულია თვით რაბდიტოიდის ჩანასახი, რომელიც დაყოფილია

¹⁾ Über Anguillula intestinalis, 1899.

ხოლმე სვერულ უჯრედებზე, რიცხვით რვაზე და, რაც აღსანიშნავია, მეტზე-დაც. ზომები ამ კვერცხებისა 4ს მიკრ. X 37 მიკრ. (მ. ფარცვანიძე¹, თვით პარაზიტისა კი: სიგრძე 1,16 mm, სიფართე — 58 მიკრონი²).

ამის შემდეგ იყო მოთავსებული ახალი პორციები განავალისა, როგორც ამას ვეიკარნახებს პროფ. Павловский (1924) და ძველი სახელმძღვანელოები (Verdun, Brumpt, 1914), 25—25^ა და 37^ბ-ის ტემპერატურის ზეგავლენით და მიღებული იყო მხოლოდ ფილარიის მაგვარი ლარვები ისეთივე ტიპისა, როგორც ზემოთ აღწერილ კოპროკულტურაში. ერთი ცდაც იყო დაყენებული ექ. ნამუ-ლაი შვილის მიერ, რომელმაც ქიებიანი განავალი მოათავსა თერმოსტატში, რომლის 1^ა უდრიდა 39^ა.ს, მაგრამ მეორე დღესვე რაბდიტოიდები დაიღუპა და განავალში ნაპოვნი იყო მხოლოდ მათი გვაშები.

ამით დასტურდება ახალი მოსაზრება Brumptისა, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ პირველი რიგის რაბდიტოიდები თავის ევოლუციის დროს წინასწარ არიან განჩინებულნი—ფილარიის მაგვარ ლარვებში ან თუ მომწიფებულ სქესიან პარაზიტებში გადასასვლელად, რადგან „Dans le milieu extérieur à une température supérieure à XV° ces larves donnent, suivant leur prédestination: soit directement des larves strongyloides infectieuses, soit des formes: sexuées“ (Précis de parasitologie, 1922, გვ. 696)³, რის მიზეზად ჩვენც უნდა ვცნათ თითოეული რაბდიტოიდისათვის რაღაც ბედისწერა და არა ზეგავლენა რომელიმე გარკვეული ტემპერატურისა, რაც სრულიად უნიადაგოდ იყო აღნიშნული ავტორების მიერ, ძველ სახელმძღვანელოებში და ზოგჯერ ახალშიაც⁴.

ზემოთ აღნიშნული ცდები განმეორებული იყო კიდევ ორჯერ (22. XI. და 1. X. 1925) და სამსავე შემთხვევაში მივიღეთ ერთი და იგივე ინჟექციური ლარვის სურათები. ამ ლარვის მორფოლოგიურ ცვლილებებს, ჩვენ მიერ პირველად შეჩინეულს, რასაკვირველია, აქვს მხოლოდ თეორიული ხასიათი და ნაკარნახევია მით, რომ სხვადასხვა სტადიის დამახასიათებელი ნიშნები ზრდის დროს, საზოგადოდ, ემჩნევა ყოველივე ლარვის, როგორც ეს დაამტკიცეს ანოფელისის ლარვებისთვისაც E. Tänzlerმა და H. Osterwaldმა, 1919-ს, ძლიერ საგულისხმეორო შედეგებით.

რადგანაც ასეთ ზრდაზე Strongyloides ლარვის შესახებ ლიტერატურაში, უცხო და ჩვენი ავტორების მიერ არა-რა იყო აღნიშნული, ჩვენ შევეცადეთ და მივიღეთ ლარვის თანდათანობითი განვითარების ნიმუშები კოპროკულტურაში, იმ ლარვისა, რომელიც ანგვილოლოზის ეტიოლოგიაში წარმოადგენს პირდაპირ შეუნაცვლელ ქეაკუთხედს, რადგანაც, როგორც იყო ნახსენები ზემოთ, უპ-ლარვისოდ აღამიანის ანგვილოლოზით დაავადება შეუძლე-

¹) Braun-ის დაკვირვებით კვერცხის სიგრძე 70 მიკრ., სიფართე—45.

²) Brauntისებურად 1 mm და ცოტა მეტიც X 30 მიკრ.

³) „ორგანიზმის გაღზე, 15^ა-ს ზემოთ, პირველი რიგის რაბდიტოიდები იძლევიან, თანახმად მათზე წინასწარ განჩინებისა: ხ ა 5 პირდაპირ ფილარიის მაგვარ ლარვებს, ხ ა ნ სქესოვან ფორმებს“.

⁴) Brumpt 1914, Verdun 1914, Павловский 1924, და სხვა მრავ.

ბელია. ჩენის აზრით, ადამიანის ლიმფისა და ვენურ სისტემაშიაც უნდა ხდებოდეს ასეთივე ნორფოლოგიური ცვლილებანი, სანამ გადაიქმნებოდნენ მომწიფებული, მხოლოდ ქალწულებრივი, *Anguillula intestinalis*-ის ფორმად.

მაგრამ დასაშვებია ერთი წუთით მეორე მოსაზრებაც. საქმე ის გახლავს, რომ ხშირად როგორც ორგანიზმში, ისე უფრო ხშირად, კულტურაში ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ მცენარეობით პარაზიტში ინვოლუციურსა და ცხოველობითში კი დევენერატიულ ფორმებს. ეს ფორმები გამოწვეულია პარაზიტების მომწიფებული ხნოვანობით და უკურო მოხუცებულობით. შეიძლება ამ ცხოვრების ციკლს ჰქონდეს ადგილი ჩვენს ცდებში?.. მაგრამ, პარაზიტებზე ხანგრძლივი, კულტურის ნეთოდით, დაკვირვებიდან¹ ჩვენ ვიცით, რომ მოხუცებულობის ხანაში უჯრედის სხეული ძლიერ პატარაედება, ორგანოები როგორც გარეგანი. ისე შინაგანი ვანიცლის ატროფიას, ორგანიზმს ამახინჯებს ახლად გაჩენილი ეაკულოები და ნარკლიანობა. ჩვენს კულტურაში ასეთ ფაქტებს სრულიად არ ჰქონია ადგილი. პირიქით, პარაზიტებს ემჩნეოდა ზრდა, განვითარება ორგანოებისა და ენერგიული მოძრაობა, რის მიხედვითაც ჩვენ მათ დევენერატიულ ფორმებად ვერ ჩავთვლით. ჩენის ფიქრით, ერთად-ერთია აქ მისალეები: პარაზიტს ემჩნევა კოპროკულტურაში, უსათუოდ, თავისებური განვითარება, რაც მიდის, შექმნილ პირობებში, თავის კულმინაციურ წერტილამდე და, როგორც ცოცხალ ორგანიზმში და მის ნაწლავში, მეტამორფოზის მოვლენის უმაღლესი ფიზიოლოგიურ მოღუწებას.

M. PARZWANIDSE.

MORPHOLOGISCHE VERÄNDERUNGEN DER INFEKTIONS-LARVE VON STRONGYLOIDES STERCORALIS IN KOPROKULTUR.

(Kurze Zusammenfassung).

Die Rhabdiden 1-ter Ordnung, die sich im Thermostaten bei 34° C und weniger befanden, gaben, angefangen mit dem 2-ten Tage, im Verlaufe der nächsten 10 Tage eine Reihe morphologischer Veränderungen im Sinne normaler und allmählicher Entwicklung des Parasiten auf dem Wege zur Umwandlung der Infektionslarven zur geschlechtslosen Darmform (Siehe Schema u. Tabl. № 2 im Text.). Beiläufig bestätigten sich die Hinweise Prof. Brumpt's (Précis de parasitologie, 1922) darauf, dass eine bestimmte Temperatur durchaus nicht auf die Entwicklung der geschlechtlichen Formen des Parasiten in der Kultur resp. in der Natur einwirkt.

¹) Maupas, E. Le rejuvenissement kariogamique chez le ciliés.

არნოლდ ჩიქობავა.

მ ნ ს უ ფ ი ქ ს ი მ ე ბ რ უ ლ შ ი ო ო .

ქანურში ვხედებით -ონ სუფიქსს; მის შესახებ აკად. ნ. მარი წერს: „ონ-ი [\geq აონ-ი] იხმარება არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა საწარმოებლად, რონელნიც აღნიშნავენ რისამე ქონებას ანდა რისამე სიქარბეს, მაგალ.: ბულუტონი (=ლრუბლიანი), ილონი (=ძვლიანი). შექერონი (შაქრიანი), ჯუმონი (ჯუმუქონი“-საგან) = მარილიანი; ნოსონი (= ჰკვიანი), ნოსტონი (= გემბრიელი), აოხონი („აოხო-ონი“-საგან) = სახელოვანი. ზმნისეული ფუძისაგან -ონ სუფიქსის შემწეობით მიიღება მოქმედი სახელი: ქარონი (=მწერალი). (იხ. Грам. записки №. § 116, h, გვ. 73).

გრამატიკას დართულ ლექსიკონში კი ამ სუფიქსით წარმოებული შემდეგი სიტყვები გვაქვს: გურონი (=მამაცი, გულადი: პირდაპირ უდრის: გულიან-ს; აქიდანვე: ვორსი გურონი, კი გურონი=გულკეთილი, „კეთილგულიანი“ და სხვ.); თოლონი (=თვ(ა)ლიანი; ართოლონი=ცალთვალა); კანოონი (კავიანი რკანი - : კავისაგან); კიბირონი (=კბილიანი); კომონი (=კვამლიანი; ნისლიანი); ლებონი (=ტალახიანი); თი-მა/ენდილონი (=ქალი; „მანდილოსანი“; ზედმიწევნით: თავმანდილიანი?!); ფორონი (= თეთრპუჩხანიანი); ქომჯონი (=ქმრიანი); ყალონი (= ყელიანი-ფეხსაცმელი); კევილონი (=ყვავილიანი); ყუჯონი, უჯონი (= ყურიანი); შერონი (=სუნიანი); ჩილაპურონი, ჩილამპრონი (= ტრემლიანი); წკარონი (=ნოტიო; „წყლანი“); ხვანონი (= „ხვანჩიანი“: ავადმყოფობაა!); ჩონი (=თეთრტანისამოსიანი; „თეთრანი“); ჯირონი (= „ძილიანი“); კინონი („ინიანი“, საღებავის სახელია; ეს უკანასკნ. იხ. ი. ყიფშიძის „Дополнит. свед.-ას დართულ ლექსიკონში)...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ქანურ -ონ სუფიქსის მაგივრობას ქართულში ეწევა უმთავრესად -იან და -იერ-; იშვიათად: -ოვან-, -ოსან-; (იხ. ზემ. ნოსტონ = გემ-რ-იელ; სხვა მაგალითები ამ სუფიქსის სწარებისა: ხორციელი (< სორციერ-ი); სულიერი; ღონიერი; ნიჭიერი; გონიერი; ბედნიერი მადლიერი; წკურბიელი; ვანიერი—უცილობელ ჰყოფს ზედსართავ სახელებს -იერ- სუფიქსის და -იან- სუფიქსის ფუნქციონალ იდენტობას; არც ის არის შეუძლებელი, ამ სუფიქსის ავტებულება ერთნაირად იქნეს მიჩნეული, მხოლოდ თითოეული მათგანი. სხვადასხვა ფენის ენობრივ მასალით იყოს აგებული.

¹⁾ წაკითხულია მოხსენებად საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. 1929 წ., 2!) დეკემბერს.

ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მთის კილოებში, აგრეთვე ფერეიდ-ნულში -იერ სუფიქსი -იარ'ის სახით არის წარმოდგენილი: ბედნიარი, ლონი-არა... ანნაირად ერთმანეთს უპირდაპირდება: —იან და იარ; ეს კი ბუნებრივად ჰბადებს კითხვას, ხომ არ არის ეს ორი სახე ერთ და იმავე სუფიქსისა, სხვადა-სხვა ენობრივ ფენების მიხედვით განსხვავებული.

საინტერესოა ქანურში ორიოდ შემთხვევა იარ-ით წარმოებისა: ნოსხიარი V ბრძენი, გონიერი. კეკიანი; (თუქ(ა) იქვე გვხვდება: ფელი ნოსონი: ძალიან კეკიანი); თომალაარი—თმიანი (იხმარება თომონი-ც, მაგრამ იშვიათად; ცხადია, ეს იარ || ზარ და მთის კილოთა და ფერეიდნულის -იარ ერთი და იგივეა.

მეგრულში ქანურ -ონ სუფიქსის შინაარსი -ამ სუფიქსს განეკუთვნება (ნაწილობრივ -უან-ს; მაგალ. გეჟუან-ი: -უან სახეცვლილი ქართლი -ოვან სუფიქსისა); მაგალ. თოლ-ამ-ი (თვალისანი), ფარ-ამ-ი (ფულ-იან-ი); კიბირ-ამ ი (კბი-ლიანი), გურ-ამ-ი (გულიანი=გულადი); კომონჯ-ამ-ი (ქმრიანი) და სხვ.

მაგრამ ორიოდ შემთხვევაში მეგრულშიაც აქვს ადგილი -ონ სუფიქსის ხზარებას; ასეთია: გვიმარონი (ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება); ქუბურონა (წაბლნარი; ტყის სახელია ეკის მთის კალთაზე, ძვ. სენაკის თემში); ქორთონა (ადგილი, სადაც ახლად აყრილი წვრილი ხეები იზრდება, მაგ. მურყნისა ანუ ოხმელასი თუ სხვ. რისამე); აქვე უნდა მოვიგონოთ „ქველეთონა“ (პატარა სოფლის სახელი, ჯვარის თემში, სვანეთის საზღვრისაკენ, ზუგდიდის მაზრაში)¹: აღნიშნავს „ქველ“-ი რომ ხაზობს ისეთ ადგილს. —საკუთარი სახელი ქვალონ-იც (დაბა ახალ-სენაკიდან ათიოდე ვერსზე); ამ სუფიქსით წარმოებული უნდა იყოს ქვალ—ისაგან (: ქვალ || ქვა: ქვალეფი—მრავლ. რიცხვ.)².

არის თუ არა სოფლის საკუთარ „ხუღონ“ (|| ხუჯონ) სახელში (ჯვარის თემი, ზუგდ. მ.) ეგვევ -ონ სუფიქსი, ძნელი სათქმელია, რადგანაც ხუღ || ხუჯ მოსალოდნელ ფუძე-ძირის გააზრიანება საძნელოა.

ქართლში ველის სახელი „ტირიფონა“ (ტირიფ-ონ-ა) ნაწარმოებია ამ ქანურ -ონ სუფიქსით.

მეგრულში ამ -ონ სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა; საკუთარ სახელებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს; ამ ყამდაც შეუძლებელი არაა წარმოება: ლანჯონი, თხომურონი და სხვ., მაგრამ ჩვეულებრივია ქართულისებური წარმოება პრეფიქსით: „ოლანჯე“, „ოთხომე“... და მავც.

რომ ეს -ონ სუფიქსი სხენებული ქანური სუფიქსია, ზედმეტად მტკიცდება ქანურის ასეთი მაგალითებით: „ბინეხონა“, „ბინეხეფუნა“ „многo лoз“, ზვარა; ბულონი „вишнявѣхъ, с вишнями“; ლიმბანაფუნა; ლიმბანაფუნა; ლიმბონონა (ლიმბონა=გვიმრა!) „место поросшее папоротниками; пустыня“; თხირეფუნა. თხირონა, თხიონა, ონთხირა „орешник“. ამ შემთხვევაში -ონ სუფიქსს იგივე

¹) ხუთვერსიან რუკაზე შეცთაობით აღნიშნულია: Чвелетана.

²) ფელ-სენაკიდან მომავალ ს. საჩიქობაოს გზაზე არის ერთი ადგილი, რომელსაც ხან „გიშხობრილი“-ს („გამოხეხილი“) უძახიან, რადგან გზა ქვიან ადგილშია გაყვანილი, ხან კიდევ პირდაპირ „ქვალონ“-ს. აქ ცხადია „ქვალონ“-ი საკუთარ სახელად ქვეული არაა და სა-ე-ო-ი, „ქვიან ადგილს“ აღნიშნავს.

მნიშვნელობა აქვს ქანურში, როგორც მას აღმოაჩნდა მეგრულში ნაშთის სახით ხმარებულ შემთხვევებში.

ჩვენს ყურადღებას აქ იქცევს ერთი გარემოება: ბინებონა (=ვენახოვანი ადგილი, ვენახნარი); თხირონა (=თხილოვანი ადგილი, თხილნარი); ლიზონონა (=გვიმროვანი ადგილი, „გვიმრნარი“)—ისეთივე წარმოებაა მთლიანად, როგორცაა მეგრული: უბურონა, გვიმრონა, ქორთონა... მაგრამ ქანურ სამსავე ხსენებულ მაგალთს პარალელშიც მოეპოვებათ: ბინეხეფუნა — ბინებონა-ს გვერდით; თხირეფუნა — თხირონა=თხიონა-ს გვერდით; ლიმხანაფუნა, ლიმხანაფუნა -- ლიზონონა-ს წილ (ბუღონ-ს ასეთი პარალელი არ გააჩნია: არცაა მოსალოდნელი: აქ ხომ გასუბსტანტივებული ა-თი დაბოლოებული წარმოება არა გვაქვს!); ჯერ ერთი, ონ-ა -უნ-ა-ს სახეს იღებს: ეს თონეტიკურ ნიდავზე უნდა მომხდარიყო: მიზეზი ბავთეზიური ფუნდა იყოს: ო-ს უ-დ დაიწროებისათვის მას უნდა შეეწყო ხელი; რას წარმოადგენს ეს ფ? იგი მრავლობითის მწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს: ბინეხ(ი) - ბინეხეფ(ე); თხირ(ი) თხირეფ(ე); ლიმხანა — ლიმხანაფ(ე) (: შდრ. კოჩი — კოჩეფე; ფური — ფურეფე; ნანა — ნანაფე... Грам. чан яз. § 18, გვ. 13)

მაშასადამე: ბინეხეფუნა, თხირეფუნა, ლიმხანაფუნა-ში მოცემული მრავლობითი რიცხვი (სახელობითი ბრუნვა - ე დაბოლოების დაკარგვით ო-ს წინ, ე. ი. შეიძლება ითქვას „წარელობითი“ ბრუნვა) პლუს უნა (<ონა).

ამ წარმოებებს ასეთი შედგენილობა მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით.

1. კიბეზა იმის „ქველეთონა“ სიტყვის შედგენილობის შესახებ. „ქველ“ იჯვარში ამ უმადად იხმარება „ქორთ“ის მნიშვნელობით; ცხადია ამ სიტყვაში -ეთ და -ონ მწარმოებელი სუფიქსებია. -ონ სუფიქსის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი. რა როლს თამაშობს აქ -ეთ სუფიქსი?

-ეთ სიმრავლეს გვიჩვენებს. აკად. ნ. მარს ეს არა ერთხელ აღუნიშნავს: ასე მაგალ., ერთგან იგი: „-თ სუფიქსს ძველი ქართულის -ეთ სუფიქსის დიალექტურ ექვივალენტად სთელის, ხოლო ამ უკანასკნელს სიმრავლის მიჩვენებლად და ამას უკავშირებს კუთხეთა და ქვეყანათა სახელების დაბოლოებას (რხ. მისი: История термина аѣхаз. Изв. Ак. Наук. 1912, გვ. 703). არ ჩანს აქ, რას ემყარება იგი ამ შემთხვევაში.

-ეთ სუფიქსის ქვეყნების დაბოლოებათა გარდა (ამ შემთხვევაში -ეთ მოსახლის სახელს ემატება: კახ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, რუს-ეთ-ი...) მრავლად გვხვდება, საერთოდ, ადგილთა სახელების წწარმოებლად.

ქველეთ-ონ-ა-სთან დაკავშირებით პირველ რიგში დასასახელებელია „თელეთ-ი“¹⁾; ნაწარმოები უნდა იყოს ეს სიტყვიდან „თელ-ა“, ამავე სიტყვიდან ნაწარმოებია „თელ-ი-ან-ი“, „თელ-ავ-ი“; „თელ-ეთ-ი“ს ასეთ გაგებას კიდევ უფრო ნათელჰყოფს ადგილის სახელი: „მუხრან-თელეთი“ (კახეთ.).

ეთით ნაწარმოები ადგილის სახელები რამოდენიმე ჯგუფად გაიყოვა; მაგალ. 1. ვაშლიეთი, ბუკლიეთი, ნიგოზეთი, პიმილიეთი, წკნელიეთი, შაპიეთი (შდრ. აგრეთვე ადგილის სხვანაირი წარმოება იმავე სიტყვიდან: შამიანი)...

¹⁾ ამ სიტყვაზე ჩვენი ყურადღება პროფ. ა. შანიძემ მიაკეთა.

2. გველეთი, ბუეთი, მშველეთი, კვერნეთი, ქორეთი... 3. აბანოეთი, კლდეეთი, ტლახეთი... 4. გოგიეთი, ქვათარეთი, მუჯირეთი, კიქნაველეთი.. 5. ქახეთი, იმერეთი, სვანეთი და სხვ. აქ ჩამოთვლილი სახელები აღნიშნავს ადგილებს, სადაც (მრავლად) მყოფობს 'რაიმე მცენარე, ან ცხოველი თუ ფრინველი, ან რაიმე საგანი, ან მოსახლეობს გვარი თუ ტომი. -ეთ სუფიქსის ხმარების სხვა შემთხვევებიდან უნდა მოვიგონოთ: მკედრ-ეთი-ი („მკედართა ადგილსანყოფელი“); არა საკუთარ სახელის მწარმოებლად ეს სუფიქსი იშვიათად გვხვდება, თუმცა არ იხმარებაო არ ითქმის; აი თუნდაც „ვეფხის ტყაოსნის“ ქაჯეთი და გზეთი:

„ეგრეც მე მაქუს პატრონობა, უგზოდ ვლიდენ თუნდა გზეთსა“ (იბ. სარ. კაკაბაძის გამოცემა, ხანა 492).

აქ „გზეთი“ უპირდაპირდება „უგზო (ადგილს)“ და ცხადია თვით აღნიშნავს ისეთ ადგილს, სადაც გზეთია.

ამნაირად, მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, რომ არსებითად მართებულია აქად ნ. მარის შეხედულება და -ეთ სუფიქსი რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს.

„ქველეთონა“-ში ამოვიად უნდა გვექონდეს ორმაგი წარმოება. 1. ქველეთი-ი უკვე აღნიშნავდა იმ ადგილს, სადაც „ქველი“ ბლომად ხარობს (შდრ. თელეთი, წყნელიეთი, ეშლიეთი, ბეოლიეთი...); აქიდან 2. გამეორებით აწარმოეს -ონ-ის საშვალებით: ქველ-ეთ-ონა, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ -ეთ როგორც მწარმოებელი მკედარი იყო და პის ფუნქციის აღმასრულებლად აწვიეს -ონ სუფიქსი, —იმ ეთნიურ წრისათვის ცოცხალი.

შეიძლება სხვაგვარადაც წარმოგვედგინა საქმე: -ეთ მრავლობითის სუფიქსად მიგვეჩინა და წარმოებაში: „ქველეთონა“ დაგვენახა ანალოგიური წარმოება ქანურ „თხირფეთუნა“, „ბინეხეთუნა, ლიმეხანათუნა“...

რანაირ გაგებიდანაც უნდა გამოვიდეთ, ერთ საკითხს გვერდს ვერ აუხვევთ: რა მიმართებაში იმყოფება -ეთ სუფიქსი ბრუნების -თა სუფიქსთან; კაც-თა; ხე-თა, ქვა-თა... და მაგვარ შემთხვევებში სუფიქსი, რასაკვირველია, თ- არის და არა თა; სიტყვათწარმოება ცხად ჰყოფს ამას („კაცთ-მოყვარე“ და არა კაცთა მოყვარე...); თა სუფიქსის ა კი იგივეა, რაც მხოლოლობითის „ა“: კაც-ის-ა, კაცი-თ-ა, კაც-ის-ა... ამნაირად: ერთურთს უპირდაპირდება ეთ და თ სუფიქსი; ამის პარალელია: ენ და ნ სუფიქსები. -ენ სუფიქსი აღნიშნავს სახელობითისეული დამატების მრავლობითობას და გვევლინება ზნაში ინფიქს-სუფიქსის სახით (იგივეა ნასახელარ ზნათა მედიო-პასივის მწარმოებელი), აგრეთვე მას ვხვდებით ქვემდებარის მრავლობითობის აღმნიშვნელად აწმყოში გარდამავალ ზნებთან¹.

ნ კი ნ-ის სახით არის სახელობით ბრუნვის დაბოლოებაში მრავლობით რიცხვში; ი ამ „ნი“-ში ისევე მომდინარეობს მხოლოლობითის სახელობითისაგან, როგორც „თა“-ში „ა“ და ისევე არის განსაზღვრებითი ელემენტი, როგორც იქ „ა“.

¹ ჩვენ შემთხვევა გვექონდა ამის შესახებ 1929 წლ. 22 დეკემბერს საენათმეცნიერო საზოგადოებაში საჯანგებო მოხსენება წავეყიოთა: „რით არის წარმოდგენილი სახელობით ბრუნვის დამატება ძველი-ქართულის ზნაში?“.

ჩვენ ყველაფერი ეს მოვიგონეთ იმისთვის, რომ დაგვესვა საკითხი:

ხომ არ შეიძლება ვიგულოთ ამ წყვილულ სუფიქსებს შორის არსებითი კავშირი? ხომ არ არის ერთ და იმავე წარმოშობის ენ-ნ, და ეთ-თ? ეს კი ნიშნავს: ხომ არ უძიოდა მრავლობითში ბრუნების თ და ნ სუფიქსებს ხნოვანი და, თუ კი, რად დაიკარგა იგი?

ამ საკითხს ცალკე დაეუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ 1. შესაძლებელია ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა (მოვიგონოთ იგ-ინ-ი, მოსალოდნელ: იგ-ნი-ს ნაცვლად, დიალექტური: იგ-ენ-ი, აგ-ენ-ი¹) და 2. ამ ხმოვანთა დაკარგვას ვერ გამოიწვევდა მომდევნო ა (თა-ში) და ი (ნი-ში)².

2. ქანური -ონ სუფიქსი მნიშვნელოვანია სხვა ნაზივაც. უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვეულებრივად ამ სუფიქსის მაგივრობას ქართულში იან და -იერ ეწევა; უფრო იშვიათად კი: ოსანი და ოვანი (მაგალ. მანდილ-ოსანი; სახელოვანი); ზემოთ ენახეთ, რომ -ონ სუფიქსი აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს: მაგალ. თხირონა, ბინეხონა, ლიმხონა... ქართულშიც გვაქვს მსგავსს შემთხვევაში ასეთივე წარმოება; მაგალ. თელიანი, შაბიანი (ადგილ. სახელებია); ვაშლოვანი, ტყემლოვანი, წაბლოვანი, ცხინვალაი (<ცხილვანი <ქრცხილოვანი)... და სხვ.; ჩვეულებრივად კი მწარმოებელია ნარ-ი: მაგალ. კოპიტნარი, მუქნარი, (აქედან შემდეგ მუხანანი), (ნავომარი)-ბუქნარი (სახელებია ადგილის); ნაძვანარი, ფიქვანარი და სხვ. — ბინეხუფუნა, თხირუფუნა და მაგვ. შემთხვევები ქანურში გვაფიქრებინებენ, რომ ქართულშიც ამ შემთხვევაში ანალოგიური წარმოებაა: ნ მრავლობითის სუფიქსია, არ კი მეორე სუფიქსი, რომელიც თავის მნიშვნელობით სუფიქსობად -ონ ქანურისათვის გაგვეთანაბრებინა. ასეთი მნიშვნელობით არ სუფიქსი ქართულში არ გვხვდება; მაგრამ სვანურში მოიპოვება: მაგ. ჩხიტარ (წარილ) კენქიანი: ლტკარ—წყლიანი; მაზგარ—კირიანი; ბაზარ—ქვიანი; ქვიშარ ქვიშანი; ზეკარ—შეშანი (ზეზე მხმარ საშუო ხეზე ითქმის!);³ მართალია, ეს

¹ პროფ. გ. ახვლედიანმა მოხსენების გამო მსჯელობის დროს დიალექტურ „იგნი“-ს არსებობა მიიჩნია უფრო მნიშვნელოვანად, რაიც საკითხის თვალსაზრისით უღაო იქნებოდა, რომ ეკვი არ იხადებოდეს მის მეოპინდლობაში. აქ, რა თქმა უნდა, ისიც უნდა ვთვლოთ, ხომ არ არის ეს ე ფუძის კუთვნილება (შდრ. ძვ. ქართ. ესე, ეგე).

² აკად. ნ. მარს მრავლობ. თა-ში „ა“ სხვანაირად ესმის: თ სუფიქსი აქაც მდებრობით სქესის დეკარგულ ეთ=ათ სუფიქსადმის მშვენივრად აქვს შენიშნული შემონახულ ეთ-ის არსებობა სიტყვაში: ვი-ეთ-ნ-ი; მათეებულად იგონებს ადრეთვე: კრეტ-საბმელ-ს: <კრედ-საბმელი. (იხ. Грам. древне-грузин. яз. Ленинград. 1925. გვ. 15-16).

მაგრამ საერთო სახეს სუფიქსისას ჩვენი თვალსაზრისით იგი არ ეძიებს; ყვრძოდ წინამადლ ხმოვნის საკითხი, როგორც ასეთი, მისთვის არ არსებობს. უფრო დაწერილებია მის შენებულეებაზე მრავლობითის სუფიქსების საკითხის განხილვისას შეეჩრდებოთ.

³ შეიძლებადა აქვე მოგვეგონებინა მეგრულში ორიოდ შემთხვევაში შეშონახული -არ სუფიქსი: ტყ-არ-ი: ველური (=ტყისეული); დღ-არ-ი: ამ დღ-არ-ი: (=დღევანდელი); მართალია, ამ -არ'ის მნიშვნელობა განსხვავებულია, იგი უფრო ქართულ -ელს უდრის; მაგრამ კითხვა იხადება, რა მიმართებაშია ზედსართავების -ელ სუფიქსი -იანთან; ჩვენ გვაქვს: ყვით-ელ-ი: ყვი-იანი-ი; ქაჩალი და: ქვე-იანი-ი... ალ =ელ =იან თითქოს აქაც მნიშვნელობით გათანაბრებული არიან.

ცხადია, თუ ქართულ -ელ მნიშვნელობით იან'ის ექვივალენტი აღმოჩნდება, მაშინ ელ'ის შესატყვისი -არ მეგრულსა (ტყარი, დღარი) და სამწერლობო ქართულს: ოპი-არ-ი

სევანურშია, და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგრამ ეს პარტული არც პირველი და არც უკანასკნელი უნდა იყოს, რომელიც ზოგადია, როგორც სევანურისა ისე (სამწერლობო) ქართულისათვის. ა-ს უმლაუტი და დაგრძელება ამ არ'ში სევანურ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

ამინიორად: ფიქვენტი=ფიქვენტიანა; ნაქვენტი=ნაქვენტიანი და სხვ.

ნარ ფორმანტი რომ ნ მრავლობითობის მაჩვენებელია. ვათვალისწინებუ-
ლი ჰქონია მოსე ჯანაშვილს; სუფიქსად მას -არ მიანია და საილუსტრა-
ციოდ ასეთი მაგალითები მოჰყავს: ფიქვი-ფიქვნი-ფიქვენარი; მუხა-მუხანი-მუხნა-
რი და სხვ. თვით -არ'ის შესახებ არას ამბობს (იხ. მისი „ქართული გრამატიკა“
ტფილ. 1907, გვ. 12).

აკად. ნ. შარი ამავე ფორმანტის შესახებ წერს: „ნარ n-ar წარმოად-
გენს სევანური მრავლობით რიცხვის -ar სუფიქსის დართვის შემთხვევას ქართე-
ბის (картское) იზე, და ასეთი მრავლობითი რიცხვი იწარმოება ხეების სახე-
ლებისაგან კრებითობის აზრით შესატყვისი ხის ან ტყის მნიშვნელობით, ისევე
როგორც ra'თი წარმოებულნი მრავლობითი რიცხვი ხეთა სახელებისაგან აბხა-
ხურში“ (იხ. მისი: Яфетическая названия деревьев и растений: Изв. Ак.
Наук 1915, გვ. 937).

მაშასადამე: ნ-არ-ში ნ-ც და არ-ც მრავლობითის სუფიქსებია: პირველი
ქართების-, მეორე სევანების. მრავლობითობის სევანური მაჩვენებელი დართული
აქვს მრავლობითობის ქართულს მაჩვენებელს. როდის შეიძლება იყოს ეს მომხდა-
რიყო? იმ შემთხვევაში, თუ ნ სათანადო ეთნიურ წრეში (ამ შემთხვევაში ქარ-
თულად მოლაპარაკე ტომებში!) როგორც ფორმანტი, მკვდარი იქნებოდა, არ
კი ცოცხალი.

ნარ ფორმანტი რომ სევანურში იყოს დაცული, აკად. ნ. შარის გაგება მი-
საღწები იქნებოდა: «ქართებისა მკვდარ ნ ს სევანების ცოცხალი -არ შესცვლიდა,
უკ: რომ ვთქვათ, დაერთოდა მის მაგივრობის გასაწევად.

მაგრამ -ნარ ქართულშია: ქართულისთვის კი -ნ ამჟამად ცოცხალია,
როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმანტი, -არ კი ასეთივე მნიშვნელობით
ქართულისთვის სრულებით უცხაა. მაშ რად უნდა დაემატებინათ უცნობი -არ
ნაცნობ და ცოცხალ -ნ-სთვის?!

ამ მოსაზრებათა გამო აკად. ნ. შარის გაგება მიუღებელია.

დასასრულ; აკად. ნ. შარი ქანურ -ონ სუფიქსს -ონ-ისაგან მიღებულად
სთვლის; სამწუხაროდ, არ ჩანს, რატომ; -ონის ასეთ გენეზისს თუ დავუშვებ-
დით, მაშინ საკითხი დაისმებოდა ამ სუფიქსის იგან > იონ—თან, აგრეთვე იან-
თან მიმართების შესახებ არა მარტო მათი მნიშვნელობითი შესატყვისობის
თვალსაზრისით ¹.

არ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული. -არ-ზე (ოპიხარ-ში) უკრადლება მიაკეთა
მოსაყენების გამო ნსჯღლინის დროს სიმ. ჯ ა ნ ა შ ი ა მ.

¹) იგან, იონ; თვან, უან, იან და მავარ სუფიქსების ურთიერთობაზე საგანგებოდ მუშა-
ობს სევა საკითხებთან დაკავშირებით სე. ჯ ა ნ ა შ ი ა.

A. TSCHIKOBAWA.

DAS SUFFIX ON IM MINGRELISCHEN.

Das adjektivische Suffix *-on* des Tschanischen entspricht den georgischen Suffixen *ian*, *ier iar*, *owan*, *osan*. *nar* und den mingrel. *am*, *uan* (< grg. *owan*).

Als Ueberbleibsel ist es in einigen mingrelischen Wörtern vorhanden. Die vergleichende Analyse einiger dazu gehörigen Fälle erklärt den Bestand und die Bedeutung des grg. Suffix *n+ar*, und lässt die Frage aufwerfen, ob das grg. Pluralsuffix *th* (auch *n*) ursprünglich mit einem vorangehenden Vokal versehen war.

აკაკი შანიძე.

ქართული ზმნის საკცივი¹.

I

ქართული ზმნების ფორმათა წარმოებას ეგრეთ წოდებულ ქცევათა მიხედვით პირველად ყურადღება კოტე დოდაშვილმა მიაქცია², შემდეგ მას შეეხო ნ. მარი³. ცნობა მათ შესახებ მეც შევიტანე გაკვირით ჩემს გრამატიკულს გამოკვლევაში⁴. ამჟამად საჭიროდ მიმაჩნია, კვლავ დაეუბრუნდე აღნიშნულ საკითხს, რომელიც ერთი ძირითად მოვლენათაგანია ქართული ენისა, მაგრამ შევებო მოკლედ, ხოლო ვრცელი გამოკვლევა, სადაც წარმოდგენილი იქნება შედარებითი მასალები ქართულიდან, მეგრულ-ქანურადან და სვანურიდან და რომელიც განხილული იქნება ისტორიულად, გადაედო მომავლისათვის.

ვიდრე ქცევათა მიმოხილვას შევუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია, წინ წაუემძღვარო ორი შენიშვნა ზოგადი ხასიათისა, რომელთაგანაც ერთი ფონეტიკურ საკითხს ეხება, ხოლო მეორე მორფოლოგიურს.

1. სამიოდე წლის წინად აღმოჩენილის უძველესი ქართული სალიტერატურო (ე. წ. ხანშეტისა და ჰაემეტი) ძეგლების ენამ სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების ხმარების საკითხში, ანუ,—უფრო ზედმიწევნილობით რომ ვთქვათ,—მეორე პირის სუბიექტურისა და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში, როგორც იყო აღნიშნული⁵,—სრულებით არ იცის ზმნების დაყოფა მათი დასაწყისი ბგერების მიხედვით: ამ ძეგლებისათვის სულ ერთია, თუ რითი

¹) მოხსენებელია ზოგადად ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე 13.1. 1925 წელს.

²) საგრამატიკო ესკიზი. ზოგიერთი მოსახრებანი ზმნაზე და ზმნის გარშემო („ივერია“ 1887, №№ 214—217, 219, 220, 222); ახალი გზა-კვალი გრამატიკის კვლევა-ძიებისა („მოამბე“ 1894, აპრილი, ივნისი).

³) Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка. СПб 1908, სადაც წარმოდგენილია სქემა, ხოლო მისი ახსნა-განმარტება მოცემულია გრამატიკაში, რომელიც მხოლოდ 1925 წ. დაიბეჭდა: Грамм. древнегрузинского языка (Ленинград 1925), § 172, გვ. 136—141.

⁴) სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (ტფ. 1920), გვ. 36—37, 50—51, 79, 190; შდრ. აგრეთვე: ნასახლარი ზმნები ქართულში (ტფ. უნივ. მოამბე, I, 88, 89).

⁵) ა. შანიძე. უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო (ტფ. უნივ. მოამბე, II, 411, 420.

იწყება ზმნა: ხმოვნით, თუ თანხმოვნით (ხოლო თანხმოვანთაგან: მაშისა თუ დედის ბგერით), რადგანაც აქ მესამე პირის ობიექტურ ნაწილაკად 'ყველგან და ყოველთვის ერთისა და იმავე ფონეტიკური სახის მქონე ბგერაა ხოლმე: ხან-მეტში ხ, ჰაემეტში კი ჰ. ამიტომ ამ ძეგლების ენას პრეფიქსების ხმარების მხრივ უფრო მეტი სიმარტივე და ფონეტიკური ერთგვაროვნება ახასიათებს, ვიდრე მეცხრე-მეათისა და მომდევნო საუწყენების ენას, სადაც ზმნათა უღვლილებას დროს უკვე მუდამ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, თუ რომელი ბგერით არის ხოლმე დაწყებული ზმნის თემა, რომ ამის მიხედვით O₁'ად სათანადო ბგერა ვიხმაროთ, ვინაიდან ენაში უკვე მოხდა ჰ'აეს ცვლა და მეზობელ ბგერასთან შეხამება, სახელდობრ: ხმოვნების წინ ნულად იქცა, ე. ი. უბრალოდ რომ ეთქვათ, დაიკარგა; დედის თანხმოვნების წინ ს'ანად შეიცვალა და უცვლელად გადარჩა მაშის ბგერების წინ. ამ შიშობილებაში ქვეყანა და დედისას გამოსავალ ფორმებად მიჩნეულია საერთო ქართულის ფორმები ?, ე. ი. ისეთი ფორმები, სადაც O₁'ად ჰ იგულისხმება, რაიცა, —თუმცა სისტემატურად არა. მაგრამ მაინც, —ჰაემეტ ძეგლში არის წარმოდგენილი. ამიტომ ცხადია თავისთავად, რომ ხანმეტი ძეგლების ენაზე ამ ჰ'აეს ადგილას ხ'ანი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ასინილაციის დროის ენისათვის (რომელშიაც თანამედროვე ქართულიც შედის). უცვლელად იგი მხოლოდ მაშის ბგერებთან უნდა დავტოვოთ, ს'ანად ვცვალოთ დედის ბგერების წინ, ხოლო სულ არ გამოეთქვათ ხმოვნების წინ.

აქ ზმნის ფორმები წარმოდგენილია ახალი სალიტერატურო ქართულის ფორმისა და ორთოგრაფიის მიხედვით (ნაგაღ. „წერება“ და არა „წერების“, „კვდება“ და არა „კუდება“ და მისთ.). მიუხედავად ამისა მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ჰ აღდგენილია მაინც ხმოვნების წინ, ოღონდ ჩასმულია კია ტრანზიტებში, რაიცა იმის მაჩვენებელია, რომ იგი უკვე გამკრალია სრულებით, ხოლო დედის ბგერათა წინ წარმოდგენილია მისი ახალი სახე, ბგერინაცვალი ხ, რომელიც ჰ'აეს მაგივრობას ეწევა და ზორფოლოგიურად იმავე ძალის მქონეა, რაც ჰ ?.

2. დამატებათა შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ერთი გარემოება მუდამ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული: სასელობითის დამატება ქართულში მხოლოდ ნაშინ შეიძლება იყოს, თუ რომ მოკმედებითი ზმნა მეორე ჯგუფის (ნამყო სრულის ჯგუფის) დრო-კილოებშია ნახმარი. მაგრამ, როგორც კი ვადმოვიყვანთ იმავე ზმნებს პირველს ჯგუფში (აწმყოს ჯგუფში), მაშინ ის დამატება, რომელიც იქ სახელობითში იდგა, აქ მიცემითში გადადგება, ოღონდ აქაც მიცემითშივე დარჩება ის დამატება, რომელიც მეორე ჯგუფში მიცემითში იყო. მაგალითად, რომ ავიღოთ „წერა“ ზმნა და ვიხმაროთ იგი „მი“ პრეფერბით, მაშინ მას ორი და-

1) მეორე პირის სუბიექტურადაც, მაგრამ სუბიექტების საკითხს აქ არ ვეხებით.

2) საერთო ქართულის შესახებ: ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის („ტფ. უნივ. მოაზრე“, III, 360)

3) ზმნები ახალი ქართულის ფორმით არის აღებული და არა ძველისა, რომ საქვის ვითარება მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის იყოს გასაგები. ამით არის გამოწვეული დედის ბგერების წინ ს'ანის მხარება და არა ჰ აესი, რომლისაგანაც იგი მიღებულია.

მატება გაუწდებდა, რომელთაგანაც ნამყო სრულში ერთი მიცემითთ გამოიხატება და მეორე კი სახელობითთ: „მისწერა მას წიგნი“. მაგრამ თუ ზმნას გადმოვიყვანთ აწმყოში, ენახათ, რომ მიცემითის დამატება მიცემითშივე დარჩება, ხოლო სახელობითისა მიცემითშივე დაისმება აგრეთვე: „მისწერს მას წიგნი“¹ მასასადამე, ამ ორ დამატებათაგან ერთი მუდამ მიცემითშია (მას), მეორე კი ხან სახელობითსა და ხანაც მიცემითში (წიგნი, წიგნს), იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფისაა ზმნის ფორმა. ის დამატება, რომელიც ბრუნვებს იცვლის, მაჩვენებელია ზმნის გარდამავლობისა ანუ ტრანსიტობისა და აზიკომ ის არის პირდაპირი დამატება, დამატება ნივთისა, მეორე კი, რომელიც ბრუნვებს არ იცვლის, შეიძლება გარდაუვალ ზმნასაც ჰქონდეს (ვენებითს, საშუალს) და აზიკომ ირიბ დამატებად, პიროვნების დამატებად ითვლება².

ირიბ დამატებას, რომელიც მუდამ მიცემითში დგას, ქართული მორფოლოგია საზოგადოდ გარკვეული წესით ეპყრობა და იგი სათანადოდ არის ხოლმე ყოველთვის აღნიშნული ზმნის ფორმაში, მაშინაც კი, როცა ეს დამატება მესამე პირისაა. რაკია შეეხება პირდაპირი დამატების სახელობით სახეს, მის ხმარებასაც გარკვეული წესი და სისტემა ახასიათებს. მაგრამ სულ სხვაა, როცა საქმე გვაქვს ამ დამატების მიცემითი ბრუნვის სახესთან. აქ აღარ არსებობს საზოგადო ნორმა ქართული ენის იმ ეპოქებისათვის, რომლისთვისაც ჩვენ წერილობითი ძეგლები მოგვეპოება, არამედ მისადმი მოპყრობა სხვა-დასხვანაირია სხვა და სხვა ეპოქისა და სხვა-და-სხვა კილოს მიხედვით.—ხანმეტსა და ჰამეტ ძეგლებში ტენდენციად გატარებული, რომ მორფოლოგიურ საკითხებში იკვირებ ირიბ დამატებასთან იყოს გათანასწორებული (ე. ი. რომ მესამე პირისა თვისი ობიექტური ნაწილია ჰქონდეს ზმნის ფორმაში), მეცხრე-მეთათმეთიერტე საუკუნეთა ძეგლებში კი მერყეობაა: ზოგიერთ ზმნაში პირდაპირი დამატება აწმყოს ჯგუფში და ირიბი დამატება (რაკი ორივე მიცემითი ბრუნვით არის გამოხატული) გათანასწორებულია ულკილებით საკითხში, —ერთსა და ინავე ნიშნის მოითხოვს მესამე ობიექტური პირისთვის, —ხოლო ზოგიერთ ზმნაში კი განსხვავებულია: მესამე პირისთვის ობიექტურა ნიშანი არ მოიპოვება ზმნის ფორმაში სწორედ ისე, როგორც დრო-კილოთა მეორე ჯგუფში, სადაც იგივე პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვით არის წარმოდგენილი. —ღვევანდელი ცოცხალი კილოები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხისათვის (ე. ი. აღმოსავლური კილოები, ფხოური ჯგუფითურთ) მიცემითის დამატებას, —პირდაპირი იქნება იგი, თუ ირიბი, სულ ერთია, —ერთნაირად უყურებენ და სათანადოდაც გამოხატავენ ხოლმე მესამე ობიექტურ პირსაც. გარდა ხევსურულისა, რომელიც აწმყოს ჯგუფს ორ წრედ ყოფს: აწმყოსად და მყობადისად და თვითეულ ჰათგანს თავისებურად ეპყრობა:

¹) სხვა მაგალითების მოყვანა საკვირო არ არის, რადგანაც ეს სინტაქსური თვისება ქართული ენისა ყოველ არის ცნობილი.

²) ირიბი დამატება ეწოდება არა-პირდაპირი დამატებისა.

ცოცხა უხეზბული კია, ასეთი ტერმინები: „ნივთის დამატება, პიროვნების დამატება“, მაგრამ შეიძლება დროებით დაეტოვოთ.

აწმყოს წრის (შეუსრულებელი სახეობის) ფორმებში, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი დანატყება მიცემითით არის განოხატული, იგი სახელობითის დამატებასთან აქვს გათანასწორობული (ე. ი. მესამე პირისათვის ობიექტის აღმნიშვნელ ნაწილას არ ხმარობს), ხოლო იგივე პირდაპირი დამატება მყობადის წრისა (შესრულებული სახეობის), რომელიც აგრეთვე მიცემითით არის გაზოხატული, ირბ დამატებასთან აქვს გათანასწორობული (ე. ი. მესამე პირის ობიექტურ ნაწილასაც ხმარობს)!

ამ გამოკვლევაში სიმარტივისათვის პირდაპირი დამატება, რომელი ბრუნვითაც უნდა იყოს გამოხატული, ერთნაირად არის წარმოდგენილი ყველგან ზმნის ფორმებში, სწორედ ისე, როგორც ეს უნდა ყოფილიყო ოდესმე ქართულში საზოგადოდ და საყოველთაოდ და როგორც დღესაც გატარებულია სენურში, სადაც ზმნის ფორმაში მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი მხოლოდ ნაშინ იხმარება. აუ დამატება ირიბია და არა პირდაპირი, სულ ერთია, თუ რომელი ბრუნვითაა ეს პირდაპირი დამატება გამოხატული: მიცემითითა თუ სახელობითით. მაგალითებით რომ ნათელ-ყუთ ნათქვამი, ჩვენი სქემისათვის აქ პირდაპირი დამატების ორივე სახე ამ წინადადებისა: „წერს წიგნს“ და „დაწერა წიგნი“ ერთი და იგივე იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში იგი მიცემით ბრუნვაშია („წიგნს“) და მეორეში კი სახელობითში („წიგნი“).

II.

ქართული ზმნის დამახასიათებელი თვისებაა, რომ ერთ ფორმაში ორი სინტაქსური ოდენობის პირი აღნიშნოს: სუბიექტისა და ობიექტისა, ანუ ქვემდებარისა და დამატებისა. ამისთვის მას მოუპოვება სუბიექტური და ობიექტური ნაწილაკები, რომლებიც უკვე კაი ხანია, რაც შეპოროცებია ზმნის ფორმას. მარტო სუბიექტის პირების გამოხატვა ხომ სხვა ენებიდანაც ვიცით, მაგალითად ინდო-ევროპულიდან და სემიტურიდან, მაგრამ ქართლისათვის სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ აქ ობიექტის პირებიც აღნიშნება ხოლმე. აპიტომ; როცა პირებზეა საუბარი, ვარჩევთ სუბიექტისა და ობიექტის პირებს და ვამბობთ, რომ, მაგალითად, „გვლავ“ ფორმაში არის აღნიშნული სუბიექტის პირველი და ობიექტის მეორე პირი (ფორმულა: $S_1 O_2$), ხოლო „მკლავ“ ფორმაში სუბიექტისა მეორე და ობიექტისა პირველი (ფორმულა: $S_2 O_1$), „კლავს“ ფორმაში კი სუბიექტიც მესამე პირია და ობიექტიცა (ფორმულა: $S_3 O_3$).

რა თქმა უნდა, ქართულშიც გვაქვს ისეთი ზმნის ფორმები, აბსოლუტური ფორმები, სადაც მხოლოდ სუბიექტია გამოხატული (სახელდობრ საშუალსა და ენებით ზმნებში), მაგრამ დიდი უმეტესობა ფორმებისა, ძალიან დიდი, მიმართებითებს წარმოადგენენ, სადაც ობიექტის პირი ისევეა აღნიშნული, როგორც სუბიექტისა. მრავლისაგან მრავალია ისეთი ზმნა, რომ მხოლოდ მიმართებითი

1) მესხრე-მეთე-მეთურთმეტე საუკუნეების ქართლისა და აღმოს. კილოების შესახებ ამ საკითხებისათვის საეციალურად ნახეთ: „სუბიექტ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართ. ზმნებში“, §§ 10--17, 63--71.

ფორმები ჰქონდეს, ხოლო მიუმართავი არც კი; თვით საშუალსა და ვნებითში ურევია ისეთები, რომ მხოლოდ მიმართებითი ფორმები ჰქონდეს, ფორმები, რომელშიც ობიექტის პირიც არის დასახელებული.

დამატება, ანუ ობიექტი სხვა-და-სხვანაირია: პირდაპირი და ირიბი, რომელნიც კახალურად, ანუ ბრუნვებით არიან, ნაწილობრივ მიიწი, — ერთუთისაგან განსხვავებული. რომ შევადაროთ ერთი მეორეს ეს ორი წინადადება: „წიგნი ჩამწერა“ და „წიგნი მომწერა“, ვნახავთ, რომ ობიექტური ნაწილად პირველი პირობა ერთ შემთხვევაში სახელობითი დგას („ჩამწერა“) და მეორე შემთხვევაში კი მიცემითი („მომწერა“). ეს ბრუნვითი განსხვავება თავს იჩენს ხოლმე ზოგიერთ ფორმაში. აგრეთვე შეიძლება, რომ ზმნის ფორმაში კუთვნილებითი მხარე იყოს აღნიშნული, თანაც ორგვარად, იმის მიხედვით. თუ რასთან არის დაკავშირებული ეს კუთვნილება: სუბიექტთან, თუ ობიექტთან; ამას გარდა აღნიშნოს სხვა ურთიერთობაც პირდაპირსა და ირიბ დამატებას შორის. ამის მიხედვით ქართულ ზმნას ერთსა და იმავე დროსა, კილოსა, სუბიექტის პირსა და რიცხვში რამოდენიმე ძირითადი ფორმა აქვს, რიცხვით ერთიდან ხუთამდე, რომელნიც განასხვავებენ ზმნის მიერ (მოქმედებითად, ვნებითად თუ საშუალებად) გამოხატულ ზმას¹ ობიექტის სუბიექტისადმი ან კიდევ ობიექტის მეორე ობიექტისადმი სხვადასხვა ურთიერთობისა და დამოკიდებულების აღნიშვნით. მთელს სისტემას ზმნების უღვლილებისას ობიექტისადმი სხვა-და-სხვანაირი დამოკიდებულების გამოხატვის წესის მიხედვით ეწოდება საქცევო იმ ნიშნს, რომელიც ამ დამოკიდებულებასა და ურთიერთობას აღნიშნავს, და სუბიექტ-ობიექტურ პრეფიქსებს ზმნასთან აერთებს, მაქცევარი, ხოლო თვითნებულ ძირითად ფორმას ქცევა.

რადგანაც ქცევები სხვა-და-სხვანაირია თავისი ფორმით სხვა-და-სხვა ზმნებასა და ზმნათა გვარებში, ამიტომ მათ მიმოხილვას უღვლილებათა მიხედვით უნდა შევუდგეთ.

A. პირველი უღვლილება.

პირველ უღვლილებას ეკუთვნის ის მოქმედებითი ზმნები, რომელნიც ვნებითის ფორმებს იწინისა და ეწინის საშუალებით აწარმოებენ: „წერს—იწერება; წვავს—იწვის, ხეხს—იხევა; (3) უმალავს—(3) ემალება. ჰკიდებს—(3) კიდდება. (3) აფენს—(3) ეფინება“ და მისთ.

ქცევათა წარმოება პირველი უღვლილების ზმნებს სხვა-და-სხვანაირი აქვთ იმის მიხედვით, თუ რომელი გვარია: მოქმედებითი თუ ვნებითი, მოქმედებით გვარში კიდევ იმის მიხედვითაც, თუ როგორია გარდაშეკლება ზმნისა, ცალმაგი თუ ორმაგი. განვიხილოთ ცალკ-ცალკე.

1. მოქმედებითი გვარში.

მოქმედებითი ზმნა ის ზმნაა, რომელსაც პირდაპირი დამატება, დამატება ნივთისა, დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მიცემითის ბრუნვით, ხოლო მეორე

¹ ზმას, როგორც ტერმინს. ჩვენ ვხმარობთ ყოველგვარი ზმნის მიერ გამოხატული ცნების აღსანიშნავად, — იქნება ეს ზმნა მოქმედებითი, ვნებითი თუ საშუალო გვარისა.

ჯგუფში სახელობითის ბრუნვით აქვს გამოხატული. ამასთანავე ერთად შეიძლება მას ირიბი დამატებაც ჰქონდეს, დამატება პირიონებისა, რომელიც ორთავი ჯგუფში მიცემითით არის გამოხატული. შეიძლება ჰქონდეს-მეთქი, მაგრამ შეიძლება არც ჰქონდეს. აქვს თუ არა ირიბი დამატება, გარდაწავლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს; ის კი არსებითია, აქვს თუ არა მას პირდაპირი დამატება. მაგალ. „დაწერა მან წერილი“ და „მისწერა მან მას წერილი“,—ორივე გარდაწავალ ზმნას შეიცავს, მაგრამ ამ გარდამავლობას ორსავე წინადადებაში ეს დამატება ქმნის: „წერილი“, და არა „მას“. აი კიდევ გარდამავალი ზმნების მაგალითები: „თლის ფიცარს—გათალა ფიცარი“, „ხატავს კაცს—დახატა კაცი“, „ირტყამს სარტყელს—შეირტყა სარტყელი“, „გრეხს თოკს—დაგრხია თოკი“ და მისთანანი.

მოკმელებითი გვარის ზმნები ორ-გვარია:

ა. ზმნები, რომელთაც გარდამავლობა ანუ ტრანსიტობა ცალმხრივ აქვთ, მაგალ., „წერს, მალავს, გრეხს, თხრის, აბამს“ და მისთ.

ბ. ზმნები, რომელთაც ორმხრივ ტრანსიტობა მოეპოვებათ: „(კ)აწერინებს, (კ)ამაღვინებს, (კ)აგრეხინებს, (კ)ათხრევენებს, (კ)ამხევენებს“ და მისთ.

უკეთეს ზმნის გარდამავლობას ანუ ტრანსიტობას გრადუალურად გამოვხატავთ და დავთქვამთ, რომ გარდაუვალი ზმნები (საშუალონი, ენებითნი) პირველ საუბურზე მდგომნი არიანო, მაშინ მოკმელებითი გვარის ცალმხრივ გარდამავალი ზმნები მეორე საუბურს დაიქვეყნენ, ხოლო ორმაგად გარდამავალნი—მესამეს¹.

ქცევათა ფორმები სხვა-და სხვა ნაირი აქვთ მეორე საფეხურისა და მესამე საფეხურის ზმნებს, განეხილოთ თვითიული საფეხური ცალკ-ცალკე.

ა. ცალმხრივად გარდამავალი სისხეი.

მეორე საფეხურის ზმნათა ფორმები ყველა მიმართებითა ანუ რელატიური, რადგანაც არ შეიძლება ვაწარმოვოთ მათგან არც ერთი ფორმა, რომელშიც სუბიექტის პირთან ერთად პირდაპირი ობიექტის პირიც არ იყოს გამოხატული; სხვადასხვანაირად რომ ეთქვას, ამ ზმნათა ფორმებში ორივე პირია აღნიშნული: სუბიექტისა და ობიექტისა. სუბიექტი ქართულში ორგვარია: ერთი სახელობითი ბრუნვით გადმოცემული, და მეორე მოთხრობითი ბრუნვით გამოხატული, მაგრამ სუბიექტის აღსანიშნავად ერთი და იგივე ნიშნები მათ ორთავ მხოლოდ პირველისა და მეორე პირისთვის მოეპოვება, მესამისათვის კი არა². ობიექტიც ხომ ორგვარია: ერთი სახელობითის ბრუნვით გამოხატული (პირდაპირი მიმართება) და მეორე მიცემითის ბრუნვით აღნიშნული (ირიბი მიმართება) და აქაც ერთი და იგივე ნიშანი ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ

¹) ხელოვნურ-მწიგნობრულად შეიძლება მეოთხე საფეხურის ფორმებიც ვაწარმოვოთ, მაგრამ ჩვეულებრივ სამი საფეხური გვაქვს.

²) მესამე პირში სხვადასხვაობა დრო-კილოთა მიხედვით.

პირველისა და მეორე პირისთვის მოიპოვება, შესამისთვის კი არა. ქვეყათა წარ-
წობა კი განსხვავებული აქვთ იმ პირებშიაც კი. სადაც ერთი და იგივე ნიშნე-
ბი მოიპოვება სხვა-და-სხვა ობიექტის აღსანიშნავად, უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ:
თვითველ დამატებას (პირდაპირსა და ირიბს) სხვა-და-სხვანაირი ქცევები მოე-
პოვება.

პირდაპირი დამატების ქცევები.

პირდაპირი დამატების პირის აღნიშვნა ზმნის ფორმაში ორგავარია:
1) ერთ ში არაფერია ნაჩვენები იმის შესახებ, თუ *სა*) ვისია, ე. ი. რომელი პი-
რისაა ობიექტი, რომელზედაც საუბარია ზმნაში, ან კიდევ *რ*) ვისთვის, რო-
მელი პირისთვისაა განკუთვნილი ობიექტზე მოხდენილი ზმა; 2) მეორე კი გა-
ნობატავს, რომ *სა*) ან თვით ობიექტი ეკუთვნის მხმელ პირს, სუბიექტს, *რ*) ან
არა და ობიექტზე მოხდენილი ზმის შედეგი მისთვისაა, სუბიექტისათვის, გან-
კუთვნილი. ამის მიხედვით პირდაპირი მიპარაუბის ზმნებს ორი ქცევა აქვთ:
საარვისო და სათავისო.

2) საარვისო ქცევის ნიშანი, მისი მაქცევარი, არის ნული და ა. ამ ქცე-
ვით მოცემული ფორმა არას გვეუბნება ობიექტის კუთვნილებითი მხარის შე-
სახებ, არ ჩანს, რომ იგი იყოს ვისიმე, ან დანიშნული იყოს ვისთვისმე, იგი
არავისია და არც ვისთვისმეა განკუთვნილი. ამიტომაც დეფარქვით მას საარვის-
სო. მაგალითად, „ავთანდილი სახლს აგებს“ო რომ ვთქვათ, აქ არ გვეცოდინება
თუ ვისია ეს სახლი, თვითონ ავთანდილისა, ტარიელისა, ფრიდონისა თუ სხვა ვი-
სიმე, არც ის ვიცით, თუ ვისთვის აშენებს, თავისთვის თუ სხვისთვის. ასე-
თივეა შემდეგი ფორმებიც: „წერს—წერა, კვთის—კვთა, გრებს—გრისა, ზრდის—
ზარდა, კლავს—კლა, მალავს,—მალა, აქცევს—აქცია, აღებს—ალო, აპაზს—აპო“
და მისთ. მართლაც და ეს ისეთი ფორმებია, რომელთა შემდეგაც შეგვიძ-
ლია დავსვათ ყოველი პირის კუთვნილებითი ზედსართავი: „ჩემი, შენი, მი-
სი“. „ავთანდილი აგებს ჩემს სახლს“, „ავთანდილი აგებს შენს სახლს“, ავ-
თანდილი აგებს მის სახლს“, ან კიდევ ნამოქმედვე ობიექტი („სახლი“) გან-
უყოფთნოთ რომელიც გნებავთ იმ პირს და ვთქვათ, მაგალითად: „ავთანდილი
აგებს სახლს ჩემთვის“, „ავთანდილი აგებს სახლს შენთვის“, „ავთანდილი
აგებს სახლს მისთვის“ და ასე შემდეგ მრავლობითშიც: „ჩვენთვის, თქვენ-
თვის, იმათთვის.“ ამ ქცევით მხოლოდ ორს პირსა აქვს ობიექტური ნაწილაკი:
პირველსა (მ) და მეორეს (გ): „დამწერა, დამწერე, დავწერა, დავწერე“ ეს მხო-
ლობითში. იგივეა მრავლობითშიც. თუ მეორე პირია: „მან დავწერა (თქვენ)“,
„ჩვენ დავწერეთ (თქვენ)“, პირველ პირში კი მრავლობითი რიცხვისათვის გვ
გვაქვს: „მან დავწერა“, „შენ დავწერე“¹. მესამე პირის ობიექტის აღსანიშნა-
ვად ზმნას არაერთარი ნაწილაკი არ გააჩნია: „დავწერე იგი, დასწერე“² იგი,

¹) აქ არ განოვეყიდები ზოგიერთ დეტალს, თუ როგორ იყო ეს ფორმები ძველად, ან
როგორ დეფარქო ახალ კართულში სადიფერენციაციოდ აიხი ბოლოში: „თქვენ დავწერ-თ“
და მისთ.

²) „დასწერე“ში სანი ზომ მეორე პირის სუბიექტის აღმნიშვნელია, და არა ობიექტისა.

დაწერა იგი“. მაშასადამე ამ ქვეყით ობიექტური ნაწილაკები ან უმეყეოდ ყოფილა დაკვეშირებული ზნასთან („მ-კლავს“, „მ-ზრდის“ და სხვა) ან კიდევ აწის საშუალებით („ა-კლავს, მ-ა-პობს“ და სხვ.) ე. ი. ქვეყის ნიშანი ყოფილა ნული და ა¹.

ეს ქვეყა ყველაზე უფრო გავრცელებული ქვეყაა, მისი ფორმები ძალიან ხშირია და სუბიექტ ობიექტური პირების ყოველგვარი დაჯგუფება გვხვდება. გარდა S_1O_1 -ისა და S_2O_2 -ისა.

3) სათავისო ქვეყის ნიშანი, მისი მაქვეყარი, არის ი. ამ ქვეყით მოცემულ ფორმებში აღნიშნულია, რომ *iii*) სამოქმედო საგანი მოკმედი პირისაა, ე. ი. ობიექტი სუბიექტს ეყუთენის, ან არა და *iv*) ზნას ის დანიშნულება აქვს, რომ ობიექტი სუბიექტისა უნდა გახდეს, მას მიეყუთნოს შემდეგ. ოოთავ შენთხვევაში კუთვნილებითი მთარუა აღნიშნული: ობიექტურ ან უყე არის სუბიექტისა, ან არა და მისი უნდა შეიქნეს შემდეგ. და რადგანაც ეს ასეა, რადგანაც, მაშასადამე, სუბიექტი თავის საგანზე მოქმედებს, ან თავისთვის გწევა საქმეს, ამიტომ დავარქვით ამ ქვეყას სათავისო. ამ ქვეყით ობიექტურ იმ პირისა არის ხოლმე, რომელი პირიც მოქმედია, ან ნისივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს. „წერა“ ზნისაგან მავალითად, მესამე პირისათვის გვექნება: „იგი წიგნს იწერს“, მეორე პირისათვის: „შენ წიგნს (ჰ)იწერ“², პირველისათვის კი: „მე წიგნს ვიწერ“. სხვა მაგალითები (სუბიექტია ნესავე პირი): „იყვეთს, ივრებს, იპალავს, იქციებს, იგებს, იპობს“.

ამ ქვეყის შესახებ რამოდენიმე შენიშვნა უნდა შემოვიტანოთ:

1. ის ზნები, რომელთაც საარვისო ქვეყა ნულით აქვთ ნაწარმოებ, ან სრულებით არ აქვთ საარვისო ქვეყა, ნაგრამ სამაყიეროდ სათანადო (ქვეყ, ჩვეულებრივ სათავისო ქვეყით აწარმოებენ ხოლმე ფორმებს იმ შემთხვევაში, როცა საკუთარ რამეზე-საუბარი (ვთქვათ, როცა ობიექტად სხეულის რაიმე ნაწილია), მაგალითად: „წვერს ვიპარსავ, თმას ვიკრეკ. თავს ვიფარცნი, ცხვირს ვიხოცავ, პირს ვიბან“³, ან კიდევ: „ქულს ვიხუთავ, ჩოხას ვიცვამ, სარტყელს ვირტყამ“ და მისთ. საკუთარი საგნებიდან უპირველესი მნიშვნელობა მოიპოვა თავმა ა, რომელიც ამ ქვეყით რეველესური მინაარსის აზრს გადმოგვეყენს ხოლმე, ე. ი. ისეთი მნიშვნელობის მატარებელია, რომ მოქმედება თვით სუბიექტსავე უბრუნდება: „თავს იკლავს, თავს იწამლავს, თავს იგდება, თავს იქებს“ და მისთ.

2. სათავისო ქვეყაში ზოგიერთ ზნას დაეყარვა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და აზრით საარვისოს გაუთანაბრდა. ასეთებია მაგალითად: „იღებს, იქერს, იწყებს“ და სხვები. მათში ურყეია „ინააავს“, რომელიც სათავისო ფორმით არის ნახმარი, მაშინ როდესაც სვანურში მისი ბადალია „შხუნ“ ძირისაგან

¹) ეს ა ზოგ შემთხვევაში მინც კალხატიური წარმოშობისაა უნდა იყოს, მაგრამ მისი კალხატიურობა უყვე დაყარგულია ან მიჩქმალული.

²) შ აქ მეორე პირის სუბიექტის ნაჩვენებელია

³) მაგრამ: „თვალს ვახლო“, „პირს ვაღებ“ (რადგანაც ამ ზნებს საარვისო ქვეყა აწით აქვთ ნაწარმოები): აქ უნდა შევიმინო, რომ „ხელს ვაწეო“, „ყუფხს ვაბიჯებ“⁴ო ვამბობთ. მაგრამ აქ უყვე ირიბ დამატებთან ზნებთან გვაქვს საქმე.

ნაწარმოები ზნა, რომელსაც საარვისო ქცევის ფორმაც აქვს და სათავისოსიც: „აშხუნი“ და „იშხუნი“. ქართულ „ინახავს“ს „იშხუნი“ს ფორმა აქვს, მაგრამ მნიშვნელობით „აშხუნი“საც ფარავს. ძველად კიდევ „პოვა“ო ამბობდნენ (საარვისო ქცევით), მაგრამ ახლა მის ნაცვლად „იპოვა“ო ვამბობთ (სათავისოსით).

ჰ. სუბიექტ-ობიექტის ჯგუფებს თუ ავიღებთ, აქაც ყველა ის ჯგუფია მოსალოდნელი, რაც საარვისო ქცევაში, მაგრამ შედარებით იშვიათია ჯგუფები, სადაც ობიექტად პირველი და მეორე პირია დასახელებული. იშვიათია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც გვხვდება. მაგალითად: „მაშ ერთი მანეთი მომე და წაგიყოფდნენ“ (ყაზბ. „მამის მკვლელი“, 205)¹. „ნეტაგი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგისმარა (ი. ქავჭ. „ელადიკეკასილამ ტფილისამდე“, 246); „შემობრალე და დაგიტირე მე ბედშავი“ (ი. ქავჭ. „ვლახის ნაამბობი“, 322), „წმიდა გიორგის ჯვარს დაპირდნენ იმას, ვინც მე დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტანდა“ (ib., 322); „ქვეშსაგებად დამიგლო ავადმყოფობამ, ერთმა გლებ-კაცმა შემიკელდა; მინამ ერთი ორიოდ გროში მქონდა და ეხარჯავდი, მინამ მინახა“ (ib., 325); „მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი“ (ი. ქავჭ. „გლებთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, 111-112); „რაში მიწუნებხ ნითამ“ (ი. ქავჭ. „კაცია-ალამიანი“, 366).

ჟ. სათავისო ქცევაში შეიძლება შევხვდეთ იშვიათად, ძალიან იშვიათად, ისეთ ფორმასაც, სადაც აღნიშნულია, რომ ობიექტი სუბიექტის პირს კი არა, არამედ სხვა პირს ეკუთვნის. ასეთს მაგალითს წარმოადგენს შემდეგი წინადადება: „[თამრომ] არ ინდობა თავის მკლავისა ჩემი ხელილამ გამოკლა. არამც თუ მიწუინა [ხელის ჩავლება]. გამილიმილა კიდევ“ (ი. ქავჭ. „ვლახის ნაამბობი“, 219). „მიწუინა“ ფორმაში სუბიექტიცა და ობიექტიც მესამე პირია (ფორმულა: S_3O_3), „[თამრომ] იწუინა [ხელის ჩავლება]“, მაგრამ ამასთანავე აღნიშნულია, რომ ობიექტი, რომელიც, თუშცა დასახელებული არ არის, მაგრამ იგულისხმება [„ხელის ჩავლება“], პირველ პირს ეკუთვნის. მართლაც და, რომ ეს წინადადება სხვანაირად გამოვთქვათ, მაგრამ ისე კი, რომ აზრი არ შევცვალოთ, ასეთ რასმე მივიღებთ: „[თამრომ] არამც თუ იწუინა ჩემი (ხელის ჩავლება), გამილიმილა კიდევ“.

ბ. ირიბი დამატების ქცევები.

ირიბი დამატების აღნიშვნა ზნის ფორმაში სამგვარია: ა) ერთი გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი ნაწილია ან კუთვნილებაა ირიბი ობიექტისა, ან კიდევ მასთან არის როგორმე დაკავშირებული, — ზმა უმატებს ან აკლებს, უახლოებს ან აშორებს; ბ) მეორე გამოხატავს, რომ სუბიექტის მიერ პირდაპირ ობიექტზე მოხდენილი ზმა ირიბ ობიექტზე დამართებთ არის შესრულებული; გ) მესამეში კი ნაჩვენებია, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ზნის შედეგი მისთვისაა, ირიბი ობიექტისთვის, განზრახული. ე. ი. რომ ობიექ-

¹) ადგილები ყაზბეგის თხზულებათაგან ნაჩვენებია 1915 წლის გამოცემის მიხედვით, („ცნობის ფურცლის“ პრემი.), ხოლო ი. ქავჭავაძისა — 1914 წლისა (მ. გედევანიშვილის გამოც.).

ტი სუბიექტისა კი არა, არამედ სხვისია. ამის მიხედვით ამ ქევეებს დაერქვა: სათანაო¹ საზედაო და სასხვისო.

ჰ) სათანაო ქევის ნიშანია ნული. მაშასადამე, ობიექტური ნაწილაკები აქ ზნას უმეშვეოდ ერთიან, როგორც საარვისო ქევის ნულიან სახეში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ობიექტის აღმნიშვნელი ნაწილაკი მესამე პირსაც მოეპოება. მესამე პირი რომ არა, ამ ქევის გარეგნულად განსხვავება საარვისოსაგან შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც პირველისა და მეორე პირის ობიექტური ნაწილაკები პირდაპირსა და ირიბ დამატებას საზოგადოდ ერთი და იგივე აქვს. ვინაიდან, მაშასადამე, მესამე ობიექტური პირი ყოფილა განმასხვავებელი ამ ქევისა საარვისოსაგან, ამიტომ მაგალითებში ჩვენც ეს პირი ავიღოთ და თანაც, საქმის ვითარება რომ უფრო ნათელი იყოს, ნამყო სრულის ფორმები მოვიყვანოთ: „მო-ჰპარა მას ხარი, მი-ჰგვარა მას ბავში, ჰითხა მას ამბავი, და-ჰკრა მას ხელი, მო-ჰკეთა მას თავი, მი-ჰყიდა მას საქონელი, მი-სწერა მას წერილი, სთხოვა მას წიგნი, მი-სცა მას ფული, მო-სტაცა მას ქელი“ და მისთ.

ამ ქევით იშვიათია ისეთი ჯგუფები, სადაც პირდაპირ ობიექტად პირველი და მეორე პირია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთებიც გვხვდება. ლიტერატურიდან საამისოდ ამ წუთას მხოლოდ ერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება: „მინც პასუხის გებაში მიმცემენ“ (ყაზბ., «მამის მკვლელი», 259) და დამატებით ეგებ ამ სახელდახელოდ შედგენილი წინადადებით დაეკმაყოფილდეთ: „სკოლაში მიმცეს სასწავლებლად და მასწავლებელს მიმგვარეს“, „ლეკებს მიგვიღეს“. ამ მაგალითებში ის არის საყურადღებო, რომ, როცა ზნის ფორმაში ორი დამატების ობიექტური ნიშანია მოსალოდნელი, ერთისა იკარგება და მეორისა კი რჩება, სახელდობრ დაიკარგება ხოლმე ირიბი დამატებისა, შეინახება კი პირდაპირისა.

ჰ) საზედაო ქევის ნიშანია ა. მისი სახელი იქიდან არის წარმომდგარი, რომ, როცა ზნა ამ ქევით არის ნახმარი, მიცემითის ობიექტს ხშირად² შეიძლება დაეურთოთ ნაწილაკი ზედ: მაგალითად, „და-(ჰ)აწერა ფიკარზედ, და-(ჰ)კერა ხეზედ, შე (ჰ)არტყა წელზედ, მო-(ჰ)ახვია თავზედ“ და მისთ. წარმოშობით ეს ქევა თითქო იგივეა, რაც სათანაო; ეს არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, სვანურში სათანაოსა და საზედაოს ნაცვლად ერთი ქევა გვაქვს, საზედაო, არამედ უფრო იმიტომ, რომ სათანაოსა და საზედაოს შორის ხშირად ისეთი მიმართებაა, როგორიც საარვისო ქევის ნულიანსა და აწინან სახეებს შორის. ამიტომ არის, რომ ცოტა პირს ხოლმე სათანაოსა და საზედაოს შორის გარკვეული ხაზის გავლება მნიშვნელობის მხრივ.

ამ ქევითაც ჩვეულებრივია ირიბი დამატების ყველა პირის ხმარება პირდაპირი დამატების მესამე პირის ფორმებთან დაჯგუფებით. ოღონდ იშვიათია პირდაპირი დამატების პირველი და მეორე პირის ფორმები, მაგრამ მინც გვხვდება ამ ხანდახან კარგად უნდა დაუქვირდეს კაცი, რომ პირდაპირი დამა-

¹) სათანაო, როგორც ტერმინი, შეიძლება დროებით ვიხმაროთ, ვიდრე უ. ჯოვის მოვნა ხავდეთ.

²) ხშირად, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის კი არა.

ტების ნიშანი ირიბისად არ მოეჩვენოს. მაგალითად „დაგანებებ“ ფორმაში მეორე პირი შეიძლება პირდაპირ დამატებადაც გაევიგოთ და ირიბადაც. მხოლოდ კონტექსტი თუ გვიშველის, რომ გავერკვეთ, თუ რომელი მათგანი იგულისხმება, თორემ გარეგნულად არავითარი განსხვავება არ არის. მართლაც, ამ წინადადებაში: „შენც მოგვლავ, თავსაც მოვიკლავ და შენ კი ალარავის დაგანებებ“ (ყაზბ. «ციკო», 141) მეორე პირი პირდაპირი დამატებაა, მაგრამ იგივე მეორე პირი ამ წინადადებაში: „ჩემს გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დაგანებებ“ (ყაზბ. «ელისო», 175) ირიბ დამატებად გვევლინება. ასეთივე დაპირისპირებაა ამ ორ წინადადებას შორის: „ბარემ მეც არვის დაგანებებ“ (ყაზბ. «მამის მკვლელი», 214) [O₂ პირდაპირია] და „მე გითხარ, თავს არ დაგანებებ-მეთქი“ (ყაზბ. «ელისო», 180) [O₂ ირიბია]. აი კიდევ ერთი მაგალითი: „მანინც კიდევ გზას გიპოვი და შენს უნაწესობას ქათამსავით ზედ წაგაკლავ“ (ი. ქაქუც. «ვლახის ნაამბობი», 313) [O₂ პირდაპირია].

;) სასხვისო ქცევის ნიშანი ორია: ი (პირე. და მეორე პირისათვის) და უ (მესამე პირისათვის): „მ-ი-წერს, გ-ი-წერს (ჰ)-უ-წერს“ და მისთ, ამ ქცევით კუთვნილებითი დამოკიდებულება აღნიშნული პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს შორის; სახელდობრ აღნიშნულია, რომ პირდაპირი ობიექტი ან ეკუთვნის ირიბ ობიექტს, ან დანიშნულია მისთვის, მის სასარგებლოდ ხდება იმს. რომ ვთქვათ, მაგალითად, „ავთანდილმა ტარიელს ხარი და(ჰ)უკლა“-ო, ამით იმის თქმა გვირდა, რომ ხარი ავთანდილსა იყო და დავკლით ავთანდილმა დაკლა, ან კიდევ ისა, რომ ხარი ავთანდილსა იყო (შეიძლება-ფრიდონისა ან ვინმე სხვა კაცისა), მაგრამ ავთანდილმა დაკლა, რომ ტარიელს მიართვას საქმელად მისი ხორცი. მაგალითები კიდევ: „და(ჰ)უწერა, და(ჰ)უხატა, შე(ჰ)უკერა, გა(ჰ)უგზავნა, და(ჰ)უმალა“. რა თქმა უნდა, ყველა ზნა, ამ ქცევით წარმოებული, კუთვნილებით დამოკიდებულებას არ გადმოგვცემს, ვინაიდან ზოგჯერ იგი სათანაო ქცევის ნიშნენლობას უახლოვდება, მაგრამ საზოგადოდ იგიც ისევე კუთვნილებითი ქცევაა, როგორც სათავისო. ოღონდ სათავისო და სასხვისო ერთი-მეორის საპირისპირო ქცევებია იმ მხრივ, რომ სათავისოში კუთვნილებითი დამოკიდებულება აღნიშნულია სუბიექტის მიმართ, აქ კი—არა სუბიექტისა, არამედ სხვა პირის მიმართ და აქედან წარმოდგა მისი სახელი.

რადგანაც სასხვისო ქცევის პირველსა და მეორე პირში იგივე მაქცევარი აქვს, რაც სათავისოს, სახელდობრ ი, ამიტომ ისინი აქ ერთი-მეორისაგან გარეგნულად არ განსხვავდებიან და მხოლოდ აზრით შეგვიძლია გავარჩიოთ. ზემოთ (ვ. 320) მოვიყვანეთ ერთი სათავისო ქცევის მაგალითი: „მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი“, სადაც აზრი ასეთია: „შენ მე მარჩენდი და მე შენ გარჩენდი“, მაშასადამე, ობიექტი პირდაპირია. მაგრამ, თუ ჩავსვამთ წინადადებაში პირდაპირ დამატებად რაიმე სიტყვას, ვთქვათ, „საქმელს“, ქცევა შეიცვლება და იგივე ფორმები სასხვისო გახდება: „მენა შენ (საქმელს) მინახავდი და მენა შენ (საქმელს) გინახავდი“, აქ უკვე მეორე პირის დამატება ირიბია. ამგვარადვე შეგვიძლია შევცვალოთ მეორე წინადადებაც, რომელიც იქვეა მოყვანილი: „წმიდა გიორგის ჯვარს დაჰპირდნენ იმას, ვინც მე დამიჭერდა, ან

მკედარს მიმოტანდა*, მაგალითად ასე: „წმიდა გიორგის ჯვარს დაეკვირდი იმას, ვინც მე (ყაჩაღს) დამოქერდა, ან მკედარს მომოტანდა“. ან კიდევ: „რაში მიწუნებს მითამ“ ერთია და „რას მიწუნებს მითამ“ სხვა, ეინაიდან O, ერთგან პირდაპირია და მეორეგან ირიბი.

სასოგადოდ, რაკი სათაეისო და სასხეისო ქცევის ფორმები ერთმანეთისაგან არ განირჩევა პირვ. და მეორე ობ. პირში, ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რომელი მათგანია ამა თუ იმ შემთხვევაში, უნდა გადავიყვანოთ ფორმა მესამე ობიექტის პირში და ერთბაშად გამოირკვევა საქმის ნამდვილი ვითარება; მაგალითად: „მიწუნებს, გიწუნებს, იწუნებს“ სათაეისოა, ხოლო „მიწუნებს, გიწუნებს, (ქ)უწუნებს“—სასხეისო.

უნდა შევნიშნოთ ოლონდ, რომ ამ ქცევაში შეიძლება იშვიათად კაცო ისეთ ფორმასაც წააწყდეს, სადაც კუთვნილებითი ურთიერთობა ცოტა სხვანაირი იყოს, ვიდრე ზემოთ ვნახეთ. სახელდობრ შეიძლება ერთს ზმნის ფორმაში ორი ირიბი დამატების წარმოდგენა გვქონდეს. ასეთი შემთხვევაა შემდეგ მაგალითში: „დამიძახეთ ნაჩაღნიქს!.. ერთი კარგად გავაწყკლინო ის დაქერილები.. წადით, დამიძახეთ“!.. (ყაზბ. „ფელგუჯა“, 11); „ჩემმა გლეხმა ამ ორის კვირის წინად ქალი გაათხოვა, მღვდელმა უჩემოდ ჯვარიც დასწერა და საჩქემეს არ მადღევს. მე ვთხოვთ საჩქემეც წამირთოთ, როგორც რიგია და კანონია და მღვდელიც გააკრეპინოთ“ (ი. ქაქუ. «გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები», 110); „მითქვილით ჩილოლებსა, ხახონს უქირეთ მხარიო“ (ი. ბუქურაული, თუშური ლექსები: «ძველი საქართველო» II, განყ. 5, გვ. 3). ამ მაგალითებში: დამიძახეთ=დაიძახეთ მას, (რომ) ჩემთან (მოვიდეს), წამირთოთ=წაართათ მას ჩემთვის, უთქვილით=უთხარით მათ ჩემ მიერ (დანაბარები).

b. ორმაგად გააღმავალი ოსნესი.

მესამე საფეხურის ზმნებს, რომლებიც კაუზატიურად არის ნაწარმოები მეორე საფეხურის (ცალმაგი გარდამავლობის) ზმნათგან და რომელთაც გარდამავლობა ორმაგი აქვთ, ქცევა სამი მოეპოვებათ: საარვისო, სათაეისო და სასხეისო. ამ ზმნების საარვისო ქცევა თავისი სინტაქსური ძალითა და ნაწილობრივ თავისი მორფოლოგიური თვისებითაც (ქცევითი ნიშნის ხმარება, მესამე ობიექტური პირის გამოხატვა განსაკუთრებული ნაწილაკით) ცალმაგად გარდამავალი ზმნების სახედაოს ჰგავს, ხოლო სათაეისო და სასხეისო—მათივე სახელწოდების ქცევებს.

საარვისო ქცევის ფორმები ჩვეულებრივია და მრავალი გვხვდება. ანტომ აქ მოვიყვან მხოლოდ ამ ზმნათა სათაეისოსა და სასხეისო ფორმების მაგალითებს, რადგანაც სწორედ ესენია იშვიათი.

ა) სათაეისო: „ბიქო, ნოდარ, აბა მარდად ვააცხელე წყალი, ე მტვერი გავიყრევინო (ვ. ბარნოვი, «შინაური მტერი», „სახალხო ფურცელი“, სურათებიანი დამატება, გაზეთის № 151, დამატების № 27. კვირა, 30 ნოემბ. 1914 წ.)¹.

¹) ამ მაგალითზე ა. ჩიქობავამ მიმითხა.

„გადვილებებზე მშინა ყინულის ლოდსა ქედითა“ (ვაჟა-ფშაველა, ლექსი «მთათ მითხრეს», თხზულებათა ტომი I, 1922, გვ. 86).

ჰ) სასხვისო. „თუ ამას გარკვევით კაის კელად დამიწერინებ და გამომიგზავნი“ (გიორგი XI-ის წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი: „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 223); „ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გადმომიწერინე, დიად დაგიმადლებ“ (იბ., გაგრძელება).

ჟ. მე ფრიად ცოდვილმან მხვეალმან შენმან ხორეშან გიორგი ლარაძის მეუღლემან მოგიჰედინე ხატი ესე“ (ე. თაყაიშვილი, Археологич. экскурсии, разыск. и зам., IV, 93). „ეპა ძელო დიდებულო, სიქადულო და ძალო ჩემო, უკუბოთ ესვენე სკურს და ვერ მოვითმინე უპატიოთ სუენება შენი და მოგიჰედინე¹ კუბო ესე ვეცხლისა“ (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგ. მოგზაურობანი და შენიშვნანი II, 240).

„მალე მტერი მომიკედეს, მალე იუნკრობა მოგიტანიო“ (ყაზბეგი, «მამის-მკვლელი»-ს ბოლოს, 1905 წ. გამოცემა, გვ. 388).

„ეგრეთვე ხალხი ააჯანღე, ქაიხოსრო სახლთხუცეზე მიუხდუნე; თუ არ წამოვიდეს, სახლ-კარი სულ დაუწვიინე და ააკლებინე. ოლონდ ჯანღში ნუ გაერევი“ (დავით ბატონიშვილის წერილი თავის ძმა ბაგრატიანადმი. ი. ჯაფარიშვილი, საქ. სამეფო ტახტის მემკვიდრეები: „მოამბე“. 1900, IV, აპრილი, II განყოფ., 15).

„ჩვენ მუხრანის ბატონის შეილმან ბოლნელ ეფისკოპოსმან ბაგრატის ძემან პატრონმა ნიკოლოზ მოვედით ბოლნის(ს) სიონთა ღვთის საქის მპყრობელად, ამისი პატიონება ვიგუღეთ, დაუხატვინეთ შეგნით კაკელი“ (ბოლნისის სიონის სამრეკლოს მხედრული წარწერა)².

2. კნეტიოი კუაზი.

მოქმედებითი გვარის ზნათაგან ვნებითი ფორმების წარმოების დროს პირდაპირი დამატება მოქმედებითისა ვნებითში ქვემდებარედ გადაიქცევა ხოლმე, ხოლო ირიბი დამატება უცვლელად დარჩება; მაგალითად: „აკაი წიგნს წერს“, „ძმა დას წერილს სწერს“, „ღედა შეილს ლექსს უწერს“, „ბაეში კედელს სიტყვას აწერს“ და მისთანა წინადადებათა აზრი ვნებითად რომ გამოეხატოთ, შემდეგს მივიღებთ: „წიგნი იწერება კაცის მიერ“, „დას წერილი ეწერება ძმის მიერ“, „შვილს ლექსი ეწერება ღედის მიერ“, „კედელს სიტყვა ეწერება ბაეშის მიერ“ და მისთანანი, სადაც მოქმედებითის პირდაპირი დამატება („წიგნს წერილს, ლექსს, სიტყვას“) ვნებითში ყველგან ქვემდებარედ არის ქცეული („წიგნი, წერილი, ლექსი, სიტყვა“), ხოლო ირიბი დამატება („დას, შვილს, კედელს“).

¹) დედანში ყოფილა: „მოგჰედინე“.

²) წარწერაში უტყვი აწნება, რომელთაც მხოლოდ გრაფიკული მნიშვნელობა აქვს და აქ გადმოცემული არ არის. ქარაგმებიც გახსნილია.

წარწერა ადგილობრივ მაქვს წაკითხული 1920 წელს. იგი მაშინ მთელი იყო. მაგრამ 1922 წელს შემოდგომაზე კელავ ვინახული და უკვე ხუთი ნატყვიარი სჭირდა და დაზიანებული იყო. ამ წარწერის შესახები ლიტერატურა: B r o s s e t, Explication de diverses inscriptions... p. 106 et suiv. და აგრეთვე Mélanges asiatiques, II, 321—325.

ენებითშიც ირიბ დამატებადგეა წარმოდგენილი, უცვლელად. წესია საზოგადოდ, რომ ის ფორმა მოქმედებითი ზმნისა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი დამატება ნაგულისხმევი, ენებითის წარმოების დროს აბსოლუტურ სახეს მიიღებს, ე. ი. ისეთ სახეს, სადაც ფორმაში მხოლოდ სუბიექტის პირია გამოხატული, ხოლო იმ ფორმებში, სადაც პირდაპირი დამატებაცაა და ირიბიც, პირდაპირი ქვემდებარედ გადაიქცევა და ირიბი კი თავის ადგილასვე დარჩება და, მაშასადამე, ფორმა მინც რელატიური იქნება. ანდაზა: „მჯობნის მჯობნი არ დაილევია“¹, სადაც ზმნა აბსოლუტური ფორმით არის წარმოდგენილა, მაგრამ იგივე ანდაზა შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ აზრი იგივე დარჩეს, მაგრამ ფორმა კი რელატიურა გახდეს: „მჯობს მჯობი არ დაელებია“².

ა. ერთმაგად გარდამავალი ზმნისა.

ერთმაგად გარდამავალ ზმნებს პირდაპირი დამატების ქეცევიც მოეპოვებათ ენებითში და ირიბისაც. პირველი ჯგუფი, ცხადია, აბსოლუტურ ფორმებს მოგვცემს, მეორე კი რელატიურს.

პირველ ჯგუფში ორი ქეცევა შემოდის: საარვისო და სათავისო. ამათგან ენებითი ფორმები ნამდვილად მხოლოდ საარვისოს გააჩნია, სათავისოსაგან კი ენებითის წარმოება მოუხერხებელია და შეუძლებელი. ამიტომ ენებითში მხოლოდ ერთი ქეცევა რჩება პირველი ჯგუფიდან: სა ა რ ვ ი ს ო. მისი ნიშანია ი³; მაგალითად: „იწერება, იხატება, იმალება, იგრიხება, იღება, იწყება“ და სხვ.

რაცა შეეხება მეორე ჯგუფისაგან ენებითი ფორმების წარმოებას, უნდა ვთქვათ, რომ აქ გამარტივებულია საქმე: ირიბი დამატების სამივე ქეცევა (სათანაო, საზედაო და სასხვისო) ერთსა და იმავე ფორმას გვაძლევს, რომელიც ნაწარმოებია ე ფორმანის საშუალებით. მაგალითად:

	მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი	ე ნ ე ბ ი თ ი
სათანაო:	მწერს, გწერს, სწერს:	მეწერება, გეწერება, (ჰ)ეწერება
საზედაო:	მაწერს, გაწერს, (ჰ)აწერს:	„ „ „
სასხვისო:	მიწერს, გიწერს, (ჰ)უწერს:	„ „ „

მაშასადამე, მოქმედებითის სამს ქეცევას ენებითში ზიარი ფორმები ჰქონია და აქედან წარმოდგა მისი სახელწოდებაც: „საზიარო“. ოღონდ ამ ტერმინმა შეცთომაში არ უნდა შეგვიყვანოს: ის არსებითად არავითარ ახალ ქეცევას არ შეიცავს, არამედ იგია სა ზ ი ა რ ო სახე სათანაოსი, საზედაოსი და სასხვისოსი, მასში თვითიული მათგანი შემოდის. მართლაც და, თუ ავიღებთ „მეწერება“ ფორმას, ვნახავთ, რომ იგი შეიძლება სათანაოც იყოს („წერილს მწერს—წერილი მე-

¹) მესხური ანდაზები და გამოცანები, შვედროვილი და გამოც. მესხი კოსტ. გ ვ რ ა მ ა ძ ი-საგან. ნაწ. პირველი. (ახალ-სენაკი 1899). ლ. მ ე ტ რ ე ე ლ ი ს ვ ა რ ი ა ნ ტ ი თ (ქართ. ანდაზები. ტფ. 1926): „მჯობთა მჯობი არ დაილევია“.

²) ი. კ ა ვ ე ა ვ ა ძ ე. კაცია ადამიანი, თავი IX (გვ. 351).

³) წარმომოხთი ეს ი იგივე უნდა იყოს, მგონია. რაც სათავისო ქეცევის ი (ნ. გვ. 332—333).

წერება“), საზღაოც („შუბლზე ნიშანს მაწერს—შუბლზე ნიშანი მეწერება“) და სასხვისოც („ლექსს მიწერს--ლექსი მეწერება“). მაგალითები „საზიარო“ ქცევისა: „მებატება, მეკრება, მექცევა, მეგრიხება, მემალება, მელება, მეწყება“.

ბ. ორმაგად გარდამაკალი ზმნები.

მესამე საფეხურზე მდგომ ზმნებს ვნებითი აგრეთვე ე'ნით აქვთ ნაწარმოები. ოლონდ აქ კაუზატიობის ნიშანი (ინ სუფიქს-ინფიქსი) შენახულია ვნებითშიც და ამით არის განსხვავებული ამ საფეხურის ზმნათა ვნებითი ფორმები მეორე საფეხურის ზმნათა ვნებითის ფორმებისაგან.

ამ საფეხურის ზმნებს ვნებითი ჩვეულებრივ საარვისო ქცევაში მოუღის. რაც შეეხება სასხვისოს, მისი ვნებითი თეორიულად ლა თუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სათავისოსი კი თეორიულადც ძნელი წარმოსადგენია. ის კი არა, საარვისო ქცევასაც იშვიათად მოუღის ვნებითის ფორმები. მაგალითები: „ოხვრით გაეშვებინა“ (მათია ელგუჯას) [ყაზბეგი, „ელგუჯა“, გვ. 50]; „ციკო წყნარად გაეშვებინა (ბების) [ყაზბ. „ციკო“, გვ. 151]; „დათიკო! არ გეცოდება იმისი დროული მამა? იმის მეტი შეილი არა ჰყავს. ნუ დაასხამ თავზედ ლაფს, ნუ დაეწვევლინები“ (ი. კაეკვაძე, „გლახის ნაამბობი,“ თავი IX); „მშვიდობით და გამარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ! ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევი“ (ibid., თ. XI) ¹.

ჯერ-ჯერობით ეს ვიკმაოთ პირველი უღვლილების ზმნათა საქცევის შესახებ. დანარჩენ უღვლილებათა შესახებ შეიძლება უფრო მოკლედაც მოვსკრათ.

B. მეთრე უღვლილება.

მეორე უღვლილებას ის ზმნები ეკუთვნის, რომლებიც ვნებითს დ'ონის საშუალებითაწარმოებენ. ამ უღვლილებაში შემოღის:

ა) თითო-ორლა პირველადი ზმნა, როგორც, მაგ., „ტებს, ხეთქს“.

ბ) საშუალ ზმნათაგან კაუზატიურად ნაწარმოები ზმნები, რომელთაც აქ უყვე ტრანსიტობა აქვთ მოაოებელი და როშელთაგანაც ვნებითი ფორმების წარმოებაც შეიძლება დ'ონის საშუალებით, როგორც მაგალითად: „წუხს-აწუხებს-წუხდება, დულს-ადულებს-დულდება, ტრისს-ატრებს-ატრდება, სძულს-(პ)აძულებს-შესძლდება“ და მისთ.

გ) უმთავრესად კი ნასაშუალრი ზმნები, ე. ი. რომლებიც სახელთაგან არის ნაწარმოები.

¹) უფრო ხშირად ეს ქცევა ვნებითისა გამოყენებულია ორმაგად გარდამაკალ ზმნათაგან წინარე წარსულის საწარმოებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში მას დართული აქვს ე ბ ინ სუფიქს-ინფიქსი: „დააწერინა—დაეწერინებინა, მოაკვლევინა—მოეკვლევივინებინა, დაახატინა—დაეხატინე—ბინა“ და მისთ. მაგალითად: „გრიგოლა წარმოუდგენელს აღშოთებბაში იყო, როდესაც მოძღვარი მიხალგუედა, ამოილო ზიარება და მიის შიშით, რომ უზიარებელი არ მომკვდარაყო, უნდოდა მაშინვე მი ეღებინებინა წმინდა საიდუმლო“, «მამის მკვლელო», გვ. 385) ::(გლახამ) სიტყვა თილორე ისე გამოგობელა, რომ იმედი მომცა, გამომეოთქმეეინებინა რამე“ (ი. კაეკ. „გლახის ნაამბობი,“ თავი II). „დათიკო, როგორც მოგესხენებათ მამის-ერთა ბავშვის ამბავი, მეტი განვიადებელი რამ იყო, განებიერებელი, ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე, რომ ჩემთვის ეწყენი ებინათ რამე (ib., თავი II).

და რომელთაც უწველეს ქართულში ვნებითის მაწარმოებლად ნ'არი უნდა ჰქონოდათ, რომლის ადგილიც შემდგ, როგორც უკვე აღნიშნულია, დ'ონმა დაიპირა¹, მაგალითად: „აბერებს, ამოკლებს, ათაუებს, ასრლებს, აშენებს, აცხადებს“² და მისთ.

I. ძიქმედიტი გიზარი.

მეორე უღვლილებს ზმნები მოქმედებითად იმგვარადე აწარმოებენ ქცე- ვებს, როგორც პირველი უღვლილებისანი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თუ პირველი უღვლილების ზმნები საარვისო ქცევას უპირატესად ნულით აწარ- მოებენ და ა'ნით კი უფრო ნაკლებ, სამაგიეროდ აქ იმავე ქცევის წარმოების დროს უპირატესობა ა'ნს აქვს მინიკებული და ნული კი იშვიათად იხმარება. ამას გარ- და სახედაო ქცევის ფორმები აქ შედარებით ცოტაა, კიდევ ნაკლებია სათანაო- სი. ხოლო ჩვეულებრივია: საარვისო, სათავისო და სასხვისო. რაიცა შეეხება კაუზატივეებს, ისინი მაინც აღარაფრით განსხვავებებიან პირველი უღვლილების ზმნათაგან. მაგალითები:

სარვისო	სათავისო	სათანაო	სახედაო	სასხვისო.
ტებს	იტებს	სტებს	(ჰ)ატებს	(ჰ)უტებს
აკეაებს	იკეთებს			(ჰ)უკეთებს
ადიდებს	იდიდებს			(ჰ)უდიდებს
აშაუებს	იშაუებს		მი(ჰ)აშაუებს	(ჰ)უშაუებს
აბერებს	იბერებს		შე(ჰ)აბერებს	(ჰ)უბერებს

- ჶ (ჰ)ატებიინებს იტებიინებს (ჰ)უტებიინებს
 - ჶჶ (ჰ)აკეთებიინებს იკეთებიინებს (ჰ)უკეთებიინებს
 - ჶჶჶ (ჰ)ადიდებიინებს იდიდებიინებს (ჰ)უდიდებიინებს
- და მისთ.

მაგალითი კაუზატივის სათავისოსი: „ოთარანთ ქერივი... ჯერ ხომ გულმა გატეხა“, მერე თვითონ მოერია გულსა, თვითონ გაიტეხინა გული“³. მოქმედებითის შესახებ ესეც კმარა და გადავიდეთ ვნებითზე.

¹) ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში (სტფ. უნივე. მოამბე“, I, 57 და შედ.
²) „აღეშენა, გამოეცხადა“ პირველი უღვლილებისაა, „აშენდა“ და „გამოცხადდა“ კი ნეორისა.
³) „ოთარანთ ქერივი“, თავი XVII, გვ. 450. [ი. ჭ ა ე ჭ ა ე ა ტ ე ს „გასტეხა“ უწერია და თუმცა ასეთი ფორმა ახლა ხშირია და ზოგან ჩვეულებრივიც, იგი მაინც შეცთომია, რადგანაც მას დამატება მხოლოდ პირდაპირი აქვს, რომელსაც მესამე პირში ობიექტური ნაწილაკი არ უნდა ჰქონდეს].
⁴) სტფდ. ქეთო შანიძე ი ა შ ვ ი ლ ის ა და მარგალიტა ი ა შ ვ ი ლ ის სიტყვით ჭიზიუნი სკოდნათ: „ბავშვმა ენა გაიტეხინა“, „ქალმა სირცხვილი გაიტეხინა“, „მოსვლა გაიტეხინა“ (ი. ე. ხშირად მოვლის) და მისთ.

2. კნებითი კებნი.

პირველი უღვლილებისა და მეორე უღვლილების ზმნებს შორის არსებითი განსხვავება ქცევათა წარმოების დროს მხოლოდ ენებითში მოიპოვება. მართლაც და, თუ პირველს უღვლილებაში მხოლოდ ორი ფორმა იყო, აბსოლუტური და რელატიური, მეორეში უკვე ოთხი გვაქვს: ერთი აბსოლუტური (სა-არვისო) და სამი რელატიური (სათანაო, საზედაო და სასხვისო), ე. ი. ირიბი დამატების ქცევებს ენებითშიც თავ-თავისი ფორმები აქვს, საკუთარი, და არა საზიარო, როგორც ეს პირველ უღვლილებაშია. განსხვავება ქცევის ნიშნებშია: საარვისოს აქ ნული აქვს. სხვებს კი შენახული აქვს იგივე ნიშანი, რაიც მოქმედებითში ჰქონდათ¹, ე. ი. სათანაოს ნული, საზედაოს ა და სასხვისოს ი/უ. მაგალითები:

სარვისო	სათანაო	საზედაო	სასხვისო
ტყდება	სტყდება	(3)ატყდება	(3)უტყდება
კეთდება	—	(3)აკეთდება	(3)უკეთდება
შავდება	—	(3)აშავდება	(3)უშავდება
დულდება	—	და(3)ადულდება	(3)უდულდება
წუხდება	—	—	(3)უწუხდება
ბერდება	—	(3)აბერდება	(3)უბერდება

მესამე საფეხურზე მდგომ (ორმაგად გარდამავალ) ზმნათა ენებითის ფორმები იშვიათად თუ სადმე იხმარება. თეორიულად კი ისეთივე წარმოება მოსალოდნელი, როგორც პირველ უღვლილებაში, ე. ი. ენით: (3)ეკეთებინება, (3)ეტეხინება² და მისთ. ამ მხრივ ეს ფორმები უკვე პირველ უღვლილებაში გვადიან.

3. მესამე უღვლილება.

მესამე უღვლილებას ის ზნები ეკუთვნის, რომელთაც ენებითის ნაცვლად მედიო-პასიური ფორმები აქვთ, ისეთი ფორმები, რომლებიც მნიშვნელობით საშუალონი არიან და ფორმით კი ენებითის ჩამოკვეანან. ასეთებია, მაგალითად; „სხლეტს, წყვეტს², აძლებს, ადნობს, ათბობს აურობს, ახმობს, ადგენს, აწვენს“ და მისთ., რომელნიც მეორე საფეხურისანი არიან და რომელთაც პირველ საფეხურზე ასეთი მედიო-პასიური ფორმები აქვთ; „სხლტება, წყდება², ძლება დნება, თება, შობება, ხმება, დგება, წება“ და მისთ.

მესამე უღვლილების ზნები ქცევათა წარმოების დროს კვალ-და-კვალ მისდევენ მეორე უღვლილებისას როგორც მოქმედებითში, ისე ენებითში. და რაკი მეორე უღვლილების ქცევათა წარმოებას უკვე ვიცნობთ, ამიტომ აქ საკმარისი იქნება, მხოლოდ მაგალითები დავასახელოთ.

¹ უნდა შევნიშნოთ მაინც ერთი რამ. მართალია ამ უღვლილების ზმნებს ენებითი დ'ონით აქვთ ნაწარმოები და ამიტომ ირიბი დამატების ქცევებს ენებითშიც საკუთარი ფორმები აქვთ შენარჩუნებული, მაგრამ საზიარო ქცევის ფორმები მაინც მოეპოვებათ. სახელდობრ, ეს შემთხვევებია წინარე წარსულში, სადაც ამისთვის საჭირო ენებითი ფორმები ნაწარმოებია „საზიარო“ ქცევის მიხედვით: „გატება—გა(3)ეტება, გააკეთა—გა(3)ეკეთებინა, ააღულა—ა(3)ეღულებინა“.

² ძველს ქართულში მოქმედებითში იყო წყუდეს (დ'ონით) და ენებითი იქედან არის ნაწარმოები: წყუდება—წყდება.

მოქმედებითი	საარვისო	სათავისო	სათანაო	საზედაო	სასხვისო
	სხლეტს	ისხლეტს	ჰსხლეტს		(ჰ)უსხლეტს
	წყევტს	იწყევტს	სწყევტს	(ჰ)აწყევტს	(ჰ)უწყევტს
	აძლებს	იძლებს			(ჰ)უძლებს
	აღნობს	იღნობს			(ჰ)უღნობს
	აშრობს	იშრობს		(ჰ)აშრობს	(ჰ)უშრობს
	ახმობს	იხმობს		(ჰ)ახმობს	(ჰ)უხმობს
	აღგენს	იღგენს		(ჰ)აღგენს	(ჰ)უღგენს
აწვენს	იწვენს			(ჰ)უწვენს	
საშეკრებებითი	სხლტება		ჰსლტება		(ჰ)უსლტება
	წყდება		სწყდება	(ჰ)აწყდება	(ჰ)უწყდება
	ძლება			(ჰ)აძლება	(ჰ)უძლება
	დნება			(ჰ)ადნება	(ჰ)უდნება
	შრება			(ჰ)აშრება	(ჰ)უშრება
	ხმება			(ჰ)ახმება	(ჰ)უხმება
	დგება		მისდგება	(ჰ)ადგება	(ჰ)უდგება
	წყვება			(ჰ)აწყვება	(ჰ)უწყვება

D. მეოთხე უღვლილება.

მეოთხე უღვლილებას ეკუთვნის ის ზმნები, რომელნიც გარდაუვალი არიან. მაშასადამე, პირდაპირი დამატება არ გააჩნიათ, მაგრამ რომელიც წარმოების მხრივ არც ენებითნი არიან. ესენია საშუალო ზმნები, რომლებიც მოქმედებითთან ტრანსიტოობის მხრივ განსხვავდებიან, ხოლო ენებითთან თავისი ფორმით; მაგალითად: „ზის, ხტის, დის, წვეს“ და მისთ. თანაც უნდა შევინშნოთ, რომ ზოგი მათგანი თავისი წარმოშობით ნატრანსიტოვლი ზმნაა, სადაც იმ-პერსონალურად ნახმარს მესამე პირის ფორმაში სუბიექტის წარმოდგენის გაქრობის შემდეგ ფორმის პატრონად მართო ობიექტი გამხდარა და სუბიექტადაც გადაქცეულა. ასეთებია მაგალითად, „აეცია, ჰქვია“.

მეოთხე უღვლილების ზმნებს ყველა ქცევითი ფორმა გააჩნია, გარდა სათავისოსი, მაშასადამე, აქვს: საარვისო, სათანაო, საზედაო და სასხვისო. ამათგან სათანაოსა, საზედაოსა და სასხვისოს აქაც ისეთივე ნიშნები აქვს, როგორც ყველგან, ხოლო საარვისოს თითქმის სულ ნული მოუღდის. გამონაკლისად ეგებ ისეთი ძველი წარმოების ზმნა გამოდგეს, როგორცაა „არის“, სადაც თავკიდური ა შეიძლება ქცევით ნიშნად მივიღოთ¹.

ბევრი ზმნა ამ უღვლილებისა საარვისო ქცევით იხმარება. თუ ეს ქცევა მოეპოვება ზმნას, მაშინ შეიძლება, რომ, თუ ორი არა, ერთი მაინცა ჰქონდეს ირიბი დამატების ქცევა (უფრო ხშირად სასხვისო), მაგრამ ბევრია ისეთი, რომელთაც საარვისო ქცევის ფორმები, აბსოლუტური ფორმები, არც კი გააჩნიათ და მხოლოდ და მხოლოდ რელატური ქცევით იხმარებიან. მაგალითები:

¹ შეიძლება-მეთქი, რადგანაც სვანურში იმავე ძირის ზმნაში თავკიდური ა ქცევის ნიშნად არის მიღებული; სახელდობო იქ გვაქვს ასეთი დაპირისპირება: «ა-რი» („არის, არსებობს“) და «ზო-რი» („უღის, ჰყავს, არსებობს მისთვის“), ე. ი. საარვისო და სასხვისო ფორმები.

საარვისო	სათანაო	საზედაო	სასხვისო
ზის		(3)აზის	(3)უზის
რბის			გა(3)ურბის
ქრის			(3)უქრის
ყვავის			(3)უყვავის
ყარს			(3)უყარს
ხტის			(3)უხტის
ღირს			(3)უღირს
წუხს			(3)უწუხს
ღელს			(3)უღელს
ღის	სღის		(3)უღის
წვეს		(3)აწვეს	(3)უწვეს
დგას		(3)ადგას	(3)უდგას
ჩანს			(3)უჩანს
ქირს	სქირს		(3)უქირს
თრთის			(3)უთრთის
ცივა	სცივა		
	ჰმართებს		(3)უმართებს
	ჰგავს	მი(3)აგავს	მი(3)უგავს ¹
	ჰშვენის		
	ჰყავს		
	ჰლოძიძეს		
	ჰშურს		
	სძულს		
	სძინავს		
	(3)ქონდა ²	(3)აქვს ²	
		(3)ახსოვს	
			(3)უნდა ³
			(3)უყვარს
			(3)უყვირს

აქაც გვხვდება ხანდახან ისეთი ფორმები, რომლებიც სასხვისო ქცევით რთულ ურთიერთობას გამოხატავს, ორი ირიბი დამატების აზრს შეიცავს: მაგალითად: „ეოლს არ მიცვია კაბაო“ (ვაჟა-ფშაველა, I, 1922), „რას მიჰვიან ტკბილი სიტყვა“ („ოთარაანთ ქვრივი“, 439); „ქალმა თქო: ქმარი მეწყალის, ბორბალ გამთენე ღამისა; სხვამ უთხრა: არას მეწყალის, ნაბად მიხურავ კრავლისა“ (ბეს. გაბუშური, კეკელიძე, მასალები: „ქ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწადეული“, I—II, 2:18); „ვისაც მიმართებს, არ იძლევიან“ (ასე სწერდა თავისიანებს ერთი ერწოელი 1922 წელს 10 თებერვალს გამოგზავნილ წერილში). ამ მაგალითებში:

1) „ტუტები ახლად გაშლილს ვარდს მიუგავს.“ (ვახტ. „ელგუჯა“, 7).

2) საზედოაოთი აწყუაოთი და სათანაოთი ნამყო უსრულში.

3) ეს ფორმა ამ ეამად აწმეოთია, მავრამ წარმოშობით იგი ნაჰყო უსრულისა არის.

„ცოლს არ მიცვია კაბაო“=ჩემს ცოლს არ აცვია კაბაო, „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“=რას ჰქვია ჩემსას ტკბილი სიტყვა, „ნაბად მიხურავ“=ჩემს (ქმარს) ნაბადი ჰხურავს და „ვისაც მიმართებს“=ვისაც ჩემი ჰმართებს. ეს მაგალითები იმავე ტიპისაა, როგორც „არამც თუ მიწვინა“ ზემოთ, (გვ. 320).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უღვლილების ზმნებს აქტივი ფორმები მხოლოდ კაუზატიურად შეუძლიან გაიჩინონ, მეორე საფეხურზე აყვანით: ამ აყვანით ისინი მეორე უღვლილებაში გადაეღვენ¹, სადაც მათ შეიძლება ენებითიც ჰქონდეს, მეორადი წარმოებისა, მაგრამ შეიძლება ენებითი არცა ჰქონდეს სრულებით: მაგალითად, ერთის ნხრით გვაქვს: „რბის—არბენს“ და მეორეს ნხრით „დის—ადენს“, რომელნიც ერთი და იმავე -ენ- ფორმანსით აწარმოებენ კაუზატივს და რომელთაგანაც პირველს სრულებით არა აქვს ენებითი, ხოლო მეორეს ორიც კი, ღონითაცა და ონითაც: საარვისოში ღონით: „ღინდება“ („კოკასა შინა რაცა დგას, რიგვე წარმოღინდება“, «ვეფხისტყაოსანი», წიგნი ფატმანისა ავთანდილთან სამიჯნუროდ მიწერილი), სათანაოში კი ან ნულით, ან ენით: „ცხვირიდან სისხლი დასდინდა“, ან „ცხვირიდან სისხლი და(ჰ)დინა“. სხვა მაგალითები მეორე საფეხურზე აყვანისა: „ყვავის—აყვავებს, ქრის—აქროლებს, ხტის—ახტუნებს, დულს—ადულებს, სძულს—(ჰ)აძულებს, (ჰ)უყვარს—(ჰ)აყვარებს“ [აქედან ენებითში: „შე(ჰ)უყვარდება“] და მისთ. მაგრამ ეს ისეთი ფორმებია, რომელთა ქცევებიც მეორე უღვლილებაშია განხილული.

III.

ასეთია საზოგადოდ ქართული ზმნის საქცევი, რომლის შესახებაც კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, ძალიან ბევრისა, მაგრამ არ მინდა, რომ გამოკლევა დაეტყვიანო წერილმანებით, რომელთაც შეუძლიან მკითხველის ყურადღება მსხვილმანთა საზიანოდ მიიზიდონ. დაეუბრალოდ მხოლოდ ორიოდ შენიშვნას.

უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ზმნის ქცევათა რიცხვი ხუთამდე აღის. ეს ქცევებია: საარვისო, სათავისო, სათანაო, საზედაო და სასხვისო.

ხუთივე ქცევა შეიძლება მხოლოდ ცალმხედ გარდამავალ ზმნას ჰქონდეს, ისიც ისეთს, რომელსაც საარვისო ქცევას ნულთ აწარმოებს. (მაგ. „წერს, ტებს“ და მისთ.), ხოლო იმათ, რომელთაც საარვისო ქცევის მაწარმოებლად ანი მოუპოვებთ, სათანაო ქცევა აკლიათ, და მაშასადამე, მხოლოდ ოთხი ქცევით არიან წარმოდგენილი (საარვისო, სათავისო, საზედაო და სასხვისო). ამ ოთხთაგანაც იშვიათია საზედაოს ხმარება, ასე რომ ამ ზმნებში (პირველი უღვლილებისა იქნება, თუ მეორისა, ჩვეულებრივად სამი ქცევა გვხვდება: საარვისო, სათავისო და სასხვისო.

ორმაგად გარდამავალ ზმნებს საარვისო ქცევა ანით აქვთ ნაწარმოები. მაშასადამე, სათანაო ქცევა თავისთავად ეკლებათ, მაგრამ მათი საარვისო იმავე ფორმით არის წარმოდგენილი, როგორც სხვაგან საზედაოა. ამიტომ აქ ერთიმეორისაგან განსხვავებული სამი-ლა ფორმა მოიპოვება.

¹) იშვიათად პირველშიც.

ენებითსა და საშუალს სათავისო ფორმა აკლიათ და ამიტომ აქ ოთხ-ოთხი ქცევა მოიპოვება საზოგადოდ, მაგრამ პირველი უღვლილების ენებითს სამი ქცევისთვის ერთი საზიარო ფორმა აქვს, რის გამოც გარეგნულად აქ მხოლოდ ორი ქცევითი ფორმაა განსხვავებული.

მაშასადამე, საშუალსა და ენებითს ოთხი ქცევა ჰქონია, ერთმანედ გარდამავალ მოქმედებითს ოთხი ან ხუთი (იმის მიხედვით, თუ რითი აქვთ სათავისო ქცევა ნაწარმოები: ა'ნით, თუ ნულით), ხოლო ორმაგი გარდამავლობის მოქმედებითს— სამი.

თვითუღვლს ცალკე აღებულ ზმნას ამა თუ იმ გვარისას და ამა თუ იმ ტრანსიტობისას ყველა ის ქცევა როდი მოუღის, რამდენიც მისი რიგის ზმნებისთვის არის განკუთვნილი. ბევრია ისეთი ზმნა, რომელთაც შეიძლება ოთხივე (resp. ხუთივე) ქცევა ჰქონდეს, მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელთაც მხოლოდ ერთი აქვს, ან ორი. ზოგს რა აკლია და ზოგს რა. „ჰყავს“ ზმნას, მაგალითად მხოლოდ სათანაო ქცევა მოეპოვება, „(ჰ)უყვარს“ ზმნას მხოლოდ სასხვისო, „(ჰ)აქვს“ ზმნას კი აწმყოში მხოლოდ საზედაო და ნამყო უსრულში კი მხოლოდ სათანაო („ჰქონდა“)¹.

ქცევათა ხმარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრევერბებს. სათანაოში ან საზედაოში ერთი რომელიმე პრევერბით შეიძლება ზმნა არ იხმარებოდეს, მაგრამ მეორე პრევერბით—კი. მაგალითად „ქრა“ ზმნას თუ ავიღებთ, მას „გა-“ პრევერბით მხოლოდ საარვისო, სათავისო და სასხვისო ქცევები აქვს: „გა-ქრა, გაიქრა, გაუქრა,“ მაგრამ „მო“-თი სათანაოსაც აწარმოებს, („მოსქრა მას ხელ“), „და“-თი კი საზედაოსაც: „ხახვი არ დამაქრა კისერზე“. მსგავსი მაგალითი ბევრია.

ორიოდე სიტყვა სათავისო ქცევის შესახებ. სათავისო ქცევა მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ ზმნათა კუთვნილებათა, იმ ზმნათა, რომელთაც პირდაპირი დამატება მოეპოვება. იგი არ გააჩნია არც ენებითსა და არც საშუალ ზმნებს, რომელნიც გარდაუვალნი არიან. რა თქმა უნდა, ამას არ ეწინააღმდეგება ისეთი ცრუ სათავისო², როგორცაა დღევანდელი: „იჯდა, იწვა, იღვა“, რომლებიც ანალოგიურადაა განვითარებული და რომელთა მაგივრადაც ძველად „ჯდა, წვა, ღვა“ იხმარებოდა, ე. ი. საარვისო ქცევის ფორმით, რომელიც დღესაც შენახულია პრევერბიან ზმნებში: „და-ჯდა, და-წვა, და-ღვა“. აქ საყურადღებოა ერთი რამ. შემთხვევითია, თუ არა ის გარეეობა, რომ სათავისო ქცევის ნიშნი მოქმედებითი ზმნისა საზოგადოდ იგვიყვია, რაც საარვისოს ენებითის მაქცევარი პირველს უღვლილებათაში? თუ შემთხვევითი არ არის, მაშ როგორია მათი ურთიერთობა? ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იწინიანი ენებითი განვითარებული იყოს სათავისოს ფორმებისაგან, ე. ი. წარმოშობით იგი მოქმედებითად აღგვეარება? ჰო'ს თქმა ამის შესახებ ძნელია ამჟამად, თუმცა თეორიუ-

¹) ასე გაანაწილა ახალმა ქართულმა ორი ქცევა, რომელიც ძველს ქართულში აწმყოშიც იხმარებოდა და ნამყო უსრულშიც. განაწილება იქაც იყო, ოღონდ არა დროთა მიხედვით, არამედ სუბიექტის რიცხვისა: მხოლოდობითი საზედაო იხმარებოდა („ჰაქვს, ჰაქუნდა“), მრავლობითში კი სათანაო („ჰქონან, ჰქონდეს).

²) ან, თუ გნებავთ, ცრუ ენებითი.

